

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი ქართული ენის კათედრა

ბიძინა ფორეზა

ქართული ენის ლექსიკოლოგია



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1974

ნარკვევი შეეხება თანამედროვე ქართული ლექსიკის შედგენილობისა და ისტორიის საკითხებს. შესავალში წარმოდგენილია ლექსიკოლოგიის ძირითადი ცნებები. მომდევნო თავებში განხილულია ლექსიკის მიმართება ქართული სიტყვის ბგერაობასთან და აგებულებასთან; ქართული ენის ლექსიკური ფონდი და ცალკეული სიტყვები დახასიათებულია მნიშვნელობასთან და ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში და აგრეთვე სიტყვათა ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით. დაბოლოს მოცემულია ცნობები საკუთარი და შუთისებული ლექსიკის შესახებ.

წიგნი განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974

წინასიტყვაობა

ქართული ლექსიკოლოგიის მიმოხილვას რამდენიმე ნაშრომი მი-
ეძღვნა*. წინამდებარე ნარკვევიც ქართული ლექსიკის შედგენილობისა
და ისტორიის ძირითად საკითხებს შეეხება.

წიგნი დაიწერა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე წა-
კითხულ ლექციათა საფუძველზე. ნაგულისხმევია, რომ ლინგვისტ-
სტუდენტებს მოსმენილი აქვთ როგორც თეორიული, ზოგადლინგვის-
ტური, ისე სპეციალური საენათმეცნიერო კურსები.

თვით ავტორმა ლინგვისტური მომზადება მიიღო უნივერსიტეტში,
სტუდენტობისას და შემდეგ ასპირანტურაში, ზოგადი ენათმეცნიე-
რების კათედრაზე (პროფ. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით). მო-
ნაწილეობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენა-რე-
დაქტირებაში კარგი ლექსიკოლოგიური სკოლა აღმოჩნდა: გამოვლინდა
ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც თეორიულ გააზრებას მოითხოვს.
ლექსიკოლოგიის თეორიულ საკითხებზე მუშაობა წარმოებს ენათმეც-
ნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში (გამ-
გე — პროფ. თ. შარაძენიძე).

ახალი ქართული ენის კათედრამ (გამგე — პროფ. შ. ძიძიგური)
უნივერსიტეტში შემოიღო ქართული ლექსიკოლოგიის კურსი; მისი

* ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ენის ლექსიკური შემადგენლობა, თბილისი, 1956.

ა. ლ. დ. ლ. რ. ი. ქართული ლექსიკოლოგია, თბილისი, 1964.

შ. ძიძიგური, ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა. მორფოლოგია, თბილ-
სი, 1956.

ლ. კ. ვ. ა. კ. ა. ქართული ენა, ნაწ. I, თბილისი, 1969.

იხ. აგრეთვე დ. გ. ვ. წ. ა. ქართული ენა. ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის
პრაქტიკუმი, თბილისი, 1962.

რ. შ. ა. მ. ე. ლ. ა. შ. ე. ი. ლ. თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა, I, თბილ-
სი, 1972.

ხელმძღვანელობა ამ სტრიქონების ავტორს დაევალა. კურსის ჩამოყალიბებისა და ნარკვევის წერის დროს მოგვიხდა შესაძლებლობისამებრ მწყობრი სახე მიგვეცა იმ ზოგად დებულებათათვის, რომლებიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის მიმოხილვას; ფაქტობრივი მასალის გადმოცემისას, ბუნებრივია, ვემყარებოდით ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, ვიყენებდით მის მდიდარ სადოკუმენტაციო ფონდს, აგრეთვე ვაქა-ფშაველას სიმფონიის კარტოთეკას (რომელიც პროფ. გ. კიკნაძის ხელმძღვანელობით არის შედგენილი).

ლექციებში მიმოხილული უნდა ყოფილიყო ქართული ლექსიკოლოგიის ყველა ძირითადი საკითხი. ამის გამო სპეციალური კვლევის (ან ავტორის მიერ ადრე შესრულებული სამუშაოს შედეგთა გადმოცემის) გვერდით ნაშრომში მოექცა ცნობილი ფაქტები და დებულებები.

ავტორი ფიქრობს, რომ ნარკვევი დაეხმარება სტუდენტებს ქართული ლექსიკოლოგიის კურსის შეთვისებაში. გარდა ამისა, წიგნის გამოქვეყნება, იმედია, გაამაზვილებს ყურადღებას ლექსიკოლოგიის საკვანძო საკითხებზე.

ხელნაწერი გულმოდგინედ გადაიკითხა ფ. ერთელიშვილმა, რამდენიმე თავს გაეცნო არნ. ჩიქობავა. მათი შენიშვნების გათვალისწინებამ წიგნი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა (ცხადია, ხარვეზებისა და სადავო დებულებებისათვის მხოლოდ ავტორი აგებს პასუხს).

ბოდ. ფონხუა

18.1.1972.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ლექსიკოლოგიის ადგილი სხვა საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის: ფონეტიკა-ფონოლოგიის საგანი. — ფონემა არ არის მნიშვნელობის მატარებელი ენობრივი ერთეული. — „აღსანიშნი“ და „აღმნიშვნელი“. — სიტყვის მორფემული აგებულება. — „აღსანიშნის“ შემსწავლელი საენათმეცნიერო დისციპლინები. — ლექსიკოლოგია და სიტყვაწარმოება. — სიტყვაწარმოება-ლექსიკოლოგია, ფლექსია-სინტაქსი. — ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია. — ლექსიკოლოგია და ონომასიოლოგია. — ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია.

რა ადგილი უჭირავს ლექსიკოლოგიას სხვა საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის?

ცნობილია ენათმეცნიერების დარგები: ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი... თითოეული მათგანის საგანი მეტ-ნაკლებად გარკვეულია.

**ფონეტიკა-ფონოლოგიის
საგანი**

1. ფონეტიკა-ფონოლოგია სწავლობს მნიშვნელობის მქონე ენობრივ ოდენობათა ბგერადობას, ენის ფონემათა სისტემას, ამ ფონემათა ფიზიკურ სუბსტანციას — ბგერებს (სამეტყველო ბგერათა წარმოქმნის პირობებს — სამეტყველო ორგანოთა ანატომია-ფიზიოლოგიას — და ბგერათა აკუსტიკურ თვისებებს), ფონემათა ურთიერთობას, მათ ორგანიზაციას მნიშვნელობის მქონე ენობრივ ერთეულებად — მორფემებად, სიტყვებად. შესიტყვეებად და ა. შ.

ამრიგად, ჩვენ ვლაპარაკობთ, ერთი მხრით, ფონეტიკურ-ფონოლოგიურ ოდენობათა შესახებ და, მეორე მხრით, მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულების შესახებ.

საქმე ისაა, რომ ენის ფუნქციები (ენა — გავგებინების საშუალება და ენა — აზროვნების იარაღი) უთუოდ გულისხმობს მნიშვნელობის მქონე ერთეულებს: იმისათვის, რომ ენამ შეასრულოს თავისი დანიშნულება — ემსახუროს ადამიანთა ურთიერთობის საქმეს და გამოდგეს

აზროვნების იარაღად, მის ერთეულებს აუცილებლად ესაქიროებათ ჰქონდეთ მნიშვნელობა — ისინი რაღაცას უნდა აღნიშნავდნენ.

ფონემა არ არის მნიშვნელობის მატარებელი ენობრივი ერთეული

2. სამეტყველო ბგერებს თავისთავად მნიშვნელობა არა აქვთ. ძირები თუ ფორმანტები (მორფემები), სიტყვები, შესიტყვეებები აგებულია ფონემებისაგან, მაგრამ ისინი (მორფემები, სიტყვები, შესიტყვეებები) როგორც მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები ფონემებად არ ნაწილდებიან.

ვერ ვიტყვი, მაგალითად, რომ ლურჯა-სიტყვაში ლ-ფონემასთან იყოს დაკავშირებული ამ სიტყვის რაიმე მნიშვნელობა ან მნიშვნელობის რაიმე მხარე. ეგვევ ითქმის რ, ჯ, უ, ა-ბგერების შესახებ.

აქ, ერთი შეხედვით, ჩვენი მსჯელობა გაუმართლებელი ჩანს უკანასკნელი ა-ფონემის მიმართ. მართლაც, ლურჯა-სიტყვა ლურჯი-სიტყვასთან შედარებით განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა და ეს მნიშვნელობა სწორედ ცალკე ფონემასთან ა-სთან ჩანს დაკავშირებულს.

ლურჯა გამონაკლისს არ შეადგენს. ასევე, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს შითელი-სიტყვას შითელი-სიტყვასთან შედარებით და ეს განსხვავება სწორედ ა-ფონემასთან არის დაკავშირებული; ასევე შაბლა — შაბლი-სთან შედარებით კულა — კული-სთან შედარებით, დრამატურა — დრამატურა-სიტყვასთან შედარებით...

ბოლოკიდური ა-ბგერით განსხვავდება დაშერა- და დაშერა-ზმნები. კაყა- და კაყი-სახელები...

ასევე, შერს და აშერს-სიტყვებს შორის განსხვავებას თავიიდური ა-ფონემა ქმნის; ეგვევ თავიიდური ა განსხვავებას აიღებს- და იღებს-სიტყვებს.

ა-და ი-ფონემებთან, მათ მონაცვლეობასთან არის დაკავშირებული განსხვავება ამ სიტყვებს შორის: ვთქვა — ვთქვი, აკეთებს — იკეთებს, აქ — იქ, ასე — ისე, აშან — იშან...

ა დამოუკიდებელ სიტყვადაც შეიძლება გამოვიდეს: „ა, ქალო, ვაშლი წითელი“ (ხალხური), „ა, შეუტია ალმასხანმა ტყვეს“ (ნ. ლორთქიფანიძე).

სიტყვათა განსხვავება, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია არამხოლოდ ა-ფონემასთან.

ზოგჯერ ი-ფონემის დართვა-დაურთველობასაც ახლავს განსხვავება სიტყვათა შორის: შერს — იშერს, ფრიად — ფრიადი... გარდა

ამისა, ი. როგორც დავინახეთ, არაიშვიათად უპირისპირდება ა-ფონემას განსხვავებულ სიტყვათა წყვილებში: იკეთებს — აკეთებს, იქ — აქ... ასეთივე ვითარება შეინიშნება ზოგ სხვა ფონემასთანაც:

ნთება — ნთება-სიტყვებიც ერთი ფონემის, უს და რთვა-დაურთველობით ჩანს განსხვავებული; ა-ი-ის მონაცვლეობასთან არის დაკავშირებული მნიშვნელობის განსხვავება ებრძვის — იბრძვის-სიტყვებს შორის, ან — ინ-სიტყვებს შორის; ა-ა-მონაცვლეობასაც მოსდევს მნიშვნელობის განსხვავება: აგრა — აგრე; ა დამოუკიდებელ სიტყვადაც გამოდის: „ა როგორ არის, ვერ მივხვდი, როგორი განაჩენია“ (რ. ერისთავი).

შერს — უშერს-წყვილში განსხვავება უ-ფონემასთან არის დაკავშირებული, ძმა — ძმაო-სიტყვებში — ო-ფონემასთან.

მაგრამ ყველა მოყვანილ მაგალითში (მაგალითების რაოდენობა, ცხადია, ადვილად შეიძლება გავზარდოთ) „ფონემისა“ და „მორფემისა“ საზღვრები შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს: მოყვანილ მაგალითებში (ა. ა/ე. ი. ი/ა. ე. ი/ე. ო. უ...) საქმე გვაქვს „მორფემებთან“ — გარკვეული ფუნქციის, გარკვეული მნიშვნელობის მატარებელ ენობრივ ოდენობებთან: იკეთებს — უკეთებს-წყვილში თავიკიდური ი და უ მნიშვნელობებს გაარჩევენ როგორც მორფემები და არა როგორც ფონემები (მდრ. უკეთებს — მიკეთებს: ამ წყვილშიც გვაქვს ი და უ-ს მონაცვლეობა, მაგრამ მნიშვნელობების განსხვავება მათთან არ არის დაკავშირებული); ლურჯაში — ლურჯისთან შედარებით — მნიშვნელობის განსხვავება ა-სთან როგორც მორფემასთან (და არა როგორც ფონემასთან) არის დაკავშირებული.

3. რაც შეეხება თვით ფონემებს, ისინი მხოლოდ სადამშენებლო მასალას წარმოადგენენ მნიშვნელობის მქონე ენობრივ ოდენობათათვის (მორფემებისათვის, სიტყვებისათვის), მაგრამ თავისთავად მნიშვნელობის მქონე ოდენობები არ არიან.

სამეტყველო ბგერა, ფონემა, მნიშვნელობის მატარებელი ოდენობა რომ ყოფილიყო, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა არსებულიყო ენაში ერთგვარად მბგერი, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის მორფემები ან სიტყვები, ე. ი. შეუძლებელი იქნებოდა 'მთის' საპირისპირო ბარისიტყვისა და 'თოხისაგან' განსხვავებული ბარი-სიტყვის არსებობა ქართულში, ან შორისდებულ არა და თურქულიდან მომდინარე არა-სიტყვის არსებობა რუსულში, ან კიდევ გერმანულში die Weide 'ტირიფი' და die Weide 'საძოვარი' და სხვ. და სხვ.

ფონემა რომ მნიშვნელობის მატარებელი ოდენობა ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა ერთგვარი მნიშვნელობის მქონე მორფემების თუ

სიტყვების არსებობა. ქართულში არ გვექნებოდა ტური და ბაგე, ჩიბუხი და ყალიონი, იმან და მან... ასევე, რუსულ ენაში ერთდროულად ვერ იარსებებდა актер და артист, ფრანგულში motif და raison...

4. თუ სამეტყველო ბერას მივაწერდით მნიშვნელობის განსხვავების ფუნქციას, უნდა გვევარაუდა, რომ ამა თუ იმ ენის ფონოლოგიურ სისტემაში ისტორიული ცვლილებები უშუალოდ არის შეპირობებული მნიშვნელობის განსხვავების თუ განუსხვავებლობის საჭიროებით; ამგვარი ვარაუდი კი შეუთავსებელია ენის ისტორიის ფაქტებთან:

ძველ ქართულში არსებობდა კ-ბგერა, დროთა განმავლობაში იგი გაქრა — ბ-ბგერას შეერწყა; თუ კ'ს მივაწერდით მნიშვნელობის განსხვავების ფუნქციას, მაშინ უნდა დაგვესკვნა — კ იმიტომ გაქრა, რომ ქართულ ენაში აღარ ივარსებოდა იმ მნიშვნელობათა განსხვავების საჭიროება, რომელი მნიშვნელობებიც კარისა და ხანის მქონე სიტყვათა წყვილებს ჰქონდათო:

არსებობდა კელი 'ზედა კიდური' და ხელი 'გიეი'; ამჟამად ორივე შინაარსი ხელი-სიტყვით არის გადმოცემული; განა შესაძლებელია აქედან დავასკვნათ, თითქოს კარის გაქრობა გამოეწვიოს 'ზედა კიდურისა' და 'გიეის' შინაარსთა შორის განსხვავების მოშლას?

ან, თუ კ-ფონემის დაკარგვას მივიჩნევდით ჩვენთვის უცნობი მიზეზით გამოწვეულ კატასტროფად, — შედეგად უნდა მიგველო ისეთი ვითარება, ვითომც ქართულ ენას დაეკარგოს 'ზედა კიდურისა' და 'გიეის' მნიშვნელობათა გარჩევის უნარი! ფაქტობრივ ეს. ცხადია, არ მომხდარა [96, შდრ. 263].

მეორე მხრით, მნიშვნელობა აღარ გაერჩევათ, ფონეტიკურად კი არ შეცვლილან ამგვარი სიტყვათა წყვილები: ჯირითი და დოღი, ჩაფხუტი და მუზარადი...

ამრიგად, ფონემებს ვერ მივაწერთ მნიშვნელობის განსხვავების ფუნქციას.

ფონემები არის არა მნიშვნელობის განმასხვავებელი ენობრივი ერთეულები, არამედ სიტყვების გამოსაცნობი და გასარჩევი ენობრივი ოდენობები (ხოლო თუ სიტყვა რთული მორფემული აგებულებისაა, ფონემა არის მორფემათა გამოსაცნობი და გასარჩევი ენობრივი ოდენობა).

„აღსანიშნი“ და „აღმნიშვნელი“

ნ. ენობრივ ნიშანში იმთავითვე (ძველი ბერძნების დროიდან, აგრეთვე შუა საუკუნეებში) განასხვავებდნენ, ხოლო სოსიურის (1857 —

1913) დროიდან მოკიდებული — განსაკუთრებით მკაფიოდ გააჩვენებენ აღმნიშვნელსა და აღსანიშნს [229].

„აღმნიშვნელი“ უწოდებენ იმას, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ: აღმნიშვნელია სამეტყველო ბგერა — *გ, ი, თ, ზ* —, ბგერათა შეხამებანი, ბგერადობა — *თხ, ეხ, ზე*... ესაა „გარეგანი“, მატერიალური მხარე ენობრივი ერთეულისა; სამეტყველო ბგერები, ფონემები, ენის აღმნიშვნელი მხარის ერთეულებია, სააღმშენებლო აგურებია, რომლებსაგანაც შენდება მნიშვნელობის მქონე ელემენტები.

„აღსანიშნია“, მაგალითად, *ხე*, როგორც საგანი, ან როგორც ცნება ამ საგნისა, ან კიდევ როგორც წარმოდგენა ამ საგნის შესახებ; ერთი სიტყვით, აღსანიშნია ის, რის შესახებაც ლაპარაკობენ. ესაა „შინაგანი მხარე“, ანუ შინაარსი ენობრივი ერთეულისა.

ენის აღსანიშნი მხარე — მნიშვნელობის მქონე ელემენტთა ერთობლიობა — რთული წარმონაქმნია. მას შეისწავლის სხვადასხვა თვალსაზრისით ენათმეცნიერების რამდენიმე დარგი — მორფოლოგია, სინტაქსი, აგრეთვე ლექსიკოლოგია და სტილისტიკა.

ისევ ზე-სიტყვის მაგალითი რომ ავიღოთ: *ზე*ს როგორც ბგერით-კომპლექსს, როგორც ფონემათა თანმიმდევრობას, როგორც ბგერადობას უპირისპირდება „*ხე*“ როგორც საგანი (ან ცნება, ან წარმოდგენა ამ საგნის შესახებ). სიტყვა *ზე* არის აღმნიშვნელისა და აღსანიშნის, ბგერადობისა და მნიშვნელობის ერთობლიობა.

სიტყვისათვის აუცილებელია ორივე ეს მხარე — ბგერადობა და მნიშვნელობა:

ქართულში არ არსებობს ის მნიშვნელობა, რომელიც მალაიურში *amok*-სიტყვით გამოიხატება; ქართულ ენაში არ არსებობს აგრეთვე მნიშვნელობის ის ნიუანსები, რომლებიც რუსულში გარჩეულია შემდეგი სიტყვებით: *круг—кружок—кружочек*, ან *старуха—старушка—старушечка*, ან კიდევ *рано—ранешенько—ранешенько*.

ასევე, მნიშვნელობის უქონელი ბგერათ-კომპლექსი ვერ მიიჩნევა ენობრივ ერთეულად: მნიშვნელობა რომ არა, ბგერადობა ზე აღიქმებოდა, ვთქვათ, თავისებურ ჩახველებად, მაგრამ არ მიიჩნეოდა სიტყვად, ენობრივ ერთეულად.

სიტყვის მორფემული აგებულება

8. სიტყვა აგებულია, შედგენილია არამხოლოდ აღმნიშვნელის ერთეულებისაგან — არამხოლოდ სამეტყველო ბგერებისაგან, ფონემებისაგან.

სიტყვას გარკვეული აგებულება აქვს აღსანიშნის თვალსაზრისითაც: იგი მნიშვნელობის მქონე უმცირესი მონაკვეთებისაგან შეიძლება შედგებოდეს. ასე, სიტყვა ლურჯა ორი ნაწილისაგან არის შედგენილი: ერთია ძირი (რომელსაც ხშირად „ძირეულ მორფემას“ ან კიდევ „სემანტემას“ უწოდებენ) — ლურჯ-; მას ერთვის სუფიქსი, მაწარმოებელი მორფემა -ა.

თვით სიტყვა ელემენტია უფრო დიდი ენობრივი ერთეულისა: ლურჯა შედის, მაგალითად, ამგვარ შესიტყვებაში: ლურჯა ცხენი...

სიტყვას მორფოლოგია შეისწავლის, შესიტყვებას — სინტაქსი. მაგრამ მორფოლოგია და სინტაქსი სიტყვას და შესიტყვებას, ამ აღსანიშნის ერთეულებს, შეისწავლიან აგებულების ანუ გრამატიკული ფორმის თვალსაზრისით. მაგალითად, გრამატიკას აინტერესებს სიტყვა ლურჯა, ჯერ ერთი, როგორც ორელემენტიანი ენობრივი ერთეული — ლურჯა+ა (მდრ. სამელემენტიანი მო+ლურჯ+ო, მრავალელემენტიანი ჩა+ლურჯ+თქ+ულ+ი). შემდეგ — როგორც წევრი პარადიგმისა (მწკრივისა): ლურჯა, ლურჯამ, ლურჯას და ა. შ.

მაგრამ სიტყვა ლურჯა როგორც ისეთი ენობრივი ერთეული, რომელიც აღნიშნავს ენის გარეშე არსებულ საგანს თუ მოვლენას, ლურჯა როგორც საგნობრივი მნიშვნელობის მქონე ოდენობა, არის ლექსიკოლოგიის შესწავლის საგანი.

„აღსანიშნის“ შემსწავლელი საენათმეცნიერო დისციპლინები

7. როგორც ვხედავთ, სიტყვას და შესიტყვებას როგორც აღსანიშნის ერთეულებს რამდენიმე საენათმეცნიერო დისციპლინა შეისწავლის:

სიტყვის ფორმა, მორფემული აგებულება, ბრუნება-უღვლილება, აგრეთვე სიტყვათა კლასიფიკაცია ფორმის თვალსაზრისით არის მორფოლოგიის საგანი.

შესიტყვების ფორმას, სიტყვათა შეერთების ანუ შესიტყვების აგებულებას, სიტყვათა ურთიერთობას შესიტყვებაში, აგრეთვე შესიტყვებათა კლასიფიკაციას ფორმის მიხედვით შეისწავლის სინტაქსი.

სიტყვის მნიშვნელობას, მის შინაარსეულ მხარეს, აგრეთვე სიტყვათა კლასიფიკაციას მნიშვნელობის მიხედვით შეისწავლის ლექსიკოლოგია.

ბუნებრივია, რომ ამგვარი თვალსაზრისით, ე. ი. მნიშვნელობის, საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით უნდა შეისწავლებოდეს შესი-

ტყევა ც. შესიტყვების მნიშვნელობის შესწავლა, ე. ი. გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით მისი, შესიტყვების, ანალიზი ცალკე საენათმეცნიერო დარგის საგანი უნდა იყოს (ამ დარგს ფრაზეოლოგიას [185] ან სტილისტიკას [122] უწოდებენ).

აღსანიშნის შემსწავლელი საენათმეცნიერო დისციპლინების ურთიერთობა სქემატურად ასე შეიძლება გამოიხატოს [122, 265]:

შესასწავლი მხარე	აგებულება	მნიშვნელობა
შესასწავლი ერთეული		
სიტყვა	მორფოლოგია	ლექსიკოლოგია
შესიტყვება	სინტაქსი	სტილისტიკა ანუ ფრაზეოლოგია

ლექსიკოლოგია და სიტყვაწარმოება

8. ზემოწარმოდგენილი სქემიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს სიტყვაწარმოებასა (წარმოქმნასა, დერივაციასა) და მორფოლოგიას შორის, ერთი მხრით, და ლექსიკოლოგიას შორის, მეორე მხრით. ამ საკითხზე კი ენათმეცნიერებაში აზრთა სხვაობაა.

მოძღვრებას სიტყვაწარმოების შესახებ გრამატიკის დარგად მიიჩნევენ ხოლმე (მას მორფოლოგიის ნაწილად თვლიან ან კიდევ ცალკე დარგად გამოყოფენ).

ზოგიერთი მკვლევარი სიტყვაწარმოებას მიაკუთვნებს როგორც გრამატიკას (რადგან სიტყვაწარმოების წესები „წმინდა მორფოლოგიური წესებია“), ისე ლექსიკოლოგიას (რაკი სიტყვაწარმოება „ლექსიკის გამდიდრების საშუალებაა“).

სხვებს სიტყვაწარმოება მხოლოდ ლექსიკოლოგიაში შეაქვთ როგორც მისი ერთი ნაწილი (სიტყვაწარმოების ადგილის შესახებ განსხვავებულ შეხედულებათა მიმოხილვა — [95]).

მოძღვრებას სიტყვაწარმოების შესახებ და ლექსიკოლოგიას იმიტომ უკავშირებენ ერთმანეთს, რომ ორივეს სიტყვასთან აქვს საქმე. მორფოლოგიასთან დაკავშირება იმით საბუთდება, რომ მორფოლოგია სიტყვის აგებულებას სწავლობს, ხოლო ლექსიკოლოგიასთან დაკავშირების საფუძველი ისაა, რომ ნაწარმოები სიტყვა, ისევე როგორც ყოველი სიტყვა, გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია.

მაგალითად, *სარქველი* რთული აგებულების სიტყვაა — *სა+რქე+ელ+ი* — და ამ თვალსაზრისით იგი გვერდში უდგას ისეთ სიტყვებს, როგორცაა *ხინათლე* (*ხი+ნათ+ლ+ე*), *ამხანაგური* (*ამხანაგ+ურ+ი*) და სხვ. მაგრამ ეგვევ სიტყვა მნიშვნელობის თვალსაზრისით დამოუკიდებელი, მონოლითური ოდენობაა: *სარქველი* აღნიშნავს გარკვეულ ნივთს და *ციცხვი*, *ვარცლი*, *ქოთან*-სიტყვების რიგში დგას.

ამრიგად, ნაწარმოები სიტყვა განიხილება ორი თვალსაზრისით: როგორც მორფოლოგიური და როგორც ლექსიკური მოვლენა.

ორი თვალსაზრისით განხილვა ნიშნავს მისი ორი მხარის დანახვას: ერთია მორფოლოგიური, წმინდა გარეგანი მხარე — სიტყვის აგებულება. მორფემებისაგან შედგენილობა. აქედან — ლექსიკური ფონდის დანაწევრება ჯგუფებად აგებულების მიხედვით: ერთგვარაფიქსიან სიტყვებად, ერთგვარძირიან სიტყვებად და სხვ.

მეორე, ლექსიკოლოგიური თვალსაზრისი, ბუნებრივია, რაღაც მეორე მხარეს უნდა ხედავდეს: არა ისევ ამ გარეგან მხარეს, — არა სიტყვის აგებულებას, არამედ რაღაც სხვას. რაც არსებითია ლექსიკოლოგიისათვის — მნიშვნელობას, სემანტიკას, საგნობრივ მიმართებას (რამდენადაც ამ მიმართებაში უკუფენილია სათანადო ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულება ლექსიკურ ფონდთან); ლექსიკოლოგიის საგანი ხომ პირველ ყოვლისა არის სიტყვათა მარაგი, რამდენადაც იგი, ლექსიკური ფონდი დანაწევრდება სემანტიკურ ჯგუფებად.


9. სიტყვაწარმოების ლექსიკოლოგიაში განხილვის საფუძველი, მასადაამე, ის ვარაუდია, რომ სიტყვათა სტრუქტურული ჯგუფებისა და სემანტიკური ჯგუფების საზღვრები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, ანუ აგებულების მიხედვით დაჯგუფება უნდა ემთხვეოდეს მნიშვნელობის მიხედვით დაჯგუფებას.

მაგრამ ფაქტობრივ ასეთი დამთხვევა არ დასტურდება: ერთი დამევე მაწარმოებელი აფიქსის მქონე სიტყვები ძალიან ხშირად მნიშვნელობით განსხვავებულნი არიან. მაგალითად, ერთი და იგივე მაწარმოებელი აფიქსი აქვს *პროფესიის აღმნიშვნელ მუჟურესაც* და *მეოცნებე-სიტყვასაც*, რომელიც *პროფესიას არ აღნიშნავს*. *მე-მ-მაწარმოებელი აქვს ზედსართავებსაც* („*მეშლე* ხეხილი“), რიცხვითი სახელებსაც (*მეორე*, *მესამე*...)...

ამასთანავე, შესაძლებელია, რომ ერთგვარი სემანტიკის მქონე სიტყვები აგებულებით განსხვავებულნი იყოს: *პროფესიას აღნიშნავს არა მხოლოდ მე-მ-აფიქსებიანი სიტყვები, არამედ აგრეთვე მეზღაური, შკალავი, მჭედელი, პიანისტი, ღურგალი, პა-*

რიკმასერი, ვრიზიორი, შოფერი და სხვ. რომელია აგებულება სულ სხვადასხვაგვარია.

ქვემოთ მოყვანილი ნაბაზი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს *მე-ე* წარმოებისა და პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვათა ურთიერთობას:



10. ასევე სადავო ჩანს სიტყვაწარმოების მოქცევა ლექსიკოლოგიის ფარგლებს შიგნით იმ საბუთით, რომ სიტყვაწარმოება ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალებაა.

სიტყვაწარმოებამ მხოლოდ ნედლი მასალა შეიძლება მიაწოდოს ლექსიკურ ფონდს, მოძღვრება სიტყვაწარმოების შესახებ მხოლოდ ლექსიკის გამდიდრების შესაძლებლობებს აღრიცხავს და არა რეალურად არსებულ სიტყვებს — ლექსიკურ ფონდს.

მაგრამ ერთია შესაძლებლობა და მეორე — მისი რეალიზაცია. მაგალითად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში *ცვალება*-ტიპის ათათასამდე სიტყვა არის წარმოდგენილი. *აღ-სუფიქსი* თითოეულ ამთაგანს შეიძლება დართოდა, ამთ კიდევ *-ობა*-დაბოლოება (*ცვალება* — *ცვალებადი* — *ცვალებაობა*, *აღება* — *აღებადი* — *აღებაობა*...). ფაქტობრივ კი *ცვალებადი*-ტიპის სიტყვა სულ სამოციოდე გვაქვს *შესაძლებელი* ათათასიდან (მაგალითად, არის *გარდაცვალება*, მაგრამ არ არსებობს *„გარდაცვალებადი“*). თავის მხრით, *ცვალებადი*-ტიპის სამოციოდე სიტყვიდან ოციც კი არ მოიპოვება *ცვალებაობა*-ტიპისა (არსებობს *ცრობაობი*, მაგრამ არა გვაქვს *„ცრობაობა“*...).

ამ ფაქტში ლექსიკოლოგიას შეიძლება აინტერესებდეს არა *აღ-* და *შემდეგ -ობა-სუფიქსითა* დართვის ტექნიკა, არა ახალ სიტყვათა წარმოების შესაძლებლობა, არამედ ფაქტობრივ არსებული სიტყვე-

ბი და ის მიზეზები, რის გამოც ათიათასობით შესაძლებელიდან ორიოდ ათეულია განხორციელდა.

მაწარმოებელი აფიქსის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობა არ ემთხვევა ამ აფიქსებით ფაქტობრივ ნაწარმოები სიტყვების რაოდენობას (ფაქტობრივი რაოდენობა დიდად ჩამორჩება შესაძლებლობას).

მაშასადამე, ლექსიკური ფონდის გამდიდრების კანონზომიერება უნდა ვეძებოთ სიტყვაწარმოების მიღმა.

ამრიგად, ერთი მხრით, ის გარემოება, რომ სიტყვათა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული (სიტყვაწარმოებითი) ჯგუფები ერთმანეთს არ ემთხვევა და, მეორე მხრით, ის, რომ სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი და ნაწარმოებ სიტყვათა რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, — გვაპარაუდებინებს, რომ მოძღვრება სიტყვაწარმოების შესახებ ვერ იქნება ლექსიკოლოგიის ნაწილი.

სიტყვაწარმოება-ლექსიკოლოგია, ფლექსია-ხინტაქსი

11. ახალი სიტყვების წარმოქმნა ძირითადად მორფემების (აფიქსების...) მეშვეობით ხდება. ამით ჰგავს სიტყვაწარმოება ფლექსიას.

ფლექსიაც და სიტყვაწარმოებაც სიტყვის აგებულების ცვალებადობას გულისხმობს: *მზრიალ-ი* და *მზრიალ-ა* სიტყვებში ი'ც აფიქსია და ა'ც.


განსხვავება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში გარკვეულ მიმართებაში არიან ერთმანეთთან სიტყვის აგებულება და სიტყვის როლი შესიტყვებაში; მეორე შემთხვევაში — სიტყვის აგებულების ცვლა იწვევს სიტყვის მნიშვნელობის ცვლას: *-ი* (და *ბრუნებ-ის* პარადიგმის შემქმნელი სხვა სუფიქსები — *-მა*, *-ს*, *-ის*, *-ად*, *-ით*) სიტყვის მნიშვნელობას არ ცვლის, იგი შესიტყვებაში სიტყვების დამაკავშირებელ საშუალებას და წარმოადგენს. რაც შეეხება *-ა*-დაბოლოებას, მისი დართვით იცვლება თვით აღსანიშნი: *მზრიალა* ერთ მოვლენას (ნივთს) აღნიშნავს, *მზრიალი* — სხვას (მოქმედებას).

მზრიალი — *მზრიალმა* — *მზრიალს*-სიტყვების ურთიერთობას სწავლობს მოძღვრება ფლექსიის შესახებ; *მზრიალი* — *მზრიალა*'ს ურთიერთობა დერივაციის შესახებ მოძღვრების საგანია.

პირველ (ფლექსიის) შემთხვევაში ერთი სიტყვის სხვადასხვა ფორმასთან გვაქვს საქმე, მეორე (დერივაციის) შემთხვევაში — სხვადასხვა სიტყვასთან. პირველ შემთხვევაში აფიქსთა პარადიგმატულ თვისე-

ბებზე * მახვილდება ყურადღება, მეორეში — სინტაგმატურზე ** (თუ-ცა, ცხადია, სინტაგმატური განხილვა არც პირველთან არის გამორიცხული, ისე როგორც პარადიგმატული — არც მეორე ჯგუფთან).

12. ფლექსიას მკიდრო კავშირი აქვს სინტაქსთან. რაკი ამ რიგის მორფოლოგიური საშუალებანი შესიტყვების შექმნას ემსახურებიან; მოძღვრება დერივაციის, სიტყვაწარმოების შესახებ ლექსიკოლოგიის მომიჯნავე დარგია:



მაგრამ ფლექსიასა და სინტაქსს ერთმანეთში ვერ ავურევთ: თუნდაც ყველა ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში იდგეს, მაინც ქვემდებარის დახასიათება როგორც სახელობით ბრუნვაში დასმული სახელისა მორფოლოგიზმია სინტაქსში და, ამდენად, მეთოდოლოგიურად მიუღებელია [133].

ასევე, მიზანშეწონილი ჩანს, რომ გაიმიჯნოს, ერთი მხრით, სიტყვაწარმოების შესახებ მოძღვრება და, მეორე მხრით, ლექსიკოლოგია, თუცა მათი მკიდრო კავშირი ექვს არ იწვევს.

ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია

13. ენათმეცნიერებაში არსებობს კიდევ რამდენიმე სახელწოდება იმ დარგთა აღსანიშნავად, რომელნიც ლექსიკას შეისწავლიან. მათგან ყველაზე გავრცელებულია „სემასიოლოგია“, „სემანტიკა“, „ონომასიოლოგია“, აგრეთვე „ეტიმოლოგია“, „ლექსიკოგრაფია“...

პირველ ყოვლისა, „ლექსიკოლოგიისა“ და „სემასიოლოგიის“ ურთიერთობას შევეხებით.

სემასიოლოგია ცალკე დარგად იქნა გამოყოფილი ამ ასოცი წლის წინათ როგორც მნიშვნელობათა შემსწავლელი დისციპლინა; უფრო ზუსტად — მას დაევალა შეესწავლა ლექსიკურ (ე. ი. სიტყვების) მნიშვნელობათა ისტორია. სიტყვა „სემანტიკაც“ მისი ერთ-ერთი მნიშვნელო-

* ე. ი. ისეთ თვისებებზე, რომლებიც პარადიგმებში, ასოციაციურ კავშირებში ელინდება.

** ე. ი. ისეთ თვისებებზე, რომლებიც მორფემათა მეზობლობაში. მათ შესამუშავლობაში ელინდება.

ბით „სემასიოლოგიას“ ემთხვევა. საენათმეცნიერო სიტყვახმარებაში ერთი ცვხვედება და მეორეც („სემასიოლოგია“ — გერმანულში, აგრეთვე რუსულში, „სემანტიკა“ — ფრანგულში, ინგლისურში).

ამრიგად, სემასიოლოგიაც (ანუ სემანტიკაც), ლექსიკოლოგიის მსგავსად, სიტყვის მნიშვნელობას შეისწავლის. განსხვავება ისაა, რომ ლექსიკოლოგია უფრო მეტ მასალას მოიცავს: ლექსიკოლოგია სწავლობს სიტყვაში არამხოლოდ მის საგნობრივ მიმართებას (ან „ცნებას“, ან „წარმოდგენას“, როგორც ზოგ ენათმეცნიერს ესმის მნიშვნელობა); ლექსიკოლოგია შეისწავლის აგრეთვე სიტყვის ამ მხარეებს. რომლებიც უშუალოდ „საგნობრივ მიმართებად“ ვერ დახასიათდება:

ა) ლექსიკოლოგია შეისწავლის სიტყვის ე მ ო ც ი უ რ ი ე რ ს ა ც, რომელიც წმინდა სემასიოლოგიური შესწავლის დროს. ე. ი. მხოლოდ საგნობრივი მიმართების გათვალისწინების დროს, მიიჩქმალება:

დაჯდა და დაბრძანდა ერთმანეთისაგან საგნობრივი მიმართებით, ე. ი. „სემასიოლოგიურად“ არ განსხვავდება, მაგრამ თანმხლები გრძნობით იერის მიხედვით მათ შორის დიდი სხვაობაა; ამგვარი სხვაობა შეიმჩნევა მეტ-ნაკლებად შემდეგს წყვილებში: ლოყა — ღაშვი, ვირი — სახედა-რი... (ზოგ სიტყვაში ამგვარი შეპირისპირების გარეშეც იგრძნობა თავისებური ემოციური ელფერი: სეაჳი. ვეფხი, გედი, ბაჳყაი...).

ბ) ლექსიკოლოგიას აინტერესებს შე ფ ა ს ე ბ ი ს . მ ო მ ე ნ ტ ი, რომელიც საგნობრივ მნიშვნელობასთან ერთად შეიძლება ახლდეს სიტყვას. ეს შეფასებითი მომენტი კარგად ჩანს, მაგალითად, საბას მიერ მოცემულ განმარტებებში:

„გოგმანი — ს ა ნ დ ო მ ი ჩქარი როკვა“, „ბღვრიალი — ბ რ ი ყ უ ლ ი ტირილი“, „კაშკაში — ა მ ო ს ი ც ი ლ ი“... გოგმანი და როკვა, ბღვრი-ალი და ტირილი, კაშკაში და სიცილი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შეფასებითი დამოკიდებულებით, რომელიც ამ წყვილთაგან პირველი წევრების მიმართ არის გამოხატული (ლექსიკონისეულ განმარტებებში — სანდომი-, ბრიყული- და ამო-სიტყვებით).

გ) ლექსიკოლოგია იკვლევს ს ი ტ ყ ვ ა თ ა ხ მ ა რ ბ ი ს ს ფ ე რ ო ს, ე. ი. იმ ფაქტს, რომ ამა თუ იმ სიტყვას (თუ მნიშვნელობას) თითქოს ბეკედი აზის გარკვეული დარგისა, სადაც ეს სიტყვა იხმარება:

მომჭირნეობა, ხარვეზი, აღმოფხვრა დღეს პუბლიცისტიკის ენის კუთვნილებათა, სიმსივნე, მოკუბილობა, ჩივილები მედიცინის ენას ეკუთვნის, ჩაწოდება, თავდამხმელო, შუთშესვენება — სპორტის ენას, შატალო, ათესეა მოწაფურ-სტუდენტურ პეტყველებას ახასიათებს, აშევა, შმონი სისხლის სამართლის დამნაშავეთა ქარგონისეულია.

დ) ლექსიკოლოგიის შესწავლის საგანია სიტყვათა როგორც მნიშვ-

ნელობის მატარებელ ოდენობათა ურთიერთდამოკიდებულება (პირველ ყოვლისა, შესიტყვებაში):

ლექსიკოლოგიას (და არა სემასიოლოგიას) აინტერესებს ის ფაქტი, რომ პირი-სიტყვასთან უპირატესად გააღო იხმარება, ტურები კი გახსნა-ზმნას უფრო იგულებს: დამუწვა იოქმის პირის შესახებ, ხლო მსჯავსი მოქმედება თვალი-სიტყვასთან გამოხატულია დარეკა-ზმნით.

ძუ. ფაშატი, დელალი, ნეზვი ერთგვარად მიუთითებს მდედარ ცხოველებზე, მაგრამ პირველი ამთავანი, ძუ. ითქმის ძაღლის, ლომის, მგლის მიმართ, ცხენის, ვირის მდედრობას ფაშატი-სიტყვით აღნიშნავენ, ფრინველებისას — დელალი-სიტყვით, ღორისას — ნეზვით.

ე) ლექსიკოლოგიის (და არა სემასიოლოგიის) კვლევის სფეროში მემოდის ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები — ახალი სიტყვების შემოსვლა თუ წარმოქმნა ენაში.

მაგალითად, ლექსიკოლოგია არკვევს იმ ფაქტს, რომ ვაჭარი, ისკორია, ფუთი, კმერცია შეთვისებული სიტყვებია, და თანაც ამა და ამ ენიდან, ამა და ამ პირობებში ნასესხები.

ასევე, ლექსიკოლოგია იკვლევს კალკის სხვადასხვა შემთხვევებს, მაგალითად, ბრტყელტუჩა და მრისხველი-სიტყვების შექმნას плоскогубцы- და счетчик-სიტყვების ყაიდაზე, ან კიდევ იმ ფაქტს, რომ ანთება-სიტყვით გარკვეული დაავადება აღნიშნეს რუსული воспаление-ის გავლენით (აღრე ანთება, საბას თქმით, მხოლოდ „სანთლის მოცეცხლა“ იყო).

ლექსიკოლოგია შეისწავლის ისეთ შემთხვევებს, როდესაც ახალი მოვლენების აღსანიშნავად ენა საკუთარ რესურსებს იყენებს: შინშენელი როგორც თანამედროვე გუთნის ერთ-ერთი დეტალის აღმნიშვნელი სიტყვა შექმნილია დამოუკიდებლად (ე. ი. სხვა ენის მასალის გამოუყენებლად, ან სხვა ენის ყალიბისათვის მიუბაძვად): რუსულში ამ დეტალს дерношним ან предплужник ეწოდება და „ხვნის“ აღმნიშვნელი ფუძე გამოყენებული არ არის. ასევე, ლექსიკოლოგიური (მაგრამ არა ვიწროდ სემასიოლოგიური) ინტერესი ახლავს იმ ფაქტს, რომ ქართული ენის საკუთარი რესურსებით არის შექმნილი ლოგიკის ტერმინი ცნება. ფიზიოლოგიის ტერმინი აღგზნება, სპორტული ტერმინი ორძელი...

უნდა შევნიშნოთ, რომ თითოეული აქ დასახელებული სამუშაოს შესახებ ცნობები შესაძლებელია ვიპოვოთ იმ ნაშრომებში, რომლებიც ამა თუ იმ ენის (ან ზოგადი) სემასიოლოგიის (სემანტიკის) სახელით არის გამოქვეყნებული. ამრიგად, ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია ამ აზრით ერთი და იმავე სამეცნიერო დარგის სხვადასხვა სახელი იქნებოდა.

თუ მაინცდამაინც განსხვავებას ჩაეძიებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ლექსიკოლოგია მთელ ლექსიკურ ფონდს შეისწავლის, მის შემადგენლობას და დინამიკას, ხოლო სემასიოლოგიის (სემანტიკის) საგანია მხოლოდ სიტყვათა მნიშვნელობები, მათი ცვლილებები*.

„სემანტიკა“ სხვა გაგებითაც იხმარება: ლაპარაკობენ ცალკეული სიტყვის სემანტიკის შესახებაც, ცალკეული ფორმანტის, შესიტყვეების, კონსტრუქციის სემანტიკის შესახებაც. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ენათმეცნიერების დარგთან, არამედ ენის აღსანიშნი მხარის სახელწოდებასთან.

ლექსიკოლოგია და ონომასიოლოგია

14. სემასიოლოგიის (სემანტიკის) როგორც ენათმეცნიერების დარგის გარდა არსებობს ე. წ. ონომასიოლოგია [260].

სემასიოლოგიისა და ონომასიოლოგიის ურთიერთობას ასე ახასიათებენ: გვაქვს ორი შტო ენათმეცნიერებისა. რომლებიც ერთმანეთს ავსებს:

ერთი მათგანი იწყებს გარეგანით, სიტყვით და კითხულობს, თუ რა ცნებაა დაკავშირებული, რა მნიშვნელობაა ჩაქსოვილი ამ სიტყვაში; აქედან — ემასიოლოგია: *სემასია* — „მნიშვნელობა“.

მეორე მათგანი ამოდის ცნებიდან და ადგენს, თუ რა სახელი იქვს მისთვის ენას. „სახელწოდება“ არის *ონომასია*, აქედან ონომასიოლოგია.

სემასიოლოგია, ამრიგად, სიტყვის მნიშვნელობას იკვლევს, ონომასიოლოგია — საგნის სახელწოდებას.

მაგალითად, ძველი ქართულისა და თანამედროვე ქართულის ლექსიკა ერთმანეთისაგან მარტო იმით კი არ განსხვავდება, რომ ამა და ამ სიტყვის მნიშვნელობა ასე და ასე შეიცვალა (ცხელი: 'საწოლი' — 'მიცვალებული', კუბო: 'ტაბატრევანდი' — 'მიცვალებული' ჩასასვენებელი ყუთი', კეთილი: 'კარგი' — 'სათნო' და სხვ. და სხვ.).

ძველისაგან თანამედროვე ლექსიკა განსხვავდება იმითაც, რომ: გაქრა და დღეს აღარ იხმარება ბევრი ძველი სიტყვა (მაგრობა, ბაყლა, ბრძენი, დრაქკანი, მარტკელი, შარგება...).

* „სემანტიკა“ ლოგია-ფილოსოფიაშიც იხმარება, მაგრამ მას „ბუნებრივი“ ჩვეულებრივ ენებთან, სახელდობრ ამ ენის სიტყვებთან არაფერი ესაქმება. ამიტომ მის შესახებ ჩვენ აქ არას ვაშბობთ.

ზოგი ახალი სიტყვა გაჩნდა ახლად შემოსული საგნის სახელად (ძრავა, აეროდრომი, საქონელმცოდნეობა...):

ზოგ გამჭრალ სიტყვას ახალი სიტყვა შეენაცვლა (შარგება -- დახარჯვა, ბრძენი -- ტყეია...);

ზოგი ახალი საგნისათვის რომელიმე ძველი სიტყვა იქნა გამოყენებული (აგარაკი, დაბა, სართული, ყურე, ხარისხი...);

ახალი სიტყვებიდან ზოგი თუ ნასესხებია (აეროდრომი, კანტორა, ტროლეიბუსი...), ან კალკირებულია (ძრავა, საქონელმცოდნეობა...), — სხვები საკუთარ ნიადაგზეა აღმოცენებული (ხანკეთე, უკუქცევადი...).

ყველა ასეთი დაქტის — ე. ი. ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა თ ა და არა მ ნ ი შ ვ ე ე ლ ო ბ ა თ ა ცვლის — აღრიცხვა და ახსნა ონომასიოლოგიის საქმეა, ე. ი. ონომასიოლოგიის შესწავლის საგანია თვით სიტყვის (სიტყვების, ლექსიკური ფონდის) ისტორია: რა მოსდის ლექსიკურ ფონდს (და არა სიტყვის მნიშვნელობას) დროთა განმავლობაში, როგორ იცვლება ის, რას (და რატომ) კარგავს, რით და როგორ ინაზღაურებს დანაკლისს?

15. რაკი სიტყვა არის „ბგერები პლუს მნიშვნელობა“, — ონომასიოლოგიური და სემასიოლოგიური განხილვა თანაბარუფლებიანი და ურთიერთსიმეტრიული გამოდის: როდესაც სიტყვიდან როგორც ბგერადობიდან ამოვდივართ და მის მნიშვნელობას ვიკვლევთ, — ეს სემასიოლოგიური თვალსაზრისია, ხოლო როცა მნიშვნელობიდან ამოვდივართ და მის სახელს, ე. ი. სიტყვას როგორც ბგერადობას შევისწავლით, — ეს ონომასიოლოგიური თვალსაზრისი იქნება*.

ნამდვილად უპირატესი მაინც სემასიოლოგიური თვალსაზრისია: თუმცა ბგერითი უწყვეტობიდან სიტყვის გამოსაყოფად რალაცნაირად საჭირო ჩანს იმის გათვალისწინება, რომ, მაგალითად, მოცემული ბგერათკომპლექსები სხვადასხვა სიტყვებია, — მაინც არ არის სავალდებულო იმის ცოდნა, თუ სახელდობრ რას აღნიშნავს, რისი სახელია ეს სიტყვა, რა მ ნ ი შ ვ ე ე ლ ო ბ ა აქვს მას.

* სემასიოლოგიისა და ონომასიოლოგიის ასეთს — ერთმანეთის მიმართ „თანასწორუფლებიან“ — დამოკიდებულებას ამგვარი საილუსტრაციო სქემით გამოხატავენ [248]:

ონომასიოლოგიური	} 'ძაფი' }	} ბაწარი	} სემასიოლოგიური
განხილვა			
		} თოკი	

ენებს აქვს სიტყვის ფონეტიკური * (და გრამატიკული **) ყალიბი, რაც პრინციპულად საშუალებას იძლევა სიტყვის პირველი გამოყოფა (მეტყველების უწყვეტი ნაკადიდან) მოხდეს მისი კონკრეტული მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლად.

ონომასიოლოგმა „ცნებით“ უნდა დაიწყოს მუშაობა. ცნება კი წინასწარ მოცემული როდია. ცნების გამოსაყოფად აუცილებელია ფონეტიკური სამოსლის, სიტყვის არსებობა. როდესაც გვინდა, მაგალითად, მწუხარების აღმნიშვნელ სიტყვებს მოვუყაროთ თავი, დავაჯგუფოთ და მათი ისტორია გავითვალისწინოთ, უეჭველია, „მწუხარების“ ცნება მზამზარეული უნდა გვქონდეს, ცნება კი ვერ ჩამოყალიბდება სიტყვიერი ფორმის გარეშე.

ცნება, ამრიგად, მეორეულია, ამიტომ ონომასიოლოგიური ასპექტიც არის არა ავტონომიური და სემასიოლოგიურ ასპექტთან დაპირისპირებული, არამედ მეორეულია და დაქვემდებარებული ხასიათი აქვს.

ამის მიხედვით მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ არა ონომასიოლოგიის როგორც ლექსიკის შესასწავლი ცალკე დარგის შესახებ, არამედ ლექსიკის ონომასიოლოგიური შესწავლის, ლექსიკაში ონომასიოლოგიური ასპექტის შესახებ.

ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია

16. არნ. ჩიქობავა 1935 წელს წერდა: „გარკვეულ პერიოდში ხმარებულ სიტყვათა მნიშვნელობის სრულად აღრიცხვა მოგვეცემს ენის ლექსიკას (სიტყვათა მარაგს)... აღწერითი ანუ სტატიკური სემასიოლოგია სხვა არაფერია, თუ არ იგივე ლექსიკოლოგია. ე. ი. მოძღვრება ენის ლექსიკური მარაგის შესახებ... სტატიკური ლექსიკონი ამა თუ იმ პერიოდის აღწერითი, სტატიკური სემასიოლოგია“ [131].

ამ აზრით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე გვაქვს თანამედროვე ქართულის სტატიკური სემასიოლოგია როგორც ქართული ენათმეცნიერების ერთი დარგი — მას შემდეგ, რაც შედგენილი და გამოცემულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“: აქ აღნუსხულია და დახასიათებულია თანამედროვე ქართული ენის (სალიტერატურო ქართულის) ლექსიკური მარაგი — თითოეული სიტყვა.

* აღნიშნავენ, რომ „სიტყვის კომპონენტთა შორის ყველაზე სტაბილურია ნიშნის პერითი ფორმა“.

** გავიხსენოთ თუნდაც *гловая кыздра*-ს ცნობილი მაგალითი: უაზრო ბგერა-სიტყვა-სიტყვა გროვის. უბალო გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური) ანალიზი სერსდება სწორედ იმიტომ, რომ ამ კომპლექსებს რუსული ენისათვის ჩვეულებრივი სიტყვათა გრამატიკული გაფორმება აქვს [232ა].

მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს, რომ, როდესაც ვაზბოთ — ჩვენი მსჯელობის საგანი ქართული ლექსიკოლოგიაა — ვგულისხმობდეთ „განმარტებით ლექსიკონს“, მისი შედგენის პრინციპებს და ა. შ.?

არა, არ ნიშნავს, რადგან ერთი საქმეა ენის ლექსიკური მარაგის შესწავლა, მისი ერთეულების ურთიერთობის დადგენა და ა. შ., და სხვა სამუშაოა ლექსიკონის შედგენა.

ლექსიკონის შედგენის პრინციპთა შესახებ სხვა, ლექსიკოლოგიისაგან განსხვავებული, დარგი არსებობს, და მას ლექსიკოგრაფია ეწოდება.

ამ ოციოდე წლის წინათ ესპანელმა ენათმეცნიერმა კასარესმა ესპანეთის აკადემიის სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში პასუხი გასცა მათ, ვინც გაიკვირვა, რომ არა „ლექსიკოლოგიური“, არამედ „ლექსიკოგრაფიული სემინარი“ ეწოდა იმ მუშაობას, რომელსაც კასარესის ხელმძღვანელობით აწარმოებდა ესპანეთის აკადემიის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი.

კასარესმა თქვა: „უნდა გავარჩიოთ ორი დისციპლინა, რომლებსაც საერთო საგნად აქვს სიტყვათა წარმოშობის, ფორმისა და მნიშვნელობის შესწავლა. ეს დისციპლინებია ლექსიკოლოგია, რომელიც სწავლობს ამ საგანს ზოგადი ენათმეცნიერული თვალსაზრისით, და ლექსიკოგრაფია, რომელსაც უპირატესად პრაქტიკული, გამოყენებითი ხასიათი აქვს და ლექსიკონის შედგენის ხელოვნებაში მდგომარეობს“ [199].

ცხადია, კარგი ლექსიკოგრაფი (და არა მეორეხარისხოვანი ტექნიკური მუშაკი) იმავდროულად მკვლევარი-ენათმეცნიერიც არის. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგად ფრაზებს ვერ გასცილდება ის ლექსიკოლოგი, რომელიც ისე გამოწველილვით და დაბეჭითებით არ სწავლობს ლექსიკას, როგორც ეს შესაძლებელია მხოლოდ პრაქტიკული მუშაობის დროს, რასაც ლექსიკონის შედგენა გულისხმობს.

ქართული ლექსიკოლოგიის როგორც ქართული ენის შემსწავლელი ერთ-ერთი სამეცნიერო დარგის შექმნის საიმედო საფუძველს წარმოადგენს საკმაო სისრულით თავმოყრილი სანდო ლექსიკური მასალა — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სიტყვანი და ჭროვან მეცნიერულ დონეზე წარმოდგენილი დახასიათება ამ ლექსიკონში შემაველი თითოეული სიტყვისა — თითოეული სალექსიკონო ერთეულისა.

ენობრივი ნიშნის ბუნება. ენობრივი ნიშანი არის ბუნებრივი ნიშანი. — ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა. — ენის საობიექტიუაყო და საკომუნიკაციო ფუნქციათა ურთიერთობა. — სიტყვის მნიშვნელობის რაობა. — სინონიმია. — ანტონიმია. — პოლისემია. — ომონიმია

ნიშანი

17. ჩვენ ვამბობთ, რომ ლექსიკოლოგია შეისწავლის სიტყვებს როგორც მნიშვნელობის მატარებელ ოდენობებს, ე. ი. სიტყვებს როგორც რადაცის ნიშნებს. ბუნებრივია, მოკლედ მაინც განვმარტოთ. თუ რა იგულისხმება „ნიშანში“².

ყოველი ნიშანი ვარაუდობს ორ მხარეს: ერთი მხრით, იმას, რაც აღინიშნება და, მეორე მხრით, იმას, რის მეშვეობითაც აღინიშნება.

ნიშანი ჩვეულებრივს სიტყვახმარებაში არის რაიმე მოვლენის გარეგანი გამოვლინება. ცნობილ ხალხურ ლექსში ცაზე მთვარის ამოსვლა დახასიათებულია როგორც დარის ნიშანი: თვალთ დასანახი მოვლენა — მთვარის ამოსვლა — გვაგულისხმებინებს, რომ კარგი დარი დადგება:

ასევე ვლაპარაკობთ ხოლმე. ავადმყოფობის ნიშნებზე. მაღალი ტემპერატურა, გულის რევა, ხველება, თავბრუ, ტკივილის გრძნობა და სხვ. არის ამა თუ იმ ავადმყოფობის გარეგანი (ხუთი გრძნობით შესაგრძნობი) სიმპტომები.

ნიშნებად მიიჩნევა კრუხის სხვადასხვაგვარი ხმიანობა წიწილების დასაძახებლად (საკენჭე), თუ გასაფრთხილებლად (ქორის და ნახვისას), საზოგადოდ — ყველა ცხოველური სიგნალი.

ნიშანი, ცხადია, ხელოვნურიც შეიძლება იყოს: მწვანე შუქი გზაჯვარედინზე იმის ნიშანია, რომ გადასვლა, გზის გადაჭრა ნებადართულია.

ენობრივი ნიშანი არ არის

ბუნებრივი ნიშანი

18. ახლა, რაც შეეხება ენას: ენობრივი ნიშანი არ არის ბუნებრივი ნიშანი, როგორც მთვარე არის დარის ნიშანი, ან მაღალი ტემპერატურა — ავადმყოფობის სიმპტომი, ან კიდევ როგორც კრუხის კრიახი არის გასაფრთხილებელი სიგნალი.

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების მიერ დასმული საკითხი — სახელი ბუნებრივი ხასიათისაა („ფიუსიკი“), თუ შეთანხმების შედეგიაო („თესიკი“) — ამჟამად გადაწყვეტილია მეორის სასარგებლოდ: ენობ-

* საზოგადოდ ნიშანს შეისწავლის საგანგებო მეცნიერება — სემიოტიკა.

რივი ნიშანი იმიტომ არის ნიშანი, ე. ი. ესა თუ ის ბგერათა კომპლექსი იმიტომ აღნიშნავს ამა თუ იმ მოვლენას, რომ ასეთი მიღებული ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივში.

ასე რომ არ იყოს, ყველგან და ყოველთვის ერთ მოვლენას ერთი და იგივე სახელი ერქმეოდა: ბგერათკომპლექსი მუშა ყველგან, ყველა ენაში, გარკვეული ჯიშის ხის (Quercus) აღმნიშვნელი იქნებოდა და, პირიქით, იმ ხეს ყველგან მუშას დაარქმევდნენ. ფაქტობრივ, როგორც ცნობილია, ეს ასე არ არის: ის, რასაც ქართულად მუშა ჰქვია, რუსულად дуб-ის სახელით არის ცნობილი. ხოლო ქართული მუშას მსგავსი ბგერათკომპლექსი რუსული муха სულ სხვა რამ არის. ერთ-ერთი მწერ-ი, აღსანიშნავად არის გამოყენებული.

11. რა თქმა უნდა, ენებში ჯვარქვს ე. წ. ხმაბაძეითი სიტყვები და ზოგჯერ ერთი და იგივე გარეენობრივი ხმიერება სხვადასხვა ენაში მეტნაკლებად მსგავსი ბგერადობის მქონე სიტყვებით აღინიშნება. საამისოდ ხშირად მოაყავთ გუგულის მაგალითი. გუგულის ხმიანობას ქართულში მუშა-ბგერათკომპლექსით გადმოსცემენ, რუსულში — куку-თი; უეჭველია, ორივე ეს ბგერადობა ჰგავს ერთმანეთს; ამის მიხედვით ერთმანეთს ჰგავს ამ ხმის გამომცემი ფრინველის სახელებიც — ქართული მუშული და რუსული кукышка *.

ჩვენ ჰვემით დაწვრილებით ვილაპარაკებთ ამგვარი მოვლენების შესახებ ქართულ ენაში. აქ კი ორი რამ უნდა აღვნიშნოთ:

ჯერ ერთი, ხმაბაძეითი სიტყვებიც გარკვეული ენის ფონოლოგიურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით არის შექმნილი. ქართული ენის ბგერითი შესაძლებლობანი, კერძოდ მკვეთრი ხშულები, არის გამოყენებული მერცხლის ხმიანობის გადმოსაცემად: ჭიკჭიკი. მნიშვნელობით (საგნობრივი მიმართებით) მისი მონათესავე шачет სულ სხვა ბგერებს შეიცავს; ქართული და რუსული ფუძეები ორივე ხმაბაძეითია, მაგრამ ერთმანეთისაგან ფონეტიკურად ძლიერ დაშორებულნი არიან.

მეორეც: მუშული¹სა და ჭიკჭიკი²ს მსგავსი სიტყვები ენებში მცირე რაოდენობისაა და სრულიად არასაკმარისია იმისათვის, რომ მათ საფუძველზე ვამტიკოთ, თითქოს ენობრივი ნიშანი საზოგადოდ ბუნებრივი ხასიათისა იყოს, ე. ი. აღსანიშნი და აღმნიშვნელი შინაგანი აუცილებელი კავშირით იყვენ ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც მალალი ტემპერატურა არის დაკავშირებული გარკვეულ დაავადებებთან, ან მთვარიანი, უღრუბლო ცა --- დართან.

* ხმაბაძეითობის შთაბეჭდილება მეორეულია 'გუგულის' აღმნიშვნელ გერმანულ სიტყვაში: kuckuck < guck uck < gu o u c k : u c h < gu s u c h შუაზემოკერძანელისა. ჰ. პაული ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „სვენი გრძნობა შინაგა-

ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა

20. კავშირი ბგერათკომპლექსსა და მნიშვნელობას შორის არ გამომდინარეობს ბგერათკომპლექსის ბუნებისა და ამ ბგერებით აღნიშნული მოვლენის ბუნების შინაგანი კავშირიდან. ამ თვალსაზრისით ენობრივი ნიშანი ნებისმიერია (თუმცა, ცხადია, არ უარვეყოფთ ხმაბაძვის როლსაც).

მაგრამ ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა არ ნიშნავს, რომ ენა მივიჩნიოთ იმგვარსავე ხელოვნურ, „გამოგონებულ“ ნიშანთა სისტემად, როგორცაა, მაგალითად, გზებზე მოწყობილი შუქნიშნები.

ენა ადამიანთან ერთად შეიქმნა. ენა ადამიანის ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებათაგანია. ადამიანი სხვა ცხოველებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი „მოლაპარაკე ცხოველია“. ოღონდ ადამიანი „საზოგადოებრივი ცხოველიცაა“. თუმცა არსებითი მანც იმ არის, რომ ადამიანი „იარალის მკეთებელი ცხოველია“. იარალის მკეთებლობა უღვეს საფუძვლად ადამიანთა საზოგადოებას და, საბოლოო ანგარიშით, აპირობებს ენის არსებობას.

ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელი იქნება, რომ მათ ენა არ ჰქონდეთ.

ადამიანთა საზოგადოება იმავდროულად ენობრივი კოლექტივიც არის.

მაგრამ ენობრივი კოლექტივის წევრთათვის, ენის მომხმარებელთათვის ბგერადობისა და მნიშვნელობის კავშირი არ არის ნებისმიერი. მოცემულ ენობრივ კოლექტივში ურთიერთობა, კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ ამ კოლექტივის წევრებისათვის (საუბრის მონაწილეთათვის) სავალდებულო არ ყოფილიყო გარკვეული ბგერადობისა და გარკვეული მნიშვნელობის კავშირი [229]. კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ, მაგალითად, მუხა ყველა ქართველისათვის სწორედ ამა და ამ ჯიშის ხეს არ აღნიშნავდეს.

ენობრივი ნიშნის, საზოგადოდ ენის ამ არანებისმიერ ხასიათს აპირობებს ურთიერთობის, ვაგებინების საჭიროება.

ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ არ ა ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ო ბ ა მ ხ ო ლ ო დ

ნი კავშირისა ბგერადობასა და მნიშვნელობას შორის სრულებით არ არის იმის საბუთი, რომ ამ ჭკუფის ყველა ცალკე აღებულ სიტყვა მართლაც ხმაბაძვითი წარმოშობისაა. ცნობილია მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც დამტკიცებულ იქნა, რომ ის განსაკუთრებული ფონეტიკური გარეგნობა ანდა მნიშვნელობა, რომელთა წყალობითაც ამგვარი სიტყვები ხმაბაძვითის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამ სიტყვებს შექვნილი აქვთ მხოლოდ გვიანდელი განვითარების მსვლელობაში [257].

იმდენად არის სავალდებულო, რამდენადაც გაგებისათვის არის აუცილებელი.

ნაცნობ გარემოში, მოლაპარაკეთა უშუალო კონტაქტის პირობებში, ნაცნობ მოვლენათა შესახებ ლაპარაკის დროს გაგებინებას ღიდად უწყობს ხელს „რეალური კონტექსტი“, სიტუაცია: აქ, საუბარში, ბევრი რამ უთქმელადაც გასაგებია, არამკაფიო გამოთქმებს აზუსტებს თვალსაჩინო ვითარება, ამიტომ ყველაფრის ზედმიწევნობით თქმა სავალდებულოც არ არის. მაგალითად, ფეხბურთის მატჩის რადიოგადაცემის დროს დიქტორი მეტად ვრცლად ლაპარაკობს მატჩის მიმდინარეობაზე და თამაშისას შექმნილი ამა თუ იმ სიტუაციის შესახებ, — გაცილებით უფრო ვრცლად, ვიდრე ეს, ვთქვათ, ტელემყურებლისათვის არის აუცილებელი*. თვით მატჩზე დამსწრეთათვის, როგორც ცნობილია, კომენტატორი არ არსებობს. და ეს ბუნებრივიცაა: რაც უფრო თვალსაჩინოა სიტუაცია, რაც უფრო არაორაზროვანია „რეალური კონტექსტი“, მით უფრო ნაკლებია ენის საჭიროება მის დასახასიათებლად.

ოღონდ გასაგებობის ფარგლებს არ გასცდეს და მეტყველს გარკვეული თავისუფლება აქვს ენობრივ საშუალებათა, კერძოდ, სიტყვათა გამოყენებაში**.

ეს თავისუფლება ენის ცვლის, კერძოდ, ლექსიკური ფონდის ცვლის შესაძლებლობას აპირობებს.

წერილობითი ურთიერთობის დროს „რეალური კონტექსტის“ როლი ფრიად შეზღუდულია, ამიტომ ცოცხალ საუბართან შედარებით სამწერლო ენის გრამატიკული სტრუქტურაც უფრო მკაცრად არის ჩამოყალიბებული და ცალკე სიტყვების ხმარებაც გაცილებით მეტი სიზუსტით ხასიათდება [182].

აღსანიშნთან ზეპირი მეტყველებისა და სამწერლო ენის ამ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებით არის გამოწვეული, სხვათა შორის, ცვლილებების სხვადასხვაგვარი შესაძლებლობა მათში: წერილობითი ენა გაცილებით უფრო კონსერვატიულია, ვიდრე ზეპირი მეტყველება.

სამწერლო ენაში ცვლილებები მეტწილად დამოუკიდებელი განვითარების შედეგი კი არ არის, არამედ ზეპირი მეტყველების განვითარების ასახვა და ამიტომ, როგორც წესი, უწყვეტი პროცესის სახით კი

* „ჩვენ ბოდის ვიხდით ტელემყურებლებთან: გადაცემა წარმოებს ერთდროულად რადიოსმენელებისათვის, ამიტომ არის კომენტატორი ასე სიტყვაშეკრული“ (6. VII.70).

** შდრ. აკაკი: ციციანათელა/ციციანათელი, ი. გოგებაშვილი: (არ) დაუეარდება/ნა-მოუეარდება. რ. ერისთავი: აპაპ/ბაბუა, ვაჟა: ჩრდილი — 'ჩერო, გრილო'/უშუო ფერლობი'...

არაა წარმოდგენილი, არამედ დროდადრო „იფეთქებს“ ხოლმე ცოცხალი სასაუბრო ენის ზემოქმედების შედეგად. ეს ზემოქმედება გარე-ენობრივი კულტურულ-ისტორიული. არაიშვიათად — პოლიტიკური მიზეზებით არის გამოწვეული.

ენის საობიექტივაციო („ექსპრესიული“) და საკომუნიკაციო ფუნქციათა ურთიერთობა

21. ენას ორი ფუნქცია აქვს — საკომუნიკაციო და საობიექტივაციო: ენა გამოიყენება საურთიერთოდ და აზროვნების იარაღად [53. 215].

ისიც უნდა აღინიშნოს. რომ შეუძლებელი იქნებოდა ენის გამოყენება აზროვნების იარაღად. რომ მას საკომუნიკაციო ფუნქცია არ ჰქონდეს.

რა თქმა უნდა, ასევე შეიძლება ითქვას — ენა აზროვნების იარაღი რომ არ ყოფილიყო, მას საკომუნიკაციოდ ვერც გამოიყენებდნენ. ეს ნიშნავს, რომ ორივე ფუნქციის ქონა არის აუცილებელი პირობა ენის არსებობისათვის.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ადამიანური აზროვნება მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობის, კომუნიკაციის შედეგად არის შესაძლებელი. ფაქტობრივ ვითარებას ასახავს ენისა და აზროვნების ურთიერთობის ის დასასიათება, რომელიც მარქსს აქვს მოცემული: „ენა ისევე ძველია, როგორც — აზროვნება; ენა სწორედ არის პრაქტიკული, სხვა ადამიანებისათვისაც არსებული და მხოლოდ ამის გამო თვით ჩემთვისაც არსებული ნამდვილი აზროვნება“ [215]: სხვებისათვის და მხოლოდ ამის გამო თვით ჩემთვისაც, ე. ი. საკომუნიკაციო ფუნქციის უწინარესობა და უპირატესობა, საკომუნიკაციო ფუნქციის განმსაზღვრელი ხასიათი საობიექტივაციო ფუნქციასთან შედარებით — ასე წარმოგვიდგება ვითარება, როდესაც საქმე ეხება საკომუნიკაციო და საობიექტივაციო ფუნქციათა ურთიერთდამოკიდებულებას.

ცხადია, ამ მარტივი მსჯელობით ვერ გადაწყდება ენის, ენობრივი ნიშნის რაობის საკითხი. მაგრამ აუცილებელია ამ უეჭველ, მარტივ ფაქტებზე დაყრდნობა, რომ შესაძლებელი იქნენ მართებულად დაესვათ და, მაშასადამე, მართებული გადაწყვეტის პირობები მოვამზადოთ ისეთი რთული საკითხისათვის, როგორცაა ენისა და საზოგადოების, ენისა და აზროვნების ურთიერთობა (და, აგრეთვე, არასაკუთრივ ენათმეცნიერული საკითხი აზროვნების და საზოგადოების ურთიერთობისა), ხოლო ამის გარეშე შეუძლებელია სწორად გავერკვეთ როგორც ცალკე სიტყვის, ისე მთელი ლექსიკური ფონდის ბუნებაში.

სიტყვის მნიშვნელობის რაობა

22. ენის საობიექტივაციო ფუნქციასთან დაკავშირებით არის კიდევ ერთი საკითხი, რომელზედაც მეცნიერებაში აზრთა სხვაობაა. ესაა საკითხი სიტყვის მნიშვნელობის რაობისა.

როდესაც მნიშვნელობის შესახებ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ აღსანიშნთან, რეალურ სინამდვილესთან, ამა თუ იმ მოვლენასთან ან საგანთან მიმართებას [131].

მნიშვნელობას სხვაგვარადაც ახასიათებენ ხოლმე. მაგალითად, სიტყვის მნიშვნელობად მიიჩნევენ იმ წარმოდგენას, რომელსაც ამ სიტყვის გაგონება აღძრავს მსმენელში [253]. მაგრამ ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ სიტყვის გაგებას. ე. ი. მნიშვნელობის წვდომას. აუცილებლობით არ აპირობებს სათანადო საგნის წარმოდგენა.

ენათმეცნიერები აგრეთვე არაიშვიათად აიგივებენ სიტყვის მნიშვნელობას და ცნებას. მაგრამ ცნების რაობის საკითხში ლოგიკოსები არიან კომპეტენტურნი. ისინი კი სრულიად გარკვეულად აღნიშნავენ, რომ „ყოველდღიურ ცხოვრებაში გავრცელებული სიტყვები ცნებებს არ შეესაბამებიან“ [16].

ამრიგად, ფსიქოლოგიზმსა და ლოგიციზმს სიტყვის მნიშვნელობის საკითხში თვით ფსიქოლოგია და ლოგიკა არ უჭერს მხარს*.

23. ეს კია, რომ, უარყოფთ რა ცნების (თუ წარმოდგენის) გაიგივებას სიტყვის მნიშვნელობასთან, ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიტყვაც და ცნებაც (და წარმოდგენაც) საგანთან არის მიმართებაში:

ერთი მხრით, ენობრივი ნიშნის, სიტყვის ერთი ძირითადი ფუნქცია არის ობიექტზე მითითება, საგნის აღნიშვნა;

მეორე მხრით, ცნება არის აზრი საგნის შესახებ.

რაც საერთო ჩანს სიტყვასა (მის მნიშვნელობასა) და ცნებას შორის, ის არსებითად ორივე მათგანის განმსაზღვრელიდან — საგნიდან — მომდინარეობს, ოღონდ სიტყვაში იგი მომდინარეობს არა ცნების მეშვეობით, არამედ უშუალოდ. პირიქით, ცნება საგნის შესახებ სიტყვის მეშვეობით არის შემუშავებული [83, 184].

* იქნებ ამიტომ ზოგი ლინგვისტი ლაპარაკობს „ხალხური“ საყოველღეო ცნების“ თუ „ზოგადი წარმოდგენა“ შესახებ. მაგრამ საყოველღეო ხალხური ცნებაც, რაკი იგი შიდა ცნებაა. ვერ მიიჩნევა სიტყვის მნიშვნელობად, როგორც ვერ მიიჩნევა ყოველი სხვა ცნება. ასევე ზოგად წარმოდგენას, რამდენადაც იგი წარმოდგენაა, უერავაიგივებთ სიტყვის მნიშვნელობასთან. ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ხალხურ ცნებას“ და „ზოგად წარმოდგენას“ აქვია ის გარკვეულობა, რაც ლოგიკაში ტერმინ „ცნებასა“ და ფსიქოლოგიაში „წარმოდგენას“ აქვს.

24. სიტყვის მნიშვნელობად რომ საგნობრივ მიმართებას მივიჩნევთ, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სიტყვა ადამიანთა გარკვეულ ჯგუფში არსებობს. დამოკიდებულება სიტყვასა და საგანს შორის დამყარებულია გარკვეულ ენობრივ კოლექტივში, ამ ენობრივი კოლექტივის მიერ.

ამიტომ მიმართება ერთსა და იმავე საგანთან სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში ხმარებული სიტყვებისა, ე. ი. სხვადასხვა ენის სიტყვებისა, მართო ფონეტიკური გარსით კი არ განსხვავდება (ვთქვათ, მზის სპექტრის მეექვსე ზოლის აღმნიშვნელი ქართული სიტყვა ჟღერს როგორც ლურჯი, რუსულში კი — როგორც синий), არამედ თითოეულ ენაში ამა თუ იმ სიტყვას თან ახლავს ის ცოდნა, რომელშიც უკუფენილია ადამიანთა გარკვეული კოლექტივის დამოკიდებულება სათანადო მოვლენასთან თუ საგანთან.

ამას ერთვის სხვა გამართულებელი მომენტებიც (კერძოდ, სიტყვის დამოკიდებულება სხვა სიტყვებთან, სემანტიკური შეხამების შესაძლებლობა და სხვ.), რაც, საბოლოო ანგარიშით, იწვევს იმას, რომ სხვადასხვა ენაში ცალკე სიტყვების თარგმნა მეტად რთულია, ზოგჯერ შეუძლებელიც [182, 258]: ერთი ენის სიტყვა შესაძლებელია არ გამოდგეს ყველა იმ შემთხვევაში, სადაც იხმარება სათანადო საგნის აღმნიშვნელი სიტყვა სხვა ენაზე.

25. სიტყვის მნიშვნელობის როგორც საგანთან მიმართების გაგებამ არ უნდა უარგვაყოფინოს ცნობიერების მონაწილეობა მეტყველების აქტში და აზროვნებითი მომენტი იმ დამოკიდებულებაში, რომელიც დამყარებულია ორ ფიზიკურ ოდენობას — ბგერით გარსსა და საგნებს — შორის.

ამგვარი საშიშროება ჩნდება, როდესაც ენობრივ კომუნიკაციას მექანიკური, ბიჰევიორისტული ინტერპრეტაცია ეძლევა: მეტყველების პროცესი თითქოს იმაში მდგომარეობს, რომ მეტყველის მიერ წარმოთქმულ სიტყვათა ბგერითი ტალღები ეცემა მსმენელის ყურის აპკს, ათრთოლებს მას და ამოქმედებს ნერვებს: მსმენელმა გაიგონა ნათქვამი. გაგონილმა მსმენელზე იმოქმედა, როგორც სტიმულმა; და მსმენელი ასრულებს შესაფერის მოქმედებას [181]. ამგვარ ვარაუდში გაგონება გათვალისწინებულია, მაგრამ გამოტოვებულია გაგება, სათანადოდ — „მნიშვნელობა“ საერთოდ უარყოფილია და შეცვლილია „სიტუაციით“ [125, 239].

სინონიმია *

26. სიტყვა როგორც მნიშვნელობის მატარებელი ერთეული, როგორც ეთქვით, უთუოდ ორ მხარეს გულისხმობს: აღსანიშნა და აღმნიშვნელს. ყველაზე მარტივი იქნებოდა ისეთი ვითარება, სადაც აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის იარსებებდა „ცალსახა მიმართება“: ერთი აღსანიშნი ყოველთვის ერთი აღმნიშვნელით რომ გამოხატულიყო და, პირუტყუ, ერთი აღმნიშვნელი ყოველთვის მხოლოდ ერთი აღსანიშნისათვის გამოეყენებინათ.

ამგვარია, მაგალითად, აღმნიშვნელი შუბლი და აღსანიშნი 'აღამიანის სახის ზედა, თვალბსზევითა ნაწილი'. ბგერათკომპლექსი შუბლი სხვას არაფერს აღნიშნავს, თუ არ 'სახის ზედა ნაწილს' და 'სახის ზედა ნაწილი' სხვა არაფრით გადმოიციემა, თუ არ შუბლი-ბგერათკომპლექსით.

ენებში ამგვარი „იდელური“ სიტყვების გვერდით ფაქტობრივ არა-იშვიათად გვაქვს განსხვავებული შემთხვევებიც. ბგერათკომპლექსი შური, მაგალითად, აღნიშნავს არა მხოლოდ 'სმენის ორგანოს', არამედ 'კუთხოვანი საგნის (მაგ., თავშლის) წვერსაც', 'პურქლის სახელურსაც', 'ლებნის ნახევარსაც'.

და, პირიქით, ერთ აღსანიშნს, ერთ მნიშვნელობას ხშირად რამდენიმე ბგერათკომპლექსი შეესატყვისება: ფანჯარა და სარკმელი ერთსა და იმავეს აღნიშნავს, სიტყვა კი ორია: „სიომ სარკმელს შექსისინა, გააცინა ფანჯრის მინა“ (ალ. აბაშელი), ასევე აააა და ბაბუა: „ააააშენს ბაბუარეში სიტკბოთი შემოხიზვნია“ (რ. ერისთავი), დროული და ხნიერი: „არც ისე დროულია ვარ, უცხოს ვგონივარ ხნიერი“ (ვაჟა) და სხვ.

ამგვარი ერთმნიშვნელობიანი სიტყვების წყვილები (ან ჯგუფები) ენებში ცოტა არაა, მაგრამ, ცხადია, იგი არც მთელს ლექსიკურ ფონდს მოიცავს, ე. ი. ყველა სიტყვას არ მოეპოვება სინონიმი.

თითქოს საერთოდ სურათი ნათელია და სინონიმთა გამოყოფაც უყოყმანოდ უნდა შეიძლებოდეს. ნამდვილად კი მდგომარეობა უფრო რთულია, ვინემ ერთი შეხედვით ჩანს და სინონიმის ცნების განსაზღვრა, სინონიმის საზღვრის დადგენა, სინონიმთა დაჯგუფება და მათი ურთიერთობის გარკვევა აზრთა სხვაობას იწვევს ენათმეცნიერებაში.

27. სინონიმი ბერძნულად 'თანასახელს' ნიშნავს, ე. ი. ერთი და იმავე საგნის მეორე სახელს. სინონიმია, ამის მიხედვით, იქნება საგნის ორ- (და მეტ) სახელიანობა. მაშასადამე, სიტყვა-სინონიმთა ურთიერ-

* აქ (§§ 26—31) წარმოდგენილი მსჯელობა ემყარება სავანგუო წერილს [93]: იქვეა განხილული ამ უკანასკნელ წლებში გამოთქმული შეხედულებებიც სინონიმის შესახებ.

თობის დასადგენად გასათვალისწინებელია მათი იდენტურობა საკონობრივი მიმართების მიხედვით. სინონიმი-სიტყვის ეს თავდაპირველი მნიშვნელობა შემდგომში გართულდა, მაგრამ ამ გართულებით მას არაფერი მოუგია — სინონიმიის გაგება მხოლოდ გაბუნდოვანდა.

სინონიმიის საკითხზე მსჯელობისას ყველაზე გავრცელებული ამოსვლა იმ ვარაუდიდან, რომ სიტყვის აღსანიშნ მხარეს ცნება წარმოადგენს: სინონიმებად მიიჩნიეს ორი (ან რამდენიმე) სიტყვა, რომლებიც ერთ ცნებას გამოხატავენ. მაგრამ „ცნება“ რა იყო, რა მიმართებაში იყო იგი საგანთან. ეს ან სრულიად გაურკვეველი რჩებოდა, ან კიდევ ცალკეული მკვლევარების მიერ წარმოდგენილი განსაზღვრებანი ერთმანეთს არ მიჰყვებოდა, რასაც ბუნებრივია, თვით სინონიმიის გაგებაში არევე-დაჩევა შექმნდა.

სინონიმიის განსაზღვრებისას ცნების გამოყენებას თან მოჰყვა ისეთი უცნაური გამოთქმა. როგორცაა „ცნების ნიუანსები“. არაიშვიათად სინონიმებს ახასიათებენ როგორც „სხვადასხვაგვარად მბგერ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ ერთი ცნების ნიუანსებს“. ზოგჯერ უფრო შორსაც მიდიან, თამამად ერევიან ლოგიკოსთა საქმეში და ცნებას მიაწერენ არაარსებით ნიშნებსაც: „მნიშვნელობა ლოგიკური თვალსაზრისით შეეფარდება ცნებას, რომელსაც აქვს არსებითი (მათი შეცვლა იწვევს სხვა ცნებად ქცევას) და არაარსებითი ნიშნები, რომელთა რაოდენობის ცვლა ცნების ხასიათს არ ცვლის. მნიშვნელობის ნიუანსი არის ცნების არაარსებითი ნიშნები“ [175]. დავიწყებულია, რომ ცნება სწორედ არსებითი ნიშნების ერთობლიობაა, ამიტომ ცნებას შეუძლებელია მივაწეროთ არაარსებითი ნიშნებიც.

სხვები სინონიმებად ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს მიიჩნევენ, მაგრამ თვით „მნიშვნელობა“, როგორც ცნობილია, სულ სხვადასხვაგვარად ესმით: მნიშვნელობა ზოგისათვის საგნობრივი მიმართებაა, ზოგისათვის — ცნება, ზოგისათვის კიდევ სიტყვის მნიშვნელობაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ ცნებითს შინაარსთან, არამედ აგრეთვე „თანააზრებთან“ (ესააო „ყველა თანამსლები წარმოდგენა და თანაწარმოდგენები, რომელთაც ჩვენში სიტყვა იწვევს“) და გრძნობითს დაფესებასთან (ანუ „ყველა რეაქტიულ გრძნობასთან და წარმოდგენასთან. რომლებსაც ეს სიტყვა იწვევს“) [249].

ბუნებრივია, რომ სინონიმიის გაგებაც ამის მიხედვით ნაირ-ნაირა გამოდის.

28. სინონიმის დახასიათებისას უნდა დავეყაროთ მნიშვნელობის როგორც აღსანიშნთან მიმართების გაგებას. სინონიმები ერთი მნიშვნელობის, ე. ი. ერთგვარი საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვებია. მაგრამ ამგვარი გაგება მეტად ზოგადია და ამიტომ შემდგომი დაზუსტების გარეშე ვერ უზრუნველყოფს დამაკმაყოფილებელ შედეგებს.

ფართოდ არის გავრცელებული სინონიმთა ორი ჯგუფის გამოყოფა: „სტილისტურის“ (ანუ „ექსპრესიულის“) საპირისპიროდ ასახელებენ „იდეოგრაფიულ“, „სემანტიკურ“ ანუ „აზრობრივი ნიუანსების გადმომცემ“ სინონიმებს, სადაც თითქოს მნიშვნელობის ნაწილობრივი დამთხვევა გვაქვს. რას ეხება ეს „ნაწილობრიობა“? (ნიმუშად მოტანილი *изна* და *дворец*, ან *идёт* და *движит*, ან კიდევ *мыслитель* და *философ*, ცხადია, სინონიმთა მწკრივში ვერ მოექცევა).

„მნიშვნელობათა ნაწილობრივი დამთხვევის“ ვარაუდი გააჩინა, უნდა ვიფიქროთ, აღსანიშნისა და **ო ბ ი ე ქ ტ ი ს** გაიგივებამ, მაშინ როცა მნიშვნელობა არის საგნობრივი მიმართება, მიმართება **ს ა გ ა ნ თ ა ნ**, საგანი და **ო ბ ი ე ქ ტ ი** კი სხვადასხვა რამაა. ზოლო თუ მნიშვნელობას **ო ბ ი ე ქ ტ ა ნ** კი არ გავაიგივებთ, არამედ სიტყვის მნიშვნელობად საგნობრივ მიმართებას მივიჩნევთ, სიტყვას—საგნის სახელად და, მაშასადამე, სინონიმებსაც -- ერთი და იმავე საგნის თანასახელებად, მაშინ „მნიშვნელობის ნიუანსის“ საკითხი საერთოდ მოიხსნება.

ცხადია, არ არის გამორიცხული ერთი და იმავე **ო ბ ი ე ქ ტ ი ს** სხვადასხვა სახელი მის სხვადასხვა ნიშან-თვისებებს გულისხმობდეს, ვთქვათ, ერთი სახელი **ა—ბ—გ** ნიშან-თვისებებს, მეორე სახელი **ა—გ—დ** ს და **ა. შ.**, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვექნება არა ერთ საგანთან, არამედ მხოლოდ ერთ **ო ბ ი ე ქ ტ ა ნ**: პლევრიტისა და კვალის შემთხვევაში თუმცა **ო ბ ი ე ქ ტ ი** ერთია (ესა და ეს დაავადება), —საგანი სხვადასხვა გვაქვს (პირველი ანთების პრაოცესს აღნიშნავს, მეორე—ტკივილის გრძნობას).

არან. ჩიქობავამ **ო ბ ი ე ქ ტ ი ს** ა და საგნის ამგვარი გარჩევა გამოიყენა სინონიმის საკითხის გასარკვევად. იგი ამბობს, რომ სხვადასხვა სიტყვით „გამოყოფილია ამ **ო ბ ი ე ქ ტ ი ს** სხვადასხვა მხარე, ე. ი. მათ აღსანიშნად აქვთ სხვადასხვა საგნები, რომლებსაც ისინი მიემართებიან. მიემართებიან რა სხვადასხვა საგნებს, ეს სიტყვები მნიშვნელობით განსხვავებულნი არიან და. ბუნებრივია, სინონიმებად ვერ მიიჩნევიან“ [210].

როგორც ეხედავთ, სინონიმისათან სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას განაპირობებს სიტყვის **ს ე მ ა ნ ტ ი კ ი ს** სხვადასხვაგვარი გაგება. ბუნებრივია, რომ სემანტიკური კრიტერიუმში გულისხმობს გასვლას ვიწროდ გაგებული **ე ნ ი დ ა ნ** — დროისა და სივრცისაგან დამოუკიდებელი. თავისთავში ჩაკეტილი სისტემიდან. სიტყვათა ურთიერთობის შე-

სასწავლად საჭირო ჩანს გაირკვეს ამ სიტყვათა მიმართება არა მხოლოდ ერთმანეთთან, არამედ, აგრეთვე, მიმართება იმათთან, რის აღსანიშნადაც სიტყვები გამოიყენებიან, და იმათთან, ვინც ამ სიტყვებს იყენებს.

29. არის ცდები, რომ სინონიმის საკითხი გადაწყვიტონ ამ „გარე-ენობრივი“ ფაქტების გაუთვალისწინებლად. ერთი ამგვარი ცდა წარმოადგინა ვ. ზვეგინცევმა. რაკი სინონიმია სინქრონულ კრილში ვლინდება, — მის შესასწავლად სინქრონით უნდა შემოვიფარგლოთო. სინქრონია არ იცნობს გარეშე შეპირობებას ან მოტივაციას, რომლებიც დროშია გაშლილი. მნიშვნელობა გარეენობრივი მოვლენებით — ნივთებით და ცნებებით არის შეპირობებული და მოტივირებული, ამიტომ სინქრონიას მასთან საქმე არა აქვსო. სინქრონულ სიბრტყეში სიტყვის მნიშვნელობა არის მისი პოტენციალური შეხამებადობა სხვა სიტყვებთანო. ამიტომ *хранимый* და *отважный* სინონიმებად მიიჩნევიან არა იმის გამო, რომ მათ საერთო ან მსგავსი საგნობრივი საფუძველი აქვთ..., ისინი სინონიმები არიან მათი იგივეობრივი შეხამებადობის გამო: სინონიმები ის სიტყვებია, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან მინიმალურ დისტრიბუციულ მოდელშიო (ე. ი. სინტაგმაში, უმოკლეს შესიტყვებაში) [196]. ეს ფაქტობრივ ვითარებას არ შეესაბამება, რაც ავტორს შენიშნეს კიდეც.

თვით შეხამებადობის ობიექტურობას, მართებულობას ადასტურებს ენობრივი გრძნობაო, შენიშნავს ვ. ზვეგინცევი. მაგრამ ენობრივი გრძნობის კრიტერიუმად შემოტანა სურათს მთლიანად ცვლის: თუ მეტყველის გრძნობა იმის საზომად გამოდგება, რომ ჩიზუსის გატანა ისევე ითქმის, როგორც ყალიონის გატანა, ჩიზუსის მოკიდება, გაბოლება, ჩაქრობა, გამობერტყვა და ა. შ. ისევე შეიძლება, როგორც ყალიონის მოკიდება, გაბოლება და ა. შ., — რაღა დაგვიშლის ვივარაუდოთ, რომ მეტყველმა ასევე შეიძლება იგრძნოს, რომ ჩიზუსი, და ყალიონი ერთსა და იმავეს აღნიშნავს. იმის გრძნობა, რომ ერთსა და იმავე კონტექსტში ი შეიძლება იხმარებოდეს ჩიზუსი'ცა და ყალიონი'ც, ფაქტობრივ ემყარება სწორედ ამ ერთი საგნის გრძნობას. მეტყველი ხომ სწორედ საგნობრივი მიმართების მიხედვით დაადგენს სიტყვათა სემანტიკურ იგივეობას და არა საზიარო კონტექსტების ჩამოთვლით (სადაც სიტყვათა შენაცვლება ხდება). ძნელი დასაშვებია თითოეულ მოლაპარაკეს ჰქონდეს გრძნობა ამა თუ იმ სიტყვის შეხამებადობისა ყველა შესაძლო კონტექსტში. ბავშვი, რა თქმა უნდა, ენას გაბმულ მეტყველებაში ითვისებს. მაგრამ მეტყველების პროცესი სრულებითაც არაა მხოლოდ გამოვლილი, რეპროდუქცია წინათ გაგონილი ფრაზებისა. შეხამებადობა მეორეულია საგნობრივ მიმართებასთან შედარებით.

სინონიმის განსაზღვრისას არ მოხერხდა კონტექსტით (როგორც ერთადერთი ობიექტური კრიტერიუმით) შემოთარგვლა. ამასთანავე, რაკი კონტექსტთა მთელი ერთობლიობის მოხმობა შეუძლებელია, კონტექსტის ობიექტური კრიტერიუმი (ხმარებულობა) შეცვლილ იქნა „მეტყველის გრძნობით“. რომელიც უკვე სუბიექტურია. ამრგად, კონტექსტის როგორც კრიტერიუმის ეს მოჩვენებითი უპირატესობაც ხელიდან გამოგვეცალა. კონტექსტი ლექსიკური სინტაგმატიკის ფაქტია. ლექსიკური სინტაგმატიკის რესურსებით სინონიმის საკითხი ვერ წყდება.

გამოითქვა აზრი, რომ „ლექსიკოლოგიამ არ უნდა შეისწავლოს სინონიმია. რადგან სინონიმთა ერთობლიობა არ ქმნის რეალურ ჯგუფს, კერძო ლექსიკურ სისტემას მოცემული ენის ლექსიკის საერთო სისტემაში“ [228]. სადავოა ლექსიკის სისტემურობის აქ ნაგულისხმევი გაგება.

მაგრამ არანაკლებ სადავოა სინონიმის სისტემურობის დასამტკიცებლად სინქრონული პრილის იმგვარი მოშველიება, როდესაც ვარაუდობენ შინაგან კავშირს სინონიმისა და პოლისემიას შორის: სადავოა ვარაუდი, თითქოს პოლისემიური სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობებს, როგორც წესი, თავ-თავიანთი სინონიმები ჰქონდეთ, პოლისემიური სიტყვა უთუოდ შედიოდეს რამდენსამე სინონიმურ რიგში და, ამრიგად, თითქოს ენა წარმოადგენდეს ასოციაციათა უწყვეტ ბადეს, რომელიც მოიცავს ლექსიკას მის სინქრონულ მდგომარეობაში. ამგვარი ვარაუდი უსაფუძვლოა. სინონიმისა და პოლისემიის შეხვედრა შემთხვევითი ფაქტია და არაა ენის ლექსიკური სტრუქტურის აუცილებელი ნიშან-თვისება [92]. ამიტომ ეს ფაქტი არ გამოდგება სინონიმის სისტემურობის სამტკიცებლად.

ვარაუდი, რომ ლექსიკა წარმოადგენს სინონიმურ და პოლისემიურ მიმართებათა ბადეს, რომ სინონიმია ოდენ ლექსიკური პარადიგმატიკის ფაქტია, — არ შეესაბამება ფაქტობრივ ვითარებას. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ფაქტობრივმა ვითარებამ არ დაუჭირა მხარი სინონიმის მიჩნევას მხოლოდ ლექსიკური სინტაგმატიკის ფაქტად.

ლექსიკური პარადიგმატიკა და ლექსიკური სინტაგმატიკა არის ორი მხარე ლექსიკის შინაგანი სტრუქტურისა (იხ. ქვემოთ, §549—55), რომელიც განიხილება როგორც ავტონომიური, დროისა და სივრცისაგან დამოუკიდებელ მიმართებათა სისტემა.

ჩანს, სინონიმის ლინგვისტური შესწავლისათვის საჭიროა შინა-ლექსიკურ მიმართებათა წრიდან გასვლა და ენობრივი კოლექტივის ყოფის. მისი შედგენილობისა და ისტორიის ფაქტების გათვალისწინება.

სამართლიანია შენიშვნა, რომ სინონიმის სისტემური ხასიათი „ელინ-დება რიგ სემანტიკურ პროცესებში, რომლებსაც მიეკუთვნება, პირველ ყოვლისა, დიქტონული პროცესები“ [175]. გასაზიარებელია ულმანის მითითება, რომ სინონიმის მეცნიერული შესწავლა მისი ისტორიული შესწავლაა.

მ. ზემოთქმულიდან ჩანს, რომ საფუძველი არა აქვს ექვს, თითქოს საზოგადოდ შეუძლებელი იყოს სინონიმთა ობიექტური გამოყოფა. მით უფრო ექვს ვერ შევიტანთ სინონიმთა არსებობაში. მათ რეალურობას ადასტურებს, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა. აი. მაგალითად, როგორ გამოიყურება საბას ლექსიკონში ზოგიერთი სიტყვის განმარტება: „მულამ მარადის“ — „მარადის ნიადაგ, მულამ“ — „ნიადაგ მარადის“; „გესლი გველთა და მისთანათა შხამი“ — „შხამი გესლი გველთა და მძრომთა“; „ლმობა ტკივილი“ — „ტკივილი ლმობა“ და სხვ. აქედან ჩანს, რომ მულამ, მარადის და ნიადაგ სინონიმებია: სინონიმებია, აგრეთვე. გესლი და შხამი, ტკივილი და ლმობა... სხვა მაგალითები თანამედროვე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“: „ბაიყუში, კოტი, ბუკი-ოტი“. ბაიყუშის თოკავს, კოჭავს. გაყუყურება გაუჭავრდება... უეჭველია, ბაიყუში, ჭოჭი და ბუკიოტი ერთმანეთის მიმართ სინონიმებია, ასევე — ბაჭრავს, თოკავს და კოჭავს. აგრეთვე გაუჭყრება და გაუჭავრდება...

სინონიმების არსებობას ადასტურებს სხვადასხვა სიტყვის გამოყენებაც ერთი და იმავე უცხოური სიტყვის ფარდად: რაკი гордыхи's ფარდად გამოუყენებით როგორც ამაყი, ისე გოროზი, უეჭველია, ეს სიტყვები ერთმანეთის მიმართ სინონიმებია; უყურებს და უჭყრის-სიტყვებიც სინონიმებია, რაკი смотрит-სიტყვის ფარდად გამოიყენებიან ხოლმე. სინონიმებია რუსული давеча და недавно — ერთი და იმავე ქართული შუბან-სიტყვის შესატყვისები...

ამრიგად, ენას ბევრ შემთხვევაში მოეპოვება ორი (ან რამდენიმე) სიტყვა ერთი და იმავე მოვლენის აღსანიშნავად: სინონიმების რეალურობაში ექვს ვერ შევიტანთ.

მ. ყოველი მოვლენის შესწავლა მისი აგებულების აღწერით იწყება, ე. ი. შემადგენელ ელემენტთა კლასიფიკაციით.

სინონიმთა კლასიფიკაციის ბევრი ცდა არსებობს. უმრავლესობას ერთი საერთო ნაკლი ახასიათებს — არაა დაცული კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპი — ერთი ნიშნის გამოყენება სინონიმთა დაჯგუფებისათვის.

მაგალითად, ერთ-ერთი კლასიფიკაცია სინონიმთა ათ ამგვარ ჩატუს გამოყოფს: 1. ერთი მოვლენის აღმნიშვნელი, მაგრამ სტილის-

ტური ელფერით განსხვავებული (глаз—око), 2. სხვადასხვა სტილში ხმარებული (მაგ., წიგნური — საუბრული: труд—работа), 3. არაუცხოური — უცხოური (отвлеченный—абстрактный), 4. ნეიტრალური — ემოციურად შეფერილი (неприятный—противный—омерзительный), 5. სიტყვა — შესიტყვება (участвовать—принять участие), 6. ლიტერატურული — კუთხური (петух—кочет), 7. მოძველებული — ახალი (челобытная — прошение — заявление), 8. სიტყვა — მისი ევფემისტური მონაცვლე (черт—печист), 9. სიტყვა — მისი პერიფრაზი (Пушкин—автор «Евгения Онегина»), 10. იდიომატური გამოთქმა — სიტყვა (зубы на полку положить — голодать) [189]. სინონიმთა ამგვარი დაჯგუფება კლასიფიკაციად ვერ წაითვლება, რადგან ერთიანი საკლასიფიკაციო ნიშანი არ გასდევს და თითოეული ჯგუფის ესა თუ ის წევრი შესაძლებელია უმტკივნეულოდ იქნეს შეეყვანილი სხვა რომელსაჲმე ჯგუფში.

რაკი სინონიმის მეცნიერული შესწავლა მისი ისტორიული შესწავლა, ცხადია, მეტი შემეცნებითი ღირებულება ექნება სინონიმთა იმგვარ დაჯგუფებას, რომელიც მათ ისტორიას გაითვალისწინებს, ე. ი. სხვადასხვა ჯგუფებს გამოყოფს წარმომავლობის ხასიათის მიხედვით. სინონიმთა შეიძლება გააჩინოს ა) დიალექტური (თოკი — ბაჭარი, ჩიხუხი — ყალიონი), ან ბ) ნაირენობრივი (ბატალიონი — ასახეული, ვეჟილი — ადვოკატი) სიტყვების თავმოყრამ, ან კიდევ გ) მნიშვნელობის ცვლილებამ, რის შედეგადაც ორი სიტყვა მნიშვნელობით ერთმანეთს დაემთხვევა (ჯირითი — დოლი...). ყველა შემთხვევაში სინონიმის წარმოქმნა ასე თუ ისე დაკავშირებულია შესაბამისი ენობრივი კოლექტივის ცხოვრებასთან: ესაა საზოგადოების კონსოლიდაცია — ერთი ხალხის სხვადასხვა ტომის შერწყმა ერთ ენობრივ კოლექტივად, კონტაქტები სხვა ხალხებთან, დაბოლოს, სათანადო ენობრივი კოლექტივის საქმიანობაში თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები...

ფასეული იქნება, აგრეთვე, სინონიმის შემთხვევათა დაჯგუფება იმის მიხედვით, თუ რა გზით ხდება სინონიმის დაძლევა.

საქმე ისაა, რომ რამდენადაც სიტყვა საგნის ნიშანია, — გაუპართლებელია რამდენიმე აღმნიშვნელის არსებობა ერთი აღსანიშნისათვის, და ენაც ბევრ შემთხვევაში ცდილობს თავიდან აიცილოს ამგვარი სიჭარბე ა) ერთ-ერთი სინონიმთაგანის გაქრობით (მაგნიტი და ანდამატი-სიტყვების სინონიმია) ან ბ) ერთ-ერთი სინონიმთაგანის მნიშვნელობის ცვლილი (ბულბული'სა და იაღონი'ს სინონიმია).

ყურადღებას იმსახურებს სინონიმთა ურთიერთობის დახასიათებ:

შეხამებადობის, სიტყვაწარმოებითი კავშირებისა და მეტ-ნაკლები ხმარებულობის მიხედვით [232].

მართლაც, იმის შემდეგ, რაც თავმოყრილი იქნება ერთნაირი მნიშვნელობის (ე. ი. ერთგვარი საგნობრივი მიმართების მქონე) სიტყვები. შეიძლება საკითხი დაისვას — განსხვავდებიან თუ არა ისინი სხვა სიტყვებთან ურთიერთობის თვალსაზრისით: მონაწილეობენ თუ არა ერთსა და იმავე კონტექსტებში, აქვთ თუ არა ერთგვარი სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი, ემთხვევიან თუ არა ერთმანეთს ხმარების სიხშირის მიხედვით... რამდენად შორს მიდის სინონიმთა მსგავსება ამ ნიშანთვისებათა მიხედვით? სრული დამთხვევის შემთხვევაში ლექსიკურ დუბლეტებთან გვექნება საქმე; მაგრამ სრული დაუმთხვეველობა ალბათ არ არის მოსალოდნელი, რაკი სიტყვებს საგნობრივი მიმართება ერთგვარი აქვთ.

ხსენებულ ნიშანთა მიხედვით სინონიმთა მსგავსება-განსხვავებას ახსნა დაეძებნება ამ სიტყვათა ისტორიის გათვალისწინებისას; ეს კი ისევ იმას ნიშნავს, რომ სინონიმის ლექსიკოლოგიური შესწავლა უნდა მდგომარეობდეს სინონიმთა ისტორიის კვლევაში.

ანტონიმია

82. სინონიმების გვერდით ხშირად ახსენებენ ანტონიმებს. თვით სახელწოდებათა აგებულება გვაფიქრებინებს, რომ აქ ერთი სიბრტყის მოვლენებთან გვაქვს საქმე: პირველ შემთხვევაში — თ ა ნ ა სახელებთან (თუ...), მეორეში — ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო სახელებთან (ანტ...). ანტონიმებია კარგი — ცუდი, მაღალი — დაბალი, თეთრი — შავი, толстый—тонкий, добрый—злой, un bien—un mal, lieben—hassen...

სინონიმის შემთხვევაში ჩვენს წინაშე იყო ერთი მოვლენის, ერთი საგნის რამდენიმე (ორი, ზოგჯერ — მეტი) სახელი.

როგორია ვითარება ანტონიმების შემთხვევაში — რას ნიშნავს „საპირისპირო სახელები“? — ცხადია, არა შესაბამისი საგნების ურთიერთ-შეუთავსებელ ხასიათს.

საგნები თავისთავად არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. საგნების დაპირისპირებას ადამიანები ახდენენ და ადამიანები ახასიათებენ ამა თუ იმ საგანს, როგორც სხვა რომელიმე საგნის საპირისპირო თვისებით მქონეს.

მაგრამ ეს უკვე ადამიანის ცნობიერების მიერ ჩატარებული ოპერაციაა. ამიტომ სინამდვილეში რეალური საგნების დაპირისპირება კი არ

ხდება, არამედ ადამიანთა აზრებისა ამ საგანთა შესახებ, ე. ი. ცნებებ-
ბისა.

მმ. ცნებათა დაპირისპირებას მართლაც ახდენს ლოგიკა. იგი შეუ-
თავსებელ ცნებათა შორის გამოყოფს ეგრეთ წოდებულ კონტრარულ-
სა და კონტრადიქტორულ ცნებებს.

ცნებათა შეუთავსებლობა კონტრადიქტორულია (საპირისპიროა),
როდესაც ერთი ცნების ნიშან-თვისებები მეორე ცნებაში უარიყოფა
„შავი — არაშავი“.

ცნებათა დაპირისპირება კონტრარულია (საწინააღმდეგოა), როდესაც
დაპირისპირებულ ცნებებში წარმოდგენილია კიდურა წევრები ხა-
რისხობრივად განსხვავებული ნიშან-თვისებების მწკრივისა: „შავი —
(მუქი ნაცრისფერი —...—ღია ნაცრისფერი —) თეთრი“.

თუ ანტონიშებად მიჩნეულ სიტყვებს და ცნებათა ამ ორ რიგს შე-
ვუდარებთ ერთმანეთს, დაინახავთ, რომ ლექსიკაში არსებული დაპი-
რისპირება აუცილებლობით არ ემთხვევა ლოგიკურს. ასეთი
დამთხვევა მხოლოდ შესაძლებელია, და ასეთ შემთხვევაშიც
ცნებისა და სიტყვის აუცილებელი შინაგანი კავშირის უკუფენას არ
წარმოადგენს.

ანტონიშიაზე მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, როდესაც
გარკვეულ სიტყვათა დაპირისპირება ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში რე-
გულარულად ხდება. ასე, თერგისა და მყინვარის დაპირისპირება, წარმოდ-
გენილი ილიას „მგზავრის წერილებში“, ინდივიდუალური მხატვრული
სახეა და საერთო ქართულ ანტონიშითა ფონდში არ შედის, სოლო ახლი-
სა და მკელის დაპირისპირება, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ რამდენჯერ-
მე გვხვდება, საერთოქართული ლექსიკური მოვლენის — ანტონიშიის
გამოვლენაა: ამგვარი დაპირისპირება ფართოდ არის გავრცელებული
ხალხურ ლექსებში, ანდაზებში...

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სინონიმიისაგან განსხვავებით
ანტონიშიის უშუალოდ არ განსაზღვრავს საგანთა ობიექტური თვისე-
ბები. ანტონიშია არის ლოგიკური შესაძლებლობის რეგულარული გა-
მოყენება გარკვეულ ენობრივ კოლექტივში [206].

პოლისემია

მმ. აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის არაცალსახა დამოკიდებუ-
ლების შემთხვევებს წარმოგვიდგენს აგრეთვე პოლისემია.

პოლისემიაში იგულისხმება შესაძლებლობა — ერთი სიტყვის
(ისტორიულად და ფონეტიკურად იგივეობრივი ოდენობის) მეშვეობით

მიეთითოს რ ა მ დ ე ნ ს ა მ ე განსხვავებულ ობიექტზე. პოლისემურია, მაგალითად, სიტყვა ბეჭი, რომელიც აღნიშნავს: 1. 'სხეულის (ჩონჩხის) ნაწილს' და 2. 'საქსოვ იარაღს'; ანალოგიურად 'ბორბალსაც' აღნიშნავს და 'ძვირფას ქვასაც' და სხვ. საკითხი თითქოს მარტივია და პასუხიც ნათელია.

მაგრამ დიდი ხანია შენიშნულია, რომ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში სიტყვის მნიშვნელობათა დადგენა გარკვეულ სიძნელეებს აწყდება: არ არსებობს მნიშვნელობათა გამოყოფის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდები. ამიტომ, თუ ამა თუ იმ სიტყვის შორეულ ან ფონემური შემადგენლობის დადგენა, ჩვეულებრივ, დავას არ იწვევს. სამაგიეროდ „სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის“, ამა თუ იმ სიტყვაში მნიშვნელობათა რაოდენობისა და მათი ურთიერთობის გარკვევისას მეტად ჭრელ სურათს ვიღებთ: მეტ-ნაკლებად რთული სემანტიკის მქონე სიტყვის დახასიათება სულ სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ლექსიკონში.

ასე, მაგალითად, играть-სიტყვა რუსული ენის აკადემიურ ლექსიკონში (III, 1, 1922) თექვსმეტნაირი მნიშვნელობის მქონე სიტყვადაა მიჩნეული, უშაკოვის ლექსიკონში იგივე შინაარსი 11 ერთეულადაა განაწილებული (I, 1935), ოტხტომიანშია 8 (I, 1957), ჩვიდმეტომიანში — 7 (V, 1956), ოყეგოვისაში — 5 (1959), დაღის ლექსიკონში — 4 (I, 1956): ამასთანავე, თითოეულ მათგანთან სხვადასხვა რაოდენობის ნიუანსები არის გამოყოფილი; დიდი სიჭრელეა მნიშვნელობათა ჩამოთვლის თანამიმდევრობაშიც (საყოველთაოდ აღიარებული ადგილი მხოლოდ პირველ მნიშვნელობას აქვს). გარდა ამ განსხვავებისა, კიდევ ასეთი მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდება, თუნდ ერთმანეთთან შედარებისას მხოლოდ ორი ლექსიკონის — ოტხტომიანისა და ჩვიდმეტომიანის — ჩვენებას დავეყრდნობთ: ის შინაარსები, რომლებსაც ჩვიდმეტომიანმა ლექსიკონმა პირველ მნიშვნელობაში მოუყარა თავი, ოტხტომიანს სამ დამოუკიდებელ მნიშვნელობად გაუნაწილებია, ამასთანავე ამ შინაარსთა დამოკიდებულება ერთმანეთთან სხვადასხვაგვარადაა გაგებული ამ ორ ლექსიკონში: შინაარსი, ნავარაუდევია გამოთქმაში играть со своим ребенком ჩვიდმეტომიანისათვის ცალკე განშტოებაა, ოტხტომიანისათვის კი ძირითადი მნიშვნელობაა; ჩვიდმეტომიანისათვის играть в карты იმავე რიგის მოვლენაა, რაც играть кистями баштыка და играть любовью, ოტხტომიანში კი играть в карты გამოყოფილია როგორც პირველი მნიშვნელობის ნიუანსი, მაშინ როცა მეორე — играть кистями და შესაბამისად — играть любовью მიჩნეულია როგორც მეორე მნიშვნელობა (н. кистями) და მისი ნიუანსი (н. лю-

ნობსიო). ჩვიდმეტრომიანში „როლის თამაში“ ძირითადი მნიშვნელობაა, ხოლო „სპექტაკლში მონაწილეობა“ — მისი ნიუანსი, ოთხტომიანში კი — პირიქით: „მ. სასცენო წარმოდგენაში მონაწილეობა, სცენაზე გამოსვლა... ოსცენაზე გამოხატვა, რაიმე როლის შესრულება“ ასევე, ჩვიდმეტრომიანში „მუსიკალური ნაწარმოების შესრულება“ ძირითადი მნიშვნელობაა და „ინსტრუმენტზე დაკრა“ მისი ნიუანსია, ოთხტომიანში კი — პირიქით. ამრიგად, მიუხედავად დიდი ლექსიკოგრაფიული ტრადიციისა, ორი, თითქმის ერთდროულად გამოსული ლექსიკონი (რომელთა რედაქციებშიც ერთი და იგივე პირები შედიან) სხვადასხვაგვარად აჯგუფებს შინაარსებს და სხვადასხვაგვარად წარმოგიდგენს ამ შინაარსთა ურთიერთობას, ამასთანავე, არ ჩანს ამ განსხვავებათა რაიმე ცნობიერი და ობიექტური საფუძველი.

მნ. თუშკა მნიშვნელობათა დიფერენციაციის წვდომის სიძნელე საყოველთაოდ აღიარებულია [170], — მაინც გამოყოფენ ხოლმე ისეთ შემთხვევებს, სადაც მნიშვნელობათა დანაწილება (და ამ დანაწილების საფუძველი) თვალსაჩინოა [249]. ცხადია, პოლისემიის პრობლემების კვლევა სწორედ ასეთი თვალსაჩინო შემთხვევების ანალიზით უნდა იქნეს დაწყებული.

რაკი მნიშვნელობა არის მიმართება საგანთან, აღსანიშნთან, — სიტყვის პოლისემიურობის საკითხი თითქოს მარტივად უნდა გადაწყდეს: სიტყვაში იმდენი მნიშვნელობა უნდა ვივარაუდოთ, რამდენ აღსანიშნთანაც ავლენს იგი მიმართებას. მაგრამ ასეთი დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება მართებული, თუ წინასწარ დაზუსტებული გვაქვს „აღსანიშნის“ რაობა, რა თქმა უნდა, არაფერ იტყვის ვარსკვლავი-სიტყვას იმდენი მნიშვნელობა აქვს, რამდენი ვარსკვლავიცაა ცაშიო, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიტყვა „მიემართება“ თითოეულ ვარსკვლავს.

პოლისემიასთან მხოლოდ მაშინ გვექნება საქმე, როდესაც ერთი ფონეტიკური გარსი მიმართებაში აღმოჩნდება საგანთა რამდენსამეკლასთან.

პოლისემიის კვლევისას ენათმეცნიერების წინაშე დგება წმინდა ისტორიულ-ენათმეცნიერული საკითხი — როგორ, რა კონკრეტულ პირობებში დამატა სიტყვას ახალი მნიშვნელობა, ან როგორ შემორჩა ძველი მნიშვნელობა ახალთან ერთად.

პოლისემია შედგება საერთო ენაში იმ მნიშვნელობათა თავმოყრისა, რომელიც გააჩინა თავდაპირველი მნიშვნელობის განშტოებამ კილოებსა და სპეციალურ ენებში: ბევრი იმიტომაცა პოლისემიური, რომ საერ-

თო ენაში ოდინდელ საერთოენობრივ მნიშვნელობას გვერდით ამოუდგა ფეიქართა შორის გავრცელებული მნიშვნელობა ამავე სიტყვისა.

განსტოებულ მნიშვნელობათა თავმოყრა შეპირობებულია გარე-ენობრივი მოვლენებით — იმ როლით, რომელსაც ენობრივი კოლექტივის ცხოვრებაში ასრულებენ მასში შემაჯავლი ჯგუფები (დაწვრილებით იხ. ქვემოთ § 144—145, 184—189; სპეციალურ ნაშრომში [92] გაანალიზებულია სხვადასხვა თვალსაზრისი პოლისემიის შესახებ).

ომონიმია

88. ლექსიკური ომონიმია ენათმეცნიერებაში სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული: ერთნი ომონიმებად მიიჩნევენ ბგერითად იგივეობრივ, მაგრამ წარმოშობით განსხვავებულ სიტყვებს: ხელი 'ზედა კიდური' — ხელი 'გეიქი' ან ხელი 'ერთ-ერთი კურკოვანი ხილი' — ხელი 'მეჭლისი' — ხელი 'ციფრით გამოხატული შეფასება'; რუს. град 'ქალაქი' — град 'სეტყვა', ფრანგ. amer 'მწარე' — amer 'სანაპირო ორიენტირი'. გერმ. Reifen 'სალტე' — reifen 'მომწიფება' და სხვ.

სხვების ვარაუდით, ომონიმიასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთი სიტყვის მნიშვნელობები ძლიერ დაშორდნენ ერთმანეთს: დრკება 'იღუნება, იხრება' — დრკება 'შეშინდება', რუს. нос 'ცხვირი' — нос 'გემის წინა ნაწილი'... რაკი მოლაპარაკებებს უქრებათ წინანდელი კავშირის გრძნობაო.

მაგრამ მოლაპარაკის გრძნობა როგორც ნიშან-თვისება არ ქმნის მკვიდრ საფუძველს ომონიმიისა და პოლისემიის გამიჯვნისათვის: ცნობილია, რომ მეტყველების პროცესში მეტყველისათვის არსებობს პოლისემიური სიტყვის ერთადერთი მნიშვნელობა; მეტყველება შეუძლებელი იქნებოდა, თუ ყოველი სიტყვის წარმოთქმის წინ მეტყველს (ან — გაგონებისას — მსმენელს) წარმოუდგებოდა მთელი ჯგუფი მნიშვნელობებისა — დაე, ერთმანეთთან ახლო მდგომების —, რათა აერჩია ამ სიტუაციის (კონტექსტის) შესაფერისი მნიშვნელობა.

ხალხური ეტიმოლოგიისა და ლექსიკური კონტამინაციის ფაქტები მიუთითებს, რომ ზოგჯერ მეტყველი იქ გრძნობს მნიშვნელობათა კავშირს, სადაც ფაქტობრივ ჰეტეროგენული ოდენობები გვაქვს: რუსულში არსებობს ომონიმური წყვილი *сальный* (=сало) და *сальный* (=ფრ. *sal*), პროფ. დ. უშაკოვის რედაქციით გამოსულ „რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ კი *сальный* ერთ პოლისემიურ სიტყვად არის მიჩნეული. მნიშვნელობებად გამოყოფილია: 1. 'ქონიანი'. 2. 'გაქონიანებული, ჭუქყიანი', 3. 'უწმაწური'. ცხადია, პირველი მნიშვ-

ნელობა *сали* 'დან მომდინარეობს, მესამე — *сали* 'იდან (მისი მეტაფორული გამოყენება); ამ მნიშვნელობათა შორის კავშირს ვარაუდობს 2. 'გაქონიანებული, ქუქუიანი'.

37. არის ცდები — დაიძებნოს სხვა საზომი ომონიმისა და პოლისემიის გასარჩევად; სანამ ყველა მნიშვნელობა ერთიანდება ერთი აზრობლივი ღერძით და მხოლოდ მეტ-ნაკლებად შორდება მას, — საქმე გვაქვს პოლისემიასთან, ხოლო როდესაც სიტყვის ცალკეული მნიშვნელობანი ძლიერ არიან დაშორებული სიტყვის ძირითად აზრს, კარგავენ მასთან კავშირს და ერთმანეთს მხოლოდ ბგერითი შემადგენლობით ემთხვევიან და არა შინაარსით, — ჩვენს წინაშე არის ომონიმები [შდრ. 15]

„აზრობლივი ღერძის“ ცნებაში ივარაუდება ყოველი ახალი მნიშვნელობის წარმოება უშუალოდ პირველი მნიშვნელობიდან, რაც კონკრეტული ენების ისტორიით არ მართლდება; ხოლო მსჯელობა ცალკეულ მნიშვნელობათა ერთმანეთისაგან ისეთი დაშორების შესახებ, როცა მათ შორის კავშირი დაკარგულია, — ისევე აჩენს კითხვას — ვინ უნდა დაადგინოს მნიშვნელობათა მეტ-ნაკლები დაშორებულობა? თუ ეს საქმე მკვლევარ ენათმეცნიერს მიენდობა, მისი ვალი ხომ სწორედ ისაა, რომ გაათვალსაზიროოს სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობათა კავშირი.

მაგალითად, *ნოსტატ* 'რყევა' და *ნოსტატ* 'ლაყბობა' ს. ოფეგოვს თავის „რუსული ენის ლექსიკონში“ ომონიმებად აქვს მიჩნეული ალბათ იმიტომ, რომ მათ „საერთო აზრობლივი ღერძი“ არა აქვთ. მაგრამ *ნოსტატ* 'ლაყბობა' — სიტყვასთან იმავე ლექსიკონში სპეციფიკურ გამოთქმად მოყვანილია *ნოსტატ* *языком*, რომელიც ისევე 'ლაყბობაზე' მიუთითებს, მაგრამ „შინაგანი ფორმით“, ეტიმოლოგიურად „ენის რყევას“ ნიშნავს. ამრიგად, *ნოსტატ* საერთოდ 'რყევა' არის. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით მონაწილეობს ასეთ გამოთქმებში: *ნოსტატ* *ногой*, *ნოსტატ* *языком*; ამ უკანასკნელის რედუცირებული ფორმაა *ნოსტატ* — *ლაყბობა*. ამ მაგალითიდან ჩანს, რამდენად არასაიმედოა „აზრობლივი ღერძის“ ცნება პოლისემიისა და ომონიმის გასარჩევად.

38. ამიტომ დამატებით ასეთ ხერხს გვთავაზობენ: „ერთგვარად მბგერ სიტყვებს ჩ ა ვ უ ნ ა ც ვ ლ ო თ ს ი ნ ო ნ ი მ ე ბ ი. თუ შერჩეული სინონიმები ერთმანეთის მიმართ სინონიმურ ურთიერთობაში არ მოექცევიან, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ომონიმურ რიგთან.

აქ ნავარაუდევია, რომ ყოველი „მნიშვნელობა“ რამდენიმე (ორ-ორი მაინც) სინონიმური სიტყვით არის გადმოცემული, ე. ი. ენა წარმოიდგინება ორი (და მეტი) ფონეტიკური ვარიანტის სახით. ეს, რა თქმა უნდა, ფაქტობრივ მცდარია.

აშკარად ომონიმური წყვილია ესპანური წარმოშობის ლაშა — სამხრეთ ამერიკული შინაური ცხოველის სახელი და ტიბეტური წარმოშობის ლაშა 'ბუდისტ-ლამაისტთა ბერი': ვერც ერთ მათგანს სინონიმს ვერ დავუძებნით, მაშასადამე, სინონიმთა მიყენების ხერხით მათი დახასიათება შეუძლებელი აღმოჩნდება. სინონიმი ხომ მხოლოდ შემთხვევით შეიძლება აღმოაჩნდეს სიტყვას.

საეჭვოა ის ვარაუდიც, თითქოს მნიშვნელობით ახლო მდგომი სიტყვებისათვის პრინციპულად გამორიცხულია სინონიმთა გამოყენების შესაძლებლობა. ხშირად გვხვდება აშკარად პოლისემიური სიტყვა (და არა ომონიმური ჯგუფი), რომლის ცალკეულ მნიშვნელობებს სინონიმები აქვთ: ზალაი: 1. ბეწვი, 2. თმა; ზადალი: 1. ტოლი, 2. მაგიერი.

გამოდის: სინონიმები შეიძლება ჰქონდეს პოლისემიური სიტყვის ცალკე მნიშვნელობებს; მეორე მხრით, შესაძლებელია ნამდვილ ომონიმობასთან გვექონდეს საქმე და სათანადო სინონიმები კი ვერ დაიძებნოს! ცხადია, სინონიმთა ჩანაცვლების ხერხი გამოუსადეგარია ომონიმობისა და პოლისემიის გასარჩევად.

89. რა არის იმის მიზეზი, რომ არ მოხერხდა ომონიმობის დამაკმაყოფილებელი დახასიათება — საზღვრის გავლება ომონიმობისა და პოლისემიის შორის? საქმე ისაა, რომ ომონიმობისა და პოლისემიის ცნებები სხვადასხვა თვალსაზრისით გამოყოფილი ცნებებია.

სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა შეძენილი აქვს მისი განვითარების მანძილზე. მაშასადამე, პოლისემიის ცნება ისტორიული ენათმეცნიერების ცნებაა, ხოლო სიტყვაში რამდენიმე მნიშვნელობის დადასტურება ნიშნავს ისტორიზმის პოზიციას და დგომას. მეორე მხრით, თუ ომონიმებად მივიჩნევთ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ერთგვარად მბგერ სიტყვებს მათი გენეზისური იგივეობის მიუხედავად, ამით უგულებელვყოფთ ისტორიას. ამრიგად, როდესაც ვცდილობთ მრავალმნიშვნელობიან სიტყვაში ომონიმობისა და პოლისემიის გარჩევას, ამით უკვე ვახდენთ ორი ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისის აღრევას.

ისტორიული თვალსაზრისის მომარჯვებას ომონიმობისა და პოლისემიის ურთიერთობისას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ომონიმობის აუცილებელი და საკმარისი პირობაა პეტეროგენულობა: ომონიმები სხვადასხვა სიტყვებია იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა წარმოშობისადაა არიან [124. 91: ამ უკანასკნელში მოცემულია ლიტერატურის მიმოხილვა].

სიტყვის ფუნქციონირების პირობები: ბგერადობა. — საგნობრივი მიმართება. — ენობრივი კოლექტივი. — სხვა სიტყვებთან ურთიერთობა.

სინონიმი, ანტონიმი, პოლისემია, ომონიმი მთელ ლექსიკურ ფონდს არ მოიცავს; გარდა ამისა, მათ შორის შინაგანი კავშირი არ არსებობს; ისინი სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად აჯგუფებენ აღსანიშნებს და აღმნიშვნელებს; გარკვეულ შემთხვევებში სათანადო ენის აღმნიშვნელის თუ აღსანიშნის თავისებურებებს ახასიათებენ.

აქედან ჩანს, რომ სიტყვის ფუნქციონირების შესასწავლად არ კმარა იმის თქმა — სიტყვა არის ბგერები პლუს მნიშვნელობაო, სიტყვის ეს დახასიათება საყოველთაოდ არის გავრცელებული, მაგრამ ასევე საყოველთაოდ არის ცნობილი მისი უკმარობა.

ბგერადობა

40. ბუნებრივია, სიტყვის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ მას გარკვეული ბგერადობა ჰქონდეს.

საზოგადოდ ადამიანური ენა ბგერადობის გარეშე არ არსებობს. ისტორიულად ენა არ იწყება მანამ, სანამ კომუნიკაციას ბგერითი ფორმა არ მიუღია.

ამიტომ, თუნდაც მხოლოდ ამ მიზეზით, როდესაც ლაპარაკობენ „ფუტკრის ენაზე“ (რომელიც ცეკვის მსგავსი მოძრაობით გამოიხატება), ან „ჭიანჭველის ენის“ შესახებ (უღვაშების შეხებით რომ „ამყარებენ ურთიერთობას ერთმანეთთან“) და სხვ., — ლინგვისტური თვალსაზრისით ენა-სიტყვის მხოლოდ მეტაფორულ ხმარებასთანა გვაქვს საქმე და ნამდვილ ენად მათ ვერ მივიჩნევთ.

ყოველი „დაწერილი ენაც“, პირველ ყოვლისა, წარმოთქმული ენაა: დამწერლობა მეორეული ნიშანია — ბგერადობის ნიშანია, როგორც ენობრივი ბგერადობა არის ნიშანი ობიექტური სამყაროს მოვლენებისა.

ამრიგად, ენის, კერძოდ, სიტყვის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ბგერადობა. ამ დებულებას ვერ არყევს ვერც საგნობრივი სინბოლიკის ფაქტი (ჯვარი --- ქრისტიანობის სიმბოლო, ხელთათმნის გადაკდება — დუელში გაწვევის ნიშანი...) და ვერც ის გარემოება, რომ ზოგი ძველი დამწერლობა (მაგალითად, შუმერული, აგრეთვე ხეთური და ეგვიპტური იეროგლიფები) შინაარსის მისეღვით მეტ-ნაკლებად გაშიფრულია, მათი ბგერადობა კი ჯერაც არ არის დამაკმაყოფილებლად დადგენილი: ამგვარ „ენას“ მხოლოდ იმდენად მივიჩნევთ ენად. რამდენადაც ვგულისხმობთ, რომ მას ბგერადობა ჰქონდა.

სამეტყველო ბგერადობის ქონა არის ერთი ძირითადი ნიშან-თვისებათაგანი, რითაც ადამიანური ენა განსხვავდება ნიშანთა სხვა სისტემებისაგან (მაგალითად, საზღვაო კოდისაგან, საგზაო შუქნიშნებისაგან...).

ბგერადობით განსხვავდება სიტყვა სხვა სიმბოლოებისაგან.

41. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სიტყვა როგორც აღმნიშვნელი არა მხოლოდ ბგერადობით ხასიათდება (და ამით განსხვავდება სხვა სიმბოლოებისაგან), არამედ — მეტწილ ენებში — აგებულებითაც: სიტყვა შედგენილია არა მხოლოდ ფონემებისაგან, არამედ, ჩვეულებრივ, მის შემადგენლობაში შედის, აგრეთვე, ნიშნადი ელემენტები, — სიტყვა ნაწევრდება ძირად (ძირებად) და ფორმანტებად (შესაძლებელია გვექონდეს ფუნქციურად ამ უკანასკნელთა ეკვივალენტური ოდენობებიც — ფუძის ფლექსია, ზოგჯერ — მახვილი, ინტონაცია და სხვ. მსგ.).

მხოლოდ ჩინური ენა მიიჩნევა ისეთ ენად, რომლისთვისაც სიტყვის ამგვარი („მორფემული“) დანაწევრება დამახასიათებელი არ არის.

დანარჩენ ენებში სიტყვა მეტწილად რთული აგებულებისაა: რუს. *სამ-თ-ვარ*, ინგლ. *ტროლეი-ბუს*, გერმ. *შტრაიკ-ბრეხ-ერ*, ფრანგ. *პეიზ-აჟ-ბერძნ.* *მონ-თ-ლით-ის*, სპარს. *ქარ-ხანა*, ქართ. *მო-სა-ვალ-ი-* და სხვ.

რა თქმა უნდა, ამ ენებში ბევრია შეუდგენელი, მარტივი ფუძის მქონე სიტყვაც: რუს. *გოლოს*, *ნო*, ქართ. *ხმა*, *მაგრამ* და სხვ.

ხმა და *მაგრამ* (აგრეთვე, რუს. *ГОЛОС* და *НО*) სავსებით ერთი ტიპის მაინც არაა: *მაგრამ* (და *НО*) აბსოლუტურად უფორმო სიტყვაა, ხოლო *ხმა* (და რუს. *ГОЛОС*) შესაძლებელია რთული აგებულების სიტყვის ელემენტს წარმოადგენდეს: *ხმა-მადლა*, *ხმა-ური*, *ხმა-ს* (*ГОЛОС-ИСТ-ЫЙ*; *ГОЛОС-О-ВАТЬ*. *ГОЛОС-ОМ*).

მაგრამ ისეთ ენაში, სადაც ბუნებრივია სიტყვის მორფემული დანაწევრებულობა, შეუდგენელი ლექსიკური ერთეულები სიტყვათა ქვეჯგუფს ქმნიან, როდესაც მოცემული ენის ლექსიკური ფონდის ელემენტები (სიტყვები) განიხილება აგებულების მიხედვით.

საგნობრივი მიმართება

42. ბგერადობა საგნობრივი მიმართების გარეშე ჯერ კიდევ ენობრივ ფაქტს არ წარმოადგენს.

ასე, მაგალითად, ცხვირის ცემინება, ხველა, სლოკინი, სიცილი (ხარხარი, ხითხითი, კისკისი), ტირილი (ქვითინი, ზლუქუნნი), გმინვა, ოხვრა

აენესა — ადამიანური ბგერადობაა, მაგრამ, როგორც ცნობილია, მეტყველება ჯერ კიდევ არ არის, იმპულსური ხასიათის ბგერებია.

ასევე, სიმღერა, ჰანგი სწორედ ბგერათა ერთობლიობაა, ორგანიზებული სიმალლისა და სიძლიერის რიტმული მონაცვლეობით. ესა თუ ის სიმღერა ადამიანთა გარკვეულ კოლექტივში არსებობს, ე. ი. ინდივიდუალური აღმონახლობი არ არის, მაგრამ იგი, როგორც წესი, ემოციების, ასეთი თუ ისეთი გრძნობის გამოვლენას წარმოადგენს და არ ემსახურება რისამე აღნიშვნას, საგნობრივ მიმართებას.

რა თქმა უნდა, ხველაც, სიცილიც, ტირილიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს რისამე აღსანიშნავად. მაგალითად, „აქა ვარო“ — ამის მისანიშნებლად გამოიყენონ ჩახველება, ისე როგორც სტეფნით — წინასწარ დათქმული ნიშნით — ვინმეს გამოიძახებენ ხოლმე; შეიძლება ვინმემ განგებაც გაიცინოს და ამ საშუალებით აღნიშნოს თავისი დამოკიდებულება რაიმე მოვლენასთან...

მაგრამ ეს იქნება უკვე მეორეული სიმბოლური გამოყენება და არა იმპულსური ხმერება, რასაც ხველა, სიცილი და ტირილი წარმოადგენს. ადამიანს, ჩვეულებრივ, წამოახველებს ხოლმე: „დედის რძე თაფლი ყოფილა, დედინაცვლისა — ნაღველა: დავლიე, ყელზე დამდგა, ძირმწარედ შამომახველა“ (აკაკი), ჩვეულებრივ, ეცინება ხოლმე: „დავუძღურდი, გაქრა გიყი ოცნება... ნაღვლიანად ჩემს თავზედ შეყინება“ (აკაკი), ან კიდევ ეტირება: „არ ვიცი, ბრძენი განცდას ამგვარს თუ რას დაარქმევს: არა მწამს ღმერთი და მის სახლში რად მეტირება“ (ალ. აბაშელი)...

კიდევ უფრო გავრცელებულია სიმღერის სიმბოლური გამოყენება: „მაყრული“, „დატირება“, „საბოდიშო“ და სხვ. სწორედ სიმბოლურად გამოყენებული მელოდიებია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჰანგი სიტყვების თანხლებით გადმოიცემა ხოლმე, ესე იგი ენასთან, ენობრივ ფაქტთან შერწყმულად, და საკომუნიკაციო ფუნქციას სწორედ, პირველ ყოვლისა, ტექსტი ასრულებს, ხოლო ჰანგი ძირითადად მაინც ემოციის გამოვლენაა.

განზრახული — აღნიშვნის ფუნქციით აღჭურვილი — სიმღერის გვერდით არსებობს ჩვეულებრივი სიმღერა — ემოციების უშუალო გამოვლენა (და არა ბგერების განზრახული, სიმბოლური გამოყენება), — ადამიანს ემღერება ხოლმე: „მემღერება და ვიმღერი“ (ვაჟა), „ესტირი და არ მემღერების“ (დ. გურამიშვილი).

ამგვარი ბგერადობის საპირისპიროდ ენობრივი ერთეულის, სიტყვის ფუნქციონირებისათვის სწორედ საგნობრივი მიმართება არის საჭირო, ე. ი. საჭიროა. რომ ბგერადობა მიემართებოდეს რაიმე

ობიექტს (ნივთს, მოვლენას... და თვით გრძნობას როგორც ობიექტურად მოცემულს). ემოციების ცნობიერი გამოხატვა ენის საშუალებით ხდება ხოლმე, ე. ი. იმის აღნიშვნით, რომ მოლაპარაკეს ესა და ეს განცდა აქვს (სტიკია, უხარია, შიხს...), მაგრამ ემოციების თვით უშუალო გამოვლენაც ადამიანთა კოლექტივში — რაკი ეს ადამიანთა კოლექტივია და რაკი მას უკვე აქვს ენა როგორც მზამზარეული ინსტრუმენტი. — ჩვეულებრივ, ხდება ენობრივი ფაქტების, სიტყვების, საგნობრივი მიმართების აღმნიშვნელი კონვენციური ბგერათკომპლექსების მეშვეობით (და არა იმპულსური ხმერებით): ვაიმე, დედა! მიშველე! რაკარგია! აი, შეხმის! რუს. милая! ფრანგ. allons donc! გერმ. halt! და სხვ. სიტყვებია. ჩვეულებრივი სიტყვები, შედგენილი ჩვეულებრივი, მოცემულ ენაში დამკვიდრებული, საპეტყველო ბგერებისაგან (ამიტომ არც ერთი მათგანი არ შეედრება, მაგალითად, ძაღლის წკაქწკაქს, ქათმის კაკანს, კატის კრუტუნს ან იმ ხმერებას, რომელსაც კატა გამოსცემს კუღზე ფეხის დაკერისას); ეს ქართული, რუსული, ფრანგული, გერმანული... საზოგადოდ ენობრივი ბგერათკომპლექსები მეტწილ შემთხვევაში მოქცეულია ქართულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ... საზოგადოდ ენობრივ მორფოლოგიურ ყალიბში.

(რა თქმა უნდა, აფექტის, ძლიერი განცდის შემთხვევაში ამ სიტყვათა გამოვლენის ფსიქიკური სარჩული სხვაა, ვინემ ჩვეულებრივი შეტყობინების განზრახვა — ენობრივი ერთეულების წინასწარგანზრახული გამოყენება რაიმე მოვლენის აღსანიშნავად).

ამრიგად, ბგერადობა და საგნობრივი მიმართება ქმნის სიტყვის ფუნქციონირების აუცილებელ პირობებს; აუცილებელს, მაგრამ არა საკმარისს. სიტყვის ფუნქციონირებისათვის საჭიროა კიდევ ორი პირობა: ენობრივი კოლექტივი და სხვა სიტყვებთან ურთიერთობა.

ენობრივი კოლექტივი

48. საგნობრივი მიმართების (ე. ი. წმინდა სემანტიკური) თვალსაზრისით ლექსიკის განხილვა შედეგად გვაძლევს ს ა ე რ თ ო დ ადამიანური ენის ლექსიკურ შესაძლებლობათა სურათს. ამგვარი განხილვის პირობებში ლექსიკური ფონდის აგებულება ერთგვარი აღმოჩნდება ქართულშიც, რუსულშიც, ჩინურშიც... რადგან შესაბამის (აღსანიშნის) მოვლენები საყოველთაოა: „წმინდა“ სემანტიკური თვალსაზრისით შვედის, სელაპის და კენგურუს სახელები ყველა ენაში ერთ ჭგუფში მოექცევა, რადგან სელაპი, შველი და კენგურუ ობიექტური სინამდვილის ერთსა და იმავე უბანს მიეკუთვნება (ძუძუმწოვა-

რა ცხოველებია); ს ი ც ი ლ ი ს ა და ტ ი რ ი ლ ი ს აღმნიშვნელი სიტყვები თითოეულ ენაში ურთიერთდაპირისპირებული აღმოჩნდება, რადგან აღამიანის ფსიქიკური ორგანიზაცია ყველგან ერთნაირია და სიხარული და მწუხარება ყველასათვის ურთიერთსაპირისპირო გრძნობებია.

ასევე, ცალკე სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა ყველგან ერთგვარად დახასიათდებოდა, თუ ამა თუ იმ ენის ცალკეულ სიტყვათა თავისებურებებს არ გავითვალისწინებდით: „წმინდა“ სემანტიკური თვალსაზრისით ყველა ენის ყველა სრულმნიშვნელობიანი სიტყვა უთუოდ შეიცავს საგნობრივ მიმართებას; გარდა ამისა, ყველა სიტყვას აქვს შესაძლებლობა შედარებაში გამოყენებისა, გადატანითი ხმარებისა.

მაგრამ საგნობრივ მიმართებასთან ერთად თუ გათვალისწინებული იქნა იმ ენობრივი კოლექტივის ვითარებაც, რომელშიც იხმარება ესა თუ ის სიტყვა, აღმოჩნდება, რომ ბევრ შემთხვევაში მნიშვნელოვან შესწორებათა შეტანა მოგვიწევს ლექსიკური ფონდის შინაარსეულ ჯგუფებად დანაწევრებისას: ავსტრალიის აბორიგენტთა ყოფაში კენგურუ ჩვეულებრივია, სელაპი კი უცნობია. პირიქით, უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხებისათვის კენგურუა უცნობი და არა სელაპი. ქართული ყოფა მხოლოდ შევლს იცნობს: სელაპიც და კენგურუც თანაბრად „ეგზოტიკური“ ცხოველებია. ყოფის ეს თავისებურებანი განსაზღვრავენ იმ თავისებურებას, რაც სხვადასხვა ენის ლექსიკურ ფონდთა შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

ასევე, ერთგვარ სემანტიკურ შესაძლებლობათა მიუხედავად, სხვადასხვა ენის ცალკე სიტყვათა მნიშვნელობებში შეიმჩნევა მეტად არსებითი განსხვავებები.

საქმე არ ეხება, ცხადია, მეცნიერულ ტერმინებს. სადაც სიტყვა ხელოვნურად არის გამოთიშული გარკვეული ენის ლექსიკური ფონდიდან. მისი ლექსიკურ-სემანტიკური კავშირებიდან და ნებისმიერად არის „მიმავარებული“ ამა თუ იმ ცნებასთან: *шуба* და *шуба* და *hydrogenium* ერთმანეთის ზუსტი შესატყვისებია; *купе* არა მხოლოდ მნიშვნელობით, არამედ ბგერითადაც კი ერთგვარია (დაახლოებით მინც) ზოგ ენაში (რუს. *купе*, გერმ. *Coupe*...). მაგრამ, ვიმეორებთ, ამგვარი დამთხვევა მხოლოდ ტერმინებში ხდება. ხოლო სხვა შემთხვევაში — მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით.

თითქოს რა სირთულე უნდა იყოს ქართული ზარი-სიტყვის და რუსული *нык*-სიტყვის შესაბამისობაში? ნამდვილად კი ლექსიკურად მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა:

ქართული ხარი'ს ფარდად რუსულში იხმარება არა მარტო **БЫК**, არამედ აგრეთვე **ВОЛ**: ხარი $\left\{ \begin{array}{l} \text{БЫК} \\ \text{ВОЛ} \end{array} \right.$.

პირიქით, რუსული **Корова** და ქართული *ძროხა* იმიტომაც არ ემთხვევიან ერთმანეთს, რომ ქართულში *ძროხა*-სიტყვის გვერდით იხმარება ფური: $\left. \begin{array}{l} \text{ძროხა} \\ \text{ფური} \end{array} \right\} \text{Корова}.$

გადატანითი ხმარების შესაძლებლობაც სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად არის ხოლმე განხორციელებული ერთგვარმნიშვნელობიან სიტყვებში: ქართული ხარი და დებითი ემოციური ელფერის სიტყვაა (ქართულ სიტყვახმარებაში ფართოდ არის გავრცელებული გამოთქმები: ხარის ქედი, ხარის გამძლეობა და ძმასავით ხარები), რუსულ ენაში **БЫК** ნეიტრალური ან უარყოფითი ელფერისაც კია (упрям как бык, смотрит быком, здоров как бык), მაგრამ **БЫК** გამოყენებულია გადატანით 'ხიდის ბურჯის' აღსანიშნავად, რისი ფარდი ხმარებაც ქართული ხარი-სიტყვას არ ახასიათებს.

უქვევლია, რომ თითოეული ამ სიტყვის ოდენ „სემანტიკური“ დახასიათება („ბგერები პლუს მნიშვნელობა“) უქმარია; ისინი სიტყვები (ე. ი. ასეთი და ასეთი ბგერები პლუს ასეთი და ასეთი მნიშვნელობები) არიან ამა და ამ ენობრივ კოლექტივში.

ეს ორიოდე მაგალითი გვიჩვენებს „წმინდა სემანტიკური თვალსაზრისის“ უქმარობას ამა თუ იმ ენის ლექსიკური ფონდის (ან ცალკე სიტყვის მნიშვნელობის) შესწავლისათვის.

44. ენობრივი კოლექტივი არა მხოლოდ ენით დაკავშირებული ჯგუფია ადამიანებისა, არამედ მათ, ამ ადამიანებს, უწინარეს ყოვლისა, აერთიანებთ საერთო საქმიანობა, საერთო საზოგადოებრივი ცხოვრება (და სწორედ ამიტომ ენაც).

სხვადასხვა კოლექტივი ერთმანეთისაგან საქმიანობით, საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებით განსხვავდება და ეს განსხვავება უკუფენილთა ლექსიკურ ფონდშიც. ბუნებრივია, თუ ერთ ენობრივ კოლექტივს არ აღმოაჩნდეს მეორე კოლექტივის საქმიანობისათვის, ყოფისათვის დამახასიათებელი ბევრი სიტყვა.

ასე, რუსულს არა აქვს ქართული მევენახეობა-მელვინეობისათვის დამახასიათებელი სიტყვები. თავი რომ დავანებოთ ვაზის ადგილობრივი ჯიშების სახელებს (ალადასტური, ბუდეშური, თეთრა, კრაბუნა...), რუსულ ენას არ მოეპოვება არც თვით ვაზის სახელი:

ვაზი რუსულად არის ან **виноград** ან **виноградная лоза**,

რქა — **побег виноградной лозы**,

სამამულე — сучек замещения.

წიდენა — отводка.

სარცხი — мосчная щетка.

დაყენება — выделка,

დაჭანგება — скисание,

წნება — прессование, ხოლო საწნახელი-სიტყვას შეუფუეს სახელი დავილნია, რომელიც ნამდვილად ყოფილა заведение, помещение, где давят [82].

როგორც ვხედავთ, მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებული ქართული საგანგებო სიტყვების ფარდად რუსულში გამოყენებულია ზოგადი მნიშვნელობის სიტყვები და, აუცილებელ შემთხვევაში, აღწერილია ის მოვლენა, რომელსაც ქართულში სახელი აქვს შერქმეული. ამგვარი ენობრივი განსხვავება შეაპირობა ქართული და რუსული ყოფის, რეალური სინამდვილის სხვაობამ.

მზე, მთვარე, ხელი, ფეხი. დედა. მამა და სხვა ობიექტური საგნები და მოვლენები ყველა ადამიანისათვის არსებობს, მაგრამ ამ ფაქტმა არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს არსებობდეს ყველა ხალხისათვის საერთო ერთიანი სისტემა აღსანიშნებისა, და ცალკეულ ენებს თითქოს მეტი არაფერი დარჩენოდეთ, რომ შეურჩიონ ამ საერთოსაკაცობრიო აღსანიშნებს განსხვავებული „იარლიყები“ — ენებისდა მიხედვით გარჩეული ფონეტიკური გარსები — აღმნიშვნელები. ვთქვათ. ქართულისა და რუსულის განსხვავება მდგომარეობდეს მხოლოდ იმ სხვაობაში. რაც შეიმჩნევა ერთი და იმავე მცენარის ქართულ-რუსულ სახელწოდებათა ბგერადობაში: მუხა — дуч.

ჟა. რაც ითქვა აღსანიშნის მიმართ. ითქმის აღმნიშვნელის შესახებაც: ყველა ადამიანი ანატომიურად (და ფიზიოლოგიურად) ერთგვარად არის მზად ბგერების წარმოსათქმელად: ბაგეები, ენა, სასა, ხორხი, სახმო სიმები, ფილტვები ყველას აქვს; ყველას შეუძლია ბაგეები მკიდროდ მოკუმოს, ოდნავ გახსნას ან თავისუფლად გააღოს; ყველას შეუძლია ამოისუნთქოს ან არ ამოისუნთქოს — ფილტვებიდან ჰაერი ამოუშვას ან არ ამოუშვას, — სახმო სიმები დაქიმოს ან მთლიანად დაკეტოს და სხვ. და სხვ. მაგრამ აქედან ვერ დავასკვნით, თითქოს ყველა ენობრივ კოლექტივში სამეტყველო ბგერების სისტემა (და მათი შეერთების წესები) იდენტური იყოს და მხოლოდ ამ ბგერებით გადმოცემული შინაარსები განსხვავდებოდეს; ვთქვათ, რაკი რუსსაც და ქართველსაც როგორც ადამიანებს შეუძლიათ ერთგვარი ბგერები და ბგერათკომპლექსები წარმოთქვან, — ქართულისა და რუსულის განსხვავება მდგომ-

მარეობდეს მხოლოდ იმ სხვაობაში. რაც ამ ბგერებით გადმოცემულ შინაარსს შეეხება: განსხვავება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში, რომ მუხა-ბგერათკომპლექსს ქართველი „ხესთან“ აკავშირებს, რუსი — „მწერთან“.

ქართულად მეტყველს თავისებური აქვს უკვე საარტიკულაციო ბაზისი, ე. ი. სამეტყველო ორგანოების მოქმედება კი არა, მოქმედებისათვის მზადყოფნაც კი [12], ე. ი. ქართული ენობრივი კოლექტივის წევრები არა მარტო ლაპარაკობენ ქართულად, არამედ დუმილის დროსაც ქართველები არიან — „ქართულად დუმან“. მათ, ცხადია, თითოეული წარმოთქმული ბგერაც თავისებური, ქართული ექნებათ, თავისებური ექნებათ ამ ბგერათა შეერთების წესები და შესაძლებლობანი.

46. მიუხედავად იმისა, რომ გარე სინამდვილე ყველა ადამიანისათვის ერთგვარად არის მოცემული და ბგერათწარმოთქმის შესაძლებლობაც ყველა ადამიანს ერთგვარი აქვს, — აღსანიშნებისა და აღმნიშვნელების ნაირ-ნაირი სისტემები აქვს კაცობრიობას. ეს სხვადასხვა სისტემები სხვადასხვა ენებია, რომლებსაც ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფები — სხვადასხვა ენობრივი კოლექტივები — ფლობენ და იყენებენ.

ამრიგად, ყოველი სიტყვა რომელიმე ენის სიტყვაა და არა „საერთოდ“ სიტყვა. თუნდაც ესა თუ ის კონკრეტული სიტყვა საყოველთაოდ იყოს გავრცელებული, — იგი, ამა და ამ ენაში შემოსული, უკვე ამ ენის აღსანიშნა და აღმნიშვნელთა სისტემებში ექცევა და ამ ენის საკუთრება — ამ ენობრივი სისტემის წევრი ხდება: ყოველი სიტყვა გარკვეული ენობრივი კოლექტივის კუთვნილებაა და მისი ფუნქციონირება ამ ენობრივი კოლექტივის ენობრივი ჩვეულებით არის შეპირობებული.

ქართული სახლი, მას შემდეგ, რაც იგი რუსულში შევიდა, არა მარტო ფონეტიკურად მოსწყდა ქართულ ენას — შდრ. რუს. *сакля* — არამედ სემანტიკურადაც: ქართულში სახლი არის საზოგადოდ საცხოვრებელი შენობა, „სადგომი კაცთა“, ხოლო რუსულ ენაში *сакля* გავებულია როგორც „крестьянский дом на Кавказе“.

ამიტომ გასაკვირი არაა, როდესაც *сакля*-ს ფარდ სიტყვად ქართულში სახლ'ს არ მიიჩნევენ; პუშკინის პოემაში ეს ადგილი „Под влажной буркой в сакле дымной вкушает путник мирный сон“ — კ. ჭიჭინაძეს ასე უთარგმნია: „მგზავრს ხურავს ღამით ნაბადი სველი და სძინავს ქობში მშვიდის ძილითა“. ელგუჯას სახლი ხომ ტიპური „გლახური სახლია კავკასიაში“ და მაინც რუსულ თარგმანში გვაქვს არა *сакля*, არამედ *дом*: „ელგუჯა მივიდა თავის სახლთან“ — „Элгуджа подбежал к дому“ (ფ. თვალთვაძის თარგმანი); ოთარაანთ ქერივის სახლიც რუსულად *дом*-სიტყვითაა გადმოცემული

და აკაკის გამზრდელის „ისლით გადახურული ხის სახლი“ ც რუსულ თარგმანში არის „деревянный, крытый камышом дом“ და, ცხადია, არა сакля. ასევე, ვეაქსელური იოთამის სახლი თარგმნილია არა сакля-სიტყვით, არამედ хижина-თი: „...იკითხა იოთამმა, როცა სახლში შევიდა“ — „спросил Иотам войдя в хижину“.

თურქული დივანბეგ-სიტყვა ფონეტიკურ-სემანტიკური ცვლილებები-საგან ვერ იხსნა ამ სიტყვის ოფიციალურ-მწიგნობრული გზით შემოსვლამაც კი. ფონეტიკურად იგი გაცვდა, დიანბეგ'ად (დიამბეგ'ად) იქცა, და სემანტიკურადაც მნიშვნელოვნად შეიცვალა — სახელმწიფო საბჭოს წევრი წვრილფეხა მოხელედ ჩამოქვეითდა. გავიხსენოთ თუნდ ეს ადგილი „კაცია-ადამიანიდან“: „...მაშინ, რა დროს ამბავსაც მე ვწერ, დიანბეგი დიდი ბობოლა იყო; ეხლად, რომ, რაც ეს ოხერი სწავლა შემოვიდა, დიდ კაცად აღარ აგდებენ, თორემ უწინ — უპ — უპ! რა დიდი ვინმე ბრძანდებოდა. ასეთი დიდი, რომ კინალამ აზნაურის სტუმრობაზედ ნათქვამი ანდაზა დიანბეგზედ არ გადაკეთდა...“

47. გარკვეული, კონკრეტული სიტყვა გარკვეულ, კონკრეტულ ენობრივ კოლექტივს რომ გულისხმობს, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სიტყვის თანმხლები ემოციური იერი სწორედ გარკვეულ კოლექტივში გამოვლინდება. თუ, ზოგ შემთხვევაში, სიტყვებს როგორც გარკვეულ საგანთა აღმნიშვნელ ბგერათკომპლექსებს უკავშირდება გარკვეული ემოცია (გველი თავისთავად უარყოფითი ემოციის სიტყვაა, მერყხ-ლი — დადებითისა), — სხვა შემთხვევებში სათანადო ენობრივი კოლექტივის გამოცდილების მიხედვით ერთვის დადებითი თუ უარყოფითი ემოციური ელფერი ამა თუ იმ საგნის აღმნიშვნელ სიტყვას: თათართა შემოსევების გამოძახილია ის უარყოფითი ემოციური იერი, რომელიც თათარი-სიტყვას ახლავს ქართულში (ასეთი იერი არ ახლავს, მაგალითად, იტალიელ'ს). შავარდენი-სიტყვას ქართულში დადებითი იერი რომ აქვს, ხოლო ძერა-სიტყვას — უარყოფითი, ესეც ჩვენი ყოფის თავისებურებასთან არის დაკავშირებული: ძერა შინაური ფრინველების მტერია დიასახლისისათვის, შავარდენს კი წიწილებთან არაფერი ესაქმება, ხოლო როგორც სანადირო ფრინველი — გარკვეული სიმპათიებითაც სარგებლობს.

48. ამრიგად, იმისათვის, რომ სიტყვა და საზოგადოდ ლექსიკა სათანადო სისრულით იქნეს დახასიათებული, საჭიროა წმინდა „სემანტიკური ასპექტის“ ფარგლებს გავსცდეთ.

„სემანტიკურის“ გვერდით ლოგიკოსები ასახელებენ სიტყვის მიმართებას მოლაპარაკესთან.

ენის კვლევა მის მიმართებაში მოლაპარაკესთან“ ბევრ რამეს გულისხმობს: მეტყველებასთან (ლაპარაკთან) დაკავშირებული ფიზიოლოგიური პროცესების შესწავლას, სამეტყველო ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტის. გათვალისწინებას და, რაც ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა, სამეტყველო ჩვევების ეთნოგრაფიულსა და სოციალურ კვლევას სხვადასხვა სამეტყველო ჯგუფებში (ასაკის, სოციალური მდგომარეობის და სხვ. მიხედვით) [252]. მაშასადამე, ამა თუ იმ ენის ლექსიკა უნდა იქნეს განხილული მის მიმართებაში სათანადო კოლექტივთან, რომელშიც ეს ენა შეიქმნა, რომელიც ამ ენას მოიხმარს.

„სემანტიკურისაგან“ განსხვავებულ ამ თვალსაზრისს „პრაგმატულ ასპექტს“ უწოდებენ.

გერმანელი ფილოსოფოსი კლაუსი წერს: ენობრივ ნიშნებს ადამიანი საბოლოო ანგარიშში იყენებს იმისათვის, რომ თავისი აზრები სხვებს შეატყობინოს. ნიშნები, ამრიგად, კომუნიკაციის საშუალებებს წარმოადგენენ... ენობრივ ნიშანთა მეშვეობით აუცილებელია დაინტერესოთანამოსაუბრე, რომ მან კომუნიკაციაში, ურთიერთობაში მიიღოს მონაწილეობა. ეს მაშინ შეიძლება, როდესაც იყენებ ისეთ ენობრივ ნიშნებს, რომლებიც მიემართება თანამოსაუბრის გარკვეულ გრძნობებს. სურვილებს, იმედებს. მოლაპარაკე უბრალოდ კი არ გადასცემს მას ინფორმაციას, არამედ დაინტერესებულთა გამოიწვიოს თანამოსაუბრეში გარკვეული რეაქცია, გარკვეული გრძნობა [202].

„პრაგმატული ასპექტის“ ეს დახასიათება რამდენიმედ უფრო დაწვრილებითია, ვინემ ზემომოყვანილი (კარნაპისეული) დახასიათება, მაგრამ ვიწროა: იფარგლება ისეთი ენობრივი ნიშნებით, რომლებიც მიემართება თანამოსაუბრის ემოციებს და, ამრიგად, გამოგვაროცხვენებს მთელ იმ მასალას, რაც მეტ-ნაკლებად ნეიტრალურია გრძნობითი იერის მიხედვით.

ენობრივი ერთეულების შესწავლის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მხოლოდ ემოციურად შეფერილი სიტყვები, არამედ ის აზრობლივი მხარეც, რომელიც სხვადასხვა ენაში განსხვავებულია, მაშასადამე, გარკვეული ენობრივი კოლექტივის კუთვნილებაა და უკუყენს ამ ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულებას სათანადო ენობრივ ერთეულთან.

სხვა სიტყვებთან ურთიერთობა

49. სიტყვის ფუნქციონირებისათვის საჭიროა, აგრეთვე, რომ იგი ზიტყვათა ერთობლიობის წევრი იყოს.

არ არსებობს. ისეთი ენა, რომელიც ერთადერთი სიტყვისაგან შედგებოდეს, ისევე, როგორც საზოგადოდ წარმოუდგენელია ისეთი ნიშანთა „სისტემა“, რომელიც მხოლოდ ერთი წევრისაგან იქნებოდა შედგენილი.

ეს შეეხება თვით ისეთ მარტივ სიგნალს, როგორიცაა კარზე მიმაგრებული ზარის წკარუნი. როდესაც, მაგალითად, ერთი ზარით რამდენიმე მობინადრე სარგებლობს, ისინი, ჩვეულებრივ, შეთანხმებულნი არიან იმაზე, თუ რამდენჯერ დარეკვა რომელ ბინადარს ეხება. შესაძლებელია ზარის სხვაგვარი პირობითი გამოყენებაც, ვთქვათ, იმისათვის, რომ მომსვლელის ვინაობა აცნობონ მასპინძელს.

ზარის სხვადასხვაგვარ წკარუნს ამგვარი სიმბოლური მნიშვნელობა რომც არ მისცენ და მხოლოდ ერთი დარეკვა არსებობდეს „მნიშვნელობის“ დაუნაწევრებლად, იგი მაინც ცალკეული ფაქტიკური არის, არამედ ორწევროვანი სისტემის წევრია: ამ სისტემის მეორე წევრი არის ზარის უმოქმედობა.

რაც შეეხება ენას, იგი ათასობით (ასიათასობით) ნიშნისაგან შედგება და, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა მისი მოხმარება, თუ ნიშანთა ეს სიმრავლე არ მოწესრიგდებოდა, ე. ი. თუ ენა არ გვექნებოდა მოცემული ნიშანთა რაღაცნაირი სისტემის სახით.

იმისათვის, რომ სიტყვა ფუნქციონირებდეს, საჭიროა იგი სხვა სიტყვათა უშუალო მეზობლობაში ვლინდებოდეს, ე. ი. შესიტყვებაში. ფრაზაში, გაბმულ მეტყველებაში მონაწილეობდეს. ჩვეულებრივ, მას ზურგს უმაგრებს სხვა სიტყვებიც, რომლებიც კონკრეტულად ამ მეტყველების აქტში იქნებ უშუალოდ არც მონაწილეობენ, მაგრამ მოცემულ სიტყვასთან რაიმე მსგავსებას ავლენენ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენობრივ ერთეულთა კავშირები; მათი ურთიერთობა შეიძლება იყოს სინტაგმატური ანუ დისტრიბუციული, ან კიდევ ასოციაციური ანუ პარადიგმატული*.

50. აქვე უნდა გავხაზოთ, რომ გრამატიკისაგან განსხვავებით პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა არ არის ლექსიკური ფონდის ერთადერთი კონსტიტუციური ელემენტი. მაგრამ ეს გარემოება არ გვათავისუფლებს მოვალეობისაგან — ამ თვალსაზრისითაც იქნეს განხილული გარკვეული ენის (ჩვენს შემთხვევაში — ქართლის) ლექსიკა.

პ ა რ ა დ ი გ მ ა ტ უ ლ ი (ასოციაციური) ურთიერთობა ყველაზე მკაფიოდ ვლინდება იმგვარ ფაქტებში, როგორიცაა, მაგალითად, ქუთქუითი

* ამ წყვილის სახელთაგან პირველები სოსიერს ეკუთვნის, მეორენი ამჟამად გავრცელებული სიტყვათმარების ეთენილებას წარმოადგენენ.

და ტირილი, ხარხარი და სიცილი. სიტყვათა ამგვარი კავშირები დიდხანია შენიშნულია და კვლევის საგანსაც შეადგენს. ვ. აბაევმა ამ მეოთხედი საუკუნის წინ მოგვცა მათი პირველი მკაფიო დახასიათება:

„სიტყვის სემანტიკური * შინაარსი განისაზღვრება არა მხოლოდ იმით, თუ რას აღნიშნავს იგი, არამედ იმითაც, თუ რას უპირისპირდება იგი... სიტყვა-ანტაგონისტთა უმარტივესი მაგალითებია *ღღუ* და *ღაშე*, *ნათელი* და *ბნელი*... ანტაგონისტურის გვერდით სიტყვა-ცნებებს შორის არსებობს სხვაგვარი კავშირიც, რომელსაც ვუწოდებთ — რაკი უკეთესი ტერმინი არა გვაქვს — „სიმპათიკურს“. ორ სიტყვა-ცნებას შორის სიმპათიკური კავშირის შესახებ მაშინ ვლაპარაკობთ, როდესაც ისინი გარკვეულ პირობებში ერთმანეთს ენაცვლებიან. *ღღუსა* და *ნათელს* შორის, *ღაშესა* და *ბნელს* შორის სიმპათიკური კავშირია, მაშინ როცა პირველსა და მეორე წყვილს შორის ოპოზიციურია. ანტაგონისტურ მიმართებები მეტყველების ელემენტთა შორის ენას თითქოს ოპოზიციითა სისტემად აქცევს. პირიქით, სიმპათიკური მიმართებები ქმნიან წანამძღვრებს შეცვლა-შენაცვლებისათვის... ოპოზიციია, ერთი მხრით. და შენაცვლება, მეორე მხრით, შეადგენენ ორ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ფაქტორს მეტყველებისას“ [172].

ამგვარი — პარადიგმატული — მიდგომა ყველაზე ქმედითია მორფოლოგიაში (კერძოდ, მოძღვრებაში ფლექსიის შესახებ), მაგრამ იგი არ შეიძლება უგულვებელყოთ ლექსიკის შესწავლის დროსაც.

51. როგორც ვთქვით, სიტყვათა შორის არსებობს ე. წ. სინტაგმატური (დისტრიბუციული) ურთიერთობაც, ე. ი. ურთიერთობა, რომელიც არსებობს ენობრივ ერთეულთა შორის გაბმულ მეტყველებაში.

სინტაგმატიკა იკვლევს იმას, თუ ერთი ტიპის ენობრივ ერთეულთა შორის (მაგალითად, ფონემათა შორის, მორფემათა, სიტყვათა შორის და სხვ.) რომლების მეზობლობა არის დასაშვები ამა თუ იმ ენაში და რომლებისა — არა. ამგვარი ურთიერთობის კვლევა ბევრ შემთხვევაში ფასეულ შედეგებს იძლევა. ასე, მაგალითად, ნ. ტრუბეცკოიმ გაარკვია, რომ ბერძნული ფონოლოგიური სისტემა ამომწურავად შეიძლება დახასიათდეს იმის მიხედვით, თუ თითოეული ფონემა რომელი ფონემის მეზობლად შეიძლება იდგეს **. მაგრამ ტრუბეცკოი იქვე შენიშნავს, რომ ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია. არის ენები, სადაც შეხამების

* ამ სიტყვის ფართო (და არა ზემოწარმოდგენილი გაგებით. რასაც ვ. აბაევი „იდეოსემანტიკას“ უწოდებს.

** ამ ფონემათა ფიზიკური სუბსტანციის გაუთვალისწინებლად.

წესების მიხედვით ფონემათა კლასიფიკაცია ჩანასახურადლა შეიძლება გატარდეს. მაგალითად, ბირმულში შეხამების წესთა საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ ფონემათა მხოლოდ ორი კლასი—ხმოვნები და თანხმოვნებიო [263].

ტრუბეტკოის შემდეგ ამერიკულ ენათმეცნიერებაში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ შეხამების წესთა დადგენას. იმედოვნებდნენ, რომ მთელი ენის, მისი ყველა მოვლენის ამომწურავი დახასიათება შესაძლებელია შეხამების წესთა გათვალისწინებით ანუ (როგორც ისინი უწოდებენ, და ეს სახელწოდება შემდეგ საყოველთაოდ გავრცელდა) დისტრიბუციული ანალიზის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ დისტრიბუციული ანალიზისათვის ამგვარი უნივერსალური ხასიათის მიწერა გაზვიადებული ჩანს, — უარი არ უნდა ვთქვათ იმ დახმარებაზე, რაც შეიძლება გავვიწიოს ამა თუ იმ ტიპის ენობრივ ერთეულთა შეხამების წესების შესწავლამ.

სიტყვათა შეხამების წესებს და შესიტყვებათა ტიპებს მათი აგებულების თვალსაზრისით შეისწავლის გრამატიკის დარგი — სინტაქსი.

მაგრამ სიტყვები ერთმანეთს შეეხამებიან არა მხოლოდ აგებულების, არამედ შინაარსის მიხედვითაც.

ერთპირიანი (აბსოლუტური) ზმნა სახელს მართავს სახელობით ბრუნვაში; ქართულში ამიტომ ბუნებრივია, ე. ი. გრამატიკის წესების მიხედვით სავსებით გამართულია, ისეთი შესიტყვებანი, როგორიცაა: *ცხენი ჭიხინებს, ქათამი კაკანებს* და სხვ. მაგრამ გრამატიკული სისწორის მიუხედავად შეუძლებელია ქართულად ვთქვათ — *„ცხენი კაკანებს“* ან *„ქათამი ჭიხინებს“*. ამის საშუალებას არ იძლევა, პირველ ყოვლისა, ის მნიშვნელობანი, რომლებიც ამ სიტყვებშია ჩაქსოვილი.

გარკვეულ სიტყვათა შეხამების შესაძლებლობა-შეუძლებლობას, ამრიგად, განსაზღვრავს მათი სემანტიკა.

რამდენადაც საზოგადოდ სემასიოლოგია გარკვეული ბგერადობისა და ამა თუ იმ საგნის (მოვლენის) ურთიერთმიმართებას შეისწავლის, წინდაწინვე შეიძლება ვთქვათ, რომ ცხენის აღმნიშვნელ სიტყვასთან კაკანის აღმნიშვნელი სიტყვის დაკავშირება, ან ქათმის აღმნიშვნელი სიტყვისა და ჭიხინის აღმნიშვნელი სიტყვის ერთ სინტაგმაში მოქცევა არა მხოლოდ ქართულშია შეუძლებელი, არამედ სხვა ენებშიც დაუშვებელია. ასე, მაგალითად, რუსულ ენაში შეუძლებელია *посады-ан конь* და *кудахтать-ситყვების* დაკავშირება. ერთად ხმაურება, ან *ржаты-სიტყვის* გვერდით *курица-სიტყვის* თქმა.

52. ეს კია, რომ შეიძლება არსებობდნენ ისეთი ხალხები, რომელთაც ქათმები (ან ცხენები) არ ჰყოლიათ და მათი სახელებიც არ იციან. ცხა-ლია, სათანადო ენებში არ იარსებებს ცხენი ჭიხინებს- ან ქათამი კაკანებს- სინტაგმათა მსგავსი გამოთქმები (ისევე, როგორც ქართულში არა გვაქვს გამოთქმა, რომელიც კუნძურს-სიტყვასა და სათანადო ცხოველის ხმიანობის გამომხატველ სიტყვას ერთ შესიტყვებაში შეაერთებდა — უბრალოდ იმ მიზეზით, რომ კენგურუები ჩვენში არ ბინადრობენ, მათი ხმიანობა ქართველს არ გაუგონია და ამიტომ ამ ხმიანობის გადმომცემი — ჭიხინი- და კაკანი-სიტყვების ფარდი — სიტყვა ქართულ ენაში არ მოიპოვება).

მაგრამ გარდა ისეთი შემთხვევებისა, რომლებშიც უშუალოდ არის უკუფენილი ამა თუ იმ ხალხის — ენობრივი კოლექტივის — ცხოვრება. ენაში გვხვდება, აგრეთვე, ისეთი სიტყვათშეხამებანი, რომლებიც ავტონომიურნი არიან სემანტიკურ შესაძლებლობათაგან და მათი „პრაგმატული“ რეალიზაციებისაგან: ენაში გვხვდება ენობრივი ჩვევით შეპირობებული სიტყვათშეხამებანი.

ასე, ქართულში ჩვეულებრივია შესიტყვება ტყვიამფრქვევი კაკანებს, რუსულში კი შეუძლებელია მისი სიტყვასიტყვით გადათარგმნა: кудах-тать არამც და არამც არ ითქმის пулемет-სიტყვაზე; აქ საამისოდ იხმარება дронь, რასაც ქართულში შეესაბამება რაკარუი, რაკრაკი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — კაკანი; ქათმის კაკანი რუსულად არ ითარგმნება როგორც „дронь курицы“ (ასევე, ქართულად „ტყვიამფრქვევის რაკრაკი“ არ შეიძლება ვიხმაროთ пулеметная дронь-ის ფარდად). ამრიგად, გამოთქმა ქათამი კაკანებს დასაშვებია „ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ა დ“, რეალიზებულია ქართულ ენობრივ კოლექტივში, მაგრამ ამასთანავე წარმოადგენს ქართულ ენაში დამკვიდრებულ, საკუთრივ ქართულ ენობრივ ფაქტს — ლექსიკური „ს ი ნ ტ ა გ მ ა ტ ი კ ი ს“ ფაქტს.

53. ლექსიკური სინტაგმატიკა დააფუძნა ვალტერ პორციგმა [258, 259]. პორციგის სამართლიანი მტკიცებით, თითოეული სიტყვა გარკვეულ კონტექსტს მიეკუთვნება: ქერა იშა, ენით ლოკავს, ზეს ჩეზენ... ამ კონტექსტთა, სიტყვების ამ კავშირთა დადგენა იძლევა მთელი ლექსიკური ფონდის დანაწევრებას.

ყველაზე ელემენტარული მიმართება არის მიმართება ორ სიტყვას შორის, რომელსაც პორციგი უწოდებს „არსითს სემანტიკურ მიმართებებს“ (რადგან ისინი ემყარებიან „ნაგულისხმევ მნიშვნელობათა თვით არსს“).

მიმართება შეიძლება იყოს მოქმედებისა — ამ მოქმედების მომხდენ ორგანოსთან (მაგალითად, მიმართება ლოკავსა და ენას შორის),

ან მოქმედებისა — მის სუბიექტთან (მაგალითად, მიმართება ა ყ ვ ა ვ ე ბ ა ს ა და მ ც ე ნ ა რ ე ს შორის) და სხვ.

ამგვარ მიმართებათა ბირთვად პორციგი მიიჩნევეს ზმნასა და ზედსართავს, რადგან პრედიკატულობა მხოლოდ ამ სიტყვებით არის წარმოდგენილი. „პრედიკატულობის“ შემოტანით პორციგი, — მიუხედავად იმისა, რომ თავის ელემენტარულ ველებს ენობრივ ხასიათს მიაწერს, — გზას უხსნის ლოგიციზმს — სიტყვათა ნაცვლად ცნებათა ურთიერთობის შესწავლას; ჩვენთვის კი საინტერესოა საკუთრივ ენობრივი მოვლენები, ე. ი. ოდენ უზუალური, ხ მ ა რ ე ბ უ ლ ი, ლექსიკური ფაქტები და არა ზოგადად სემანტიკური შე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ე ბ ი. გარდა ამისა, პორციგის ნაშრომებში წარმოდგენილი თეორიული წანამძღვრებიც არ არის გასაზიარებელი [89]. მიუხედავად ამისა, „ელემენტარული ველების“ გამოყოფა ყურადღებას იმსახურებს როგორც ლექსიკური სინტაგმატიკის საფუძვლიანი კვლევა *.

54. აღსანიშნავია, რომ სინტაგმატიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გრამატიკაში, სახელდობრ ენის სინტაქსური მხარის დახასიათებისას; ენის ლექსიკურ-სემანტიკური მხარის შესწავლისას მისი შემეცნებითი ღირებულება ნაკლებია, თუმცა უნდა გავხაზოთ, რომ იგი აქაც არ შეიძლება უგულვებელყოთ (ისევე როგორც პარადიგმატული მიდგომა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე ქმედითია მორფოლოგიაში, თუმცა ლექსიკის შესწავლის დროსაც პარადიგმატიკა უთუოდ გასათვალისწინებელია).

თვით სახელწოდებანი *სინტაგმატიკა* და *პარადიგმატიკა* საკუთრივ გრამატიკული ტერმინებიდან მომდინარეობენ: პირველს *სინტაქსი-*სიტყვის საზიარო ფუძე აქვს. სინტაქსის ტერმინს *სინტაგმა*-ს ემყარება, მეორე კი მორფოლოგიაში დამკვიდრებული *პარადიგმა*-სიტყვიდან არის ნაწარმოები.

ენის ლექსიკურ-სემანტიკური მხარისათვის პარადიგმატიკისა და სინტაგმატიკის მნიშვნელობა დაახლოებით იმგვარივეა, როგორც ფონოლოგიისათვის:

ფონოლოგიაში ერთიც და მეორეც (ე. ი. პარადიგმატიკა — მოძღვრება ოპოზიციათა შესახებ, და სინტაგმატიკა — მოძღვრება ფონემათა შეხამების შესახებ) ვლინდება ფონემის ფიზიკური სუბსტანციის ფონზე; ფონემა, პირველ ყოვლისა, ბგერითი ტიპია, წარმოქმნილი ამა და ამ სამეტყველო ორგანოთა ასეთი და ასეთი მოძრაობით.

* ჩვეულებრივ. „სემანტიკურ ველში“ გულისხმობენ ლექსიკური პარადიგმატიკის ფაქტებს.

ასევე, სიტყვაში როგორც ლექსიკოლოგიის ერთეულში, პირველ ყოვლისა, ანგარიში ეწევა მის საგნობრივ მიმართებას და მხოლოდ ამ ფონზე ხდება მისი ჯერ „პრაგმატული“ და შემდეგ „საკუთრივ-ენობრივი“ დახასიათება — პარადიგმატიკისა და სინტაგმატიკის მიხედვით.

ისტორიული თვალსაზრისი ლექსიკის შესწავლაში: ანტიისტორიული სოციოლოგიზმი. — ენა მოხმარებაში იცვლება. — სისტემა და ისტორია ფონეტიკა-გრამატიკისა და ლექსიკაში. — ისტორიულობისა და სოციალურობის ურთიერთობისათვის. — ეტიმოლოგია. — აღწერითი სემასიოლოგიის მნიშვნელობა.

55. სიტყვა რომ ფუნქციონირებს, ეს კიდევ ერთი პირობის წყალობით ხდება: იგი დროში არსებობს. გავიხსენოთ, რომ ამ სამოციოდე წლის წინათ დროს „მეთხე განზომილება“ უწოდეს: თვით ფიზიკურ მოვლენათა ბუნების გარკვევისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა მათი შესწავლა მხოლოდ სივრცეში, სამი განზომილების მიხედვით. მით უფრო ეს ითქმის სიტყვის შესახებ.

სიტყვა (ისევე როგორც სიტყვათა მთელი ერთობლიობა, ანუ ლექსიკური ფონდი. და ისევე როგორც ენა მთლიანად, რომლის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს ლექსიკა) დროთა განმავლობაში რომ იცვლება, ეს საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტია.

ანტიისტორიული სოციოლოგიზმი

56. ზოგიერთ საენათმეცნიერო მიმდინარეობაში, კერძოდ, სოსიურიანელების მიერ სადავოდ იქნა მიჩნეული დროის ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობა ენობრივ მოვლენათა მეცნიერული შესწავლისას. ამ შემთხვევაში აზრთა მსვლელობა ასეთია: უეჭველია, რომ ენა სოციალური მოვლენა არის, ე. ი. ენის ძირითადი ფუნქციაა — ადამიანის ურთიერთობის საშუალება იყოს; ხოლო ენის საურთიერთოდ გამოყენება არ საჭიროებს ენობრივი ფაქტების ისტორიის ცოდნას: ვთქვათ, როდესაც მინდა თანამოსაუბრეს გავაგებინო, რომ ჩემი მშობლიური დასახლებული პუნქტი არის სოფელი (და არა, ვთქვათ, დაბა), — არც მე და არც ჩემს თანამოსაუბრეს არ გვეჭირდება იმის ცოდნა, რომ სოფელი ოდესღაც 'ქვეყანას' (страна'ს) აღნიშნავდა (ხოლო დაბა 'სოფლის', 'დასახლებული ადგილის' деревня'ს აღმნიშვნელი სიტყვა იყო).

ენობრივი ურთიერთობისათვის არსებითია არა ის, თუ როგორ იცვალა ესა თუ ის ენობრივი ერთეული, არამედ ის, რომ ეს ერთეული მოსაუბრეთა თანამედროვე ენობრივი სისტემის წევრი არისო. ამისდა მიხედვით, ენის მეცნიერული შესწავლა, რაკი იგი, ბუნებრივია, უნდა ემყარებოდეს ენის ძირითად ფუნქციას, „გაგებინებას“, მათი ვარაუდით, არ საჭიროებს ისტორიულ თვალსაზრისს [229].

რა ითქმის ამგვარი შეხედულების შესახებ?

რა თქმა უნდა, ენა ლინგვისტიკისათვის საინტერესოა, პირველ ყოვლისა, სწორედ როგორც გაგებინების საშუალება; ენათმეცნიერი, ამრიგად, ენას და ენობრივი სისტემის ცალკეულ რგოლებს, ენობრივ ერთეულებს სწავლობს იმდენად, რამდენადაც ისინი კომუნიკაციაში მონაწილეობენ, რამდენადაც ისინი მოიხმარებიან მოლაპარაკეთა მიერ, რამდენადაც ისინი ფუნქციონირებენ.

როგორია ენის ფუნქციონირებისა და ენის ცვალებადობის ურთიერთობა? სოსიურიანელი შ. ბალი მათ ურთიერთობას ასე ახასიათებს: „ენები განუწყვეტლივ იცვლებიან, მაგრამ მათ ფუნქციონირება მხოლოდ უცვლელებს შეუძლიათ“*. როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ წინააღმდეგობას? შ. ბალი გამოსავალს პოულობს ვარაუდში, რომ „თავიანთი არსებობის თითოეულ მომენტში ენები წარმოადგენენ დროებითი წონასწორობის პროდუქტს“ [178]. მაგრამ თუ ასეთ ვარაუდს გავიზიარებთ, თვით ცვალებადობის ფაქტი იქნება გაუგებარი: რატომღა ირღვევა წონასწორობა, რატომ იცვლება ენა, თუ მისი ფუნქციონირება მხოლოდ უცვლელობის პირობებში არის შესაძლებელი?

ენა მოხმარებაში იცვლება

მ. ს. ამ სიძნელიდან თავის დაღწევა შეიძლება იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ენა იცვლება მოხმარებაში — „ენის გამოყენება აუცილებლად იწვევს მის ცვლას“ [218]. ყველა სიახლე, ენაში თავდაპირველად სპორადულად რომ იჩენს თავს და შემდეგ კი გაბატონებული სახით გვევლინება, ჩნდება და ვრცელდება ენის მოხმარებისას, ენის ფუნქციონირებისას [შდრ. 209].

ამრიგად, მოლაპარაკისა და მსმენელის განკარგულებაში არის არა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ენობრივი სისტემა, ან თუნდ დროის გარკვეულ მონაკვეთში უცვლელი, მყარი სისტემა, არამედ მოსაუბრენი მოიხმარენ დინამიკურ, ცვლად სისტემას.

რაკი ენა დინამიკური სისტემაა, ცხადია, ენის სისტემური ხასიათი და მისი ცვალებადობა ერთმანეთს არ უპირისპირდება და არ გამორიცხავს.

ასევე, ერთმანეთს არ გამორიცხავს ენის გამოყენება — ფუნქციონირება — და ენის ცვალებადობა, რადგან ენა ცვალებადობას მის გამოყენე-

* «Язык непрерывно изменяется, но функционировать он может только не меняясь» [178].

ბისას განიცდის — არ იცვლება მხოლოდ ის ენა. რომელსაც ურთიერთობის საშუალებად არ იყენებენ [131].

დამარწმუნებელი არ არის ენის სისტემურობის დაპირისპირება: მის ცვალებადობასთან — მოლაპარაკის ცნობიერებაზე მითითებით: ვინც ამბობს, რომ მოლაპარაკისათვის ენობრივი ერთეულების ისტორიულ ცვალებადობას არა აქვს მნიშვნელობა, და ამიტომ ის არც უნდა გავითვალისწინოთო, — მას ამავე უფლებით შეიძლება უპასუხოთ: მეტყველების პროცესში, ამა თუ იმ ენობრივი ერთეულების გამოყენებისას. მოლაპარაკისათვის ენობრივი სისტემაც არ არსებობს მის მთლიანობაში: იმ მომენტში, როდესაც მოლაპარაკე და მსმენელი თავიანთი მშობლიური დასახლებული პუნქტის შესახებ ლაპარაკობენ და *სოფელს* ახსენებენ, მათთვის ცნობიერად არსებობს მხოლოდ საგნობრივი მიმართება, ე. ი. აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ერთიანობა, და *სოფელი-სიტყვის* არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა არ აინტერესებთ, არამედ თვით ეს სიტყვა შეიძლება არც შეიგარძნონ როგორც ენობრივი სისტემის წევრი: მეტყველების პროცესში სავალდებულო არაა მოლაპარაკეს „წარმოუდგეს“ *სოფელი-სიტყვის* გვერდით სხვა, წარმოებით მასთან დაკავშირებული, სიტყვები — *სასოფლო, სოფლური, სოფელი...*, *სოფელი-სიტყვასთან* ფრაზაში ხშირად დაკავშირებული სხვა სიტყვები — *მადალმთიანი (სოფელი), (სოფლის) მასწავლებელი...* ანდა *ზები და გამოთქმები, სადაც ეს სიტყვა მონაწილეობს — „სოფელი ვნახე უძალო...“ „ბინდის ფერია სოფელი...“*; მოლაპარაკეს შეიძლება არ წარმოუდგეს *სოფელი-სიტყვასთან* ასოციაციურად დაკავშირებული სიტყვები: *ღაბა, ქალაქი, შუკა, ორდობე...*

მეტრაც: ენობრივი სისტემა (მთელი თავისი მოცულობით) არა მხოლოდ ცალკეულ სამეტყველო აქტებში (კონკრეტული ლაპარაკისას) არ არის წარმოდგენილი მეტყველის ცნობიერებაში, არამედ მთელი ენობრივი სისტემა ცალკე ინდივიდშიც არ არსებობს სრულად. ენა როგორც სისტემა, სოსიურის თქმით, პოტენციურად არსებობს ინდივიდთა მთელი ერთობლიობის ტვინებში, რადგან ენა არ არსებობს მთლიანად არც ერთ მათგანში, ის მხოლოდ მასაში არსებობს [229].

როგორც ცალკე სამეტყველო აქტი არ არის საკმარისი ენობრივი სისტემის მთლიანად წარმოდგენისათვის, ასევე სინქრონულ კრილში წარმოდგენილი ენობრივი ფაქტები არ კმარა იმისათვის, რომ სრულად აღიწეროს ენობრივი სისტემა.

რაც ითქვა საზოგადოდ ენობრივი სისტემის დინამიკური ხასიათის შესახებ, ის კიდევ უფრო მეტი უფლებით შეიძლება გამეორდეს. როდესაც საკითხი შეეხება ამ სისტემის ერთ მხარეს — ლექსიკას.

სისტემა და ისტორია

ფონეტიკა-გრამატიკასა და ლექსიკაში

მხ. ფონეტიკასა და გრამატიკაში ხშირად ეხვდებით სისტემის დარღვევის ფაქტებს, ეგრეთ წოდებულ გამონაკლისებს (მაგალითად, დეფექტურ სამეულს ქართულ ხშულ ფონემებში, არაწესებრივ ბრუნებას, თავისებურ ზმნათა ფორმებს და სხვ.); რაც შეეხება ლექსიკას, იგი მეტად სწრაფი ტემპით იცვლება: სიტყვათა გარკვეული ჯგუფი, სანამ ქვესისტემად ჩამოყალიბდებოდეს, უკვე სხვა ფაქტორების გავლენას განიცდის, ირღვევა და ახალი, სხვა, მომავალი ქვესისტემების კომპონენტებად ნაწილდება; ამიტომ „გამონაკლისებზე“ აქ არ ლაპარაკობენ.

ფონეტიკურ და მორფოლოგიურ მოვლენებში ცვალებადობის ნელი ტემპი ქმნის ილუზიას, თითქოს ენა სტატიკურ სისტემას წარმოადგენდეს და ამ სისტემის დარღვევის ფაქტები მხოლოდ ცალკე შემთხვევები იყოს, ე. ი. გამონაკლისები, რომლებიც საერთო სურათს არ ცვლიან.

სხვა ვითარებაა ლექსიკონში. აქ ცვალებადობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ სტატიკურ „სისტემასა“ და „გამონაკლისებზე“ ლაპარაკიც არ შეიძლება. ლექსიკის ცვალებადობა იმაზე მიუთითებს, რომ ენის სახით ჩვენს წინაშეა დინამიკური, განვითარებადი სისტემა, ამიტომ ლექსიკის შესწავლისას კიდევ უფრო მეტად არის საჭირო ისტორიული თვალსაზრისის მომარჩევა. ლექსიკური სისტემის საწვდომად აუცილებელია შევისწავლოთ მის კომპონენტთა — ცალკე ლექსიკურ ერთეულთა და ამა თუ იმ სიტყვათჯგუფების განვითარების ისტორია და დაეადგინოთ ის ზეზები და მიზეზები, რომლებმაც ეს ცალკეული ოდენობანი ერთმანეთს გვერდით ამოუყენა [91ა, 238].

ისტორიულობისა და

სოციალურობის ურთიერთობისათვის

მ9. რა დამოკიდებულება არსებობს ისტორიზმის ამ გაგებასა და ენის სოციალურობის აღიარებას შორის? ხომ არ გვაიძულებს ისტორიულ თვალსაზრისზე დგომა, რომ დავთმობთ სოციოლოგიური პონიციისა და დაეუბრუნდეთ ენის რაობის ინდივიდუალისტურ გაგებას. იმ გაგებას, რომლის მიხედვითაც რეალურია, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ინდივიდუალური ენა, და რომ ყველა ინდივიდს საკუთარი ენა აქვს [257].

ლაპარაკისას თითოეული ინდივიდი თავისებურად იყენებს ენას. ცხადია, მისი თავისუფლების საზღვრები შემოფარგლულია — თუ მოლაპარაკე იმდენად თავისუფლად მოექცევა ენობრივ ფაქტს, ე. ი. ისე

თავისებურად ილაპარაკებს, რომ სხვები ვერ გაუგებენ, მაშინ ენობრივ ურთიერთობასაც აღარ დაურჩება ადგილი, კომუნიკაცია შეუძლებელი იქნება.

მაგრამ კომუნიკაციის შესაძლებლობის ფარგლებში თითოეული მეტყველი თავისუფალია, თითოეული მეტყველი თავისებურად ლაპარაკობს და თავისუფლად იყენებს მის განკარგულებაში არსებულ ენობრივ საშუალებებს (იხ. ზემოთ, § 20).

ეს თავისებურებანი მეტწილ შემთხვევებში შეუმჩნეველია. ანდა, თუნდაც რომ შეამჩნიონ, მას ამა და ამ მეტყველის თავისებურებად მიიჩნევენ ენობრივი კოლექტივის დანარჩენი წევრები. ამგვარი ინდივიდუალური თავისებურებანი, როგორც წესი, საყოველთაოდ არ ვრცელდება.

მაგრამ გამონაკლისის სახით ზოგიერთი ინდივიდისმიერი სიახლე სხვა ინდივიდებსაც „გადაედება“ ხოლმე, ვრცელდება, მთელი ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი ხდება და, ამრიგად, ენაში მკვიდრდება.

ამ აზრით თითოეული საერთოენობრივი მოვლენა თავისი წარმოშობით ინდივიდისმიერია.

„ნეოგრამატიკოსთა მანიფესტში“ ხაზგასმულია, რომ „ყველა ცვლილება ენის ცხოვრებაში შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკე ინდივიდისაგან მომდინარეობდეს“ [256]. სოსიური, ნეოგრამატიკოსთა თანამედროვე და ენის ახლებური, სოციოლოგიური გაგების მესვეური, ამ საკითხში ნეოგრამატიკოსების პოზიციაზე დგას: სოსიურის თქმით, „არაფერი შემოდის ენაში, რაც წინათ არ ყოფილიყოს განცდილი მეტყველებებაში, და ევოლუციის ყველა მოვლენის ძირი ინდივიდშია“ [229].

აქ იქნებ კითხვა გაჩნდეს: ჩვენი მსჯელობიდან ისე ხომ არ გამოდის, რომ ენის, მისი სისტემის ისტორიული თვალსაზრისით განხილვამ უარი უნდა გვათქმევინოს ენის შესწავლაზე სოციალური ასპექტით? გარდა ამისა, „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა...“ — ვის შეუძლია აღრიცხოს ყველა ინდივიდუალური გადახრა და, მით უფრო, მათი მოტივები. თითოეული მათგანის გამომწვევი მიზეზები, რომ შემდეგ ამაზე ააგოს ენაში ცვალებადობათა შესწავლა, ენის ისტორია?

მ. ი. წ. „ტრადიციული ენათმეცნიერებისათვის“ არსებობდა ალტერნატივა ინდივიდუალურ ცვლილებებსა და საერთოენობრივ ნორმას შორის. ასე. პ. პაული ლაპარაკობს ოქაზიონალური (ე. ი. შემთხვევითი) ცვლილებებისა და უზუალური (ე. ი. მიღებული, დაწესებული, ნორმირებული, ჩვევაზე დამყარებული) მოვლენების შესახებ; პაულის

მტყიცებით, ენობრივ-სოციალური სხვა არაფერია. თუ არა გაბატონებული და გაქვეყებული ინდივიდუალური მოვლენა [257].

ფერდნანდ დე სოსიურის თქმით, ყოველი ახალი მოვლენის ისტორიაში ეხედებით ორ განსხვავებულ მომენტს. პირველია ინდივიდებთან გამოვლენის მომენტი, მეორე — მისი ენობრივ ფაქტად გადაქცევის მომენტი, როცა ეს ახალი მოვლენა, რჩება რა გარეგნულად იმადვე. მიიღება კოლექტივის მიერ [229].

გამოდის, რომ ცვლილება, რომელიც ისტორიზმისათვის ამოსავალია (იქ, სადაც ცვლილებას არა აქვს ადგილი, — არც ისტორიაზე შეიძლება ვილაპარაკოთ), ინდივიდისმიერია, ხოლო რაც ენაში სოციალურია, ის უკვე დამკვიდრებული მოვლენაა, უცვლელობაა.

როგორ უნდა მოხერხდეს ისტორიის პოზიციაზე დგომა და სოციოლოგიური თვალსაზრისის დაცვა?

81. არის ენის არსებობაში ისეთი მომენტები, როდესაც ერთდროულად ჩანს ენის ისტორიული ხასიათი და სოციალური ბუნებაც.

ამ მომენტებს ყურადღება მიაქცია გერმანელმა ენათმეცნიერმა კარლ ფოსლერმა.

ფოსლერმა იმით დაიწყო, რომ ენა გამოაცხადა წმინდა ინდივიდუალურ შემოქმედებად, ხოლო შემოქმედი გენიოსების მიერ შემოტანილ სიახლეთა გავრცელება (მიღება-გამოყენება) თუთიყუშობად მიიჩნია: „გამეორება თუთიყუშის საქმეა... ის, ასე ვთქვათ, გაპიროვნებული ენობრივი კონვენციაა, წმინდა პასივობა“ [266].

მაგრამ იმ გადაულახავმა სიძნელებმა, რომლებიც ინდივიდუალისტურმა თვალსაზრისმა გააჩინა [90, 132, 239], კარლ ფოსლერი აიძულა დაეშვა მესამე მოვლენა, ერთი მხრით ინდივიდუალურ შემოქმედებას, აქტივობასა და, მეორე მხრით, კოლექტიურ, სოციალურ პასივობას („თუთიყუშობას“) შორის:

„ენობრივი ექსპრესია წარმოიქმნება ინდივიდუალურ მოქმედებაში, მაგრამ იგი მოქალაქეობრივ უფლებას მოიპოვებს მაშინ, როდესაც მას გადააკეთებენ ხოლმე, მას ითვისებენ. იმეორებენ: ან პასიურად. ან კიდევ შეცვლილად, შესწორებულად — შესუსტებულად ან გაძლიერებულად, მოკლედ, ერთობლივი მოქმედებით კოლექტიურ საქმიანობაში. ენა, როდესაც იგი განხილულია წარმოქმნის ანუ აბსოლუტური პროგრესის მომენტში, რაღაც ინდივიდუალური და აქტიურია: უმოქმედობისა (Stillstand) და ვანმტყიცების (Festwerden) მომენტში პასიური რამაა; რელატიური პროგრესის მომენტში განხილული, ე. ი. განხილული არა როგორც შემოქმედება, არამედ

როგორც განვითარება, ენა არის კოლექტიური გონითი მოქმედება“ [267. დაყოფა ჩვენია—ბ. ფ.].

აქ ადგილი არ არის გავაანალიზოთ და დავაფასოთ ფოსლერის მიერ გამოყენებული თითოეული ცნება [90, 132, 197].

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საყურადღებო ის არის, რომ, ერთი მხრით, ინდივიდუალურ ცვლილებებსა და, მეორე მხრით, კოლექტიურ პასივობას, ნორმას შორის დანახულია ენობრივი განვითარების საფეხური. რომელშიც ერთდროულად წარმოდგენილია ცვლებადობაც და კოლექტიურობაც (ურთიერთობა), სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენა განიხილება როგორც ისტორიული და, იმავდროულად, როგორც სოციალური მოვლენა:

ენა ე ბ ა დ ო ბ ა		
ინდივიდუალური ცვლილება	ცვლილების გავრცელება ენობრივ კოლექტივში	შამზარეულის მოხმარება
ურთიერთობა		

ინდივიდისმიერი სიახლეების გავრცელებისათვის. ამ გავრცელების პირობებისა და შედეგებისათვის თვალის მიდევნებამ უნდა მოგვეცეს წარმოდგენა ენის როგორც დინამიკური სისტემის შესახებ *.

ენათმეცნიერების ამოცანა არის ენობრივი ფაქტის განხილვა მის ცვლებადობაში — გავრცელება-დამკვიდრებაში — და, რა თქმა უნდა, იმავდროულად, სხვა ენობრივ ფაქტებთან ურთიერთობაში. ყოველგვარი სხვა განხილვა იმდენად იქნება ანგარიშგასაწევი და გასათვალისწინებელი, რამდენადაც ამ ამოცანის შესრულებას დაეხმარება.

აღწერა ცალკეული ენობრივი ფაქტისა, ამ ფაქტის სხვა ენობრივ ფაქტებთან ურთიერთობისათვის თვალის გადევნება, ენაში სათანადო ენობრივი კოლექტივის სტრუქტურისა და ისტორიის უკუფენის შესწავლა ან, უბრალოდ, ენაზე საზოგადოების გავლენის შესწავლა და

* ერთი მხრით, ენას გარკვეული ავტონომია ახასიათებს; ეს ავტონომია ვლინდება იმით, რომ მას განვითარების საკუთარი ტრადიცია და გზა აქვს; ის აურაცხელი მასალა. რომელსაც მას სხვადასხვა ინდივიდები აწვდიან, ენის მიერ გადაისინჯება: რა მათგან მხოლოდ ისეთი შეირჩევა, რომელიც უკეთ შეესაბამება ენის განვითარების ტენდენციას. მეორე მხრით, სოციალური რიგის აუარებელი მოვლენის მოქმედებით ენობრივ კოლექტივში იქმნება გარკვეული სიმპათიები, რომლებიც ამ არჩევანს განსაზღვრავენ [90].

ბევრი სხვაც — ცალკეული ასპექტებია ენის კვლევისა და, ვიმეორებთ, თითოეული მათგანი ფასეულია და ღირებულია იმდენად, რამდენადაც იგი დაგვეხმარება შევისწავლოთ ენა როგორც ადამიანთა საზოგადოებაში არსებული, ამ საზოგადოების მიერ შექმნილი განვითარებადი სისტემა.

აქ წარმოდგენილი ამოცანის შესრულება მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. შემდგომში, როდესაც ჩვენ საგანგებოდ ქართული ლექსიკის მიმოხილვას შევეუდგებით, ბევრი რამ შეუსრულებელი დაგვრჩება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პროგრესი ქართული ენის ლექსიკოლოგიაში გაიზომება იმის მიხედვით, თუ რამდენად სრულად იქნება მიმოხილული ლექსიკური მოვლენები, რამდენად მოხერხდება ამ მოვლენათა ურთიერთკავშირის დადგენა, ამ მოვლენათა ცვლილების გათვალისწინება და ამ ცვლილებათა მიზეზების მიგნება.

ეტიმოლოგია

62. ლექსიკის ისტორიული შესწავლის აუცილებლობაზე რომ ვლაპარაკობთ, გაკვრით მაინც უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი საეხათქეცნიერო დისციპლინის სახელი. ესაა ეტიმოლოგია.

ეტიმოლოგია ისტორიული ლექსიკოლოგიის ნაწილია. მას საქმე აქვს ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობის განვითარების უძველეს საფეხურთან — მნიშვნელობის წარმოქმნასთან.

თვით ცოდნის ამ დარგის სახელწოდება (ეტიმოლოგია) შემუშავებულია სტოიკოსების მიერ [174], მაგრამ, ცხადია, მანამდეც, ბერძნული ფილოსოფიური თუ ფილოლოგიური ტრადიციისაგან დამოუკიდებლად, არსებობდა ინტერესი იმ საკითხისადმი, თუ რატომ ჰქვია ამა თუ იმ საგანს ესა და ეს სახელი. ამგვარი კითხვა ადამიანს ყოველთვის უჩნდებოდა და მისთვის პასუხის გაცემას იმთავითვე ცდილობდა. ამიტომ გვხვდება ყოველ ენაში გულუბრყვილო განმარტებები — „ხალხური ეტიმოლოგიები“.

ძველ ელინთა ამგვარი ეტიმოლოგიური ვარჯიშის ნიმუშებით, როგორც მიუთითებენ, მთელი ტომები შეიძლება შედგეს. ეტიმოლოგიური ვარჯიში ძველი ბერძნების შემდეგაც გრძელდება (და თვით ჩვენს დრომდეც გვხვდება). მაგრამ ეტიმოლოგია როგორც სამეცნიერო დისციპლინა ენათმეცნიერების (ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების) ჩამოყალიბების შემდეგ შეიქმნა.

მეცნიერებადელი ეტიმოლოგია მეტ-ნაკლებად გონებამახვილური ვარჯიში იყო; მეცნიერული ეტიმოლოგია ემყარება კონკრეტული ენის

სტრუქტურის, ენობრივი სისტემის ყველა რგოლის ჩამოყალიბებისა და ცვლის ცოდნას; და მიზანიც მას ამეამად განსხვავებული აქვს: არა უთუოდ „რატომ ჰქვია ეს სახელი ამ საგანს“, არამედ სიტყვის ისტორია, გათვალისწინებული მთელი იმ სამეცნიერო აპარატის მეშვეობით, რაც თანამედროვე ლინგვისტიკის განკარგულებაშია.

ამრიგად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიქმნა ენათმეცნიერება — ენის განვითარების კვლევა კარგად ჩამოყალიბებული ისტორიული მეთოდების საფუძველზე — გახდა შესაძლებელი ეტიმოლოგიის დაყენება მეცნიერულ ნიადაგზე.

ამასთანავე, გაზვიადებული ჩანს ეტიმოლოგიური კვლევის მნიშვნელობა ადამიანთა ყოფის, კერძოდ. მისი აზროვნების ისტორიის საკითხების გადასაჭრელად.

მართალია, არსებობს თითო-ოროლა ბედნიერი შემთხვევა, სადაც სიტყვის მნიშვნელობის განვითარება მეტ-ნაკლებად შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას აზროვნების განვითარების მაგისტრალური ხაზის შესახებ; საინტერესოა, მაგალითად, ვინაიდან-სიტყვის მნიშვნელობის ისტორია: თავდაპირველად ეს სიტყვა სივრცითს დახასიათებას გადმოსცემდა (ნიშნავდა 'საიდან'); შემდეგ, დროითი დახასიათების მნიშვნელობის ('რადროიდან [აქ]') გავლით, ამ სიტყვამ მიიღო დღევანდელი მნიშვნელობა — იგი მიზეზობრივ დამოკიდებულებას აღნიშნავს [129]. მაგრამ ეს ერთი ბედნიერი გამონაკლისთაგანია, ხოლო, ჩვეულებრივ, ეტიმოლოგიის უეპველი ფაქტებიდან ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ საგნისათვის; სახელის შერჩევისას ყოველთვის არაა გათვალისწინებული არსებითი ნიშანი და მეტწილად რაიმე შემთხვევითი ნიშან-თვისება ედება ხოლმე საფუძველად საგნის სახელს (შდრ. ქვემოთ § 95): სულ რამდენიმე ათეული წელია, რაც შეიქმნა ფსიქოლოგიის ტერმინი *აქმა*: საამისოდ გამოყენებული იქნა 'აყვანის' მნიშვნელობის ვუძე, რომელიც ძველ ქართულში იყო გავრცელებული. ცხადია, *აქმა*-სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის გათვალისწინება ვერაფრით დაგვეხმარება თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების ცნებათსისტემის რაობის გარკვევაში. საწერად შეკრული ფურცლების კონას რეჟული ეწოდება: სახელდებისას ამოსავალი იყო მისი რვა ფურცლიანობა; არც ეს ფაქტი გვაძლევს ცოდნას ათასი წლის წინანდელი ქართული აზროვნების თავისებურებათა შესახებ.

რა თქმა უნდა, მსოფლიოს ყველა ენის ყველა სიტყვაში დამარწმუნებლად რომ დადგინდებოდეს სახელდების საფუძველი, მათი ერთმანეთთან შედარებისა და მნიშვნელობის განვითარების მსგავს ტიპთა თავმოყრის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა აზროვნების ისტორიისათ-

ვისაც საინტერესო ფაქტები შერჩეულიყო: მაგრამ ეს შორეული მამავლის საქმეა... როდესაც აზროვნების ისტორიისათვის ენის მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ, უწინარეს ყოვლისა, გრამატიკული სტრუქტურის ევოლუციის ფაქტები იმსახურებს ყურადღებას.

რაც შეეხება ეტიმოლოგიას, მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ეტიმოლოგიური ძიება იძლევა სტიმულს ამა თუ იმ ენის ბგერითი და გრამატიკული აგებულების გაღრმავებული შესწავლისათვის. ეტიმოლოგიის როგორც ენათმეცნიერების დარგის წარმატება (და წარუმატებლობა) ასახავს დონეს, რასაც მიაღწიეს სათანადო ენის ბგერითი და გრამატიკული აგებულების შესწავლაში: ეტიმოლოგიითა მეტ-ნაკლები სანდოობა დაძოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საფუძვლიანად ვიცით მოცემული ენის განვითარების გზები და, კონკრეტულად, რამდენად კარგად გვაქვს გათვალისწინებული ამა თუ იმ ენობრივი ფაქტის ისტორიული ბედ-იღბალი.

აღწერითი სემასიოლოგიის მნიშვნელობა

მე. სემასიოლოგია — ჩვენ უკვე ვიცით მისი დაძოკიდებულება ლექსიკოლოგიასთან — შეიქმნა როგორც ისტორიული მეცნიერება. როგორც მეცნიერება მნიშვნელობის ცვლის შესახებ. ამ დარგის ერთი ფუძემდებელი მ. ბრეალი წერდა: „უნდა გამოვივლიოთ როგორ ხდება, რომ სიტყვები, რომლებიც ერთხელ შექმნილან და გარკვეული მნიშვნელობა ჰქონიათ, იფართოებენ ამ მნიშვნელობას ან ივიწროებენ, გადააქვთ იგი ცნებათა ერთი წრიდან მეორეზე, მას ფასს უმატებენ ან უკლებენ, მოკლედ რომ ვთქვათ, ცვლიან მნიშვნელობას. სწორედ ეს შეადგენს სემანტიკას ანუ მეცნიერებას მნიშვნელობის შესახებ“ [246].

ამჟამად მნიშვნელობის კვლევა ბევრს ესმის როგორც არამხოლოდ მნიშვნელობის ისტორიის კვლევა, და, ამისდა მიხედვით, გამოყოფენ სინქრონულ სემასიოლოგიას.

ლექსიკის კვლევა, ბუნებრივია, გარკვეული მომენტიდან უნდა დავიწყოთ. ლექსიკის შესწავლა ენის განვითარების ამა თუ იმ კრილში იქნებოდა აღწერითი ლექსიკოლოგია (და მისი ნაწილი — აღწერითი სემასიოლოგია).

ის გარემოება, რომ ლექსიკის ქეშმარიტი ბუნების წვდომა სწორედ მის დინამიკაში განხილვით არის შესაძლებელი, არ გამორიცხავს აღწერითი ლექსიკოლოგიის მნიშვნელობას.

ენობრივ მოვლენათა კვლევის აუცილებელ საფეხურს წარმოადგენს სათანადო ენობრივი მოვლენების რეგისტრაცია. ამ მოვლენათაგან პირ-

ველ ყოვლისა უნდა გამოიყოს თანამედროვე ენის ფაქტები, რადგან სწორედ თანამედროვე ენა არის ყველაზე ადვილად საწვდომი შესწავლისათვის, მეტ-ნაკლებად სრული მიმოხილვა მხოლოდ თანამედროვე ენის ფაქტებისა ხერხდება; ამ ფაქტებს შორის რეალური ურთიერთკავშირის გამოვლენას ყველაზე უფრო ის მოახერხებს, ვინც ამ ენას პრაქტიკულად ფლობს.

ნეოგრამატიკოსები, როგორც ცნობილია, ისტორიული თვალსაზრისის თავგამოდებული დამკველები იყვნენ ენათმეცნიერებაში; მათ საპროგრამო დოკუმენტში კი საგანგებოდ არის აღნიშნული დიდი მნიშვნელობა იმისა, რომ „საკუთარი ყურით მოისმინო ის, თუ როგორ მიმდინარეობს ენის სიცოცხლე“; ამ დოკუმენტში გახაზულია, რომ მხოლოდ „ხელშესახები სინამდვილისა და თანამედროვეობის სუფთა ჰაერზე გამოსული ენათმეცნიერი“ „შეძლებს მიაღწიოს ენობრივი ფორმების სიცოცხლისა და ცვლილებათა სწორ გაგებას და შეიმუშაოს ის მეთოდური პრინციპები, რომელთა გარეშე ვერ მივიღებთ სათანადო შედეგებს ენის ისტორიაში“ [246].

ს ა ზ ო გ ა დ ო დ ე ნ ი ს კვლევის ეს პრინციპები, ცხადია, ძალაში რჩება მაშინაც, როდესაც საკითხი შეეხება კ ე რ ძ ო დ ლ ე ქ ს ი კ ი ს კვლევას.

რუსეთში სემასიოლოგიური კვლევის ფუძემდებელს მ. პოკროვსკის ასე აქვს წარმოდგენილი წინაპირობები ენის ლექსიკურ-სემანტიკური კვლევა-ძიების მართებულად წარმართვისათვის: „თითოეულმა სემასიოლოგმა წინდაწინ უნდა ივარჯიშოს თავის მშობლიურ ენაზე, განსაკუთრებით თანამედროვე ენაზე, რადგან მხოლოდ მასში არის ადვილად შესაძლებელი თვალყური მივადევნოთ სემასიოლოგიური პროცესების უნატიფეს ხვეულებსა და ვარიანტებს“ [221].

ბუნებრივია, ქართული ლექსიკის სისტემატურ მიმოხილვა-შესწავლაში ჭეროვანი ადგილი უნდა დაეთმოს თანამედროვე ქართულის ვითარების გათვალისწინებას.

ქართული სიტყვის ბგერადობა და მნიშვნელობა

ფონემათა ხმარების სიხშირე და ფუნქციური დატვირთულობა. — ხმბაჰ-
ვითი სიტყვები. — ბგერითი ეესტი. — სიტყვის სივრძე და ომონიმიის სა-
კითხი. — ფონეტიკური ცვლილებებით გამოწვეული ომონიმია. — მორფემულ
აგებულებით განსხვავებული ომონიმები. — ომონიმია ოდინდელ და შეთვი-
სებულ სიტყვებს შორის. — კალკირებული მნიშვნელობა და ომონიმია. —
დამოუკიდებელი წარმოება ერთი და იმავე ელემენტებისაგან.

ქართული ენის ლექსიკოლოგიის საგანი, როგორც სახელწოდებები და-
ნაც ჩანს, არის ქართული ლექსიკა, ქართული სიტყვები. სიტყვათა ერ-
თობლიობა (ლექსიკური ფონდი).

ბუნებრივია, უპირველესი ამოცანაა ქართული ენის ლექსიკურ ერ-
თულთა დაჯგუფება (არა ნებისმიერი, არამედ ობიექტური, ე. ი. ისეთი
დაჯგუფება, რომელიც ლექსიკის შინაგანი დანაწევრების შესაბამისი
იქნება). თუ დაჯგუფება მართებულია, ცალკეულ ჯგუფთა შიგნით მოქ-
ცეული ერთეულები, ივარაუდება, მეტ-ნაკლებად მარტივი უნდა იყოს.

ქართულ ლექსიკურ ერთეულთა დაჯგუფება შეიძლება მოხდეს (და
უნდა მოხდეს) არა ერთგზის, არამედ რამდენჯერმე — იმ ასპექტების
მიხედვით, რომლებსაც ლექსიკის განხილვისათვის მიზანშეწონილად
მივიჩნევთ.

შემდგომი სამუშაოა: ცალკე ასპექტების მიხედვით გამოყოფილ
ჯგუფთა ურთიერთობის დადგენა, ასპექტთა ურთიერთობის გარკვევა
და, ბოლოს, ამ გზით მიღებული ერთობლიობის ისეთი ზოგადი მეცნიე-
რული დახასიათება, რომელიც ქართული ლექსიკის ბუნებას სწორად
ასახავს.

უწინარეს ყოვლისა, უნდა შევეცადოთ ქართულ ლექსიკურ ერთე-
ულთა, სიტყვათა დაჯგუფება მოვახდინოთ მათი ბგერადობის მიხედვით,
რამდენადაც ბგერადობა გარკვეულ მიმართებაშია სიტყვის მნიშვნელო-
ბასთან: ლექსიკოლოგია ხომ სიტყვას შეისწავლის როგორც მნიშვნელო-
ბის მატარებელ ენობრივ ერთეულს.

ქართული სიტყვის ბგერალობის ტიპთა დადგენაზე ბევრი სპეციალისტი მუშაობს. უკვე მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები, თუმცა გასაკეთებელი წერაჯ ბევრია.

ბგერალობის მიხედვით ქართული სიტყვის ამომწურავ დახასიათებას არ ვიძლევი: არა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს არ არის საკუთრივ ლექსიკოლოგიის საქმე, არამედ იმიტომაც, რომ საამისო მასალა ჯერ კიდევ არ არის დაგროვებული საკმარისი რაოდენობით.

რა თქმა უნდა, ზოგი რამის აღნიშვნა მაინც შესაძლებელია და საჭიროა.

ფონემათა ხმარების სიხშირე და ფუნქციური დატვირთულობა

54. ქართული ენის ფონოლოგიურ სისტემას შეადგენს 33 ფონემა. ეს ფონემები ხმარების სიხშირის მიხედვით სხვადასხვა თანამიმდევრობით დალაგდება სხვადასხვა ხასიათის მასალაში.

ასე, მაგალითად, I. გა ბ მ უ ლ ტ ე ქ ს ტ შ ი (სადაც თანხმოვნებს ტექსტის სამი მეხუთედი უკავიათ და ხმოვნებს — ტექსტის ორი მეხუთედი) ხმოვანთაგან ყველაზე ხშირად ა ფონემა იხმარება (39,11%)^{*}. შემდეგ მოდის ი (24,13%), ა (20,10%), ო (10,21%) და უ (6,45%). თანხმოვნები სიხშირის მიხედვით ასეა განლაგებული: ხ (10,34%), რ, მ, დ, ლ, ნ, ე, თ, ბ, გ, ხ, ც, შ, ქ, კ, ყ, ტ, წ, ღ, ზ, ძ, ფ, პ, ჩ, რ, ჯ, ჭ, პ, ჟ (0,07%)^{**}.

გაბმულ ტექსტში თ ა ვ კ ი დ უ რ ი ფ ო ნ ე მ ე ბ ი სიხშირის მიხედვით ამგვარ დამავალ რიგებს გვაძლევს: ხმოვნებში — ა, ი, ე, უ, ო, თანხმოვნებში — მ, დ, გ, ხ, თ, შ, ე, კ, ხ, ჩ, ბ, წ, ნ, ც, ქ, ყ, ფ, პ, ი, ღ, ძ, ტ, რ, ღ, ზ, ჯ, ჭ, ჟ [35].

II. სიხშირის მიხედვით ფონემათა სხვაგვარ თანამიმდევრობას ვიღებთ, თუ აღვრიცხავთ ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ე რ თ ე უ ლ ე ბ ი ს, უკეთ — ლ ე მ ე ბ ი ს თ ა ვ კ ი დ უ რ ფ ო ნ ე მ ე ბ ს: ხმოვნები — ა, ი, ე, უ, ო, თანხმოვნები, — დ, გ, მ, შ, ხ, ჩ, წ, კ, თ, ნ, ხ, ბ, ფ, პ, ც, ლ, რ, რ, ქ, ჭ, ყ, დ, ზ, ძ, ჯ, ე, პ, ჟ [100].

ლექსიკური ერთეული, ლ ე ქ ს ე მ ა, წარმოადგენს ან ფორმა-უცვლელ სიტყვას, ან კიდევ მოიცავს ამა თუ იმ სახელის თუ ზმნის

* ე. ი. ყოველი ათიათასი მარცვლიდან ოთხიათასამდე მარცვლი შეიცავს ა ხმოვანს.

** ე. ი. ათიათასი თანხმოვნის შემცველ ტექსტში ს ათასჯერ გვხვდება, ხოლო ა მხოლოდ შეიძლება. გაბმულ ტექსტში ფონემათა შეფარდებითი სიხშირე ღ ი ნ ვ ა რ ი შ ა ჯ. ფოგტმა [87]

ფლექსიურ ფორმათა ერთობლიობას. ასე, მაგალითად. ლექსემა ბალი — ბალმა — ბალს — ბლები და მსგ. სიტყვა-ფორმათა ერთობლიობა; ამა თუ იმ ზმნისათვის, მსგავსადვე, ლექსემა იქნებოდა პირის, რიცხვისა და ნაკეთის (მწკრივის) მიხედვით განსხვავებულ ფორმათა ერთობლიობა. ეუწერ — ეუწერდი — ეუწერე... ეუწერთ... მიწერ — მიწერს... გვიწერ... ლექსიკური ერთეულის ერთ-ერთი ფორმა არჩეულია სალექსიკონო სტატისის სასათაურო სიტყვად — ლე მ ა დ. ლემა სახელისათვის არის მსოლოობით რიცხვში დასმული სახელობითი ბრუნვა (ჩვენს მაგალითში — ბალი). ხოლო ზმნისთვის — აწმყო-მყოფადის მესამე სუბიექტური (და მესამე ობიექტური) პირის მსოლოობითის ფორმა (ეუწერს). ამასთანავე ბრუნვის და პირის ნიშანი ანბანთრიგში გათვალისწინებული არაა (ბაღ-ი. ეუწერს).

III. ლ ე მ ა თ ა ბ ო ლ ო კ ი დ უ რ ი ფ ო ნ ე მ ე ბ ი ს სიხშირე ასეთი თანამიმდევრობით წარმოგვიდგება: ხმოვნები — ა, ო, ე, ი, უ, თანხმოვნები — ბ, ლ, ვ, ნ, დ, რ, ც, თ, ს, მ, კ, ხ, გ, ფ, ც, შ, ზ, ქ, ძ, ჯ, ჭ, შ, ჩ, ღ, ყ, წ, ძ, ძ [46].

IV. მ ა რ ტ ი ვ ფ უ ძ ე თ ა თ ა ვ კ ი დ უ რ ი ფ ო ნ ე მ ე ბ ი ს სიხშირე: ხმოვნებისა — ა, ე, ო, ი, უ, თანხმოვნებისა — კ, ხ, ც, ბ, ღ, ძ, ს, თ, მ, ფ, ც, გ, ჩ, რ, ტ, ქ, ყ, ლ, პ, ღ, ზ, ნ, ჯ, ე, ძ, ქ [101].

როგორც ვხედავთ, სიებს შორის განსხვავება დიდია. ასე, მაგალითად, ი ზოგჯერ ერთ პირველ ადგილთაგანზე დგას, სხვა სიებში — უკანასკნელთაგანზე; ო ხმოვანს სხვადასხვა სიაში უჭირავს მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილი. კ თანხმოვანი ხან პირველ ადგილზეა, ხან კიდევ მეექვსე, მერვე, მეთერთმეტე, მეოთხმეტე ადგილებზე.

მაინც ზოგიერთი ბგერა შეიძლება დავახასიათოთ როგორც მეტწილად ხ შ ი რ ი ხ მ ა რ ე ბ ი ს ა ნ ი (ა, ი, მ, ღ...), ზოგერთები კი აშკარად ი შ ვ ი ა თ ა დ ი ხ მ ა რ ე ბ ი ა ნ (ქ, ძ).

მ. ქართულ სიტყვებში თანხმოვანთა თავმოყრა უპირატესად გვხვდება თავკიდურად*. რა თქმა უნდა, თანხმოვანთა ბოლოკიდური თავმოყრაც გვხვდება ქართულში, თუმცა ასეთი დიდი რაოდენობით არა: „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ 350-ზე მეტი სახელური ფუძე გვაქვს, ისეთი, რომელიც სამი ან მეტი თანხმოვნისაგან შედგე-

* ქართულ ზმნურ ფუძეთა ფონმატური სტრუქტურა საგანგებოდ არის შესწავლილი და გარკვეულია, რომ მოდელთა მეტი წილი თანხმოვანთა თავმოყრით ხასიათდება (გვაქვს არა მხოლოდ ორთანხმოვნიანი კომპლექსები — გვ, ცვ, ბხ, ზღ, თქ, ტა, შჩ, ჩხ, პღ —, არამედ სამიანიც — თქვ, ბრძ, ღვღ..., ოთხიანიც — ყრკნ, ბრწვ, პღრწ... და ხუთიანიც კი — მხვრ, ზღღვრ) [34].

ნილი კომპლექსებით ბოლოვდება *. თუ მათ თანხმობენიანი სუფიქსი დაერთვის, ბუნებრივია ოთხი და მეტი ბოლოკიდური თანხმობიანი ექნებათ (ჩირგვს, მარწყვს...).

თანხმობიანთა თავმოყრის მიზეზები ხშირად წმინდა ფონეტიკურია (ხმოვნის ამოღება: შკრიალი—შკარუნი, ბგერათგადასმა: ბლარტი—ბარტყი, ბგერათა განვითარება კომპლექსებად: ჭივის—ჭყივის) [236].

მაგრამ თანხმობიანთა თავმოყრა შესაძლებელია გამოიწვიოს მორფემათა დართვამაც (შკელელი, წარმონაქმნს...), ე. ი. ქართული სიტყვის ბგერადობის ეს თავისებურებები რიგ შემთხვევაში გამოწვეულია გრამატიკული მიზეზებით, კერძოდ, სიტყვაწარმოებით, რომელსაც მნიშვნელოვანი წილი უდევს ლექსიკური ფონდის ჩამოყალიბებაში. ეს ნათლად ჩანს ხშირი სმარების ფონემებში (ს, მ, დ...), კიდევ უფრო მეტად—თუ საგანგებოდ განვიხილავთ სალექსიკონო ერთეულების თავ- და ბოლოკიდურად გამოვლენილ ფონემათა მეტ-ნაკლებ სიხშირეს.

გვ. იმ წყებაში, რომელიც სალექსიკონო ერთეულთა თავკიდურად გამოსული ბგერების მეტ-ნაკლებ სიხშირეს ასახავს, ყველაზე ხშირად გვხვდება ფონემები გ, მ, დ, ა, შ, ს, ჩ, წ, ი... ისინი პრეფიქსებს ან პრეფიქსთა თავკიდურ ბგერებს წარმოადგენენ: ა, გ, დ, მ, შ, ჩ, წ თავკიდური ბგერებია პრევერბებისა (ა-, აღ-, გა-, გან-, და-, მი-, მო-, შე-, შთა-, ჩა-, შა-, წარ-, ამო-, აღმო-, გამო-, გადა-, გაღმო-, დამო-, მიმო-, შემო-, შთამო-, ჩამო-, წამო-, წარმო-); გარდა ამისა, ა, მაქცევარიცაა, მ გვხვდება ნაზმნარ და ნასახელარ სახელებთან (მ-კვეთრი, მა-ძიებელი, მე-ურმე, მო-მშარო...). ასევე ს ბგერა (ს-ვლა, სა-ჭმელი, სი-ღამაზე), ხოლო ი სასუბიექტო ქცევისა და აგრეთვე ვნებითის მაწარმოებელია (ი-გრებს, ი-გრინება...).

თავკიდურად გამოსულ ბგერათა წყებაში იშვიათთა შორის თითქმის არც ერთი არაა მაწარმოებელი პრეფიქსი **.

უპირატესად ს უ ფ ი ქ ს ე ბ ს (ან მათ ბოლოკიდურ ბგერებს) გადმოსცემს ყველაზე ხშირი ასოები იმ მწკრივისა, რომელშიც ასახულია ფუძეთა ბოლოკიდური ასოების მეტ-ნაკლები სიხშირე: ა მეტწი-

* შმნის ფუძის შიგნით თანხმობენები გვხვდება რვა ტიპში (მეტწილად — ორ- და ზოგჯერ სამთანხმობიანი კომპლექსები), ხოლო ბოლოკიდურად — შეიდ ტიპში (რკ, ნტ, რქ, წკ; რთლ, რღნ; რცხნ) [34].

** გაბმული ტექსტის სიტყვათა (სიტყვა-ფორმათა) თავკიდური ბგერები რამდენადმე განსხვავებულ სურათს ავლენს იმის გამო, რომ აქ პირის ნიშნებიც არის გათვალისწინებული: ვ ხშირად ხმარებულ ბგერათა ჯგუფში შედის, ჰ-ც, ყველა სხვა სიაში იშვიათი, აქ საშუალო სიხშირის ზონაშია მოქცეული (ეს ცნობები ვაჟას ტექსტს ემყარება. ალბათ სხვაგვარი სურათი გვექნება ისეთი მწერლის სიმფონიაში, რომელიც ჰ-პრეფიქსს უფრო იშვიათად ხმარობს).

ლად ნაზმნარი სიტყვების, მოქმედების სახელებისა და აბსტრაქტივების მაწარმოებელს გადმოსცემს (თქმა, კეთება, ადამიანობა...), ბ და ვ ბგერათა სიზშირის მიზეზი ისაა, რომ ქართულ ზმნებს (მათ სალექსიკონო ფორმებს) უმთავრესად ბ და ვზე დამთავრებული ბოლოსართები აქვს (აკეთებს, შეკავს...); ლ არის მიმღების მაწარმოებლისა და ზოგი ნაწარმოები სახელის სუფიქსური კომპონენტი ან მისი ბოლოკიდური თანხმოვანი (გაკეთებულ-ი, დაყოფილ-ი, შექმნილ-ი, გაუხსნელ-ი, გასანათლებლ-ი, სიყვარულ-ი, სოფელ-ი, მკედელ-ი...); ნ'ც იმიტომაა ხშირი, რომ სხვადასხვა სუფიქსში მონაწილეობს (გამყიფან-ი, მტკიუნან-ი, ზელოვან-ი, ფეროვან-ი, ზრდილობიან-ი, კრაჭუნ-ი...); ლ ვითარებითი ბრუნვის ნიშანია და ზმნისართებს მოუღის ბოლოკიდურად (ავად, ამრიგად...).

ამ შემთხვევებშია ცველაზე ნაკლები სიზშირის ბგერები მორფემებში (სუფიქსებში) არ მონაწილეობენ.

ხშირი ხმარების ბგერები მორფემებში (პრეფიქსებში, სუფიქსებში) გამოვლენილი ბგერებია. ამრიგად, ხშირი ბგერების მიმართ დამოკიდებულებას განსაზღვრავს ლექსიკოლოგიის დაინტერესება ნაწარმოები სიტყვებით.

67. საყუთრივ ლექსიკოლოგიურ ინტერესს (ე. ი. ინტერესს საგნობრივი მიმართების მიხედვით დახასიათებისათვის) უშუალოდ შეიძლება შეიცავდეს მცირე სიზშირის ფონემები.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქ ფონემას უკანასკნელი ადგილი უჭირავს თითქმის ყველა მწკრივში. თუ პაეს შემცველი (თავკიდურად, ბოლოკიდურად...) სიტყვების სიას განვიხილავთ, დავინახავთ, რომ თუ არ ნასესხები სიტყვები (პაჟა... პიდროლოგია... კუმანიზმი...). ქ გვხვდება მხოლოდ შორისდებულებში: თავკიდურად — პა, პაა, პაამო, პაუ... ქე, ქეი, ქექე, ქექეე... ქი, ქიი, ქმ, ქო, ქოი, ქოო, ქუ, ქუი, ქუქუ. ბოლოკიდურად — ამ, ეამ, ეპ, იპ, იპ, უპ... და სიტყვის შუაშიც — პაპ, ეპა, ეპა, ეპე, იპო, იპიპო, უპუ... [46].

ის კი ნათელია, რომ ქ უპირატესად შორისდებულთან არის დაკავშირებული, მაგრამ არ ხერხდება პაეს შემცველ შორისდებულებში ბგერადობისა და მნიშვნელობის უშუალო კავშირის დადასტურება მთელი სიტყვის ფარგლებში — არ ჩანს დანარჩენი (ქს გარდა) ბგერების ფუნქციური დატვირთულობა.

ასე, მაგალითად, ოპ შორისდებულთ გადმოცემულია თითქმის ყოველგვარი გრძნობითი შინაარსი — გაჯავრება, სიხარული, განცვიფრება, ნატვრა, სურვილი, მუდარა, სიამოვნება, წყენა...:

„ჭ ა ვ რ ო ბ ს პაპა და დუღუნებს თავისთვის: ოპ, ძალიან გალოთდა ხალხი, ძალიან“ (ვაჟა).

„*ოპ!* წამოიძახა გახარებულმა მელანიამ“ (ვაჟა).

„*ოპ!* შენი ჳირიმე, დედავ, რამოდენებია! — წამოვიძახე განცვიფრებულმა“ (ვაჟა).

„*ოპ!* რა კარგია ცივ ზამთარში თბ-ლი ბინა!“ (ია ეკალაძე).

„*ოპ!* როგორ მინდა შევიტყო — მეუღლედ ვინ მეყოლება“ (ი. მანაბელი—თარგმ.).

„*ოპ!* ნეტა სიტყვას საქმედ ვაქცევდეთ ხოლმე!“ (ია ეკალაძე).

„*ოპ, ოპ, ოპ, ოპ* — მოხევემ ვწარედ გაიქნია თავი“ (ა. ყაზბეგი).

„*ოპ, სად, სადაა* მისი საფლავი, გემუდარებით, მაჩვენეთ ჩქარა“ (გ. ტაბიძე).

„*ეხლა კი ვისამხროთ, ჩემო მარებს!* — *ოპ, დიდის სიამოვნებით*“ (შ. არაგვისპირელი).

მნიშვნელობის ამგვარი მრავალფეროვნება არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი პოლისემიისაგან.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მასალობრივად ბევრ შემთხვევაში ქართული შორისდებულები სხვა ენათა შორისდებულების მსგავსია [74].

აქედან ჩანს, რომ შორისდებულები არა მხოლოდ ბგერადობით განსხვავდება სხვა სიტყვებისაგან — შეიცავს ერთ-ერთ იშვიათად ხმარებულ ბგერას —, არამედ სემანტიკურადაც, ლექსიკოლოგიური თვალსაზრისითაც მკაფიოდ გამოირჩევა სიტყვათა სხვა ჯგუფებისაგან.

68. ერთი იშვიათი ხმარების ფონემათაგანია *ჭ*, რომელიც, გარდა ნასესხები სიტყვებისა, უპირატესად გვხვდება სიტხესთან დაკავშირებულ ფუძეებში — *ჭურჭის, ლაჭვერა, ჟონვა, ჟაბყი, გაქლნთა* და სხვ.

ბევრ შემთხვევაში *ჭ* ხმაბაძვით სიტყვებში ვლინდება: *ჭღერა, ჟღრიალი, ჟღარუნი, ჟღავილი, ჟიჟინი, ჟრიაშული, ჟაბი-ჟუბი...*

ჭ ამ ფუძეებში ხშირად მეორეული ჩანს: *ჭურჭა-ჭურჭა, ჟღავილი-ჭყავილი, ჟაბი-ჟუბი-ზაბი-ზუბი...* [19].

ნ. მარის მიერ შენიშნულ მოვლენას — ის გადასვლას *ჭ* ბგერაში (*ჟვანია, ჟორღანია-ივანე, იორღანე*) გ. ახვლედიანმა დაურთო მაგალითები საბას ლექსიკონიდან — *მესხური ჟარე-იარე* და *ჟჟარები-ვიარები*; გამოთქმულია ვარაუდი, რომ *ჭ* თავდაპირველად არ ყოფილა იმ კილოს კუთვნილება, რომელიც საფუძვლად დაედო სალიტერატურო ქართულს [14].

69. აქვე უნდა მოვიხსენიოთ თავისებური, შესუნთქვით წარმოებული (ინსპირაციული) ბგერები. ჩვეულებრივი ქართული ბგერები იწარმოება ან ამოსუნთქული — ფილტვებიდან ამომავალი — ჰაერით (ა. ბ. ფ...), ან კიდევ, ყელსშვის შემთხვევაში, ხორხსარკქლის ზემოთ

მოთავსებული ჰაერის გამოდენით პირის ღრუდან (ბ, ტ, კ, ყ, წ, ჭ). ამათ გარდა, ქართულში გვაქვს რამდენიმე ინსპირაციული ბგერა. რომლებიც არ შემოდის ქართული ენის ფონემათა სისტემაში. ამ ბგერების მეშვეობით წარმოიქმნება, მაგალითად, ღორის დაძახება. რომელსაც მქლერობა ახასიათებს და ძ'ს წაავას, ძაღლის დაძახება. რომელიც მკვეთრი ბაგისმიერი ბგერის ა'ს მსგავსია, შებმული ცხენის წასაქეზებელი შეძახილი, რომელიც ინსპირაციულად წარმოთქმულ მკვეთრ ლატერალურ ლ'ს მსგავს ბგერას შეიცავს, უარყოფის გამოხატვა ინსპირაციული წ'ს შემცველი ნაწილაკით (საყურადღებოა. რომ ქართულის ახლო მონათესავე მეგრულ კილოში დადასტურების გამოსახატავად ზოგჯერ ინსპირაციულ წ'ს იყენებენ).

ეს ინსპირაციული ბგერები, ბ და წ ბგერების მსგავსად, მონაწილეობენ ისეთ „სიტყვებში“, რომლებიც სემანტიკურადაც თავისებურ ჩგუფს ქმნიან.

მცირე სიხშირის ფონემები გვხვდება შორისდებულებში და ხმაბაძვით სიტყვებში, ესენი კი სიტყვათა სემანტიკური კლასებია და, ამრიგად, ლექსიკოლოგიის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

ხმაბაძვითი სიტყვები

70. ქართულ ენაში რამდენიმე ასეულია ისეთი ფუძეები, რომელთაგანაც ხმაბაძვითი სიტყვები არის ნაწარმოები.

აი, მაგალითად, არასრული სია ისეთი ხმაბაძვითი სიტყვებისა, რომლებიც ბ-ბგერის მონაწილეობით არის ნაწარმოები: ბაბანი 'სიცივის აყოლის ხმა', ბაბაბუგი 'რბილზე ცემის ხმა', ბაბაბუთქი 'თოფის და მისთ. ზედიზედ სროლის ხმა', ბაკუნი, ბაკიბუკი 'შაგარ საგნებზე სიარულისას ფეხით გამოცემული მკვეთრი ხმა', ბარტყაბურტყი 'საფენლის ბერტყევის ხმა', ბაყაბუყი 'წყვეტილი ყრუ ხმა (ცემისას)', ბჟუის 'ფრენის დროს ფრთების სწრაფი და უწყვეტი მოძრაობით ზუზუნისებურ ხმას გამოცემს (მწერი)', ბიყინი 'შვლის ნუჯრის კიკინი', ბლოჟინი 'გაურკვეველად ლაპარაკი (მრავლისა)', ბლჟჟინი 'გაურკვეველად ლაპარაკი', ბობლინი 'გაურკვეველად. ბგერების დაუნაწევრებლად ლაპარაკი, ბურტყუნი', ბოქბოქი 'უშნოდ ხმამაღლა ლაპარაკი'. ბოყინი 'სტრამქიდან პირში ხმაურით გაზის ამოქარვა', ბჟუჟური 'უთავბოლო, უქკაუო, სულელური ლაპარაკი', ბრაყაბრუგი 'მკეროვ რამეზე მაგრად ცემის ხმა', ბრაბჟინი 'შაგარ რამეზე ცემის ხმა', ბრდღღინი 'მხეცი ღრიალებს'. ბრიგინი 'ხმაურით მოძრაობა, სრიგინი', ბრიხინი 'რაბრაბი, ხმაური, ბრიგინი'. ბრჟჟინი 'ბრახინი, რახარუხი', ბჟუჟინი 'ხარის გაბაძუ-

ლი ნელი ყვირილი ბულრაობისას; დიდი ხმაური, გუგუნი', ბურბური 'გუგუნი (ცეცხლისა), საერთოდ ხმაური', ბურტყუნი 'ხმადაბალი გაურკვეველი ლაპარაკი', ბუტბუტი 'დაბალი ხმით გაურკვეველად ლაპარაკი თავისთვის', ბუბუყი 'ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნელი ყრუ ხმაურობა. გამოწვეული სითხეში გაზების მოძრაობით, დუღილის პროცესით; ღვეღვი ძალისა: ყურყური, ყუყუნი მუცლისა', ბუხბუხი 'ბოხი, წყვეტილი ხმის მძიმე-მძიმედ გამოცემა, — მძიმედ ყეფა'. ბუხუნი 'ლორის ხმიანობა, ტრუხუნი', ბლავის 'ბლა-ს იძახის, ბლავილი გააქვს', ბლარტანი 'მალიდან დაბლა ჩამოვარდნისა და დაცემის ხმა, ბარტყანი', ბლარტუნი 'ბარტყუნი', ბლერიალი 'ბრიყვეული ტირილი, — ღრიალი', ბლლარძანი 'ვიწრო გასაძროშში ძალით გაძვრომა-გავარდნის ჩქამი', ბლოჭინი 'უსიამოვნო მაღალი ხმით ყვირილი ხარისა', ბლუილი 'გაბმით ყვირილი ღმუილივით'...

დანარჩენი ფონემების მონაწილეობით შექმნილი ხმაბაძვეთი სიტყვების მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიყვანთ: ვრიალი, ვრუხუნი, გუგუნი, გუზგუნი... დგადუვი, დგანდგარი, დგაფუნი, დგრიალი, დუდღუნი... ვახვახი, ვიშვიშო... ზანზარი, ზაპაზუპი, ზეზეა, ზიშზინი, ზლუქუნი, ზმულია, ზრიალი, ზუზუნი, ზღართანია... თათქუნი, თუხთუხი, თქარათქური, თქლათუნი, თქრიალი, თხიპინი, თხლამანი... კაკეკი, კაკამი, კაკუნი, კაპუნი, კაქკამი, კვტკვტი, კვენსა, კივილი, კიკინი, კისკისი, კნაკილი, კრატუნი, კრიახი... ლაქლაქი, ლაყუნი, ლაშალუქი, ლიკლიკი, ლეღლეღი... მელამამლუში. ნარნარი... პაკიპუკი, პარტყუნი, პიპინი, პრატკარუშტი... ფაფუნი, ფივილი, ფრიკრიკი, ფლავილი, ფლახუნი, ფლურტული... რაკრაკი, რუზრუნი... სივილი, სინინი, სხაპახუპი... ტაკატუკი, ტარტარი, ტატყანი, ტახუნი, ტია-ტია, ტიკტიკი, ტიტინი, ტკაცუნი, ტლამანი, ტუტუნი, ტყაპანი... ფართქუნი, ფართხალი, ფიფინი, ფლამუნი, ფლიკინი, ფრუტუნი, ფუსფუსი, ფუილი, ფხაჭანი... ქასქასი, ქაქანი, ქეითინი, ქირქილი, ქოშინი, ქშენა, ქშეილი, ქშუტუნი... ღადღადი, ღავილი, ღაღანი, ღაჭლაჭი, ღირღიტი, ღიჯღიჯი, ღნავილი, ღრატუნი, ღრენა, ღრიტინი, ღუღღუდი, ღულუნია... ყაყანი, ყაყყამი, ყვა-ყვა, ყვილი, ყიყინი, ყიყლიყო, ყმული, ყროყინი... შარიშური, შიშინი, შიშზინი, შლაგუნი, შმიკშმიკი, შრამუნი, შრიალი, შუშხუნი, შხაპუნი, შხუილი... ზანჯარი, ზახანუხი, ზახნახი, ზიფიფი, ზლიფინი, ზოწკოლი, ზეილი, ზერნული ზუზუხი, ზქაფუნი, ზხავილი, ზხარუნი... ცაქცაქა, ცაცხანი, ცქლათაქლათუნი... ძაკაძუნი, ძანჯ, ძვრიალი, ძნეყვა, ძენძული... შიკინი, შიკინი, შკარუნი, შრიპინი, შრუშუნი... ტაქანი, ტაჭყანი, ტახტახი, ტექა, ტიგინა, ტივილი, ტიჭყინი, ტიხინი, ტრიალი, ტყივილი... ხავილი, ხათქახუთქი, ხარხარი, ხეიხინი, ხერქს, ხერინაქს, ხიხინი, ხორხოყი, ხრაგუნი, ხრამუნი, ხრიალი, ხროტინი... ჯახუნი, ჯაჯგური, ჯაჯღანი, ჯლოყინი, ჯლავილი.

71. რაკი ხმაბაძვა ბგერადობისა და მნიშვნელობის მაქსიმალურ სიასლოვეს გულისხმობს, სავარაუდოა, რომ სხვადასხვა ენაში ერთგვარი მნიშვნელობის მქონე ხმაბაძვეთ სიტყვებს მსგავსი ბგერადობა ექნებათ.

ქართული და რუსული ენების ამგვარი (ე. ი. მსგავსი მნიშვნელობის) ხმამაძვითი სიტყვები ერთმანეთს რომ შევედაროთ, მართლაც გვეხვდება მსგავსი ბგერადობის შემთხვევები: გრუზუნი — грохотание, გუგუ! — ку-ку! — ბუზღუნი — брызжание, ტარტარი — тараторить, შარიშური — шуршание...

მაგრამ ამგვარი მაგალითები იშვიათია.

გაცილებით უფრო მეტია ისეთი შემთხვევები, როდესაც რუსულშიც ხმამაძვითი სიტყვა გვაქვს ქართული ხმამაძვითის ფარდად, მაგრამ ფიზიკურად (ბგერითად) სრულიად განსხვავებული მასალა გამოყენებული: შლართანი — шлепнуться. თუზოუზი — клокот, კიკინი — бляение, კნაილი — мяукание, ლაქლაქი — трескотня, ვივის — чирикает, რაკრაკი — журчание, ბრაგუნი — топот, ბუზუნი — мычание...

დაბოლოს, არაიშვიათად, ქართული ხმამაძვითი სიტყვების მნიშვნელობები რუსულში არახმამაძვითი სიტყვებით არის გადმოცემული: ბაბანი — дрожь, ბურბური — яркое, сильное горение, კისკისი — звонкий смех, სხაახხუზი — скороговорка, ნაქნაქი — трусница. შხაჰუნი — шумно падение крупных капель дробного дождя. ფათქუნი — бить крыльями. ქოშინი — одышка, ლადღი — вызывать, мольба, ყუჟა — лай, ყვილი — пение...

ამგვარი ჯგუფების არსებობის ფაქტი ენათმეცნიერების წინაშე აყენებს ამოცანას — გამოვლენილ და შესწავლილ იქნეს ლექსიკურ ერთეულთა უშუალო მოტივაციასთან დაკავშირებული საკითხები.

72. სიძნელეები ჩნდება, როდესაც შევეცდებით იმ ფუძეთა დაჯგუფებას, რომლებიც ხმამაძვით წარმოქმნილად მიგვაჩნია.

საზოგადოდ, სიტყვათა კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს ბგერადობა (ფონემატური შედგენილობა), მნიშვნელობა, ან კიდევ სტრუქტურა (მორფემული შედგენილობა).

ხმამაძვით სიტყვათა სტრუქტურის დახასიათებას ქვემოთ წარმოვადგენთ (იხ. § 84), აქ კი მნიშვნელობის მიხედვით დაჯგუფების საკითხს შევხებით.

ხმამაძვით სიტყვებში ამგვარი შინაარსობლივი ჯგუფები შეიძლება გამოვყოთ:

აღამიანის მეტყველების გამომხატველი სიტყვები: ბლუკუნი, ბჟუტური, ბუზღუნი, დუღუნი, ტიტინი, შრტიალი, ლაქლაქი, რატრაცი, ჩიფჩიფი, ჩურჩული, ჯაჯღანი...

აღამიანის არასამეტყველო ბგერადობა: ბღერიალი, ბღული, ვიშვიში, ზღუქუნი, კენესა, კისკისი, მტლამამტლუში, ქეთინი, ქირკილი, ქოშინი, ქუტუტუნი, ყიყინი, ხარხარი, ხერინეა, ჯღაეილი...

ცხოველთა ხმინანობის მიბაძვა: *გუგუ! ბეე ყიყლიყო! მიაუ! ღრუჭ!*
ტია-ტია!

ცხოველთა ხმინანობის აღნიშვნა: *ზიჟინი, ბლაეილი, კივილი, კნავილი, კრუ-
ტენი, ტიკტიკი, უსკილი, ბრლელენვა, ბუბუნნი, ბუბუბუხი, ბლოკინი, ვახვახი, კაკანა,
ჟივილი, ჟღურტული, სისინი, ღველაკი, ჟიბინი, ჟყივილი, ზივილი, ზეიზენი...*

ღარტყვის, დაცემის ხმა: *ბაგაბუგი, მათე-ბუთუტი, პარტყაბურტყი, ბრაბუნნი,
ბრაგუნნი, ბლარტანი, დაეაღუგი, ზაპაბუბი, ზლარტანი, ტყკანი, ტლამანი, ტყკანი...*

აღვილის მონაცვლების, სიარულის დროს გამოცემული ხმა: *ბაკიბუგი,
ბლოტა, ბლარტანი, ლანალუში, ფხაქანი, ჩოჩქოლი, ძუნძული... თქარათქური...*

სტიქიურ მოვლენათა ხმიერება: *ბურბური, ბუბუბუგი, გრიალი, გრუბუნნი,
გუბუბუნი, ზუზუნნი, ლიკლიკი, ნარნარი, ქშეილი, ღუღღღი, შიშინი, შრიალი, შხა-
პუნნი, შხუილი, ჩუხუხი, კეკა...*

ადამიანის ნახელავის ხმაური: *ღგანდგარი, თუხთუხი, ჩახჩუხი, შიქნიკი,
ჭრიალი... და სხვ.*

მაგრამ ამგვარი დაჯგუფების შექმნებითი ღირებულება შეზღუ-
დულია: ჯერ ერთი, ერთიანი საკლასიფიკაციო ნიშანი არა ჩანს, მეორე,
ხმაბაძვით სიტყვათა მთელი ფონდი უნაშთოდ არ ნაწილდება ჩამოთუ-
ლილ ჯგუფებში და, ბოლოს, ესა თუ ის სიტყვა შესაძლებელია რამდენ-
სამე ჯგუფში მოექცეს.

78. რაკი ხმაბაძვა გულისხმობს მნიშვნელობისა და ბგერის ორგანულ
შინაგან კავშირს, თითქოს არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ბგერადო-
ბის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს სემანტიკური ერთგვარობაც ახა-
სიათებდეთ. მაგრამ ჯერჯერობით საამისო დამარწმუნებელი შედეგები
არ მოუცია ხმამიბაძვის გამომხატველ ფუძეთა მიმოხილვას.

აი, მაგალითად, ის ხმამიბაძვითი სიტყვები, რომლებშიც საყრდენ-
ნად ზ ფონემა არის გამოყენებული: *ზათქი, ზაპაბუბი, ზაპანი, ზაპუნნი, ზან-
ზარი, ზაყება, ზაყბაყი, ზუზუა, ზიშზიში, ზლუქუნნი, ზლაყუნნი, ზმუქუნნი, ზოზია-
ლი, ზოზნა, ზრზოლა, ზრიალი, ზრინვა, ზრუნნი, ზუზუნნი, ზლარტანი, ავრეთ-
ვე, გიზგიზი, გუზგუზი, ღაზღაზი, ღუზღუზი, რაზრაზი, რუზრუზი...* ამ სიტყვა-
თა ხმაბაძვითი ხასიათი თითქოს ეპყეს არ იწვევს, მაგრამ უფრო თვალ-
საჩინო დაკავშირება მნიშვნელობისა და ბგერადობისა ჭირს: *ზაყ-ება
'რყევას', 'ჯანჯლარს'* აღნიშნავს, იმავე ფუძის *ზაყბაყი* არის 'დაუფიქ-
რებელი, ხმამაღალი, უთავბოლო ლაპარაკი'. *ზაპაბუბი, ზაპუნნი* არის
'რბილ რამეზე ჯოხის და მისთ. ცემის ხმა'. ხოლო *ზაპანი* — 'მძიმე და
დიდი რისამე ძირს დავარდნის, დაგდების ხმა'. ზ ბგერასთან არის და-
კავშირებული 'ყურთასმენის წამლები ხმაურის' აღმნიშვნელი სიტყვა
ზათქი, 'დიდ საგანთა ძლიერი და სწრაფი რყევის გუგუნის მაგვარი
ხმინანობა' — *ზანზარი*, 'ერთად შეყრილი მრავალი ადამიანის ხმაური-
ნი მოძრაობა, ჩოჩქოლი, ქრიაბული' — *ზიშზიში*, 'გულამოსკენილი ხმა-

მაღალი ტირილი — ზღუქენი, 'ჯართ დაჭრიალება' — ზრინვა, 'გოდების ბანი' — ზრუნი, 'შკერივი და რბილი, მძიმე, დიდი სხეულის მოსილღვით დაცეპის ხმა' — ზღართან, 'ცეცხლის ხმიანობა' — გუზგუზი, ღუზღუზი და სხვ. ამასთანავე, ბევრ შემთხვევაში ეგვევ ფუძეები ზ-ბგერის სხვა რომელიმეთი შენაცვლებით მნიშვნელობას არ იცვლიან გუზგუზი — გურგური, ზრიალი — გრიალი, ზაქენი — ჟაქენი, ზღართან — ჟღერთან, ზრზოლა — ჟრვოლა, ზაყება — ჟაყჯაყი...

აღსანიშნავია, რომ ბევრ შემთხვევაში ხმაბაძვითი სიტყვებიც ემორჩილება ქართულ ენაში არსებულ ბგერათცვლის წესებს. ასე, ზღარტ-ზღარტუნ-ფუძემ ბერტყ-ბარტყუნ-ფუძედ ქცევისას იგივე ცვლილება განიცადა, რაც არახმაბაძვითმა ზღარტ-ფუძემ (—ბარტყ). ხმაბაძვ. ხეთქ-ფუძე ხმოვნის რედუქციისა და შემდგომი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ბგერითად სრულიად განსხვავებულ სკდ-ფუძედ იქცა [15].

ამრიგად, ხმაბაძვის აღმნიშვნელ ფუძეებში გამოყენებულია ქართული ენისათვის სპეციფიკური ფონემები, საზოგადოდ, ქართული ფონოლოგიური სისტემა. გარდა ამისა: ქართულისათვის დამახასიათებელი კომბინატორული პროცესებიც მოქმედებს ხმაბაძვით ფუძეებში, სადაც ბგერადობაზე თითქოს სიტყვის მნიშვნელობა უნდა ბატონობდეს.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ ხმაბაძვას ამა თუ იმ ენის შესაძლებლობათა ფარგლებში აქვს ადგილი და ხმაბაძვითი სიტყვებიც მეტ-ნაკლებად ამ ენის ფონოლოგიურ მოდელში თავსდება. შემდგომმა კვლევამ უნდა დაადგინოს ზოგადდამიანურისა და ენობრივ-კონვენციურის წილი და ურთიერთმოქმედება ქართული ხმაბაძვითი სიტყვების შექმნა-ცვლილებებში.

ბგერითი შესტი

74. ხმაბაძვით სიტყვებში ბგერადობისა და მნიშვნელობის უშუალო „შინაგანი“ კავშირის ფაქტების გვერდით გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ხმაბაძვითი ფუძეები ქლერადობითა და აგებულებით არ განსხვავდება არახმაბაძვითი ფუძეებისაგან.

ჩაშკიქება ხმაბაძვითს ფუძეს შეიცავს: შიქიქი ისეთი ხ მ ი ა ნ ო ბ ა ა, რომელსაც საათის მექანიზმი გამოსცემს მუშაობის დროს (შდრ.. აგრეთვე, შიქო-შიქო! 'გარმონზე დაკერის ხმა'). მაგრამ 'წერილი ასობით ლამაზად და მკიდროდ დაწერიის' აღმნიშვნელი ფუძეც ამგვარადვე ქლერს—ჩაშკიქებას, ჩაშკიქებული: „—ეაო, ი მამაცხონებულმა მეზუზიკემ ისე დააშკიქა, რო არ ვიცი როგორა!... — არ გინდა, ილიკო, ისეთი ჩაშკიქება შენც იცოდე?“ (შ. არაგვისპირელი). შდრ. „ოთხი დიდი ფურცელი იყო წერილი, მაგრამ გარკვეული ხელით ჩაშკიქებული“ (შ. დადიანი).

ამ ომონიმურ ფუძეებს შიშინა ვარიანტებიც აქვთ: *ჭიკჭიკი, ჭიკჭიკა, მოჭიკჭიკე* მერცხალია: „მე პატარა მერცხალი ვარ, მოჭიკჭიკე. მოალერსე“ (შოი მღვიმელი), „კი, მაგრამ მნათე არა ჩანს, ჩემთან მომტანი ცეცხლისა, ის მოციქული მომავლის, მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა“ (აკაკი). მაგრამ *ჭიკჭიკა* შეიძლება იყოს ვარსკვლავებიც და ეს, ცხადია, უკვე არაა ხმიანობა: „მზე საფლავს სხივებს მტყორცნიდეს, დაჰქათქათებდეს ზედ მთვარე, და ვარსკვლავები ჭიკჭიკა, მიზნედით მოსხივცისკარე“ (აკაკი).

ასევე, ხმაბაძვას არ გამოხატავს ეს ფუძე ამგვარ გამოთქმაში: „შქერის წნელით ჩაჭიკჭიკებული ღობე“ (პ. ირეთელი). „ჩაჭიკჭიკებული ნაწეროც“ და ს ა ნ ა ხ ს შეეხება და არა გასაგონს; ამ შემთხვევებში, მამასადამე, ხმაბაძვაზე ვერ ვილაპარაკებთ.

ბღერიალი არის 'ღრიალის' მნიშვნელობის ფუძე („ბღერიალებს — ბრიყულად ტირის“ (საბა), მაგრამ არსებობს მეორე ბღერიალი: — 'ძლიერი ნათების' აღმნიშვნელი.

სხვა მაგალითები: კარკარა 'გამჭვირვალე' — კარკარი 'რაკრაკი'.

ბჟუტ-ური 'უთავბოლო ლაპარაკი' — ბჟუტ-ავს 'ძლივს ანთია'.

ჭიკჭიკი 'ბრწყინვა, ციმციმი' — ჭიკჭიკი, ჭრიკჭრიკი 'ფრინველის ხმიანობა: „ჯერ მარტო მივდიოდი, შემდეგ ჭიკჭიკა მერცხლები და წივილა ნამგალები გამოჩნდნენ“ (რ. ინანიშვილი). შდრ. „ჭიკჭიკა ვარსკვლავთ ჰკონიდან, მკერდით ცას დატოლებულნი“ (ბაჩანა). „ცად ვარსკვლავები ჭიკჭიკებს, მიწა გათეთრდა რთვილითა“ (ვაჟა).

ღუღუნი 'წყნარად ნთება ცეცხლისა' — ღუღუნი 'მტრედისა და მისთ. ხმიანობა: „ქალბატონ ციცინოს ოთახში ბუხარი ღუღუნებდა“ (დ. შენგელაია). შდრ. „ხმელი წიფლის კენწეროზე ქედნები სხდებოდნენ და ღუღუნებდნენ“ (ვაჟა).

ასევე, ღაღანი 'ფერის ელვარება' და ღაღანი 'ღედლის ხმიანობა კვერცხის დადების წინ' და სხვ.

ამგვარი სიტყვები საკმაოდ ბევრია და მათ გვერდს ვერ ავუხვევთ. მათი სრული აღრიცხვა და წარმომავლობის გათვალისწინება მნიშვნელოვანი სამუშაოა. მაგრამ როგორი შედეგებიც არ უნდა მოგვეცეს მომავალმა მუშაობამ, უკვე დღესვე შეიძლება დავუკავშიროთ ეს მოვლენა ე. წ. „ბგერითი ექსტების“ საკითხს.

75. ვ. ვუნდტი წერს: „ცოცხალი შთაბეჭდილება წარმოქმნის საარტიკულაციო ორგანოთა რეფლექსებზე დაფუძნებულს მოძრაობას. ბ გ ე რ ი თ ს ე ე ს ტ ს, რომელიც ისევე შეესაბამება ობიექტურ გამლიზიანებელს, როგორც ყრუ-მუნჯის მიმითთებელი ექსტი არის ადეკვატური იმ ობიექტისა, რომელზედაც უნდა მიაქცევიონ ყურადღება სხვა

ადამიანს. ამგვარი წარმოშობის ბგერადობა შესაძლებელია გარეგნულად ხმაბაძვას წააგავდეს, მაგრამ აქ ობიექტური ბგერის მიბაძვასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ თანმხლებ ბგერადობასთან. ბგერადობა აქ წარმოიქმნა საარტიკულაციო ორგანოთა გამომხატველობითი მოძრაობის შედეგად“ [188]. ვუნდტის აზრით. ბგერითი ქესტების კარგი ნიმუშებია საარტიკულაციო ორგანოთა სახელები — ენისა, კბილისა. პირისა... —, მათ მიერ შესრულებული სამეტყველო თუ სხვა მოძრაობათა სახელები.

ბგერითი ქესტი აქვს მხედველობაში შ. ბალის, როდესაც ამბობს: „lapper — 'სვლეპის' აღმნიშვნელი ზმნის არტიკულაცია დაახლოებით იმავე მოქმედებას იმეორებს, რასაც აღნიშნავს“ [178].

ქართულიდან საამისო მაგალითები იქნებოდა: ყელი, ხორხი, ენა, შლაპუნი, ხარხარი...

ყ ბგერის არტიკულაციის დროს განსაკუთრებით საგრძნობია ყ ე-ლ ის მონაწილეობა (შდრ. სიტყვა ყელი).

ასეთივე ვითარებაა ხორხი-სიტყვის შემადგენელ ბგერათა წარმოქმნის დროს — ხ ო რ ხ ის მონაწილეობა ბ-ბგერის წარმოქმნისას.

ენა-სიტყვის წარმოქმნაში აქტიურად მონაწილეობს თვით ორგანო ე ნ ა; ამ ორგანოს აქტიურობა განსაკუთრებით საგრძნობია ნ და, აგრეთვე, შ ბგერების წარმოქმნისას.

როდესაც წარმოვთქვამთ შლაპუნი-სიტყვას, მკაფიოდ შევიგრძნობთ ენის წვერისა და ბაგეების მოძრაობას (შლ. კ). ე. ი. იმ ორგანოებისას, რომელთა მონაწილეობა აუცილებელია წ ლ ა პ უ ნ ის როგორც მოქმედების შესასრულებლად.

ხარხარი-სიტყვის ორმაგი ხ აამოქმედებს ენის უკანა ნაწილს იმგვარადვე, როგორც ეს ხდება თვით ხმამაღალ სიცილში — ხ ა რ ხ ა რ შ ი.

რაც შეეხება ბგერადობას, ე. ი. ხარხარი- და შლაპუნი-სიტყვების მსგავსებას ხმამაღალ სიცილთან (ხარხართან) და ჭამის დროს ხმის გამოცემასთან (წლაპუნთან), — ეს, ვუნდტის მიხედვით, თ ა ნ მ ხ ლ ე ბ ი მ ო ე ლ ე ნ ა ა.

75. როდესაც ეს ბგერითი წარმოდგენები გადადის გრძნობითს ხატში, მიიღებაო, ამბობს ვუნდტი, „ბუნებრივი ბგერითი მეტაფორები“ — არაგანზრახული ასოციაცია, უშუალოდ აღმოცენებული ბუნებრივი გრძნობითი ელფერისაგან (ემოციური ტონებისაგან) ანუ „ემოციებზე დამყარებული ბუნებრივი ასოციაციები“ [188].

ვუნდტს დაუანგარიშებია და გამოსვლია, რომ მის მიერ ამ მიზნით გამოკვლეულ ენათაგან 80%-ში ფ ი ზ ი კ უ რ ა დ ძ ლ ი ე რ ი მ შ ო ბ ლ ის — „მამის“ — აღმნიშვნელი სიტყვა უფრო ძ ლ ი ე რ ი ბ გერებით გადმოიცემა, ვიდრე შედარებით ს უ ს ტ ი მ შ ო ბ ლ ის — „დედის“ —

აღმნიშვნელი: papa—mama, tata—nana *. აქ გასაოკვევია — რას ნიშნავს ბგერის სიძლიერე-სისუსტე — აკუსტიკური შთაბეჭდილების თავისებურებას თუ ძალისხმევას არტიკულირებისას.

საზოგადოდ, გარკვეული ბგერადობის ასოციაცია გარკვეულ ემოციებთან, რა თქმა უნდა, გამოიხატება არ არის; ესაა კერძო გამოვლენა სინესთეზიის სახელით ცნობილი მოვლენისა ფიზიოლოგია-ფსიქოლოგიაში [253]. ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ მაგალითები იმისა, რომ მსგავსად ელერს, ერთი მხრით, ნათების და, მეორე მხრით, ხმეერების აღმნიშვნელი ფუძეები (ღაღან-, ზღერიალ-, კარკარ-, ბეუტ-, თეჟეჟ-, ტეჟეჟი-, ლულუნ-...), ამათგან ზოგიერთი მართლაც შესაძლებელია, რომ ბგერადობისა და ემოციათა ასოციაციების შედეგი იყოს.

მაგრამ, ჭერ ერთი, სარწმუნო შედეგები რომ მივიღოთ, საჭიროა უფრო მკაცრად დავიცვათ ვუნდტის მიერ შემოთავაზებული წესები. ე. ი. უნდა დავადასტუროთ ამგვარი ფაქტების დიდი რაოდენობა, რომ შემთხვევითობა გამოირიცხოს; უნდა დავადასტუროთ ამგვარი ფაქტების არსებობა სხვადასხვა ოჯახის ბევრ ენაში.

მეორეც: ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, სადაც ემოციური ლატვირთულობა საკუთრივ სიტყვის ელერადობას კი არა აქვს, არამედ ამ სიტყვით აღნიშნულ საგანს. ეს ემოციური ელფერი თვით სიტყვაზედაც შეიძლება გადავიდეს და შემდეგ კი ამ სიტყვის მსგავსი ელერადობის მქონე სხვა სიტყვასაც გადაედოს: ვთქვათ, იმის გამო, რომ არადადებითი ელფერის მქონე რამდენსამე სიტყვაში ღღ და ჯღ ბგერათა კომპლექსი მონაწილეობს (ღღღღაა, ღღღაააა, ღღღუ, ღღღი, ღღღღღი... ჯღაააა, იჯღაააა, ჯღააის, ჯუჯღღღი, ჯიჯღაა, ღააააღღღღი...), — შესაძლებელია უსამოვნო გრძნობა დაჰკავშირებოდეს თვით ღღ-ჯღ-ბგერებს... მაგრამ საკუთრივ ქართული ენის მასალაზე ასეთი რამ არ დასტურდება: ღღუ, ჯღა. ბოროტი ნეიტრალური ემოციის სიტყვებია (თუ სულაც დადებითისა არა!); ბგერითი მსგავსება არადადებითი ელფერის სიტყვებთან გავლენას ვერ ახდენს მათ გრძნობით ელფერზე.

ეფემისტური შენაცვლება ზოგიერთი სააუგო სიტყვისა გამოწვეულია არა საკუთრივ ამ სიტყვის ბგერადობით, არამედ სათანადო აღსანიშნის ხასიათით, ამიტომ უხერხულობის გრძნობა ჩქარა ჩნდება იმ ახალი სიტყვის მიმართაც, რომელიც სახსენებლად უხერხული საგნის ძველ სახელს ცვლის.

* ქართული ენა. ჩანს. ოპროცენტთან გამოწვევაში შედის! აქ „ილიჯარ ბგერა“ დ შედის „სუსტი არსების“, დე დის აღმნიშვნელ სიტყვაში. ხოლო „სუსტი ბგერა“ — „ძლიერი არსების“, მაშინ აღმნიშვნელ სიტყვაში.

სიტყვის სიგრძე და ომონიმიის საკითხი

77. ქართული სიტყვის რიტმული მხარის დასახასიათებლად საყურადღებოა ის გარემოება, რომ გაბმულ მეტყველებაში ქართულში ქარბობს ორ- და სამმარცვლიანი სიტყვები: ნაკლები რაოდენობით გვხვდება ოთხ- და ერთმარცვლიანები. ხოლო ოთხმარცვლიანზე მეტი — იშვიათია.

აი, ზოგიერთი დაანგარიშების შედეგი (პროცენტებში):

	1 მარცვ.	2	3	4	5	მეტი
ვაჟა-ფშაველას მოთხრობა	25	30	25	13	5	3
ვახუშტის მოწინავე	15	22	22	22	12	7
სამეცნიერო ნაშრომა	14	31	21	16	11	7

გრძელი სიტყვები დამახასიათებელი ჩანს უფრო „საკმიანი“, „წიგნური“ ენისათვის. ეს სიგრძე გამოწვეულია სიტყვაწარმოებისა და კომპოზიციის უფრო ხშირი გამოყენებით.

შენიშნულია, რომ საერთოდ ენებში მოკლე სიტყვები უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე გრძელი სიტყვები. ჯერჯერობით, სანამ ქართულისათვის შედგენილი არა გვაქვს ე. წ. სიხშირის ლექსიკონი, ამ მოვლენას ქართულ მასალაზე ვერ შევისწავლით, ვერ დავადგენთ მისი გამოვლენის სპეციფიკურ პირობებს ქართულისათვის. მაგრამ საილუსტრაციოდ შესაძლებელია თვალყური მივადევნოთ ვაჟა-ფშაველას სიმფონიის ჩვენებას:

დაახლოებით 400 ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვიდან (სიტყვაფორმიდან) ვაჟას სიმფონიაში ერთმარცვლიანი არის მეოთხედი (26%). ორმარცვლიანი — ნახევარი (52%), სამმარცვლიანი — მეხუთედი (20%). ოთხმარცვლიანი სულ 2%; ამას უნდა დავუმატოთ ორად ორი ხუთმარცვლიანი სიტყვა — *კუბნებოლა* და *შაშადაძამე* — რომლებიც აგრეთვე საკმაოდ ხშირად (ასჯერ და მეტჯერ) უხმარია ვაჟას.

ქართულში სიტყვის სიგრძესთან არის შეხამებული მახვილი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მახვილი, როგორც ცნობილია, დინამიკურია (და არა ტონური), საკმაოდ სუსტია და არამოძრავია. მახვილი სიტყვას ბოლოდან მეორე-მესამე მარცვალზე მოუდის, ე. ი. ორ- და სამმარცვლიან სიტყვებში მახვილი სიტყვის თავშია, უფრო

გრძელ სიტყვებს ორ-ორი მახვილი აქვს—ბოლოდან მეორეზე (თუ სიტყვა ოთხმარცვლიანია), ან მესამეზე (თუ მეტიანია), და თავივლურ მარცვალზე [236]. გრძელ სიტყვეებში მახვილის ამგვარი ხასიათი, უნდა ვიფიქროთ, შეპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქართულში სიტყვები მეტწილად ორ-სამმარცვლიანია.

ამა თუ იმ ენის თავისებურებას სიტყვათა სიგრძესა და მახვილში ალბათ გარკვეული მნიშვნელობა ექნება არა მხოლოდ პოეტური ენისათვის (სადაც რიტმი გადამწყვეტი მათრგანიზებული ძალაა), არამედ პროზისათვისაც (ცნობილია, რომ პროზაულ ნაწარმოებსაც აქვს თავისი რიტმი) და ჩვეულებრივი სასაუბრო ენისთვისაც.

კერძოდ, სიტყვის სიგრძე შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში ლექსიკოლოგიის ყურადღების საგანი შეიქნეს. სახელდობრ, ეს ხდება მაშინ, როდესაც ომონიმიის საკითხს იკვლევენ.

ზოგიერთი მეცნიერის, კერძოდ, ულმანის აზრით, ომონიმიისათვის „სიტყვის სიგრძეს უეჭველად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: რაც უფრო მოკლეა სიტყვები ენაში, მით უფრო მეტი იქნება ომონიმები... ფრანგულისა და ინგლისურის მსგავსი ენები, რომლებშიც ერთმარცვლიანი სიტყვები ქარბობს, განსაკუთრებით მდიდარი იქნება ომონიმებით“ [232].

ამრიგად, აღიარებულია, რომ ლექსიკის ფონეტიკურ დახასიათებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ლექსიკოლოგიური საკითხი ომონიმიისა. ქართული ენის ლექსიკა ამ თვალსაზრისით ჯერ არ არის შესწავლილი, პირველი მიმოხილვა კი უყოყმანო დასკვნათა გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღბეზონაკვეთებზე ასეთი ვითარებაა:

ა-ასოზე ხსენებულ ლექსიკონში მოთავსებულია სამოცდაათამდე ომონიმური წყვილი (და ჯგუფი):

ა, აპნევს, აპხლებს, აპზინდა, აპნევს, აგება, აგზავნის, ადარებს, ადენა, ადენილი, აეკლება, აესხმება, ავანგი, ავარიული, აი, აიბნევა, აკვლევიანებს, ალი, ალა, ალაფი, ალერსი, ალვა, ალბი, ამბარი, ამება, ამო, ამოახხამს, ამოანხმევიანებს, ამოგება, ამოგებული, ამოდენა, ამოდენილი, ამოიგებს, ამოისეამს, ამოისერის, ამოისხამს, ამოისხმება, ამოსკენილი, ამოსმა, ამოსმული, ამოსხმა, ამოსხმული, ამოუგებს, ამოუხამს, ამცნევს, ამა, არა, არგო, არწივი, ახხამს, ახია, ახმა, ა[ს]ტუხს, ატლასი, ატყდება, აშურლება, ანენა, აცვივლება, აძვრებს, აქრობს, აშამებს, აშამებინებს, აშვეს, აშერს, აშვიმებს, ა[ს]წყდება, ა[ს]წყვეტს, აგრის, ახი, ახლებს, ახმობინებს, ახტება, ახურავს, აჯავრებს...

ამათგან ერთმარცვლიანი სიტყვებისა მხოლოდ ერთი წყვილია — ა (1. ჩვენებითი ნაწილაკი „აი“, 2. შორისდებული ნიშნის მოგების გამო-სახატავად „აჰა“), ორმარცვლიანია 20 (ე. ი. 30%), სამმარცვლიანია 27 (38%), ოთხმარცვლიანია 19 (30%) და ხუთ-ექვსმარცვლიანი სიტყვებიც კი გამოერია ომონიმთა შორის: აგარიული 'აგარიის გამომწვევი'—აგარიული 'ხუნძური', ამოასხმევენებს...

რა თქმა უნდა, ამის მიხედვით მაინც ვერ უარყოფთ ერთი ხელის მოსმით ულმანის მიერ გამოთქმულ ვარაუდს. საქმე ისაა, რომ სიტყვის სიგრძე აქ მარცვლების რაოდენობით ვიანგარიშეთ, მაგრამ სხვა სიტყვასთან დამთხვევა-დაუმთხვეველობისათვის მნიშვნელობა აქვს საერთოდ სიტყვის შემადგენელ ფონემათა რაოდენობას, ე. ი. არა მხოლოდ მარცვლის შემქმნელ ხმოვნებს, არამედ თანხმოვნებსაც. ამ მხრით საინტერესოა, რომ ჩვენ მიერ განხილული სიტყვები ღარიბია თანხმოვნებით.

უფრო საგულისხმოა ვითარება ბ მონაკვეთში: ომონიმიის სამოცი შემთხვევიდან ერთმარცვლიანია 31, ორმარცვლიანი—17 (სამ ფონემას შეიცავს 24, ოთხს — 20) და ა. შ. (დაანგარიშებისას არ გავითვალისწინებია ბრუნვის და პირის ნიშნები).

აქ თვალსაჩინოა სიტყვის სიგრძე-სიმოკლისა და ომონიმურობის ურთიერთკავშირი.

ფონეტიკური ცვლილებებით გამოწვეული ომონიმია

78. ომონიმთა მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენს ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთმანეთს დაემსგავსნენ მათში (ერთ-ერთში ან ორივეში) მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების გამო.

აი, გარდა ჩვენებითი ნაწილაკისა, ზოგ დასავლურ კილოში წარმოადგენს ფონეტიკურად გამარტივებულ აგი-ნაცვალსახელს.

ამა კილოებში შეენაცვლა ამა-სიტყვას და, ამრიგად დაემთხვა ბავშვთა ენის ამა'ს.

არა: უარყოფითი ნაცვალსახელი არრა გამარტივდა და დაემთხვა უარყოფით სიტყვას (ამგვარადევა მიღებული ომონიმები ეერა. უღრ. აღარა—არღარა და ველარა—ვერღარა).

ბოყვი ენაცვლება, ერთი მხრით, ბოკვი-სიტყვას (ერთ-ერთი ჰიშის ხის სახელს) და, მეორე მხრით, ბაყვი-სიტყვას (სხეულის ნაწილის სახელს).

ბოში — 'ფომფლეს' აღმნიშვნელ სიტყვას გვერდით ამოუდგა ბაჟეშის კილოური ვარიანტი ბოში.

ბღვრიალი 'ძლიერი ნათებაც' არის და 'ბრიყული ტირილიც'. პირველ შემთხვევაში ამოსავალი ჩანს ბღვირ-ფუძე (მღრ. მბღვინვარე) ბღვრიალის საფეხურის გავლით (მსგავს გარემოცვაში ლ და რ ბგერების განვითარებაც ჩვეულებრივია ჟართულში და უცხო არაა არც ბღვრკომპლექსის გამარტივება ღს ამოღებით); მეორე სიტყვა ღრიალს უნდა უკავშირდებოდეს.

ღააში ერთმანეთს ფონეტიკურად დაემთხვა ღიდად და ღედა (მღრ. ღაადი. ღიოფალი).

თათხაეს-სიტყვაში, 'ლანძღავს'-მნიშვნელობა 'დასერის'-გადატანითი ხმაწებიდან არის განვითარებული და თითხნის-სიტყვის მონათესავეა; მეორე სიტყვა, 'ფეხების განვირად გაშლას' რომ გულისხმობს, ჩაჩხაეს-სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი ჩანს.

კაკანა არის აკეანი-სიტყვის სახესხვაობა (ბავშვთა ენაზე) და 'მოკაკანეს' აღმნიშვნელ სიტყვასთან არის ომონიმურ ურთიერთობაში.

კელა: ერთი სიტყვა კლუას ვარიანტს წარმოადგენს, მეორე — კელაე-სიტყვის ფარდია.

ჩაფულა 'ფეხსაცმელსაც' აღნიშნავს და ჩაფურა ('ჭურჭელი ერთგვარი')-სიტყვის ბგერითი სახესხვაობაც არის.

ჩილა კუთხური ვარიანტია, ერთი მხრით, ჩირი'სა და, მეორე მხრით, ჩლა-სიტყვისა.

ჩხამა არის შხამა-სიტყვის ვარიანტიც და ერთგვარ თევზსაც აღნიშნავს; ამ მეორე შემთხვევაში ჩ ალბათ ოდინდელია (მღრ. მეგრ. ჩხოში, ადგილის სახელი ოჩხამური...). ბალახის სახელში კი ჩ მეორეული ჩანს (შ-ჩ: შხამა—ჩხამა).

ძილისპირ'ად იქცა ძველი ძილისპირი 'საგალობლის ჭაშნიკი' და გარეგნულად დაემთხვა ძილის პირ'ს. ამ გარეგნულმა დამთხვევამ ძილისპირის, თავდაპირველი მნიშვნელობა გააბუნდოვანა და ამ ომონიმთა დიფუზიაც გამოიწვია: შეიქმნა სიტყვა ძილისპირული, რომელიც აღნიშნავს ისეთ ს ი მ ღ ე რ ა ს, რომელსაც ძ ი ლ ი ს წ ი ნ გალობენ (ან უგალობენ ვისმეს) (იხ. § 94).

ძირა, ერთ-ერთი მცენარის სახელი, მიღებულია ზირა'საგან და ფონეტიკურად არის დამსგავსებული ძირა'ქვედა' -სიტყვას.

აძრობს 'მოყინავს'-სიტყვის აღრინდელი სახეობაა აძრობს; დღეს იგი აძრობს (გა-აძრობს, გამო-აძრობს...) -სიტყვას დამსგავსებია გარეგნობით.

ძკანჭკარა არის როგორც ნაკადულის ეპითეტი, ისე ერთ-ერთი ჩიტის სახელწოდება. ნაკადულის ეპითეტად ნახმარი სიტყვისათვის ხმაბაძვა

არის ამოსავალი (შდრ. მონათესავე ფუძის სიტყვები *შკრიალი*, *შკარუნი*, *შიქშიკი...*), ხოლო ჩიტის სახელწოდება თავდაპირველად ელერდა როგორც *შყალშყალა*. აქა-იქ ამ სიტყვას ახლაც ვხვდებით ამ ფორმით (ჩიტი წყლის ნაპირას გვხვდება ხოლმე და აქედან შერქმევია ეს სახელიც).

შუა გათუთქული ტყემლის წვენსაც აღნიშნავს და ერთ-ერთ ჩიტსაც; ჩიტის სახელად *შუა* მეორეულია: მომდინარეობს *შოია* საგან.

შუმშუმა იხმარებოდა ასანთის სახელადაც და აღნიშნავდა სითხის მოსაკავებელ კურჭელსაც. ორივე სიტყვის აღრინდელი ბგერადობა დადასტურებულია საბას ლექსიკონში: გოგირდის აღსანიშნავად *შუნშუმა* და კურჭლის სახელად *შურშუმა*.

ამ სიტყვის განმარტებისას საბას *კურკუმა* ც მოუშველებია; თვით *კურკუმა* განმარტებული აქვს *კუმკუმა*-სიტყვით. ეს უკანასკნელი „ვერცხლის კურალი“ ყოფილა, ხოლო კუბალი „ხის *შუმშუმა*დ“ არის დასასიათებელი. ამრიგად, კურჭლის სახელად *შუმშუმა* და *შურშუმა*-სიტყვებს გვერდით უდგას *კუმკუმა* და *კურკუმა*. კ და *შ* ბგერები (რითაც ეს წყვილები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან) ყელბზულებია: მათგან *შ* მეორეულია, რადგან ფონეტიკურად შესაძლებელი პროცესია კ'ს აფრიკატიზაცია და *შ* დ ქცევა (*კ-შ*) და არა პირიქით (*შ* ს დეზაფრიკატიზაცია ბ'ს მოგვეცემა და არა კ'ს).

ჭვიჭინი 'ჭერეტა' არის, ე. ი. მალეით ცქერა. ამგვარივე ბგერადობის მეორე სიტყვა ხმაბაძვითი ჩანს. ამრიგად, ქართულში გვაქვს ორი *ჭვიჭინი*: ერთი — *ჭვრიჭინი*. *ჭვიჭინი*-რიგისა, მეორე — *ჭვიჭინი*-რიგისა.

ჭვიჭინა 'საწნახლის თვალის' აღმნიშვნელი სიტყვაა, მეორე *ჭვიჭინა* კ ხმაბაძვითია, *ჭვიჭინა*'ს ფარდია.

ზემით (§ 36) ნახსენები ზელი ომონიმიის ტიპური მაგალითია: ძველ ქართულში 'გიეს' ნიშნავდა („ბრძენი რის ბრძენი, რა ბრძენი, ზელი ვითა იქმს ბრძნობასა“, „ბრძენი ვეტყვი, არა ზელი...“). რაც შეეხება ზედა კიდურის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც ამჟამად ისევე ბგერს — ზელი („ხელშწიფობით შემებრალნეს, ამაღ ზელი არ შეეახე“, „ხელი მოჰკიდა ავთანდილს“...), მის თავკიდურად სულ სხვა ბგერა — ჯ-გამოდიოდა და სიტყვებიც სხვაგვარად ელერდა (ზელი — ჰელი). კ ფონემის გაქრობამ (უკანანისმიერი რიგის გაქრობა ქართული ენის ერთ-ერთი ისტორიული კანონზომიერებაა) გამოიწვია ამ ორი სიტყვის ფონეტიკური დაშლაც.

ზლინგი 'ფიცრის კიდე' არის. ამ მნიშვნელობით საბას ლექსიკონში ლინგი გვაქვს. ზლინგი არის აგრეთვე ზრიკი (ღიალექტებში *ზრინკა* ფუძეც გვხვდება: *ზრინკული*). რომელიც 'ფანდ'ს აღნიშნავს. ამრიგად, საბას ლექსიკონში 'ფიცრის კიდე' და 'ფანდი' ომონიმებით არ გადმოიცემოდა:

ლინგი — ზრიკი. უნდა ვიფიქროთ, თითოეული მათგანის ფონეტიკურმა სახეცვლილებამ გამოიწვია მათი ბგერითი დამთხვევა თანამედროვე ქართულში.

ზორზორი 'აურზაური'ს მნიშვნელობით როზროზი და ზორზოზი-სიტყვების რიგში დგას, ხოლო სხვა ზორზორი — 'არაფხეიერი მიწა' — არის სახესხვაობა ზეარზვარი-სიტყვისა.

ამრიგად, ფონეტიკური ცვლილების გამო ერთმანეთს დამსგავსებული სიტყვები-ომონიმები ორ ქვეჯგუფად შეიძლება დაიყოს: ან ერთერთი სიტყვის ცვლის გამო მისი ბგერადობა და ე მ თ ხ ვ ა მ ე ო რ ე ს ი ტ ყ ვ ი ს ბ გ ე რ ა დ ო ბ ა ს (აგე||აი — აი; აბა||აბა — აბა; არაა||არა — არა; ბაეშეი||ბაეში||ბოში — ბოში; აკეანი||კაკანა — კაკანა; შხამა||ჩხამა — ჩხამა; ზირა||ძირა — ძირა; შოია||შუა — შუა; აზრობს||აძრობს — აძრობს; წყალწყალა||წკან-წკარა — წკანწკარა; კელი||ხელი — ხელი), ან კიდევ ორი სიტყვა სხვადასხვაგვარი ცვლილებების შედეგად ერთმანეთს და ე მ თ ხ ვ ა ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ა დ (ბოკვი||ბოყვი — ბოყვი||ბაყვი; ბღღვრიალი||ბღღვრიალი — ბღღვრიალი||ღღვრიალი; დიდაღ||ღია — ღია||ღეღა; თითხინის||თათხავს — თათხავს||ჩაჩხავს; კელაე||კელა — კელა||კლეა; ჩირი||ჩილა — ჩილა||ჩლა; შუნწუნა||წუნწუნა — წუნწუნა||წურწუნა||კუმკუმა||კურკუმა; ლინგი||ხლინგი — ხლინგი||ზრიკი||ზრინკ...; ზეარზვარი||ზორზორი — ზორზორი||როზროზი||ზორზოზი).

მორფემული აგებულებით განსხვავებული ომონიმები

79. ომონიმებს წარმოადგენენ ის სიტყვებიც, რომლებიც ფონეტიკურად იგივეობრივნი არიან, მაგრამ მორფემული აგებულება კი განსხვავებული აქვთ:

ასული — 'ქალიშვილი' (შდრ. ზან. ოსური) და მიმღეობა 'ვინც ავიდა' ვალ ფუძიდან (ა-ს-ვლ-ულ-ი).

აჩეა 'ხელნებდაშეებული სამთო ურემი' და აჩეა-ზმნით გამოხატული მოქმედების სახელი (ა-ჩეა-ა).

ბერა 'თამაშობაში მონიშნებული ადგილი' და ბერი-სიტყვის კნინობითი (ბერ-ა).

ზედა არის ზედ-სიტყვისაგან ნაწარმოები ზედსართავი („ზედა ყბა“, „ზედა ტუჩი“, „ქვედა სართული იყო ქვიტიკრის, ზედა კი, ფართოაივნიანი, ხის“: დ. კლდიაშვილი); იგივე ფუძე — ემფატიკური -ა-სუფიქსით — სხვა სიტყვას ქმნის („ლოგინის ბოლოს ვარცლი დგა, თავით — საპურე გოდორი, ზედა ზის კრელი დედალი, მას თავს უშშვენებს ქოჩორი“: ვაყა; „საფლავეში ვარ თვალით ვერას ვხედავო, ქვა და ლოდი მაფარია ზედაო“: იეთიმ გურჯი).

სვიანი: -იან-სუფიქსი აქ ორ განსხვავებულ ფუძეს ერთვის — სვე- და სვია-ფუძეებს და, ცხადია, ორ განსხვავებულ სიტყვას იძლევა; ერთი სიტყვა 'სვეს, ბედის მქონეს' აღნიშნავს („იყო არაბეთს რუსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი“). მეორეა 'სვიას, საფუარის მქონე' („შასვი, მინდია, — ეტყვიან, — კაი ლუღია სვიანი“: ვაჟა).

ბმალა: ბმალ-ფუძეს ერთვის ხან კნინობითის -ა და ისევე 'ხმალს' ნიშნავს, ოღონდ კნინობითის ელფერით; ხან კიდევ ზედსართავის მაწარმოებელი -ა ერთვის იმავე ფუძეს და ვიღებთ სხვა სიტყვას, ქართული გუთნის ერთ-ერთი ნაწილის სახელს.

ომონიმია გვაქვს ბევრი ქართული ასოს სახელწოდებასა და მის თანაბგერად სიტყვებს შორის: ან — კავშირი ან; ვინ — კითხვითი ვინ; მან — ნაცვალსახელი მან; თან, შინ — ზმნისართები თან, შინ; ხანი — 'დრო'; ჯანი — 'ლონე'.

ომონიმია უძველეს და შეთვისებულ სიტყვებს შორის

80. ამ უკანასკნელ სიტყვებში (ხანი — 'დრო', ჯანი — 'ლონე') უცხოურ ფუძეებთან გვაქვს საქმე. ომონიმიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ქართულში არის უცხო წარმომავლობის ლექსიკური მასალის შეხვედრა უძველეს სიტყვასთან*.

ომონიმიას ქმნის ქართულ სიტყვებთან, მაგალითად, არაბული წარმომავლობის შემდეგი სიტყვების შეხვედრა: ასლი: 'ხორბლის ერთ-ერთი ჯიში' — არაბ. 'დედანი'; დოლი: 'ხორბლის ერთ-ერთი ჯიში' — 'საკრავი იარაღი'; ვადა: 'ხმლის ჭვარელი' — 'დრო'; ხალვა: 'დახალვა' — 'მარტობა'; ჯინი: 'დაბალი კალათა' — '(ავი) სული, დემონი'.

ქართულ-სპარსული ომონიმებია: ბაზი: 'მწერი' — სპარს. 'ქორი, მიმინო' (აქედან ბაზიერი); ბაგი: 'უმწიფარი' — 'გადასახადი'; ბარდამა: 'ბარდი' — 'ტომარა'; ბუკი: 'დიდი კუნძი' — 'საყვირი'; ზარი: 'დასარეკი' — 'ტირილი'; ჭანგი: 'მეავე' — 'ბრწყალი'; ჩრაქი: 'ვაზის დააეადება' — 'სანთებელი'; ხალი: 'ქუმელი' — 'ნოხი'...

* უფრო ზუსტი იქნება, თუ ვილაპარაკებთ გვიანდელ ფუძის შეხვედრაზე აღრინდელთან და არა უთუოდ „ოდინდელთან“. უძველესთან. საკუთრივ ქართულთან; რადგან სიტყვის უცხოურობა უფრო ადვილი დასადგენია, ვიდრე „ოდინდლობა“ (საკუთრივ ქართულობის მანიქნებელია ქართული ეტიმოლოგიის ქონა — ე. ი. სიტყვის გამკვირვალ ავებულება ან კანონზომიერი შესატყვისის ქონა მონათესავე ენებში: შესაძლებელია ფუძის ფონემატური სტრუქტურაც იქნეს მოშველიებული შეთვისებული და უძველესი მასალის გასარჩევად. იხ. ქვემოთ § 217).

ქართულ-თურქული ომონიმები: ბეგი: 'ბეჭობი' — 'ფეოდალი'; ჯამ-დარი: 'შაეტუხა' — 'საჯანდრავი' ('ნაქსოვის გასაქიმი მოწყობილობა')...

ქართულ-რუსული ომონიმები: ჩინი: 'თვალის სინათლე' — 'წოდებულეზა'; ჩეკა: 'გამოჩეკა' — 'საგანგებო კომისია'...

ქართულ-ბერძნული ომონიმები: ბორიო 'უთავებოლო კაცი' — 'ქარი'; ბარი 'სათხრელი იარაღი' — 'წნევის ერთეული'; ამება 'აამებს-ზმნის მას-დარი' — 'მიკროსკოპული ორგანიზმი'...

ეს ორი უკანასკნელი (ბარი, ამება) საერთაშორისო სიტყვებია; ამგვარი ინტერნაციონალიზმებისა და ოდინდელი ლექსიკური მასალის შეხვედრებიც არაიშვიათია თანამედროვე ქართულში:

ბოტი ჰოლანდიურში 'დიდ ნავს ნიშნავს'; მას ქართულში დახვდა იმავე ბგერადობის 'მამალი თხის' სახელი. ინგლისური წარმოშობის ინტერნაციონალიზმთა შეხვედრამ იმავე ბგერადობის ქართულ სიტყვებთან მოგვცა ასეთი ომონიმები: ალო 'დღიური სახნავი' — ინგლ. "შორისდებული ლაპარაკის დროს"; ბარი 'სათხრელი იარაღი' — 'სასაუზმე', გოლი 'გოლეული' — 'კარი' (ზოგ სპორტულ თამაშში); კარკი 'თესლის ბუდე' — 'ბალი'... ფრანგული წარმოშობის ინტერნაციონალიზმთა შემოსვლით გამოწვეული ომონიმების შემთხვევებია: ალური 'ალის მსგავსი' — 'ცხენის სვლის სახეობა'; ბაკი 'საქონლის სამწყვდევი' — 'სითხის შესანახი ჭურჭელი', ბალი 'ერთგვარი ხილი' — 'საზეიმო წვეულება'; ბოტი 'მამალი თხა' — 'ყელიანი ფეხსაცმელი რეზინისა'; ბუა 'მოგონილი საფრთხობელა' — 'ბეწვის ყელსახვევი'; კაფე 'გუგულის ხმიანობა' — 'პატარა რესტორანი'; კილო 'თვალის ქრილი, ღილის 'შესაკრავი' — 'კილოგრამი'; კოლი 'ხის ერთგვარი ჭურჭელი' — 'პირობით ნიშანთა კრებული'....

ომონიმია ნასესხებ

სიტყვათა შორის

81. ზემომოყვანილ მაგალითებში ყოველთვის არ მტკიცდება დამხვედრი ('...ოდინდელი') სიტყვის ნამდვილქართულობა (ზოგი აშკარად ნასესხებიცაა: ბალი). ამ შემთხვევაში ჩვენ ისეთ ნასესხებ სიტყვებს მოვიყვანთ, რომელთა უცხოურობა „შეუიარაღებელი თვალთაც“ ადვილი დასანახავია.

ბლოკი: ინგლ. block 'ქალი' — ფრ. bloc 'კავშირი'; გრიფი: ლათ. gryphos 'მითური ცხოველი' — ფრ. griffe 'ხელმოწერის გამომსატველი ბეჭედი'; მეტრი: ბერძ. metron 'ზომა' — ფრ. maitre 'მოდლა-

რი; ლირა: ბერძ. lyra 'ერთგვარი სამუსიკო საკრავი' — იტალ. lira 'ფულის ერთეული'; სანდალი: ბერძ. sandalion 'მსუბუქი ფეხსაცმელი' — არაბ. სანდალ 'ტროპიკული ხე' — თურქ. სანდალ 'ნავი'; ტომი: ფალ. tolim 'ტომი' — ბერძ. tomos 'თხზულება ცალკე წიგნად'; შაბაში: ებრ. შაბაშთ 'მოსვენება' — სპარს. შა[დ]ბაშ 'ლხინში შემუსკეთათვის შეგროვებული ფული; ვაშა: ჩოთქი: რუს. шата 'ჯაგრისი' — სპარს. ჩოთქე 'საანგარიშო'; ხანი: სპარს. ხანა 'დრო, შუალედი' — თურქ. ხან 'მეფე'; ჯინი: არაბ. ჯინს '(ავი) სულა, დემონი' — ინგლ. gin 'არაყი'.

ომონიმებს ქმნის ზოგჯერ ერთი და იმავე ენიდან შემოსული სიტყვებიც:

ინგლისურიდან: ბოქი: box (calf) 'ხზოს ტყავი' — box კრივი; ფრანგულიდან: კულომი: coulomb 'ელექტროდენის საზომი ერთეული' — coulant 'ძეწვეით სატარებელი სამკაული'; ბერძნულიდან: დრამა: drama 'წარმოდგენა' — dralima 'ცერცხლის ფული'; გერმანული: ტუში: Tusche 'საღებავი' — Tusch 'მოკლე მუსიკალური მისაღმება'; ლათინურიდან: კრედიტი: creditum 'ვალი' — credil 'სწამს, სჯერა'; რუსულიდან: (საუბ.) დუხი: духи-дух; სპარსულიდან: ზიმტაკი: ხეშთაქ 'ჯანაქერში ჩაუენებული ნაჭერა' — ზიმთაქ 'ოქრომპედლის ერთ-ერთი იარაღი'...

ომონიმის მაგალითთა გამრავლება, ცხადია, შესაძლებელია, მაგრამ საერთო სურათის შესაქმნელად, ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია. ამასთანავე, უნდა გავხაზოთ, რომ ამა თუ იმ ენის ომონიმთა ამომწურავი დახასიათება შეუძლებელია: ომონიმის მკვლევარს ზღუდავს ის სპეციფიკური სიძნელები, რაც ისტორიულ კვლევას ახასიათებს. ამ სიძნელებს, პირველ ყოვლისა, იწვევს ის გარემოება, რომ მკვლევრის განკარგულებაში საანალიზო მასალა არ არის მთელი სისრულით.

ომონიმის კვლევა ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების ნაწილია. ომონიმთა გამოყოფის სიძნელე იმ სიძნელებს უკავშირდება, რომელიც ეტიმოლოგიური ძიების დროს გვხვდება; ცნობილია, რომ ფაქტობრივ შეუძლებელია გავიგოთ ყველა სიტყვის ეტიმოლოგია. ასევე, როდესაც ხელთა გვაქვს ერთგვარად მბგერი წყვილი, ყოველთვის ვერ დავადგენთ — ომონიმისათან გვაქვს საქმე თუ არა. საამისოდ აუცილებელია ვიცოდეთ ამ წყვილში შემავალი თითოეული სიტყვის წარმომავლობა.

რა თქმა უნდა, ძიების სიძნელის გამო ხელს ვერ ავიღებთ კვლევაზე.

როგორც ზემოთ (§ 62) ვთქვით, ეტიმოლოგიის წარმატებაზე დიდად არის დამოკიდებული ენის ისტორიის — მისი ფონოლოგიური აგებულებისა და გრამატიკული წყობის ისტორიაში და, მაშასადამე, ენის სისტემის არსში გარკვევა.

კალკირებული მნიშვნელობა

და ომონიმია

82. ქართულში გვაქვს ერთი ჯგუფი ერთგვარად მბგერი სიტყვებისა, რომლებსაც ყოველთვის არ მიიჩნევენ ომონიმებად, მაგრამ რომელთა ჩათვლას პოლისემიის შემთხვევებად სერიოზული დაბრკოლებები გადაეღობება.

საკითხი ეხება კალკირებულ მნიშვნელობებს, უკეთ — ისეთ სიტყვებს, რომლებმაც ახალი მნიშვნელობა შეიძინეს სხვა ენის გავლენით (დაწერილებით იხ. ქვემოთ §§ 270—273).

კალკირებული მნიშვნელობების შქონე სიტყვა, ჩვეულებრივ, ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში, ერთი სტატიის სახით არის წარმოდგენილი: მაგა 'პირუტყვთ საზრდელის დასადებელი ადგილი' და 'საბავშვო დაწესებულება' ერთ სალექსიკონო სტატიაში არის შეტანილი როგორც მაგა-სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა, თუმცა მნიშვნელობა 'საბავშვო დაწესებულება' არ არის განვითარებული ქართულ ნიადაგზე — ქართულში არსებული თავდაპირველი მნიშვნელობიდან („პირუტყვთა საკვების ჩასაყრელი“): მაგა — 'საბავშვო დაწესებულება' სხვა ენების გავლენით არის გაჩენილი (შდრ. რუსული ясли, ფრანგული crèche, გერმანული Krippe...).

ყველა მსგავს შემთხვევაში საქმე გვაქვს კალკთან.

კალკი მნიშვნელობის ს ე ს ხ ე ბ ა ა, მაშასადამე, კალკირებული მნიშვნელობის კვლევა, ბუნებრივია, ისევე განსხვავდება ჩვეულებრივი ისტორიული კვლევისაგან, როგორც განსხვავებულია ნასესხები სიტყვების ფონეტიკური შესწავლა: ენათმეცნიერმა-ფონეტიკოსმა. პირველ ყოვლისა. ნასესხები სიტყვები უნდა გამოაცალკევოს, ჩამოაშოროს ლექსიკურ ფონდს და ამ გზით მკაფიოდ წარმოაჩინოს საკვლევი ენის ფონეტიკური სტრუქტურა. ნასესხები მასალის ჩვენების გათვალისწინება (კერძოდ, იმის გათვალისწინება, თუ რა ცვლილება განიცადა ამ მასალამ მსესხებელ ენაში), რა თქმა უნდა, ხშირად ფასეულია მსესხებელი ენის ფონეტიკური მოდელის შესასწავლად. მაგრამ ნასესხები მა-

სალის ჩვენების გამოყენება გულისხმობს თვით ამ მასალის მკაფიო გამოყოფას საკუთარი მასალისაგან.

ამგვარადვე უნდა ვიმსჯელოთ ნასესხებ მნიშვნელობათა შესახებ. ბაგა 'პირუტყვთ საზრდელის დასადებელი' და ბაგა 'საბავშვო დაწესებულება' არ არის იმგვარ ურთიერთობაში ერთმანეთთან, როგორც, ვთქვათ, გოგრა 'ბაღჩეული' და გოგრა 'თავი': გოგრა-სიტყვის მეორე მნიშვნელობა პირველი მნიშვნელობიდან არის განვითარებული (მეტაფორული ხმარების გზით), ხოლო ბაგა 'საბავშვო დაწესებულება' არ განვითარებულა ბაგა 'პირუტყვთ საზრდელის დასადებლის' შინაარსისაგან: მეორე მნიშვნელობა ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი ა, ე. ი. პირველისაგან არსებითად განსხვავებული ოდენობაა.

თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ორი ბაგა სავსებით არ დაიყვანება იმგვარ ურთიერთობაზე, რომელიც ორ სიტყვას — კილო 'თვალის კრილი'- და კილო 'კილოგრამი'-სიტყვებს შორის არსებობს. ბაგა-სიტყვის შემთხვევაში პოლისემია უკვე აღარაა, მაგრამ ვერც იმ ტიპის ომონიმიაზე ვილაპარაკებთ, როგორიც კილო-სიტყვებში გვაქვს.

დამოუკიდებელი წარმოება

ერთი და იმავე ელემენტებისაგან

83. საგანგებო განხილვას მოითხოვს, აგრეთვე, ისეთი სიტყვათწყვილები, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იწარმოებიან ერთი და იმავე ელემენტებისაგან.

თუ ერთი და იმავე ძირებისა და აფიქსებისაგან სხვადასხვა დროს (და, ივარაუდება, სხვადასხვა მიზნით) აწარმოეს სიტყვები, ისინი არა მხოლოდ ფონეტიკურად იქნებიან იგივეობრივნი, არამედ აგებულებითაც, „გრამატიკულადაც“. მაგრამ რამდენადაც ისინი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა მიზნით არიან ნაწარმოებნი, ცხადია, ისტორიულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და, მაშასადამე, მათი ურთიერთობა ომონიმთა ურთიერთობის მსგავსია.

აი, რამდენიმე მაგალითი:

ხარკამეჩი. ამ ბგერადობით ორი სიტყვა გვაქვს ქართულში, თუმცა მათ შედგენილობა ზუსტად ერთგვარი აქვთ. საქმე ისაა, რომ ხარ-ფუქე სხვადასხვა მნიშვნელობით არის ნახმარი, იმ შემთხვევაში, როდესაც *ხარკამეჩი* დგება *ფურკამეჩის* გვერდით *ხარირეში*- და *ფურირეში*-სიტყვების, *ხარზაქი* და *ფურზაქი* სიტყვების რიგში, და, მეორე მხრით, იმ შემთხვევა-

'ში. როდესაც ხარკამეჩი დგას შემდეგი სიტყვების რიგში: ხარ-მეხრე, ხარ-ძროხა, ხარ-ურემი:

ხ ა რ კ ა მ ე ჩ ი	ხ ა რ - კ ა მ ე ჩ ი	
ფურკამეჩი	ხარ-მეხრე	
ხარირეში	ხარ-ძროხა	
ფურირეში	ხარ-ურემი	და სხვ.
ხარზაქი		
ფურზაქი		

პირველ შემთხვევაში განსაზღვრებითი კომპოზიტი გვაქვს: „ხარი (მამრი) კამეჩი“, მეორეში კი — შეერთებითი კომპოზიტი: „ხარი და კამეჩი“.

ენაში არსებობს უფრო რთული შემთხვევები:

საწირავე-სიტყვის ძირია -წირ- (შდრ. ხახაზავე, ხაკლავე, ხაქარგავე...). ზმნური სუფიქსია -ავ (შდრ. წირ-ავ-ს, წირ-ა. გაი-წირ-ებს-ა), პრეფიქსია — მყოფადის მიმღობის სა- (შდრ. მ-წირავე, უ-წირავე, გა-ნა-წირი. გა-წირული...).

წირავ-ფუძე თავდაპირველად 'მსხვერპლის მიტანა'ს ანუ, საბას განმარტებით, „ღვთის შეძღვნა“ს აღნიშნავდა. ეს ფუძე შემდეგ 'ქრისტიანული საეკლესიო მღვდელთმსახურების, ლიტურგიის' აღსანიშნავადაც იქნა გამოყენებული.

წირავ-ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობით გამოყენებისას სა-პრეფიქსის დართვით 'მსხვერპლად მისატანის, შესაწირავის' მნიშვნელობას ვიღებთ: „შემწირავე მე ვარ და საწირავის მიმღები — ღმერთი“ (აკაკი).

იმავე (წირ-ავ-) ფუძის მეორეული მნიშვნელობიდან („ლიტურგია“) ამისგან დამოუკიდებლად იწარმოება იმავე სა-პრეფიქსის დართვით სიტყვა, რომლის მნიშვნელობაა 'წირვის გასამრჯელო': „მიიღეთ, მამაო დეკანოზო, ეს საწირავე და უწირეთ ცხონებულ მამაჩემ თომას“ (ვ. ბარნოვი).

ამრიგად, საწირავე-სიტყვის ორი მნიშვნელობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არის წარმოქმნილი. მიზანშეწონილია დავასკვნათ, რომ საწირავე 'წირვის გასამრჯელო'- და საწირავე 'მსხვერპლად მისატანი'-ს ურთიერთობა ომონიმთა ურთიერთობის მსგავსია.

სქემატურად ეს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:


წირავს 'მსხვერპლად მიაკვს' — წირავს 'ქრისტიანულ მღვდელთმსახურებას ასრულებს'.

საწირავე 'მსხვერპლად მისატანი' საწირავე 'წირვის გასამრჯელო'.

სისხლის მიმოქცევის მარეგულირებელი ორგანოს სახელის გულ-სიტყვის ფუძიდან ნაწარმოებია ზმნები: გულუბნა, იგულბნა, გულობნა: „გულ-ველგვარ აზრსა და გრძნობას თავისად გულზე“ (ვაჟა)... ამ შემთხვევაში გულ-ფუძე გავიყენებულია გადატანითი მნიშვნელობით. ფსიქიკური მოვლენის აღსანიშნავად (შდრ. გული მოუვიდა, გული დაუდო...) [99].

გულ-სიტყვას სხვაგვარი გადატანითი მნიშვნელობაც აქვს, ესაა 'რაიმე საგნის ანუ ნივთის შუა ნაწილი' (შდრ. სანახლის გული, კეირობის გული, ქადის გული...); ზმნა აქედანაც არის ნაწარმოები და იგი გამოყენებულია ცნობილ ანდაზაში — „თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იქმებო“ (ეს ნიშნავს: თუ ქადის გული რიგიანად არის გაკეთებული, ე. ი. როგორც მას შეეფერება, ფხვიერია, — ქადა ორი ხელით უნდა ქამო. რომ არ დაგეფხვას) *.

გულობს 'ეგულება' და გულობს 'გულობას ეწევა' ომონიმიის მსგავს ურთიერთობაშია ერთმანეთთან:



გული'ს მსგავსად კუჭიც ორგვარი გადატანითი მნიშვნელობით იხმარება: კუჭი აღნიშნავს შუა ნაწილს, რითივე გამოჩეხულს და სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემადაც გამოიყენება („კუჭი მოუვიდა“). აქაც ამ ორი გადატანითი მნიშვნელობიდან მივიღეთ. ერთი -იან-სუფიქსის დართვით, გარეგნობით და აგებულებით ერთი, მაგრამ ცალ-ცალკე ნაწარმოები და ამიტომ ორი სიტყვა: კუჭიანი 'ფიცხი, ფხუვიანი' და კუჭიანი 'წინდის კრელის ერთ-ერთი სახე'.

სახელო სიტყვის აგებულება გამკვირვალა: ხელ-ფუძე (ხელ-ფეხი, უხელ-ლო, ხელიანი, ნახელაფი, ხელმწიფე, ხელობა...) და სა-ო მწარმოებელი (საყვ-ლო, სამარხეო, ხალმრაო, საზარალო...). მაგრამ ხელ-ფუძიდან სა-ო მწარმოებლით ორგერ არის ნაწარმოები სიტყვები: ერთში ხელ-ფუძე პირდაპირი მნიშვნელობით არის გამოყენებული და სახელ-სიტყვაც.

* ეს ანდაზა შემდეგ სხვაგვარად გაიგონება: „თუ გული გულობს, ის იქნა გაგებული: 'თუ გულით გინდა' აქ გული გრძნობის ორგანოა და 'ნდობა' აღნიშნავს; ამის გამო ანდაზის მეორე ნაწილმა სახე იცვალა --- 'ორი ხელით' ანუ გულ-სიტყვით: 'ორივე ხელით'; და საბოლოოდ გამოვიდა: 'თუ გულით გინდა, ქადა ორი ხელით ქრგადაც ('ორივე ხელით') შექამო'!

ამისდა მიხედვით. აღნიშნავს იმას. რაც 'ხელისთვის როგორც ზედა კიდურისთვისაა განკუთვნილი'. ხელი ძალაუფლების აღმნიშვნელიც იყო (ხელისუფლება, ხელმწიფე, „კონდიდელის ხელი“); ამ მეორე, გადატანილი, მნიშვნელობით გამოყენებისას იგი სა — მ-მაწარმოებლის დართვით გვაძლევს ახალ სიტყვას, 'თანამდებობის აღმნიშვნელს':

ხელ-+სა—მ { სახელო (შდრ. საყელო, სამუხლე, საბარკული...)
 სახელო (შდრ. სათაყადო, საბრიყეო, საუდიერო...)

სათაყადო¹ს. საბას თქმით, „მძივსა რასმე უწოდენ შესაბმელად, რეცა არა-თვალის ცემად“ (შდრ. ს. მგალობლიშვილი: „ქალს ნაწნავში ჩატანებული ჰქონდა სათაყადო და ლეინჰილა. რომ თვალი არავის ეცა“). თუმცა ჩვენთვის ცნობილი სათაყადო²ც ძველი სიტყვაა: „დურბინდი სხვათა სიტყვაა, ქართულად შორსათაყადო და კოგრი ჰქვიან“ (საბა). ამრიგად სათაყადო 'მხედველობის გასაუმჯობესებელი ლინზა' ცალ-ცალკეა ნაწარმოები. მნიშვნელობებით ერთმანეთზე არ არის დამოკიდებული, თავისთავადი ლექსიკურ-სემანტიკური ოდენობებია.

სიტყვა სამარხო საბას ორჯერ უწერია: ჯერ „სამარხო დასამარხავი“ და შემდეგ „სამარხო მარხვაში საქმელი“; ამ შემთხვევაშიც ერთი მნიშვნელობის განვითარებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ჩვენს წინაშე არის ორი სიტყვის წარმოება მარხვა-ფუძის სხვადასხვა მნიშვნელობებიდან.

ვაჭრობა არის ვაჭრობს-ზმნით აღნიშნული მოქმედების სახელი (ვაჭრობა-ა), მაგრამ ვაჭრობა არის, აგრეთვე, ვაჭარი-სიტყვისაგან ნაწარმოები განყენებული სახელი (ვაჭრობა):

„გაიჭიმა უზარმაზარი ქალაქი, გაჩაღდა ვაჭრობა“ (თ. რაზიკაშვილი) — „ძმისწულის ხორცის ვაჭრობამ აღმაშფოთა“ (ნ. ლორთქიფანიძე).

მსგავსი დამოკიდებულებაა მასპინძლობა-ა. და მასპინძლობა-სიტყვებს შორის: „გადარჩი, შენზე ერთი კარგი მასპინძლობა“ (ნ. ლორთქიფანიძე) — „ისარგებლა მით სტუმარმა, ჩემგანავე მოწვეულმა, და სტუმრობა არ იკადრა, მასპინძლობა უთხრა გულმა“ (აკაკი).

ვაჟყაყობა და ვაჟყაყობა³ს შორის: „თქვენისთანა ახალგაზრდებს კიდევ ვაჯობებ ჭანითაც და ვაჟყაყობითაც“ (დ. კლდიაშვილი) — „მიყვარს საზოგადოდ ბავშვი, უგულითადესად პატივსა ვცემ მოხუცებულობას, ღირსეულად ვაფასებ ვაჟყაყობას“... * (აკაკი).

ნასახელარი (მაგ., ვაჟყაყ-იდან ნაწარმოები) ზმნებით (ვაჟყაყ+ობს) აღნიშნული მოქმედების სახელთა (მასდართა: ვაჟყაყობ+ა) და ამოსავალ

* უშუალოდ სახელური ფუძისაგან ნაწარმოები აბსტრაქტიუები ზოგჯერ კრებითი მნიშვნელობასაც იღებენ.

სახელთაგან ნაწარმოებ აბსტრაქტივთა შორის ვერ ვიგულისხმებთ უბრალოდ პოლისემიურ დამოკიდებულებას. მართალია, მათი გამიჯვნა ბევრ შემთხვევაში ფაქტობრივ მეტად რთული აღმოჩნდება.

ერთი და იმავე ელემენტებისაგან დამოუკიდებელი წარმოება სცილდება ბგერადობისა და მნიშვნელობის ურთიერთობის საკითხთა ფარგლებს და უკავშირდება იმ პრობლემას, რომელიც ლექსიკოლოგიაში დგას სიტყვის მნიშვნელობისა და სიტყვის აგებულების ურთიერთობის სახით.

ქართული სიტყვის აგებულება და მნიშვნელობა

ხმაბაძვითი სიტყვების აგებულება. — კომპონენტთა ადგილი და კომპოზიტის მნიშვნელობა. — სიტყვაწარმოება და მოტივაცია. — მოტივაცია და ნიშნის ნებისმიერობა. — სიტყვის მნიშვნელობა და მოტივაცია. — ზოგადი დასკვნა მოტივაციის როლის შესახებ სიტყვის ფუნქციონირებისას.

ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ ენობრივი ნიშანი ნებისმიერია. ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა გულისხმობს, რომ სიტყვის ბგერადობასა და მნიშვნელობას შორის კავშირი გარეგანია, ე. ი. შეპირობებულია ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის ჩვეულებით და არა რალაც საერთო თვისებებით, რაც ამა და ამ ბგერადობას და ასეთ და ასეთ მნიშვნელობას აქვს.

არსებობა ხმაბაძვითი სიტყვებისა, რომლებშიც თითქოს ბგერისა და მნიშვნელობის შინაგანი კავშირი ივარაუდება, ვერ არღვევს ნიშნის ნებისმიერობის დებულებას: ყოველი ენა თავისებურად, ე. ი. თავისი საკუთარი, ტრადიციით შეპირობებული ბგერათსისტემის გამოყენებით ქმნის ხმაბაძვით სიტყვებს, თავისი საკუთარი, ისტორიულად ჩამოყალიბებული ფონეტიკური წესების მიხედვით ცვლის ამგვარ სიტყვათა ბგერადობას.

ხმაბაძვითი სიტყვების აგებულება

84. ახლა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხმაბაძვით სიტყვათა მხოლოდ ბგერადობა კი არაა მეტ-ნაკლებად ავტონომიური მნიშვნელობისაგან. არამედ აგებულების მხრივაც ხმაბაძვითი სიტყვები არ ქმნიან ერთიანსა და სიტყვათა სხვა კლასებისაგან მკაფიოდ გამოიჩნულ ჯგუფს.

ხმაბაძვით სიტყვებში ხშირად ვხვდებით ფუძის გაორმაგებას, ჩვენს მიერ ზემოთ (§ 70) მოყვანილ სიტყვებში მარტივი გაორმაგების მაგალითებია: ბოქბოქი, ბურბური, ზიშზიში, თუხთუხი, კაკაკი, კისკისი, ლაქლაქი, ლიკლიკი, ლუღლუღი, ნარნარი, ვრიკვრიკი, რაკრაკი, რუზრუზი, ტიკტიკი, ფუსფუსი, ქასქასი, ლაღლაღი, დაჭლაჭი, ღიჯღიჯი, ღუღღღი, ყაშყაში, შმიკშმიკი, ჩახჩახი, ჩიფჩიფი, ჩუხჩუხი, ცაქცაქა, ჭახჭახი, ხარხარი...

გაორმაგება ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით გვაქვს შემდეგს შემთხვევებში: ბაგაბუვი, ბარცყაბურცყი, დავადუვი, ზაპაზუი, თქარათქური, მტლამამტლუში, ბაკიპუკი, სხაპასხუი, ტაკატუკი, შარიშური, ცქლაფაცქლუფი, ძაგაძუვი, ხათქახუთქი... გვაქვს თანხმოვნის მონაცვლეობის შემთხვევებიც: ღგანღგარი, ზანზარი, ღირღიღი, ძუნძული... (და ზოგი სხვა ბგერითი ცვლილებებიც).

ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით გაორმაგებულ ფუძეებს ზოგჯერ ენაცვლება გაუორმაგებელი, მაგრამ სუფიქსდართული ფუძე: ბაგუნი (—ბაგაბუვი), თქარუნი (—თქარათქური), ხათქუნი (—ხათქახუთქი)...

-უნ-დაბოლოებიანი ხმაბაძეთი სიტყვებია (ოღონდ გაორმაგებულ-ფუძიანი ვარიანტის არ მქონე): ბლუკუნი, ბუზლუნი, გრუბუნი, დგაფუნი, დუდე-ლუნი, ზლუქუნი, თათქუნი, კაპუნი, ფართქუნი, ფლაშუნი, შმაშუნი...

ამ აგებულების ფუძეთა მონაცვლევა (მხოლოდ ნაკლებ გავრცელებული) -ან-დაბოლოებიანი ხმაბაძეთები: ბღარბანი (—ბღარბუნი), ახლამანი (—თხლამუნი), ლაშანი (—ლაშუნი), ტაკყანი (—ტაკყუნი), ტყაპანი (—ტყაპუნი), შხაპანი (—შხაპუნი), ჯახანი (—ჯახუნი)...

ხმაბაძეთ სიტყვებში ვლინდება -ინ-დაბოლოებაც: ბოყინი, ბრიგინი, რიზინი, ქოშინი, ყიფინი, შრიტინი, შიკვინი, შრიპინი, ჭიჭყინი, ჯლოყინი...

ეს -უნ, -ან, და -ინ-დაბოლოებიანი სიტყვები, როგორც ცნობილია, „პირველადი საწყისებია“, ე. ი. ნამდვილი საწყისები, რომლებიც გამოიყენება ფუძედ ზმნათა წარმოებისას: ბუზლუნი — ბუზლუნებს, ჭიჭყინი — ჭიჭყინებს...

გვაქვს აგრეთვე -ურ და -ი-ალ-დაბოლოებიანი „პირველადი საწყისები“: ბჟუტური, ჯაჯგური, გრიალი, ღრიალი, შრიალი, ჭრიალი...

სხვა ხმაბაძეთი სიტყვების პირიელი ფორმები მასდარს არ ემყარება, თუმცა ხშირად „პირველადი მასდარის“ მსგავსი წარმოება აქვს: ზმული (—ზმუის), ბღაკილი (—ბღაკის), ჩუილი (—ჩუის)...

დაბოლოს, ხმაბაძეთი ზმნებისაგან მოქმედების სახელთა (საწყისთა, მასდართა) წარმოებისას ჩვეულებრივი, თანამედროვე ქართულში პროდუქტიული, წესია დაცული: ბღღინაგ — ბღღინევა, შეღეპს — შეღეპა...

მაგრამ არა მხოლოდ ეს უკანასკნელი ზმნები არ ქმნის სხვა სიტყვათაგან განცალკევებულ ჯგუფს. ზემოჩამოთვლილი ხმაბაძეთი სიტყვებიც არ გამოიყოფა აგებულებით სხვა, არახმაბაძეთი სიტყვებისაგან:

ფუძის გაორკეცებით არის ნაწარმოები: კამკამი, ლაპლაპი, ძუნძული, კისკისი, ქინძინი... „პირველადი საწყისების“ სუფიქსებს შეიცავენ: ბღაჯუნი, ხიყინი, კრიალი, სრიალი, ტრიალი, აკანჭურ-ება... ეს ფუძეები აგებულებით ხმაბაძეთის მსგავსია, მაგრამ ხმაბაძეას კი არ წარმოადგენს.

ამრიგად, ხმაბაძეთი ფუძეები სტრუქტურის მიხედვით მკაფიოდ არაა გამომიჯნული სხვა, არახმაბაძეთი ფუძეებისაგან. უფრო ზიგადად რომ

ვთქვათ, არ ჩანს უშუალო კავშირი სიტყვის მნიშვნელობასა და სიტყვის აგებულებას შორის.

პროფ. ჰ. ფოგტის ვარაუდით საგანგებო, უძველესი სუფიქსაციით ხასიათდება ის ზმნები, რომლებშიც მნიშვნელობისა და ბგერადობის უშუალო კავშირი ხელშესახებია. ეს ზმნები „განეკუთვნებიან მცირერიცხოვან სემანტიკურ ოჯახს, შემოსასაზღვრელად საკმაოდ ძნელს, მაგრამ რომელთა სემანტიკური ერთიანობა მაინც ასე საგრძნობია. ამ ზმნათა გარკვეული რაოდენობა გამოხატავს ბგერას და ხმაურს სხვადასხვა ნიუანსით... დანარჩენი ზმნების დიდი რაოდენობა ასე თუ ისე გამოხატავს ობიექტის ფიზიკურ დეფორმაციას... დაბოლოს, ამ ზმნათა უმრავლესობაში შეინიშნება პოეტური სიმბოლიზმი, ე. ი. აკუსტიკური შთაბეჭდილება... პირდაპირ ასოცირდება გამოხატულ იდეასთან. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ზმნებში, რომლებიც ხმაურს გამოხატავენ... ამ ზმნების სიმბოლური და იმიტაციური ხასიათი ჩანს არა მხოლოდ სუფიქსების თანხმონებში, არამედ აგრეთვე ძირის სტრუქტურაშიც...“ მეცნიერი დაასკვნის, რომ „ამ სუფიქსების მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, წმინდა ექსპრესიულია. ისინი იხმარებიან უპირატესად წმინდა ფონეტიკური სიმბოლიზმის მქონე ზმნებში და იმ ზმნებში, რომელთა მნიშვნელობა ბუნებრივად აფექტურ პათოსს, სუბიექტური აზრის ნიუანსებს იძლევა“ [86].

ქართული ენის განვითარების უძველესი საფეხურისთვის პროფ. ჰ. ფოგტის დაკვირვება მართლაც საგულისხმოა. უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ეს სუფიქსები (რომლებიც, როგორც თვით ჰ. ფოგტი აღნიშნავს, თავდაპირველად ვ. თოფურიამ გამოყო [43]) არ ახასიათებს მხოლოდ იმ ზმნებს, რომელთა ბგერადობისა და მნიშვნელობის მჭიდრო კავშირი თვალნათლივ არის მოცემული; ამის ფაქტებს ჰ. ფოგტიც ასახელებს (გრძნება, კრება, სულება, წყუება, წმედა, ბნედა, ზრახვა) და მიუთითებს, რომ მათი „თავდაპირველი მნიშვნელობა ძნელი დასაპყერი ხდება, რადგან ეტიმოლოგიური ანალიზი სირთულეებს აწყდება“. პროფ. ფოგტი იფარგლება ძველი ქართულით და მისთვის ხელმისაწვდომი ტექსტებით, ტექსტები კი მცირე რაოდენობით იყო გამოცემული ამ მეოთხედი საუკუნის წინათ, როდესაც ფოგტის გამოკვლევა იწერებოდა. „ახალი ტექსტების გამოქვეყნება, — ფრთხილად შენიშნავს ავტორი, — შეძლებდა ბევრ საკითხთან დაკავშირებით შესწორება შეეტანა ჩვენს დასკვნებში“.

თანამედროვე ქართულში ბევრ შემთხვევაში ხსენებული ჩჯოფის ზმნები ვერ ანალიზდება, ისინი მარტივი აგებულების ზმნებად აღიქმე-

ბიან და აქაც არ ჩანს უშუალო კავშირი სიტყვის აგებულებასა და მნიშვნელობას შორის.

კომპონენტთა ადგილი და კომპოზიტის მნიშვნელობა

85. ენობრივი ნიშნის, კერძოდ, სიტყვის ნებისმიერობა გულისხმობს, რომ საგნის სახელს არ განსაზღვრავს ამ საგნის ბუნება. ამის მიუხედავად ვერ უარვყოფთ ნაწილობრივს მოტივაციას, რაც იმაში ვლინდება, რომ სიტყვის მნიშვნელობაზე სიტყვის აგებულება ახდენს გავლენას. მოვიყვანთ საამისო მაგალითებს:

კივილ-შივილი-სიტყვაში და აგრეთვე ზოგიერთ სხვა, ამ ტიპის რთულ სიტყვაში აშკარად ორი ფუძე შედის: *კივილ-* და *შივილ-*; სათანადო რთული სიტყვის (კომპოზიტის) მნიშვნელობა უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს: *კივილ-შივილი* ნიშნავს 'კივილ'სა და 'შივილ'ს ერთად...

ეს კომპოზიტი გვხვდება შემადგენელ მარტივ ფუძეთა სხვაგვარი თანმიმდევრობითაც, ე. ი. ენაში არსებობს როგორც *კივილ-შივილი*, ასევე *შივილ-კივილი*: „განწირულთ *კივილ-შივილი* ... შავ ზვირთსავეთ მოგორავდა გაცოფებული“ (ვ. ბარნოვი) — „შექმნეს ქალებმა *შივილ-კივილი*“ (ვაჟა). კომპონენტთა ადგილის შენაცვლებას გავლენა არ მოუხდენია კომპოზიტის მნიშვნელობაზე: *შივილ-კივილი* და *კივილ-შივილი* მნიშვნელობით იდენტური სიტყვებია.

შემადგენელ ფუძეთა ადგილის შენაცვლება კომპოზიტის მნიშვნელობაზე გავლენას არ ახდენს ბევრ სხვა შემთხვევაშიაც:

„მთის მიდამონი მოიკვა სისინ-ჰყვიტინმა, ხრიალმა, *კნავილ-ჩხავილმა*, ყროყინმა, თავზარდამცემმა ღრიალმა“ (ე. მაყაშვილი) — „შეიქნა *ჩხავილ-კნავილი*, წრუწუნი, ლაწალუწია“ (რ. ერისთავი).

„დანარჩენთა შორის გაჩნდა შეკავებული *სიცილ-ფრუტუნი*“ (ნ. ლომოური) — „შეკავებული *ფრუტუნ-სიცილი*“ (შ. არაგვისპირელი).

„სახლის უკან *კალო-საბქელია* და საბქელქვეშ—*გომური*“ (ილია)— „ბევრი ეძებეს, გადააბრუნეს *საბქელ-კალო*, მაგრამ ვერ იპოვეს“ (ს. შანშიაშვილი) და სხვ.

კომპონენტთა ადგილის შენაცვლება ხდება არა მხოლოდ შეერთებითს კომპოზიტებში, არამედ კუთვნილებითსა და განსაზღვრებითს კომპოზიტებშიც:

„ყველას ცხენის გავაზედ ესხდა *შითელკაბა* შავფაფანაგიანი ქალები“ (ვაჟა) — „*კაბაშითელ* ვარდსა კრეფენ“ (შ. მღვიმელი).

„ლოყანი თელი, ჩასუქებული მამასახლისი“ (ვ. ლომთაიძე) — „პა-
წია წიოელლოყა ბუთხუზა გოგონა იყო“ (მარიჯანი).

„კარების კრიალი და თმაწითელას ალერსი“ (ნ. ლორთქიფანიძე) —
„კარებიდან გამოვიდა წითელთმისი კაპუცი“ (ქ. ბაქრაძე, თარგმ.).

„გვერდით მოუსხდნენ მსაჯულად მოხუც-ჭაღარათმისანი“ (აკა-
კი) — „პირველად მასპინძელი წამოდგა, ახივანი და თმაჭაღარა“
(ა. ქუმბაძე).

„წინ შემეჩხება გოგონა, ტურფა, თმახუჭუჭიანი“ (რ. ერისთავი) —
„ქაჩლებს ხუჭუჭთმისანებიც მიაყოლეს“ (აკაკი) — „განა რა მაქვს გასა-
ცინი, თმახუჭუჭა, ბიჭუნია“ (მ. მღვიმელი).

„ყვითელ ბალში შემოსულა სახემწიფე, კაბაჭრელი“ (ს. შანშიაშვი-
ლი) — „ვაზებში გამოკრთიან თეთრმოსახვევიანი ქრელკაბა გოგონე-
ბი“ (ს. შანშიაშვილი).

„მოგვეყვას ყალჭრელი ხოხობი“ (ხალხური) — „ჭრელყელა წინ-
დებს მოვექსოვ“ (რ. გვეტაძე).

„აგერ მირბის... შეეთვალა ქალი“ (ალ. ყაზბეგი) — „მზეთუნახავი
ქალი თვალშაყა“ (ი. ნონეშვილი).

„თვალღურჯა მტრედო, აიამაშე ნაზად წამწამი“ (ი. ევდოშვი-
ლი) — „ქე დამწვა ორმა ნათელმა, ორმა ლურჯთვალა იამა“ (ა. მირ-
ცხულავა) და სხვ.

მაგრამ ასეთი შენაცვლება ყოველთვის არ ხერხდება: დანა-ჩანგალი
ჩვეულებრივი სიტყვაა, მაგრამ არ ითქმის „ჩანგალ-დანა“.

ასევე ადგილშეუქცეველია ბევრი სხვა რთული სიტყვის კომპონენ-
ტები: პირი-სახე, შვერ-ულვაში, ხელ-ფეხი, ჩოხა-ახალუხი, ბლუზა-შარვალი, ქა-
მარ-ხანჯალი, და-ძმა, ბიძა-ძმისწული, მამა-პაპა, ხარ-კამეჩი, ხარ-მეხრე, ცხვარ-
მეცხვარე და მრავალი სხვა.

გასარკვევია, რითაა შეპირობებული ეს შეუქცევლობა. საგული-
სხმოა, რომ ბევრ შემთხვევაში პირველი კომპონენტი უფრო მოკლეა.
ვიდრე მეორე (ასეთი ვითარებაა გეოგრაფიულ სახელებშიც: ქართლ-
კახეთი, მსხბეთ-ჯაკეთი, ფშავ-ხევსურეთი, გურია-სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუ-
მი, ციე-გომბორის მთა...). იქნებ რიტმული მომენტი ასრულებდეს რაი-
მე როლს? თუ ასეა, მაშინ კომპონენტთა შეუქცევლობა ენის ფო-
ნოლოგიური ყალიბით იქნება შეპირობებული.

86. კომპოზიტებში ზოგჯერ კომპონენტთა ადგილის შენაცვლებას
მნიშვნელობის შეცვლაც ახლავს.

ვინც ქართულს ფლობს, მან ისიც იცის, რომ, მაგალითად, სიტყვა
ასსამი შედგენილია ორი ფუძისაგან: ას- და სამ-. ასსამის მნიშვნელობა
უდრის ას- და სამ-ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს: $100+3=103$. სიტყვა

ასსამის მნიშვნელობა მოტივირებულა — დამოკიდებულია ას-და სამ- ფუძეთა მნიშვნელობებზე და ამ ფუძეთა სახელდობრ ამგვარ თანმიმდევრობაზე.

ამავე ფუძეების სხვაგვარი კომბინაცია, სახელდობრ, რთული სიტყვის ისე აგება, რომ თავკიდურად სამ-კომპონენტი იყოს და ას-ფუძით კი დამთავრდეს, მოგვეცემს ახალ, ისევე მოტივირებულ, მაგრამ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვას — სამასი-სიტყვას, რომლის მნიშვნელობა შემადგენელი მარტივი ფუძეებით გამოხატულ რიცხვთა ნამრავლია: $3 \times 100 = 300$.

კომპონენტთა შენაცვლება, რომელსაც სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა მოსდევს, შეპირობებული ჩანს სიტყვის გრამატიკული ყალიბით. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ. სიტყვის აგებულება რალაცნაირად დაკავშირებულია სიტყვის მნიშვნელობასთან.

სიტყვაწარმოება და მოტივაცია

§7. სიტყვის აგებულებასა და სიტყვის მნიშვნელობას შორის რომ გარკვეული ურთიერთობა არსებობს, ამას ადასტურებს არა მხოლოდ კომპოზიტების შემომოყვანილი მაგალითები, არამედ დერივაციაც, ე. ი. სიტყვაწარმოება აფიქსების დართვით:

აშხანაგური-, აშხანაგობა-, სააშხანაგო-, უაშხანაგო-სიტყვები მეტ-ნაკლებად მოტივირებულია, რადგან ენობრივი კოლექტივის წევრებმა იციან, რომ ამ სიტყვების მნიშვნელობა დაკავშირებულია მათთვის ცნობილ აშხანაგ-ფუძესთან. ზელ-ფუძის მნიშვნელობა გამოსკვივის ამ სიტყვებში: სახელო, უხელო, ხელიანი, ხელოსანი, ხელოვანი, მოხელე, სახელური... ისიც ექვს გარეშეა, რომ აკეთებს-ზმნის ფუძეს უკავშირდება მნიშვნელობით: გაკეთებული, გასაკეთებელი, გამკეთებელი, გაუკეთებელი... (და)ღვა-ფუძის მნიშვნელობა აპირობებს შემდეგი ზმნების სიახლოვეს ერთმანეთთან: (და)ღვაშ, (და)ადგაშ, (და)იდგაშ, (და)უღვაშ, (და)ადგეინებს, (და)იდგეშა, (და)ეღვაშება, (და)ღვაშა, (და)უღვაშა, (და)დგეინება...

აშხანაგი და აშხანაგობა სხვადასხვა სიტყვაა, რაკი ისინი მნიშვნელობით განსხვავდებიან: აშხანაგობა განყენებულად წარმოგვიდგენს იმ თვისებას, რომელიც აშხანაგი-სიტყვის მნიშვნელობაში არის წარმოდგენილი. ასევე, მნიშვნელობით განსხვავდება ზელი და სახელო: პირველი აღნიშნავს ადამიანის ზედა კიდურს, მეორე — ტანისამოსის ნაწილს, რომელიც ამ კიდურს ფარავს. ღვაშ და უღვაშ სხვადასხვა ზმნაა, „ირიბი“ ობიექტის ქონა-არქონით განსხვავებული.

მაგრამ ეს სიტყვები არა მარტო მნიშვნელობით განსხვავდებიან,

არამედ აგრეთვე ბგერადობითაც: პირველი წყვილის (აშხანაგი — აშხანაგობა) სიტყვები ერთმანეთისაგან განსხვავდება -ობა დაბოლოების ქონა-არქონით; მეორე წყვილში (ხელი—სახელო) განსხვავებას ქმნის თავ-ბოლო კიდური სა- და ო- ბგერების მქონებლობა, მესამე წყვილში (ღვამს—უღვამს) მეორე სიტყვას პირველისაგან განსხვავებით ზედმეტი თავი-კიდური უ აქვს.

ამასთანავე, ნათელია, რომ ბგერადობისა და მნიშვნელობის აქ წარმოდგენილი ურთიერთობა არსებითად განსხვავდება იმ ურთიერთობისაგან, რომელიც, მაგალითად, ძე და ძერა სიტყვებს შორის არსებობს: ამ უკანასკნელშიც გვაქვს ბგერითი სხვაობაცა და მნიშვნელობის სხვაობაც: ძერა იმითაც განსხვავდება ძე-სიტყვისაგან, რომ „ზედმეტი“ რა-დაბოლოება აქვს და იმითაც, რომ 'მტაცებელ ფრინველს' აღნიშნავს და არა 'შვილს'. მაგრამ ამ წყვილში არა გვაქვს ფუნქციური იგივეობა ფონეტიკურად მსგავსი (საერთო) ნაწილისა (ძე), არა გვაქვს აგრეთვე ფუნქციური დანაწევრება იმ სიტყვისა, რომელიც წყვილის მეორე ცალისაგან ზედმეტი ბოლოკიდური ბგერებით ხასიათდება — ძერა არ ნაწევრდება ძე- და რა- მნიშვნელობის მქონე ერთეულებად.

აშხანაგობა, სახელო, უღვამს-სიტყვები ძერა-სიტყვისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მათი მო რ ფ ე მ უ ლ ი ა ნ ა ლ ი ზ ი ა შესაძლებელი და ამ ანალიზის შედეგად ვიღებთ მეტ-ნაკლებად აზრიან ნაწილებს აშხანაგ- და ობა-ელემენტებს, ხელ- და სა-ო-ელემენტებს, ღვამს (ან ღვამს) და უ-ელემენტებს.

აშხანაგობა, სახელო, უღვამს მოტივაციის მქონე სიტყვებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სიტყვათა გაგონებისას იგრძნობა მათი აგებულების სირთულე, მათი შემადგენელი ბგერების არაერთგვაროვანი ფუნქციური დატვირთულობა, მათი დანაწილებადობა (არა მხოლოდ ფონემატური თვალსაზრისით) და მათი სხვადასხვა ნაწილების აზრობლივი მონაწილეობა სიტყვის მნიშვნელობაში.

მოტივაცია და

ნიშნის ნებისმიერობა

88. უეჭველია, რომ მოტივაცია არ არის ნიშნის ნებისმიერობის საპირისპირო მოვლენა: ნიშნის ნებისმიერობა ვარაუდობს, რომ ბგერებისა და მნიშვნელობის კავშირი გარეგანი ხასიათისაა; მოტივირებული სიტყვა გულისხმობს ამგვარ ნებისმიერ ენობ-

რივ ელემენტთა კომბინაციას, ამ კომბინაციის ფუნქციურ დატვირთვას.

მოტივაციის თვით ეს საფუძველი, ეს კომბინაცია ს ა გ ნ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ი ბ უ ნ ე ბ ი თ კ ი არ არის შეპირობებული საზოგადოდ, არამედ ისევ ამ მოცემულ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის ე ნ ო ბ რ ი ვ ი ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ.

ამიტომ, მაგალითად, სიტყვა *სამოცდახუთი* ნებისმიერი ნიშანია სათანადოდ მოვლენისათვის („65“), *ჭერ ერთი*, იმიტომ, რომ ნებისმიერ ნიშნებს წარმოადგენს მისი შემადგენელი ელემენტები — *სამ-*, *ოც-*, *ხუთ-* და *და-კავშირი*, ე. ი. ამ ელემენტთა ბგერადობისა და მნიშვნელობის ურთიერთობა პირობითია: სრულიად პირობითად არის შერწყმული ერთ ენობრივ ერთეულში ბგერადობა *სამ* და მნიშვნელობა '3'.

'3': ქართული *სამ-ი*, რუს. *три*, თურქ. *üç*...

სამი (самн, sami): ქართ. '3', რუს. 'თვით (მრ. რ.)' თურქ. 'მალალი'.

და, მ ე ო რ ე: *სამოცდახუთი* ნებისმიერი ნიშანი არის სათანადოდ მოვლენისათვის იმიტომაც, რომ ელემენტთა კომბინაცია ნებისმიერი (აღსანიშნის მიმართ): ქართული სიტყვა *სამოცდახუთი* აგებულია *და-კავშირისა* და *რიცხვთა გამომხატველი სამი სხვადასხვა ფუძისაგან*. ნაგულისხმევია, რომ სიტყვა წარმოადგენს სამისა და ოცის ნამრავლს („სამი ოცი“) და ხუთის ჯამს („და“). ამ ელემენტთა ურთიერთკავშირი გამოხატულია მხოლოდ ერთხელ *და-სიტყვით*—„3, 20 და 5“. რუსულში ამავე მნიშვნელობის სიტყვის აგებისას, *ჭერ ერთი*, არ არის გამოყენებული *დამაკავშირებელი* სიტყვა და, მეორეც, '60' ნაგულისხმევია როგორც ექვსისა და ათის ნამრავლი — „6, 10, 5“ (шестьдесят пять).

რიცხვი 13'ის აღმნიშვნელი სიტყვა ამჟამად ისეა სახეცვლილი ქართულში, რომ ისტორიული ანალიზის მოშველიება არის საპირო მისი აგებულების დასადგენად: *ცამეტი*—*ათ-სამ-მეტი*: '13' თავდაპირველად წარმოდგენილი ყოფილა როგორც 10(ათ), რომელსაც და მ ა ტ ე ბ უ ლ ი აქვს (მეტი) 3 (სამ). მას შემდეგ, რაც ეს სიტყვა შეიქმნა, გაქრა საპირობა მისი აგებულების ცოდნისა, ამიტომ სიტყვა ვაკვდა ქართულში არსებულ ფონეტიკური ცვლის წესებს — *თ* და *ს* ფონემები შეირწყა (*თ+ს-ც*). ორი *მ* გამარტივდა (*მმ-მ*) და გაუგებარი, ამიტომ ჰარბი თავკიდური *ა* მოეკვცა. რუსული სათანადო სიტყვის (тринадцать) „შინაგანი ფორმაც“ ქართულის მსგავსია, ისიც 10-ისა და 3-ის ჯამად არის წარმოდგენილი, მაგრამ ელემენტთა განლაგება სხვაგვარია: *ჭერ მოცემულია* „სამის“ აღმნიშვნელი ფუძე, შემდეგ მითითებულია, რომ ეს სამი არის დართული („ზედ“ — на) „ათზე“; სხვათა შორის, რუსული სიტყვის აგებულებაში გარკვევისთვისაც ისტორიული ანალიზის მოშვე-

ლიება არის საკირო, რადგან უკანასკნელი კომპონენტი სახეცვლილია; რუსულშიც ფონეტიკური გამარტივება იმიტომვე ვახდა შესაძლებელი, არის გამოც ქართულში იცვალა სახე 13-ის აღმნიშვნელმა სიტყვამ: მოვლენის აღნიშვნისათვის არ არის აუცილებელი აღმნიშვნელის (სიტყვის) ელემენტების ცოდნა.

89. თანამედროვე ქართულში გამკვირვალე აგებულება აქვს მხოლოდ ოცზე უფრო დიდი რიცხვების სახელწოდებებს *, და იქაც გვაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები: მაგალითად, სამოცი შედგება წარმოშობით სამ-მე-ოც-ი-ელემენტებისაგან. ერთად თავმოყრილი ორი მ აქაც გამარტივდა, ეს ფუნქცია დაბნელდა, რამაც შესაძლებელი გახადა იგი შეკვეცილიყო. სხვა ოცეულების, 40 და 80-ის, სახელებშიც შეკვეცილია ე. ხოლო უფუნქციო მ ჩარჩენილია, რაკი ფონეტიკურად დასაშვებია სათანადო კომპლექსები — რმო, ხმო [213].

ამრიგად, მოტივაციის მიხედვით განსხვავებული სურათი გვაქვს არა მხოლოდ სხვადასხვა ენაში, არამედ ერთი ენის განვითარების სხვადასხვა პერილშიც. თანამედროვე ქართულში ცამეტი ძნელია მოტივირებულ სიტყვად მივიჩნიოთ, ამ სიტყვაში ათ- და სამ-ფუძეები უშუალოდ არ „შეიგრძნობა“, მათი გამოვლენა და თავდაპირველი მნიშვნელობის დადგენა თითქმის ეტიმოლოგიური ძიების ჩატარებას მოითხოვს.

საყურადღებოა, რომ ქართულში რიცხვითი სახელები განსხვავებულ ჯგუფებს ქმნის მეტ-ნაკლები მოტივირების მიხედვით:

ბევრ რიცხვით სახელში მოტივაცია თვალსაჩინოა: ოც-და-ერთი, ას-ოც-და-შვიდი, ათ-ას-ცხრა-ას-ოც-და-ათი.

არის ისეთი რიცხვითი სახელები, რომელთა მოტივაცია გაბუნდოვნებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში და მისი მიგნებისათვის ერთგვარი ისტორიული ექსკურსი არის საკირო: ასეთებია თერთმეტი, თორმეტი... ცხრამეტი და, რამდენიმედ, ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი.

დაბოლოს, რიცხვითი სახელები — ერთი, ორი... ათი, აგრეთვე, ოცი და ასი დღეს უმოტივაციოა. მათი მოტივაციის დასადგენად საკანგებო ეტიმოლოგიური ძიება იქნება საკირო.

სხვადასხვა ჯგუფში შემავალი სიტყვები ხმარების სიხშირითაც გაირჩევიან: ხშირად ხმარებულნი სიტყვები ნაკლებ მოტივირებულნი არიან იმათთან შედარებით, რომლებიც იშვიათად იხმარებიან.

ვაქვს ნაწერებში ყველაზე ხშირად ხმარებული აღმოჩნდა ერთი

* „ასის“ გამოკლებით.

(3320, იმიტომაც ალბათ, რომ იგი არამხოლოდ რიცხვითი სახელის ფუნქციით იხმარება), *ორი* (850), *სამი* (220), *ოთხი* (120), *ხუთი* (140). *შვიდი* (60), *ცხრა* (60), *ათი* (80), *ოცი* (80), *ასი* (110), *ათასი* (მეტწილად 'ბევრის' მნიშვნელობით — 260). სხვა რიცხვითი სახელები უფრო იშვიათად არის ნახმარი: *შედარებით ხშირია თორმეტი* (42, იგი საკრალური რიცხვი ჩანს: „თორმეტი თემი“, „თორმეტი მოვკალი“, „თორმეტი წყვილი სანთელი“, „თორმეტი კოდი ლუდი“...); *დანარჩენთა ხმარების შემთხვევები* მეტად იშვიათია: *აერთმეტი* (8), *ცამეტი* (3), *თოთხმეტი* (1), *თხუთმეტი* (9), *თექვსმეტი* (2), *თერამეტი* (2), *ცხრამეტი* (5); *ოცდაერთი* (4), *ოცდაორი* (1), *ოცდაოთხი* (3), *ოცდახუთი* (5), *ოცდაცხრა* (1); *ოცდაათი* (24), *ოცდათორმეტი* (1), *ოცდათოთხმეტი* (1), *ოცდათხუთმეტი* (1); *ორმოცი* (12), *ორმოცდაათი* (9), *სამოცი* (7), *სამოცდასამი* (1), *სამოცდაცხრა* (1). *სამოცდაათი* (1), *ოთხმოცი* (4), *ოთხმოცდაცხრამეტი* (1); *ორასი* (14), *სამასი* (5), *ოთხასი* (3), *ხუთასი* (4), *ექვსასი* (3), *შვიდასი* (2), *რვაასი* (2), *ცხრაასი* (1); *ორიათასი* (1). *სამიათასი* (1). *ხუთიათასი* (1). მეტად იშვიათ სიტყვათა ხმარების სიხშირის რიცხობრივი მაჩვენებლები შემთხვევითია (ისევე, როგორც არარსებობა *ჩემდმეტი*'სა *ოცდაორი*'სა და სხვ.), მაგრამ ხშირისა და იშვიათის ურთიერთმიმართება კანონზომიერი ჩანს.

საგულისხმოა სიტყვათა სიხშირისა და მოტივაციის ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება: ის სიტყვა, რომლის ხმარება იშვიათ შემთხვევაში დასჭირდებათ, შეიძლება სახელდახელოდ აწარმოონ ხოლმე უკვე ცნობილი ელემენტებისაგან. რაც შეეხება ხშირად სახმარ სიტყვებს, მათი სახელდახელო წარმოება ბევრ დროსა და დამატებით ენერგიას მოითხოვს: აქ წინ წამოწეულია ნო მ ი ნ ა ტ ი უ რ ი (დასახელების) ფუნქცია და რაც ნომინაციისათვის აუცილებელი არ არის, — უგულებელყოფილია (იხ. ქვემოთ, § 95).

90. თქმულიდან, ცხადია, არ გამომდინარეობს, თითქოს იდეალური ენა ისეთი ენა იქნებოდა, სადაც მოტივაცია მთლიანად უგულებელყოფილია და არც ერთი ნაწარმოები ან შედგენილი სიტყვა არ მოიძებნება.

ჯერ ერთი, ეს უსაზღვროდ გაზრდიდა ლექსიკურ ფონდს: წარმოვიდგინოთ თუნდაც, რომ თითოეულ რიცხვს ერთიდან, ეთქვათ, ტრილიონამდე საკუთარი უმოტივაციო სახელი ჰქონდეს, — მარტივი სახელი, რომელიც არაფრით უკავშირდება სხვა რიცხვით სახელებს, — ისეთი მარტივი, როგორცაა თანამედროვე ქართულში *ერთი*, *ორი*... *ათი*, *ოცი* და *ასი*. ძირითადი ტვირთი სიტყვათგანსხვავებისა, რაც ამჟამად სიტყვაწარმოების მეშვეობით ხერხდება, ასეთ უმოტივაციო ენაში ფონემათა:

კომბინაციას დააწეებოდა და, მეორეც, პოლისემიას მიეცემოდა წარმოუდგენლად ფართო გასაქანი. ამგვარი ფონოლოგიური და სემანტიკური ჰიპერტროფია დაუძლეველი აღმოჩნდებოდა ადამიანის მეხსიერებისათვის.

მაგრამ, ამასთანავე, არა მარტო ფაქტობრივ არ არსებობს, არამედ პრინციპულადაც შეუძლებელია არსებობდეს ისეთი ენა, სადაც ყველა სიტყვა მოტივირებულია, ე. ი. მოტივირებულია ყველა მარტივი ფუძე (ვთქვათ, იდეალური ხმებაძვისაგან და არაორაზროვანი ბგერითი მეტაფორებისაგან შედგება მარტივ ფუძეთა მთელი ფონდი) და მოტივირებულია ყველა ის ელემენტი, რაც ამ ფუძეს დაერთვის (ე. ი. ისევ მოტივირებული ფუძე ან კიდევ მოტივირებული აფიქსი...).

მოტივაციის მქონებლობა და უქონლობა ის ორი პოლუსია, რომელთა შორის არის განლაგებული ლექსიკური ფონდი.

91. ამავე დროს, უნდა ვიფიქროთ, რომ წარმოშობით თითოეული სიტყვა მოტივირებულია.

მართალია, ფაქტობრივ ამის დამტკიცება შეუძლებელია — თითოეული სიტყვის მოტივაციის დადგენა მისი ეტიმოლოგიის გარკვევა იქნებოდა, მაგრამ იმისდა მიხედვით, რაც ვიცით საგნების ახალ სახელწოდებათა შესახებ, იგი ან არსებული ენობრივი ელემენტების ახალ კომბინაციას წარმოადგენს (კომპოზიტია ან ნაწარმოები სიტყვაა), ან კიდევ არსებული სიტყვის მეტაფორული ხმარებაა ახალი საგნის აღსანიშნავად, ე. ი. ასე თუ ისე მოტივირებულია.

აგურაკი, ბაგირაკი, კბილაკი, კოჭაკი, მილაკი, ნაწილაკი, უღელაკი, უჯრაკი, დარაკი, ღერაკი, ღილაკი, ძელაკი.. აღცენება, აღმავალი, აღწარმოება და სხვა სპეციალური სიტყვები შექმნილია ქართული სიტყვის ოდინდელი სააღმშენებლო მასალით — ქართულში არსებული ფუძეებისა და ქართულშივე არსებული -აკ თუ აღ- მორფემების შეერთებით. თითოეული ეს ახალი სიტყვა ასე თუ ისე მოტივირებულია, რამდენადაც ისინი ნაცნობი ელემენტებისაგან ნაწარმოები სიტყვებია.

ცხადია, მოტივაციის ყველაზე ხელშესახებ შემთხვევებს წარმოადგენს სიტყვაწარმოება (კომპოზიციითურთ).

ქართული სიტყვის მოტივაცია გულისხმობს, რომ ეს სიტყვა შედგენილია ქართულში არსებული ნიშნადი ელემენტებით; მაგრამ მოტივაცია აუცილებლობით არ ვარაუდობს შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათა ცოდნას.

ასე, მაგალითად, სახელო-სიტყვაში სა—ო'ს ფუნქცია რომც არ გვქონდეს გარკვეული, მაინც ვიცით, რომ აქ ლაპარაკია ხელ'ის შესახებ (ამიტომ მოტივირებულია როგორც ის სახელო, რმელიც შედის ასეთ რიგში:

საყელო, საშუხლე, საბარკული... ისე სხვა საბელო, რომელიც სათავადო, სა-
დიერო და სხვ. სიტყვათა რიგში შედის).

დღემდე არ ვიცით იმ-დაბოლოების ფუნქცია, მაგრამ უეჭველია, რომ სოკოთა სახელებში — მტრედით-, შითლით-, ღვინით-სიტყვებში — ჩვენს წინაშეა მტრედთან შითელთან, ღვინოსთან რალაცნაირად დაკავ-
შირებული მოვლენები.

ასევე გაურკვეველია იმ-დაბოლოების მნიშვნელობა ზაპერა-სიტყ-
ვაში, მაგრამ ის კი ნათელია, რომ ამ დაბოლოებამ ზაპი 'გოგრა' სხვა
სიტყვად აქცია: ზაპერა 'გოგრის (ზაპის) ერთი სახეობა' არის; ზაპერა
მოტივირებული სიტყვაა.

ერთმანეთთან დაპირისპირებულია გოდორი და გოდროზა; ბოლოკიდუ-
რი -ოზას ფუნქცია უცნობია, მაგრამ მისი დართვით ახალი, მოტივირე-
ბული სიტყვა მივიღეთ: გოდროზა არის 'გოდორი, რომელშიც უპირატესად
ყურძენს ყრიან'.

გარკვეული მოტივაცია უნდა ვივარაუდოთ ისეთ სიტყვებშიც, რო-
გორიცაა საზოგადო ('საერთო, საყოველთაო'), სათნო ('გულკეთილი, ღმო-
ბიერი'), საკუჭნაო (სურსათ-სანოვავისა და სხვა ნივთების შესანახი სა-
თავსი) და საბას ლექსიკონში შეტანილი საერკოლატო (საბას განმარტე-
ბით „მთავართ საჯდომი“), საშუქაჟო („საქმის საპასუხო“), სამხეწილო
(„კარის ზეითი ქუდი“), სასალიკო („ბადის მოსაყარი ადგილი წყალში“) და სხვ., რომლებშიც უკვე ფუძისეული მასალაა უცნობი.

მტრედით-სიტყვაცა და საკუჭნაო-სიტყვაც მოტივირებულია,
რაკი აშკარაა მათი რთული აგებულება (და ერთ-ერთი
ელემენტის მნიშვნელობაც ცნობილია).

სიტყვის მნიშვნელობა და

მოტივაცია

92. იმის მიხედვით, რაც ჩვენ მოტივაციის შესახებ ვილაპარაკეთ,
უნდა ვივარაუდოთ, რომ სიტყვაწარმოების მოვლენები თავისთავად ვერ
იქნება ლექსიკოლოგიის კვლევის საგანი (იხ. აგრეთვე, ზემოთ, §5 8 ---
12).

ახლა უნდა შევხვით იმ რთულ კავშირ-ურთიერთობას, რომელიც
ლექსიკასა და სიტყვაწარმოებას შორის არსებობს.

ქცევა არის ზმნის სიტყვაწარმოებითი (წარმოქმნის) კატეგორია. ეს
ნიშნავს, რომ ნეიტრალურ (ქცევის თვალსაზრისით) ზმნებს შეიძლება
ამოუდგეს გვერდით საობიექტო ქცევის ზმნები: დგას — უდგას, დგამს —
უდგამს, წადგება — შადგება და სხვ.

ყველა საობიექტო ზმნა წარმოებით ერთგვაროვანია (უ-, მი-, გი-, გვი-), მაგრამ ეს ერთგვაროვნობა მხოლოდ გრამატიკული ერთგვაროვნობაა, სემანტიკური რაობა კი თითოეულ შემთხვევაში ცალკე არის დასაადგენი.

აი, რამდენიმე საამისო მაგალითი:

დაუამებს — დაამებს მისას: „თანა მაქვს მალამო, მაგ იარას მე დაგიაშებ“ (ა. გეწაძე).

დაუგაბს — დააგებს მისთვის: „კუთხეში ფიცრულზე ქურჭი დამიგებს“ (ს. კლდიაშვილი).

დაუგზავნის — დაგზავნის მასთან: „შევადგინოთ ტელეგრამები და დაუგზავნოთ დაჩაგრულ ერებს“ (კ. მაყაშვილი).

დაუსკუბდება — დასკუბდება მის წინ: „კარგია ხოლმე ხანდისხან ოცნებით გატაცება... ჩემმა გონებამაც შემოფარგლა დიდი, დიდი წრე... ბოლოს საიდანაც დაიწყო, ელისაბედი დამისკუბდა თვალწინ ყოველივე მისი ღირსებით და მეც გონს მოვედი“ (შ. არაგვისპარელი).

დაუსახელებს — დაასახელებს მის წინაშე: „ისეთი ტაძარი დამისახელებ, სადაც კაცს ეშმაკი ვერ შეჰყვება“ (ბ. კაკაბაძე).

დაუკაკუნებს — დააკაკუნებს მისაზე: „ერთ წვიმიან საღამოს ვილაცამ კარებზე დამიკაკუნა“ (კ. ლომთათიძე).

დაუბანს — დაატანს მისაში: „და ქართული ჩუქურთმები ქვეშ ცის გუმბათს დავუბანე“ (კ. კალაძე).

დაურბენს — დაირბენს მის გარშემო: „მივალთ თუ არა ბინაზე, ძაღლები მაშინვე დაურბენენ მთელ ამ ადგილს“ (ვ. ბარნოვი).

დაურიგებს — დაარიგებს მათ შორის: „ხურჯინი გახსნა და სათითაოდ ყველას დაურიგა: ზოგს საკაბე, ზოგს თავშალი, ზოგს ფეხსაცმელები“ (ია ეკალაძე).

დაუსხდება — დასხდება მის გვერდით: „ლამ-ლამე მომდის ანგელოზები, დამისხდებიან გარეშემოსა“ (ბაჩანა).

მიუგორებს — მიაგორებს მისკენ: „მცველმა ბურთი მიუგორა... მეკარეს“ (პრესიდან).

გადაურჩება — გადარჩება მისგან: „ზღვას გადაურჩა, ნამმა დახარხო“ (ანდაზა).

გაუხსენებს — გაიხსენებს მის შესახებ: „ძველ მძღულვარებან აღარასდროს არ გაიხსენებ“ (ივ. მაჩაბელი).

გაუბედავს — გაბედავს მის მიმართ: „თავგმა რის წვალებით ჩაყლაპა რამდენიმე წვეთი და თან წრუწუნებდა, ეტყობოდა არ

ესიამოვნებოდა ღვინო. — *გიუბედუ. წრუწუნავ, გიუბედუ! აბა და ჰა!** (ვეა) და სხვ.

როგორც ვხედავთ, თითოეული უწინსართიანი ზმნის მნიშვნელობა რალაც დიფუზური „ობიექტური ქცევის“ გადმოცემით კი არ ამოიწურება. არამედ „გრამატიკული“ ობიექტური ქცევის ათობით ლექსიკური შესაძლებლობის ერთ-ერთ, სრულიად გარკვეულ გამოვლინებას წარმოადგენს. ვერ ვიტყვით — უს და რთვით როგორ იცვლის ზმნა მნიშვნელობას, თუ თვით ნაწარმოები სიტყვა ხელთ არა გვაქვს.

უპრეფიქსიანი ზმნების მნიშვნელობათა ზემონაჩვენები ნაირნაირობის გვერდით გვაქვს საპირისპირო მოვლენა: იგივე შინაარსი, რაც უპრეფიქსიანი ზმნებსა აქვს, შეიძლება გადმოიცეს ამ ნიშნის გარეშეც:

დაედაგება — დაიდაგება მისთვის: „მის ბედით და უბედობით დაშედაგოს მტკიცე გული“ (ილია) — შდრ. *დაუგებს* — დააგებს მისთვის.

დაებეჭდება — დაიბეჭდება მისაზე: „ყველაფერი გულის ფიცარზე დაებეჭდა“ (აკაკი) — შდრ. *დაუბეჭებს* — დააბეჭებს მისაზე.

დაებადება — დაიბადება მისაში: „ბრწყინვალე აზრი და მებადა თაეში“ (ს. მთვარაძე) — შდრ. *დაუბანს* — დააბანს მისაში.

დაემალება — დამალება მისგან: „არწივის ბღღერიალა თვალებს რა დაემალება“ (ი. გოგებაშვილი) — შდრ. *გადაურჩება* — გადარჩება მისგან და სხვ.

ამიტომ უპრეფიქსიანი და უპრეფიქსიანი ზმნები არაიშვიათად მონაცვლეობენ:

დაეშრომა — დაუშრომა: „*დამეშროს* სევედათა ზღვა ბარემ ერთბაშად“ (ი. მაჩაბელი) — „*დაევიშრა* წყლები, ნაკადი გახმა და დასკდა მიწები“ (რ. ერისთავი).

ვეგრილება — უგრილდება: „*და ბოტანიკურ ბაღის სიოთი გვეგრილებოდა ხუჭუჭა თაეი*“ (ი. გრიშაშვილი) — „*ცეცხლი მიწელდება, გული მიგრილდება*“ (გ. წერეთელი).

აგრეთვე: *დაეშენება* — დაუშენდება, *დაეთრობა* — დაუთვრება, *ეაეადება* — უაეადდება, *დაესისხლება* (*ნაესისხლება*) — *დაუისისხლიანდება* (*ნაუისისხლიანდება*) და მრავალი სხვა.

თვით ისეთი ენიანი ზმნები, რომელთაც ენიანი სინონიმები არა აქვთ, ლექსიკონში ხშირად ენიანი ზმნით არის განმარტებული: „*დაეუშვტარება* მუშტარი გაუხდება“. „*ეშოკოება* მოკეთე უხდება“...

საყურადღებოა, რომ უს და ურთავსართიანი ზმნების მონაცვლეო-

ბა ერთი გრამატიკული გვარის ფარგლებს გასცილება — გვაქვს მოქმედებითი (უ-) და ვნებითი (ვ-) გვარის ზმნათა მონაცვლეობა:

ულოლიავენა — ულოლიავენს: „უტანდარი ავადმყოფს ულოლიავენობდა“ (შ. დადიანი) — „დღედა კი ულოლიავენს შვილებს, ეპყრობა ტკბილად“ (ვაჟა).

ემოწმება — უმოწმება: „ლაპარაკი და ხმის მოძრაობა სრულებით არ ემოწმებოდნენ იმას...“ (შ. არაგვისპირელი) — „რასაც კი ამბობ, უქვეოდ მჯერა, ამას ემოწმებს დღეს ჩემი სახე“ (აკაკი)...

უ- თავსართიანი ზმნები ენაცვლება თავსართის არმქონესაც:

გული შეუვარდება — შევარდება: „ქალბატონს გული შეუვარდა ბავშვზედა“ (ი. გოგებაშვილი) — „ის ქალი, რომელზედაც თქვენ გული შეგვარდათ, არ შეგიძლიათ თქვენს საკუთრებად გაიხადოთ“ (ეკ. გაბაშვილი). ასევე, დაუზარდება — დაზარდება, ჩაუშხამდება — ჩაშხამდება...

უ- თავსართიანი ზმნების მონაცვლეობა შეინიშნება ა- თავსართიან ზმნებთანაც:

შემოუჭერს — შემოაჭერს: „შემოუჭირეს თოკი სვიმონას და მიაკრეს ბოძსა“ (ნ. ლომოური) — „ეისერზე მარყუჟი შემოაჭირა“ (ლ. ქიაჩელი).

ჩაუშხამებს — ჩაშხამებს: „ავო აჩრდილო, რად ჩამშხამე ეს ღამე წმინდა“ (კ. მაყაშვილი) — „სულ ჩამაშხამა რაც მომცა“ (აკაკი).

დაუწევს — დააწევს: „აი, იმ დღეს საცოდავ დედაკაცს რა საქმე დაუწიეს ორი შაურის გულისთვისა: კინაღამ კაწაწებით ათრიეს“ (ს. მგალობლიშვილი) — „დღედაჩემმა რომ გაიგოს ეს ანბავი, ერთ ყოფას დამაწვეს“ (რ. ერისთავი)...

უ- და ი- თავსართებიან ზმნათა მონაცვლეობის ნიმუშია შაულიღინებს — შაილიღინებს: „მომღერალს ალბათ პირველი, დასაწყისი სტრიქონი ახსოვდა მხოლოდ, დანარჩენს უსიტყვოდ შაულიღინებდა“ (ნ. აგიაშვილი) — „უნებურად შაილიღინა ოპერის შესავალი“ (ედ. ყიფიანი)...

ამრიგად, უ- თავსართიანი ბევრი ზმნა ლექსიკურად ენაცვლება ვ-, ა-, ი- და 0 (ნულ-) თავსართიანებს: დაუშენდება — დაეშენება, შემოუჭერს — შემოაჭერს, დაუზარდება — დაზარდება, შაულიღინებს — შაილიღინებს.

თავის მხრით ვ-, ა-, ი-, 0- თავსართიან ზმნებს პარალელები ეძებნება ერთმანეთთან: ჩაეფლობა — ჩაიფლობა... დაეშენება — დააშენდება... მიეფარება — მიიფარდება... დაეზარება — დააზარდება... შაეღინება — შასღინდება... ჩამოაწვევს — ჩამოიწვევს... ჩაგზავნის — ჩაგზავნის... შამოაწითლებს — შამოაწითლდება... დაითრობა — დათერება...


ამ წყვილთა სინონიმურობას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი მაგალითები:

„თოვლში ისე ჩაეფლო, რომ ნახევარი კისერი და ყურებიღა უჩანდა“ (ვაჟა) — „მარან-ბელლები სალამოს ჩრდილში ჩაიფლო“ (მ. შრეველიშვილი); „მას უყვარდა ეს წიგნი, ჭრელი აბგის შშვენება, მოიგონებს და შუქი გულზე დაეშენება“ (გ. ლეონიძე) — „შეიძლება თავისუფლად დააშენდეს რამდენიმე სართული“ (პრესიდან); „თუ ნაბდის ხელით წაღება დაგეზაროს, კავს მოაბი და იმით ათრიეო“ (ანდაზა) — „მე მისი ქება არ დამზარდება“ (ი. აბაშიძე); „რა ეს მესმა, ჯავრით ცხვირსა შამედინა ძმარი“ (დ. გურამიშვილი) — „ჩქეფით შასლინდა სისხლი გაჩეხილი თავიდან“ (ლ. ქიაჩელი); „ახლა... რუსეთს ჩაეგბარეთო“ (აკაკი) — „დედამ არ მითხრა — ტყვედ ჩაბარდიო“ (გ. ლეონიძე); „ჩამოაწვიე შენი სანაცვლო კაცები“ (ს. შველაძე) — „ფარნა თბილისში ჩამოიწვია“ (გ. ლეონიძე); „გთხოვთ გამაგზავნოთ მამასთან“ (ე. ნინოშვილი) — „კაცი გაგზავნა გზირის მოსაყვანად“ (ვაჟა); „ნუც-

უ

დაუშენდება
შემოუქერს
დაუზარდება
წაუღლინებს

ჟ



ბ

დაეშენება
დაენტება
ჩაებარგება

გ

გზავნის
დაზარდება
ჩაბარგდება
წამობერ-
ტყავს.

ა

დააშენდება
ჩამოაწვევს
შემოაქერს
აგზავნის

დ

წაღლინებს
დაინთება
ჩამოიწვევს
წამობერ-
ტყავს

კიას სიტყვები გაახსენდა და *წამოაშითლა*“ (მ. მრევლიშვილი) — „შეერთა, ცოტათი *წამოაშითლა*“ (აკაკი); „*ღაითრო* მაჰა“ (თ. რაზიკა-შვილი) — „კაცი რომ *ღაითრება*, გონებას დაკარგავს“ (აკაკი).

სხვადასხვა თავსართიანი ზმნების ურთიერთობა ყველაზე მარტივად ამგვარი სქემით შეიძლება გადმოიციეს (იხ. 113 გვ.):

ამ სქემაში წრებაზე მოთავსებული წერტილები სიტყვაწარმოებითს ყალიბებს წარმოგვიდგენენ, ხოლო მათი შემაერთებელი ქორდები გამოხატავენ სემანტიკურ (სინონიმურ) ურთიერთობას ამ ყალიბების მიხედვით ნაწარმოებ სიტყვებში.

რა თქმა უნდა, ამ ზმნათა ფუნქციური მონაცვლეობის მიხედვით ვერ დავასკვნით სათანადო მორფემების resp. სიტყვაწარმოებითი ტიპების სემანტიკურ სიახლოვეს: ამ შემთხვევაშიც სემანტიკური ურთიერთმიმართებანი სიტყვათა შორის მყარდება არა მხოლოდ სიტყვაწარმოებითი კავშირების შესაბამისად, არამედ მათგან დამოუკიდებლადაც: მოტივაცია არ დაიყვანება აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ელემენტთა ცალსახა შესაბამისობაზე.

98. მოვიყვანთ სხვა მაგალითს სახელებზე.

შანიანი თავსართები გვხვდება *მა-*, *მე-*, *მო-*, და *მს* სახით. ჩვეულებრივ, ეს თავსართები ბოლოსართებთან ერთად იხმარება. ბოლოსართებად გამოდიან *-ე* (*მეისრე*, *მოცეკვაე*), *-ელ* (*მთქმელი*, *მაწვეველი...*), *-არ* (*მახეუწარი*, *მეომარი...*), *-არე* (*მქუხარე*, *მოცინარე...*), *-იერ* (*მგრძნობიერი*, *მაწვეიერი...*), *-იარე* (*მდებიარე*, *მშობიარე...*), *-ურ* (*მებაღური...*) და სხვ., თუმცა გვხვდება უსუფიქსოდაც (*მოისარი*, *მთესი*, *მკრეფი*, *მეოხი...*).

მ-თავკიდურიანი ნაწარმოები სიტყვების ორ ათეულზე მეტი სტრუქტურული ტიპი გვხვდება, მაგრამ ამ ტიპებსა და მათ ფუნქციებს შორის მარტივი, ცალსახა დამოკიდებულება არ არსებობს: ცალკეული ტიპი არ არის ფუნქციურად მკაფიოდ შემოფარგლული, ცალკე ფუნქცია არ არის გარკვეულ სტრუქტურულ ტიპზე მიმაგრებული. ამის მკაფიო მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ გვხვდება ერთი და იგივე ფუძე სხვადასხვაგვარი აფიქსით, მაგრამ მნიშვნელობის სხვაობა კი არ შეიმჩნევა.

მეისხლე — *მოსისხარი*, *მელექსე* — *მოლექსე*, *მეწლე* — *მეწლეური*, *მეპომე* — *მეომარი*, *მეკვლე* — *მაკვლიერი*, *მეისრე* — *მოისარი*, *მეპომე* — *მეომარე...*

მოხუხარი — *მახუხარი*, *მოცინარი* — *მოცინარე*, *მოსისხარი* — *მოსისხლე*, *მოცეკვარი* — *მოცეკვაე*, *მოციხარი* — *მეციხავი*, *მოქუხარი* — *მქუხარი*, *მოხუხარი* — *მეხუხარი*, *მოხეუწარი* — *მეხეუწური...*

მაწვეიარი — *მაწვეიერი*, *მახეუწარი* — *მეხეუწარი*, *მახეუწარი* — *მეხეუწური*, *მახუხარი* — *მეხუხარი...*

მწვეველი — *მაწვეველი*, *მწვეველი* — *მაწვეიერი*, *მთესველი* — *მთესვა-*

რი, მთესველი — მთეს(აე)ი, მთქმელი — მათქვამი...

მქუხარე — მოქუხარი, მჭმუნვარე — მჭმუნვაი, მცნობარე — მცნობელი, მღებარე — მღებარე...

მეომარი — მეომარე...

მყივარი — მყივანი, მღებარი — მღებარე, მხეწარი — მხეწურე...

(მო)მწვეველი — მამწვეველი, (მო)მწვევი — მამწვეველი, (მო)მწვევი — მამწვევი...

მგრძნობი — მგრძნობიარე, მგრძნობი — მგრძნობარე, მკრეფი — მკრეფაი...

მღებარე — მღებარე, მგრძნობიარე — მგრძნობელი...

მოციხაი — მოციხარი, მჭმუნვაი — მჭმუნვარე... და სხვ.

ამრიგად, მე-ე-წარმოების შეკელე-სიტყვის სინონიმურია, სხვათა შორის, მაკელიერი — იმავე (კვალ-) ფუძიდან მა-იერ აფიქსებით ნაწარმოები სიტყვა.

მა-იერ-წარმოება დამახასიათებელია, აგრეთვე, მამეიერი-სიტყვი-სათვის.

მამეიერი-სიტყვას მოეპოვება იმავე (მევე-) ფუძიდან, მაგრამ განსხვავებული ყალიბის მიხედვით ნაწარმოები სინონიმები — მამევეარი და სხვ.

თითოეული მათგანი გარკვეულ სიტყვაწარმოების ტიპს მიეკუთვნება.

კერძოდ, მამევეარი-სიტყვის ყალიბს იმეორებს მახეწარი.

მახეწარი-სიტყვასაც შეიძლება ამოვუყენოთ იმავე (ხეწ-) ფუძიდან ნაწარმოები სინონიმები მხეწარი და სხვ.

მხეწარი-სიტყვის ტიპისაა აგებულებით მცინარი.

მცინარი დგას სინონიმურ რიგში, სადაც თითოეული სიტყვა ცნ-ფუძეს შეიცავს და ამა თუ იმ (ისევე მ- თავიღურისანი) აფიქსებით არის ნაწარმოები. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ მცინარე.

მცინარე და, ვთქვათ, მგრძნობარე ერთგვარად არის ნაწარმოები (მ-არე). მგრძნობიარე'ც ამავე (გრძნობ-) ფუძის შემცველ სიტყვათა სინონიმურ რიგში დგას.

აი, სათანადო მაგალითები:

„მამეიერები მოედნენ ყარამანის მოყურებს, ნათესაებს“ (დ. შენგელია) — „მოუვიდა სხვა მამევეარი მექორწილესა“ (საბა) — „მამევეარი არად მინდა“ (რუსთაველი) — „ალექსანდრე მეფეძაც, მიუხედავად ცნობის ნაგვიანეობისა, უმალ დაგზავნა ლაშქართ მწვეველნი“ (ლ. გოთუა) — „შემოპქარით ზარს ბრძოლისკენ მომწვევენ“ (წ. ლომთათიძე).

„ხატის დროშის წინ დაიხოქა მეფე გიორგიმ... ცალი მუხლი მიწას დაკრა მახეწარმა“ (კ. გამსახურდია) — „მოაგონდა ის წუთიც,

როდესაც ივანობაზედ მხვეწარი ჩამოდიოდა“ (ა. ყაზბეგი) — „ღლითილდე თქვენში ცოცხლივ სუნთქვა მწყურია, და ჩემი სიტყვაც მხოლოდ ამის მხვეწურია“ (გ. ლეონიძე). — „მხვეწილი — მახვეწარი, მავედრებელი“ (ქვლ V).

„გამოეგებოს თამარი მცინარი, თავის ფეხითა“ (ვაჟა) — „ვერა ნახავდი ივანეს მხიარულსა და მცინარეს“ (ვაჟა) — „გამილიმა, მომავლო თავზედ ხელი და მოცინარემ გამიქნივა თავი“ (ილია) — „ჩემსავით რომ შეგიყვაროს ვინ არი? ვინ გაღმერთოს ციურად მოცინარი?“ (აკაკი).

„არ იცი, არა, ქკვათხელო, ყბედო, ზეზერე მგრძნობარე“ (ვაჟა) — „მრავალი მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვეს იმის საფლავზე“ (ვაჟა) — „ახლა უნდა ჩალბეს მისი მგრძნობი გული მიწაში“ (ვაჟა) — „მგრძნობელი გული დალბება ფუჰად“ (ვაჟა) — „იმისი სიტყვა ყველა იქ წარმოთქმულს სიტყვებზე მგრძნობიერი და შინაარსიანი იყო“ (ვაჟა).

შვევ-, ზევმ-, ცინ- და გრძნობ- ფუძეები, ამრიგად, ოთხ სინონიმურ რიგს ქმნიან:

მაშვეირი	მაშვევარი	მაშვეველი	მშვეველი	მომშვევი
მახვეწარი	მხვეწარი	მეხვეწური	მხვეწელი	
მცინარი	მცინარე	მოცინარი	მოცინარე	
მგრძნობარე	მგრძნობიარე	მგრძნობი	მგრძნობელი	მგრძნობიერი

ნაწარმოები სიტყვების სემანტიკური ურთიერთდამოკიდებულება გრაფიკულად რომ გამოვხატოთ, მივიღებთ რთულ ბადეს, რომელსაც ურიცხვი ხაზები ქმნის.

სანიმუშოდ მოვიყვანთ ამ ოთხი ფუძიდან (შვევ-, ზევმ-, ცინ-, გრძნობ-) ზემოჩამოთვლილი შანით ნაწარმოები სიტყვების ურთიერთდამოკიდებულებას. აქაც (ზმნური სინონიმების სქემის მსგავსად, იხ. ზემოთ § 92) წრებაზე მოთავსებული წერტილები სიტყვაწარმოებითს ყალიბებს წარმოგვიღვენენ, მათი შემაერთებელი ქორდები — სემანტიკურ (სინონიმურ) ურთიერთობას ამ ყალიბების მიხედვით ნაწარმოებ სიტყვებში (სქემა იხ. შემდეგ გვერდზე).

ეს სურათი, როგორც ვხედავთ, მეტად რთულია. მაგრამ იგი მაინც ზედმიწევნით ვერ ასახავს ფაქტობრივს მრავალფეროვნებას. კერძოდ.

ისევე როგორც იდიომატური გამოთქმის მნიშვნელობა არ დაიყვანება მასში შემაჯავალ სიტყვათა მნიშვნელობებზე.

ნაწარმოები სიტყვა და იდიომატური გამოთქმა იმითაც ჰკვანან ერთმანეთს, რომ ორივეში იგრძნობა რთული შედგენილობა (ნაწარმოები სიტყვა არის ძირისა და აფიქსების ერთობლიობა — იდიომატური გამოთქმა სიტყვების ერთობლიობა), ე. ი. ორივე მოტივირებულია.

ზოგადი დასკვნა მოტივაციის როლის შესახებ სიტყვის ფუნქციონირებისას

94. სიტყვის აგებულებისა და მნიშვნელობის ურთიერთობის საკითხი მოტივაციის საკითხზე დაიყვანება. ამიტომ მიზანშეწონილია აქვე მოკლედ შევხვით მოტივაციის სხვა საშუალებასაც.

ახალი სემანტიკური ერთეული შესაძლებელია არა მხოლოდ წარმოებით („გრამატიკულად“) იქნეს მოტივირებული, არამედ „სემანტიკურადაც“ — სიტყვის ადრინდელი მნიშვნელობით, როდესაც საქმე ეხება მნიშვნელობის განვითარების გზით სემანტიკური ერთეულის წარმოქმნას:

ადრინდელი — 'ანთების' — მნიშვნელობით არის მოტივირებული აზნება, გამოყენებული „აღძვრის“ აღსანიშნავად, ე. ი. როგორც ფიზიოლოგია-ფსიქოლოგიის ტერმინი. ასევე აშფაქნებს-სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას ('აზნელს') ემყარება მეორე, ფოტოსაქმეში გავრცელებული მნიშვნელობა — 'ავლენს ნეგატივზე აღბეჭდილ გამოსახულებას'. ანაბარი-სიტყვის უწინდელი მნიშვნელობაა 'შესანახად მიბარებული რამ' („ანაბარი მგელმაც იცისო“); ამ მნიშვნელობაზე დაყრდნობით შეიქმნა ანაბარი-სიტყვის მეორე მნიშვნელობა — კრედიტისა და ანგარიშსწორების ტერმინი — 'შემნახველ სალაროში შეტანილი ფული'. სალარო ძველად ლარის (განძეულის, აბრეშუმეულის) შესანახი ადგილი იყო; ეს ძველი მნიშვნელობა წარმოადგენს „მოტივს“ ახალი, საყოველთაოდ ცნობილი მნიშვნელობისათვის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიცით რა ბგერებით ამეტყველდა ადამიანთა პირველად, მაგრამ რა სიტყვების ისტორიაც ვიცით, ყველაში დასტურდება მოტივაციის როლი მათ შექმნაში.

საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ე. წ. ხალხური ეტიმოლოგია. არაიშვიათად ვხვდებით მისწრაფებას ამა თუ იმ სიტყვის მოტივაციისაკენ, სურვილს — იცოდნენ „რას ნიშნავს“ ესა თუ ის

სიტყვა არა მხოლოდ საგნობრივი მიმართებით, არამედ „შინაგანადაც“, ეტიმოლოგიურადაც, ე. ი. იცოდნენ, თუ რატომ ჰქვია ამ საგანს ეს სახელი.

ამის შედეგად ხდება ხოლმე ბუნდოვანი აგებულების სიტყვათა „გააზრიანება“ სხვა, ნაცნობ სიტყვებთან დაკავშირების გზით.

ზენაარი ნასესხები სიტყვაა (სპარსულიდან: *ზენაარ*) და 'ფიცს' ნიშნავდა: „ვერ გავუტებ *ზენაარსა*, ვერ გავსწირავ ხელი ხელსა. რამცა სადა გაუმარჯვდა, კაცსა ფიცთა გამტებელსა“ (რუსთაველი).

ამგვარი — მეორეული — მოტივაციის შედეგად მივიღეთ *ზენაარი-სიტყვიდან* გაქართულებული *ზენა-არსი*: „მკერმეტყველებით სახელგანთქმულსა, ლევან დადიანს, ტკილმოუბარსა ენა ებმოდა, რომ შემომკვერეტდა ვით საოცნებო რამ *ზენაარსსა*“ (აკაკი).

ან კიდევ *ძლისპირი*: ეს სიტყვა ჰიმნოგრაფიის ტერმინია. მისი მნიშვნელობაა 'საგალობლის ჭაშნიკი, პირველი საგალობელი საგალობელთა ჯგუფში' და — კუთხურად — 'სასულიერო სიმღერა, რომელიც ეკლესიაში არ სრულდებოდა'. იგი გააზრიანდა როგორც *ძილის პირი* 'დაძინების წინახანი' და მისგან აწარმოეს *ძილისპირული*, ვითომ სიმღერა, რომელსაც დაძინების წინ უმღერიან ბავშვებს: „ღამის სიჩუმეში კალიების *ძილისპირული* ისმის“ (ს. კლდიაშვილი).

სამაია'ც, ნასესხები სიტყვა (სპარსულიდან: *სამა* „როცა, შუშპარი“: საბა), ქართულად იქნა გააზრებული — ს ა მ ი ქალის ცეკვად: „*სამაია* სამთავანა...“

სხვათა შორის, ხალხური ეტიმოლოგიის არსებობა ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოტივაცია ყოველთვის არ დიყვანება ნამდვილ გააზრიანებაში. გაუგებარ სიტყვას ახლებურად აანალიზებენ. რომ ნაცნობ სიტყვას აგებულებით დაუახლოვონ, თუმცა ეს სტრუქტურული დაახლოება ზოგჯერ უაზრობას იძლევა: „*საფონდო* მიწა“ ვითომდა გააზრიანდა „*საფონტო* მიწად“, თუმცა ფრონტი, ცხადია, აქ არაფერ შუაშია [4]. ჩანს, მეტყველმა უცნობი ფუძე უბრალოდ ნაცნობ ფუძეს დაუახლოვა (*ფონდ-ი-ფონტ-ი*). ასევე, *საჟონი-სიტყვაში* თავიკიდური მარცვალნი გააზრიანებულია დანიშნულების პრეფიქსად („*სა-ჟონი*“!), დარჩენილი გაუგებარი „ფუძე“ პონდაახლოებულია ნაცნობ ზმნურ ფუძესთან *ჟონ-*'თან; შედეგად მივიღეთ აგებულებით გამკვირვალე (*სა-ჟონ-ი*), მაგრამ საგნობრივი მიმართების მიხედვით უაზრო „*საჟონი*“. სათანადოდ, ყვავილის სახელი — *საჟონელა*-სიტყვა ქცეულია *საჟონელა*'დ და ამ ახალ „შინაგან ფორმაზე“ დაყრდ-

ნობით გაუაზრებიათ ამ ყვევილის დანიშნულება (არა ს ა პ ო ნ ი ვ ი თ ასაქაფებელი რამ, არამედ საშუალება რისამე ს ა პ ო ვ ე ლ ა დ) *.

მნ. ახალი სიტყვა მოტივაციით („გრამატიკული“ ან „სემანტიკური“ მოტივაციით) იწყება. მაგრამ არ არის სავალდებულო, რომ მოტივაცია სიტყვას შემდეგ სულ თან სდევდეს. ენობრივი კოლექტივი მალე ივიწყებს ხოლმე სიტყვის „შინაგან ფორმას“, სემანტიკურ აღნაგობას, და, როდესაც სიტყვა უნდათ იხმარონ თავისი ძირითადი ფუნქციით — საგნის თუ მოვლენის აღსანიშნავად —, არაა სავალდებულო მისი ბგერადობისა და საგნობრივი მიმართების რეპროდუქციასთან ერთად ხდებოდეს სემანტიკური აგებულების, მოტივაციის გახსენება.

ათეული როგორც სამხედრო ტერმინი — 'ჯარის უმცირესი ქვეგანაყოფი' — თავისი სემანტიკით სულაც არ იმეორებს სიტყვის 'შინაგან ფორმას' — ა თ ი ს 'შემცველობას: ათეულში, ჯარის სახეობის მიხედვით, შეიძლება შედიოდეს გაცილებით ნაკლები რაოდენობის ადამიანი — 5 ჯარისკაცი, ან მნიშვნელოვნად მეტი — 15 ჯარისკაცამდე. როგორც მემინდვრეობის სპეციალური სიტყვა, ათეული ნიშნავს ყანაში სახელდახელოდ ერთ ზვინად დადგმულ თ ერთ მეტ ძნას: ათი ნიშნავს 'თერთმეტს'! თუმცა სიტყვა რომ ათ-ფუძისა და-აშულ-სუფიქსისაგან შედგება, ეს არა მხოლოდ ენის მკვლევრისათვის არის ცხადი, არამედ იმათთვისაც. ვინც ათეული-სიტყვას იყენებს 'თერთმეტი ძნის' მნიშვნელობით.

ეტიმოლოგიური მხარის მიმართ უყურადღებობა აიხსნება სიტყვის როგორც ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ი ს ბუნებით.

სახელწოდება, ფოიერბახის თქმით, არის განსასხვავებლად გამოყენებული ნიშანი; სახელწოდება არის რაიმე თვალშისაცემი ნიშან-თვისება, რომელსაც მე ვაკისრებ — იყოს საგნის წარმომადგენელი, რათა მე ეს საგანი მის მთლიანობაში აღვიქვა და წარმოვიდგინო.

აქ მართებულად არის შენიშნული, რომ სიტყვისათვის როგორც სახელწოდებისათვის ემყარებიან საგნის რაიმე თვალშისაცემ ნიშან-თვისებას და ეს ნიშან-თვისება მხოლოდ წარმომადგენელია საგნისა, რა-

* გაეიხსენოთ ცნობილი ლექსი (და სიმღერა) „საპოენლას“ შესახებ:

„სექტემბერში თუ ჩვენს მხარეს გავივლია,

შენიშნავდი მიმობნეულს მინდორ-ველად.

ბაწაწინა მარჯნისფერი ყვევილია,

იმერეთში ეძახიან „საპოენლას“.

შეხებდე და მიმიზიდა იმთავითვე.


თურმე ყველას სასოებით ანდობს იმედს. —

ბელს დაეძებს თუ დანაკარგს — რამე ნიეთებს.

ვეედრება: „საპოენლა! მაპოენინე!“... (მ. ბარათაშვილი).

თა ეს საგანი აღქმულ-წარმოდგენილ იქნეს მის მთლიანობაში (და არა როგორც უთუოდ ამა და ამ ნიშან-თვისებათა მქონე).

როდესაც ერთად აკინძულ საწერ ქაღალდებს რეჟულს არკმევდნენ, ამის მოტივი იყო კონის რეაფურცლიანობა; მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს სიტყვა დამკვიდრდა ენაში, მას ევალება რაგინდარა შედგენილობის საწერ ფურცელთა კონა აღნიშნოს, რეაფურცლიანობაზე მითითება სავალდებულო არაა:



მათთვის, ვინც ისტორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისზე დგას, სიტყვის წარსული სრულებით არ არის მეორეხარისხოვანი მოვლენა, თუნდაც ეს წარსული აქტიურად არ მქდავდებოდეს სიტყვის გამოყენების პროცესში.

მაგრამ მოტივაცია საგნის მხოლოდ თვალშისაცემი თვისება (სიტყვის — საგნის სახელის — წარმოქმნისას) და არა უთუოდ კონსტიტუციური, არსებითი ნიშან-თვისება.

სიტყვის ისტორიის კვლევის საგანია არა მხოლოდ და არა იმდენად ის, თუ რატომ დაეჩქვა ამა და ამ საგანს ესა და ეს სახელი.

ე. ი. მოლაპარაკე ი ნ დ ი ვ ი დ ი ს ფსიქიკაში არსებულმა რა ასოციაციამ მისცა ბიძგი მის განკარგულებაში მყოფი ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულიდან ახალი ერთეულის წარმოქმნას, არამედ ისტორიის კვლევის საგანია, აგრეთვე, — და, ჩვენი ვარაუდით, უპირატესად — ის, თუ როგორ დაერქვა ამა თუ იმ საგანს ეს სახელი, ე. ი. როგორ შემოვიდა ენობრივი კოლექტივის სიტყვა ხმარებაში ახალი სიტყვა ან არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობა.

პირველი საკითხი („რატომ დაერქვა?“), უწინარეს ყოვლისა, აზროვნების ისტორიის საკითხია, მეორე საკითხი („როგორ დაერქვა?“) არის ენის სოციოლოგიის საკითხი და საკუთრივ ლექსიკოლოგიის საკვლევს წარმოადგენს.

ლექსიკოლოგი აზროვნების ისტორიის საკითხებს გვერდს ვერ აუვლის, რამდენადაც აზროვნების ისტორია მეღავენდება სიტყვათა შექმნა-ცვალებადობაში.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ სამუშაოს ლექსიკოლოგი ასრულებს, იგი დამხმარე სამუშაოა ლექსიკოლოგისათვის, მაშინ როცა ახალი სიტყვის ან მნიშვნელობის შემოსვლა-დამკვიდრება მხოლოდ ლინგვისტ-ლექსიკოლოგს აინტერესებს და მისი კვლევა მხოლოდ მას შეუძლია.

ქართული ლექსიკა

საზნობრივი მიმართების თვალსაზრისით

ა. ზოგადი. — შორისდებულები და ხმაბაძეითი სიტყვები ლექსიკური ფონდის სემასიოლოგიური დახასიათებისას. — ფუნქციონალური ლექსიკა. — ნაცვალსახელებისა და რიცხვითი სახელების ადგილისათვის. — შეტყველების ნაწილთა ძირითადი კლასები. — სრულმნიშვნელობიან სიტყვათა უზოგადესი სემანტიკური ჯგუფები. — სემანტიკური ჯგუფები ნაწარმოებ სიტყვებში. — ლექსიკური ფონდის თემატიკური დანაწევრება. — ცნებათა ბუდეები საბას ლექსიკონში.

მე. ჩვენ მიმოვიხილეთ ქართული ლექსიკა ქართულ ბგერათსისტემასთან მიმართებაში, აგრეთვე ქართულ სიტყვაწარმოებასთან მიმართებაში.

დავინახეთ, რომ მიუხედავად ლექსიკური და ფონეტიკური, ლექსიკური და გრამატიკული მოვლენების მჭიდრო კავშირისა, ლექსიკა თავისთავადი რამაა, ავტონომიური როგორც ბგერადობის, ისე გრამატიკული წყობისაგან.

რას უნდა წარმოადგენდეს ქართული ლექსიკის შესწავლა საკუთრივ ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით?

პირველ ყოვლისა, ეს იქნებოდა, ალბათ, ლექსიკური ფონდის და ცალკე სიტყვის დახასიათება მნიშვნელობის მიხედვით, ე. ი. საკუთრივ სემასიოლოგიური დახასიათება (რა თქმა უნდა, რამდენადაც სიტყვის მნიშვნელობა რეალიზებულია ქართულ ენობრივ კოლექტივში და სხვა ქართულ სიტყვათა გარემოცვაში).

აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთობა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.

შესაძლებელია სიტყვა სინამდვილის ამა თუ იმ მხარის უშუალო გამოვლენას წარმოადგენდეს, ასე ვთქვათ, სათქმელის სიმბტომი იყოს.

ზოგჯერ სიტყვა მიუთითებს სინამდვილის ამა თუ იმ მხარეზე.

დაბოლოს, სიტყვამ შეიძლება სინამდვილის ესა თუ ის მხარე აღნიშნოს (რა თქმა უნდა, ეს სხვადასხვაგვარი მიმართება ერთმანეთი-

სათვის შეუთავსებელი არ არის: შესაძლებელია სინამდვილის ესა თუ ის მონაკვეთი სიტყვაში ვლინდებოდეს კიდევ და აღინიშნებოდეს კიდევ: ან კიდევ: აღინიშნებოდეს და მიეთითოს კიდევ მასზე).

სემასიოლოგიური თვალსაზრისით ჭერ საზოგადოდ ქართულ ლექსიკურ ფონდს მიმოვიხილავთ, შემდეგ კი ცალკეულ სიტყვათა ამგვარი დახასიათების ნიმუშებს წარმოვიდგენთ.

შორისდებულები და ხმაბაძვითი სიტყვები

ლექსიკური ფონდის სემასიოლოგიური დახასიათებისას

97. საგნობრივი მიმართების მიხედვით ლექსიკური ფონდის დახასიათებისას მისგან, პირველ ყოვლისა, უნდა გამოცალკევდეს შორისდებულები: შორისდებული რაიმე მოვლენას კი არ აღნიშნავს, რაიმე საგანს (ან მოვლენას) კი არ „მიემართება“, არამედ წარმოადგენს მეტყველის განცდათა ობიექტივაციის, გამოვლენის კონვენციალურ საშუალებას.

ამისდა მიუხედავად, შორისდებულთა განხილვა შემოვა ლექსიკის სემანტიკური დახასიათების სფეროში, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, შორისდებული ვერ გაუთანაბრდება კაცი-, მადალი-, მოიტანა-, ძლიერ- და მსგ. სიტყვებს.

ბევრი შორისდებული, როგორც ცნობილია, წარმოშობით სხვა რიგის (არა „შორისდებულური“) სიტყვაა:

ბიჭოს! (შდრ. ბიჭი); ნეტავ, ნეტა! (შდრ. ნატვრა და აგრეთვე, ნეტარი, რომელიც ფუძის სახით შორისდებულად იქნა გამოყენებული: „ნეტარ რა ქმნას უშენომან გულმან შენგან დალახვრულმან“); ციცი! (შდრ. ციცი 'კატა' (კუთხ.), 'ფისო' (მოფერ.); ციცი-ციცი! (შდრ. ციციუნია (მოფერ.), ციხა 'ტანმორჩილი ძაღლი' (ძვ.), 'ძაღლი' (მოფერ. კუთხ.), 'ძაღლის დაძახება—ქალთა მეტყველებაში' (კუთხ.); თათი! (შდრ. საბა: „თართი დიდი ძაღლი, მიდამოს მცველი“); ბუა! (შდრ. ბუღავე) და სხვ. (დაწვრილებით იხ. [115]).

მაგრამ შორისდებულებად ქცევით ისინი კავშირს წყვეტენ ამოსავალ სრულმნიშვნელობიან სიტყვებთან სწორედ იმით, რომ მოვლენის აღნიშვნის საშუალებიდან (ციცა, ბუღავე...) იქცევიან განცდის გამოვლენის საშუალებად (ციცი ბუა!).

98. ცნობილია, რომ შორისდებულები ფონეტიკურადაც თავისუფლად არ თავსდებიან ქართული ენის ყალიბში.

ზემოთ (§ 67) აღვნიშნეთ, რომ ფონემა ჰ, გარდა ნასესხები სიტყვებისა, მხოლოდ შორისდებულებში გვხვდება. საინტერესოა ის გარემო-

ება, რომ პ-ბგერა ანატომიურ-ფიზიოლოგიურადაც ერთგვარად განცალკევებულია: სახმო სიმების ლიაობის პირობებში ეს ბგერა წარმოითქმის ფილტვებიდან ამონადენი ჰაერის ძლიერი ნაკადის ხახუნით ხორხის კედლებზე. ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებათა მიუხედავად პ ფონემა მკვიდრად დგას ქართულ თანხმოვანთა შორის. ეს ადგილი მას დაუმკვიდრა (პირის ნიშანთა გარდა) შორისდებულებში ხმარებამ*.

პ'ს როგორც ფონემის სიმკვიდრემ შესაძლებელი გახადა გამოყენება ნასესხებ სიტყვებში. საინტერესოა ამ მხრივ შეპირისპირება *პ*'ს ყრუ ვარიანტთან, *ფ*-სთან, რომელიც ნასესხებ სიტყვებში ვერ დამკვიდრდა—*ფ*'დ იქცევა ხოლმე [150], თუმცა ანატომიურ-ფიზიოლოგიურად იგი ჩვეულებრივია— გვხვდება როგორც პოზიციური ვარიანტი *ფ* თანხმოვნისა: *ეფიქრობდი, კეცაქს* ნამდვილად წარმოითქმის როგორც *ფიქრობდი, კეცაქს*...

შორისდებულებს გადმოსაცემი შინაარსის მიხედვით ორ ჯგუფად ყოფენ: გრძნობათა გამომხატველ და ნების გამომხატველ სიტყვებად.

გრძნობათა გამომხატველ შორისდებულებში ათობით „მნიშვნელობაზე“ მიუთითებენ: შეკრთობა, გაკვირვება, გაოცება, წყენა. დანანება, მწუხარება, ნატვრა, სურვილი, მოწონება, სიამოვნება, აღტაცება, გაჯავრება, საყვედური, უნდობლობა, მორცხვობა, ირონია, დაცინვა, ნიშნის მოგება, შიში...

ნების გამომხატველ შორისდებულებშიც გამოყოფენ ხოლმე: წაქეზებას, შეგულიანებას, შეძახილს, მოწოდებას, მტკიცე დასტურს, უარყოფას და სხვ.

მაგრამ დამაფიქრებელია, რომ თითოეული ეს მნიშვნელობა ძალიან ხშირად რამდენსამე შორისდებულს მიეწერება: *გაკვირვება-გაოცება* გადმოცემულია შემდეგი შორისდებულებით: *ეიპა, ვრიპა, უპ. პუპ, უპუ, პუპუ, ოპო, ოპოპო, ოპ. პოიპე, პო, პოო, პოდუ პოდუ, პოპოპო, პეპეუ, პეიპე, პერ...* აღტაცება: *პუპ, პუპუ, უპ. უპუ, ოპ, ეპა, იპ, პო, პოო, პი...* დანანება: *პაი, ვიპა, ეპ, ვაპ, აპ, პეიპეი, პეიპე, პეე, პე.*

აი, დანანების გამომხატველი შორისდებულები ფრაზებში: „*პუ, თუ ამითი დაბლოვდებოდა, ეს ამოდენა ხნის უიხი რა იყო*“ (აკაკი), „*პეუ, აღარც იქით და აღარც აქეთ! ახია ჩემზე!*“ (აკაკი), „*პა, რაღა გაეწყობა, თქვენი ნება გახლდეთ!*“ (აკაკი), „*პეიპე, კეშმარიტად ჩემი თავისა მრცხვენია*“ (აკაკი), „*პეი, პეი გოგოებო! ნეტავ თქვენ*

* ამიტომც შორისდებულები, თუმცა მოვლენაია აღნაშენის ფუნქციის არარელებენ. მაინც უპასულო ენობრივი ელემენტები არიან.

დროს თქვენ ცხოვრებას“ (გ. ლეონიძე), „ეიჰი, ბიჭო, სადაა პირი და ერთობა“ (ე. ნინოშვილი), „ჰაი, რა დრო დაგვიღდა“ (ს. მგალობლი-შვილი), „ჰაუ, რა კარგი დღე არი, ჰაუ, რამდენი ქალია“ (ი. გრიშაშვილი), „ჰა, ერთი თავისუფალი ვყოფილიყავი, გიჩვენებდით ქარის სეირსაო“ (ვაჟა), „ისე ბრწყინვალეებს პავლიას თოფი, თითქოს ვერცხლისაო! ჰეჰე, ბიჭებო, ნეტავი იმასა!“ (თ. რაჭიკაშვილი), „ჰა, ეს ნავი რომ არ ჩაფლულიყო! — ამასლა ამბობდნენ სინანულით“ (ს. კლდიაშვილი), „... დანანებით წარმოსთქვა: — აფსუს, რა ბიჭი შორდება წუთისოფელს!“ (ი. ელეთერიძე).

„აღმნიშვნელთა“ ამგვარი მრავალფეროვნება არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი სინონიმი-საგან (ერთი მნიშვნელობის სხვადასხვა სიტყვებით გადმოცემისაგან). ეს ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ შორისდებულთა სემანტიკური დახასიათება პრინციპულად უნდა განსხვავდებოდეს „ჩვეულებრივი“ — საგნობრივი მიმართების მქონე — სიტყვათა კვლევისაგან.

99. შორისდებულებთან ერთად ხმაბაძვითი სიტყვებიც უნდა გამოვყოთ ცალკე ჯგუფად: „შივ! შივ! ისმოდა აქეთ-იქიდან ჩიტების წიფწივი“, „ფრრ!... გადმოფრინდა ლობიდან პირველი მამალი ბელურა“, „კაპ! — გაისმა უცებ და კაკანათში კისერგაყოფილმა ბელურამ დაიწყო ფართხალი“, „ში-ი-ი, ში-ი-ი! მოესმა ამ დროს უცებ საიდანღაც ციკნის ხმა“ (ი. ევდოშვილი).

ხმაბაძვის გამომხატველი ბევრი ამგვარი ბგერადობა აღმნიშვნელ სიტყვად იქცევა ხოლმე, ე. ი. გარკვეული ფონემათა კომპლექსი იღებს სათანადო გრამატიკულ გაფორმებას და გამოყენებული იქნება რისამე ნიშნად. ჩვენი მაგალითებიდან ამგვარია: შივ! შივ! — შივშივი („შივ! შივ! ისმოდა აქეთ-იქიდან ჩიტების შივშივი“), ფრრ — ფრიალი, კაპ! — კაპუნი. სხვა მაგალითები: ბრაბ! — ბრაბუნი, ჩიიკ! — ჩხაკუნი, ჩიიი! — ჩხიილი, ჩხაილი, შიი! — შივილი, გყიე! — გყივილი, კა-კა-კა! — კაკანი და სხვ. და სხვ.

თუმცა ზოგჯერ საპირისპირო პროცესიც დასტურდება: სპარსული ჩიეჩაე- (ჭიეჭაე)-სიტყვა ქართულად იქნა გადმოღებული 'ბელურის' აღსანიშნავად — ჭიეჭაეი, ამის მინდვით კი ახალი „ხმაბაძვა“ შეიქმნა: „ჭიე! ჭაე! — იქავე ბუნქებში ბელურები დაჯკივიან“ (შ. არაგვისპირელი).

ფუნქციონალური ლექსიკა

100. როდესაც ლექსიკური ფონდის სემანტიკურ დახასიათებას ვახდენთ, ცალკე ჯგუფად უნდა გავაერთიანოთ ე. წ. ფუნქციონალური ლექსიკა, ე. ი. ეგრეთ წოდებული „დამხმარე სიტყვები“.

ეს ის სიტყვებია, რომელთაც საგნობრივი მიმართების ფუნქცია არა აქვთ — თავისთავად არაფრის სახელებს არ წარმოადგენენ. მათი დანიშნულებაა — გამოხატონ ურთიერთობა, რომელიც არსებობს სხვა სიტყვებს, ან საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვებით აღნიშნულ მოვლენებს შორის.

„დამხმარე სიტყვებია“ კავშირები (და, თუ, ან, გინდ, არამედ, მაგრამ, ზოლო, კი, თორემ, ეინაიდან, ვიდრე, მანამ, სანამ, რადგან, რათა...), აგრეთვე ისეთი თანდებულები და ნაწილაკები, რომლებიც მეტყველების ნაკადში დამოუკიდებელ სიტყვებად გამოდიან (შორის, შუა, გამო, გარდა, არ, ვერ, ნუ, განა, ნუთუ, ზომ, პო, დიად, კი, არა, ვერა...). უნდა შევნიშნოთ, რომ თანდებულთა მეტი წილი სრულმნიშვნელობიან სიტყვას მიუერთდება და, ამრიგად, უკვე მორფემას წარმოადგენს და არა სიტყვას (-კენ, -ში, -თვის, -მდის, -ზე...), ასევე — ნაწილაკებიც (-შე, -ვე, -ლა, -ცა, -ოდე...).

მეორე მხრით, ბევრი სრულმნიშვნელობიანი სიტყვა გამოყენებულია დამხმარე სიტყვის ფუნქციით.

ეს შეეხება, პირველ ყოვლისა, თანდებულად გამოყენებულ ადგილისა და დროის ზმნისარტებს — *შემდეგ, შინ, უკან...*

„რამდენიმე დღის შემდეგ მოთოვა კიდევ“ (რ. გვეტაძე), „ბევრი ცდის შემდეგ ძლივს გაალო პირი“ (ა. ყაზბეგი) — შდრ.: „ბუღამ ჯერ უკან დაიხია, მაგრამ შემდეგ სწრაფად გაექანა ბოჩისაკენ“ (რ. გვეტაძე), „(ცხენოსნებს) წინ მიუძღვებოდათ ბელადი, შემდეგ კი ოთხ-ოთხი ჯარად დაწყობილი ყვნენ“ (ა. ყაზბეგი).

„დათუნამ ცხენი დუქნის შინ დააყენა“ (გ. წერეთელი), „მან გაშალა ჩემს შინ ფოსტის უწყება“ (კ. ლომთათიძე) — შდრ.: „მოხუცებული ბოტი მამაცურად წამოღგა შინ“ (გ. წერეთელი), „რევოლვერი ახლო, შინ მისწია, რომ ბუდიდან ჩქარა ამოელო“ (კ. ლომთათიძე).

„ჩვენ შევჩერდებით წითელ რაზმს უკან“ (ი. ველოშვილი), „პატარა ხანს უკან შემოვიდა“ (ეკ. გაბაშვილი) — შდრ.: „წყევლიმც ვიყოთ, უკან დახევვა ვინც განვიზრახოთ“ (ი. ველოშვილი), „ქეთო მირბოდა და თან უკან იხედებოდა“ (ეკ. გაბაშვილი) და სხვ.

ეს შეეხება ზოგიერთ ზმნასაც: ზოგიერთი ანნა გამოყენებულია დამხმარე სიტყვის ფუნქციით — *უნდა, გინდა, იქნება, ეგუას, ლამის, მოდი...*

„უნდა მტერი დავამარცხოთ, ძალმომრევი, უსამართლო“ (აკაკი), „ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო, ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?“ (ილია), „რაც უნდა ღამე იყოს ბხელი...“

(ი. ეედოშვილი) — შდრ.: „ბ რ მ ა ს რ ა უ ნ ლ ა და — ო რ ი ვ თ ვ ა ლ ი ო“ (ანდაზა), „მ ო ნ ა ს რ ა ლ : უ ნ ლ ა კ რ უ ლ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე, ვ ის თ ვ ის ა ა ხ თ ო ს წ მ ი ნ დ ა ლ ა მ პ ა რ ი“ (აკაკი).

„გ ი ნ დ მ ე ძ ი ნ ო ს, მ ა ი ნ ც ს უ ლ შ ი მ ი ზ ი ხ ა რ“ (გრ. ორბელიანი), „ს ა პ ა ლ ნ ე ს ნ უ ლ ა მ ი კ ა რ გ ა ვ ე, გ ი ნ დ მ ო კ ე დ ი, ვ ი ნ დ ა ღ ა რ ჩ ი ო“ (ვაჟა) — შდრ.: „გ ა ნ ა მ ე ო რ ე ღ ა ც გ ი ნ დ ა ა წ ყ ე ნ ი ნ ო მ ე ფ ე ს?“ (ი. გოგებაშვილი), „ღ ა თ უ ნ ა, მ ი თ ხ ა რ ი — რ ა გ ი ნ დ ა?“ (მ. ჭავჭავიძე-შვილი).

„მ გ ე ლ ი ც ხ ვ ა რ ს სა მ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ღ ა ს დ ე ვ ე ღ ა — ი ქ ნ ე ბ ა ღ ე მ ა ჩ ა მ ო უ ვ ა რ დ ე ს ო“ (ანდაზა), „ი ქ ნ ე ბ ყ ო რ ა ნ ს შ ე ნ მ ი კ ბ ა ძ ე, ა ნ ყ ო რ ა ნ მ ა შ ე ნ მ ო გ ბ ა ძ ა?“ (ი. გრიშაშვილი) — შდრ.: „მ უ შ ა ო ბ ა ქ ა ლ ის ა თ ვ ის, ძ ნ ე ლ ი ა რ ა ა, თ უ ჭ ა ლ ა ბ ო ბ ა შ ი მ შ ვ ე ღ ო ბ ა ი ქ ნ ე ბ ა“ (ა. ყაზბეგი), „ე ს ი ქ ნ ე ბ ა ს ა ბ ო ლ ო ო შ ე ტ ა კ ე ბ ა, მ წ ა რ ე ო მ ი“ (აკაკი).

„მ გ ე ბ ის შ ო რ ი ღ ა ნ ვ ე რ გ ი კ ბ ა ტ რ ო ნ ო ღ ა მ ო კ ე ღ ე მ შ ი ე რ ი“ (მ. ჭავჭავიძე-შვილი), „თ ვ ა ლ ს ა ღ ა წ ა რ ბ შ ი შ ე ვ ე კ ე რ ი ყ ვ ე ლ ა ს, მ გ ე ბ ი ვ ა ს ი ა მ ო ვ ნ ო რ ა მ ე“ (ე. ვაბაშვილი), „მ თ ე ლ ი ღ ა მ ე უ ც ა ღ ა, მ გ ე ბ ა მ გ ე ლ ი ა ნ ა ქ ე თ მ ო ტ რ ი ა ღ დ ე ს, ა ნ ი ქ ი თ ა ო“ (ი. გოგებაშვილი), „მ გ ე ბ გ უ ლ ს უ ა ნ გ ი მ ო ა შ ო რ ო კ ა რ გ ი ა მ ბ ი თ ა“ (ილია), „მ გ ე ბ ი მ ა თ ვ ა ნ გ ა ვ ი გ ო“ (აკაკი) — შდრ.: „ა რ მ გ ე ბ ის ჩ ვ ე ნ ი ყ ო თ ა უ ე რ თ მ ა ნ ე თ ო ღ“ (ვ. ბარნოვი), „მ ე წ ყ ი ნ ა, მ ა გ რ ა მ ღ ა შ ლ ა ა რ მ მ ბ ო ღ ა“ (ილია).

„ლ ა მ ის შ ი შ მ ი ლ ი თ ს უ ლ ი გ ა მ ვ ა რ დ ე ს“ (რ. ერისთავი), „ლ ა მ ის სა ხ ლ შ ი შ ე მ ო ვ ი დ ე ს თ თ თ ა“ (ა. კალანდაძე) — შდრ.: „ა რ გ ე ბ რ ა ლ ე ბ ი, ჩ ე მ ო ს ო ს ი ა ვ, რ ო მ ა ს ე თ ი ც ო ღ ვ ა ღ ა ტ რ ი ა ღ ღ ა ჩ ე მ ს ო ჭ ა ხ შ ი? — შ ე ს ჩ ი ვ ე ღ ა ა რ ჩ ი ღ მ ა მ ე წ ის ქ ვ ი ლ ე ს, რ ა კ ი ნ ა ღ ვ ლ ის მ ო ზ ი ა რ ე ი გ უ ლ ვ ა, თ ი თ ქ ო ს ა მ ი თ ნ ა ღ ვ ლ ის გ ა ნ ქ ა რ ვ ე ბ ა ს ჰ ლ ა მ ის“ (ილია), „უ ტ ა ნ დ ა რ ი გ ე ა ხ ლ ა, ღ ე დ ო თ ა ლ ო, შ ე ნ ს ხ ი ღ ვ ა ს ლ ა მ ის“ (შ. დადიანი).

გ ი რ ღ ა მ ა ვ ა ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა ჩ ა ნ ს ა მ ფ რ ა ზ ე ბ შ ი: „ღ უ რ ა ჭ ი ღ ა ჭ ე ი რ ა ნ ი ლ ა მ ის რ ო მ გ ა წ ყ დ ე ს“ (ვ. ბარნოვი), „ც ხ ე ნ ი ხ ვ ე ნ შ ის, ლ ა მ ის ღ ა წ ვ ე ს“ (ს. შანშიაშვილი), „ჰ ლ ა მ ის შ ე მ კ ა მ ო ს ს უ რ ვ ი ღ მ ა“ (ბაჩანა).

„მ ო ღ ი ვ ნ ა ხ ო თ ვ ე ნ ა ხ ი, რ ა მ შ ე კ ა მ ა ვ ე ნ ა ხ ი“ (ხალხური — ი. გოგებაშვილი), „მ ო ღ ი ღ ა ღ ა წ ე რ ე რ ა მ ე ა მ ის შ ე ს ა ხ ე ბ ო“ (ვ. ლომთათიძე) — შდრ.: „ა ბ ა, მ უ რ ა ვ. მ ი ღ ი შ ე ნ ხ ე ღ ღ ა ხ ე ლ“ (თ. რაზიკაშვილი), „გ უ ლ ი თ გ ე ლ ი, მ ა ლ ე მ ო ღ ი“ (შ. მღვიმელი).

101. აქ მკაფიოდ მოჩანს საგნობრივი მნიშვნელობისაგან „დაცარიელების“ პროცესი. ჩინელი გრამატიკოსები ფუნქციონალურ ლექსიკას—

დამხმარე სიტყვებს (სრულმნიშვნელობიან „სავსე“ სიტყვათაგან განსხვავებით) სწორედ „ცარიელ“ სიტყვებს უწოდებდნენ. ჩინური ენა ძირეული, უაფიქსო ენაა, სიტყვათა ურთიერთობის გამოსახატავად მას არ მოეპოვება აფიქსები, ე. ი. ის საშუალებები, რაც ქართულს (და ჩვენთვის ცნობილ მეზობელს ენებს) აქვს; ამიტომ აფიქსების მაგივრობას იქ სხვა საშუალებები ეწევა: პირველ ყოვლისა — სიტყვათა რიგი და, შემდეგ ის, რასაც ჩვენ „დამხმარე სიტყვებს“ ვუწოდებთ — „ცარიელი სიტყვები“ ჩინელი გრამატიკოსების სიტყვახმარებით.

ეს სახელი მოწოდებულია გამოხატოს ფუნქციონალური ლექსიკის ბუნება; დამხმარე სიტყვას გარეგნობა (ბგერითი გარსი, ზოგჯერ გრამატიკული აგებულება; შდრ. მეშველი ზმნები: ყოფილ-ე-არ, ყოფილ-ბ-არ, ყოფილ-იყავ, ყოფილ-იყო) „მართალი“ სიტყვისა აქვს, მაგრამ „დაცარიელებული“ კია — დაკარგული აქვს გარე სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენაზე მითითების, მათი აღნიშვნის უნარიო.

ამგვარი კატეგორიული მსჯელობისაგან რომ თავი შეეციკავთ და უფრო ფრთხილად ვთქვათ, — ლექსიკური ფონდის ბირთვს ქმნის, მის ხასიათს განსაზღვრავს სრულმნიშვნელობიანი, საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვები, დანარჩენები კი იმდენად მიიჩნევიან ლექსიკოლოგიის საგნად, რამდენადაც სხვა ნიშან-თვისებებით (ბგერითად, აგებულებით, გამოყენების სფეროს მიხედვით...) სრულმნიშვნელობიან სიტყვებს ჰგვანან.

102. მაგრამ მოყვანილი მაგალითები ზმნისართ-თანდებულებისა და ზმნა-ნაწილაკებისა მიგვანიშნებს, რომ ისტორიულად ქართულში სრულმნიშვნელობიან და დამხმარე სიტყვებს შორის გარდაუვალი ზღვარი არ არსებობს: გარკვეულ პირობებში ხდება დამოუკიდებელი სიტყვის გამოყენება გრამატიკული ფუნქციით. ასეთ შემთხვევაში მათი საგნობრივი მნიშვნელობა იჩრდილება (ჩვენი მაგალითებიდან ამ რიგისაა უნდა).

თუ სრულმნიშვნელობიანი სიტყვის ხმარება (თავისი პირდაპირი მნიშვნელობით) გაიშვიათდა, სათანადო ბგერათკომპლექსს შეიძლება მხოლოდ ეს მეორეული, გრამატიკული ფუნქცია შერჩეს, დამხმარე სიტყვად გადაიქცეს (ჩვენი მაგალითებიდან ამგვარია ლამის).

იმ შემთხვევაში, როდესაც საგნობრივი მნიშვნელობა ზურგს არ უმაგრებს, ადვილი შესაძლებელია სიტყვის ფონეტიკური დეფორმაცია დაიწყოს (რის მაგალითსაც წარმოადგენს დამხმარე სიტყვა *აგუბ, აგუბი*, რომლებიც სრულმნიშვნელობიანი *აგუბის*-სიტყვის ბოლომოკვეცილი ვარიანტებია).

მაგრამ ამოსავალი მნიშვნელობის დაკარგვის გარეშეც მოსდის ხოლ-

მე სიტყვას ფონეტიკური ცვლილება, როდესაც მას დამხმარე სიტყვის ფუნქციით იყენებენ (როგორც ეს მოუვიდა იქნება, გინდა, უნდა-სიტყვებს; ესენი საგნობრივი მნიშვნელობით დღეს ჩვეულებრივი სიტყვებია და მაინც დამხმარე სიტყვებად ხმარებამ გააჩინა ფონეტიკურად სახეცვლილი — ბოლომოკვეცილი — ვარიანტები: იქნებ, უნდ, გინდ).

სიტყვის ფონეტიკური გადაგვარება * შესაძლებელია ბოლოს და ბოლოს დამთავრდეს მისი აფიქსად ქცევით: არსებითად აფიქსებს წარმოადგენენ ე. წ. დამხმარე ზმნები (*შასულ-იყო, შასულ-იყოს, დიალექტებში აგრეთვე შასულ-არიან, აჭარულში დამხმარე სიტყვად გამოყენებული უნდასუნა-ზმნა ნაწილაკად არის ქცეული: „რატომ ადრე არ გამაღვიძე, გამოიყინას-ნა წაესულიყავი თუთუნში, ყველასთვიინ-ნა მომესწრო“* [69]).

ამ რიგის ფაქტები საინტერესოა არამხოლოდ როგორც აფიქსთა გენეზისის თვალსაჩინო მაგალითები.

ნაცვალსახელთა და

რიცხვითი სახელების ადგილისათვის

108. ნაცვალსახელები სემანტიკური თვალსაზრისით მეტად თავისებური სიტყვებია. ისინი კი არ აღნიშნავენ საგნებსა და მოვლენებს, არამედ მხოლოდ მიუთითებენ მათზე [212]; ნაცვალსახელები დამხმარე სიტყვებს, ფუნქციონალურ ლექსიკას არ მიეკუთვნებიან, მაგრამ ლექსიკურ-სემანტიკურად არც ჩვეულებრივი სრულმნიშვნელობიანი სიტყვების რიგში დგანან.

თავისებურია რიცხვითი სახელების ვითარებაც. ზოგმა რუსმა ენათმეცნიერმა რიცხვითი სახელები გამოაცალკევა მეტყველების ნაწილები-საგან.

რიცხვითი სახელები საგნის ნიშან-თვისებას აღნიშნავენ, ე. ი. თავიანთი სემანტიკური ბუნებით ზმნათა თუ სახელთა მნიშვნელობის დაზუსტებას ემსახურებიან და გრამატიკულადაც თვისების გამომხატველ სიტყვებს მიჰყვებიან — მეტი წილი ზედსართავ სახელებს (*ერთი, ორი. სამი, მესამე, მესამედ...*) უთანაბრდება, ზოგიერთი რიცხვითი სახელი კი ზმნისართთა ფარდია (*ერაჯერ, ორჯერ, სამჯერ...*) **.

* საკუთარი მახვილის დაკარგვა, ბგერითი გამარტივება...

** „რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელების მსგავსად, სუბსტანციურს რასმე დამოუკიდებლად კი არ აღნიშნავენ, არამედ მიმართებულისათვის გამოიყენებიან“ [187].

მეტყველების ნაწილთა
ძირითადი კლასები

104. მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაციის ნაკლის შესახებ ბევრი რამ არის თქმული და აქ აღარ გავიმეორებთ. უნდა გავიხსენოთ მხოლოდ, რომ ეს კლასიფიკაცია უპირატესად სემასიოლოგიურია და არა მორფოლოგიური [131].

მაშასადამე, არსებული მოძღვრება მეტყველების ნაწილთა შესახებ შესაძლებელია გამოვიყენოთ (გარკვეული კორექტივებით) სიტყვათა არა გრამატიკულ (მორფოლოგიური), არამედ სწორედ სემანტიკური კლასიფიკაციისათვის, ე. ი. ლექსიკური ფონდის დასახასიათებლად სემანტიკური თვალსაზრისით.

ენათმეცნიერებაში ფართოდ არის გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმადაც მეტყველების ნაწილთაგან სიტყვათა ოთხი კლასი გამოიყოფა როგორც ძირითადი ლექსიკური ჯგუფები: „ლექსიკურ კატეგორიებს ეუწოდებთ კატეგორიებს ნიშნებისას, რომლებიც გამოხატავენ ცნებებს და ლაპარაკში (მეტყველებისას) ერთმანეთს ეხამებიან გრამატიკულ კავშირთა მეშვეობით. ჩვენს ენებში ლექსიკურ კატეგორიებს შეიცავენ საგნების აღმნიშვნელი, თვისებათა აღმნიშვნელი, პროცესთა აღმნიშვნელი და თვისებათა ან მოქმედებათა სახეობების აღმნიშვნელი სიტყვები: სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებითი სახელები, ზედსართავეები, ზმნები და ზმნისართები“ [178].

ამათგან ზმნები და სახელები ყველაზე ნაკლები ყოყმანით შეიძლება მივიჩნიოთ სემანტიკურ კლასებად.

ერთი მათგანი, სახელები, „სხეულებრივ ობიექტებზე“, საგნებზე მიუთითებს, მეორე, ზმნები, გადმოსცემს მოქმედება-ვითარებას — „ფენომენალურ ობიექტებს“. ცალკე გამოიყოფა აგრეთვე (საგნის) თვისების აღმნიშვნელი სიტყვები — ზედსართავეები და (მოქმედების) ვითარების აღმნიშვნელი სიტყვები — ზმნისართები.

სიტყვათა ეს კლასები ყველაზე ზოგადი სემანტიკური კლასებია (თუნაცა ისეთი შესეღულულებაც არსებობს, რომელიც ზმნისართ-ზედსართავეა და ზმნას ერთ კლასში — პრედიაკატებში — აერთიანებს [259]).

105. როგორი შეიძლება იყოს შემდეგი დანაწევრება?

არსებით სახელებთან ერთად განიხილება საკუთარი სახელები (—*რესთაველი, პეტრე, კუდვარდა, ყურში...* და გეოგრაფიული სახელები — *თბილისი, კავკასიონი, ოკეანია*) [105], თუ მათ მნიშვნელობის მქონე სიტყვებად მივიჩნევთ. მაგრამ საკუთარ სახელთა ამგვარი დახასიათე-

ბა (მნიშვნელობის მქონეობა) არ არის საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულება [253].

საკუთარი სახელი ინდივიდუალური ეტიკეტია, იარლიყია ცალკე საგნისა, ამიტომ ფასეულ შედეგს არ იძლევა მისი შესწავლა საკუთრივ ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით (ე. ი. მნიშვნელობის — საგნობრივი მიმართების — მიხედვით, გამოყენების სფეროთა მიხედვით და ურთიერთშეხამებადობის თვალსაზრისით დახასიათება).

სამაგიეროდ საკუთარ სახელთა შესწავლა ფრიად ნაყოფიერი ჩანს ენის ისტორიული გრამატიკისათვის.

სრულმნიშვნელობიან სიტყვათა უზოგადესი სემანტიკური ჯგუფები

106. ქართულ არსებით სახელთა კლასს შიგნით, პირველ ყოვლისა, გამოიყოფა ე. წ. „ვინ“ და „რა“ ჯგუფები, ე. ი. ერთი მხრით, ისეთი არსებითი სახელები, რომელთა მიმართ შეკითხვისას „ვინ?“ ითქმის და, მეორე მხრით, ისეთნი, რომელთაც „რა?“-კითხვა შეეფერებათ.

ვინ მორბის? — მოშაფე, ბავშვი, შიკრიკი..., მაგრამ რა მორბის? კეიცი, ძაღლი, ქათამი... (ისევე, როგორც ეტლი, ავტომობილი...), ვინ დგას? — მილიციელი, გუშაგი, მთხოვნელი..., მაგრამ რა დგას? — ძროხა, აქლემი, ცხვარი (ისევე, როგორც კლდე, მუზა, ქანდაკება, შენობა), ვინ ყვირის? — ბავშვი, რა ყვირის? — ხაირრემი, ვის სძინავს? — მოხუცს, რას სძინავს? — კატას....

ამ კლასიფიკაციაში „ადამიანი“ ცალკეა გამოყოფილი, სხვა ცოცხალი არსებანი ნივთებთან ერთად მეორე ჯგუფშია მოქცეული. სხვა ენებში ეს ყველგან ასე არ არის (რუსულში, მაგალითად, КТО დაესმის კითხვად როგორც ადამიანს, ისე ცხოველს).

„ვინ“ და „რა“ ჯგუფებს „გონიერთა“ და „არაგონიერთა“ ჯგუფებსაც უწოდებენ ხოლმე, მაგრამ ამჟობინებენ ტერმინებს — „ადამიანის კატეგორია“ და „ნივთის კატეგორია“, რაკი კლასიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია შეფასებითი საზომი, — საზოგადოებრივი ღირებულების თვალსაზრისი [135]. „რა“-ჯგუფი „ვინ“-ჯგუფს უპირისპირდება იმ როლის მიხედვით, რასაც ამ ჯგუფში შემავალი სიტყვებით აღნიშნული ცხოველები და ნივთები ასრულებენ ადამიანთა საზოგადოებაში; უკეთ რომ ვთქვათ, სახელთა საერთო მასიდან გამოყოფილია ადამიანთა სახელები („ვინ“), დანარჩენები „რა“ ჯგუფშია გაერთიანებული.

არსებითად სახელთა კლასიფიკაციის ეს პრინციპი არის გატარებული

ლი სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, მაშინაც, როცა იგი გართულე-ბულია დამატებითი დაჯგუფებით — სქესის მიხედვით დაჯგუფებით [135].

მაგრამ არ უნდა უგულებელვყოთ ისეთი ფაქტებიც, როდესაც მოსალოდნელი „ჲინ“-ის ნაცვლად „რა“ იხმარება, ე. ი. „რა“ შეეხამება ხოლმე ადამიანის სახელებს: „მტერი ამბობს, მოყვარეს კი აბა ჰკითხეთ რა კაცია? სულ კახურს სვამს, წყალს კი არა, ისე უყვარს თვის ნაცია“ (ი. ევდოშვილი), „მაშინ გაიგებთ — ვინ ვარ და რაჲ ვარ, როცა ჰქალარა თმებს შემივერცხლავს“ (ვ. ჟურული), „ნუ კითხულობთ — ვინა ვარ? სიდან მოველ? სად წავალ? სულ ესა ვარ, რაჲ ვარ, რასაჲ მხედავთ თვალდათვალ“ (აკაკი) — „და თუ არა ხარ ის, რასაჲ ვფიქრობ, მე დღეს არ ვნაღვლობ, დაე, ვცდებოდე“ (გ. ტაბიძე), „ვინ ხარ, რა სულიერი ხარ“ (ზღაპრებში), „რანი ვიყავით გუშინ“ (პუბლიცისტური წერილის სათაური) და სხვ. ამგვარი ფაქტების თავმოყრამ და გამოკვლევამ შესაძლებელია საინტერესო მასალა მოგვცეს ქართული ენობრივი სტილის შესასწავლად.

107. ანგარიშგასაწევი, რომ ქართულში იმავდროულად მეორეგვარი დაჯგუფებაც გვაქვს არსებითი სახელებისა: არსებითი სახელების მთელი ფონდი ნაწილდება *ჲყავს-* და *აჲვს-* ჯგუფებად, ე. ი. ერთი მხრით, ისეთ სახელებად, რომელთაც *ჲყავს-* ზმნა შეეხამება და, მეორე მხრით, ისეთებად, რომლებიც მხოლოდ *აჲვს-* ზმნას იგუებენ.

ჲყავს ხუთი *შ ვ ი ლ ი*, *ჲყავს* ახლო *მ ე გ ო ბ ა რ ი...* „მამითა დი *ჲყავს* თინას, დღეს არის ამის ლხინია“ (რ. ერისთავი), „*არ ვინ მყავდა*, *არ ავინ მყავს*, არავის ველი“ (ნ. ჩხიკვაძე), „*მი მი ნ ო მყვანდა*, *მიყვარდა*“ (ხალხური), „*მთელ სოფელში მირონასთანა ჰუკები არავის მყავდა*“ (თ. რაზიკაშვილი) და სხვ. *შდრ. აჲვს წ ი გ ნ ი*, *აჲვს ს ა ხ ლ ი*, *არ აფერი აჲვს*, „*ჩიხვი და არჩვი მეყოფა*, *ხო რ ც ი აჲვს მარილიანი*“ (რ. ერისთავი), „*ცოტა არ იყოს სცხვენიან*, *ღვინო არა აჲვს საწყალსა*“ (რ. ერისთავი).

ამ დაჯგუფებაში ადამიანები და ცხოველები ერთად ხედებიან, დანარჩენები ცალკე რჩება. „*ჲინ*“ და „*რა*“ ჯგუფების გამყოფი საზღვარი არ ემთხვევა *ჲყავს-* და *აჲვს-* ჯგუფებს. ამ ორი ჯგუფის ურთიერთობა ამგვარი სქემის სახით შეიძლება გამოვხატოთ:

ვ ი ნ ?		რ ა ?	
მებრე	ხარი	სახრე	
ჲ ყ ა ვ ს		ა ჲ ვ ს	

საინტერესოა, რომ დღევანდელ ქართულში ცხოველებთან გათანაბრებულია თვითმობრავი ტრანსპორტი: „ავტომობილი ჰყავს“, „თეთრი ეოლვა“ ჰყავს... ამის საფუძველია ურემი, რომელშიც ხარები შებმული ჰყავდათ ხოლმე: „ხარ-კამეჩი ჰყავს“, ამიტომ „ხარ-კამეჩშებმული ურემიც ჰყავს“. აქედან — ავტომობილი, მოტოციკლი ჰყავს. ავტობაზას ამდენი და ამდენი მანქანა ჰყავს... თუმცა შესაძლებელია ჯერ კიდევ ჰქონდეს ადგილი რყევას: კომბაინი ჰყავს თუ აქვს?

ჰყავს — აქვს — მიჰყვება მი-/მო-ჰყავს—მი-/ მო-აქვს:

ფიცარი მიაქვს და ბატკანი მიჰყავს, მაგრამ დაკლული ბატკანი უკვე მიაქვს! ველოსიპედი მიჰყავს, თუ ზედ ზის, ხოლო მხარზე გადებული თუა, — ველოსიპედი მიაქვს. ამგვარია წესი, მაგრამ აქა-იქ გვხვდება წესიდან გადახვევა: „კომლზე ურემი გამოიტანეთ“ (ა. ყაზბეგი) — ლაპარაკია ურმის ბეგარაზე (ე. ი. შებმულ ურემზე, ხარ-კამეჩზე), მაშასადამე, მოსალონდელია არა გამოტანა. არამედ გამოყვანა. „მიჰყავს სიმთა ოქროს ნავებს სიმსუბუქეში ჩამავალ მზეთა ნაყოფიერ მინდვრის ნუგეში“ (გ. ტაბიძე): ნაგს მიჰყავს ნუგეში. კარვად მიჰყავს საქმე, რეპორტაჟი მიჰყავს. რომლებიც წარმოადგენს კალკირებულ (ე. ი. უცხო ენიდან სიტყვასიტყვით ნათარგმნ) გამოთქმებს.

108. ზედსართავ სახელებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: თვისების აღმნიშვნელ ზედსართავებად და მიმართებით ზედსართავებად (რომელშიც შევა ე. წ. კუთვნილებითი ზედსართავებიც).

თვისებას აღნიშნავს: შითელი, შავი, მაღალი, პატარა, მსუბუქი, ახალი, მწარე, ლამაზი, ძლიერი, ბრყვი, ცბიერი, მუშკი და სხვ.

მიმართების ზედსართავებში გვაქვს თვისების აღნიშვნა სხვა მოვლენასთან მიმართებით: საშემოდგომო (გამოცდები, ე. ი. რაც შემოდგომას მიეკუთვნება), მამისული (ჩიბუხი, ე. ი. რაც მამას ეკუთვნოდა), დღევანდელი (ცვერცხი) და ზვალინდელი (ქათამი)...

109. ზმნები ორ ძირითად ჯგუფს ქმნიან: მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავენ. არსებობს უფრო დაწვრილებითი დაჯგუფების ცდებიც.

საყოველთაოდ გავრცელებულია სხვადასხვაგვარი შინაარსეული კლასების გამოყოფა: აბსტრაქტული ზმნები (არის, იყო...) კონკრეტულ-ლექსიკური მნიშვნელობისაგან დაკლილი არასრული პრედიკატიის მქონე, მოძრაობის ზმნები, მოქმედების ზმნები. სურვილის ზმნები, თქმის ზმნები, აზროვნების ზმნები,

ს ა დ მ ე ყ ო ფ ნ ის ზ მ ნ ე ბ ი, მ ო ს ვ ე ნ ე ბ ის ზ მ ნ ე ბ ი, ე რ თ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ის ზ მ ნ ე ბ ი და ს ხ ვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზმნათა ამგვარი დაჭკუფება არც ბოლომდე თანამიმდევრულია (ზოგი ზმნა შესაძლებელია რამდენიმე ჭკუფში მოხედეს) და არც ყოვლისმომცველია (ბევრი ზმნა ამ ჭკუფებს გარეშე რჩება).

ყველა ეს ჭკუფი ზოგადენობრივია, ამასთანავე, მეტწილ შემთხვევებში საკლასიფიკაციო ნიშანი მკაფიოდ არ ჩანს. არსებითად კლასიფიკაციასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ზმნათა ერთობლიობიდან გამოცალკევებულ ცალკე ჭკუფებთან.

110. ზ მ ნ ის ა რ თ თ ა ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი დაჭკუფება საყოველთაოდ ცნობილია (ადგილისა, დროის, ვითარების, აგრეთვე ზომა-წონის, მოზეზის, მიზნის...) [198ა, 115].

სემანტიკური ჭკუფები ნაწარმოებ სიტყვებში

111. დანარჩენი სემანტიკური ჭკუფები, რომლებსაც სრულმნიშვნელობიან სიტყვათა კლასებში (არსებითი სახელები, ზედსართავეები, ზმნები, ზმნისართები) გამოყოფენ, მკიდროდ არის დაკავშირებული სიტყვაწარმოების ჭკუფებთან.

როგორც ზემოთ ვთქვეთ, სიტყვაწარმოებას — სიტყვის აგების ტექნიკას — შეისწავლის მოძღვრება სიტყვაწარმოების შესახებ (ისევე როგორც მორფოლოგიის — ამ სიტყვის ვიწრო გაგებით — საგანია ბრუნება-უღვლილება, სიტყვის ცვლილების ტექნიკა).

მაგრამ წარმოების მეშვეობით შექმნილი ლექსიკურ-სემანტიკური კლასების შესწავლა, უეჭველია, ლექსიკოლოგიის საგანი უნდა იყოს (ისევე, როგორც სინტაქსი შეისწავლის ნაბრუნებ და ნაუღვლებ სიტყვათა ფუნქციებს შესიტყვებაში. იხ. ზემოთ § 12).

სიტყვაწარმოებისა და ლექსიკოლოგიის მკიდრო კავშირი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს სინონიმურ მაწარმოებლებთან.

112. მაგალითად, კ ნ ი ნ ო ბ ი თ ი ა ის სემანტიკური ჭკუფი, რომელშიც შემავალი სიტყვები ხასიათდებიან შემდეგი სუფიქსებით: -ა, -აკ, -იკ, -უკ, -ან, -ინ, -უნ, -ატ, -იტ, -უტ, -ოტ, -ალ, -ილ, -ულ, -ელ, -უმ, -უნ, -უყ და სხვ. (რომელთაც ხშირად ა აქვთ დართული — ისევ კნინობითისა):

შიგნაკი, გორაკი... ჯორაკა, შიპლიკა ('ძალიან პატარა'), ჭიპლიკი, ჭიპლიკა ('ტანმორჩილი ადამიანი'), კეჭენიკა... დედიკო, მამიკო, დაიკო... ძერძურეკი, ხალთუკა, შიჭუკა... გაჭრუკანა, ტიპლიკანა, ცუარანა ('პატარა დილი'), ჭუჭრუტანა ('შდრ. ჭურება'), ბაღანა ('შდრ. ზადვი), ყანაღანა, ლაქუყანა... ჯეარედინა, შოწლოკინა, შვეროკინა, ტელიპინა, შომშოპინა... თავუნა, წაღუნა, ეშპაკუნა, გაუნა... ყურჭატა ('ყურის მსგავსი სოკო'), ურატა... შიჭვიტა ('ქაფშია ზღვის წვრილი თევზი'), ციყვიტა ('პატარა მშვილდისარი'), ჩინჭიტა ('სიმიინდის პატარა ტარო'), ხაპუტა ('გადაჭრილი და ამოსუფთავებული ხაპი'), კინძრუტა ('კინძარა, 'ქინძის მსგავსი სარეველა ბალახი')... დათუნა, ბრუყუყა. ფეხუყა... კაუჭა ('შდრ. კაეი), გლეხუჭა, პარკუჭი... ჩიმალა ('გამსდარი, მკლე'), სამკაპალა ('შდრ. სამკაპი). შაკელა ('ბნელი, ჩაშავებული, შავი ქალი'), ხორხოშელა... მამილა, დედილა, ძმილა, ჭამაკულილა, ბატილა... ბურთულა, ბრინკულა, ღინძულა ('ხმარებაში დალეული დანა'), პუნტულა ('შდრ. პენტკა), ბუშტულა, ჩერხულა, ხარჯულა... ჩორჩლა ('ჭინის ყური'), ჩორჩოტა ('დაგრეხილი წნელის რგოლი' შდრ. ჩორჩო 'ცელის ყუნწი')...

ეს მასალა სემანტიკურად ერთგვაროვანი მაინც არ არის. თვით კინობითის შინაარსი იძლევა საფუძველს — მცირე მოცულობის საგნებს მოფერება-ალურსის ელფერი მიეცეთ, ზოგჯერ კიდევ დამცირებითისა *. რა თქმა უნდა, გვხვდება მათ შორის ემოციური ელფერის მიხედვით ნეიტრალური სიტყვებიც: შიგნაკი ('პატარა წიგნი'), ურატა ('პატარა ურო'), პარკუჭი ('პატარა პარკი') და სხვ.

პატარა საგნებს აღნიშნავს, ე. ი. ამავე სემანტიკურ ჯგუფს მიეკუთვნება ბევრი ისეთი განსაზღვრებითი კომპოზიტი, სადაც პირველ ნაწილად ბელ-ფუძე გამოდის..

ბელწაღლი ('პატარა წაღლი', შდრ. წაღუნა), ბელბურლი ('პატარა ბურლი'), ბელტუკი ('პატარა ტუკი'), ბელჩანთა ('პატარა ჩანთა'), ბელცული ('პატარა ცული, ცალი ხელით სახმარი'), ბელჩაფი ('პატარა ჩაფი'), ბელკეერი ('პატარა კეერი'), ბელკალათი ('პატარა კალათი'), ბელგობი ('პატარა გობი'), ბელხონა ('პატარა ხონა'), ბელჯინა ('პატარა ჯინი'), ბელეჩო ('პატარა ეჩო, ცალი ხელით სახმარი'), ბელდოქი ('მომცრო დოქი'), ბელთეფში ('საშუალო ზომის თეფში'), ბელკეტი ('მოკლე კეტი'), ბელშუბი ('სასროლი მოკლე შუბი'), ბელჩათო ('მოკლე და წვრილი ჩათო', ჩათო — 'ძუის თოკი'), ბელბორბალი ('ხელით დასატრიალებელი პატარა ბორბალი'), ბელძარი ('ხელით სატარებელი ძა-

* მაგრამ აქ არ გავარჩევთ კინობითის ამ ორ ქვეჯგუფს, რაკი ამგვარი დაყოფა საკუთრივ სემანტიკის (საგნობრივი მიმართების შესწავლის) ფარგლებს გარეთ ვადის.

რი'), ხელჯობი ('ხელში დასაქერი ჯობი'), ხელთოფა ('სათამაშო თოფი'), ხელმანდილი ('ცხვირსახოცი, ხელსახოცი' შდრ. მანდილი 'ქალის თავსახვევი, თავსაბურავი'). ზოგიერთ ამათანს კნინობითის -ა სუფიქსიცი ერთვის: ხელჯინა (ჯინი), ხელთოფა (თოფი), ზოგიერთისათვის კი კნინობითის ა სუფიქსი პარალელურ ფორმაში დასტურდება ხელნაფა (ხელნაფის გვერდით), ხელწულა (ხელწულის გვერდით), ხელწალდა (ხელწალდის გვერდით)...

113. ცალკე სემანტიკურ ჭკუფს ქმნიან ის სიტყვები, რომლებიც თვისებას გადმოსცემენ განყენებულად (ე. ი. მისაგან დამოუკიდებლად, რისი თვისებაცაა). ესენია სი—ე და -ობა/-ება-მაწარმოებლებით გამოყოფილი სიტყვები. სი—ე და -ობა/-ება, ჩანს, სინონიმური მაწარმოებლებია:

„რაც უნაბავს საყვარლის, ან რაც გაუგონია, სამკვლობაც რომ იყოს, მაინც კარგი ჰგონია“ (აკაკი) — შდრ.: „ყოველიფერ სისამკვლეს მიეჩვენა თურმე“ (აკაკი).

განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილ ძალიან ბევრ სი—ე-მაწარმოებლიან სიტყვას -ობა-მაწარმოებლიანი აქვს სინონიმებად: სიამე — აეობა, სიამეკაცე — აეკაცობა, სიალაღე — ალალობა, სიალაღმართლად — ალაღმართლობა, სიამეყე — ამეყობა, სიამაპარტაგნე — ამპარტაგნობა, სიანჩხლე — ანჩხლობა, სიანყე — ანყობა, სიარმე — არმობა, სიბლორე — აბლოობა, სიბაკმე — ბაკმეობა, სიბასრე — ბასრობა, სიბებრე — ბებრობა, სიბედშავე — ბედშაობა, სიბერწე — ბერწობა, სიბეჩავე — ბეჩაობა, სიბეცე — ბეცობა, სიბეჯითე — ბეჯითობა, სიბიღწე — ბიღწობა, სიბინძურე — ბინძურობა, სიბნელე — ბნელობა, სიბოროტე — ბოროტება, სიბრაზე — ბრაზობა, სიბრიყვე — ბრიყვობა, სიბრმავე — ბრმობა, სიბრძნე — ბრძნობა და აგრეთვე: სიგიჟავე, სიღამწერე, სიღარბაისლე, სიღიადე, სიღიდე, სიღუბჭირე, სიერთაღლე, სიეაგლაბე, სიეაყაკე, სიეელურე, სიეერაბე, სიზნატე, სითაემდაბლე, სითაეხელე, სიკაპასე, სიკარბე, სიკეკლუყე, სიკერაბე, სიკოტლე, სილაზათე, სილაღე, სილარბე, სილენჩე, სილირფე, სიმედგრე, სიმთერაღე, სიმორცხე, სიმორღე, სიმორუშე, სიმუსნაბე, სიმუნჯე, სიმუხთლე, სიმყონარე, სიმძულეარბე, სიმძირე, სიმძოფე (მაკრამ: მძოფობის თვე), სიმძუხარე, სიმჭიდროვე, სიმჭრელე, სიმზღალე, სიმზეყე, სიმზიარულე, სიმზნე, სიმზურვალე, სინაზე, სინორჩე, სინოყივრე, სისაზიზღრე, სისამკვლე, სიტლანტე, სიტუტუყე, სიუგწურე, სიფერმართალე, სიფიციბე, სიფლიდე, სიფზეიერე, სიქალწულე, სიქაჩლე, სიქესატე, სიქველე, სიქერბე, სილატაკე, სილონიერე, სიყალბე, სიყეყე, სიყმაწვილე, სიყოლადე, სიყრმე, სიყრუე, სიმშაგე, სიჩერჩე, სიჩლუნგე, სიყელქე, სიყეპე, სიყულაკე, სიყეპიტე, სიძირე, სიძლიერე, სიძუნწე, სიძამხდრე, სიმრფელე, სიმწწკე, სიმჭაბუკე, სიმჭკიანე, სიხარბე, სიხმელე, სიჯანსაღე, სიჯეილე, სიჯიუტე... რომელთაგან თითოეულს სუფიქსით ნაწარმოები სინონიმები მიეპოვებათ (სიგიჟავე — გიჟაყობა... სიჯიუტე — ჯიუტობა...).

აკად. ა. შანიძე შენიშნავს, რომ ამგვარი (აბსტრაქტული) სახელების

ორგვარი წარმოების (სი—ე და -ობა/-ება) შემთხვევაში „ზოგჯერ შეიძლება მნიშვნელობის განსხვავებას ჰქონდეს ადგილი: სი-მშვიდ-ე და მშვიდ-ობა“ [115]. მნიშვნელობის ეს განსხვავება მეორეულია და არა ჩანს დაკავშირებული სხვადასხვაგვარ აფიქსიანობასთან.

ამ განყენებულ სახელებს, როგორც ვხედავთ, მეტწილად საფუძვლად უდევს რისამე თვისების აღმნიშვნელი სიტყვა — ზედსართავი.

მაგრამ გვაქვს არსებითთაგან ნაწარმოები სახელებიც: „მგელს მგლობა დაბრალდა, ტურამ ქვეყანა დააქციაო“, „მგელი ვერ მოშლის მგლობას“... ამ შემთხვევაშიც არსებითი სახელი მგელი აბსტრაქტივის ამოსავლად გაიაზრება, როგორც გარკვეული თვისების მქონე.

მოქმედების სახელთა (მასღართა, საწყისთა) მთელი კლასიც (როგორც ოდენსუფიქსური წარმოებისა, ისე პრეფიქსულ-სუფიქსური), თუ მათ სემანტიკურად დავახასიათებთ, განყენებული სახელებია, და ამოსავლად აქაც თვისება გვაქვს, — პროცესის (მოქმედება-მდგომარეობის) სახით წარმოდგენილი თვისება: მოთქმა, განყენებულად წარმოგვიდგენს იმ თვისებას, რომელიც პროცესის სახით გვაქვს მოცემული მოთქამს-ზმნაში, ან კიდევ სიყვარული განყენებულად წარმოადგენს უყვარს ზმნით გადმოცემულ თვისებას.

ნასესხებ სიტყვათაგან ბევრი -იზმით დაბოლოებული სიტყვა სი—ე და -ობა-მაწარმოებლიან სიტყვათა რიგში დგება სემანტიკურად:

პატრიოტიზმი — პატრიოტიზმა: „ქართული პატრიოტიზმი ხომ ღვინის სმაშია“ (ვ. ლომთათიძე) — „ლიბერალობა, პატრიოტიზმა სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია“ (ილია).

კოსმოპოლიტიზმი — კოსმოპოლიტიზმა: „კოსმოპოლიტიზმი ქადაგებს „მსოფლიოს მოქალაქეობას“, ნაციონალურ გაურჩევლობას“ (პრესიდან) — „კოსმოპოლიტიზმის, უგვარტომობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი მთელი სიმწეავით არის დასმული“ (პრესიდან).

ასევე: პედანტიზმი — პედანტიზმა, პროტესტანტიზმი — პროტესტანტიზმა, პროვინციალიზმი — პროვინციალიზმა (პროვინციულობა), რევოლუციონიზმი — რევოლუციონიზრობა (რევოლუციურობა) და სხვ.

114. ხ ე ლ ო ბ ი ს, მ ო ს ა ქ მ ე ო ბ ი ს აღმნიშვნელი სიტყვებიც მეტწილად ნაწარმოები (წარმოქმნილი) სიტყვებია: მე—ურ, მე-ე, მო—ე, მ—, მ—ელ, მ—ე, მ—არ... და უცხოური :ღარ, -ჩი, -იორ/-ერ, -ისც და სხვ. სუფიქსების მქონე ბევრი სიტყვა სწორედ ამ სემანტიკურ კლასს მიეკუთვნება: მეპურე, მებაზზე, მევენახე, მეზღვაური, მეთოფერი, მოახლე, მკალა-ვი, მწგრეული, მნათე, მკერაფი, ღაზლიღარი, საზანღარი, ქურჭი, კომბაინერი, ვრითორი, ვიოლონელისტი, გრაქტორისტი...

აქაც ბევრ შემთხვევაში სხვადასხვა მაწარმოებლიანი ერთი და იგივე ფუძე სინონიმებად გამოდის.

დავასახელებთ სანიმუშოდ ზოგიერთ მათგანს: „მეზადემ ბადე გადა-
 ავდო“ (ხალხური) — „წყალს პერანგიანი მეზადური დამკლავებული
 მისდევედა“ (ვაჟა); „მეზაირადემ ასწია ბაირალი“ (დ. კლდიაშვილი) —
 „ზაირალტარი, მეთაური რაზმისა, დაიძახებს სამგზავრო სიმღერას“
 (ს. მგალობლიშვილი); „მეკონტრამანდემებს ჰყოლიათ მოთავედ ვილაც
 გივი“ (გ. წერეთელი) — „კონტრამანდისტებისა და სპეკულანტების მიერ
 გახსნილი რესტორანები საპნის ბუშტივით გაქრნენ“ (რ. გვეტაძე).
 ასევე: *მელინოტიკე* — *ლინოტიპისტი*, *მემუსიკე* — *მუსიკოსი*, *მემალაროე* —
მალაროელი, *მენალმე* — *მნალმავი*, *მესაწველე* — *მწველავი*, *მეფაბრიკე* —
ფაბრიკანტი...

მ ც ე ნ ა რ ე თ ა კ რ ე ბ უ ლ ს (ან კ რ ე ბ ა დ ო ბ ა ს) -ნარ-სუფიქ-
 სიანი სიტყვები გამოხატავს:

არყნარი, ბარდნარი, ბაღნარი, ბაძნარი, ბურქნარი, ეკაღნარი, ვაზნარი,
 ვარდნარი, ვერზენარი, თხიღნარი, თხმელნარი, იელნარი, იფნარი, მუზნარი,
 ნიგუზნარი, რეხიღნარი, სოჭნარი, ტირიფნარი, ფიჭუნარი, ყვაკიღნარი, შამზ-
 ნარი, ჩირგუნარი, ცაცხუნარი, შაბღნარი, შერიღნარი, შიფღნარი, შიწენარი,
 ზიღნარი, ჯაგანარი...

ბევრი მათგანის სინონიმია -იან-მაწარმოებლიანი სიტყვები:
 „დავღუნე თავი, უკუფქვერ ვაზნარსა შინა ბურეილსა“ (დ. გურამიშვი-
 ლი) — „სქელ ვაზიანუში კი ვერ გაბედა შესვლა“ (თ. რაზიკაშვილი);
 „ვერზენარებში ტანკენარი ჰანდარი ცად ავარდნილა“ (დ. შენგელა-
 ია) — „გარეკა ცხვარი და ძროხა ვერზეიანს გორის ძირასა“ (ვაჟა), აგ-
 რეთვე: თხიღიანი — თხიღნარი, მუზიანი — მუზნარი, ფიჭვიანი — ფიჭუნარი,
 ძეძვიანი — ძეძვნარი და სხვ. ამავე ჯგუფში შემოვა: *ლეღიანი*, *ლერწმი-*
ანი, *მაყელიანი*, *მღგნაღიანი*, *პანტიანი*, *ლეიანი*, *ჩაღიანი*, *ჭაღიანი*...

წ ი ნ ა ვ ი თ ა რ ე ბ ა ს, ნ ა მ ყ ო ფ ო ბ ა ს გადმოსცემს ნა- ნა-ეწ/
 -ებ-, ნა-ურ-მაწარმოებლის მქონე სიტყვები; ისინი არაიშვიათად სი-
 ნონიმებს წარმოადგენენ:

„თბილმა ნიავმა გამოალციბა ნაზამთრი ტყეები“ (ბ. ჩხეიძე) —
 „წვიმამ გორ-გურს ნაზამთრალი ჭუჭყი ჩამობანა“ (ვაჟა) — „პაპა მზე-
 ზე ითბობდა ნაზამთრეე ძვლებს“ (მიხ. მრეველიშვილი), ასევე: *ნაარმი* —
ნაარმალი — *ნაარმევი* — *ნაარმები*, *ნაყეკილარი* — *ნაყეკილევი* — *ნაყეკი-*
ლები, *ნამღელღარი* — *ნამღელღევი*, *ნამზადები* — *ნამზადისი*...

115. ზ ე ლ ს ა რ თ ა ე ს ა ხ ე ლ თ ა გ ა ნ მნიშვნელობის მიხედვით
 ცალკე ჯგუფს ქმნის -ოან-, -ოსან-, -იან-, -იერ-, -ედ-, -ა მაწარმოებელთა მქო-
 ნე სიტყვები. მათ „ქ ო ნ ე ბ ი ს ს ა ხ ე ლ ე ბ ს“ უწოდებენ.

ამ კლასის სიტყვებშიც რამდენსამე შემთხვევაში დასტურდება: ერ-
 თი და იგივე ფუძე სხვადასხვა სუფიქსით და ერთგვარი მნიშვნელობით:

„წყალსა სმენ არავვისასა ჯიხენი, ირემნი რქიანნი“ (ვაჟა) — „დი-
 დი რქოსანი ხარჯიხეი ამაყი სარდალივით მიუძლოდათ“ (ბანოვანა),

„ავსულთა გუნდი ფრთიანი ნავის უკანა ჩნდებოდა“ (ს. შანშიაშვილი) — „რაშზე შევესვა, ფრთოსან რაშზედა ჩემი გონება“ (შ. არაგვისპირელი) — „ფრთოვანი ცხოველები დიდს გონებასა და მეხსიერებას იჩენენ თავის ყველა მოქმედებაში“ (ი. გოგებაშვილი).

ამავე ფუძიდან -*ელ-სუფიქსიანი* სიტყვაც გვაქვს, მაგრამ იგი სპეციალური („დავიწროებული“) მნიშვნელობით იხმარება: *ფროელი* 'სახლის გვერდით მოდგმული ნაგებობაა...'

სამაგიეროდ ზოგ სხვა შემთხვევაში -*ელ-სუფიქსიანი* სიტყვა სინონიმი ჩანს იმავე ფუძის, მაგრამ სხვაგვარი სუფიქსის მქონე სიტყვისა: *წინშკლელი*, *წინშკლემიანი* და *წინშკლოვანი*; *ჯვარელი*, *ჯვრიანი*, *ჯვაროსანი* და *ჯვარა* (ამ უკანასკნელს სპეციალური მნიშვნელობა განვითარებია — 'ჯვრის სახელ შეერთებულ ორ ძელს' ნიშნავს).

-*იერ-სუფიქსიანი* სიტყვებიც ამ სემანტიკურ ჯგუფს მიეკუთვნება და, ბუნებრივია, არაიშვიათად სინონიმურია ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი სხვა სუფიქსების მქონე სიტყვებისთვისაც: *ქვიერი*—*ქვიანი*, *ფაშენიერი* — *ფაშვიანი*, *შფოთიერი* — *შფოთიანი*...

მასალის ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით განხილვისას ყველა ამგვარსუფიქსიანი სიტყვა ერთად მოექცევა (ცხადია, იმ პირობით, რომ ეს სიტყვები ყველანი ერთ რასმე — მქონებლობას — აღნიშნავენ).

116. უქონლობის გადმომცემი სიტყვების ჯგუფი წარმოდგენილია სხვადასხვა პრეფიქსულ-სუფიქსური მაწარმოებლებით, ან კიდევ კომპოზიტებით, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი უქონლობის გამომხატველი სიტყვაა (უ-, უ-ურ... არა-).

„ცა კი უზნო ბავშვივით ხან მოიღუშებოდა, ხან კი გაიღიმებდა“ (ნ. ლორთქიფანიძე) — „რა ექნა, დედოფალო, ომში მე არაფერს დამიჭერებს... უზნური ბავშვია“ (ნ. ლორთქიფანიძე); „ლამის მეხრე ვარ უბედო და იფინს სახრის პატრონი“ (რ. ერისთავი) — „ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია“ (ილია); ასევე: *უთავო* — *უთავური*, *უდაზნო* — *უდაზნური*, *უნებლიე* — *უნებური*... *უწესო* — *არაწესიერი* ('არა აკურატული'), *ურწმუნო* — *არამორწმუნე*, *უგვემო* — *არაგვემანი*...

117. დანიშნულები გამომხატველი სიტყვები მეტწილ შემთხვევებში სა- პრეფიქსით არის წარმოდგენილი; ამ პრეფიქსთან ერთად სიტყვას, ჩვეულებრივ, სუფიქსიც ახლავს: -ო, -ე, -ური...

სააგურე ნიშნავს 'აგურისათვის განკუთვნილსაც' და 'იმ ადგილსაც, სადაც აგურს ამზადებენ'; მნიშვნელობათა ამგვარი დიფერენციაცია ასე თუ ისე ხელოვნურია სა-ე მაწარმოებლისათვის: ეს მაწარმოებელი უბრალოდ დანიშნულებაზე მიუთითებს, ხოლო ამ დანიშნულების შემდგომი დაზუსტება (სააგურე — თიხა, სააგურე=აგურხანა) ცალკე სიტყვის კეთილშენაძენია. მაგრამ რაკი ასეა, მაშინ სა-ე და სა-ო კონფიქსები, რომლებიც ერთსა და იმავე ფუძესთან ზოგჯერ განსხვავებული

მნიშვნელობის სიტყვებს კმნიან (სააბრეშუმე 'საგანგებოდ მოწყობილი ადგილი, სადაც აბრეშუმის ქია ჰყავთ' და სააბრეშუმო 'აბრეშუმის ძაფის ან ქსოვილისათვის განკუთვნილი') სინონიმურ მაწარმოებლებად შეიძლება მივიჩნიოთ.

სინონიმები გვაქვს სხვა შემთხვევებშიც:

საბნელე — საბნელეთი 'გლოვის კარავი': „უწინდელ დროში... ძაძებით და საბნელეთში სხდომით გლოვა ვიცოდით“ (ზ. ანტონოვი) — „(ქალი) ჩაჭდა საბნელეში და ხმა არავისათვის გაუცია“ (ზლაპარი), აგრეთვე: საამებელი — საამური, საანგარიშებელი — საანგარიშო, საბარგულე — საბარგული, საბედველი — გასაბედავი, საბეკნი — საბეკნელი, საბერაჯი — საბერკელი, საბურღო — საბურღავი, საბერტყი — საბერტყელა, საგანძე — საგანძური...

ამრიგად, სუფიქსების მონაცვლეობა დანიშნულების გამოხატვაზე გავლენას არ ახდენს.

მაგრამ ხშირად სა-პრეფიქსიც არ არის სავალდებულო ამ მნიშვნელობის მქონე სიტყვებისათვის.

სინონიმებია საჩაიე და ჩაიდანი: „აქა-იქ ოთახის სამკაულებად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ: ...სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყარალა-ბალახი“ (ილია) — „აადულეს ჩაიდანი, ბერიკაცსაც მიუტანეს ჩაი“ (ვ. ბარნოვი), აგრეთვე, საყავე და ყავადანი.

სინონიმებს კმნის სააგურე და აგურხანა: „ინდოეთს არის სულიერი ერთი, რომელსაც სალამანდრას ეძახიან. სადაც სააგურე ენთება, ანუ აბანოს სახმილი, ან საკირე, მას ცეცხლში იქმნება და მუნ იპოვების“ (საბა) — „აქ ბევრსა აგურხანებსა ნახავთ, სადაც აგურის გარდა კრამიტსაც კრიან“ (ი. გოგებაშვილი); აგრეთვე, სადალაქო — დალაქხანა, საყასბო — ყასაბხანა, სახარაზო — ხარაზხანა...

საცივარი სიტყვის სინონიმია მაცივარი: „სოხუმის საცივრისა და რძის ქარხნის მშენებლობა“ (პრესიდან), „ბათუმში უნდა აშენდეს და ამუშავდეს ასი ტონის მოცულობის მაცივარი“ (პრესიდან) და სხვ.

ამრიგად, დანიშნულების გამოხატვა სა- თავსართთან არის დაკავშირებული უპირატესად, — მაგრამ არა ყოველთვის.

118. ზედსართავებში გამოყოფენ, აგრეთვე, წ ა რ მ ო მ ა ე ლ ო ბ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ს, რომლებიც უპირატესად დაკავშირებულია -ულ. (-ულ) და -ურ- სუფიქსებთან. ამათგან პირველი ადამიანების მიმართ იხმარება: ქარსველი, ინგლისელი, მაიული (გამონაკლისია გურული, ქუთათურები). თუმცა წარმომავლობაზე მარტივი ფუძითაც ხერხდება მითითება: რუსი, ფრანგი, ბერძენი, არაბი, თურქი... თუში, კახი (კახელი გვიანდელი ჩანს). შდრ. ააჭარა კახი); -ურ არაადამიანთა („ნივთთა კლასის“) აღმნიშვნელია:

ოსური ყველი, რაჭული ლორი, ხევსურული ძროხა, ყარაბაღული ცხენი...

აქვე შემოაქვთ -*ეულ* (მაშისეული. ილიასეული...), -*დელ* (-*დღ-ელ*: *წინან-დელი*, *დღევანდელი*) მაწარმოებლებიც.

119. დაბოლოს, უნდა მოვიხსენიოთ ხ ა რ ი ს ხ ი ს მაწარმოებლებიც: უ—*ეს*, მო—*ო*, შა—*ო*.

ულამაზესი, უშავესი, უკეთესი (კეთილ'იდან), უბოროტესი, უმჯობესი (მაწარმოებია *მჯობ-*იდან, რომელიც თავისთავად შედარება-აღმატებას გამოხატავს); ეგევე შინაარსი გადმოიცემა სინტაქსურადაც: ულა-მაზესი არა მხოლოდ *მეტად ლამაზი*'ს ფარდია, არამედ ვიღაცაზე *ლა-მა-ზი*'საც. აქედან — კონტამინირებული გამოთქმები — შავზე უშავესი, ლამაზზე ულამაზესი, რომლებიც საგანგებოდ ა ღ მ ა ტ ე ბ ა ს . გამოხატავენ და არა უბრალოდ შედარებას.

მო—*ო*'ს ო დ ნ ა ო ბ ი თ ი ხარისხის მაწარმოებელს უწოდებენ.

მო—*ო*- მაწარმოებლიანი სიტყვები ხშირად ფერის აღმნიშვნელია:

მოშავო: „რად მინდოდა სითეთრე, ვყოფილიყავ მოშავო“ (აკაკი),

მოშავფრო: „(გეგხვმა) მოშავფრო სალტეებით აჭრელებული კუდი გავაზე შემოიდო“ (ვაჟა), აგრეთვე: მომშვანო, მოწითალო (მოწითლო, მოწითანო), მონაცრისფრო (მონაცრისფერო), მოკერცხლისფრო, მოცისფრო, მოოქროსფრო, მოყვითალო, მოლურჯო, მოთეთრო... ამ უკანასკნელებს შათავსართიანი სინონიმები მოეპოვება.

მოყვითალო (მოყვითლო) — შაყვითლო, შაყვითანო: „დაღონებულხარ დედაო, რას-რარა ჰვიქრობ შეილზედა, ცრემლ რო ჩამოგდის მჩქეფარე მაგ ხმელს, შაყვითლო პირზედა“ (ვაჟა) — „ტანისამოსზე ველარ გიცანი... მაუდის ჩოხა... შაყვითანო ხუჭუჭი ქული!“ (ვ. ბარნოვი); მოლურჯო—შალურჯო: „შორს, შალურჯო ბურში ჩანდა მოსპეტელი თეთრად მთები“ (გ. ლეონიძე); მოთეთრო — შათეთრო: „ციცქას შათეთრო ლერწი აქვს“ („შინამრეწველობის“ მასალებიდან)...

აღამიანის-ფერის (აგრეთვე, თმის, თვალების ფერის) აღსანიშნავად გამოიყენება: მოშავგვრემანო, მოქერაო, მომანო...

მო—*ო* მაწარმოებელი გემოს აღმნიშვნელ სიტყვებშიც გვხვდება: მოილაშო, მომძალო, მომწუხახო, მომშარო, მოტპო...

ფორმის აღმნიშვნელია:

მობრტყო, მოგრძო, მოსქო (მოსქელო), მომადლო, მომსპეილო, მომცრო, მოდიდო, მორბილო...

სულიერ-გონებრივი დახასიალება გადმოცემულია ამ სიტყვებით: მოძუნწო, მოსულელო, მოხურჩეკო...

მოკადეტო- და მოშემარცხენო- სიტყვები ადასტურებენ, რომ მო—*ო*.

მაწარმოებელი არა მხოლოდ დღესაც მოქმედია, არამედ მოქმედების არესაც იფართოებს — პუბლიცისტიკის ენაშიც მოიხმარება.

კიდევ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ოდნობას“ გადმოსცემს არა მხოლოდ მო—ო (*მა—ო*)-მაწარმოებლის მქონე სიტყვები, არამედ, არაიშვიათად, გაორმაგებული ფუძეც:

მოშავო—შავშავი: „გამგედ ყმაწვილი კაცი იყო... შავ-შავი, ახალ-გაზრდა“ (ვ. ბარნოვი), „...შავ-შავი, ხმელი კაცი იყო“ (ვაჟა); *მომადლო—მადალ-მადალი*: „ერთი ლამაზი, მადალ-მადალი გოგო მოვიდა“ (მელანია); ჩვეულებრივია, აგრეთვე, დაბალ-დაბალი: „ცოტა ხნის შემდეგ თხილის ბუჩქებში ვილაც დაბალ-დაბალი, ჩასუქებული, წითური კაცი გამოჩნდა“ (უიარაღო). ასევე *მსხვილ-მსხვილი, შითელ-შითელი—მომსხო'სა და მოშითალო'ს* სინონიმებად...

როგორც ვხედავთ, „ოდნობას“ არა მხოლოდ მო—ო (და *მა—ო*)-წარმოების სიტყვები გადმოსცემენ, არამედ ფუძეგაორკეცებულნიც, ამასთანავე ფუძის გაორკეცებას სხვა ფუნქციაცა აქვს—სიმრავლესაც გადმოსცემს: *მადალ-მადალი* არა მხოლოდ *მომადლო'ს* სინონიმია, არამედ 'მრავალ მადალ'საც აღნიშნავს, *შავ-შავი* 'მრავალ შავ'საც აღნიშნავს; „დიდრონი შავ-შავი თვალები“ (ე. ნინოშვილი)...

ესეც ერთი მაგალითია სიტყვაწარმოებითი და სემანტიკური კლასების დაუმთხვევლობისა *.

120. ზმნისართებში სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა სიტყვაწარმოებითი ტიპების მიხედვით ნაკლებ ეფექტურია, ვინაიდან თვით ზმნისართი ფორმაუცვლელი სიტყვაა და აგებულების ანალიზი მეტწილად ისტორიული თვალსაზრისის მოშველიებითა ხერხდება.

ზოგი რამ მაინც შესაძლებელია აღინიშნოს. ასე, მაგალითად, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ დროის ზმნისართებში ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტის გამოყოფა ხერხდება: *წუხელის, მყის, როდის*, თანდებული *-მდის*, რომელიც, როგორც ცნობილია, ნათესაობითის ფორმანტს შეიცავს [41, 108*], არქაული ნათესაობითის ფორმა *გ:ჟინ*...

121. ზმნისართთა ცოცხალი წარმოებიდან ყურადღებას იქცევს ვითარების ზმნისართთა სინონიმური ფორმები: ვითარებით ბრუნვაში დასმული ზედსართავი და ამავე ძირიდან ნაწარმოები განყენებული სახელი, მოქმედებითი ბრუნვის ფორმით:

„ქალი *მორიდებით* მომესალმა“ (ს. კლდიაშვილი) — „*მორიდებულად* მიუღო ჯაბამ“ (ა. ბელიაშვილი).

* ნაწარმოებ სახელთა სემანტიკური დაჯგუფება სიტყვულია ა. შანიძის [115], აგრეთვე ლ. კვიციანიას [51] და ალ. დლოხტის [105] ნაშრონებში.

„მხურვალედ ევედრებოდა ნიკო“ (ეკ. გაბაშვილი) — „ამტკიცებდეს თავგამოდებით და მხურვალეებით“ (ილია).

„ეცხოვრობდით ტკბილად, ჩუმად და მოსვენებით“ (ნ. ლომოური) — „მივატოვებ ყველაფერს და მოსვენებულად ვიქნები“ (დ. კლიაშვილი).

„...საიდუმლოებით თქვა დედაკაცმა“ (დ. კლიაშვილი) — „...საიდუმლოდ ეჩურჩულებოდა ყურში“ (მიხ. მრეველიშვილი).

„ქალი ზეზე წამოიჭრა და გამშარებით მივიარდა“ (ა. ყაზბეგი) — „...თავჩალუნული გამშარებულად მუშაობდა“ (დ. კლიაშვილი).

„(აკაკი) ახალგაზრდობას... მუდამ გულისხმეირად ეპყრობოდა“ (შ. დადიანი) — „ლიზა გულისხმეირებით უღვებდა ყურს“ (ეკ. გაბაშვილი).

„გულისყურს მოვიკრებ და უფრო დალაგებით მოგახსენებ“ (ილია) — „(თეგაური) დალაგებულად ველარ ლაპარაკობდა“ (ს. შანშიაშვილი).

„თავდადებით შრომობს მეოთხე ბრიგადა“ (პრესიდან) — „ვიბრძოლებთ თავდადებულად“ (ა. მირცხულავა)... *.

122. ზ მ ნ ე ბ შ ი სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებული ყველაზე ზოგადი შინაარსობრივი დაჯგუფების გასათვალისწინებლად შესაძლებელია შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ:

დგ- ფუძის ზმნები ამგვარადაა განშტოებული:

დგ-	{ ს ტ ა ტ ი კ უ რ ი : დგას { დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი	{ ვ ე ბ ი თ ი : ი/ედგება { მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი	{ უ შ უ ა ლ ო { კ ო ნ ტ ა ქ ტ ი ს : { დგამს { კ ა უ ზ ა ტ ი ვ ი ს : { ადგმეინებს
-----	---	---	--

აქაც სემანტიკურ და გრამატიკულ მხარეთა მარტივი შესაბამისობა რომ არ არსებობს, იქიდან ჩანს, მაგალითად, რომ ლაპარაკობენ ხოლმე ს ა შ უ ა ლ- ვ ნ ე ბ ი თ ი ს შესახებ, ე. ი. იმგვარი ზმნების შესახებ, რომელნიც ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ა დ ვნებითებს მიჰყვებიან, მაგრამ წ ა რ მ ო ე ბ ი თ კ ი ვნებითის ნიშნებს არ ავლენენ.

* მოქმედებითი ბრუნვის აფიქსის მქონე აბსტრაქტივი ზმნისართად (და ვითარებითში დასმული ზედსართავის სინონიმად) მეორეულია. თავდაპირველად მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი უნდა დართოდა არა საზოგადოდ აბსტრაქტივის, არამედ სახელდობრ მოქმედების სახელს, მასდარს; აღნიშნავდა იგი არა გარემოებას. არამედ თანმხლებ მოქმედებას (რუსული აბსოლუტივის, деепричастие'ს მსგავსად) [შდრ. 45].

კუთვნილებითი ურთიერთობის (ქცევის) თვალსაზრისით ზმნათა ძირითადი ჯგუფები ამგვარი სქემის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

[ზმნა]	{	ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი :	ზის, კეთდება, აკეთებს, გრებს		
		{	ს ა ს უ ბ ი ე ქ ტ ო :	იკეთებს, იგრებს	
		ქ ც ე ვ ი ა ნ ი	{	ს ა ო ბ ი ე ქ ტ ო :	უზის, უკეთდება, უკეთებს, უგრებს

ამ სქემის მიზანი, ცხადია, არ არის სრულად წარმოდგენა ქართული ზმნის სიტყვაწარმოებით შესაძლებლობათა და, შესაბამისად, სემანტიკურ კლასთა სურათისა. აქ მხოლოდ მეტად ზოგადად არის გადმოცემული ის ურთიერთობა, რომელიც ნაწარმოებ (წარმოქმნილ) ზმნათა შორის არსებობს.

128. სიტყვაწარმოება იძლევა ლექსიკური ჯგუფების შესაქმნელ ყალიბებს; ბუნებრივია, სიტყვათა ყველაზე ზოგადი შინაარსობლივი დაჯგუფება დაკავშირებულია სიტყვაწარმოებასთან; დაკავშირებულია, მაგრამ აქ არა გვაქვს „ფუნქციისა“ და „არგუმენტის“ დამოკიდებულება; კერძოდ, შინაარსობლივი დაჯგუფება სიტყვაწარმოების ფუნქცია არ არის — არ შეესაბამება მას.

ნაწარმოებ სიტყვათა (არსებით სახელთა, ზედსართავთა, ზმნისართთა, ზმნათა) სემანტიკური დაჯგუფების შედეგად ვიღებთ ლექსიკურ ჯგუფებს და არა სიტყვაწარმოებითს კლასებს. სიტყვაწარმოებითი კლასები იქნებოდა, ვთქვათ, საერთოდ, პრეფიქსიანი სიტყვები, საერთოდ სუფიქსიანები, ინფიქსიანები, პრეფიქს-სუფიქსიანები... ამა და ამ პრეფიქსიანები, ამა¹ და ამ სუფიქსიანები... თითოეული ამ კლასთაგანის შემდგომი დაჯგუფებაც ისევ სტრუქტურული იქნებოდა: ცალკე გამოიყოფოდა, მაგალითად, ისეთი პრეფიქსიანი სიტყვები, სადაც ეს პრეფიქსი უთუოდ სიტყვის თავშია მოქცეული და არა მხოლოდ მარტივი ფუძის წინ და ა. შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ნაწარმოებ სიტყვათა სტრუქტურული დახასიათება ვარაუდობს დაჯგუფებას მათში შემავალ მორფემათა მიხედვით, ამ მორფემათა ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით (შეთავსებადობა, თანმიმდევრობა...).

ჩვენს მაგალითებში კი მოცემულია ნიმუშები ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკური დახასიათებისა — მიუხედავად იმისა, თუ რა გრამატიკული საშუალება გვხვდება ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში: ლექსიკოლოგიას აინტერესებს სიტყვათა გარკვეული შინაარსეული ჯგუფი, ე.ი. ვთქვათ, საღაურობის აღმნიშვნელი სიტყვები — *ურანგი, ინგლისელი, ქუთათური, მჭბვეარი, მროველი* და არა აფიქსები (-ელ, -ურ, მ-ელი, მ-არი)

თუ ავთიქსების უქონლობა. თითოეული ეს სიტყვა სულ სხვადასხვა ჯგუფებში მოხვედნობდა, თუ მათ სიტყვაწარმოების მიხედვით განვიხილავდით: *ინვალის-ფეხი* და *წითა-ფეხი* (შდრ. *წით-ს*) ერთ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, *კუთხა-ფეხი* და *აშხანა-ფეხი* — მეორეს, *მ-როფ-ფეხი* და *მ-ჭამ-ფეხი* — მესამეს და ა. შ.

თითოეული ჯგუფი, რომელსაც ერთი გარკვეული მაწარმოებელი ელემენტი აქვს, ე. ი. სიტყვაწარმოების მიხედვით ერთგვაროვანია, სემანტიკური თვალსაზრისით განხილვისას შესაძლებელია არაერთგვაროვანი აღმოჩნდეს. მართლაც, რა აქვთ საერთო, ერთი მხრით, *წითელს*, *წითელს*, *წითელს* და, მეორე მხრით, *ინვალისელს*, *ბათუმელს*, *ბარელს*? დაჯგუფება სიტყვაწარმოების მიხედვით და სემანტიკური დაჯგუფება ლექსიკური ფონდის ორგვარი კლასიფიკაციაა. ამ კლასიფიკაციებს სხვადასხვა მიზანი აქვთ, ისინი სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნებს იყენებენ. ბუნებრივია, რომ პირველი დაჯგუფებისას მიღებული დანაყოფები არ ემთხვევა იმ დანაყოფებს, რომელთაც მეორეგვარი დაჯგუფებით ვიღებთ.

მეტყველების ნაწილთა ამ ზოგადი სემანტიკური მიმოხილვით არ ამოიწურება, ცხადია, ის სამუშაოები, რომლებსაც ავლენს ლექსიკური ფონდის სემანტიკური განხილვის საჭიროება.

ლექსიკური ფონდის

თემატიკური დანაწევრება

საკუთრივ სემანტიკურ კლასიფიკაციად მიიჩნევა ლექსიკური ფონდის დანაწილება თემატიკურად შემოფარგლულ ჯგუფებად. სხვადასხვა ენის მასალაზე ამგვარი დაჯგუფების რამდენიმე ცდა არის ცნობილი. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ჭერჭერობით შემუშავებული არ არის სიტყვათა თემატიკური დაჯგუფების საყოველთაოდ გაზიარებული პრინციპები, ამიტომ რამდენი ავტორიცაა, იმდენგვარი დაჯგუფება გვაქვს. თითოეულ კლასიფიკაციაში დიდი ადგილი უჭირავს სუბიექტურ მომენტს და მრავალრიცხოვანია გამონაკლისები, ე. ი. ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა რამდენსაავე კლასში ხვდება. ეს გარემოება შესაბამისი კლასიფიკაციის მეცნიერულ ღირებულებას მნიშვნელოვნად აქვეითებს, თუმცა მათი პრაქტიკული გამოსადეგობა უშუალოა.

ამა თუ იმ ენის სიტყვებს, წარმოდგენილს თემატიკურად დაჯგუფებული სიის სახით, „იდეოლოგიური (იდეოგრაფიული) ლექსიკონი“

ეწოდება; ძველი ბერძნები მას „იანომასტიკონს“ უწოდებდნენ (ანბანური „ლექსიკონისაგან“ განსხვავებით).

154. სიტყვათა თემატკური დაჯგუფების ერთ-ერთი პირველი ცდაა (და, ამასთანავე, იგი რამდენიმე ენის ლექსიკონისათვის არის გამოყენებული) 1852 წელს გამოსული „ინგლისური სიტყვებისა და ფრაზების საუნჯე (თეზაურუსი)“ როეესი (Roget) [261].

როეეს „თეზაურუსის“ ექვსგანყოფილებიან სქემაში ოცდამეცხრევე განყოფილება არის მოცემული.

I. აბსტრაქტული მიმართებანი:

1. არსებობა (1. არსებობა — 2. არარსებობა, 3. სუბსტანციალობა — 4. არასუბსტანციალობა, 5. სუბიექტური — 6. ობიექტური, 7. მდგომარეობა — 8. ვითარება) *.
2. მიმართება (მიმართება... სიახლოვე, კორელაცია, იდენტურობა, განსხვავება, ერთგვაროვნება... მსგავსება... იმიტაცია... ვარიაცია, ნიმუში, პროტოტიპი, შეთანხმება...).
3. რიცხობრიობა (რიცხობრიობა, ხარისხი, ტოლობა, საშუალო, ანაზღაურება, სიდიდე... აღმატება... მატება, ნაშთი, ვართულება, შეერთება... კავშირი... მთელი... თხზვა... კომპონენტი...).
4. წესრიგი (მოწესრიგება... გაძლოლა... წინამძღვარი... დაწყება... საშუალო... განგრძობადი... საზღვარი... თავმოყრა... ცენტრი, კლასი... ნართვა... განზოგადება... მსგავსება...).
5. რაოდენობა (რაოდენობა, თვლა, მთლიანობა, წყვილი, გაორება, სამეულობა, გასამება... სიმრავლე. ნაწევარი... მრავალრიცხოვნება... გაყოფილება... განუსაზღვრელობა...).
6. დრო (პერიოდი, მდინარეება, ხანგრძლივობა — სწრაფწარმავლობა, უსასრულობა — წუთიერობა... უწინარესობა, შემდეგობა, ახლა... თანადროულად, მომავალი — წარსული, ძველი — ახალი, დილა — საღამო, ახალგაზრდა... ადრე... დროულად... ხშირად...).
7. ცვლილება (ცვლა — უცვლელობა, შეწყვეტა... კონვერსია — რევერსია, რეკოლუტია, შენაცვლება... ცვლებადობა — სტაბილურობა...).
8. მიზნობრიობა (მიზნი — შედეგი... შანსი, ძალა... შექმნა... წინაპარი... პროდუქტიულობა... ენერჯია... სწრაფვა... გაუღენა, ტენდენცია, დამთხვევა, შეთანხმება — წინაღმდეგობა — ნეიტრალიზაცია).

II. სივრცე:

1. ზოგადი (სივრცე — მხარე, მოედანი, ადგილმდებარეობა, გადაადგილება, სადმე მყოფობა... მაცხოვრებელი... მოცულობა...).
2. განზომილება (ზომა... გაფართოება... მანძილი... ინტერვალი... სიგრძე... სიგ

* დანარჩენ ქვეგანყოფილებებში დანაყოფები სრულად არ არის წარმოდგენილი; საპირისპირო ცნებები ნაცულად მრავალწერტილია დასმული, ასე, მაგალითად, „ერთგვაროვნება... მსგავსება... იმიტაცია...“ დედანში, როეეს სქემაში, ასეთი სახისა: „16. ერთგვაროვნება — 16ა. ერთგვაროვნების უქონლობა. 17. მსგავსება — 18. არამსგავსება, 19. იმიტაცია — არაიმიტაცია“.

ნე... სიმაღლე... სიღრმე... წვერი... შეველი... პარალელური... ინეერსია, გადაკვეთა, გარე — შიგნით — შუაში, საპირე... ჩაცმა... ზღვარი... გვერდით — პირდაპირ, მარჯვნივ...).

3. ფორმა (ფორმა — უფორმოება, სიმეტრია... ეუთხოვანება, მოღუნვა... წრიულობა — სპირალურობა, სიმრგვალე, ამობურცულობა).

4. მოძრაობა (მოძრაობა... მგზავრობა... ვადატანა... ურემი... სისწრაფე... გაძლოლა... წინსვლა... თავმოყრა... მოსვლა... ჩართვა... მოკარბება... ბრკენა... რყევა...).

III. ნ ი ე თ ი ე რ ე ბ ა :

1. ზოგადი (შატერიალურობა... ქვეყანა... სიმძიმე...).

2. აბორგანული (მაგარი... ხშირი... მოქნილი... ბლანტი... სტრუქტურა, ფხვიერი, ხახუნი — სრიალი, თხევადი... თხევადობა... — წყალი... ნესტი... ოკეანე... შლამი... ზეთი, რეზინა).

3. ორგანული (სიცოცხლე... შეგრძნება: შეხება, სითბო, გემო, სუნი, ბგერა, სინათლე).

IV. ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ ი :

1. იდეათა შექმნა(ინტელექტი... აზრი... იდეა... ცნობისმოყვარეობა... ყურადღება... კითხვა... ექსპერიმენტი... შედარება... აშკარა... შესაძლებლობა... განსჯა... ჩვენება... აღმოჩენა... რწმენა... ცოდნა... პრინციპი... ბრძენი... მესიერება... წინასწარმეტყველება... წარმოსახვა...).

2. იდეათა ურთიერთობა (მნიშვნელობა... გასაგებობა.../ინტერპრეტაცია... გამოვლენა... გამოქვეყნება... სწავლება... სიმართლე... ურთიერთობის საშუალებანი: თხრობა, წერა, ხატვა, ქანდაკება... ენა... სტილი... ზემირმეტყველება... სამწერლო ენა).

V. ნ ე ბ ე ლ ო ბ ა :

1. ი ნ დ ი ე ი დ უ ა ლ უ რ ი ნ ე ბ ე ლ ო ბ ა (ნება... მორჩილი... ჭიურტი... არჩევანი... ზვეწნა... საქმე... გეგმა... მეთოდი... ზერბი... მასალა... ხარისხოვანი... სალი... ხელმძღვანელობა... დახლოვნება... წინააღმდეგობა... ომი...).

2. ი ნ ტ ე რ ს ო ც ი ა ლ უ რ ი ნ ე ბ ე ლ ო ბ ა (ძალაუფლება, სიმტკიცე, მბრძანებლობა, ურჩობა... ბატონი... თავისუფლება... პატიმარი... ნებართვა... შეთავაზება... თხოვნა... შეთანხმება... კომპრომისი; პიროვნული მიმართება: საკუთრება... ფული...).

VI. გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი :

1. ზოგადი (გრძნობები... აღზნება...).

2. პიროვნული (სიამოვნება... ტანჯვა...).

3. სიმპათიური (მეგობრობა... ცოლქმრობა... თანაგრძნობა...).

4. მორალური (სამართლიანობა... პატივისცემა... ქლეხა... უანგარო... ასკეტობა, კანონიერება... იურისპრუდენცია...).

5. რელიგიური (ღვთაება... ანგელოზი... თეოლოგია... სამღვდლოება...).

ეს სქემა შეიცავს ათასზე მეტ დანაყოფს, რომლებზედაც ნაწილდება მთელი ლექსიკური ფონდი.

როცეს „თეზაურუსმა“ დიდი გავლენა მოახდინა „იდეოგრაფიკულ“ ლექსიკოლოგიაზე. ამ სქემით შეუდგენიათ ლექსიკონები ფრანგული, უნგრული, პოლანდიური, შვედური, ესპანური, ახალი ბერძნული ენებისათვის.

საზოგადოდ, როცა ნაშრომმა მისცა ბიძგი ლექსიკური ფონდის თემატიკურ აღწერას.

125. შვეიცარიელი ენათმეცნიერი შარლ ბალი „ფრანგული ენის სტილისტიკაში“ იძლევა ლექსიკური ფონდის შინაარსეულ კლასიფიკაციას, რაც მას ესაჭიროება „ექსპრესიული ფაქტების იდენტიფიკაციისათვის“, ე. ი. სინონიმთა დასაჯგუფებლად ცნებათა მოცულობის თვალსაზრისით [244].

ბალის ცხრილი მოიცავს ათ ძირითად განყოფილებას, ორმოცზე მეტი ქვეგანყოფილებით:

1. აპრიორი:

ა) ყოფიერება; ბ) მიმართება; გ) მიზეზობრიობა; დ) წესრიგი; ე) დრო; ვ) რაოდენობა, რიცხვი, ინტენსიობა; ზ) სიერე, მდგომარეობა სიერეში; თ) ცეცხლი; ი) მოძრაობა.

2. მატერია, გრძობადი სამყარო: ა) შექმნა: სიციცხლე და სიკვდილი; ბ) სამყარო, ბუნება, არსებანი; გ) მატერიის თვისებები; დ) გრძობადი ობიექტების აღქმა.

3. აზრი და მისი გამობატვა:

ა) აზრის თვისებები; ბ) სააზროვნო პროცესები (ოპერაციები); გ) აზრის გამოთქმა და გადმოცემა (გამობატვა და კომუნიკაცია).

4. ნებელობა:

ა) ნებელობის თვისებები; ბ) ნებელობის პროცესები (ოპერაციები); გ) ნებელობა სხვისთან მიმართებაში; დ) საურთიერთო ანუ გარეგანად შეზღუდული ნებელობა.

5. მოქმედება:

ა) აუცილებელი მოქმედებანი; მოთხოვნილებანი, წყაროები, საშუალებანი; ბ) მოქმედების ობიექტის თვისებები, ღირებულება, გამოსადეგობა; გ) მდგომარეობანი და თვისებები მოქმედების შედეგთან მიმართებაში; დ) მოქმედი საგნის თვისებები; ე) მოქმედების მოტივები; ვ) მოქმედების მომზადება; ზ) მოქმედების მოდუსები; თ) ურთიერთმოქმედება ან გარეგნულად შეზღუდული მოქმედება.

6. საკუთრება:

ა) შექმნა და ფლობა; ბ) მოხმარება. გადაცემა, ვაცეცხლი.

7. გრძობები:

ა) ზოგადი; ბ) კმაყოფილების და უკმაყოფილების გრძობა; ე) ინსტინქტური გრძობები; დ) ეგოცენტრული გრძობები; ე) ესთეტიკური გრძობები; ვ) ალტრუისტული გრძობები და მოქმედებანი.

8. საზოგადოება:

ა) საზოგადოებრივი ცხოვრება; ბ) ინდივიდის ადგილი საზოგადოებაში; ე) უფლებანი და მოვალეობანი, კანონი, სასამართლო.

9. მორალი:

ა) მოვალეობის ფორმები, ქცევა; ბ) ქცევის შეფასება, რეპუტაცია.

10. რელიგია.

თითოეული ამ ქვეგანყოფილებათაგანი შემდგომი რამდენიმე საფეხურიანი დანაწევრებით არის წარმოდგენილი — სულ სამასამდე დანაწევრებით.

ყოფის სახით. მაგალითად, მესამე განყოფილების ქვეგანყოფილება ამგვარი შინაარსისაა:

3. ა) აზრის თვისებები: ცნობისმოყვარეობა — ინდიფერენტულობა; უზრადლება — უყურადღებობა; ხსოვნა — დაიწყება; წარმოსახვა — წარმოსახვის არქონა; ჭკუა — უჭკუობა; ჭკუა, ჭკუაშახელობა; გონებასალი — გონებაარეული.

3. ბ) სააზროვნე პროცესები ასევე 14 დანაყოფს შეიცავს, რომლებიც აგრეთვე იყოფიან.

3. გ) აზრის გამოთქმა და გადმოცემა — 13 დანაყოფს და სხვ.

კერძოდ, მეტყველების, ენის შესახები მონაკვეთი ამგვარი აგებულებისაა:

— მეტყველების თვისებები:

ა) ლაპარაკობს — დუმს (*ჩუმში, უსიტყუო...*); ბ) ბევრს ლაპარაკობს — ცოტა ლაპარაკობს (*სიტყუაძუნში... მოლაყბე...*); ც) ხმაშალა ლაპარაკობს — ხმაშალა ლაპარაკობს (*მყვირალა... ჩურჩული...*); დ) კარგად ლაპარაკობს — ცუდად ლაპარაკობს (*მკაფიოდ... დუღღუნო...*).

— აზრის გამოთქმა ენის მეშვეობით:

ა) იტყვის (*წარმოთქვამს... სიტყუა...*); ბ) უწოდებს (*აღნიშნავს... უწოდება... გერმინი...*); ც) შეატყობინებს (*აფრთხილებს... ვანცხადება... მითქმა-მოთქმა...*); დ) უაპობს (*ამბავი... მოხსენება... ზღაპარი*); ე) გადმოსცემს, აუხსნის, ავითარებს (*აზრს, თემას*).

126. ერთი ამგვარი (თემატიკური ანუ „იდეოლოგიური“) ლექსიკონი გერმანული ენისათვის შეადგინა ფ. დორნზაიფმა. მისი წიგნის სახელწოდებაა „გერმანული ლექსიკური ფონდი საგანთა ჯგუფების მიხედვით“. ამ წიგნის მეხუთე გამოცემა 1959 წელს გამოვიდა [248].

დორნზაიფის თქმით, ამ ლექსიკონში საქმე ეხება „ფენომენოლოგიისა და ფილოსოფიური ონტოლოგიის გამოყენებას ენის მიმართ“ და მასალა შესაძლებლობისამებრ მეცნიერულ ცნებათა სისტემით არის დალაგებული. მაგრამ მეცნიერული ცნება თავისთავად, როგორც ადრე აღვნიშნეთ, არ არის სიტყვის მნიშვნელობის კორელატი, ამიტომ ლექსიკის რიგ თავისებურებათა უგულვებელყოფით თუ მოხერხდება ამა თუ იმ ენის ლექსიკური ფონდის განაწილება მეცნიერულ ცნებათა სისტემაში.

დორნზაიფის წიგნში შესულია დაახლოებით 50.000 სალექსიკონო ერთეული გერმანული ენისა — სიტყვები და სემანტიკურად სიტყვების ფარდი შესიტყვებები.

დორნზაიფის სქემა („საერთო გეგმა“) ასეთია: 1—2. ვარებუნება. 3—8. ზოგადი არსებითი სახელები. 9—12. სუბიექტურის გადმოცემის სიტყვები. 13—20. სოციალური სამყარო და კულტურა. ამ ოცი განყოფილებიდან თითოეულს რამდენიმე ქვეგანყოფილება — აქვს (ათიოდ-

დან ასოცამდე — სულ 910). ძირითადი განყოფილებები ამგვარი დასათურებით არის წარმოდგენილი:

1. ა რ ა ო რ გ ა ნ უ ლ ი ნ ი ე თ ი ე რ ე ბ ა ნ ი. გაღმოცემთა შიხ ქვეგანყოფილებსაც: 1.1. სამყარო, 1.2. მნათობები, 1.3. ღელამიწა, 1.4. ამინდი, 1.5. მოწმენდილი ამინდი, 1.6. ჟარი, 1.7. ღრუბლიანი ამინდი, 1.8. წვიმა, 1.9. გამუღმებული ნალექი, 1.10. ქექა-ქუსილა, 1.11. გეოგრაფიული ადგილი, 1.12. პორიონტის მხარეები, 1.13. ხმელეთი, 1.14. ნიადაგი ფენა, 1.15. დარაიონება (Landbezirk), ფართობის ზომა, 1.16. ნაპირი, 1.17. კენსული, 1.18. დამღვარი წყალი, 1.19. ქაობი, 1.20. ნიეთიერება, 1.21. შერევა, 1.22. შეურეველი, 1.23. არაორგანული სამყარო, მადანი, 1.24. ელემენტები, 1.25. მინერალები, 1.26. ქვები, 1.27. შენადნობები, 1.28. არაორგანული ქიმიური ნიეთიერებანი, 1.29. ორგანული ქიმიური ნიეთიერებანი.

2. მ ე ე ნ ა რ ე ბ ე დ ა ე ს ო ვ ე ლ ე ბ ე ა დ ა მ ი ა ნ ი (ს ხ ე უ ლ ი): ეკონარეთა სისტემატიკა. ნაწილები. დაავადებანი, გაშენება, ნაყოფი... ცხოველთა სახეები, მეცხოველეობა, ნადირობა... ადამიანი, სქესი, სხეული, სოცოცხლე, ბავშვი, ევება, ძილი, წანმრთელობა...

3. ს ი ე რ ც ე, მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა. ფ ო რ მ ა: ადგილი. მყოფობა — არხად... შორს, ახლოს... მდგომარეობა — შეუელი, პორიონტურნი. დაურდნობა, დაყრდნობა... ვაესება... გარემო, წინ. უკან... წესრიგა... ხაზი, სიბრტყე, სხეული, ეთობე, წრე... თხელი... ბასრი...

4. ს ი ღ ი ლ ე, რ ა ო ღ ე ნ ო ბ ა, რ ი ც ხ ე რ, ხ ა რ ი ს ხ ი: დიდი, მცირე, გრძელი, მოკლე... ფართი, მოცულობა; რაოდენობა, სახეს, ჰარბი... რიცხვი, ურიცხვი... ნაწილი... მთელი... კლასი... ნარისხი...

5. ა რ ს ი, მ ი მ ა რ თ ე ბ ა, ხ ღ ო მ ი ლ ე ბ ა: არსება... შესაძლებლობა... თვისება... დამოკიდებულება... წეს... განვითარება... ცელა... მიზნი, პირობა, ძალა, წარმოშობა, რეპროდუქცია... შემონახვა... დარღვევა...

6. დ რ ო: პერიოდი, დასაწყისი, უკიანი... შედამ... განმავლობაში... მანამ, შემდეგ... იმავდროულად... ახლა, სხემის... ნამყო... მომავალი... ხზირად... პერიოდულად... აღრე...

7. ს ი ნ ა თ ლ ე, ფ ე რ ი, ბ გ ე რ ა, ტ ე მ პ ე რ ა ტ უ რ ა, წ ო ნ ა, ა გ რ ე გ ა ტ უ ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა, ს უ ნ ი, გ ე მ ო: ბინდუნდი, თეთრი, შავი, ჰრული... ეჭო, უხმო... ტყაუნა... შიშინ... სითბო, ცეცხლი... მძიმე... მავარი: ბლანტი... ტყბილი...

8. ა დ გ ო ლ მ ო ნ ა ც ე ლ ე ო ბ ა: მოძრაობა, წალემა, ურემი... სწრაფად... დახეინება... გზა... გაყოლა... გაძლილა... დამორება... დამოშინება, იქით, აქეთ... შიგ... ვარდნა.

9. ნ ე ბ ა დ ა ქ მ ნ ა: მისწრაფება... გადაწყვეტა... წაქეხება... მუშაობა... შედგომა... დაუდერად... უსარგებლო... ადვილად... ჩაშლა... სამუქალება... იარაღი... საჰრირება.

10. გ რ ძ ნ ო ბ ა დ ი ვ ა ნ ც ლ ა: ფიზიკური გრძნობა შეხების, ტემპერატურის, სუნის, გემოს... შიშობილი... ხელვა... სმენა...

11. ე მ ო ც ი ე ბ ი, ა ფ ე ქ ტ ე ბ ი, დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი თ ე ი ს ე ბ ე ბ ი: განცდა, აღგზნება... ხუმრობა, გაოცება, შრისხანება... კაცთმოყვარეობა, მადლიერება, ეკვიანობა, შური... სიძულვილი...

12. აზ რ ო ე ნ ე ბ ა: ინსტინქტი, აზრი, ცნება, ცნობისმოყვარეობა, ცდა... ღებულება... კეშმარტება... ცოდნა... შეხსიერება... მსყელობა... კუქა... ბრიყვი...

13. ნ ო შ ნ ე ბ ი, გ ა გ ე ბ ი ნ ე ბ ა, ე ნ ა: მ: ცნე, ენა. სიტყვა... საუბარი... გრა-
მატიკა... წამოცდენა... სტილი... თარგმნა...

14. მ წ ე რ ლ ო ბ ა, მ ე ე ნ ი ე რ ე ბ ა: აღწერა, პოეზია, დრამა, პროზა, ბექლეა,
თხზულება, წიგნი...

15. ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა: ფორმა... ხატვა... მუსიკა...

16. სა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა და კ ო ლ ე ქ ტ ი ე ი: ადგილსამყოფელი... მოგზაურო-
ბა... ოჯახი... ენა... სახელმწიფო... ნებართვა... პატივი... უმეცობა... თამაში, სპორტი,
ზეიმი, მოდა... ომი... ტრული... ელასები... გავლენა... კულტურა...

17. ხ ე ლ ო ბ ა, ტ ე ქ ნ ი კ ა: სახლი... ავეჯი... სამკაული... იარაღი... მანქანა...

18. მ ე უ რ ნ ე ო ბ ა: საყურება... ფლანგვა... ფული... ძვირი... ბანკი...

19. კ ა ნ ო ნ ი, ე თ ი კ ა: პატიოსანი... შეცდომა... დანაშაული... კანონი... დასჯა...

20. რ ე ლ ი გ ი ა, ზ ე ბ უ ნ ე ბ რ ი ე ი მ ო ე ლ ე ნ ე ბ ი: რწმენა... სული...

ლოცვა...

სანიმუშოდ პირველი განყოფილებიდან მოიყვანთ მერვე ქვედანაყოფის -- წე-
ვის -- სქემას:

„1.8. შვიმა იხ. ტენიანი 7.55“. პირველად მოყვანილია საყოველთაოდ გავრცელებული და ემოციურად ნეიტრალური es regnet ('წვიმს'); მეორე სიტყვა — pin-kelt ნაკლებ გავრცელებულია და უფრო ცნობილია მისი დიალექტური, მნიშვნელოზ-გადაწეული. ხმარება; ასევე მესამე სიტყვა — schiff — პირველ ყოვლისა 'ცურავს' ნიშნავს სალიტერატურო გერმანულში, ხოლო მეოთხე სიტყვა — seicht — თარგმნილია როგორც 'წვირილი, თავთხელი'. სულ ამ განყოფილებაში მოხსენებულია 75 სიტყვა და გამოთქმა. ზოგიერთი მათგანი დიალექტებში არის დამოწმებული. ასეთ შემთხვევაში ფრჩხილებში მითითებულია სათანადო დიალექტზე. გარდა საზოგადოდ წვიმი-სა. ცალკე სათაურებით არის გამოყოფილი ნ ე ლ ი. ხ ა ნ მ ო კ ლ ე და ძ ლ ი ე რ ა წ ე ი შ ი ს სახელწოდებანი. ბიბლიოგრაფია ამ ნაკვეთის შესახებ მოიცავს რვა ნაშრომის სახელწოდებას. მაგალითად, პირველად დასახელებულია დისერტაცია — „ნი-ლის სახელები გალორომანულში“ (ციურიხი, 1930).

საძიებელში ყურადღების იქცევს ის გარემოება, რომ არა მხოლოდ ერთი და იგივე სიტყვა გვხვდება სხვადასხვა განყოფილებაში (მაგალითად, frei 'თავისუფალი' თითქმის ოცდაათჯერ გამოუყენებია ავტორს 1, 3, 4 და სხვ. სულ 14 — განყოფილებაში), არამედ ისიც, რომ ცალკეული თემები მთლიანად დაკავშირებულია სხვა თემებთან („იხილე“-ს მიწერით).

მაგალითად, თემა 2.30 (ს მ ა, ს ა ს მ ე ლ ი) დაკავშირებულია შემდეგ თემებთან: 7.54 (მდინარება), 2.31 (ალკოპოლი 12), 8.23 (შესრუტვა), 10.13 (წყურვილი). ესენიც, თავიანთი მხრით, სხვა თემებთან არიან დაკავშირებულნი: 7.54 (მდინარება) -- 2.35 და 7.42'თან, 2.31 (ალკოპოლის სმა) — 16.15 და 16.64'თან და ა. შ.

ამრიგად, ასე გულმოდგინედ დამუშავებული ლექსიკონი კი (რომლის პირველი — 1933 წ. — გამოცემა ათეული წლების ბეჯითი შრომის შედეგი იყო, და რომელიც განუწყვეტლივ უმჯობესდებოდა ყოველ შემდეგს გამოცემაში) არ იძლევა საშუალებას ცალსახად აღიწეროს ენის ლექსიკური ფონდი: თითოეული სიტყვა, თუნდაც მონოსემიური, სულ

სხვადასხვა ცნების ფარდი შეიძლება აღმოჩნდეს, ისევე როგორც თითოეული ცნება შეიძლება ნაირნაირი სიტყვებით გადმოიყოს.

127. უახლესი სქემა ამ ტიპისა ეკუთვნის რუდოლფ პალიგსა და ვალტერ ფონ ვარტბურგს.

დორნზაიფის წიგნს, როგორც ვთქვით, ეწოდებოდა „გერმანული ლექსიკური ფონდი ს ა გ ა ნ თ ა ჯგუფების მიხედვით“, თუმცა ფაქტობრივ დაჯგუფება მეცნიერულ ცნებათა მიხედვით ხდებოდა; პალიგისა და ვარტბურგის წიგნში სათაურშივე ამოტივტივდა „ცნება“: — წიგნს ეწოდება „ც ნ ე ბ ა თ ა ს ი ს ტ ე მ ა რ ო გ ო რ ც ლ ე ქ ს ი კ ო გ რ ა ფ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი“ [251].

რაკი მნიშვნელობა ყველა სიტყვაში ვერ აღწევს „ცნებითს კონდენსაციას“, ამიტომ, ავტორების რჩევით, უნდა გამოვიყენოთ ე. წ. იდენტიფიკაციის ხერხი (რომელიც შარლ ბალიმ შეიმუშავა—იხ. ზემოთ, § 125), რაც საშუალებას იძლევა ენობრივი ფაქტი შეაერთოს ლოგიკურ ეკვივალენტთან.

რამდენადაც პალიგისა და ვარტბურგის კლასიფიკაციაში წარმოდგენილია ცნებები და არა სიტყვები, ამდენად გრამატიკულ ფორმას ყურადღება არ ექცევა — საჭირო ადგილზე დაისმის ის სიტყვა, რომელიც ყველაზე ადრე ამოტივტივდება სათანადო ცნების შესაბამისადო. მაგალითად, „ცნებათსისტემაში“ შევა საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვა *მდიდარი* და არ შევა ნაკლებგავრცელებული *სიმდიდრე* (თუმცა ცნების წარმომადგენელია სწორედ *სიმდიდრე*). საგნების შესაბამის ცნებათა გადმოცემისას უპირატესობა ეძლევა არსებით სახელებს, ხოლო როცა მოქმედებას ეხება საქმე.—*ზმნები იწერება და ა. შ. სინონიმთაგან* გათვალისწინებულია ერთი, ყველაზე გავრცელებული. პოლისემიური სიტყვა მხოლოდ ერთი მნიშვნელობისათვის არის გამოყენებული (თუკი შესაძლებელია), ხოლო სხვა მნიშვნელობათა შესაბამისი ცნებებისათვის სინონიმები გამოიყენება.

ავტორები აღიარებენ, რომ ამგვარი სისტემა მრავალი სუბიექტური ფაქტორით არის შეპირობებული. მაგრამ ფიქრობენ, რომ ასე თუ ისე თვით კლასიფიკაციის ჩარჩოები ბუნებრივად არის მოცემული.

პალიგ-ვარტბურგისეული ცნება არაა მეცნიერული ცნება (როგორც დორნზაიფის კლასიფიკაციაში გვექონდა). არამედ წინამეცნიერული, „ხალხური“ ცნებაა, და თვით ცნებათა განლაგება. ავტორების აზრით, წინარემეცნიერული. ბუნებრივი განხილვის წესი უნდა იყოს. ეს არის „თვალსაზრისი ნიჭიერი ინდივიდისა, რომლის სამყაროს სურათი განსაზღვრულია ენობრივად შეპირობებული წინარემეცნიერული

ზოგადი ცნებებით და რომელიც გულუბრყვილო რეალიზმის თვალსაზრისით განიხილავს სამყაროს და ადამიანებს“ [251].

რა შეიძლება ვთქვათ რ. პალიგის და ვ. ფონ ვარტბურგის პრინციპთა შესახებ?

სიტყვის მნიშვნელობა საგანთან მიმართებაა, ამდენად ცნებაზე მნიშვნელობის დაყვანა პრინციპულად გაუმართლებელია. მაგრამ პრაქტიკულად საგანთა ჩვეულების მიხედვით სიტყვათა დანაწილება არ მოხერხდება: სიტყვებს ვაჩვენებთ ქალაქში და არა თვით ბუნებაში (ვთქვათ, ცხოველების სახელებს — ზოოპარკში, მცენარეებისას — ბოტანიკურ ბაღში და ა. შ.).

სიტყვის მნიშვნელობასაც და ხალხურ ცნებასაც რომ საგანი განსაზღვრავს, ეს გარემოება უფლებას გვაძლევს „საგნების“ ნაცვლად „ხალხურ ცნებებზე“ დაყრდნობით მოვახდინოთ ლექსიკური ფონდის სემანტიკური დანაწევრება — სიტყვათა დაჯგუფება სემანტიკური თვალსაზრისით. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ „ნიჰიერი ინდივიდის“ ზურგს უკან ამოფარებით თვითნებობას ვერ ავიცილებთ, რადგან „ნიჰიერი ინდივიდი“ — როგორც მთელი ენობრივი კოლექტივის მონაცვლე — ფიქციაა.

პალიგი და ვარტბურგი მიზნად ისახავენ, რომ მათ მიერ შემუშავებულ სქემაში („ცნებათა სისტემაში“) ცნებები განლაგდეს ისე, რომ ყველაფერი გაერთიანდეს სტრუქტურულ მთელში; ერთი ცნება მეორეს უნდა მიჰყვებოდეს „ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ლოგიკის“ შესაბამისად ისე, რომ გაადვილდეს ენის სტრუქტურაში გარკვევა.

ამ „ბუნებრივი“ განხილვის წესის პირველი შედეგია „მე“სა და „საგნობრივი სამყაროს“ დაპირისპირება; საგნობრივი სამყარო ჩემამდე იყო და ჩემს შემდეგაც იქნება, მასზეა მიმართული ჩემი აღქმა, წარმოდგენა, აზრი, ჩემი მისწრაფებები და გრძნობები. საგნობრივ გარესამყაროში გაირჩევა ბუნება და მატერიალური კულტურა.

ბუნება, მისი მოვლენები და პროცესები ქმნიან კლასიფიკაციის პირველი განყოფილების შინაარსს: A. სამყარო. „მას მიეკუთვნება ის ნიშნები (სიტყვები), რომლებიც გადმოსცემენ (symbolisieren) იმ ცნებებს, რომლებიც მიმართებაში არიან არაორგანული და ორგანული ბუნების ობიექტებთან და ვითარებებთან“ ან, უბრალოდ, ორგანულ და არაორგანულ ბუნებასთან დაკავშირებული ცნებები: I. ცა და ატმოსფერო, II. მიწა. III. მცენარეები, IV. ცხოველები.

თუმცა ადამიანი თავისი „ხორციელობის“ გამო, ბუნებას განეკუთვნება, მაგრამ რაკი „საგნობრივი სამყარო“ და „მე“ დაპირისპირებულია, ეს უკანასკნელი ცალკე თავსდება — მეორე განყოფილებაში: B. ადამიანი.

მიანი, რომელიც ოთხი ქვეგანყოფილების სახით არის წარმოდგენილი: I. ადამიანი — ფიზიკური არსება. სათანადო ცნებების (ისევე, როგორც პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი ცნებების) დაჯგუფება განსაკუთრებულ სიძნელეებს არ ხვდება. მდგომარეობა იცვლება II ქვეგანყოფილებაზე (გრძნობები და ინტელექტი) გადასვლისას: აქ ხშირად — განსაკუთრებით გრძნობების სფეროში — სიტყვა-ცნებები კი არა გვაქვს, არამედ მხოლოდ „მნიშვნელობით გამსჭვალული შინაარსები“; გრძნობათა სამყაროში „გატერმინება“ არ მოჰდა, რადგან გატერმინებისათვის საჭიროა ყურადღების მიმართვა. ხოლო თუ ყურადღება მიემართება გრძნობას, იგი (გრძნობა) შესუსტდება. შეიძლებოდა გვევარაუდნა — ენამ ამ სფეროში ასე ცოტა ცნებითი სიტყვა იმიტომ შექმნა, რომ სურდა სიღრმე და სიძლიერე შეენარჩუნებინა გრძნობათა გამოხატვისთვის. აქ „ცნებითი“ უნდა დადგინდეს ბალისეული „იდენტიფიკაციის“ ხერხით“ (იხ. ზემოთ § 125); დაჯგუფებაც ტრადიციულია (შეგრძნებები, წარმოდგენები, აზროვნება, გრძნობა, ნებელობა). III. ადამიანი — სოციალური არსება. აქ ფაქტები ასეა დალაგებული: ადამიანურ დაჯგუფებათა ბუნებრივი ფორმები (ოჯახი, ხალხი, ენა...), ადამიანი შრომაში (მეურნეობის ფორმები). IV. სოციალური ორგანიზაცია: კონუნალური და სახელმწიფო დაწესებულებები; ხელოვნება (რომელიც თუმცა ცალკე პირის შემოქმედებითს ძალას ემყარება, მაგრამ სრული წარმატებისათვის საზოგადოებას საჭიროებს), რელიგია (ე. ი. ადამიანთა მიმართება ზეგრძნობიერ ძალებთან).

ეს ორი განყოფილება — A (სამყარო) და B (ადამიანი) — არ მოიცავს ყველაფერს. მათ გვერდით გამოიყოფა მესამე განყოფილება: C. ადამიანი და სამყარო. აქ ადამიანი როგორც მოაზროვნე არსება უპირისპირდება სამყაროს და თვით ადამიანსვე. C ორი ქვეგანყოფილებით არის წარმოდგენილი. I ქვეგანყოფილება — „აპრიორი“ — შეიცავს „წინასწარმოცემულ (აპრიორულ)“ ცოდნასთან დაკავშირებულ ცნებებს: არსებობა, რაოდენობანი და მდგრადობანი, სივრცე. დრო. მიზეზობრიობა, მოძრაობა, ცვალებადობა; მათი თანამიმდევრობა ისეთია, რომ ყოველი შემდგომი ვარაუდობს ყველაფერს წინმავალს (მაგალითად, ცვალებადობა ვარაუდობს მოძრაობას, მიზეზობრიობას, დროს, სივრცეს და სხვ. მოძრაობა ვერ გაიზარება დროის სივრცის და სხვ. გარეშე და ა. შ.). II ქვეგანყოფილება — მეცნიერება და ტექნიკა — შეიცავს ცდისეულ ცოდნას (მეცნიერებას) და ამ ცოდნის მეშვეობით ბუნების გარდაქმნას თავის სასარგებლოდ

(ტექნიკას): ამ ქვეგანყოფილებაში მოცემული მეცნიერებათა დაჯგუფებად „უბრალო კაცის“ თვალსაზრისითაა მოხდენილი.

დანაწევრება გრძელდება, ზოგ შემთხვევაში — მეშვიდე დანაყოფებამდეც კი.

ასე, მაგალითად, შ ა ქ ა რ ი ამგვარი ინდექსით არის წარმოდგენილი: B. I. k. 1, cc, 5, ანუ სიტყვებით რომ გადმოვცეთ:

B. ადამიანი

B. I ადამიანი როგორც ფიზიკური არსება

B. I. k. ადამიანის არსებობის მოთხოვნილებანი

B. I. k. 1 კვება

B. I. k. 1. cc საკვები, სასმელ-საკმელო

B. I. k. 1. cc. 5 სანელებელი, შაქარი

სხვა მაგალითი: ნ ა ე ს ა დ გ უ რ ი ს ინდექსია B. III. b. 8. bb. 2. d), ანუ:

B. ადამიანი

B. III. ადამიანი როგორც სოციალური არსება

B. III. b. ადამიანი შრომაში

B. III. b. 8. ტრანსპორტი, მიმოსვლა

B. III. b. 8. bb წყლის გზა

B. III. b. 8. bb. 2 ზღვით

B. III. b. 8. bb. 2. d) ნავსადგური

როგორც აღვნიშნეთ, დორნზაიფს უცვლელად გადმოაქვს მეცნიერული სისტემატიკა მცენარეებისა, ჰალიგ-ვარტბურგის სქემაში კი განსხვავებულ ჯგუფებს ვხვდებით: ხეები, ბუჩქები, საკვები მცენარეული (მარცვლეული), ბოსტნეული, საფურაყე, მრეწველობაში გამოსადეგო, მდებლობის და ტყის მცენარეული, სამკურნალო, სადეკორაციოდ გაშენებული, სათბურის და ბინის მცენარეული, გამოუსადეგარი ბალახეული, ეგზოტიკური მცენარეული და ხეხილი. ამრიგად, ეს დაჯგუფება ბიოლოგიურ თავისებურებებს კი არ ითვალისწინებს (როგორც ეს დორნზაიფსა აქვს), არამედ უპირატესად — სათანადო მცენარის უტილიტარულ დანიშნულებას, ე, ი. ენობრივი კოლექტივის (ავტორების სიტყვა-ხმარებით — „ნიჭიერი ინდივიდის“) დამოკიდებულებას ბუნების სათანადო მოვლენებთან. მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, როდესაც საგანგებოდ განვიხილავთ ლექსიკას ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში.

128. ლექსიკის უძველესი ფენის მიმოხილვა, ჩვეულებრივ, სემანტიკურ ჯგუფებად ხდება. ეს სემანტიკური ჯგუფები გადმოსცემენ იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც ივარაუდება როგორც აუცილებელი ყოველი საზოგადოების არსებობისათვის.

ამგვარი ჯგუფები მეტ-ნაკლები განსხვავებით გამოყოფილია ყოველი ენობრივი ოჯახისათვის, რომლის ლექსიკის ისტორიული შესწავლაც კი წარმოებს.

ერთ-ერთი უკანასკნელი დაჯგუფება ეკუთვნის მორის სვოდეშს, ე. წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის შემქმნელს. სვოდეშმა შეადგინა სია რამდენიმე ათეული ცნებისა (ინგლისური სიტყვებით) და ივარაუდა, რომ ეს ცნებები უნივერსალურია, ე. ი. ყველა ენაში არსებობს სიტყვები მათ გადმოსაცემად. ამ სიტყვათა მეტ-ნაკლები დაკულობა მონათესავე ენებში მ. სვოდეშმა მიიჩნია ნათესაობის მეტ-ნაკლები ხარისხის (ან ამ ენათა გათიშვის პერიოდის მეტ-ნაკლები სიძველის) მაჩვენებლად [227. შდრ. 56].

ეს ცნებები („ელემენტები“) შემდეგი „სემანტიკური ჯგუფების“ სახით აქვს წარმოდგენილი:

a) პირის ნაცვალსახელები (აქაც და ქვემოთაც ჯგუფში შემავალი ცნება-სიტყვები დალაგებულია მათი მეტ-ნაკლები დაკულობის (მემკვიდრე ენებში) მიხედვით. ასე, მეს დაკულობის პროცენტია 100, შენ'ისა — 92... ისინი'სა ყველაზე ნაკლებია—50%).

b) კითხვითი სიტყვები

c) კორელაციური სიტყვები (კავშირები)

d) სიერციითი სიტყვები (ახლოს, შიგ, თან)

e) მალოკალიზებული სიტყვები (იქ... მარჯვენა... ეს...)

f) მოძრაობის და მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები (მოსვლა... ფრენა... ზიღა...)

g) მოქმედება (რეცხვა... ჰრა... ვარცხნა...)

h) დროის პერიოდები (წელი, დღე, ღამე)

i) რიცხვითი სახელები (ერთი — ათი, ოცი, ასი)

j) რაოდენობა (ყველა, ცოტა, ბევრი, რამდენიმე)

k) სიდიდეები (ფართო... გრძელი... პატარა...)

l) ბუნების საგნები და მოვლენები (ყინული, მარილი... მზე... წვიმა... ქვა...)

ციცხლი)

m) მცენარეები და მცენარეთა ნაწილები (ქერქი... ბალახი... თესლი... ჯობი)

n) ცხოველთა საშუარო (ქია... თევზი... ცხოველი...)

o) აღამიანი (აღამიანი, ქალი, ბავშვი, კაცი)

p) სხეულის ნაწილები და ნივთიერებანი (სისხლი... ხელი... ტერფი... თმა...)

q) შეგრძნება და მოქმედება (სმა... ხედვა... ცოდნა... სუნთქვა...)

r) პირით წარმოებული მოქმედება (სიცილი... ფერთხება... ლაპარაკი...)

s) ფერი (შავი... წითელი... უვითელი)

l) აღწერითი ელემენტები (ფეული... კარგი... თბილი... ბასრი... გლუვი... ქუქუიანი)

ii) ნათესაობა (ძმა, და, მამა, დედა, ქმარი, ცოლი)

x) ეულტერის საგნები და საქმიანობა (ყერვა, თოკი... თამაში...)

v) სხე-ღა-სხე (სახელი, სხე... რ. წვა, შებერვა, გაყინვა, გასივება, გზა, მოცვლა)

129. აქ წარმოვადგინეთ სხვადასხვა ზოგადი სქემა სიტყვათა სემანტიკური დაჯგუფებისა.

საკუთრივ ქართული სიტყვებისათვის არსებობს მათი დაჯგუფების ცდებიც, მართალია, არა ზემოთ წარმოდგენილებივით ყოვლის მომცველი.

ქართული ენის ლექსიკური ფონდის უძველესი ფენა, ე. ი. ის სიტყვები, რომელთაც შესატყვისები მოეპოვებათ მონათესავე ენებში, არნ. ჩიჭობავას დაჯგუფებული აქვს შინაარსეულ კლასებად [137]. სულ გამოყოფილია თითხმეტი კლასი. აქედან შვიდი — არსებითი სახელებია:

- I. ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვები
- II. ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები
- III. ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავალთა და სხვ. სახელები
- IV. მცენარეული (ხეები... ყანა... ბოსტანი)
- V. შენობები... სამუშაო იარაღები... ჭურჭლეული... საქმელები... ტანისამოსი
- VI. წყალი... ზღვა... მიწა... თოვლი... წვიმა...
- VII. დღე... ღამე... ცა... მნათობები... დღეების სახელები
- დანარჩენი კლასები სხვადასხვა მეტყველების ნაწილს მოიცავს.
- VIII. რიცხვითი სახელები
- IX. ნაცვალსახელები და წარმოების მიხედვით მათთან დაკავშირებული სიტყვები (უპირატესად მითითებითი ზმნისართები).
- X. ატრიბუტივები
- XI. ზმნები

ბუნებრივია, ამგვარი დაჯგუფება მიზნად არ ისახავს, ჯერ ერთი, ენის მთელი ლექსიკური ფონდი მოიცვას და, მეორეც, უფრო დაწვრილებითი დაჯგუფება (თითოეულ კლასს შიგნით) მეტწილ შემთხვევაში საჭირო არ ჩანს.

ცნებათა ბუდეები საბას ლექსიკონში

180. თანამედროვე „ცნებათსისტემებს“ (და ე. წ. „სემანტიკური ველების“ თეორიებს) ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში წინ უძღოდა სიტყვათა მეტ-ნაკლებად შემოფარგლული ჯგუფების გამოყოფა მნიშვნელობის, საგნობრივი მიმართების მიხედვით.

ამგვარი ჯგუფების მნიშვნელოვანი რაოდენობა აქვს გამოყოფილი სულხან-საბა ორბელიანს თავის „სიტყვის-კონაში“; ამას საბა „განყოფილებათა შემოკლებულად დაწერას“ უწოდებდა.

ეს ჯგუფები, როგორც შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში [48, 66, 134], არსებითად ცნებათა ბუდეებია: საბა იღებს (როდესაც ეს

შესაძლებელია) გვარობითი ცნების აღმნიშვნელ სიტყვას და მასთან ათავსებს სახეობითი ცნებების გამომხატველ სიტყვებს განმარტებებითურთ. სხვათა შორის, რაკი ცნებებს ეწება საქმე, უფრო ზუსტი იქნებოდა ვეღლაპარაკა არა განმარტების, არამედ განსაზღვრის შესახებ: სიტყვის ასსნა არსებითად წარმოადგენს ბუდეში შესული სიტყვებით აღნიშნულ ცნებათა განსაზღვრას.

სანიმუშოდ მოვიტანთ მასალას *თოვლი*, *ფერი* და *ჭირილი*-ბუდეების შესახებ (ამ შემთხვევებში ნაკლებ საგარძობი უნდა იყოს ქრონოლოგიური განსხვავება საბას ეპოქისა და ჩვენი დროის ლექსიკას შორის).

131. სალექსიკონო სტატია *თოვლი* „სიტყვის-კონაში“ ამგვარად არის წარმოდგენილი:

„თოვლი რა წვიმას ზამთარს ცივი ჰაერი შეკვდების, შეაწობს და მოცივია.

არამედ თოვლიცა ესრეთ განიყოფიან,
რამეთუ პირველ ზამთრისა რა ღამის სიცივემან ცვარი შეათოოს, უხმობენ თრთვილსა;

ხოლო პირველ დათოვასა, ვიდრე მიწათა გათეთრებამდე, უწოდენ ყაბსა;

და თუ დათოვა ტერფამდე და მეტი მისი, იგი არს ფიფქი და მისი უმეტესი თოვლად სახელიდების;

უკეთუ თოვლი წვიმანარევი იყოს, *ჭყაბს* უწოდენ და თოვლიანს ნისლსა — ბურსა;

თუცა ბურისა მიერ ხენი შეიყინნენ; იგი არს *ჭირხლი*;

და უკეთუ ხეთა ზედა თოვლი დადგა, ეწოდების *ხურხლი*;

ქარიანსა თოვლსა ეწოდების *ბუქი*;

ქარისაგან ახვეტილსა ადგილსა ჰქვიან *ზიან*

და სადა თოვლი ნაბუქი შეგროვდა, მას — *ნანქერი*;

თუცა შემბალი თოვლი შეიყინა, ეწოდება *ბზარი*

და რა ბზარი მზემან შეაღბო, ეწოდება *ლელმა*;

მცირესა ფიფქსა ბზარქმნილსა — *არხილი*;

რა თოვლი აპრელდეს, იგი არს *ლილო*;

თუცა თოვლისა სიმრავლე მთამ ველარ იტვირთა და ჩამოიზვლა, იგი არს *შეაეი*“.

ეს სიტყვები ანბანის მიხედვით თავ-თავის ადგილზედაც არის შეტანილი (შეუტანელი დარჩენილა მხოლოდ *ხურხლი* და *ზიანი*); მათი განმარტება მეტწილად თოვლ-ცნებას ემყარება და ბუდეში მოცემულ განმარტებათა მოკლე გადმოცემაა:

„ყაბი მცირე თოვლი“, „ფიფქი ახალი თოვლი“, „ბუქი ქარიანი თოვ-

ლი“, „ნაწქერი თოვლი ქარისაგან შეგროვებული“. „ბზარი თოვლი გამაგრებული“. სხვა შემთხვევებში განსაზღვრის წესი მტკიცედ დაკუთვლილი არაა: „მყაბი წვიმა თოვლნარევი“, „ბური მონათოვი ნისლი“, „შეაი თოვლის მეწყერი“ (აქ გვარეობითი ცნება არის არა თოვლი, არამედ წვიმა, ნისლი და მეწყერი). ზოგან თოვლის მიმართ სახეობითი ცნება თვით არის გამოყენებული გვარეობით ცნებად. ასეთია, მაგალითად: „ბზარი თოვლი გამაგრებული“, „აბზილი თხელი ბზარი“, „ლელმა რა ბზარი თოვლი მზემ შეალობს“.

182. საბას ფერი-სიტყვის განმარტება (ან განსაზღვრება) კი არა აქვს მოცემული, არამედ ამ სიტყვისათვის სახეობითი ცნებების სახელწოდებები აქვს მიწერილი:

„ფერი თეთრი, წითელი, შავი და მისთანა“. ამათგან თეთრი-სიტყვას მიწერილი აქვს მისი სინონიმი სუტაკი (ისევე, როგორც სუტაკი-სიტყვას — თეთრი); შითელი და შავი აღწერილია როგორც რაღაცის ფერი: „ცეცხლისფერი“, „ყორნისფერი“; ამგვარადვე, ე. ი. შედარების წესით არის განმარტებული სხვა, ასე ვთქვათ, მარტივი ფერები: „მშაანე ბალახის-ფერი“, „ყვითელი ოქროს ფერი“, „ლურჯი ცის ფერი“ (თავის ადგილზე ყის-ფერი-სიტყვას განმარტების ნაცვლად სინონიმად ლურჯი უნის).

კომბინირებული, შერეული ფერები ჩამოთვლილია ბუდეში, რომელსაც სათაურად აქვს რუხა (რომელიც, სხვათა შორის, თვითონ არ წარმოადგენს გვარეობითს ცნებას): „რუხა ყომრალ-ჭრელი; მურა და ინდუშა შავ-წითელი; მრეში წითელი სისვი; ლიბრი ლურჯ-მოისფრო: ყვიყილი შავ-მოისფრო“; ხისვი შავ-თეთრნარევი; კეჟანა ლომის ფერი“.

უნდა შევნიშნოთ, რომ ცალ-ცალკე განმარტებულნი, ეს სიტყვები ყოველთვის არ იმეორებენ ბუდეში მოცემულ განმარტებას: „მრეში წაბლისფერი, მოსისო“ (აქ „წაბლისფერი“, ბუდეში — „წითელი“), „ყვიყილი ლურჯსა და იისფერს საშუალი“ („ლურჯი“ — „შავი“), „ლიბრი ჩალურჯებული“ („ჩალურჯებული“ — „ლურჯ-მოისფრო“), „კეჟანა წითელშავი“ („წითელშავი“ — „ლომის ფერი“).

ზოგ შემთხვევაში (მურა, ხისვი, მრეში, მურეშა) აღმოჩნდა, რომ საქმე გეჟონია არა ფერთან, არამედ რისამე ფერთან (ბალნის, ძაღლის, ძროხის, ოთხფეხის ფერთან): „მურა შავ-წითელი ძაღლი“...

ზოგი სიტყვა ბუდის გარეშეც დარჩენილა: „ორფირი სისხლის-ფერი“, „შალი შავ-მოწითალო“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, ფერთა სახელებს დეფინიცია ვერ მოხერხებია და ბუნებრივია: ისინი უშუალოდ ცნებებს არ გადმოსცემენ.

133. ტირილი-სიტყვის ბუდე საკმაოდ ვრცელია (თვით ტირილი გაუმარტავია):

„ტირილიცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ ყრმლი არს უხმო, ოდენ ცრემლის დენა;

ვაჟმა არს ავაჯითა და კეთილის სიტყვითა სატირალს რასმე იტყოდეს და ცრემლოდეს;

გოდება არს ხმაკეთილობით და ზრუნშეწყობით გულის სატიკვართა სიტყვათა მგოსნობა,

ხოლო ზრუნი — შებანება მისი;

ქეითინი არს მწარეს ტირილზედ გულშეწყუბებულისაგან უკაფიო მაღალი დაძახილი,

რომელ არს კოკოცება;

სლუჟ-სლუჟი არს გულამოსკენილისაგან სულდაუღებლად ტირილი;

წუშუნი არს გულუტიკვარი, უცრემლო, უგვანი, უნდომი, რეცა ტირილი;

ბღვრიალი არს ყრმათა მიერ მაღალი ცუდი ტირილი;

ჩუხჩუხი (ხუჩხუჩი) არს ჩუმი და უხმო მწუხარების ტირილი, ვითარცა ქვაბი ადუღებული, გულითა.

წუშკუნი არს ლეკვისა ტირილი;

ხოლო წკმუილი ძაღლის ტირილად ითქმის“.

ეგვევ სიტყვები ცალ-ცალკეც არის განმარტებულ-განსაზღვრული, — უნდა ითქვას, უფრო სხარტად. ზოგიერთი (ქეითინი, სლუჟ-სლუჟი, ხუჩხუჩი) ტირილი“ს ბუდესთან არის გაგზავნილი, ზოგს (კოკოცება) სინონიმი აქვს მიწერილი („ქეითინი“) განმარტების ნაცვლად; ყრმლი“ს განმარტებაში ტირილი-სიტყვა არ არის გამოყენებული („თვალის წყალი“). ყველა დანარჩენის განმარტება განსაზღვრას წარმოადგენს — გვარეობით ცნებაზე — ტირილი-სიტყვაზე — არის დაყრდნობილი; მხოლოდ ზრუნის განმარტებისას გვარეობით ცნებად წარმოდგენილია არა „ტირილი“, არამედ მისი სახეობა „გოდება“ („გოდება შეხმობით ტირილი“, „ზრუნი გოდების ბანი“).

როგორც დავინახეთ, ცალკეულ უზუსტობათა მიუხედავად საბა არ ღალატობს ლოგიკურ პრინციპს — სახეობით ცნებებს გვარეობითის ბუდეში აჯგუფებს და ბუდის გარეთაც განმარტავს მათ ლოგიკური განსაზღვრის ანალოგიურად, ე. ი. შეძლებისდაგვარად იძლევა ლექსიკური ფონდის საკუთრივ-სემანტიკურ კლასიფიკაციას.

134. მოვიყვანთ ორიოდ ბუდის მასალასაც (განმარტებათა გარეშე):

ს ლ ე ა: ვიღოდა, სლუა, მოსხვა (იმოთხეიდა), სეერნობა, გეაღე, ტრეა (ტარება), სრბა, ლტოლეა, ზღდომა, ტანტალი, ღონღილი, ბაჯბაჯი, ჩოჩეა,

ბორღღუა, ცოცვა, სილა, ტაპტი, ცორუა, იარე (ჯარე), სიარული, რბენა, ჭენება, ზღტომა, ლივლივი, კუნტრუში (იბენი), ნაქნაქი, თობარიკობა, მერნობა, ჯაჯჯაგი, ზობვა, ნანნალი, ვოვა, ლახლახი, გლინვა, ძრომა, ლოღვა, ცანცალი, ძენძელი, ცერვა.

შ ი შ ი: მცონარება, კდეშულება, სირცხული, განკუირება (წყელვა), განციფრება, უღონობა (ზრუნვა).

ც ე ც ხ ლ ი: წინწკალი, ალი, ნაბერწკალი, ბურჯღული, ნაკუერცხალი, ლუღლი, ლაღარი, დაკელი, მუგუზი, ზანძარი...

სემანტიკურად ახლო მდგომი სიტყვები საბას თავმოყრილი აქვს ასამდე ბუდეში. ამ ბუდეთა სასათაურო სიტყვებია:

ამობტი, აყრა, აღხავალი, ბადე, ვახენა, გიფი, გულისმყრომა, დაბა, დანა, დარაჯა, დარვი, დაღმართი, ერჭვანი, ზროზა, ზოლიაქო, ზღუდე, თამაშობა, თმა, თხა, კაცი, კლდე, კული, ლამაზი, ლახუარი, მართვა, მახე, მენავე, მხერა, მთხრებლი, მვავე, პირადმართი, რბევა, რუსა, საბელი, ხავრძნობელი, საყრობილე, სახრევი, საშუალო, საწყავი, სახმილი, სიმყრაღე, სიცივე, სიცხე, სკორე, სულისკუთა, ტყუილი, უმეცრება, უმცროსი, ურემი, ფრთე, ფრთხილი, უშინვა, ლაღღება, ლეინო, ყინული, შარავი, შიქრიკი, შური, ჩბუნვა, ჩუქება, ცა, ცხედარი, ცხენი, ცხიმი, ცთომილნი, ცხოვარი, ძაფი, ძაღლი, ძროლა, წდოლა, შერაქვი, წვიმა, წვენი, წვივსაცმელი, წინამძღუარი, წმიდა, წყარო, ჭანგი, ჭილი, ჭურჭელი, ზანი, ზინატელი, ზიდი, ზურაობა, ჯავშანი, ჯაჭვი, ჯოგი, ჯოხი და სხვ. [48].

სემანტიკურ ბუდეებში საბას მდიდარი და საინტერესო მასალა აქვს თავმოყრილი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ლექსიკური ფონდის თემატიკური დაჯგუფებისას ამ მასალას ჯეროვანი ანგარიში უნდა გაეწიოს. მაგრამ, ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ საბას „ბუდეებში“ წარმოდგენილი ლექსიკური მასალა თანამედროვე ქართულისათვის მნიშვნელოვანწილად მოძველებულია. მეორეც: საბას სემანტიკური ბუდეები არ მოიცავს მთელ ლექსიკურ ფონდს.

თანამედროვე ქართული ლექსიკური ფონდის ამომწურავი თემატიკური დაჯგუფება მომავლის საქმეა, თუმცა ცალკეული თემატიკური ჯგუფების შესწავლა უკვე დაწყებულია *.

* ეგრძოდ, შესწავლილია ძველი ქართული ენის მასალაზე ნათესაობის სახელე-ბი [224], ზოოლოგიური ნომენკლატურა [104, 201], სხეულის ნაწილთა სახელწოდებანი [21, 190]. ანთხური ლექსიკის თემატიკურ ჯგუფებად აღსაწერად მოკლე პროგნოზის გამოქვეყნებული [145]; არსებობს სანიშნული შესრულებული დარგობლივი აღწერა რამდენიმე ქართული დიალექტის ლექსიკისა (დარგობლივი ლექსიკის შესახებ დაწერილებით იხ. ქვემოთ 95 168—170).

ბ. სიტყვის სემანტიკური აგებულება, ტერმინი. — სიტყვის გამოყენება შედარებისას. — ენობრივი მეტაფორა (გაღატანათი ხმარება). — გაღატანითი ხმარება და პოლისემია. — მნიშვნელობის „გაფართოების“, „დავიწროებისა“ და „პოლარისაციის“ შესახებ. — საგნობრივი მიმართება და ემოციური იერი.

სიტყვის სემანტიკური აგებულება. ტერმინი

135. წარმოდგენილი ცნობები ეხებოდა საერთოდ ლექსიკური ფონდის, სიტყვათა ერთობლიობის განხილვას სემანტიკური თვალსაზრისით. თუ სემანტიკური, ე. ი. საგნობრივი მიმართების, თვალსაზრისით ცალკე სიტყვებს განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ყველა (სრულმნიშვნელობიანი) სიტყვა არ ავლენს ერთნაირ დამოკიდებულებას აღსანიშნთან — სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენასთან.

ზოგიერთი სიტყვა სემანტიკური თვალსაზრისით უაღრესად მარტივია — გარკვეული ბგერადობის (ბგერათკომპლექსის) ცალსახა შეერთებას წარმოადგენს სრულიად გარკვეულ შინაარსთან.

ამგვარი ბუნებისაა, პირველ ყოვლისა, ტერმინები.

ტერმინი არის საგანგებოდ შემუშავებული, ან ნასესხები, ან კიდევ საგანგებოდ გამოყენებული სიტყვა სპეციალური — მეცნიერული — ცნების ზუსტად გამოხატავად (ან სპეციალური საგნის აღსანიშნავად).

ტერმინებია, მაგალითად, მარილმჟავა, ჟანგეული, ოზონი, ელენგოპა, ჟანგა (ქიმიკაში), სამკუთხედი, წილადი, პარალელეპიპედი, ბინომი, წრე, მრგობელი, მნიშვნელი, ახარისხება, ამოუყვება (მათემატიკაში), უჯრედი, ცხოველმოქმედება, ყვავილენი, ფერმენტაცია, პლანმოლია, ბაცილა, დამტვერება (ბუნებისმეტყველებაში), პარალიგმა, კაუზატივი, ზმნისართი, უღელილება, გვარი, დრო (გრამატიკაში) და სხვ.

ამათგან:

საგანგებოდ არის შემუშავებული: მარილმჟავა, ჟანგეული, სამკუთხედი, წილადი, ახარისხება, ამოუყვება, უჯრედი, ცხოველმოქმედება, ყვავილენი, ზმნისართი, უღელილება.

ნასესხებია: ოზონი, პარალელეპიპედი, ბინომი, ფერმენტაცია, პლანმოლია, ბაცილა, კაუზატივი, პარალიგმა.

საგანგებოდ ტერმინად გამოყენებულია: ჟანგვა, წრე, მნიშვნელი, დამტვერება, გვარი, დრო.

სიტყვის გამოყენება შედარებისას

136. მაგრამ ტერმინი არაიშვიათად საერთო სიტყვანსარებაში შედის.

მუსიკათმცოდნეობაში კარმონია ეწოდება „ტონების კანონზომიერ შესაწინებელი ერთდროულ ელერადობაში“. ეს სპეციალური ტერმინი გა-

მოყენებული აქვს აკაკი წერეთელს ლექსში, რომელსაც „ჩანგური“ ეწოდება:

„ერთი ჰქონდეს მას საგანი: ქარმონია. მისი ხმების
ცხოვრებაში იყოს ბანი, ხან ლხინის, ხან მწუხარების“.

ტერმინი მჭკბადი (მჭკბადი¹ სინონიმი) ნახმარია გიორგი ლეონიძის ლექსში:

„შენი თარი — შავარდენი არის ოქროს ავეანდიოა.
ცხრა კუბოში რომ იძინო, ვასძლებ ლექსის მჭკბადითა“.

მათემატიკის ტერმინი ინტეგრალი ჩართულია ვალაკტიონ ტაბიძის ლექსში, რომლის სათაურია „პოეზიის ინტეგრალები“:

„როცა უბრალო სიდიდეთა რჩება რკალები,
უმალესი გზა წინ შემლბა: ინტეგრალები“.

გეოგრაფიის ტერმინი მერიდიანი გამოუყენებია ალ. აბაშელს:

„მაშინ ცას შეკრავს ძველი თალები და შზის ამოსვლა დაივიანებს.
და სხვა ბორკილი, სხვა არტახები შეცვლის აწვევტილ მერიდიანებს“.

მაგალითები, რა თქმა უნდა, ამოუწურავია.

საერთო ენაში სპეციალური სიტყვის, ტერმინის შესვლით უკვე „იმღერევა“ ამ სიტყვის სემანტიკა — გარდა გარკვეულ ცნებაზე მითითებისა, იგი იძენს დამატებითს ემოციურ ელფერს, აზრობლივ ნიუანსებს, რაზედაც მკაფიოდ მიუთითებს უჩვეულო, ტერმინული მნიშვნელობისათვის წარმოუდგენელი კონტექსტები: „ლ ე ქ ს ი ს მჭკბადი“, „პოეზიის ინტეგრალები“, „აწვევტილი მერიდიანები“...

მით უფრო ეს ითქმის ტერმინად გამოყენებულ საერთო ხმარების სიტყვებზე.

ამრიგად, რაგინდ მარტივი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ სიტყვას, იგი არ არის დაზღვეული ხმარების სფეროს გაფართოებისაგან: არაიშვიათად ამა თუ იმ ცნების (მოვლენის) აღნიშვნის გარდა სიტყვა აღსანიშნავად იძენს დამატებითს ობიექტებს.

187. პირველ ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ასეთი შემთხვევები:

სიტყვა შე დ ა რ ბ ი ს ა ს გამოიყენება, როდესაც სულ სხვა საგნის ესა თუ ის თვისება სურთ მკაფიოდ გამოხატონ:

„შირაქის გზაზე მივდივარ, უკან მამრუნებს ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა, წითლად უჩანდა მხარიო,
ს ა ყ ვ ა რ ლ ი ს კ ა ბ ა ს ვ ა მ ს გ ა ე ს ე, ღმერთო, დამწერე ჭვარიო“
(ხალხური).

„ბინდის ფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“ (ხალხური).

„თვალი მივირავს შენზედა, როგორც მიმინოს მწყერზედა“
(ხალხური)

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა...“

შართ აგრეთვე შელესეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ (რუსთაველი)

„სალამო იწვა ხავერდის ყდაში, ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი“
(გ. ტაბიძე)

ვით ხშირად სუფიქსად არის ქცეული და შესადარებელ სიტყვას დაერთვის:

„დგას საქართველო ოქროს თასივით შენი ლექსებას ნექტარით სავსე“
(ალ. აბაშელი).

შედარებისას გამოიყენება სხვა სუფიქსებიც:

„ღეზი ვერა ნემსა ლურჯასა, გადავერიო ზღვაშია.“

თქვენთან ძალღურად სიციცხლეს სიკვდილი მივობს ცდაშია“ (ვაჟა)

„მეც შენებრ მიწას დაუყურებ თვალით,

რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით“ (ილია) და სხვ.

ინდივიდუალურ პოეტურ შედარებათა გვერდით მრავლად გვაქვს დამკვიდრებული (კონვენციური) შედარებები:

„ციბრჭუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია“ (რ. ერისთავი), „ქარგია ძილი ქუასავით მძიმე, ან უცხოეთში საღმე დაქარგვა“ (გ. ტაბიძე), „შაყვალღვით, (კუპრივით, გიშერივით) შავი“, „ბამბასავით (თოვლივით) თეთრი“, „ყინულივით ცივი“, „რკინასავით (ქუასავით, კლდესავით) შავარი“, „ქარივით (ნიასვივით) სწრაფი“, „ცეცხლივით (სისხლივით) წითელი“, „შაქარივით (თაფლივით) ტბილი“, „ტყვიასავით მძიმე“, „სამარისებური სიჩუმე“, „კოკისპირული წვიმა“...

188. სიტყვა ფიგურალურად ა შეიძლება იხმარონ შედარების აღმნიშვნელი სიტყვისა თუ ნაწილაკის გამოუყენებლად.

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზემარი გადაეფარა“ (ილია).

„ღალამდა, წერილი ვარსკვლავნი აენთენ, დასხდნენ ცაზედა“ (ვაჟა).

„შენი სახე გულს კამრავლეს სადაც ვიყო, როგორც ვიყო“ გ. ტაბიძე).

„მეგობრებო რწმენა — სალი, გული — ცეცხლი, რკინა“ (ნ. ჩხიკვაძე).

ენობრივი მეტაფორა
(გადატანითი ხმარება)

130. სიტყვათა ამგვარი, ინდივიდუალური, გამოყენების გარდა გვაქვს ენობრივი, საყოველთაოდ გავრცელებული ფიგურალური ხმარების შემთხვევებიც: ჯორი ჭიუტი ადამიანის აღსანიშნავად გამოიყენება ხოლმე; მოუხეშავ, ტლანქ ადამიანს დათეს უწოდებენ, თხა დაუფიქრებელი და ცეტი, ხოლო ცხეარი მშვიდი და წყნარი ადამიანია. ასეთივე გამოყენება აქვს ბევრი ცხოველის სახელს: გველი, ძაღლი, ვირი (მუტრუკი).

ძროხა („ძროხა ყაზახი“). ხარი (მთის კილოებში დადებითი ეპითეტია), კვირანი, ზატი, ინლაური, დედალი, ჭაკი, მამლაყინა და მრავალი სხვა.

გადატანითი ხმარება, ცხადია, არამართო ცხოველების სახელებისა ხდება: გავისსენოთ, ერთი მხრით, ლობიო, თხლე... მეორე მხრით, ოქრო. თვალისნინი... ვარსკვლავი 'ზედი'ს აღსანიშნავად გამოიყენება; ვარვარებს-ზმნა პირდაპირი ხმარებით ნიშნავს 'სიმხურვალისაგან გაწითლებული (ლითონი)', გადატანით — 'დიდი სიცხე აქვს (ავადმყოფს)'.

თი კიდეც რამდენიმე მაგალითი ენაში დამკვიდრებული გადატანითი ხმარებისა:

ვაება 'ეაის ძახილი' — 'დიდი მწუხარება': „ავდგეთ, კმარა, გვეყო ვაება“ (ი. ევლოშვილი) — „მთელი ჩემი ცხოვრება ტანჯვაა და ვაება“ (აკაკი).

ვალი 'სესხად აღებული ფული' — 'ზნეობრივი მოვალეობა': „გაინრდები გენაცვალე, თავისუფალიო, ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაგტეხს ვალიო“ (აკაკი) — „მივეშურები იქით, საითკენაც ჩემი ვალი მიმიწოდებს! სიკვდილი ან გამარჯვება!“ (აკაკი).

ველური 'გარეული, მოუღინაურებელი (ცხოველი)' — 'შბეცური, არაადამიანური (ქცევა)': „ილესავდა კბილებს შეუპოვარი ველური ტახი“ (ე. ნინოშვილი) — „თქვენი საქციელი მეტად მკაცრია, მეტად ველური“ (ა. ყაზბეგი).

ვერანა, ვერანი 'გაპარტახებული, გატიალებული (ადგილი)' — 'ოხერი, ტიალი (სალანძღავი სიტყვა)': „პოი, მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი, დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი“ (ნ. ბარათაშვილი), „ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ თავისი ადგილები... ვერანი მინდვრები შეუმუშავებლად არ დარჩენოდა“ (გ. წერეთელი) — „ვერ უყურებთ კაცო, ამ ვერანა ყვავს, რას მიშვრება?“ (თ. რაზიკაშვილი), „გულს რამდენს უკლავს ალალს კაცს წუთისოფელი ვერანი“ (ვაჟა).

ვერელე 'ზევით მყოფი; ზედაპირული' — 'ფუქსავატი, არასერიოზული': „ვერელე ხენა ასარეველიანებს ნიადაგს“ (პრესიდანი) — „თვით უტანლარი ვერელე ქალი ხომ არ არის?“ (შ. დადიანი).

ვომავს 'რისამე ზომას განსაზღვრავს' — 'განსჯის': „(ქოვრით) წყლის სიღრმეს ვომავდა“ (ს. კლდიაშვილი) — „ტანისამოსით და სმა-ჰამით ვომავენ ადამიანის ბედნიერებას“ (ია ეკალაძე).

ზღვა 'მლაშე წყლის დიდი მასა' — 'აუარება, აურაცხელი': „რიონი ზღვის შესართავში ხომ უზარმაზარია“ (ა. ცაგარელი) — „ზღვა ხალხი გაიბნა ქუჩებში“ (დ. კლდიაშვილი).

თავადებული 'თავაწეული' — 'თამამი, კადნიერი': „ირემი თავადებული დადიოდა — დახლართული რქები ყველას დევანახო“ (ნ. ლორთქიფანიძე) — „ხიზანი მორიდებული უნდა იყოს, განა შენსავეთ ბრყვი და თავადებული!“ (ვაჟა).

თელავს 'ფეხით სრესს' — 'არაფრად აგდებს': „ფერხულს აბამენ, გოგონას მღერენ, თავისუფლად ბალახსა სთელენ“ (ვაჟა) — „(აშშ) დღისით, მზისით, უხეშად და უტიფრად თელავს პატარა ხალხების უფლებებს“ (პრესიდან).

იელვებს 'ელვა გაანათებს' — 'სწრაფად გაირბენს (ფიქრი, გრძნობა)': „საშინლად იელვა და... წამოვიდა სხელი, სეტყვისებური წვიმა“ (ა. ჭუმბაძე) — „ზოგში ხან დედის თავსასთუმალი, ხან ელანდება მამის სამოსი, ზოგში იელვებს აბასთუმანი ან შემოდგომა საკურამოსი“ (ი. აბაშიძე).

იფოტებს 'აფეთქება მოხდება' — 'უეცრად და მძლავრად იჩენს თავს (განცდა, გრძნობა)': „ურემზე თოფის წამალმა იფოტა და 52 კაცი დახოცა და დააზიანა“ (ი. მაქავარიანი) — „გულში იფოტა სიამეშ. ცრემლები უკუეყარო“ (აკაკი).

კალაპოტი 'მდინარის სადენი ჩაღრმავება' — 'გარკვეული ფარგლები რაიმე მოქმედებისათვის': „წყალი ამ ალაგას ღრმა კალაპოტში მიმდინარეობდა“ (შ. დადიანი) — „ვეჭიფობ... განსაზღვრულ კალაპოტში!“ (ნ. ლორთქიფანიძე).

ლაქუსი 'ძალის თამაში ვინმესთან კულის ქნევით და ტანის მოძრაობით' — 'პირფერობა, მლიქვნელობა': „ძალებმა შეწყვიტეს ყეფა და კულების ქნევით დაუწყეს ლაქუსი შავ ლანდს“ (გ. წერეთელი) — „(ინგილოებს) ლაქუსი. ფეხქვეშ გაგება ჰირივითა სძულთ“ (ი. გოგებაშვილი).

მაღალი 'ქვევიდან ზევით დიდი ზომისა' — 'დიდი ღირებულებისა, რანგისა': — „ბეკოს ნაფუძართან მაღალი ანწლია“ (უიარალო) — „ენა მაღალი, მის ძალი, მაღლი უწყალოდ წახდა უწმინდურ წრეში“ (გრ. ორბელიანი).

მიახლის 'მიახეთქებს' — 'პირდაპირ, მოურიდებლად ეტყვის': „ქიქა მის ჰიქას მიახალა“ (ნ. ლორთქიფანიძე) — „თქვენ მიშლით მუშაობას! — უეცრად მიახალა მხატვარმა ქალს“ (ა. ჭუმბაძე).

ნაკვალევი 'კვალი' — 'რისამე დარჩენილი ნიშანი': „ამ ტალახში აღამიანის ფეხი კი არა, ჩიტის დაცხიკვებაც ტოვებს ნაკვალევს“ (ს. კლდიაშვილი) — „ჩემს თვალებს ვერ დაემალვის იმ გრძნობის ნაკვალევი“ (ვაჟა).

რღვევა 'ქსოვილის... დამლა' — 'წესის ძალის დაკარგვა': „ვენა-

ხი (=ვაზი), რომლითაც ტივი იყო შეკრული, ორ-სამ ადგილს გაწყდა... და ტივმა იწყო *რღვევა*" (ე. ნინოშვილი) — „დაიწყო ნელ-ნელა *რღვევა* გლეხების ერთპირობამ“ (ე. ნინოშვილი).

ტივით 'გადასატანი ბარგი' — 'მოვალეობა': „თითქო მძიმე *ტივითის* ქვეშ შეიშმუშნაო“ (შ. დადიანი) — „გაზეთის მოკლე წერილებით ძნელია კაცი ამ *ტივითს* გაუძღვეს“ (ილია).

ფანდი 'ჭიდაობის ხერხი' — 'ხერხი, ხრიკი, ოინი': „(მოჭიდავეებმა) მოსაწონი სიმკვირცხლით ჩაატარეს ქართული ჭიდაობის *ფანდუბი*" (პრესა) — „*კახთბატონს* არ მოეწონა დავითის მიერ სხვათა აზრის მოჭრის *ფანდი*" (ლ. გოთუა).

ფანტავს 'აბნევს' — 'უთავბოლოდ ხარჯავს': „ქარი *ფანტავდა* ეზოში დაყრილ შემოდგომის ფოთლებს“ (ს. კლდიაშვილი) — „მამ დღეს რომ პარიზში ეიფელის კოშკი ამართეს ქვეყნის გასაოცებლად, სულელობაში ჩამოერთმევა *ფრანგებს*, აქაო და ამებზე ფულს როგორ *ფანტავნო*" (ილია).

ქარიშხლიანი 'როდესაც ან სადაც ქარიშხალია' — 'მშფოთვარე': „დიდი ქალაქი, ტურთა ქალაქი ლელავს ვითა ზღვა *ქარიშხლიანი*" (ი. ევდოშვილი) — „სიკვდილი კი არ მოსულა მგოსნის კართან, ასეთია *ქარიშხლიან* სულის ბოლო“ (ა. კალანდძე).

ყალბი 'რიოში' — 'არაგულწრფელი': „რვა წლის წინათ ხმა გავარდა — ზოგმა თავად-აზნაურმა *ყალბი* სიგელი წარმოადგინაო“ (მ. ჭავჭავაძე) — „პიესების პათოსი ხშირად *ყალბია*" (გ. ქიქოძე).

შავი 'ყორნისფერი' — 'უსიხარულო': „*შავი* ცხვარი ბანით მოკლეს, თეთრი — უბანელობითაო“ (ანდაზა) — „ემცნო ცისკარას *შავი* ამბავი“ (გ. ლეონიძე).

ჭირისუფალი 'მიცვალებულის პატრონი' — 'მზრუნველი, მოამაგე': „ახალი მიცვალებულების *ჭირისუფლებს* საფლავებზე თაფლის სანთლები დაენტოთ“ (რ. გვეტაძე) — „საზოგადოდ, ვისაც ტუსალობა გამოუტლია, იმან იცის, რა ძნელია, როცა შენ კვირაში ერთხელ მაინც ინახულებ ვისმე, ვინმე გაგიხსენებს, მაშინ, როცა მეორე მთელი წლობით ელოდება *ჭირისუფალს*" (ვ. ლომთათიძე)...

140. გადატანითი სიტყვახმარების არსი ისაა, რომ ახალი ობიექტის აღნიშვნისას სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ხმარებაც ეოცხალია ენობრივ კოლექტივში, ე. ი. ყოველი გადატანითი ხმარება მოტივირებულია — მას ზურგს უმაგრებს სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა, რომელიც ასე უშუალოდ ვერ აიხსნება — მისი „მოტივი“ დღეს ხელშესახებლად არ ჩანს (შდრ. ზემოთ § 94).

ჩვენი მაგალითებიდან ამგვარი გადატანითობა განსაკუთრებით იგრ-

ძნობა ცხოველთა სახელების შემთხვევაში, თუმცა რაკი აქ გვაქვს არა ერთგზისი, ოკაზიონალური გადატანა (როგორც ეს, მაგალითად, პოეტურ მეტაფორაში), არამედ დამკვიდრებული გადატანა, — კავშირი თავდაპირველ აღსანიშნა და ახალ აღსანიშნს შორის მანაც შესუსტებულია:

როდესაც ვინმეს *ძალი* უწოდებენ, ძნელი საეარაუღოა — ამ აღამიანის მიმართ მკაფიოდ უარყოფითი გრძნობა მოდიოდეს იმ გრძნობიდან, რომელიც ძალის როგორც ცხოველის მიმართ გვაქვს: ძალი როგორც ცხოველის სახელი (ე. ი. გადატანითი ხმარებისათვის საყრდენი ძირითადი მნიშვნელობით) დღეს უფრო დადებითი ელფერის სიტყვაა. გველად ვისიმე მიჩნევაში, მართალია, უარყოფითი გრძნობა მეორდება, მაგრამ ეს გრძნობა გველის როგორც ცხოველის თვისებას არ უკავშირდება: გველს — ცხოველს სიცბიერეს ამჟამად არ მიაწერენ ხოლმე. *ჯეირან*ს დადებით ეპითეტად ვხმარობთ, მაგრამ თვით ჭეირანი კი იშვიათად თუ ვინმეს უნახავს. ჭეირანი იგივე ქურციკია, თხის ჭიშის გარეული ცხოველია და ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე არ გვხვდება.

ამრიგად, ენობრივი (ენაში დამკვიდრებული, უზუალური) გადატანითი ხმარება, ასე თუ ისე, ავტონომიურია ამოსავალი, ძირითადი მნიშვნელობისაგან.

141. გადატანითი ხმარებისას აღსანიშნს, ჩვეულებრივ, საკუთარი, ნამდვილი სახელიცა აქვს:

როდესაც აღამიანის თავს *გოგრა*ს უწოდებენ, მის გვერდით თავისიტყვაც არსებობს. *გოგრა* მისი ექსპრესიული სინონიმია, ე. ი. მხოლოდ იმიტომ იხმარება თავი-სიტყვის ნაცვლად, რომ მის მიმართ საგანგებო — ირონიული — დამოკიდებულება აღინიშნოს. როდესაც ჭიუტ კაცს *ჯორ*ს ეძახიან, ჯორი ამ შემთხვევაში იმიტომ მიიჩნევა გადატანით ხმარებად, რომ სათანადო თვისების დასახასიათებლად „ნამდვილი“ სახელი — *ჯიუტი* უკვე არსებობს და მხოლოდ ამა და ამ კაცის ჭიუტობის ექსპრესიულად გადმოცემისათვის — ე. ი. უფრო გამოკვეთილად, უფრო მკაფიოდ გადმოცემისათვის — გამოიყენება თავისი ჭიუტობით სახელგანთქმული ცხოველის სახელი.

142. გადატანითი ხმარების შემთხვევათა ერთობლიობას ხშირად აჯგუფებენ მეტაფორებად, მეტონიმიებად და სინეკდოხებად. გადატანითი ხმარების ამგვარი დაჯგუფება ტრადიციული პოეტის კუთვნილებაა და მისი ლინგვისტური ღირებულება შეზღუდულია.

143. უფრო საყურადღებოა გადატანით ხმარებათა დაჯგუფება ამოსავალი მნიშვნელობის ხასიათის მიხედვით.

მიუთითებენ, რომ ზოგადი სემასიოლოგიური მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ცხოველთა სახელები გამოიყენება ადამიანთა სულიერი და ხასიათებისათვის: გუელაშუა. ზემოთ დასახელებული გველი, ვორი, ვეირანი, ძაღლი...

ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები გამოიყენება ნივთთა ნაწილების სახელებად: დოქის ტური, ურმის თვალი, გოდრის ყური, შუბლის კედელი 'სახლის წინა კედელი', წინდის ყელი, ყველის ძიძი, სუფრის ფეხი...

ფიზიკური მოვლენის სახელი გამოიყენება სულიერის აღსანიშნავად: ტკიბილი ოცნება, შავი ფიქრები, მახვილი აზრი...

კონკრეტული საგნის სახელი — განყენებული ცნებისათვის: ვერცხლი 'სიმდიდრე', ნაღველი 'მწუხარება' და სხვ.

მაგრამ ამგვარი დაჯგუფება ჯერაც არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული.

გადატანითი ხმარება და პოლისემია

144. გადატანითი ხმარება უეჭველ დამოუცილებელ მნიშვნელობად გვევლინება ისეთ შემთხვევებში, როდესაც სათანადო საგანს (მოვლენას) სხვა სახელი — ძირითადი, საკუთრივ მისთვის (და სხვისთვის არავისთვის) განკუთვნილი, „ნამდვილი“ სახელი არ მოეპოვება.

ყელი დოქისა როდია ყული-სიტყვის გადატანითი ხმარება, როგორცაა, ვთქვათ, გოგრა ადამიანის თავის აღსანიშნავად: დოქის ამ ნაწილს სხვა, საგანგებოდ მისთვის განკუთვნილი სახელი არა აქვს; დოქისთვისაც ყული ისეთივე სახელია, როგორც ადამიანისათვის, ოთხფეხისათვის, პირუტყვისათვის... მართალია, დოქის ზედა შევიწროებულ ნაწილს ყული დაარქვეს ცხოველის ყულის ანალოგიით, ე. ი. სხეულის ნაწილის სახელი „გადაიტანეს“ ამ ჭურჭლის გარკვეული ნაწილის სახელად. მაგრამ რაკი ჭურჭლის ამ ნაწილს სხვა სახელი არ ჰქონია, ცხადია, ხმარების პირველი დღიდანვე ყული წარმოადგენდა ჭურჭლის ნაწილის ერთადერთ სახელს და არა ექსპრესიულ სინონიმს ნამდვილი სახელისას, როგორცაა გოგრა 'ადამიანის თავის' სახელად (შდრ. [182]).

გოგრა მონოსემიურია (ერთი მნიშვნელობის მქონეა): მისი მნიშვნელობაა — ერთწლიანი კულტურული მცენარის, Cucubrita's ნაყოფის სახელი, ხოლო ადამიანის თავის მიმართ იგი გადატანითი ხმარება.

ყულის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მონოსემიურ (ერთადერთი

მნიშვნელობის მქონე) სიტყვასთან და მის გადატანით ხმარებასთან, არამედ უკვე მის სხვადასხვა მნიშვნელობებთან, ე. ი. სიტყვა პოლისემიურია, რამდენიმე მნიშვნელობის მქონეა:

გოგრა ერთ-ერთი კულტურული მცენა-ეელი 1. აღამიანის თავისა და ტანის შერის ნაყოფის სახელი. | ირონიულად იხმა-მავრთებელი ნაწილი. 2. ზოგი ქურჭლურება აღამიანის თავის აღსანიშნავად. მუცლის ზევითა ვიწრო ნაწილი.

როგორც ვხედავთ, სიტყვის გადატანითი ხმარება და პოლისემიური სიტყვის მეორე მნიშვნელობა არ გაირჩევა მეტაფორულობის ქონება-უქონლობით — მეტაფორულობა ორივეს საფუძველს წარმოადგენს. მათ შორის განსხვავებას ის ქმნის, რომ ერთ (გადატანითი ხმარების) შემთხვევაში მეტაფორა, გადატანითობა აუცილებელი კომპონენტია სიტყვის მნიშვნელობისა, მას საკომუნიკაციო ღირებულება აქვს — ამ სიტყვის წარმოთქმისა და გაგონება-გაგებისას იგი მუდამ მეტაფორად აღიქმება; მეორე (პოლისემიის) შემთხვევაში გადატანით ხმარებული სიტყვა საგნის (მოვლენის) საკუთრივს სახელს წარმოადგენს და მეტაფორულობა სიტყვის მნიშვნელობის გაგებისათვის საჭირო არ არის (იქნებ ხელისშემშლელიც კი აღმოჩნდეს — კომუნიკაციისას გაუგებრობის წყაროდ იქცეს).

145. თავდაპირველი მნიშვნელობა ყოველთვის არ გვხვდება გადატანითი ხმარებით წარმოშობილ მნიშვნელობასთან ერთად და მის გვერდით, ე. ი. ყოველთვის არ არის წარმოდგენილი სიტყვაში.

არაიშვიათად სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგულია, გამჭრალა და ენაში მეორეული ხმარებაა არის შემორჩენილი, ე. ი. სიტყვა ისევ მონოსემიურია.

კაპუტო ზამთარგამოვლილ მიმინოს აღნიშნავდა; ეს სიტყვა გადატანით კაპასი დედაბრის (უფრო — შინაბერას) მიმართ იქნა გამოყენებული. ამჟამად სალიტერატურო ქართულისათვის კაპუტო-სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა არააქტიურია — კაპუტო-მიმინო არავის ახსოვს და დღევანდელ ენაში მხოლოდ მეორეული ხმარებაა არის შემორჩენილი ერთადერთ მნიშვნელობად: კაპუტო ისევ მონოსემიური სიტყვა გახდა.

მესვეური სევს გამტანს, მეთაურ მომკალს ნიშნავდა (და ისეთივე სპეციალური სიტყვა იყო, როგორცაა, მაგალითად, გუანისდელა); მესვეური-სიტყვის გადატანითი ხმარება ღაიმე საქმის წამომწყებისა და მეთაურის აღსანიშნავად ამჟამად ერთადერთი მნიშვნელობაა ამ სიტყვისა (რომელსაც, თავის მხრით, მეორეული, ირონიული ხმარება განუვითარდა. იხ. აკრეოუე § 214).

აღორძინება ნიშნავდა (მცენარის) ზრდა-განვითარებას:

„ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა, რომელმან დათესა თეს-
ლი კეთილი აგარაკსა თვისსა. და ვითარცა დაიძინეს კაცთა, მო-
ვიდა მტერი მისი და დასთესა ლუარძლი შორის იფქლსა მას და წარ-
ვიდა. და ვითარცა აღმოსცენდა ჭეჭლი იგი და ნაყოფი გამოიღო,
მაშინ გამოჩნდა ლუარძლი იგი. მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს
სახლისა უფალსა მას: „უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დავსთესეთ
აგარაკს შენსა? ვინაჲ აღმოსცენდა ლუარძლი?“. ხოლო მან ჰრქუა:
„მტერმან კაცმა ყო ეგე“. ხოლო მონათა მათ ჰრქუეს მას: „გნებავსა,
რამთა მოვიდეთ და გამოვარჩიოთ იგი?“, ხოლო მან ჰრქუა მათ: „ნუ
უკუე შეკრებასა მას ლუარძლისასა აღმოჰხუტრათ იფქლიცა. არამედ
აცადეთ იგი ერთად აღორძინებად ურთიერთას, ვიდრე ეამადმდე მკი-
სა, და ეამსა მკისასა უბრძანო მომკალთა მათ:—შეკრიბეთ პირველად
ლუარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რაითა დაიწუეს; ხოლო იფქლი
იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა“ (მთ. 13, 24—39).

ძველ ქართულშივე გვხვდება ამ ფუძის გადატანითი ხმარება:

„იგი ჭერ არს აღორძინებად და ჩემდა მოკლებად“ (ი. 3,30).

შემდეგ ნამდვილი მნიშვნელობა დაიკარგა, გადატანითი ხმარება-
ლა დარჩა და იგი დამოუკიდებლად განვითარდა სემანტიკურად: ამეა-
მად აღორძინება 'ხ ე ლ ა ხ ლ ა განვითარებას, გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა ს' ნიშ-
ნავს (ამიტომ მიუსადაგეს ეს სიტყვა რენესანსს და მის თარგმანად გა-
მოიყენეს).

**მნიშვნელობის „გაფართოების“, „დავიწროებისა“
და „პოლარიზაციის“ შესახებ**

146. ლაპარაკობენ ხოლმე სიტყვის მნიშვნელობის გაფართოე-
ბის და დავიწროების შესახებ. ცნობილია, რომ მნიშვნელობის
ამგვარი დახასიათება ლოგიკის გავლენით მოხდა: სიტყვის მნიშვნელო-
ბას ცნებასთან ათანაბრებდნენ, ამიტომ, ცნებათა მეტ-ნაკლები მოცუ-
ლობის ანალოგიით, სიტყვისათვისაც ვარაუდობდნენ ფართო და ვიწრო
მნიშვნელობის ცვლას დავიწროების თუ გაფართოების მიმართულე-
ბით [182].

მნიშვნელობის ცვლის ამგვარი — ლოგიკისტური — გაგების საპი-
რისპიროდ აღინიშნა, რომ ყველა ცვლა მნიშვნელობისა არსებითად
მნიშვნელობის გადატანაა და სხვა არაფერი, რადგან იქ, სადაც ერთი
თვალსაზრისის მიხედვით მნიშვნელობის გაფართოებაზე ლაპარაკობენ,
ყოველთვის დაიძებნება სხვა თვალსაზრისი, რომელიც მნიშვნელობის
დავიწროებას დაინახავს [266].

კლამი — გარკვეული მცენარის სახელი — გამოყენებული იქნა სახელად საწერი იარაღისათვის, რომელიც ამ მცენარის ღერისაგან გაკეთდა. საკითხავია: გაფართოვდა თუ დავიწროვდა კლამი-სიტყვის მნიშვნელობა?

ვინც მოისურვებს აქ მნიშვნელობის გაფართოება დაინახოს, ის იტყვის, რომ საწერი მოწყობილობა სხვა მასალისაგანაც შეიძლება გაკეთდეს. სახელი კი მცენარისა (ღერისა) რჩება.

მნიშვნელობის დავიწროებად დაახასიათებს ხსენებულ მნიშვნელობის ცვლას ის, ვინც მცენარის ღერის სხვა ფუნქციებისა და მიჯნებს უურადლებას: საწერი იარაღის სახელად კლამი-სიტყვის გამოყენებით უგულებელიყოფა მცენარის (ღერის) გამოყენების სხვა დანარჩენი შემთხვევები:

კლამი — მცენარის ღერი

კლამი — საწერი იარაღი

სხვადასხვა
დანიშნულებით
↓
საწერ
იარაღად

სხვადასხვა
მასალისაგან
↑
მცენარის
ღერისაგან

„მნიშვნელობის დავიწროება“

„მნიშვნელობის გაფართოება“

ამგვარი ორაზროვნება არ გვექნება, თუ ვიწრო მნიშვნელობის სიტყვებად მხოლოდ საკუთარ სახელებს მივიჩნევთ, ე. ი. ცალკე საგნების თუ მოვლენების (და არა მოვლენათა თუ საგანთა კლასების) სახელებს.

მართლაც, ბევრი საკუთარი სახელი გამოყენებულია საზოგადო სახელად. მინერალური წყლები — ბორჯომი, საირმე, ნაბეღლაჟი, სკური... ღვინო — ზეანჭკარა, შინანდალი, ნაფარული... ნარმა — ამერიკა, ხელსახოცი — ბაღდადი, მოკიჭული ჭურჭელი — ინგლისი; ჩინი 'ჩინეთს' ნიშნავდა და შემდეგ — 'ჩინურ (მოკიჭულ) ჭურჭელს'; ასევე არსებობს თოფი — მაჭახელა, ყირიმი და სხვ. იულიუს კეისრის სახელი საზოგადო სახელი შეიქმნა: ბასილი კეისარი, კეისარი იუსტინიანე... ფონეტიკურად სახეცვლილი დამკვიდრდა გერმანულში — Kaiser: Kaiser Wilhelm და რუსულში — царь: царь Иванъ Грозный...

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ შემთხვევაში საკუთარი სახელები უშუალოდ კი არ იქცევა საზოგადო სახელებად. არამედ სიტყვაწარმოებით გა-

ზედსართავდებიან ხოლმე, შემდეგ კი ზოგჯერ ზედსართავიანი სინტაგმის გამარტივება ხდება, მეორე კომპონენტი (სუბსტანტივი) ქრება და ზედსართავი უკვე დამოუკიდებლად გამოდის მთელი სინტაგმის წარმომადგენლად — საგნის აღმნიშვნელად:

კახური აღნიშნავს 'ღვინოს': „მტერი ამბობს... მოყვარეს კი აბა ჰკითხეთ — რა კაცია? სულ კახურს სვამს, წყალს კი არა! — ისე უყვარს თვის ნაცია“ (ი. ევდოშვილი)... (მაგრამ ჩურჩხელა-სიტყვისათვის იგი ისევე ზედსართავია).

'ცეკვას' აღნიშნავს ბაღდადური: „მზის ფარვანა დაჭვარფატებს ხან მოლოქსა, ხან დანდურსა, ვარსკვლავებიც ცის კიღურზე თამაშობენ ბაღდადურსა“ (ი. გრიშაშვილი).

ლეკური არის 'ხმლის' და 'ცეკვის' აღმნიშვნელი სიტყვა: „ჰაერში ლეკური შეატრიალა, ჩააგო“ (ნ. ლორთქიფანიძე), „მანდილოსნები შეგროვილიყვნენ და ლეკურს თამაშობდნენ“ (გ. წერეთელი)... (მაგრამ შდრ.: „დედამ შეიღს ჩაულაგა ერთი ხელი უკეთესი ქვეშაგები, საცვალი ტანისამოსი, კი ლეკური შალის ჩოხა-შარვალი“ (ილია). „რძალმა სოფიომ მამამთილს მიაშურა და ლეკური ჩუხტების ხდა დაუწყო“ (ვაჟა).

ხმალსავე აღნიშნავს ფრანგული: „სად შემიძლიან გიამბოთ სად რა ომებში ვყოფილვარ და მიტრიალებია ცხოვრებისეული ფრანგული“ (ვაჟა), ... (მაგრამ — ფრანგული ღვინო, ფრანგული ლიტერატურა...).

ყურძნის ჰინს ეწოდება ალექსანდრეული და სხვ.:

პირიქით, ზოგადი მნიშვნელობის სიტყვის საკუთარ სახელად გადაქცევა, ე. ი. საგანთა თუ მოვლენათა კლასის აღმნიშვნელი სიტყვის ცალკე საგნის აღნიშვნით შემოფარგვლა („მნიშვნელობის დავიწროება“) გვაქვს შემდეგ შემთხვევებში:

ყვავილის სახელწოდებანი ზიზილა, ია საკუთარ სახელებად ქცეულა; ასევე აღამიანთა სახელებია იაღონი, ნუკრი (ია და ნუკრი გვხვდება როგორც ქალის სახელად, ისე ვაჟისად), კინობითი ბიჭიკო, ვაჟა და ჭაბუკა (ეს უკანასკნელი — არაკინობითის ფორმითაც: ჭაბუკი) ვაჟთა საკუთარი სახელებია, გოგონა, ცირა — ქალისა.¹

ზოგადი სახელებიდან მიღებულია ბევრი გეოგრაფიული სახელი: ხევი, გორი, ბოსლუევი, ზუკარი, მუხიანი, კობიყნარი, ხაშური, აგარა... (დაწვრილებით — [156]).

სხვა (ე. ი. საკუთარ სახელებთან დაუკავშირებელი) შემთხვევები

მნიშვნელობის „გაფართოებისა“ თუ „დავიწროებისა“ უმტკივნეულოდ შეიძლება მივათვალოთ მნიშვნელობის გადაწევას.

147. მნიშვნელობის ცვლის სახეობათა შორის ზოგჯერ საგანგებოდ გამოყოფენ პოლარიზაციას, ე. ი. ისეთ შემთხვევას, როდესაც სიტყვას განუვითარდება სრულიად საწინააღმდეგო, საპირისპირო მნიშვნელობა. ნამდვილად პოლარიზაციად დაფასება მხოლოდ საბოლოო შედეგის აღწერაა და არა მნიშვნელობის ცვლის რაიმე შინაგანი კანონზომიერების დახასიათება.

ჟადო-სიტყვას დღეს ორი საპირისპირო მნიშვნელობა აქვს: 'წარმტაცი, მომხიბლავი': „ჟადო ღიმილით გაცისკროვნებული სახე“ (რ. გვეტაძე) — 'უშნო, მაზინჯი გარეგნობის ადამიანი': „აფსუსი არ არის, რომ შენ ჭიტუა გვხვეოდეს, მე კი — ამ ჟადოს?“ (შ. არაგვის-პირელი). ნამდვილად კი ორივეს საფუძველია ჟადო'ს თავდაპირველი მნიშვნელობა — 'თილისმა, ხიბალი'. აქედან განვითარდა როგორც 'მომხიბლავის' მნიშვნელობა, რაც შემდეგ 'ძლიერ კარგის', მიმზიდველის' გამომხატველ სიტყვად იქცა, ისე 'ჯადოს მქონეს, ჯადოქარის' მნიშვნელობა; ეს უკანასკნელი ბუნებრივად დაუკავშირდა როკაპს, კუდიანს, რომელიც საზიზღარი უბილო დედაბრის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი.

ლამაზის დღევანდელი დადებითი მნიშვნელობა უპირისპირდება თავდაპირველ აშკარად უარყოფით მნიშვნელობას — ნიშნავს 'მაყიენებელს, ყბადამლებს, მათრეველს' [3, 4]. მაგრამ სიტყვის ისტორიას თუ გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ აქ არავითარი პოლარიზაცია, მნიშვნელობის „გახლეჩა“ არა გვაქვს — არის ჩვეულებრივი თანდათანობითი ცვლა მნიშვნელობისა: ლამაზი-სიტყვიდან ნაწარმოები ლამაზობა — ჯერ 'თვალთმაქცობის' და შემდეგ 'კობტაობის' მნიშვნელობით — გახდა ხიდი 'ლამაზის' თანამედროვე მნიშვნელობაზე გადასასვლელად (მნიშვნელობის ამგვარი ცვლის მიზეზთა შესახებ იხ. ქვემოთ § 214).

აშკარად უარყოფითი ელფერის ('სატანა, ავი სული') ეშმაკი-სიტყვა დადებითი ელფერის სიტყვად აქცია 'ცელქი ბავშვის' მიმართ საალერსოდ სმარებამ. ხელშესახებია მნიშვნელობის ცვლის გზა: 'სატანა, მაცდური' — 'ცბიერი, გაქნილი, მიხერსებული' — 'ცუდ-ლუკი' — 'ცელქი'.

გვახსენია 'მეურნეობის მართვას' ნიშნავდა, რაკი მართვა იყო — გონივრული, თავიანი მართვა იტულისხმებოდა. ეს კი, თავის მართ, ფლანგვის, გაუმართლებელი ხარჯვის საპირისპიროდ, მომჭირნეობის

და შემდეგ ხელმოკერილობის, სიძუნწის, ქვაწვიობის აღსანიშნავადაც იქნა გამოყენებული.

ტაბუმა გამოიწვია *სიმართლე-სიტყვის* (შდრ. *ჯანმრთელი*) მნიშვნელობის რადიკალური ცვლა ამგვარ გამონათქვამში: *მუცლის სიმართლე*. რაც მუცლის დაავადებას ნიშნავს; ან ევფემისტური *საგახედი ყოფნა* იმის აღსანიშნავად, რომ არა აქვთ გამომცხვარი პური; ან კიდევ: როდესაც *სუფრას აუშატებხო* ამბობენ სუფრის აღაგების (დაცარიელები) შესახებ, აქაც ევფემიზმთან გვაქვს საქმე.

საგნობრივი მიმართება და ემოციური იერი

148. სიტყვის სემანტიკური აგებულების შესახებ მსჯელობისას გასათვალისწინებელია ემოციური იერიც, რომელიც სიტყვას ზოგჯერ შეიძლება ახლდეს.

სიტყვათა მეტი წილი ემოციური თვალსაზრისით ნეიტრალურია და მოლაპარაკის დამოკიდებულება სათქმელთან, შეფასებითი ელემენტი, — თუ მისი გამოხატვა საჭიროდაა მიჩნეული გარკვეულ კონკრეტულ სამეტყველო პროცესში, — არასაკუთრივ ლექსიკური საშუალებით გადმოიცემა [92].

მაგრამ ზოგ სიტყვას გარკვეული გრძნობითი ელფერი ახლავს. სიტყვათა ზოგი ჩგუფი, მაგალითად, *ალერისისა და ლანძღვის* გამომხატველი სიტყვები (*გენაყვალე, შემოგველე, სიცოცხლე, ოქრო... მამაძალი, უაჭრონო, ოხერი...*). მეტწილად სრულიად დაცლილია საგნობრივი მნიშვნელობისაგან და მხოლოდ ემოციური ელფერი შეადგენს მათ ფსიქიკურ კორელატს: *შემოგველე*'ს თქმისას და გაგონებისას არაეინ ფიქრობს თავზე შემოვლების რიტუალზე; და მაშინაც, როდესაც ვინმეს *მამაძალე*'ს უწოდებენ, სრულებით არ იგულისხმება, რომ გალანძღულის მამა რითიმე ჰგავს დასახელებულ ცხოველს; მეტიც, მამის შესახებ ამგვარი ლანძღვის დროს არაეინ ფიქრობს.

აი, რამდენიმე სიტყვა, რომელთაც საგნობრივ მიმართებასთან ერთად რალაც სხეაც, სახელდობრ, გარკვეული ემოციური იერი ახლავს — დადებითი თუ უარყოფითი.

უარყოფით ელფერს ატარებს:

აბეზარი, აბურძგენილი, აგრესია, აეზაკი, ავლარი, ავთვისებიანი, კლიაქოთი, ალკოპოლი, ამო, ამოწუება, ამპარტაყანი, ამრეზილი, ამღერეული, ანაბანა, ანაბარა, ანონიური, ანხლი, ანშლი, არაქათი, ატუხული, აქლემი, აჭია-

ნურებს, ახმახი, აჯამი... ბაზრული, მაიყუში, ბალღამი, ჰანდა, ბანდიტი, ბარბა-
როსი, ბარგი-ბარხანა, ბატი, ბატონკაცური, ბატონყმობა, ბაჭია, ბალღინჯო.
ბღღენა, ბეგარა, ბეგვა, ბედავს, ბედშაეი, ბეზღება, ბერში, ბეცი, ბზე, ბზული,
ბილწი, ბიუროკრატი, ბლაგვი, ბლუკუნე, ბნედა, ბოდვა, ბომბი, ბორძიკი, ბოხი.
ბჟუტვა, ბრაზი, ბრიყვი, ბრგე, ბუზანკალი, ბუზღუნი, ბუნაგი, ბური, ბღვერა...
გესლი, გვალვა, გლაზაკი, დედინაცვალი, დინგი, ებლაუჭება, ეკალი, ეაქბატონი,
ვეებერთელა, ზანტი, თავდაყირა, ირიბი, კეზი, კუმო, ლაყე, ნიახური, ობი,
პირუტყვი, რახარუზი, სლოკინი, სორო, ტყირპი, უბადრუკი (მღარ, უბედური).
ფაცხა, ფუთა, ქათინაური, ქაშელეონი, ქატო, ღიბი, ყვაევი, ჩანჩალი, ჩვარი,
ცრუენტელა, ძალღი, ძუნძული, წკაქკაცი, ჭანჭყარი, ხარაბუზა, ჯან-
ჯალი, ჯახრაკი, ჯიბრი, ჯღანი...

ბევრი ამათვანი უარყოფით იერს იმიტომ ატარებს, რომ თვით სა-
განი, ამ სიტყვით აღნიშნული, უარყოფით ემოციას იწვევს მოლაპარა-
კებში. აუზაკი და ბალღამი, რა სიტყვებითაც (ბგერითი გარსებით) არ
უნდა გადმოიცეს, მაინც უარყოფითს რეაქციას გამოიწვევს ენობრივ
კოლექტივში და საგნის მიმართ ამ უარყოფითი დამოკიდებუ-
ლების ანარეკლია ის უსიამოვნო გრძნობა, რომელსაც ამ სიტყვათა
გაგონება იწვევს მსმენელში. ზოგი სიტყვა საგანგებოდ არის შექმ-
ნილი სათანადო მოვლენის უარყოფითად დასახასიათებლად:
ბატონკაცური (დამოკიდებულება), აეთვისებუიანი (სიმსივნე).

დადებითი ელფერის მქონეა:

აბრეშუმი, აგარაკი, ადგილ-მამული, ადვილი, აეიაკონსტრუქტორი, ავტორი,
აზრი, აკადემიკოსი, აკვანი, აკილო, ალალი, ალერსი, ალიონი, ალუზა, ალოო,
ამაგი, ამოსუნთქვა, ამხანაგი, ანაზღად, ანთოლოგია, არაჩვეულებრივი, არდა-
დეგები, არშია, ასწლოვანი, აღმზრდელი, აღორძინება, აღტაცება, ახალგაზრ-
და, ახალთახალი, ახოვანი... ბაასი, ბადავი, ბადრი, ბარაქა, ბაჯალო, ბედნი-
ერი, ბედელი, ბეჭედი, ბეჯითი, ბოკეერი, ბოჩოლა, ბრგე, ბროლი, ბრძენი,
ბრძმედი, ბრწყინვალე, ბუნებრივი, ბურჯი... გმირი, გოგონა, გოზინაყი, გრუზა,
დედობილი, დინჯი, ელეგია, ელეგარე, ვაჟი, ზამბახი, თავდაჭერილი, იალქანი,
იმედი, კალმახი, კამკამი, ლაყუარდი, ლეგა, მალხაზი, მანდილოსანი, მარჯანი.
ნუში, ოცნება, პაშია, ჟუჟუნა, რაკრაკებს, საუნჯე, ტანადი, ტატნობი, უებრო,
ფარშაევანი, ფარჩა, ქარტია, ქმარშვილიანი, ღაწვი, შეუარდენი, ჩირაღდანი,
ცელქი, ციაგი, წვეულება, ჭარმაგი, ხანდაზმული, ჯეირანი, ჯიშინი, ჯიხვი,
ქიპოთუხა...

ცხადია, აქაც ზოგჯერ თვით საგნის დადებით იერთანა გვაქვს საქ-
მე (აბრეშუმი, ბაჯალო...); აქაც ზოგი სიტყვა საგანგებოდ არის შექმნილი
იმისათვის, რომ სათანადო მოვლენა დადებითად დასახასიათონ
(ახალთახალი, ბუნებრივი)...

რა თქმა უნდა, ამათ გვერდით არსებობს, როგორც ვთქვით, ნეიტრა-
ლური სიტყვებიც ემოციური იერის მიხედვით: აგური, ადგილი, აეიაცია,
ამინდი, ბილწი, ბლოკოტი, ბოთლი და ბევრი სხვა სიტყვის მიმართ ქარ-

თულ ენობრივ კოლექტივს არც რაიმეგვარი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს და არც უთუოდ დადებითი. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ენობრივი კოლექტივის ცალკეულ წევრებს მაინც შეიძლება ჰქონდეს ასეთი თუ ისეთი, დადებითის თუ უარყოფითის მსგავსი დამოკიდებულება ცალკეული სიტყვების მიმართ, რომლებსაც საერთოდ ქართული ენობრივი კოლექტივი, ქართული ენობრივი ჩვეულება ნეიტრალურ სიტყვებად აფასებს.

ასე, მარტივი გამოკითხვით გაირკვა. რომ 25-კაციან ჯგუფში *ბლოკნოტი* ერთი მესამედისათვის დადებითი ელფერის სიტყვაა, *ფინჯანი* — ნახევარზე მეტისათვის, *კმელი* ერთ მეოთხედში იწვევს დადებით ემოციას, ხოლო *ნეკი* — მეათედშიც არა. საინტერესოა, რომ *კმელი*-სიტყვის მიმართ დაახლოებით იმდენივეა „უარყოფითად განწყობილი“, რამდენმაც „დადებითი დამოკიდებულების“ შესახებ მისცა ცნობა. *ფინჯანი* დაკითხულთაგან არავისში არ იწვევს უარყოფითს გრძნობას, *ბლოკნოტი* კი — 3—4 კაცში...

რა თქმა უნდა, ამ მონაცემების განზოგადება არ შეიძლება. ეს ცნობები მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ თითქმის არც ერთი სიტყვა არ არის „გარანტირებული“: თითქმის თითოეულ სიტყვას შესაძლებელია გამოუჩნდეს ქართულ ენობრივ კოლექტივში „მოყვარეები“ და „მოძულეები“ თუ არა, „კეთილად განწყობილები“ და „თავშეკაცებულები“ მაინც. ქართულად მოლაპარაკეთა ეს „არაერთსულოვნება“ უგულვებელსაყოფი არაა და აი, რატომ:

გრძნობითი იერი, რადესაც იგი წარმოშობილია არა თვით საგნით, არანედ მეტყველთა დამოკიდებულებით საგნისადმი, ორგვარია: გარდა იმისა, რომ ამა თუ იმ პირს შეიძლება მართლაც ჰქონდეს ინდივიდუალური სუბიექტური დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, არსებობს საკუთრივ ენობრივი ხასიათის გრძნობითი იერი, „რომელსაც ერთი და იგივე სიტყვა იღებს სხვადასხვა სოციალური დაჯგუფების... სიტყვახმარებაში“ [151].

ამასთანავე, ინდივიდუალური სუბიექტური დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის და მისი სახელის მიმართ, რაც ენობრივი კოლექტივის ცალკეულ წევრებში გვხვდება ხოლმე, წარმოადგენს წყაროს (როგორც შესაძლებლობას) ენობრივი ხასიათის გრძნობითი იერის არსებობისათვის.

გრძნობითი იერის ამ რიგის ფაქტთა შესწავლა იმ საკითხებს უკავშირდება, რომლებიც ჩნდება ლექსიკური ფონდისა და ენობრივი კოლექტივის ურთიერთობის კვლევისას.

ქართული ლექსიკა ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში

ა. ზოგადი. — „პრაგმატული“ ასპექტი და შეტყველების ნაწილები. — საერთო ქართული ლექსიკა და ვიწრო ჯგუფთა ლექსიკური თავისებურება. — ნი. — ლექსიკური ფონდი და დიალექტიზმები. — „საბავშვო“ სიტყვები. — საკულტო ლექსიკა. — დარგობლივი ლექსიკა. — სპეციალური ლექსიკა საერთო ენაში. — ლექსიკური ფონდის დინამიკა და დარგობლივი სიტყვები. — თანამედროვე ქართული ენის პოლივალენტოვნება. — სინონიმი და ენობრივი კოლექტივი. — საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის უკუფენა ლექსიკურ ფონდში.

ზოგადი

149. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სიტყვის, ლექსიკის ფონეტიკური და გრამატიკული დახასიათებისაგან განსხვავებით მისი საკუთრივ ლექსიკოლოგიური დახასიათება იქნებოდა განხილვა, პირველ ყოვლისა, მნიშვნელობის, ე. ი. საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით; წარმოვადგინეთ მასალა იმის საილუსტრაციოდ, თუ რას იძლევა ლექსიკის ამგვარი „წმინდა“ სემანტიკური შესწავლა.

ამ მასალამ, ერთი შეხედვით, მოულოდნელი შედეგი მოგვცა. სახელგობრ, როდესაც სიტყვებს ვახასიათებთ მხოლოდ როგორც „ბგერებს პლუს მნიშვნელობას“, ამით, საზოგადოდ ბუნებრივი ენის * და, კერძოდ, სიტყვის ამგვარი ორმხრივი დახასიათებით შეგნებულად უგულებელვყოფთ იმ ფაქტს, რომ ბგერადობისა და მნიშვნელობის კავშირი თავისთავად კი არ არის მოცემული, არამედ ხორციელდება გარკვეულ ენობრივ კოლექტივში, ამ კოლექტივის მიერ.

ენის კვლევისას, რამდენადაც იგი ბუნებრივი ენაა, ე. ი. რამდენადაც მას საურთიერთოდ იყენებენ (ენათმეცნიერს კი მხოლოდ ბუნებ-

* ლინგვისტიკის შესწავლის საგანი სწორედ „ბუნებრივი“, ე. ი. ჩვეულებრივი ენაა, მაგრამ რაკი ამ ბოლო წლებში ენას ფილოსოფიურ მეცნიერებებში უფრო ფართო მნიშვნელობით იყენებენ, საქართველოშიც კი ამ მსარტყლის („ბუნებრივი“) ლარტყით დაგვერუსტებონა ჩვენთვის საინტერესო ცნებ...

რივი, ე. ი. ენობრივ კოლექტივში გამოყენებული ენა აინტერესებს), გათვალისწინებული უნდა იქნეს ურთიერთისაგან გაუთიშავი რამდენიმე ფაქტორი, ე. ი. არა მხოლოდ ბ გ ე რ ა დ ო ბ ა (ენის ფონეტიკური სისტემა) როგორც მასალა ენობრივ ნიშანთა სისტემის, ე. ი. საკუთრივ ენის შესაქმნელად (და, ცხადია, გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ს ი ს ტ ე მ ა ც, რომელიც ენის ნიშნადი ელემენტების გარკვეულ შეხამებადობას გულისხმობს), და მიმართება გ ა რ ე ს ა მ ყ ა რ ო ს თ ა ნ, რომლის სიმბოლურ ასახვასაც წარმოადგენს ენა, არამედ, აგრეთვე, ადამიანთა გარკვეული საზოგადოება, ე ნ ო ბ რ ი ვ ი კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი, რომელიც ამყარებს მიმართებებს ბგერადობასა და გარესამყაროს საგნებს შორის.

თითოეული მათგანის ცალკე კვლევა შესაძლებელია მხოლოდ დანარჩენთაგან აბსტრაქციით, განყენებით.

ენის ლექსიკური მხარის კვლევისას ამგვარი აბსტრაქციის გზით დავახსიათეთ ლექსიკური ფონდი (და ცალკე სიტყვები) მხოლოდ მათ საგნობრივ მიმართებაში.

ამგვარი, ვიწროდ შემოფარგლული სემანტიკური თვალსაზრისი უკმარია ლექსიკის ბუნების გათვალისწინებისათვის; ეს იქიდანაც ჩანს, რომ ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი — დამხმარე სიტყვები, ნაცვალსახელები და სხვ. განხილვის სფეროს გარეშე დარჩა.

160. ქართული ენის ლექსიკა ხმარების სიხშირის მიხედვით საგანგებოდ შესწავლილი არ არის. მაგრამ საამისოდ არსებული მასალა [35] ადასტურებს, რომ გაბმულ მეტყველებაში ყველაზე ხშირად გამოყენებულია სწორედ ის სიტყვები, რომლებიც მოხვდა ლექსიკური ფონდის პერიფერიაში ლექსიკის წმინდა სემანტიკური თვალსაზრისით შესწავლისას (§ 97 შმდ): ყველაზე ხშირად ხმარებული ასიოდე სიტყვიდან, რომლებიც ტექსტის ერთ მეხუთედს ფარავს, მხოლოდ ათიოდეა ჩვეულებრივი სრულმნიშვნელობიანი სიტყვა (სოჭვა, იყის, გული, დღე-საქმე, ხელი, ხმა, კარგი, ხალხი...). აი, დანარჩენი ხშირი ხმარების სიტყვები:

ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი: არ, არა, აღარ, არც, ვერა, ამა, აი, განა, მაინც, მამ, ხომ...

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი: შინ, თავზე...

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი: ან, და, თუ, როგორც, როცა, რო, ხოლო...

მ ე შ ვ ე ლ ი ზ მ ნ ა: არის, არი, ხარ, ვარ, იქნება, იყო, იყოს...

რ ი ც ხ ე თ ი ს ა ხ ე ლ ი: ერთი, დიდი, მეტი, ყველა...

ხშირი ხმარების სიტყვებია, აგრეთვე, ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი: მე, შენ, ჩვენ, თქვენ, ის, იგი, ეს, ჩემი, შენი, ჩვენი, იმის, იმას, იმათ... მას... რა, რაც, რად, რამ... ვინ... რომელთა მნიშვნელობას, როგორც ცნობილია, სამეტყველო სიტუაცია განსაზღვრავს.

აქვე შემოდის ისეთი ზ მ ნ ი ს ა რ თ ე ბ ი, რომელთა მნიშვნელობა, ნაცვალსახელთა მსგავსად, სამეტყველო სიტუაციაზე არის დამოკიდებული: აქ, იქ, ასე, ეხლა, მაშინ, დღეს, ჯერ, უფრო, კიდევ, მხოლოდ... სად, როგორ...*.

„პრაგმატული“ ასპექტი და მეტყველების ნაწილები

151. ლექსიკის ე. წ. პრაგმატული შესწავლის საგანია ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს ქართულ ენობრივ კოლექტივისა და ქართულ ლექსიკურ ფონდს შორის, და, რამდენადაც ენაში აისახება ენობრივი კოლექტივის წევრთა ასეთი თუ ისეთი დაჯგუფება, — ამ ჯგუფთა ურთიერთდამოკიდებულება.

ქართული ენობრივი კოლექტივისა და ქართული ენის ურთიერთობა ასახულია ლექსიკური ფონდის იმ ნაწილშიც, რომელიც ქართული ლექსიკის „წმინდა“ სემანტიკური განხილვის დროს უგულვებელყოფილი აღმოჩნდა; სახელდობრ, „პრაგმატიკის“ სფეროში ექცევა ნაცვალსახელები და ზმნისართთა გარკვეული ნაწილი, რომელსაც საზოგადოდ მითითებითს (დეიქტურ) სიტყვებს უწოდებენ.

ენობრივი კოლექტივის, კერძოდ, ამ კოლექტივის წევრის — მოლაპარაკე ინდივიდის — მიმართ საგანთა და მოვლენათა სიახლოვე-სიშორეს სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად გამოხატავს. ამ მითითებათა სისტემისათვის ამოსავლად მიჩნეულია „მე“ — „აქ“ — „ახლა“ — მითითება [247]. მას შეიძლება უპირისპირდებოდეს სულ ცოტა თითო მითითება „მე“ — „შენ“, „აქ“ — „იქ“, „ახლა“ — „მაშინ“...

მითითების გამოხატველი სიტყვები ბევრი ენისათვის არის შესწავლილი, არსებობს ამ შესწავლის შედეგთა განზოგადების ცდებიც, კერძოდ, ანრი ფრაის საგანგებო გამოკვლევა აქვს მიძღვნილი „მითითების სისტემებისათვის“. ეს სისტემები ავტორს აინტერესებდა მაშინ ახლად ჩამოყალიბებული სტრუქტურალისტური თეალსაზრისით, რამდენადაც

* როდესაც ქართული ენის სიხშირის ლექსიკონი იქნება შედგენილი, მასში, უნდა ვიფიქროთ, ტექსტის თავისებურებით განსაზღვრული, ე. ი. თემატიკურად შემოფარგლული სიტყვების წილი მოიკლებს, ხოლო საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვათა სუფერი სათანადოდ გაიზრდება, ე. ი. კიდევ უფრო თეალსაზრისო იქნება იმ სიტყვათა შესწავლის აუცილებლობა, რომლებიც ლექსიკური ფონდის სემანტიკურა განხილვის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა; კიდევ უფრო აშკარა გაჩნდება აუცილებლობა — მოვიშველიოთ ლექსიკის შესწავლის სხვა ასპექტები, რომლებიც ამ მნიშვნელოვან ლექსიკურ კლასთა განხილვის საშუალებას იძლევა.

„მითითების გამომხატველი სიტყვები ენის შიგნით ქმნიან საკმაოდ ჩაკტილ სისტემას“ [250].

მითითების სისტემები ორწევრიანია ან სამწევრიანი. სამწევრიანი სისტემები ფრანს დაკვირვებით ნაირ-ნაირია. ზოგი მათგანი არსებითად ორწევრიანი სისტემაა და შესაძებ წებრი შექმნილია პირველი ან მეორე წებრის შემდგომი დანაწებრებით:

იტალიურში (A_1-A_2) $A-B$: questo | codesto | quello
 ფრანგულში $A-B$ (B_1-B_2) : ici | là | là-bas

კიდებ უფრო მრავალწებროვანია საკუთრივ სამწებროვანი სისტემები: ამგვარი სისტემის თითოეული წებრი შეიძლება ქვეჯგუფებად იყოფოდეს.

არის უფრო რთული სისტემებიც, შეჯვარებული კლასიფიკაციის სხვა სისტემებთან („ჩანს — არ ჩანს“, „ცნობილია — უცნობია“, „სულიერია — უსულია“, „მდგომარება — მჯდომარება — მოსიარულეა“, „მუაშია — ზევითაა — ქვევითაა“, „წინაა — უკანაა“, „მარჯვნითაა — მარცხნითაა“ და სხვ.).

ზოგ ენას დამორების საფესურებს გარდა აქვს ინდიფერენტული მითითებაც. მაგალითად, გერმ. *dicser-jener* და ინდიფერენტული *der*, რასაც კიდებ უფრო მეტი მრავალწებროვნება შეაქვს მითითების სისტემებში.

ა. ფრანს ემყარება სოსიურისეულ განსხვავებას „ენისას“ და „მეტყველებისას“ და აღნიშნავს, რომ ენაში არსებული მითითების სისტემები მეტყველებაში შესაძლებელია განსხვავებულად იქნეს გამოყენებული. ასე, მაგალითად, გერმანულ ენას აქვს ზმნისართთა სამწებროვანი სისტემა *hier-da-dort*, მაგრამ იგი მეტყველებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს ორწებროვანი ოპოზიციის სახით: *hier und da, hier und dort, da und dort*.

უნდა შევნიშნოდ, რომ „ოპოზიციაც“ სტრუქტურული ცნებაა — სისტემას ვარაუდობს, ამიტომ მეტყველების სფეროში ოპოზიციითა შემოტანა გაუმართლებელია სოსიურისეული დიქტომიის „ენა — მეტყველების“ ოპოზიციასზე მდგომისათვის: იქ სისტემებრივ „ენას“ უნდა უპირისპირდებოდეს არასისტემებრივი „მეტყველება“.

ფრანს ვარაუდობს, რომ „არსებობს დამოკიდებულება მითითების სისტემებსა და ცივილიზაციის საფესურებს შორის“: რაც უფრო შეესატყვისება ენა მოწინავე ცივილიზაციას, მით უფრო მარტივია მითითების სისტემა, ხოლო სამწებროვანი და კომპლექსური მითითების სისტემები კი შესაბამებობა „არქაული, პრიმიტიული და ეგზოტიკური ხასიათის

მქონე ცივილიზაციებს“. ფრანს მიერ ნავარაუდები გამარტივება მითითების სისტემებისა მას მიაჩნია აბსტრაქტული აზროვნების ერთ-ერთ სიმპტომად (რაშიც იგი ვუნდტს მიჰყვება).

მეტი აბსტრაქტულობისაკენ განვითარება რომ საერთო ტენდენცია უნდა იყოს კაცობრიობის აზროვნებისა, ამაზე შეიძლება არ ვიდავოთ; მაგრამ სადავო ჩანს ყოველი ენობრივი ფაქტის, კერძოდ, მითითების სისტემათა ისტორიის უპირობო მოქცევა სქემაში „კონკრეტული—აბსტრაქტული“.

ერთი უნდა აღინიშნოს: მრავალწევრიანი სისტემის გამარტივებისათვის ბიძგი იქნებ მართლაც მიეცეს ტენდენციას მეტი აბსტრაქტულობისაკენ; მაგრამ არც ის გარემოება უნდა უგულებელვყოთ, რომ პირველადი — უმარტივესი — დაჯგუფება სწორედ ბინარული შეიძლება იყოს — „ეს“ და „სხვა“ —, შემდგომი დანაწევრება კი გარემოს უკეთესი გაცნობის შედეგად ხდებოდაც [შდრ. 20].

152. რაც შეეხება ქართულ ენას, აქ არსებული მითითებათა სისტემა, რომელიც სხვადასხვაგვარ განმოვანებასთან არის დაკავშირებული, უნდტ-ფრანს მარტივ სქემაში ვერ თავსდება.

ქართულში გვხვდება *ა, ე და ი* ხმოვანთავსართიანი მითითებითი სიტყვები — *ზ მ ნ ის ა რ თ ე ბ ი*: *ა*: ავრე, ავერ, ასრე, ასე, ასთე... აზომ, აშ, აქ(ა), ამიერ, ამშინ, ახლა, აგებ... *ე*: ეგრე, ეგერ(ა), ეგოდენ, ესრე, ესოდენ, ესერ(ა), ესე... *ი*: ია, იშინ, იგებ, ეს, იქ, ეხლა... *ი*: იგა, იხრე, ისე; იქ(ი), იმიერ, იმშინ...

ამათგან: აგებ ანალოგიით გაჩენილი ჩანს—ეგებ'ის დასაპირისპირებლად, როლო ეგებ მომდინარეობს ეგების-ზმინისაგან და თავკიდური ხმოვანი მითითების ფუნქციას არ ასრულებს; *ეშ*-, *ექ*-, *ეხლა*- სიტყვებიც ანალოგიით გაჩენილი უნდა იყოს: შდრ. *აქ*, *აშ*, აგრეთვე *ახლა*, რომელშიც თავკიდური *ა*, აგრეთვე, მითითებითი ხმოვანი არაა.

ეგევე განმოვანება გვხვდება მითითებითს *ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ*-ში: *ავი* (უთხური), *ე*: *ეგ(ე)*, *ეს(ე)*, *ი*: *იგი*, *ის(ი)*.

ზ მ ნ ის ა რ თ ე ბ ში *ა*— განმოვანება ბუნებრივია: გვხვდება (*გ* და *ს* ფუძეებთან) ძველ ქართულში; არქაულ კილოებშიც ცოცხალი და პროდუქტიულია: ხევსურულში გვაქვს *ეშა*, *ამშინ*, ინგილოურში — *ეშ*, *აქ*... დასავლურ და აღმოსავლურის ბარის კილოებში *ა*—*ი* განმოვანება ბატონობს (*ამაჩ*—*იმაჩ*, *აქ*—*იქ*), ხოლო *ე*-მწკრივი ქრება: *ესრე*, *ესთე*, *ეგრე* იშვიათია, მას *მ*-*ე*-უძე ენაცვლება: *შაგრე*, *შახე*...

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ში, პირიქით, *ა*-ხმოვანიანებია საძებარი: „ას(ა)“ საზოგადოდ არ არსებობს, ხოლო დიალექტური *ავ(ი)* მეორეული ჩანს: ყველა სხვა შემთხვევაში თავ- და ბოლოკიდური განმოვანება ერთ-

გვარია: ეგე, ესე, იგი, ის(ი), სადაც ი არ არის სახელობითი ბრუნვის ნიშანი — მრავლობითში ვადაპყვებათ ხოლმე: იგინი, ისინი (შლრ. ეგენი, ესენი). ეს ბოლო ხმოვნები, მხოლოდობითში გაუჩინარებულნი, მრავლობითში მაინც იჩენენ თავს (ის — ისი-ნი-ი), რაც არ ითქმის „აგა“-ს შესახებ (აგი'ს მრავლობითია არა „აგანი“, არამედ აგენი, აგინი).

ამრიგად, ზმნისართებში ი-გახმოვნება ჩანს მეორეული, ხოლო ნაცვალსახელებში ა-გახმოვნება.

სამივე ხმოვნის (ა, ე, ი) მიხედვით რომ გავანაწილოთ მასალა, ასეთ სურათს მივიღებთ:

	ა	ე	ი
ნაცვალსახ.	—	ეგე, ეს(ე)	იგი, ის(ი)
ზმნისართები აგრე, აგერ(ა)		ეგრე, ეგერ(ა)	—
	ასრე, ასერ(ა)	ესრე, ესერ(ა)	

ამ ორი ტიპის შეხვედრამ გამოიწვია მესამე ტიპის ჩასახვა — სამწევროვანისა (აგრე, ეგრე, იგრე; ასრე, ესრე, ისრე; აგი, ეგი, იგი...), მაგრამ სანამ ეს (სამწევროვანი) სისტემა საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა, უკვე დაიწყო მისი გამარტივება ახალ ორწევროვან სისტემად, რომელშიც მონაწილეობას იღებს არაორაზროვანი (ე. ი. უთუოდ ახლოს მყოფის აღმნიშვნელი) ა და არაორაზროვანი (ე. ი. უთუოდ შორს მყოფის აღმნიშვნელი) ი, ხოლო დაიჩრდილა ორაზროვანი ე (რომელიც ხან ახლოს მყოფს აღნიშნავს — ე გ ე — იგი, ხან კიდევ არაახლოს მყოფს — აგრე — ე გ რ ე); ეს უკანასკნელი სისტემა — ა-ი-სისტემა — პროდუქტიულია: ამან... — იმან... (თავდაპირველია ნეიტრალური — უხმოვანო მან), აქ(ა) — იქ(ი); ამ უკანასკნელის ნაცვალად ძველ ქართულში ჩვეულებრივი იყო უხმოვანო მუნ (დაწვრილებით ამ საკითხზე — [98], განსხვავებული თვალსაზრისები — [41, 62]).

153. ენობრივი კოლექტივის, მეტყველის თვალსაზრისით პირის ნაცვალსახელების განხილვაც მოგვცემს საინტერესო შედეგს. აღმოჩნდება, რომ აქაც ორწევრიანი სისტემა არის ამოსავალი — მესამე პირის ნაცვალსახელი ჰეტეროგენული ჩანს: მე(ნ) — მუნ და ის, ეს, იგი, ეგ(ე); ჩვენ — თქვენ და ისინი, ესენი, იგინი, ეგენი. პირის ნაცვალსახელთა თანამედროვე სამწევრიანი სისტემა ორი ორწევროვანი სისტემის შეერთების შედეგი ჩანს: I მე — მუნ

II მე/მუნ — ის
 მუ — მუნ — ის

ორწევრიანი სისტემა — პრევერბებით გამოხატული — ჩანს ზმნა-

შიც, რამდენადაც საკითხი მოსაუბრეებთან მიმართებას ეხება: ჩემთან მოვიდა, შენთან მოვიდა, მე მომიტანა, შენ მოგიტანა — მასთან მივიდა, მას მიუტანა...

თუმცა ისტორიულმა კვლევამ შესაძლებელია წარსულის უფრო რთული სურათი გადაგვიშალოს: აქა-იქ ვხვდებით მეორე პირთან მი- (და არა მო-) პრევერბიან ზმნათა ხმარებას: „მოდლუარ, მიგდეველ შენ“ (მ. 8. 19), შდრ. „ღვინოს საფლავეზე არვინ მიგიტანს“ (ი. გრიშა-შვილი).

საერთო ქართული ლექსიკა და ვიწრო ჯგუფთა ლექსიკური თავისებურებანი

154. ენობრივი კოლექტივის პოზიციის გათვალისწინება ქართული ლექსიკის თავისებურებებს ავლენს არა მხოლოდ მითითებით სიტყვებში, არამედ სიტყვათა დანარჩენ კლასებშიც — სახელებში, ზმნებში...

ლექსიკური ფონდის შესწავლა საკუთრივ „სემანტიკური“ ასპექტით გულისხმობდა მასში თ ე მ ა ტ ი კ უ რ ი კლასების გამოყოფას (იხ. ზემოთ § 124 შდრ.). ენობრივ კოლექტივთან მიმართების თვალსაზრისით ანუ „პრაგმატული“ ასპექტით ლექსიკის შესწავლამ მასში რაღაც სხვაგვარი ჯგუფები უნდა გამოგვავიყოს: „სამეტყველო ჩვევების ეთნოგრაფიული და სოციალური კვლევა სხვადასხვა სამეტყველო ჯგუფებში“ ქართული ლექსიკის სხვადასხვაგვარ დანაწევრებას მოგვცემს, რომელიც ქართული ენობრივი კოლექტივის ამა თუ იმ ცალკეული ქვეჯგუფის მეტყველებას ახასიათებს: ქართულად მეტყველი მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებას ასახავს, ან ქართულად მეტყველთა ასაკობრივი თავისებურების უკუთენას წარმოადგენს, ან კიდევ ამა თუ იმ სამეტყველო ჯგუფის მოსაქმეობას შეესაბამება და სხვ.

საერთო ქართულზე მოლაპარაკე პირთა ერთობლიობა ქმნის დიდ ენობრივ კოლექტივს — საკუთრივ ქართულ ენობრივ კოლექტივს.

მაგრამ, როგორც წესი, ამ ენობრივი კოლექტივის წევრი არის იმავედროულად რომელიმე ვიწრო კოლექტივის წევრიც. მას როგორც გარკვეული პროფესიის მქონეს და, მაშასადამე, გარკვეულ პროფესიულ ჯგუფში შემავალს, ან კიდევ როგორც საქართველოს გარკვეული კუთხის მცხოვრებს და, მაშასადამე, სათანადო დიალექტის წარმომადგენელს, უთუოდ ექნება განსხვავებული, თავისებური სიტყვები (და მნიშვნელობები). იგი შესაძლებელია სხვა კოლექტივშიც შედიოდეს, მაგალითად, იყოს სპორტსმენი, მონადირე, მუსიკის მოყვარული..., რაც, ბუნებრივია, აისახება მის მიერ ქართულ სიტყვათა გამოყენების თავისებურებებში.

სიტყვისმარებაში ერთგვარი განსხვავება შეიმჩნევა სქესის, ასაკის მიხედვითაც და სხვ.

ცნობილია, რომ ლაპარაკისას მეტყველი ჩვეულებრივ არ ურევს სხვადასხვა კოლექტივს და თავის ენას ცვლის ხოლმე — მეტწილად არა-ცნობიერად — გარემოს მიხედვით [254], მაგრამ ზოგჯერ ასევე არა-ცნობიერად იყენებს ვიწრო ჯგუფურ კოლექტივში ხმარებულ სიტყვებს მაშინაც, როდესაც საერთო ენაზე ლაპარაკობს და, ამრიგად, ამ ვიწრო ჯგუფისათვის დამახასიათებელ სიტყვებს საერთო ენაში ხმარობს.

ხ მ ა რ ო ბ ს, მაგრამ ამ სიტყვათა შე ს ე ლ ა-და მ კ ე ი დ რ ე ბ ა საერთო ენაში უკვე ცალკე მოლაპარაკის (თუ სათანადო სოციალური ჯგუფის) სურვილზე აღარ არის დამოკიდებული. ეს ახალი სიტყვები შედის და მკვიდრდება იმდენად, რამდენადაც მ თ ე ლ ი ხალხი არის და ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ უ ლ ი სათანადო მოვლენით.

თუ ეს და ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ა დ ი დ ი ა, სათანადო სპეციალური სიტყვაც ადვილად შე დ ი ს, ადვილად იკაფავს გზას საერთო ხმარებაში. თუ დაინტერესება მეტ-ნაკლებად ს ტ ა ბ ი ლ უ რ ი ა და სათანადო მოვლენა სწრაფწარმავალ მოდას არ მიეკუთვნება, — სათანადო სიტყვა არა მარტო შევა, არამედ და მ კ ე ი დ რ დ ე ბ ა კიდევ საერთო ენაში — საერთო ენის ლექსიკური ფონდის შემადგენელი ნაწილი, საერთო ლექსიკური ფონდის ელემენტი ხდება.

ქვემოთ წარმოვადგენთ ვიწრო სამეტყველო ჯგუფების ლექსიკურ თავისებურებათა ნიმუშებს და, შესაქლებლობის ფარგლებში, ვაჩვენებთ საერთო ენასთან მათ დამოკიდებულებას. საერთო ენაში შესვლა-დამკვიდრების გზებსა და პირობებს.

ლექსიკური ფონდი და დიალექტიზმები

155. ლექსიკური ფონდის შესწავლა ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში, ბუნებრივია, გულისხმობს ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ ა დ ფილიაციის გათვალისწინებას.

თითოეული დიალექტისათვის ათასობით თავისებურ „კუთხურ“ სიტყვას ვარაუდობენ (ბევრი დიალექტისათვის საგანგებოდ ლექსიკონებიც არის შედგენილ-გამოცემული [67, 117, 147, 158]) *. აქ მხოლოდ თითო-ოროლა მაგალითს მოვიყვანთ:

* იხ. აგრეთვე 6—8, 17, 23, 51, 70, 103, 116, 119, 157, 164, 165—167.

არსებულ ლექსიკონებში წარმოდგენილი მასალა თავმოყრილია ალ. ღ ღ ო ნ-ტ ი ს მიერ შედგენილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“, (1. თბ., 1974).

აძრახდომა 'ხმის გაცემა, დალაპარაკება' ხევისურულ კილოში არის დადასტურებული; ქალშაყაი 'ქალიშვილის სააღვრსო საბელწოდება' მოხეურიდანაა ცნობილი; ბორწიელი მთიულურში აღნიშნავს "შენობის რომელიმე გვერდზე აყვანილ ან წსელით გაცეკვებულ კედელს, რომ სითბო შეინახოს, წყალი არ შეუშვას შენობაში"; გუდამაყრული ზიზლი "შესაზიზღოს, ავს, ცუდს" ნიშნავს; თუშური სატკივარი არის 'ბავშვის დაბადების დროს მოსვლა (დადგომა)'; ფშაური ბიღნი 'სანბრე, ტვირთის ზურგზე მოსაკიდებელი საბელი'; თიანური გატეხა 'ფიჭის ამოღება და დამტვრევა'; კახურ-ჭიჭიყური გამომეარბლება 'მტევანში ყურძნის მარცვლის ხორბლისოდნად გახდომა', ინგილოური ათეთრეფს 'ახურებს (თორნებს)'; ფერეიდნული ზილი 'ლხინი', ქართლური საბრეში 'წისქვილის ქვის მოსაკოდავი რკინისპირიანი იარაღი', ჯავახური ქველი 'მარჯვე, ყოჩაღი', მესხური ბებერა 'დიდელა', იმერხეული გაქუშული 'გაძარცული, გაქურდული', აჭარული დაშმენდა 'ბელტების დაფშენა', გურული მოსაქმე 'გეოჯახე (ქალი)', იმერული მოყვარე 'ცოლის ნათესავი', ლეჩხუმური იკვირებს 'კარგად იხეირებს, ისარებს (პურეული)', რაჭული ღარკაი 'თავისუფალი ადგილი კედელსა და სახურავს შორის (ამოავსებენ ფიცრით, თუ ქვითკირია — ამოაშენებენ); კუქრუტანა, ფარღალა-ლა' [27].

ხშირად ამათუ იმ „კუთხური“ სიტყვის ხმარება ცალკე კუთხის საზღვრებს სცილდება, სიტყვა რამდენსამე მეზობელ კუთხეში იხმარება.

ასე, ქართლურთან ერთად კახურშიც იხმარება ღაღა: 'საბანზე შეეკრილი სამკუთხა სახე', ქართლურთან ერთად ფშაურშიც — თუის 'ფუთფუთებს (ჭიღლუა)', ქართლურთან ერთად იმერულშიც — კვანშია 'კობტაობის მოყვარული', ქართლურთან ერთად მთიულურშიც — ძაჭიჭა-სოკო 'არყა', ქართლურთან ერთად მესხურ-ჯავახურშიც — ყოთელგულა 'ანაგვირილა'...

იმერულთან ერთად გურულშიც იხმარება ბზეკალი 'ხის პატარა მშვილდი', ლეჩხუმშიც — კორკები 'მაგარი, მკვრივი', რაჭულშიც — კინიხი, 'კეიანი ხე, სორცის დასაკიდი'...

აჭარულთან ერთად იმერულშიც იხმარება კრიპუტა 'დი-

ქიანი თაფლი', ლეჩხუმშიც — ბაჭყალი 'ქყორი', გურულშიც — ზუზი 'შვეული'...

ხევსურულთან ერთად ფშაურშიც იხმარება ბარეკალ 'ბარემ, ბარელამ', თუშურშიც — თბე 'ფრთა', მთიულურსა და მოხეურშიც — კაპარი 'ბურახი', ქართლურშიც — ფუთლუში 'დონდლო, დოყლაპია'...

კახურ-ქიზიყურთან ერთად ინგილოურშიც იხმარება კაჭავს 'თიბავს, ცელავს, ჩეხს', ფშაურშიც — ფანფარა 'ცხერის მატყლის კულული'... [100].

ამგვარი მაგალითების მოგროვება ადვილია. მეზობელ კუთხეებს რომ ბევრი საზიარო სიტყვა ჰქონდეს, ეს ბუნებრივია...

უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე თავისებური, „კუთხური“ სიტყვა გვხვდება ხოლმე არამეზობელ დიალექტებში.

გურულსა და ქართლურში გვხვდება დუნდრუყა 'ჩასუქებული, ჩამრგვალებული', იმერულსა და ქიზიყურში — ზაზუნი 'ზოზინი', გურულსა და კახურში — კატაფშაჭა 'ქალაფშაჭა', გურულსა და აღმოსავლურ მთის კილოებში — სველი 'შრავი', და ბევრი სხვა [54, 61, 100].

ზოგჯერ მოსალოდნელია შუალედ კილოებშიაც აღმოჩნდეს ეგვევ მასალა, მაგრამ ყველა შემთხვევა ვერ აიხსნება შეკრებილი მასალის ხარვეზიანობით. არამეზობელ კუთხეებში რომ საზიარო დიალექტური მასალა გვაქვს, ამის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს საერთოქართულის დიალექტური ფილიაცია.

საყურადღებოა, რომ ზოგ შემთხვევაში ძველად ჩაწერილი სიტყვა ამჟამად რომელიმე კილოშია დადასტურებული: რაჭულში ფალვა 'ხვეტა, გვა', ქართლურში ფოლორყი 'ზნედაცემული', გურულში ფუტი 'კვამლი'... [9, 68]. ამგვარი ფაქტებიც, სათანადო შესწავლა-გაცხრილვის შემდეგ, ძველი საერთოქართული ლექსიკური ფონდის მეორეული დიალექტური ფილიაციის ნიმუშებად გამოგვადგება.

დიალექტურ ლექსიკაში სამ ფენას გამოყოფენ: ძირითად ნაწილს დიალექტური ლექსიკისას ქმნის საერთო ენობრივი სიტყვები, ნამეგვიდრევი იმ უძველესი დროიდან, როდესაც დიალექტურა განსხვავება მინიმალური იყო და საერთოქართული ენა წარმოდგენილი იყო მეტ-ნაკლებად მონოლითური ლექსიკური ფონდით. ამ ფენისა არამხოლოდ ზემოთ ნახსენები სიტყვები, რომლებიც კილოებში აქა-იქ შემორჩენილია, მაგრამ საერთო (—სალიტერატურო) ქართულში კი გაუჩინარებულა; აქ შემოდის, აგრეთვე, ყველა სხვა საერთოქართული სიტყვა, რომელიც კი დიალექტებში გვხვდება.

დიალექტური ლექსიკის მეორე შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ამა თუ იმ დიალექტისათვის (ან დიალექტთა ჯგუფისათვის) დამახასიათებელი ნ ა ს ე ს ხ ო ბ ა ნ ი, მაგალითად, თ უ რ ქ უ ლ ი დ ა ნ ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი კ ა ვ ა ნ ი (თამბაქოს საკრელი) ა ქ ა რ უ ლ შ ი; თ უ რ ქ უ ლ ი დ ა ნ ვ ე შ ე თ ვ ი ს ე ბ უ ლ ი ხ ა ხ ი რ ი (მზა) გ უ რ უ ლ შ ი; ზ ა ნ უ რ ი ჯ ი მ ა დ ი (ბიძა, დეიდის ქმარი) ქ ე ე მ ო ი მ ე რ უ ლ შ ი, ქ ი ს ტ უ რ ი დ ა ნ მ ო მ დ ი ნ ა რ ე ბ უ რ ა (ჯღანი, ერთგვარი ფეხსამოსი) ხ ე ვ ს უ რ უ ლ შ ი, ო ს უ რ ფ უ პ ე ზ ე დ ა მ ყ ა რ ე ბ უ ლ ი ნ ა ნ ა ხ შ ო (სასაუბრო) რ ა კ უ ლ შ ი და სხვ. [31].

დანარჩენი ლექსიკური მასალა ამა თუ იმ დიალექტში ლ ო კ ა ლ ი ზ - მ ი ა, ახალი, დიალექტში შექმნილი სიტყვაა, რომელიც სათანადო კუთხისა და მის მცხოვრებთა ბუნებრივსა და ისტორიულ პირობებს ასახავს: ო რ მ ო ს ა ვ ა ლ ა (აბრეშუმის ქიის ჭიში) გ უ რ უ ლ შ ი, დ ო რ ყ უ რ ე ბ ა (ახლად ამოსული სიმინდი რომ ორ ფოთოლს გამოიღებს) ზ ე მ ო ი მ ე რ უ ლ შ ი, მ ა ნ დ უ ლ ი (საბანდით გამოქსოვილი ჩუსტი) ხ ე ვ ს უ რ უ ლ შ ი, წ ვ ე რ ი (მთის მწვერვალი), ქ ე დ უ რ ი (სერი) მ თ ი ს კ ი ლ ო ე ბ შ ი და სხვ.

როდესაც დიალექტურ ლექსიკაზე ვლაპარაკობთ, სიმარტივისათვის საერთო სალიტერატურო ქართულში ნორმად დამკვიდრებულისაგან განსხვავებულ სიტყვებს ვგულისხმობთ. ამგვარმა გამარტივებამ არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს საკუთრივ ენობრივი თვალსაზრისით აქ ორ მკაფიოდ გამიჯნულ ფონდთან გვეკონდეს საქმე. საერთო სამწერლო ქართულის სიტყვებიც, გარდა უშუალოდ სამწერლო გზით ნასესხები მასალისა (მერიდიანი, პატრიარქი, კომპანიი, ფილოსოფია...), ან სამწერლო ენაში საგანგებოდ ნაწარმოები ფუძეებისა (თვითმფრინავი, აკლუბადი, მალდივ-შენი...), ბუნებრივია, ცოცხალი მეტყველებიდან, ე. ი. ისევ კილოებიდან, დიალექტებიდან მომდინარეობს.

156. დიალექტური სიტყვები, თუ მათ საერთო სამწერლო ქართულის ლექსიკასთან შეპირისპირებით განვიხილავთ, ორ ჯგუფად შეიძლება დავეყოთ: პირველ ჯგუფში შევიდოდა სამწერლო ქართულში დამკვიდრებული სიტყვების დ უ ბ ლ ე ტ ე ბ ი; კუთხურ სიტყვათა მეორე ჯგუფში ერთიანდება შე უ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი, რომელთაც სალიტერატურო ენაში სინონიმები არ მოეპოვებათ.

დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ დ უ ბ ლ ე ტ ე ბ შ ი შეიძლება ცალკე გამოვეყოთ ისეთი სიტყვები, რომლებიც ლიტერატურულ წყაროებში დადასტურებულია.

ზოგი მათგანი მხოლოდ პ ე რ ს ო ნ ა ე ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა შ ი გვსვდება.

„ხარჩო გექნება გემოიანი“ (ნ. ლორთქიფანიძე): გემოიანი — იმერ. 'გემრიელი': „ძან კი ვუეწითლებია და ვადმოუბრუნებია ღ:ლ" იმ

ჯაჰნეღა დედალს“ (ე. ნინოშვილი): დღეი — გურ. 'ბიბილო'; „მოჯამა-ვირედა ხარ, თუ ცხორი გყავს დაზიარებული“ (ა. ყაზბეგი): ცხორი — მოხვე. 'ცხვარი'.

სხვები საკუთრივ მწერლის ენის კუთვნილებას:

„ეს გაყუჩება რალაც სევდიან ღუმილს ბადადა“ (ა. ყაზბეგი): ბა-დავს 'ბადებს'; „დადიანა იმერეთის მეფეს, სოლომონ მეორეს, ნებიერ“ უძღვნა“ (აკაკი): ნებიერი 'დგკეული'; „ლოკოკინა აიყაყუა, კისერი შაძაგრა, რქები აფშია“ (თ. რაზიკაშვილი): შაძაგრავს 'წაძაბავს'...

ღიალექტური წარმომავლობის ლექსიკური ღებლებები საერთო ენაში ზოგჯერ ჩარნება ხოლნე. მართალია, ბევრი მათგანი შემდგომში ერთგვარ ასიმილაციას განიცდის — ეგუება საერთო ენის ლექსიკურ ფონდს, იქნის სტილისტურ თავისებურებას და, მაშასადამე, საერთო ენაში დამკვიდრების უფლებასაც (იხ. ქვემოთ, § 162).

შეუნაცვლებელი სიტყვები ორ ჯგუფად იყოფა.

ერთია — სალიტერატურო ენაში უკვე შესული — მწერალთა მიერ თავიანთ ნაწერებში გამოყენებული სიტყვები.

„გვერდს უდვას დიაგონაი, როგორ ამყად ყვავისა“ (ვაჟა): დიაგონა ფშ. 'ერთგვარი ყვავილი'; „რა სჯობია ახლა... მეავე შაშს“ (დ. შენგელაია): შაშს იმერ. 'ტყემლის საწებელი'...

მეორე ჯგუფს შეადგენს ისეთი სიტყვები, რომლებიც ლიტერატურულ ნაწარმოებებში არ არის დადასტურებული.

ამგვარია ზემოთ (§ 155) დასახელებულთაგან, მაგალითად, ბიღაი ფშ. 'ტვირთის ზურგზე მოსაკიდებელი საბელი', ღარკაფი რაჭ. 'თავისუფალი ადგილი კედელსა და სახურავს შორის', ხანრეში ქართლ. 'წისქვილის ქვის მოსაკოდავი რკინის პირიანი იარაღი' და სხვ.

თავისი ბუნებით ეს სიტყვები მეტწილად საერთო ენის კუთვნილებას წარმოადგენენ იმის მიუხედავად, დადასტურებულია თუ არა ისინი ლიტერატურაში: საერთო სამწერლო ენაში მათ ფარდი არ მოეპოვებათ. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, შესაძლებელია, რომ მათ ადრე თუ გვიან დაუბრკოლებლივ დაიკვირონ ადგილი საერთო-ქართულ ლექსიკურ ფონდში.

ღიალექტური წარმომავლობის სიტყვათა ეს დაჯგუფება მეტად ზოგადია იმისათვის, რომ მას შნიშვნელოვანი შემეცნებითი ღირებულება ჰქონდეს. საჭიროა გამოწვლილვით იქნეს შესწავლილი ის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა, რომელსაც გვაწვდის საერთო-ენობრივი ლექსიკური ფონდი, და შეუპირისპირდეს იგი სხვადასხვა ენის ანალოგიურ მონაცემებს, რათა, ჯერ ერთი, განვითარების საერთო

გეზის გაგნება მოგვისერხდეს და, მეორეც, ქართული ენის, მისი ლექსიკის თავისებურებებზე შევიმუშაოთ მეტ-ნაკლებად ადეკვატური წარმოდგენა.

157. სალიტერატურო ქართულში ლექსიკური დიალექტიზმების შესწავლას არაერთი ნაშრომი აქვს მიძღვნილი *. მომავალში ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდება. სამწერლო ენაში დიალექტიზმების დამკვიდრების გზებისა და პირობების გასათვალისწინებლად ამჟამად სანიმუშოდ მიმოვიხილავთ აკაკი წერეთლის ენაში დადასტურებულ დიალექტიზმებს, ე. ი. მანამდელი სალიტერატურო ქართულისათვის უჩვეულო სიტყვებს, რომლებიც, სავარაუდოა, აკაკიმ მშობლიური დიალექტიდან, ზემოიმერულიდან, შეითვისა [88].

როდესაც ვსწავლობთ საერთო ენასთან დიალექტური ლექსიკის ურთიერთობას, მიზანშეწონილია, უწინარეს ყოვლისა, გამოკალკევდეს ის სიტყვები, რომლებიც საერთოენობრივი ლექსიკისაგან ფონეტიკურად და გრამატიკულად განსხვავდებიან.

საერთოდ, ლექსიკური დიალექტიზმების შესწავლისას ვერ იქნება გათვალისწინებული ცალკე სიტყვებში გამომჟღავნებული სხვაობა იმ ბგერითი და სიტყვაწარმოებითი თავისებურებებისა, რაც მოცემული კილოსათვის არის დამახასიათებელი: ეს თავისებურებანი სისტემურ ხასიათს ატარებენ და, მაშასადამე, რეგულარულად უპირისპირდებიან საერთო ენის სიტყვაწარმოებითსა და ფონეტიკურ სტრუქტურას. მაგალითად, ლექსიკოლოგიის საგანს არ წარმოადგენს ის სიტყვები, რომლებშიც ასახულია სმოვანთა რეგრესული ასიმილაციის თანსმოვანთა პროგრესული ასიმილაციის. დასავლურ კილოთათვის დამახასიათებელი თანსმოვანთა კომპლექსის წარმოქმნისა და სხვა მოვლენები, აგრეთვე თამაშობის გამომხატველ სიტყვათა იმერული სუფიქსაციის მეშვეობით წარმოქმნილი სხვაობა:

ლოჟახუბ, ჩვეიგემრიელუბ, კეჭარი, მუშა, მყურული, ფოჩვი, შინოურთობა, კენჭობია, მადლელობია, დანახობია.

„პლუტებში ისე ირჭებოდა, რავარც კი შინოურობაში“, „მცე ისე ღოუძახუბ, რავარც მე მეძახიან ანლა ივანიკას“, „სულ სიზიდალით და ღოშებით ჩვეიგემრიელუბ პირს“, „ოჯახი არ ღარჩენილა, რომ კჳარა არ ყოლოდეს ერთი შინც“, „გვერდებში ქარი არ გიბერაშს, ზვიდან ზეშს არ ჩაშოღის და ქვეშიდან ბედნიერის აყილის არ გეშინია“, „ახ-

* დავასაქვებში სანიტუო მშობილ რაზენიქსა ნ. 13, 24, 25, 28, 30, 36, 38, 47, 60, 85, 102, 104, 105, 112, 123, 142, 156, 151, 225.

ლაც ქე მეძინება, მარამ შურული მკლამს და მიშლის დაძინებას“.
„დახედა ჯამზე, ნახა, რომ თურმე ცარიელი წვენია, ფორე არსად არი“... „კმარა ამდენი მალულობია, გეყოფა თავის მოკატუნება“ (შდრ. მალულაობა, დამალობანა, კუკუმალულობა). „რა სჯობია იმას, რომ ხის ქვეშ ჩეროში იჯდე და დანასობიას ან კენჭობიას თამაშობდე“ (შდრ. დანაობა, კენჭაობა).

ასეთი სიტყვები თვით დიალექტურ ლექსიკონებშიც არ იქნება რეგისტრირებული ბევრ შემთხვევაში.

არსებობს ისეთი კუთხური სიტყვებიც, რომლებიც საერთოენობრივ-თან შედარებით აგრეთვე მხოლოდ ფონეტიკურ-გრამატიკულ სხვაობას ავლენენ, მაგრამ სხვაობას რეგულარული ხასიათი არა აქვს:

„ქვეითად რომ მოთოთხავ, რა უყავი ცხენი?“ „გზადაბნეული მელაშურა შეფრინდა ერთ ნანგრევში და იქ დაიწყო ბუღობა“.

მოთოთხავს, მელაშურა თუმცა კუთხური სიტყვებია (შდრ. ლიტერატურული მოფოფხავს, ღაშურა), მაგრამ არ წარმოადგენს დიალექტში არსებული რაიმე ფონეტიკური თუ სიტყვაწარმოებითი წესების მანიფესტაციას. ისინი ცალკეულ ფაქტებად და, ამდენად, დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიის კუთვნილებად რჩებიან.

მაგრამ საკითხი შეიძლება ეხებოდეს დიალექტური ლექსიკის ურთიერთობას საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდთან: ყველაფერი საერთოენობრივი ნორმატიულია, ე. ი. ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის არა მარტო ჩვეულებრივი, არამედ სავალდებულოც არის. ამიტომ რაც საერთოენობრივისაგან განსხვავებულია, ის ენობრივ კოლექტივში ფასდება როგორც ნორმიდან გადახვევა, ხოლო ლექსიკის შემთხვევაში — როგორც საერთოენობრივი სიტყვის არასავალდებულო დუბლეტი.

ცნობილია, რომ დუბლეტები საერთოენობრივ ფონდში მაინც არსებობს, — მაგრამ ერთი პირობით: მნიშვნელობით იდენტური დიალექტური დუბლეტი არ შეიძლება ტრადიციულ საერთო ენობრივ სიტყვას ბგერითად ისე ძლიერ ჰგავდეს, რომ მათი ოდინდელი იგივეობა იგრძნობოდეს. სწორედ მეტისმეტი მსგავსების ფონზე არის განსაკუთრებით თვალსაჩინო არსებული განსხვავება და, რამდენადაც ამ განსხვავების საფუძველია საერთოენობრივი ნორმიდან გადახვევა, ენობრივ კოლექტივის იგი ეჩოთირება, მას ანომალიად მიიჩნევენ და არ იღებენ. ასეთი სიტყვა, ჩვეულებრივ, საერთოენობრივი ფონდის გარეშე რჩება (ე. ი. მოთოთხავს ვერ ძლებს ლიტერატურული მოფოფხავს-სიტყვის გვერდით, მელაშურა ვერ ძლებს ლიტერატურული ღაშურას გვერდით).

საერთო ენის პოზიციებიდან ისეთი ფონეტიკურ-გრამატიკული დუბ-

ლექსიკონი, რომელნიც დიალექტისა და საერთო ენის სიტყმათა განსხვავებებს უკუფუნენ, და ისეთებიც, აჩარეგულარულ განსხვავებებს რომ წარმოგვიდგენენ, ერთგვარად ექცევიან საერთოენობრივი ლექსიკური ფონდის საზღვრებს გარეთ თუ არა, მის პერიფერიაში მინც.

მათი დამკვიდრება საერთოქართულში დაბრკოლებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, შინაგანად, შინაენობრივად — მათი ფონეტიკურ-გრამატიკული თვისებების გამო (ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ დანარჩენი დიალექტური სიტყვები უთუოდ დამკვიდრდებიან საერთო ხმარებაში: ისინი მხოლოდ სარეზერვო ფონდს [136] წარმოადგენენ, ხოლო საყოველთაო გავრცელებისათვის საჭიროებენ ხელსაყრელ გარეგნობრივ — „ექსტრალინგვისტურ“ — პირობებს).

158. როდესაც საერთოენობრივ ლექსიკაში დიალექტიზმების შესახებ ლაპარაკობენ, უპირველეს ყოვლისა, ივარაუდება საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები ანუ დიალექტური სიტყვები:

„დამავიწყდება ქართული ქუქუნა, შავი თვალები, ჩიხხასა არა უშავს-რა, სკეითის ქალს ვენაცვალები“: ჩიხხა 'ღია ჭრელი თვალების მქონე'. იხ. აგრეთვე: ბაზი 'სიმწიფეში შესული (ლობიო, სიმინდი)', გადაიკარებს 'წვიმა შეწყდება, გადაიღებს'.

მათ გვერდით განიხილება ე. წ. სემანტიკური დიალექტიზმები ე. ი. საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვათა დიალექტური მნიშვნელობანი:

„ჭური ხომ არ არის, რომ ბადიმები ახადონ და შიგ ჩაიხედონ“: ბადიმი 'სარკველი' (საერთო ენაში — ბადიმი არის 'ორმოს სახურავი, ფიცრისა, ოთხკუთხი'), იხ. აგრეთვე, ბრაზი 'ცოფი' (საერთოქართული, ლიტერატურულ ენაში დამკვიდრებული მნიშვნელობაა, როგორც ცნობილია, 'ძლიერ გაჭავრება, ძალზე გულის მოსვლა')...

სემანტიკურ დიალექტიზმებსა და საკუთრივ ლექსიკურ დიალექტიზმთა შორის მიჯნა ძნელი დასადგენია. ყოველ შემთხვევაში, მათ შორის თავსდება ის სიტყვები, რომლებიც წარმოებით, აგებულებით საერთოენობრივ ფაქტებს მიეკუთვნებიან, მნიშვნელობა კი დიალექტური აქვთ, მაგრამ ამასთანავე მონოსემიურნი არიან: დიალექტში დადასტურებული სპეციალური მნიშვნელობის გვერდით მათ არ მოეპოვებათ საერთოენობრივი მნიშვნელობა *.

აკაცის ნაწერებში ამ ტიპის სიტყვებია:

* შეიქმნა პეტლი წერს: „არსებობს მნიშვნელობის ისეთი სპეციალარეცია, რომელც საერთოდ სიტყვის ხმარებისთანავე იწყება. ეს ხდება ისეთ სიტყვებში, რომ-

შემზობილი, რომელიც ზოგადად შეამზობს-ზმნისაგან ნაწარმოებ ზედსართავად (მიმღეობად) კი არ იხმარება, არამედ სრულიად გარკვეული კონკრეტული მნიშვნელობა აქვს — 'საქონლის კურტუმი'; აქნილი 'ასო-ასოდ აპრილი' (შდრ. ა- პრეფიქსისა და ქმენ-ფუძის მნიშვნელობები); გაზურგავს 'მიბეგავს', მოიხალისებს 'მობეზრდება', მოუნამესებს 'საიდუმლოს („ნამუსს“) შეუნახავს', სასხვისშვილო 'არამკვიდრ-თათვის განკუთვნილი ადგილი სოფლის სასაფლაოზე'. საორმოყო 'მუცლის ტიფი', ხელაობა 'თევზის ჰერა ხელით'...

ზოგი ამათგანი მეტ-ნაკლებად დიალექტურ დუბლეტს წარმოადგენს საერთო სიტყვისათვის: გაზურგავს — მიბეგავს, მოიხალისებს — მობეზრდება... დანარჩენები არადუბლეტებია, ე. ი. ასე თუ ისე შეუნაცვლებელი სიტყვებია: აქნილი, სასხვისშვილო, ხელაობა...

ამ გარდამავალ ჯგუფს, ბუნებრივია, მკაფიო საზღვრები არა აქვს, ამიტომ რიგ შემთხვევაში ჰირს იმის გადაწყვეტა, თუ სად უნდა მოთავსდეს ესა თუ ის სიტყვა — საკუთრივ ლექსიკურ დიალექტიზმებში, თუ სემანტიკურში.

საკუთრივ ლექსიკურ დიალექტიზმებშიც შეიმჩნევა განსხვავება შეუნაცვლებელ სიტყვებსა და ლექსიკურ დუბლეტებს შორის.

უეჭველი ლექსიკური დუბლეტებია:

ჟიქანი — ცური; „გაძლები, გასისინდები, ჟიქანს გაივსებ რძითაო“.

იხ. აგრეთვე: ია-ია — ია, კეახი — გოგრა, კოპიტი — იფანი, ჩარაყინი — ციყარი, ცინდალი — კნუტი, უშობელი — დეკეული, ჭაჭა — თირკმელი, ჩე-რო — ჩრდილი, კვეს-აბელი — ტალკვესი, საინი — თეფში, ჭური — ქვევრი, შარნა — ბელგა...

დიალექტურ დუბლეტებშიც მოიძებნება ისეთი შემთხვევები, როდესაც წყვილები მასალობრივი სიახლოვით ხასიათდებიან (შდრ. ზემოთ მელამურა, მოთობავს):

კორჩიოტა — ყოჩივარდა: „მიწას ჩიჩქნიდა და ზედ კორჩიოტის წისქვილს აგებდა“, ჩერო — ჩრდილი: „მოხიბლულმა, ვითა ჩერო მე დამაგდო ცოცხალ-მკვდარი“, ან კიდევ: „ყურგარძელი ვირი თავჩაქინდრული აგერ ჩეროში გამდგარა განზედ“. შდრ. „აჩრდილიდა ვარ წარსულის და ლანდი მომავალისა“, „ადრინდელის ჩრდილი იყო დაჩაგრული საქართველო“ და სხვ.

ლებიც შეიძლება თავისუფლად ეწარმოთ სხვა ჩვეულებრივი სიტყვებისაგან ამ ენის სიტყვაწარმოების კანონების მიხედვით, მაგრამ ნამდვილად მხოლოდ მაშინ იხმარებიან, თუ ამას საგანგებო საჭიროება მოითხოვს. ამ სიტყვებს იშთავითვე უფრო სპეციალური დამოკიდებულება აქვთ ძირითად სიტყვასთან, ვიდრე ამას თავისთავად წარმოება (Ableitung) მოითხოვს“ [257].

მაგრამ ეს სიახლოვე ამჟამად ხელშესახები არაა და მოცემულ შემთხვევებში მათ ფონეტიკურ-გრამატიკულ დუბლეტებად ვერ დავახასიათებთ, ისინი **ლ ე ქ ს ი კ უ რ** დუბლეტებს წარმოადგენენ.

მეტ-ნაკლები ყოყმანით დუბლეტებადვე შეიძლება მივიჩნიოთ:

აჭურ-აჭურუმი: „მელაკულამ ტაში დაკრა — აჭურ, ჩემო დათუნაო!“ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უცხოური წარმოშობის სიტყვის ქართულად გააზრება-გადაკეთებასთან. იხ. აგრეთვე: **ადრისდულად** (—**უწინდებურად**, **ძველებურად**), **იჯიშება** (—**იჯიშება**), **შორებელი** (—**შორეული**: თუმცა პირველი ამთავანი უპირატესად არსებით სახელად გამოდის, მეორისათვის კი ზედსართაული მნიშვნელობა არის ჩვეულებრივი), **უჯმაჯურა** (—**მაჯლაჯუნა**), **გაღლაეს** (—**გათვალავს**), **ღგმა** (—**თი. ბა**, თუმცა აკაკისათვის ჩვეულებრივია, აგრეთვე, **გათვალავს** და **თაობა**), **ტკვერა** (—**კენეტა**), **ტლეკა** (—**ლოკვა**), **უზიციებს** (—**ულიტინებს**), **უჯიკაეებს** (—**უბიძგებს**), **ყვინთვა** (—**ჩაყურყუმელაეება**), **მჩატე** (—**მსუბუქი**), **უბრად** (—**უმძრახად**), **პუნტულა** (—**ფუნჩულა**), **ჩინდრიკი** (—**ჩანჩალი**), **პარპალი** (—**ხამხამი**), **ლიპლიპა** (—**მსუქანა**)...

ამ ჯგუფში თითქოს ზოგიერთი მაინც არ არის ზუსტი დუბლეტი, ე. ი. სემანტიკურად სავსებით იგივეობრივი წყვილი: **გაძრახებს**—**შეაველიანებს**, **წააქეზებს**, ან **შორებელი**—**შორეული**, ან კიდევ **უბრად**—**უმძრახად**...

159. როდესაც განსხვავება უფრო საგრძნობია, ჩვენ წინაშე უკვე შეუნაცვლებელი სიტყვები აღმოჩნდება.

შეუნაცვლებელ სიტყვათაგან (ე. ი. ისეთი სიტყვებიდან, რომლებსაც სალიტერატურო ენაში ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება) შეიძლება გამოვყოთ ისეთი ჯგუფი, რომელში შემავალი სიტყვებიც **მეტ-ნაკლებ სიახლოვეს** ავლენენ დიალექტურ დუბლეტებთან:

სულსავი („მგელი რომ სულსავია, ვის არ გაუგია, ისე ყლაპავს, არ არჩევს ძვალა თუ ქონია“) არ არის რომელიმე სალიტერატურო სიტყვის დუბლეტი, თუმცა სიახლოვეს კი ავლენს **სულშასული**, **მოუთმენარი**, **გაუშაძარი**-სიტყვებთან. ასევე, **ინიშებს** განმარტებით ლექსიკონში დახასიათებულია **მნიშვნელობით** ახლო მდგომი რამდენიმე სიტყვით — **იტყუავს**, **იკრავს** და არა განმარტებით, როგორც აშკარად შეუნაცვლებელი სიტყვების შემთხვევაში გვაქვს ხოლმე. სხვა მაგალითები: **ატროეებს** (ატებს, აყუნცრუებს), **ბარობით** (**მიზნით**, **გამო**), **გადაბრინჯული** (**გადაპრანჭული**, **გაბღენძილი**), **ვაგლახად** (**ტყუილ-უბრალოდ**, **ადვილად**), **კვარკვალტა** (**კურკუშელა**, **კოშტი**), **ნახინკალა** (**ნარჩენი**, **ნამტვრევი**), **ობროდი** (**უჭკუო**, **ჩერჩეტი**), **ეჭაჩება** (**ეჭევა**, **ეზიდება**), **ფიორი** (**ერთი ბეწვა**, **ნამეცვა**), **ყანყალი** (**ტოკვა**, **ფაფალი**, **რყევა**)...

ამ (გარდამავალ) ჯგუფში უპირატესად ისეთი სიტყვები შედის, რომლებიც **ხელშესახები ექსპრესიული**ობით, **ექსპრესი-**

უ ლ ი გ ა მ ს კ ვ ა ლ უ ლ ო ბ ი თ ხასიათდება: ეს სიტყვები საგნობრივ მიმართებასთან ერთად გადმოსცემენ (ფაქტობრივ, ან უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებლობის სახით) მოლაპარაკის დამოკიდებულებას სათქმელთან.

რაც შეეხება აკაკის ნაწერებში დადასტურებულ დიალექტური წარმომავლობის საკუთრივ შეუნაცვლებელ სიტყვებს, აქ ყურადღებას იქცევს აფექტური ლექსიკის დიდი ხვედრითი წონა (რითაც ისინი წინა ჯგუფის სიტყვებს ემეზობლებიან). აფექტური შეფერილობის სიტყვათა თავისებურება ხშირად კარგად ჩანს მათ ლექსიკოგრაფიულ დახასიათებაში: განმარტება წარმოდგენილია ისეთი სიტყვით, რომელიც საგნობრივი მნიშვნელობით ახლოს დგას განსამარტავ სიტყვასთან, მაგრამ მას ახლავს შეფასების გამოხატველი სიტყვაც:

ქუყურა მოფერ. ძალღი („მაგრამ შენ, ჩემო ქუყურა, ტბილად მყეფო, კარგო მურა, სუყველა შენ გენაცვალოს, ვინც ამ ლექსზე დამემღურა“), *გამოკანწული 'კოხტად გამოწყობილი', იჯღაღღებს უგვანად იტირებს', ყვანწალი 'უშნოდ სიარული', აყურყუბებს 'მომამბეზრებლად დიდხანს აცდევინებს', ჯახირი 'წვალებით კეთდება', ღვიტიკელა ბავშვისადმი საალერსო მიმართვა'...*

აფექტურ ლექსიკას მიეკუთვნება ის სიტყვებიც, რომლებშიც დომინანტობს მეტ-ნაკლები ინტენსიურობა გადმოცემული თვისებისა (უფრო ზოგადად — „პრედიკატულობისა“):

გაიდლაშება („აბდუშაპილი სიგრძისად გაიდლაშა გულადმა დედამიწაზე“) 'ლონემიხდილი ძირს გაერთხმება', იხ. აგრეთვე, *გაძმარავს 'მაგრად დაბამს', ერთიყახე 'სულ პატარა', კიაფობს 'ონდავ ანათებს', ფურფუტი ძალიან მსუბუქი', უთხლაშუნებს 'დაუზოგავად ურტყამს' და სხვ.*

ნეიტრალური, უემოციო პეტყველებისათვის დამახასიათებელ სიტყვათა შორის გამოიყოფა ისეთები, რომლებიც სტილისტური კლასიფიკაციისას „სასაუბრო“ სიტყვებად დახასიათდებიან. უეჭველია, მეტყველის შემფასებელი თვალსაზრისი აქაც ჩანს:

ნააკრახუნებს („ატროკდა ერთხელ ბეკეა, გაიკრა, ტყეში გავარდა, ნეკერი ნააკრახუნა, კუნტრუშით შეინაეარდა“), *უქინჩაყ თავს* („თავის გასრეკილ ბახზე ზის, თავს უქინჩავს“). *აიქონება 'აებუძეება (თია)', ყლუშუნი, ბაყი-ბუყი, მოხუნავს, ღლაბი, ჩიქორთუკლი...*

160. მაგრამ ბევრ სიტყვაში წინ არის წამოწეული სწორედ საგნობრივი მიმართება, ხოლო მოლაპარაკის პოზიცია მიჩქმალულია.

ესაა, პირველ ყოვლისა, ე. წ. კულტურული საგნების სახელწოდებანი, რომლებიც ადამიანთა კოლექტივში შეიქმნა (ასეთია, მაგალითად.

სიტყვა *საყუყუელა*: „ქიას *საყუყუელებით* უშხაპუნებთ შაბიამანს“), ან რომელიმე კოლექტივის ზემოქმედება განიცადა (თავისებური აბრეშუშის პარკის სახელწოდება — დომუალი: „ნახეთ იქაური ყაქის პარკები... ის კვერცხის ოდენა ძაფაგარი და ადვილსახვეწი დომუალები“). ან კიდევ სახელწოდებანი ბუნების მოვლენებისა, რომლებსაც აღამიანთა საქმიანობისათვის მნიშვნელობა ჰქონდათ და ამიტომ საგანგებო ყურადღება დაიმსახურეს (ასეთია მაგალითად, თელბი 'სიო, ნიავი': „წყალს თელბი დაპკრავდა, კველი შეინძროდა, შეითამაშებდა და, რასაკვირველია, შიგ ჩასახული სახლიც დატორტმანდებოდა“, „მარტო სიო დე თელბივ კი გიბრიყვებენ, გერევიან; აკვანივით რომ გარწევენ, როგორც უნდათ, ისე გხრიან“); აქვე შემოდის ის სიტყვებიც, რომლებშიც უკუფენილია ენობრივი კოლექტივის წევრთა ურთიერთობა (კყრვილი 'კაცმრავალი, მრავალსულიანი (ოჯახი)').

რა თქმა უნდა, ამგვარი სიტყვების შესახებაც ყოველთვის ვერ ვიტყვივით, რომ ისინი წინათ დასახელებულ ჯგუფებს მკაფიოდ გაემიჯნებიან. აქაც რიგ შემთხვევაში სიტყვის სასაუბრო ხასიათი თითქოს არ გამოირიცხება (მაგალითად, ამ სიტყვებისა: *გულბოყვი*, *ჩაშოატყავებს* (ხალოყავებს)... და ეს ბუნებრივიცაა: საგნობრივი მიმართება და ემოციური ელფერი სიტყვის როგორც აღსანიშნის თვისებებია. გარკვეულ შემთხვევაში, კვლევისას, სასარგებლო და საჭიროა მათი ცალ-ცალკე განხილვა, მაგრამ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ობიექტურად ისინი არსებობენ ერთდროულად და დაუნაწევრებლად; არსებობენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სინკრეტულად, ამიტომ მათი მკაფიო გამიჯნვა შეუძლებელია.

დიალექტური ლექსიკა — დუბლეტებიდან შეუნაცვლებელ სიტყვებამდე — უწყვეტი ჯაჭვის სახით წარმოგვიდგება (იხ. შემდეგი გვ.).

დიალექტური ლექსიკის ურთიერთგამიჯნულ ჯგუფებად წარმოდგენით ჩვენ ობიექტურ ვითარებას ვამარტივებთ; ამ ჯგუფების მიჩნევა სხვადასხვა საფეხურებად არის ერთგვარი კომპრომისი რეალურად არსებულ უწყვეტობასა და ჩვენ მიერ გამოყენებულ დისკრეტულობის პრინციპს შორის.

თვით ის ძირითადი გამიჯვნაც, რომელიც შემოვიღეთ დიალექტური ლექსიკის საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდთან მიმართების დადგენისას, სახელდობრ „შეუნაცვლებელი სიტყვებისა“ და „დიალექტური დუბლეტების“ გამიჯვნაც, ბოლოს და ბოლოს, ისეთი კატეგორიულიც არ აღმოჩნდა და, როდესაც ფაქტები გამოწვლილვით განვიხილეთ, გარდამავალი ვითარების დადასტურებაც მოგვიხდა, ე. ი. ამ შემთხვევაშიც თურმე საქმე გვქონია უწყვეტობასთან, რომლის დანაწევრება მეტნაკლებად ნებისმიერია...

ლექსიკური
ლუბლები

ნაწილობრივი
ლუბლები

აფექტური
სიტყვა

საუბრული
სიტყვა

ია-ია — 'ია'

შორებელი 'შორული'

ადრინდულად 'უწინდებურად, ძველებურად'

სულხაგი 'სულწასული, მოუთმენარი, გაუმაძღარი'

გამოკეანშული 'ობტად გამოწყობილი'

ფურფუტი 'ძალიან მსუბუქი'

მოისუნაეს 'თითქოს სუნით მოიძიებს'

ჩააკრაზუნებს 'გემრიელად შეაბრამუნებს'

ჩამოატყავებს 'ლოცვით ჩამოივლის
(სალოცავეებს)'

საჭყეკელა 'წელის ხელთოფა'

161. მთელი აქ წარმოდგენილი მსჯელობა ეხებოდა დიალექტურ და საერთოენობრივ სიტყვათა ურთიერთობას მხოლოდ მნიშვნელობის თვალსაზრისით. როგორი დაწვრილებითიც არ უნდა იყოს ამ ურთიერთობის ამგვარი დახასიათება, ის მაინც ვერ მოგვცემს პასუხს ერთ-ერთ ჩვენთვის საინტერესო ძირითად კითხვაზე: როგორია დიალექტიზმების საერთო ენაში დამკვიდრების ტენდენცია?

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მასალა ასე თუ ისე დაგვეხმარება ნეგატიური პასუხის დაძებნაში: აქ ჩანს ის შემზღუდავი შინა-

ენობრივი პირობები, რომლებიც აფერხებენ საერთო ენაში ლექსიკურა დიალექტიზმების შესვლა-დამკვიდრებას.

რაც შეეხება პოზიტიურ პასუხს, საამისოდ მოგვიწევს გავითვალისწინოთ ენობრივი ფაქტებისა და რიგ გარეენობრივ მოვლენათა ურთიერთობა; კერძოდ, საჭირო აღმოჩნდება შევისწავლოთ იმ არხთა ქმედითობა, რომელთა მეშვეობითაც დიალექტიზმი შედის საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდში.

ჩვენს შემთხვევაში საკითხი ეხება აკაკის თხზულებებში დადასტურებულ ლექსიკურ დიალექტიზმთა გამოყენებას სხვა მწერალთა ნაწერებში. ამ მწერალთა პრესტიჟს მკითხველი საზოგადოების თვალში, მათი ნაწერების მნიშვნელობას ეროვნული ლიტერატურის განვითარებისათვის და, ამ გზით, საერთოენობრივი ნორმების (ამ შემთხვევაში — ლექსიკური ნორმების) შექმნა-დამკვიდრებისათვის.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ აკაკი წერეთლის მიერ ნახმარ დიალექტურ სიტყვებს ყველას ერთნაირი ადგილი არ უჭირავს თვით აკაკის ნაწერებში: (ა) ზოგი ამათგანი აკაკისათვის არის ჩვეულებრივი, მაგრამ არა ერთადერთი გამოთქმა სათანადო შინაარსის გადმოსაცემად. (ბ) ზოგჯერ დიალექტური სიტყვა სწორედ ერთადერთი გამოთქმაა, (გ) მაგრამ არაიშვიათად დიალექტურ სიტყვასთან ერთად — და უპირატესად — აკაკის ნაწერებში ვხვდებით მათ ფარდ საერთოენობრივ ლექსიკურ ერთეულებსაც. ამრიგად, ბევრი დიალექტიზმი თვით აკაკის სალიტერატურო სიტყვახმარებისთვისაც მეტ-ნაკლებად შემოხვევითია (*მანდურ — მანდ, მინუში — ნიმუში, ჩხუბი — ოში...*).

ზოგი ამათგანი სალიტერატურო ქართულში აკაკის სიტყვახმარებას არ გასცილებია (*მანდურ, ეგებო...*) ან ხანმოკლე, სპორადული ხმარების შემდეგ გაქრა სალიტერატურო ენიდან (*მინუში, ჩხუბი, მელაშურა*). მაგრამ ზოგიერთი ასე თუ ისე შემორჩა სამწერლო ქართულს (*ნაშუაანი, შუაი, ჩირგვი...*). ამათ შემორჩენას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მათი კუთხური გავრცელება იმერეთით არ შემოიფარგლება. რამდენიმე მათგანი ზოგ აღმოსავლურ კილოშიც გვხვდება.

პირიქით, საერთო ენაში შეუღწევლობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პირველ ყოვლისა, ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებებით ჩანს შეპირობებული. ასეთმა დუბლეტმა მკაფიოდ განსხვავებული საგნობრივი მიმართება, სტილისტური ელფერი ან თავისებური დისტრიბუცია უნდა მოიპოვოს, რომ გზა გაეხსნას საერთო ენაში დასამკვიდრებლად.

თუ სიტყვას მხოლოდ ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურება

გამოარჩევს და, ამასთანავე, ეს თავისებურება მისი დიალექტური ხასიათის მანიფესტაცია არის, იგი ვერ შემორჩება ხოლმე საერთო ენას: დიალექტურობა უკვე თავისთავად მაჩვენებელია არასრულფასოვნებისა, როდესაც საერთოენობრივი და დიალექტური მოვლენები ერთმანეთს უპირისპირდება როგორც ნორმა და ნორმის დარღვევა.

ამრიგად, სალიტერატურო ენის სიტყვათა გვერდით დიალექტური წარმომავლობის დუბლეტთა ხმარება იმის მაჩვენებელია, რომ აკაკის დროს (და თვით აკაკის ნაწერებში) ზოგი სიტყვის მიმართ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ნორმატიული თვალსაზრისი.

162. მეორე მხრით, საყურადღებოა, რომ სალიტერატურო ენაში რიგი აკაკისეული ლექსიკური დიალექტიზმების შეწყობა რეგულაციული შეუწყობილობის გამო, რომ ეს სიტყვები ნასმარია აკაკის პოპულარულ საყოველთაოდ ცნობილ ნაწერებში.

აი, რამდენიმე მაგალითი:

„მელა და ყურძენთან“ ერთად და უთუოდ მისი წყალობით მიიღო საგზური მინაბდული-სიტყვამ: „ყურძენი რომ მალლა ნახა მიწიფებულ-მინაბდული“...

„დათვის წვეულების“ წყალობით გაედო კარი სალიტერატურო ენაში ამფერ-სიტყვას: „მელაკუდამ ტაში დაჰკრა — ამფერ ჩემო დათუნაო!“

„მგელი და წეროს“ მეშვეობით გაიცნო მკითხველთა ფართო წრემ სულხაგი: „მგელი რომ სულხაგია, ვის არ გაუგონია?“...

შაკოინდები, კერებს, გასინდები იმიტომაც არ გვეუცხოება, რომ ჩართულია „ჩემ თხაში“ — ისეთ ლექსში, რომელიც თითქმის ყველამ ზებირად ვიცით: „მთაში რომ შაკოინდები, დააგდებ მინდორ-ველსაო...“, „წვერი გაქვს დეკანოზისა და რქები ეშმაკისაო. კბილები, ნამგლად ნალესი, ნეკერს კერებს, ბალახს მკისაო“, „გაძლები, გასინდები, ჯიქანს გაივსებ რძითაო“.. (სხვათა შორის, ჯიქანი- სიტყვაც კუთხურია და მის სამწერლო ენაში შესვლას აკაკის ლექსებმაც შეუწყვეს ხელი).

აკაკის ცნობილი პოემებიდან შეაჩვია მკითხველმა ყური შემდეგ სიტყვებს:

რიკრიკი, გადალული, ჩამოხირხლული („ნათელა“): „ტიროლა მალლა ჰაერში ზარს აწკარუნებს რიკრიკით“; „ვით გადალული თვალისკვრით ჩაჭდა უსიტყვოდ ნოინი“; „ერთი ხანია — ნათელას ძღვნად მოსდის ოქროს კავები და ზედაც ჩამოხირხლული სამშობლოს მტრების თავევები“.

აბა ჰე, ნაკლე („პატარა კახი“): „აბა ჰე, მოდი წავიდეთ ერთად!“

„ჩარეულ ომში რაღა ნაკლუა შენს ხმალ-ხანჯალზე ქვეები და კეტი?“
 „ზე კი ლევანზე რაღა ნაკლუ ვარ?“.

მეურჩე, *ვაგლახად* („უბრალოდ“), *ამგუნებს* („თორნიკე ერისთავი“):
 „გული *მეურჩე* თავისა ცხოვრების წინამძღვარია“, „ქართული ჯარის
ვაგლახად შებმას გამოცდილება სარდალს აფექტებს“, „მაგრამ თორ-
 ნიკ ეუბნება: ნუ *მამგუნებ*, მეფევ ძღვენსო: ვერ მივიღებ მე სიმდიდ-
 რეს, ვერ ვიქმ საქმეს ღვთის საწყყენსო!..“.

მართალია, ყველა მათგანი არ გავრცელებულა სალიტერატურო
 სიტყვახმარებაში, მაგრამ უარყოფილიც არაა, არაა მიჩნეული საშვერ-
 ლო ენის დაუშვებელ დარღვევად: მკითხველი მას იღებს როგორც პო-
 ეტური ენის კუთვნილებას და არა როგორც დიალექტიზმს.

მაგრამ სიტყვის საყოველთაო მიღება-გაზიარებე-
 ისათვის, დამკვიდრებისათვის საჭიროა, რომ იგი
 არსებობდეს „კონტექსტისაგან“, ცალკე მწერლის
 ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად.

საამისოდ გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად სწორად
 გვხვდება აკაკის მიერ ხმარებული სიტყვები სხვა მწერალთა ნაწერებში.
 განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდის (ამჟამად ერთად-
 ერთი შესაფერისი წყაროს) ჩვენებით ბევრი აკაკისეული კუთხური
 სიტყვა (ფუძე) დასტურდება სხვა ავტორთა ნაწერებშიც: *გადაიკარებს*,
იჯგომება, *მოქინჩავს*, *რენჩხად*, *რიხინობს*, *შეიცხადებს*... ბევრი სიტყვისათვის
 განმარტებით ლექსიკონს აუცილებლად არ მიუჩნევია კუთხურობაზე
 მითითება და წარმოდგენილია ამა თუ იმ შემზღულადვი კვალიფიკაციით
 („სასაუბრო“, „ძველი“, „იგივეა, რაც...“); ამგვარია: *ჩერო*, *ჭური*, *საინი*,
ცაცხანი, *ტლიკინი*, *ჩხიკინი*, *ხუნტრუცი*, *ღგმა*, *ულეაშსაკრი*...

საერთო სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულ სიტყვებს
 ზოგჯერ ისეთი დუბლეტები მოეპოვებათ, რომელთა ხმარება ამჟამად
 რეკომენდებული არ არის (განმარტებით ლექსიკონში მათ ახლავთ მი-
 თითება „იხ“.). აკაკისეული დიალექტური წარმომავლობის სიტყვები-
 დან ასეთებია: *ბელატი*, *დანხანა*, *სასმო*, *მელამურა*, *სოველი*, *ჩენჩქერი*, *კლინ-
 კი*... მაგრამ ესენი მიუღებელ, არასაპირო დუბლეტებს წარმოადგენენ
 დღევანდელი საშვერლო ქართულისათვის. ამ რამდენიმე ათეული
 წლის წინათ, როდესაც აკაკი მოღვაწეობდა, ბევრ შემთხვევაში გაპირ-
 დებოდა საზღვრის გავლება მიუღებელ და დასაშვებ დუბლეტებს შო-
 რის. მაგალითად, ჩანს, დასაშვებად მიაჩნდათ *სოველი*, *სასმო*, *მელამურა*.
 ეს სიტყვები აქა-იქ მაშინდელ „აღმოსავლელ“ მწერალთა ნაწერებშიც
 კი გვხვდება. ამრიგად, დღევანდელი სალიტერატურო ენიდან განდევ-
 ნის საფუძველი ის კი არ არის, რომ მათ დიალექტურ სიტყვებად

შეიგრძნობენ, არამედ ისაა, რომ ისინი მიუღებელნი არიან სალიტერატურო ენის ო რ თ ო გ რ ა ფ უ ლ ი ნ ო რ მ ე ბ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ...

163. აკაკის ნაწერებში დიალექტური წარმომავლობისად მისაჩვენებელი სიტყვებიდან ბევრი არის შეტანილი განმარტებით ლექსიკონში ისე, რომ შემზღუდავი კვალიფიკაცია არ ახლავს და არც კუთხურ წარმომავლობაზე არის მითითებული, ე. ი. ეს სიტყვები უკვე შესულია თანამედროვე საერთოქართული ლექსიკური ფონდის ძირითად ნაწილში*: აატრთვეს, ამხელა, ბართობით, თოთო, იჯრა, მარულა, პოჭინი, ფაცხა, დადარი, ყვინთვა, შემოწენილი და სხვ. დამოწმებული ავტორები, მართალია, მეტწილად „დასავლელები“ არიან, მაგრამ სამაგიეროდ მათი ნაწერები ძირითადი საკითხავია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, მკითხველთა ფართო წრეებისათვის და, რაც ამჟამად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, დღესაც საფუძველს წარმოადგენს საერთო სალიტერატურო ქართულის ნორმათა (მათ შორის — ლექსიკურ ნორმათა) შეთვისება-განმტკიცებისათვის (გიორგი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ნიკოლორთქიფანიძე, შალვა დადიანი, ეგნატე ნინოშვილი, ლეო ქიაჩელი, რაქდენ გვეტაძე, აკაკი ბელიაშვილი...). გვხვდება, ცხადია, „არადასავლელ“ მწერალთა ციტატებიც (ილია, ვაჟა, ა. ყაზბეგი, უფრო ხშირად — რ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი, მ. ჭავჭავაძე, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე და ჩვენი თანამედროვეებიც: რ. ბეჟანიშვილი, რ. ინანიშვილი, ა. სულაყაური, ო. ჩხეიძე...). ამ მწერალთა „მხარდაჭერა“ კიდევ უფრო განამტკიცებს ზემოთ დასახელებულ სიტყვათა პოზიციებს თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ლექსიკურ ფონდში.

ილიას და აკაკის თაობის სალიტერატურო მეტყველების წყაროებს წარმოადგენდა ქართული ლიტერატურა — ვეფხისტყაოსანი, სიბრძნე-სიცრუისა, დავითიანი და სხვ. — ერთი მხრით, და, მეორე მხრით, თვით მწერლის სასაუბრო ენა, რომელიც, ცხადია, არა მთლიანად, მაგრამ მნიშვნელოვანწილად მაინც მშობლიურ დიალექტს ემყარებოდა (სკოლის ენა უცხო ენა იყო, ამიტომ სალიტერატურო ქართულის განვითარება-გამდიდრებაზე იგი უშუალო გავლენას ვერ მოახდენდა).

უნდა ითქვას, რომ მწერლის სასაუბრო მეტყველებიდან სალიტერატურო ენაში სიტყვათა შემოტანის ცდები მეტწილად წარმატებით მთავრდებოდა, რადგან მესამოცე წლების მოღვაწეები და მათი მომდევნო თაობის მწერლები უპირატესად იმავე კილოების წარმომადგენლები

*სალოკუმენტ-ციო ფონდში, ჩვეულებრივ, ასეთი სიტყვები რ. მდენიძე (ხოჯაჯარ — თხუთმეტამდე) ავტორის ციტატებით არის წარმოდგენილი.

იყვნენ, რომლებზედაც ორიენტირებული იყო სალიტერატურო ქართული ენა საუკუნეების განმავლობაში, სახელდობრ—ქართლისა და კახურისა (იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის მშობლიური კილოები) და მათი მომიჯნავე კილოებისა — ზემოიმერულის * (აკაკი და გიორგი წერეთელი) და ფშაურისა (ვაჟა-ფშაველა): ეს კილოები ლექსიკის მიხედვით მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; თვით ამ მწერალთა ** პრესტიჟმა უზრუნველყო მათ მიერ გამოყენებული სასაუბრო სიტყვათა მეტი წილის შემოსვლა სალიტერატურო ქართულში.

104. ამჟამად საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდში დიალექტურ სიტყვათა შესვლა-დამკვიდრების საფუძველს ის წარმოადგენს, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ენობრივი აღზრდის ძირითად წყაროდ ქცეულია ის ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც შეიქმნა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილიასა და აკაკის თაობისა და მათ უმცროს თანამედროვეთა მიერ. XIX საუკუნის მწერალთაგან განსხვავებით, XX საუკუნის მწერლის ლექსიკონი უპირატესად ყალიბდება იმ სიტყვიერი მასალისაგან, რომელიც წარმოდგენილია ახალ ქართულ ლიტერატურაში. ახალი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს მიეკუთვნება აკაკი წერეთლის ძირითადი ნაწარმოებებიც და ამით არის შეპირობებული ის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც აკაკის (ილიასა და ვაჟასთან ერთად) უკირავს არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის ისტორიაში, არამედ, აგრეთვე, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში.

საერთო ქართულის ლექსიკური ფონდის დინამიკის გასათვალისწინებლად საინტერესოა ძველი და თანამედროვე თარგმნითი ლექსიკონები შევეუდაროთ ერთმანეთს. განმარტებით ლექსიკონში „კუთხურ (იმერულ)“ სიტყვებად დახასიათებული ერთეულები ფართოდ არის გამოყენებული თანამედროვე ლექსიკონებში, მეცხრამეტე საუკუნისაში კი ისინი თითქმის არ ვხვდებით. (დ. ჩუბინაშვილს ნახმარი აქვს *„ირაკი“* (ისიც აკაკისაგან განსხვავებული ნიუანსით) და *„ირაკი“* (რომელიც აკაკისეული *„ირაკი“*ს ფარდად იხმარება) [139].

105. ძირითადად ანალოგიურ სურათს მივიღებთ, თუ სხვა მწერლების ენას შევეუდარებთ საერთო-სალიტერატურო ქართულის ლექსიკას.

* აკაკი სამართლიანად უარყოფდა ზემოიმერულის ვიწრო კუთხურ ხ.ს.ა.ს.: შორაპნის მახრის ზემო მხარე მართლაც ისტორიულად იმერიის ნაწილი იყო.

** მათთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ ე.ვ. გაბაშვილი, ნ. ლომოურა, ვ. ბარსოვი, ან. ერისთავ-ხომტარია, შიო არაგვისპირელი... სხვა კუთხეთა წარმომადგენელთაგან პოპულარული იყო ალ. ყაზბეგისა და ე. ნინოშვილის ნაწერები, რომლებშიც დიალექტური უპირატესად პერსონაჟის მეტყველებაში არის გამოყენებული.

ასე, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას სიტყვახმარებას რომ თვალი გადავავლოთ*, აქაც გამოვეყოფთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც წარმოადგენენ ვაჟას მშობლიური დიალექტის ფონეტიკურ-გრამატიკულ თავისებურებათა გამოვლენას;

მააწონებს („ვერ მააწონებთ კარვს ყმასა, რაც არ უჯდება ჰქვეა-შია“), *ხელის შაქცევა*, *შაჩვენება*, *მაკიდებს*, *მიაღის*, *ქვენ 'ქვემოთ' ზენ 'ზემოთ'...* *შენობილი 'შენიანი'*, *ჩემობილი 'ჩემიანი'...* *ვერსაით 'ვერსაი-დან'* და სხვ.; არარეგულარული ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებებით ხასიათდება *ჩანჩქარი* („თვალთგან, ვით კლდეზე *ჩანჩქარი*, ცრემლები ჩამოსდიოდა“), *ღმინი*, *მელუწი...* *შახუნდებს* („აბა შეჯუღნოთ ქვეყანას, ძირს ვაკე, მალა მთებია“), *ხელს შესტყეებს*, *მოიძყო*, *გაკემაოს...*

ამგვარი ფაქტები დიალექტის გრამატიკულ-ფონეტიკური დახასიათებისათვის არის საყურადღებო, მაგრამ საკუთრივ ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებ საინტერესოა (შდრ. ზემოთ § 157).

ვაჟას მიერ ხმარებულ სიტყვებშიც დასტურდება საკუთრივ ლექსიკური და სემანტიკური დიალექტიზმები. სემანტიკური დიალექტიზმების (ე. ი. სიტყვების, რომლებიც საერთო ენაშიც არსებობს, მაგრამ რომლებსაც განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ) ნიმუშებია — *შენაცვლებადნი* (დიალექტური დუბლეტები):

დაიღვა — 'მოისპობა' („ერთურთი სწყურან ორთავე, ერთურთთან *დაიღვიან*“), *დაეშო* — 'დაენარცხა', *ილუთი* — 'შნო', *უჯაერდება* — 'ლანძღავს'; *ნაესი* — 'ეშმაკი, ხერხიანი'.

და *შენაცვლებელნი* (დუბლეტის არმქონენი საერთო ენაში):

ჯუზა 'შინაური შალის კაბა' („გნებავეთ ჩაიცვით *ჯუზები*, დიაცებს დაეგვანენით“), *კივილი 'შევარდენის ხმიანობა'...*

* ვაჟას რამდენიმე ათეული სიტყვა თვითონვე აქვს განმარტებული სქოლიოებში, ზოგი გამონაკლისის გარდა (ეს გამონაკლისები ბოლო წლებში საგანგებოდ საბავშვო გამოცემებში დაბეჭდილ მოთხრობებში გვხვდება). ჩანს, „ფშაურ“ სიტყვებად მიანიჩა მწერალს და ზოგჯერ საგანგებოდაც მიუთითებს ამის შესახებ: „*აღმანა ფშაველის ძველი სამართლის ძალით, ვისი იარაღითაც კაცი მოკვლებოდა, სისხლი იარაღის პატრონს უნდა ეზღო. თუნდ იარაღი სხვას ეხმარა*“. „*გერინვა მარტოკა მუშის მღერა მკის ან თიბის ღროს ფშავეში*“, ყუფა „*არწივი ყვესო — ამბობენ ფშაველები*“ და სხვ... ზოგჯერ კიდევ განსამარტავ სიტყვას საგანგებოდ ნიშნით: *ბრკყალებით გამოყოფს ხოლმე ('მელუტი', 'სწორული', 'წურვილი'...)*. ვაჟასეულ ლექსიკაზე მსჯელობისას ვიყენებთ ალ. კინზარაულის მიერ შედგენილ ლექსიკონს [151].

ნაწარმოები მონოსემიური სიტყვები (რომლებიც საერთო ქართული ელემენტებითა და საერთო ქართული წესით არის შექმნილი დიალექტში):

ნათოფარი 'ვისაც თოფის ტყვია მოხვდა' („გავწირეთ გულსისხლიანი ყვინი ნათოფარია“), მელუმლე 'ძალი, რომელმაც ჩუმად მოპარვა და კბენა იცის', ნაბოტარი 'ყვირილობის დროინდელი მჭისე სუნი ირმისა', ნაფარტნალი 'გამოჩეჩილი მატყლის საუკეთესო ნაწილი'...

ამ სიტყვებს სემანტიკურად ბადალი არა ჰყავთ საერთო ქართულში, ისინი შეუნაცვლებელი არიან.

შენაცვლებადი მონოსემიური ნაწარმოები სიტყვებია:

მაყნე — 'შეკრიკი' („მაყნე მოიდა შატილსა: ქისტებმა მოგვეცეს ზიანი“), სადუღარი 'ქოთანის', სულეთი — 'საიქიო', სხვისშვილი — 'მოჯამაგირე', ქედური — 'სერი'...

საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები: ღუბლეტების სახით გვევლინება ბევრი სახელწოდება მკვდარი ბუნების მოვლენებისა, მცენარეებისა, ცხოველებისა:

ჭიუზი — 'წვეტიანი კლდე' („გათენებისას ჭიუხში შურთხმა დარეკა ზარიო“), ყაჟი 'ფიფქი', მქურდი... კესანე 'ცისანა' („იისა კუბო შეძიკრან, გულს დამაყარონ ტურფა კესანე“), ბრაში, ჩაღუნა, ურძანი... შაბრი („დიდია კამეჩისტოლა, შაბრი, ყელთეთრი ქედანა“), ბოჯაფილი, შერანი, ქერონა, ჩხვერა, გარი, დახვლუნსებელი...

აგრეთვე, სახელწოდება ადამიანის ნახელავისა და, საერთოდ, კულტურული ცნებებისა:

გარა („აინსენ გველისპირული, დიაცთ გაღუგდე ცხემლად, ფარი — ქსლის ჩასაბეჭავად, ხირიმ — გაუღდან გარადა“), ტაგანი, ღარადლა, ჩიკეპი, ჩირუხი...

შეტ-ნაკლებად აქვე შეიძლება შემოვიტანოთ ბოჭირი, შაუბონიშკა...

შეუნაცვლებელ სიტყვებს სალიტერატურო ენაში ზედმიწევნითი შესატყვისი არ ეძებნებათ, ამიტომ მნიშვნელობით ახლო მდგომი სიტყვებით ვანმარტავს ხოლმე მათ თვით ვაჟა:

ამირღებთან 'მოუნღებათ, სურვილი აღძვრებათ („ძუღთ ვაიორებთ ბალღებსა, რძისთვის რომ ამირღებთან“), ვათირებთ 'ვასუსსებთ, ვაჩუებთ, ვაშოშმინებთ'. ნიაზი 'სურვილი, წადილი'...

სხვა შეუნაცვლებელი სიტყვები ექსპრესიულობით ხასიათდება — შვიცაეს 'შეუასების მომენტს':

ჯონქა 'მეტსახელია ირმისა, ა ლ ე რ ს ი ს გამომხატველი' („ერთი რქამნათი ჯონქაი განგებ იყრუებს სმენასა“), ატლაკუნებდა (ფეხებს) ტარების დროს აქნევედა (აქ და ც ი ნ ვ ი თ ა ა)'. ან თვისების ინტენსივობას გადმოსცემს: ამოიწყერენს 'სწრაფად ამოიღებს', ბღვრიალა 'დაჰყეტილი'...

ბევრ შემთხვევაში ს ა უ ბ რ უ ლ ი ე ლ ფ ე რ ი შეიმჩნევა:

ჟიკიკებს 'ბრწყინავს' ტაფ-ნუფიანი 'ჩაეარდნილი ადგილი ტყეში', დამჯერობი 'უფროსების ბრძანების ამსრულებელი, მორჩილი'... (შდრ. ზემოთ § 159).

საერთო საშუალო ლექსიკურ ფონდში ბევრი ვაეასეული სიტყვა დამკვიდრდა:

მაყნე, კესანე, ჩქამი (გადახრილი მნიშვნელობებითაც. ასე, მაგ., მ. ჯავახიშვილი მას 'მცირე ხმაურის' მნიშვნელობით იყენებს: „მანძილის წყალობით ის დამაყრუებელი ქუხილი აქ ჩქამადაც ძლივს ისმოდა“), ქუჩი, დეკა და ღვია, აბუუტი. ფრამუნი, ბუზუნი, ყაშყაში, მექალთანე, შურთხი... (ზოგჯერ ამათგანი სხვა კილოებშიც გვხვდება, მაგ., მოხეურში — ყაზბეგის ნაწერებში, ან საბასაც აქვს ფიქსირებული, მაგრამ მათ დამკვიდრებას ვაეას ნაწერებმა შეუწყო ხელი).

რა ადგილი უჭირავს — რაოდენობრივად — თანამედროვე საერთო-ენობრივ ლექსიკურ ფონდში დიალექტური წარმომავლობის ლექსიკას? თუ თანამედროვე ქართულში დიალექტურ სიტყვათა წილის გასათვალისწინებლად განმარტებით ლექსიკონს შევუდარებთ საბას და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებს, დავინახავთ, რომ ამ უკანასკნელთაგან განსხვავებული მასალის ნახევარს შეადგენს ძველთაგანვე ცნობილი ფუძეებისა და აფიქსებისაგან ნაწარმოები სიტყვები; მეტი წილი ამ სიტყვებისა ალბათ მაშინაც, საბასა და ნ. ჩუბინაშვილის დროსაც, არსებობდა და შემთხვევით არ მოხვედრილა მათ ლექსიკონებში. დაახლოებით მეოთხედი (განსხვავებული, ახალი სიტყვებისა) არის ნასესხები, უპირატესად ინტერნაციონალიზმები (და მათგან ნაწარმოები სიტყვები). დანარჩენი „ზედმეტი“ საბასა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებთან შედარებით (საერთო რაოდენობის ისევ მეოთხედი) თითქმის მთლიანად „კუთხური“ წარმომავლობის სიტყვებია.

კილოებიდან მომდინარე სიტყვების შესვლა-დამკვიდრება საერთო სალიტერატურო ქართულში კარგად ასახავს სალიტერატურო ქართულის დიალექტური ბაზის მნიშვნელოვან გაფართოებას, ცოცხალი მეტყველების მზარდ როლს საერთოქართული ლექსიკური ფონდის გამდიდრებაში.

„საბავშვო“ სიტყვები

166. სამწუხაროდ, ჭერჭერობით მეტად მცირე მასალა გვაქვს ქართული ენის იმ ლექსიკურ თავისებურებათა გასათვალისწინებლად, რომლებიც დაკავშირებულია ენობრივი კოლექტივის დანაწევრებასთან სქესისა და ასაკის მიხედვით.

კერძოდ. თავმოსაყრელია ეგრეთ წოდებული ბავშვის ენის სიტყვები.

ცნობილია, რომ მეტწილ შემთხვევებში ეს სიტყვები ბავშვების მოგონილი კი არაა. არამედ ბავშვთა აღმზრდელები იყენებენ ბავშვებისათვის შექმნილ ტრადიციულ სიტყვებს, ამიტომ ენათმეცნიერებაში მას „გადიების ენას“ უწოდებენ.

აი, რამდენიმე მაგალითი „გადიების ენიდან“: *აშუ* 'ძალი', *აშუნია* 'ძალი, რალაც შესაშინებელი არსება'; *აბა* 'აყვანა, წყყვანა', *აჩუა* 'ცხენი', *ბაბა* 'პური', *ბაია*, *ბაუა* 'ბავშვი', *ბაჩი* 'ფეხსაცმელი', *ბუა* 'რალაც შესაშინებელი არსება', *ზიზია* 'ახალი, ლამაზი', *თათუნა* 'ხელი', *კაკა* 'გემრიელი საჭმელი — ხილი, კამფეტი', *კაკანა* 'აკვანი', *ნანა* 'ძილი', *ნუნუა* 'ღვინო, სასმელი', *ნნაი* 'წყალი', *პაშია* 'პატარა', *პიპია* 'ავტომანქანა', *ტოტინა*, *კოტინა* 'ხბო', *ფანჩეები* 'ფეხსაცმელები', *ფია*, *ფუა*, *ფაფა*, *ფაფუ* 'დაიკარგა', *ფისო* 'კატა' *ფუფალა* 'ღმერთი (უფალი)', *ფუნინა* 'ხბო', *ღუბუნა* 'ლორი', *ჩიჩია* 'ზორცი', *ცაცა* 'კარგი', *ძიბა* 'წიწილა', *შოშო* 'ცხელი', *ხიხი* 'ცუდი', *ჯუჯუა*, *ჯუჯულა*, 'წიწილა'...

ამგვარი სიტყვების რაც შეიძლება სრული ღირებუება არის საქირო. როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ზოგი სიტყვა საერთო ენაშიც გვხვდება საუბრული ელფერით (*ნუნუა*, *პაშია*, *ფისო*...). დიდების ენის გამოწველივით შესწავლა ალბათ ბევრ ისეთ სიტყვას გამოავლენს, რომელიც ბავშვის ენასთან საერთოა და იქნებ იქიდანაც მომდინარეობს. ეს შეეხება, კერძოდ, კინობით-მოფერებითისა და საუბრულის ელფერის მქონე ბევრ სიტყვას.

ფონეტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი სიტყვები, რომელთაც საერთო ენაში ფონეტიკურად მონათესავე ფარდი მოეპოვებათ. ამგვარი საბავშვო სიტყვების ბგერადობა გვაეარაუღებინებს ბავშვის განუვითარებელ საარტიკულაციო ბაზისს და ჩამოუყალიბებელ სამეტყველო ჩვევებს: შდრ. *პაცარა*—*პაშია*, რომელიც მრავალრიცხოვანი ვარიანტებით არის წარმოდგენილი: *პაშაშინა*, *პაშაშკუნა*, *პაშაშინა*, *პაშაშა*, *პაშაშუნა*, *პაშაშკინგულა*, *პაშა*.

საინტერესო იქნებოდა აღგვერიცხა ის სპეციფიკური ქალთრი სიტყვები, რომლებსაც მამაკაცები არ იყენებენ (და რომლებიც

ზოგჯერ იქნება ცნობილიც არ იყოს მამაკაცებისათვის): ქა—ქალის მიმართვა ქალისადმი: ბუჩა ბარის კილოებში, აგრეთვე ქალის მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი; მთის კილოებში ქალილამ ფიცის მიმართვა, ქალი ქალს მიმართავს ხოლმე: „შენ დამასწარ, თორემ აღრე მეც უნდა შეთქო, ქალილამა“ (ბაჩანა).

საკულტო ლექსიკა

167. ლექსიკური ფონდის „პრაგმატული“ შესწავლა გულისხმობს საკულტო ლექსიკის გამოვლენა-გაანალიზებასაც.

ქრისტიანობამ, მართალია, წინარექრისტიანული რელიგიებისა და სარწმუნოების განადგურებასთან ერთად განდევნა სათანადო სიტყვებიც, მაგრამ აქა-იქ ჯერაც შემორჩენილა არა მხოლოდ შელოცვებში, დალოცვისა და წყველის ფორმულებში, არამედ — მნიშვნელოვანი რაოდენობით — ეგრეთ წოდებულ „ჯვართ ენაშიც“. ამგვარი მასალის შესახებ ცნობები გვხვდება ვაჟას ნაწერებში; ამჟამად „ჯვართ ენის“ სიტყვები საკმაო სისრულით არის შეკრებილი და გაანალიზებულიც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით [72].

„ჯვართ ენა“ არის ის საგანგებო სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც ქადაგი * იყენებს.

„ჯვართ ენა“ შემორჩენილია ხევსურეთში და ფშავში (საგარაულოა, თუშეთშიც).

„ჯვართ ენა“ ერთ-ერთი სპეციალური ენათაგანია. სხვა სპეციალური ენების მსგავსად, იგი, ჯერ ერთი, მხოლოდ ლექსიკით არის წარმოდგენილი (და არ ხასიათდება ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებებით), მეორეც, „ჯვართ ენა“ მხოლოდ სპეციალური სიტყვების დანართია საერთო ენის ლექსიკისათვის.

მოვიყვანთ სანიმუშოდ სიტყვათა რამდენსამე ჯგუფს „ჯვართ ენადან“.

ცხოველების სახელები ამგვარი სახით გვხვდება „ჯვართ ენაში“:

'ხარი' — ბუბუნა, ბუღაური, ხარმანიში; 'ცხვარი' — მატყიერი, მაცხოვარი, 'საქონელი, ძროხები' — ბუფიერნი; 'ცხენები' — რემანი, ჭლიკირგაღი, 'კვიცი' — რემა; 'თხა — კიკინმაღალი, რქამაღალი, 'თიჯანი' — მბღვანი, 'ვერძი' — რქაჯაგნიანი, 'საკლავი' — სამსახური, მეტა-ხანაღი.

* ქადაგი არის ჯვარის (სალოცაურს, ღვთაების) მიერ საგანგებოდ ჩატყვილი პირი, რომელიც ვითომ შეუამაღლებდა ჯვარსა და მის საყმოს შორის. გადმოცემულია ჯვარის ბრძანებებს. წინასწარმეტყველებდა და სხვ.

ღირებული (წელიწადგამოვლილი საკლავი), პირისაბანი, 'ძალი' — მყვავი, 'კატა' — მწკაეანი, 'გველი' — მუყელთმქანავი.

აი, როგორი შეცვლილი სახელებით გადმოიცემა ადამიანის, ნათესაობის, ასაკის და სხვ. აღმნიშვნელი ცნებები:

'უაეი, მამაკაცი' — ოქროს ბურთვი, ვერცხლის ბურთვი, ვერცხლის ღილი, 'მოხუცი კაცი' — ბერბუნდი, 'ახლად დაბადებული ბავშვი' — ახალწული, 'ქალი' — ბიგიონი, 'დედა' — დედაშობილი, 'მამა' — მამაშობილი, მამამგებარი, 'შვილები' — მონაგონი, 'ქმა' — მოძმე, 'და' — მოდე; 'მეუღლე, ქმარი' — მოჯალაფე, 'შვილები, შვილიშვილები' (რომელთაც „შვილობილებს“ უწოდებენ ხოლმე) — საბოლოო, 'დობილნი' — შერიღეულნი...

დავასახელებთ სხვა სემანტიკური ჯგუფების რამდენსამე სიტყვასაც:

'ღამე' — ბნელი; 'მზე' — მზექალი, 'დედამიწა, მიწა' — მიწათბანი, მიწამყარი, 'ქვა' — ქვაქასური, 'ცეცხლი' — მამზარა; 'ცრემლები, ნაძი' — მანანანი, 'თოფი' — საქუხარი, 'ხმალ-ხანჭალი', 'იარალი' — იამან-მახელი, რკინა, 'ლოგინი' — საზღუშალი...

საჯვარო ნაგებობანი და რიტუალური დანიშნულების საგნები ამგვარი სიტყვებით აღინიშნება:

'დროშა' — ბორაყი, 'ჯვარის დროშაზე გამობმული ხელსახოცები' — ტანთსამკადრო, 'დროშის ტარი' — ალვის ტანი, 'ზარი' — ხარსარეკები, მხვივანი, 'თას-განძი' — ჭიქა-ბარზიში, 'ვერცხლეული, საყურე-სამკაული' — თეთრეული; 'მეგანძური' — თეთრეულთ მყერე; 'სახლი' — ყუდრო, ყუდროვანი, 'ჯვარის დარბაზის კარსაკვამი' — კარ-კამალი, 'არაყი, პირველად ამონადები ლუდი' — ზედამ-ნათაყარი, 'ქალის კვერი' — სეფე, სეფისკვერი;

ჯვარის კუთვნილი მიწა-წყალი:

'ჯვარის ტყე' — ალვანი, შტოგრძელნი, 'ჯვარის მიერ დაქვრილი მიწა-წყალი' ბუკრეული, 'ჯვარის ფიქვები' — ფერუგელნი; 'ჯვარის ყანები' — ქერ-ოქრონი.

ჯვარის მსახურებიც „ჯვართ ენაზე“ განსხვავებული სიტყვებით იწოდებიან:

'ხუცესი' — ჭეშმარიტი, მეჭეშმარიტე, მშხე-მრიგე, 'ჯვარის დასტური' — მუჯირი; 'ჯვარის დიასახლისი' — ქერ-ოქროთ დამკაზმაყი, 'ჯვარის ხელოსანი' — ზელდებული, 'ჯვარის დობილნი' — სენსაბრალონი.

რამდენიმე საგანგებო გამოთქმაც არსებობს „ჯვართ ენაში“:

ჯიზის თაერქის გადმოყოლება არ.ას 'სიკვდილიანობა ან მტრის თავდასხმა'; ღორღიან გოდორთ გადმოყოლება — 'სეტყვის მოსვლა'; ქერ-ოქ-

როთ გადმოფანტვა შრეკალის მიერ — 'გვალვა', თვალეზე ოქროს საყრის დაფარება 'დაბრმავება'.

სპეციალისტ-ეთნოგრაფების შენიშვნით „ჯვართ ენის“ ხმარების დანიშნულება იყო ჯვარის ზებუნებრიობის გახაზვა.

ლინგვისტისათვის „ჯვართ ენა“ საინტერესოა იმიტაც, რომ ჩვეულებრივი ლექსიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით (და ქარგონთა მსგავსად) აქ მკაფიოდ ჩანს სახელდებინ ნებისმიერობა.

დარგობლივი ლექსიკა

168. ქართული ლექსიკის შესწავლა ქართულ ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში, გარდა მოსახლეობის ტერიტორიული განლაგებისა, ასაკობრივ თავისებურებათა და სხვ. გათვალისწინებისა, ვარაუდობს ლექსიკური ფონდის აგებულების ანალიზს ენობრივი კოლექტივის, უკეთ — მასში შემავალ ცალკე ჯგუფთა მოსაქმეობის გათვალისწინებით, სწორედ ამ ხასიათის მასალაში ჩანს ყველაზე ხელშესახებად ენისა და საზოგადოების მჭიდრო ურთიერთობა.

ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ლექსიკურ ჯგუფებს პროფესიული ლექსიკა ქმნის, მაგრამ მოსაქმეობის ამა თუ იმ სახეობასთან დაკავშირებითაც ვლინდება რიგი ლექსიკური თავისებურებანი, რომელთა აღრიცხვა-შესწავლას ლექსიკოლოგია გვერდს ვერ აუვლის.

სანიმუშოდ ავიღოთ ერთ-ერთი სამწყურაო იარაღის — დ უ რ უ კ ო ს აღწერილობა [76].

ღურუკო ჯოხზე გამობმული ძუის მარყუჟია. ეს იარაღი ძალზე მარტივია და თითქოს არ არის მოსალოდნელი, რომ მისმა აღწერამ რაიმე საინტერესო მასალა მისცეს ლინგვისტს, გარდა თვით იარაღის სახელისა. ნამდვილად ღურუკოს გაკეთებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული ბევრი საგანგებო გამოთქმა (ან, უკიდურეს შემთხვევაში, საგანგებოდ გამოყენებული გამოთქმა) გვხვდება. აი ისინიც:

ღურუკოს ნაწილებია ტარი და თვალი; ეს უკანასკნელი არის ერთჯვარი სასხლეტი მარყუჟი—სასხლეტი კილო. დაგრეხილი ორისამი წვერი ძუისაგან. მისი ერთი ბოლო მჭიდროდ არის მიმაგრებული ტარის წვერს, მეორე ბოლო კაპინია.

ღურუკოს მოწყობა ანუ გამწყურა ასე ხდება:

საღურუკოე ხე ძირი ნაზარდი (ე. ი. ტანაყრილი და უტოტო) უნდა იყოს, ადვილად მოსაქნელი ჯიშისა (თხილი ან ლეკი). მოჭრილ საღურუკოეს (რომელიც ცერის სიმსხოა და სიგრძით სამ მეტრამდეა) მინც ესაჭიროება საგანგებოდ გამართვა — გაშვდა, სანამ იგი ნედ-

ლია, მომყოლი და ადვილად გამოხატენელი; საამისოდ მას სადმე ჩრდილში ჰკიდებენ და ძირს მძიმე ქვეს — საძაბავს შეაბამენ. ათითსუთმეტი დღის განმავლობაში ის სავსებით იმართება — ტანში მოღვაშა, — რის შემდეგაც ჩამოხსნიან, შემკნარ კანს გააცლიან, შეასწორებენ, წვერზე ჰძვას გაუკეთებენ, რომ მასზე მობპული თვალი მყარად გაინასკეოს.

თვალისათვის იღებენ სამ-ოთხ ლერ ძუას, რომელიც შავი ან ჭი-
ოსფერი (მოწითალო) უნდა იყოს: მწყერი ცუდად არჩევს ასეთ ფე-
რებს. ძუას დაასველებენ ნერწყვით, შუაზე გადაკეცენ, ჭერ თითო-
ეულ მხარეს ცალ-ცალკე დაგრესენ, ხოლო შემდეგ — ორტოლად და
შიაბამენ ღეროს წვერზე. უკმ მდგომარეობაში ეს ძუა მოშვებულა.
მოქმედებისას კი გაყრილია კილოში და გაწყობილია თვალად.

ღურჯოთი მწყერაობენ ადრე გაზაფხულზე, როცა ახლად მოფ-
რენილი მწყერი ჭერ კიდევ უცხოდა — გარემოს კარგად არ იცნობს.
დღისით იმალება თავსავე ადგილებში, მხოლოდ დამე გამოდის საკ-
ვების საშოვნელად. თუ საფრთხე შეამჩნია, გინაბება და ჩაუყვავს
თავს. სანწყეროდ გამოადიან დღით ადრე, როცა მწყერი შედარე-
ბით მშვიდია, ღოსთა. მას დასაფრთხობად აუურიალებენ ქულს, სა-
შინობელას, ზოუელიან უკრიდან შეშინებულ — განაბულ მწყერს და
იაშოაცმენ ყელზე ღურჯოის თვალს. გამოსაფრთხობელად მწყერს
შეტანაინებთან — ქაიოს დაუძახებენ ან ღურჯოის წვერს შეაქებენ,
რომ აიყინოს — თავი მალა ასწიოს, რის შედეგადაც ყელზე ჩამოც-
მულ თვალს თვითონეე გაკვანძავს.

როგორც ვხედავთ, ამ უაღრესად მარტოვი იარაღისა და ამ იარაღით
მწყრის დაქერის აღწერისას ოცდასუთამდე სპეციალური სიტყვა (ან
მნიშვნელობა) არის გამოყენებული.

ცხადია, ამ სიტყვათა თავმოყრა და დაჯგუფება მიზანშეწონილი არის
სწორედ ამგვარი წესით — იარაღის აღწერისა და იარაღის მოხმარების
დახასიათების მიხედვით.

169. საქმიანობასთან დაკავშირებით ლექსიკის დაჯგუფება-შეს-
წავლა დამახასიათებელია ქართული ლექსიკოლოგიისათვის.

ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში აღწერილ-დახა-
სიათებულა ყოფის ცალკე დარგების ლექსიკა — პურეულისა [200],
პევენახეობა-შეღვინეობისა [176].

სხვა შემთხვევებში დიალექტური ლექსიკის მთლიანი მიმოხილვა
მოცემულია დარგობლივად: ხვესურულისა (შემდეგი დარგების მიხედ-
ვით: პურეული, თიბვა, მესაქონლეობა, მშენებლობა, აბჯარი...) [152],

აგრეთვე მთიულურისა [49], ქართლის გარკვეული კუთხისა [81] და ბევრი ცალკე ნარკვევი [55, 64, 78, 154, 155 და სხვ.]

აი, მაგალითად, როგორ არის წარმოდგენილი ფეხსამოსთან დაკავშირებული ლექსიკა მთიულეთში:

„ძროხის მოსახელი ტყავისაგან... ქალმანს, იშვიათად კობუჯებს (ჩუსტებს) ასხამენ. ძროხის ან ხარის ტყავისაგან ძირახლებსაც კერავენ. ძირახლები თოვლში ჩასაცმელი მაღალი ფეხსაცმელებია. საქალმეს ხერეტენ, ამზადებენ ქალმანის ამოსახმელ ღვედებს (თასმებს), „მოუღებთან“ და მოახსამენ ქალმანს. ქალმანის წინა ნაწილს, ზემოდან გაკერილს, საეხვირე ჰქვია, საცხვირედან გამოდის ორი დაწნული, ფეხზე შემოსაქერი თასმა — ხიდები. ქალმანს ოთხი კოპი (ნახერეტი) აქვს ბაწრის ამოსაყრელი; ქალმანს აქვს კიდევ ძირი, ქუსლი და გვერდები. ქალმანს ორნაირად ასხამენ — კოლოტურად და ქართულად. კოლოტურად ამოსხმული ქალმანი უფრო ლამაზია, რადგან საცხვირე ჩაწიშული (ხვეულებად ნაკერი) აქვს. დახეული ქალმანის ძირი ღვედით გაიბანდება (დაიწვინება). ასეთ ქალმანს ჯღანს ეძახიან. თასმისაგან დაწნულ ქალმანს ხუნჰა ჰქვია. ბანდულები საქონლის ტყავის ფეხსაცმელია, გამაგრებულ ქალმანს ან ფეხსაცმელს გახისქერქებულს ეძახიან“ [49].

ხევსურული აბჯრის ლექსიკიდან ფარი ამგვარად არის აღწერილი:

„ფარი რკინის გირგოლებითაა შეკრული და აქვს ღვედის საბღუჯი (სახელური). ფარის თავდაცვისათვის მომზადებას ფარის დასაბღუჯებას ეძახიან. ფარს აქვს აგრეთვე სამკაული — ქურუმი (ფოჩები), აქა-იქ შემორჩენილია აგრეთვე პატარა ზომის ფარი — უბის ფარი“. შემდეგ საილუსტრაციოდ მოყვანილია ორი ნაწყვეტი ხალხური ლექსიდან: „ფარის გირგოლი გააწყვეტინა, შახან, გაგოწითდა მკარიო“ და „ბევრამაც ტყეში ჩაილა ქურუმიანი ფარიო“ [152].

ალგეთის ხეობის ქართლურის ხვნათესვის ლექსიკიდან ყამირთან დაკავშირებით შემდეგი ცნობებია მოცემული:

„მიწას, რომელიც არასდროს მოხნულა, უძრავი მიწა ეწოდება. მას გაუტეხავ მიწას („პირველათ გასატეხი მამული“), ხამ მიწას, კორდ მიწას („კორდი გაეტეხეო“) და ყამირსაც ეძახიან („ყამირი არის ხამი, მოუხნავი მიწა, პირველად რომ მოხნამენ, განიადავებული მიწა“)... თუ მამული ერთხელ მაინც არის მოხნული, ის უკვე ნაძრავია. ხამი მიწის პირველად მოხვნას მიწის გატეხვა, ყამირის გატეხვა ეწოდება... მოსავალალებულს და ხელმეორედ მოხნულ (დაბარულ) მიწას ნარბილი ჰქვია...“ [81].

170. ქართული ლექსიკის მნიშვნელოვანი წილის დარგობლივი მიმოხილვის ნიშნად წარმოადგენს ის სამუშაო, რომელიც აკად. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შესრულდა ოცდაათიან წლებში.

ქართველი ერის ისტორიის ყოველმხრივი შესწავლისათვის მისი მატერიალური კულტურის კვლევას რომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს — ეს გარემოება ივ. ჯავახიშვილს იმთავითვე ჰქონდა გათვალისწინებული. წერილობითი წყაროების ჩვენებათა საფუძველზე მან შექმნა შესანიშნავი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (ორი ტომი), მაგრამ არქეოლოგიური და, განსაკუთრებით, ეთნოგრაფიული მასალების უკმარობამ აიძულა მეცნიერი სავანეებო ზომები მიეღო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი სხვადასხვაგვარი მონაქმეობის შესახებ ცნობების შესაკრებად. ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა სათანადო პროგრამა (ინსტრუქცია) — „შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი“.

აკად. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი პროგრამა [163] ითვალისწინებს შემდეგი დარგების მიმოხილვას:

ა ღ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა : საცხოვრებელი სახლები (სახლი, დარბაზი, ოდა, ფაცხა, სხვა); რა მასალისაგან აშენებდნენ (ქვა, რიყის ქვა, აგური, ალიზი), ტალახით, უტალახოდ (ქვითყირით); მთლიანი ხეებისაგან, ორად დახერხილი ხისაგან, ფიცრებისაგან, წნელისაგან, სხვა; როგორ იყო მასალა დამზადებული აგებამდის, ვინ აშენებდა (ხელოსანი, პატრონი, ვინ ეხმარებოდა), რა და რა იარაღს ხმარობდნენ, როგორ აშენებდნენ, შენობის ნაწილების დანიშნულება; დარბაზიანი სახლი, პალატიანი სასლი, შენობის ხის ნაწილები (ბოძები, დედაბოძი და სხვა; ხის ნაწილების დამზადების ტექნიკა, დაქრელება და სახე. ჩუქურთმების ამოკრა, ვინ აკეთებდა და რა იარაღით), სახლები (შრამელი, ჩოდოლო, ფარღია, ჭარგუალი, ქორი, ქორედი, ქავი, ფაცხა, სხვა). სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა (ბოსელი, თავლა, ფარეხი, სალორე, საქათმე, ბეღელი, საბძელი, სათივე, სასიმიინდე ანუ ზარი).

[თ ა ვ დ ა ც ვ ი თ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ა ნ ი :] ციხე და კოშკი, გოდოლი, ქავი, მათი ნაწილები, აგებულება, მასალა, ამგებნი.

ა ვ ე ჭ ი : სელი, სკამი, სკამლოგინი, სავარძელი, საკურცხალი, მერხი, სარეცელი, საწოლი, ხის ლოგინი; კიდობანი, კარადა, მოთხე, ბოყვი, ჭღრე, ზანდუკები, ფეხიანი ხონჩები, ტაბლები, სხვა; მასალა, გამკეთებელი, დაქრელება.

ს ა კ რ ა ვ ე ბ ი : ბუკი, საყვირი, ზროხაკუდი, სალამური, სტვირი, გუდასტვირი, ჭიმონი, სოლინარი, ლარკემი, ფანდური, ჩანგური,

ჩანგი, ჭუნირი, ჭიანური, ქნარი, ებანი, წინწილი, ბობლანი, ლინი, დელი და სსვ. თვითიული მათგანის მასალა, გაკეთების პროცესი და ი.რ.ლი. თვითიული ამ საკრავთაგანის ნაწილთა სახელები და დანიშნულება. ძალს, ლარს, ალყას და სიმს როგორ აკეთებდნენ, როგორ აწყობდნენ და მართავდნენ. [ა]მათი სახელები ხომ არ იციან—სწირპანი, ჭირი და ბანი, და თუ იციან, თვითიულის მათგანის მანაშენელობა, ვინ აკეთებდა საკრავებს და როგორ და ვისგან უსწავლიათ დაკვრა, რა და რას უკრავდნენ (სახელები). დაკვრისა და დამღერების აღმნიშვნელი ტერმინები.

ასევე დაწვრილებითი წესებია შედგენილი სხვა დარგების აღსაწერადაც: ჭურჭელი (ხის ჭურჭელი, თიხის ჭურჭელი, დაწნული ჭურჭელი); ქსოვა და ხელსაქმე; ტანისამოსი, თავსახურავი, ფეხსამოსი და ფეხსაცმელი; პურის ცხობა, დიასახლისობა, საკმლის მომზადება: მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მებაზრეშუმეობა; სასოფლო-სამეურნეო იარაღების კეთება; მებოსტნეობა და მებადლეობა; მევენახეობა და მეღვინეობა; მერწყველობა და მეწისქვილეობა; მეთევზეობა, მონადირეობა; კრამიტის, აგურის და წყლის მიღების გაკეთება; მქედლობა, ოქრომქედლობა; მეტივეობა, მეშუშეობა, მენახშირეობა.

საქართველოს ოცამდე კუთხეში დაიგზავნენ მასალების შემკრებნი. მართალია, თითოეულ კუთხეში ყველა სოფელი არაა დავლილი და თითოეულ შემკრებს ორი-სამი და ზოგჯერ მეტი დარგის შესახებაც ვერ მოუხერხებია ცნობების შეკრება. მაინც შეიკრიბა აურაცხელი (ათიათასამდე ხელნაწერი გვერდი) უნიკალური მასალა. ივანე ჭავჭავაძის ნაადრევმა სიკვდილმა ხელი შეუშალა მასალის სასტამბოდ გამზადებას. მაგრამ თვით დიდი მეცნიერი, ჩანს, გულდასმით სწავლობდა ამ მასალებს და საჭიროების შემთხვევაში იყენებდა კიდევ.

ასე, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითად საკითხებში“, რომლის გამოცემაც ი. ჭავჭავაძის სიცოცხლეშივე მოესწრო [162], წერილობითი წყაროების გარდა სრულად არის გათვალისწინებული ხსენებული „შინამრეწველობის მასალებიც“. ივ. ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ მის რამდენსამე ნაშრომშიც ჩანს ამ მასალების გამოყენების კვალი.

ქართული ლექსიკის დარგობლივ შესწავლას (თუმცა, ცხადია, ისევ არა ლექსიკოლოგიური მიზნით) აწარმოებენ ქართველი ეთნოგრაფებიც. რომელთა მონოგრაფიები და წერილები უხვ და სანდო ლექსიკურ მა-

სალას შეიცავს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დამყარებით ლექსიკის დაჯგუფება მოგვეცემს სათანადო კულტურული წრის სურათს, რამდენადაც ეს კულტურა აისახა ლექსიკაში; ცხადია, ამგვარი დაჯგუფება ჯერ კიდევ „გარეენობრივია“: როგორი მკვიდრო კავშირიც არ უნდა არსებობდეს სიტყვებსა და საგნებს შორის, მაინც, უნდა ვივარაუდოთ, ლექსიკის მოეპოვება ამ უკანასკნელთან ავტონომიური ენობრივი სტრუქტურის ელემენტები. მომავალი კვლევის საქმეა იმ გზების პოვნა, რომლებიც ამ ელემენტებს გამოგვევლინებინებს.

ამგვარი დარგობლივი ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სპეციალური ლექსიკის საკუთრივ ენათმეცნიერული, კერძოდ, ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა გულისხმობს, პირველ ყოვლისა, იმ ურთიერთობის რკვევას, რომელიც არსებობს სპეციალურ ლექსიკასა და საერთო ენას შორის.

სპეციალური ლექსიკა საერთო ენაში

171. სპეციალური და საერთო ლექსიკის ურთიერთობის ყველაზე მარტივ და გამწვირვალე შემთხვევებში უკუფენილია მწარმოებლის და მომხმარებლის დამოკიდებულება სათანადო საგნებთან (და მოვლენებთან).

საყოველთაო მოხმარების პროდუქტებს ქ მ ნ ი ა ნ საზოგადოების ცალკეული (პროფესიული) ჯგუფები. ბუნებრივია, ამ ჯგუფის წევრებმა მათ მიერ შექმნილი ამა თუ იმ პროდუქტის შესახებ მეტი იციან, ვიდრე საზოგადოების დანარჩენმა წევრებმა. რომლებიც ამ პროდუქტებს მხოლოდ მ ო ი ხ მ ა რ ე ნ. სათანადოდ, საერთო ენაში ყველაზე სწრაფად ვრცელდება და დაუბრკოლებლივ მკვიდრდება მოსახმარი პროდუქტის სახელი, ამ პროდუქტის მოხმარებასთან დაკავშირებული სიტყვები.

მექურქლეთა ნახელაყის, ჭურქლის სახელები — *ლიქი*, *ხელ-დაქოთანი* და სხვ. — საერთო ქართულში მთლიანად არის შესული, მაგრამ მექურქლეობასთან დაკავშირებული ბევრი სხვა სიტყვა საერთო ქართულში არ შესულა. ეს სიტყვებია ჭურქლის გამოსაყვანი საგანგებო იარაღებისა და სამარჯვების სახელები: *მორქუა*, *დანა-ჩხირი*, *კაკუქულა*, *კობი-ჩურჩი* და სხვ. ჭურქლის კეთებასთან დაკავშირებული პროცესების სახელწოდებანი: *ამოთითვა*, *არაგვა*, *გამოგვაშკა*, *გაცურვა*, *დაალიხება*, *დაბეჭვა*, *დახამკარება*, *დაყელვა* [19].

უნდა შევნიშნოთ, რომ ამა თუ იმ დარგის ლექსიკის მთლიანი მიმოიღვისას ალბათ პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება, მკაფიო მიჯნის ვაგლება მოხმარებასთან დაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფსა და შექმნასთან დაკავშირებულ სიტყვებს შორის. ამას ორი გარემოება აპირობებს:

ჯერ ერთი, მწარმოებელი, ჩვეულებრივ, მოხმარებელიცაა და ამიტომ მოხმარებასთან დაკავშირებული სიტყვები მისთვის ისევე აქტიურად არსებობს, როგორც ამ მოსახმარი პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებული სიტყვები და გამოთქმები.

მეორე: პროფესიით განკერძოებულ (ისევე, როგორც ყოველი სხვა თვალსაზრისით განკერძოებულ) ამა თუ იმ ჯგუფს სათანადო საზოგადოების მთელი დანარჩენი ნაწილი არ უპირისპირდება ერთგვარად: საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები (და ცალკე ინდივიდებიც) სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან — ერთთან — მეტად შორს. მეორესთან — მეტად ახლოს; ამ თვალსაზრისითაც პროფესიულ ჯგუფსა და მთელ საზოგადოებას შორის მკაფიო მიჯნა არ არსებობს და, მაშასადამე, ამა თუ იმ პროდუქტის წარმოებასთან დაკავშირებული ლექსიკა მკაფიოდ ვერ გამოემიჯნება მის მოხმარებასთან დაკავშირებულ ლექსიკას როგორც სპეციალური სიტყვები — საერთოენობრივს [95ა].

არსებითად სპეციალური ლექსიკის სახით საქმე გვაქვს უწყვეტობასთან და შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ უკიდურესი შემთხვევების შესახებ: ერთი მხრით, ისეთი სიტყვების შესახებ, რომლებიც უწყვეტად მთელი საზოგადოებისათვის უაღრესად საინტერესო მოვლენებს აღნიშნავს და ამიტომ საზოგადოების თითოეული წევრისათვის ახლობელი და გასაგებია; მეორე მხრით, ძალზე სპეციალური სიტყვების შესახებ, რომლებიც ენობრივი კოლექტივის რიგითი წევრისათვის, უბრალოდ, არ არსებობს, რადგან ამ სიტყვებით აღწერილი მოვლენები მისთვის სრულიად უცნობია.

რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, ე. ი. რაც უფრო დიფერენცირებულია საზოგადოება სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებად, მით უფრო ხელშესახები უნდა იყოს სპეციალურისა და საერთოენობრივის განსხვავება ლექსიკაში.

მაგრამ საზოგადოების განვითარება გულისხმობს არა მხოლოდ დიფერენციაციას ცალკე ჯგუფებად, არამედ ამ ჯგუფთა ცხოველურ თიერთობას, რაც, ბუნებრივია, იმაში უნდა აისახოს, რომ სულ უფრო და უფრო მეტი სპეციალური სიტყვები დამკვიდრდეს საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდში.

საზოგადოების დიფერენციაცია და ინტეგრაცია ერთდროულად მიმდინარეობს. ამიტომ არის შეუძლებელი — ერთი, მკაფიოდ განსაზღვ-

რული მიმართულებით მიმდინარე პროცესის სახით წარმოვიდგინოთ სპეციალური ლექსიკის შესვლა საერთო ენაში და, საზოგადოდ, ცალსახა კავშირი დავადგინოთ ლექსიკური ფონდის აგებულებასა და საზოგადოების აგებულებას შორის.

მაგრამ საერთოდ და მთლიანად მაინც უეჭველია, რომ არსებობს სხვადასხვაგვარი — სპეციალისტისა და არასპეციალისტის — დამოკიდებულება სიტყვათა ერთსა და იმავე ჯგუფთან. ამ ფაქტს სათანადოდ უნდა გაეწიოს ანგარიში. უამისოდ საერთო და სპეციალური ლექსიკის ურთიერთობაში გარკვევა არ მოხერხდება [95ა].

172. საერთო და სპეციალური ლექსიკის ურთიერთობის დასახასიათებლად მოვიყვანთ მედიცინის ტერმინთა გავრცელების ფაქტებს *.

პრესაში ხშირად გვხვდება წერილები მედიცინის საკითხებზე, რომლებშიც, ბუნებრივია, ბევრი სპეციალური სიტყვა არის გამოჩენილი.

ზოგ შემთხვევაში სპეციალურ სიტყვას განმარტება თან ახლავს:

„ეპიდემიოლოგია ანუ გავრცელება“, „რესპირატორული ანუ სასუნთქი სისტემა“, „რეგიონალური პერფუზია — სისხლის ადგილობრივი იზოლირებული მოძრაობა“, „რენინმაგია (გაცოცხლება)“, „ტოქსიკური (მოამხამველი)“ და სხვ.

ზოგი სპეციალური სიტყვა საყოველთაოდ გასაგები და არ საჭიროებს განმარტებას:

აყრა, ანგინა, გრიპი, კიბო, რენტგენი, მალარია, შეხორცება, ჩიყვი, კრილობა...

საყოველთაო ხმარებაში ტერმინულ სიზუსტეს მოკლებულია: დენინფექცია, დიეტა, იმიაში, რეჟიმისმი და სხვ.

ეს ჯგუფი შეუშინებლად გადადის ისეთ სიტყვებში, რომელთა მნიშვნელობა მეტნაკლებად თითქოს ყველამ იცის და აქტიური ხმარებისაა:

ანტიბიოტიკები, ანესთეზია, აპენდიციტი, ბიომიკინი, ბაქტერია, ბაქტერიოფაგი, ბრონქიტი, გადანერგვა, გულის მანკი, დოზა, ვირუსი, ინფარქტი, იმუნიტეტი, კალორიები, ნეუროზი, ნარკოზი, ნაწიბური, პროფილაქტიკა, პოლიომიელიტი, სკალპელი, ტრავმა, უკმარისობა, ფიზიოთერაპია, ფსიქოზი, შრატე.

მათვე უნდა მივათვალოთ ის სიტყვებიც, რომლებიც საკმაოდ ნაცნობია — სმენას არ ეუცხოება, მაგრამ არაა საყოველთაოდ ხმარებულ, ყოველ შემთხვევაში, ყველასთვის გასაგები არ არის:

ათეროსკლეროზი, დეკომპენსაცია, ეპილეფსია, ენცეფალიტი, ექინოკოკი, ექცინია, თრომბოფლებიტი, ინტოქსიკაცია, კარდიოგრამა, კლინიცისტი, კომა-

* გაზ. „კომუნისტში“ ერთი წლის განმავლობაში მოთავსებული წერილებიდან.

ტოხური, კორნარაული, მოსკარდი, ნეკროზი, პანდემია, პედიატრია, პასკა, პათოგენეზი, რეგენერაცია, რეინარაცია, ნერვული სტატიუსი, სტრემპტოსტაფილოკოკები, სელფმიდები, სელოსი, სარკომა, ყროლოგია, უსიქოთურსია, ფისტულა, ფიზიკური, ფიჯი, ჩამონარეჯი, ცხოველმოქმედება, ძორმონი...

წარმოდგენილი დაჯგუფება პირობითია. უფრო ობიექტური დაჯგუფებისათვის მნიშვნელობა ექნება მეტ-ნაკლები სისშირით ხმარების გათვალისწინებას (პრესაში გამოქვეყნებულ სამედიცინო-პოპულარულ სტატიებში). მაგრამ ამ მაგალითებიდანაც ჩანს მეტ-ნაკლები გასაგებობა და გავრცელება ტერმინთა ცალკე ჯგუფებისა: ყვრა... რეჟმარში... აქენდიცი... სეფსისი...

სავაზეთო წერილებში ზოგჯერ ისეთი სამედიცინო ტერმინებიც გვხვდება, რომლებიც დღევანდელი საერთო-სალიტერატურო ლექსიკური ფონდის ფარგლებს გარეთ დგას:

აღნოვირუსი, გლიკოგენი, გლიკოლიზი, გერიატრია, დეფიბრილატორი, დისტონია, ეგზოსტოზი, თრომბოემბოლია, კანდიდომიკოზი, ლეიკოზები, შიკროფლორა, ნეეროლეჯი, ოსტეოსინთეზი, ონკოგენური, ოქსიგენერატორი, პერფუზია, სარკოლიზინი, ქრონაქსიმეტრია, კემოფილია და სხვ.

ამგვარი სიტყვები მეტწილად საიუბილეო წერილებში გვხვდება, იუბილარის სამეცნიერო ინტერესთა მიმოხილვისას, და მათ საერთო-ენობრივ პოპულარულ სიტყვებად ქცევა ალბათ არ უწერიათ.

მაგრამ ამგვარი ვიწროსპეციალური სიტყვების არსებობა საყოველთაო-საკითხავ ვაზეთში იმიტაც აიხსნება, რომ სათანადო წერილების ავტორები თითქმის მუდამ მხოლოდ სპეციალისტები არიან. რომელთაც უჭირთ ქართული ენობრივი კოლექტივის რიგითი წევრის თვალსაზრისზე დადგომა; გადმოცემის სიზუსტისაქენ მისწრაფება მათ ზოგჯერ ავიწყებთ საყოველთაოდ გასაგებობის საჭიროებას.

მეტად და ნაკლებად გასაგების გარჩევა სპეციალისტს იმიტომაც უჭირს, რომ ვინც ამა თუ იმ „სპეციალურ ენას“ ფლობს, მისთვის საერთო ენა არაა მეორე, განსხვავებული ენობრივი ერთეული. ის სპეციფიკური, საერთოსაგან განსხვავებული ლექსიკა, რომელიც ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენელს აქვს — ცალკე აღებული სპეციალური ლექსიკა, — თვისებრივად ვერ გაუტოლდება საერთო სასაუბრო ენის ბირთვის. სპეციალური სიტყვები არ ქმნის სპეციფიკურ ჩაკეტილ ლექსიკურ სისტემას, განსხვავებულს საერთო ენისაგან: სპეციალური სიტყვები საერთო ენის სპეციფიკურ დანართს და წარმოდგენს სპეციალისტთა ვიწრო წრეშიც კი. სპეციფიკური ლექსიკა საერთოენობრივი ლექსიკის მხოლოდ ნაწილია თვით სპეცია-

ლურ ენაშიც, ამიტომ თითოეულისათვის იმათგან, ვინც სპეციალურა ლექსიკით სარგებლობს, საერთო ენა არ არის მეორე, სხვა ენობრივი ერთეული, ამდენად „სპეციალური ენა“ ვერ დაუპირისპირდება საერთო-სასაუბრო ენას.

ამიტომ ცხადია, რომ საყოველთაოდ გასაგების გამორჩევა სპეციალური ლექსიკიდან სპეციალისტს უჭირს. პირიქით, არასპეციალისტს ერთბაშად ეცემა თვალში საერთო ენაში ჩაწინწყლული არასაყოველთაოდ გასაგები სპეციალური სიტყვები.

173. არასპეციალისტთაგან ყველაზე უკეთ მწერალი „გარძობს“ ამა თუ იმ სპეციალური სიტყვის დამოკიდებულებას საერთო ენასთან, რადგან ყველაზე კვალიფიციური მომხმარებელი ამ საერთო ენისა სწორედ მწერალია.

სამართლიანად მიუთითებენ, რომ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის მეშვეობით ხდება სპეციალური ლექსიკის შესვლა საერთო ენაში. მაგრამ უთუოდ უნდა დაეურთოთ, რომ იქ დამკვიდრების საიმედო მაჩვენებელია სპეციალური სიტყვის გამოყენება მხატვრულ ლიტერატურაში.

მის. ჯავახიშვილის „პატარა დედაკაცი“. ექიმების ცხოვრებას ეხება. თუმცა მედიცინა აქ მხოლოდ ფონია, მაგრამ, ბუნებრივია, სამედიცინო ტერმინოლოგიაც არის გამოყენებული „კოლორიტისათვის“.

საინტერესოა, რომ ვიწრო სპეციალური სიტყვები (საყოველთაოდ გასაგები რომ არაა) ამ მოთხრობაში თითქმის მხოლოდ ექიმთა მეტყველებაში, დიალოგებში ვლინდება, თანაც იმგვარად, რომ მოთხრობის შინაარსის მიმდინარეობაში გარკვევას ხელს არ შეუშლის მათი უცოდინარობა:

„წამლები დაჰსუნა და შუბლიც აიკეცა: — ეს *მორფინა*, ეს კი... და მერე წამალიც დაასახელა“. მკითხველი იგებს, რომ *მორფინი* რაღაც წამალია, და მეტის ცოდნა მას არ ესაჭიროება.

„ამირანი (ახალი ექიმი) ზოგი ავადმყოფის ტემპერატურის ფურცელს აკვირდება, მერე ერთ ავადმყოფთან შეჩერდა და ექიმ სულარიძეს ჰკითხა: — ამის დიაგნოზი? — ილუუსი“. რიგითმა მკითხველმა ილუუსი არ იცის, იქნებ ზოგისთვის დიაგნოზი? უცნობი სიტყვა იყოს; მაგრამ, აი, მოთხრობის მომდევნო ადგილი: „მე მგონია, იმ ავადმყოფს *„ილუუსი“* კი არა აქვს, არამედ *პერიტონიტი*, ზოლო მეორეს *მხინოკი* უნდა *სჭირდეს*... ვნახოთ, გაირკვევა“. და მკითხველისათვის უკვე გარკვეულია, რომ ილუუსი ავადმყოფს *სჭირს* (ან არ *სჭირს*). მაშასადამე, რაღაც დაავადებაა; მკითხველი ხვდება აგრეთვე, რომ დიაგნოზი-სიტყვით ექიმი ექიმს ეკითხება—*რა სჭირს ავა-*

მყოფსო. მკითხველს მეტი, უფრო ზუსტი ცოდნა დასახელებული ტერმინებისა არ ესაჭიროება თხრობისათვის თვალყურის მისაღვე-ნებლად.

სხვა მაგალითი იმავე მოთხრობიდან: „ბარავიძემ მიაშბო, ამირანს კუჭი გაუჭრესო, გასტროენტეროანოსტომაში გაუკეთესო“. მკითხველი იგებს, რომ ავადმყოფს ოპერაციით უმკურნალეს — კუჭი გაუჭრეს და რალაც გაუკეთეს; ამ „რალაცის“ სახელი ძალიან სპეციფიკურად, „ექიმურად“ ჟღერს და გარეშე პირთათვის სრულიად გაუგებარია; მაგრამ მკითხველს ამ ჟღერადობის, ამ „ექიმური“ ელფერის მეტი არაფერი სჭირდება მოთხრობის სიტუაციაში გასარკვევად.

„მარჯვედ და მარდად ბუშაობს ამირანი, დინჯად ჩქარობს დოსტაქარი. თან მალიმალ უგდებს დამხმარეს: — კოხერი მომეცით... ჭეანი მიბოძეთ... მაკრატელი მომაწოდეთ... მოსაჭერი დამიშზადეთ“. უბრალო მომაკვდავებს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს ოპერაციის მსვლელობაზე. ჩვენ ისიც არ ვიცით — აქ ამოტივტივებული ნაცნობი სიტყვები — *მაკრატელი*, *მოსაჭერი* — აღნიშნავს თუ არა ჩვენთვის ნაცნობ საგნებს, მით უფრო — *კოხერი* და *ჭეანი* სრულიად უცნობია ჩვენთვის. მაგრამ მათი ცოდნა არც არის აუცილებელი: მწერალმა თავის მიზანს მიაღწია — მკითხველს საოპერაციო ოთახის ატმოსფერო აგრძნობინა.

მოთხრობაში მეორეჯერაც არის ოპერაცია აღწერილი და იქაც ზუსტად ეგვევ გამოთქმებია ნახმარი. მწერალი არ ტვირთავს მკითხველს ახალ-ახალი სპეციალური სიტყვებით, მხოლოდ მიაინიშნებს ოპერაციის სიტუაციაზე იმ სიტყვების გამეორებით, რომლებიც მან წინა გვერდზე, მსგავს სიტუაციაში გამოიყენა.

ექიმი არიგებს თანაშემწეს: „ქაფური შეუშხაქუნეთ, სტერილიზატორი აანთეთ“, მკითხველმა რომც არ იცოდეს, თუ რას ნიშნავს *ქაფური*, *სტერილიზატორი*, *შეუშხაქუნეთ*-სიტყვები, მაინც დაუბრკოლებლივ შეძლებს თვალყური მიაღვენოს მოვლენათა განვითარებას.

მორიგე ექიმი — ქირურგს: „ჩქარა, ექიმო, ჩქარა, ავადმყოფს უშველეთ, კვდება... — რა სჭირს იმ ავადმყოფს, ქალბატონო სოფიო? — ბრმა ნაწლავის ქრონიკული ანთება ჰქონია. ეხლა კი პერფორაციის ნიშნები აქვს“. *პერფორაცია*-სიტყვის მნიშვნელობის ცოდნის გარეშეც გასაგებია, რომ ეს რალაც მძიმე შემთხვევაა, რაკი ავადმყოფი მომაკვდავია და ქირურგის მიშველება ყოფილა საჭირო.

„ათას წამალში ქინაქინა, ანტიპირინი, საფლარათო ზეუსი და კიდევ რამდენიმე წამალია უებარი“, ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი, და *ანტიპირინი*'ს მნიშვნელობის ცოდნა არც არის საჭირო: საკმარისია, რომ

იგი ქინაქინის და ზეითის თანაბრად არის მოქცეული წამალთა სახელებს შორის.

ავტორი ექიმთა დიალოგშიც მოხერხებულად ურთავს განმარტებას, რომელიც ნამდვილად განკუთვნილია არა თანამოსაუბრე ექიმისათვის, არამედ მკითხველისათვის: განსამარტავი გამოთქმა ამ შემთხვევაში მხოლოდ კოლორიტის შესაქმნელად, სამკაულად კი არ არის გამოყენებული, არამედ მისი მნიშვნელობის ცოდნა საჭიროა მოთხრობის შინაარსში გარკვევისათვის. „ცხადია, — თქვა სოლომონმა, — „მანია გრანდიოზა“ ჰქონია, განდიდების კვიატი სჭირებოდა“ და, მკითხველმა რომ გაიგოს, რა მძიმე ვითარებაა, ავტორი თავის მხრივ ურთავს: „სოფიომ იცოდა სპირიდონის სენი, მაგრამ სოლომონის სიტყვები ქვასავით დაეცა“.

ანატომია, რეკვატი, ფილტვების ანთება, პალატა, ოპერაცია, პაციენტი, რენტგენი — სიტყვები, რომლებიც არა პერსონაჟის მეტყველებაში. არამედ ავტორისეულში გვხვდება, საყოველთაოდ გასაგები სიტყვებია, თუმცა სპეციალური ენიდან კი მომდინარეობს.

მეორე მოთხრობას, რომელსაც „კურდღელი“ ჰქვია, ასეთი მიძღვნა აქვს წამძღვარებული: „პროფესორ მიხეილ ასათიანს, რომლის ნაამბობმა დამაწერინა ეს მოთხრობა“. ამ მოთხრობისათვის გამოყენებული ამბავი ნამდვილი შემთხვევაა მ. ასათიანის პრაქტიკიდან.

მის. ჯავახიშვილის ამ მოთხრობაში სულ ხუთი-ექვსი სპეციალური სიტყვა არის ნახმარი:

„მიყვარდა თქვენი საგნები: ფსიქიატრია, ნევროლოგია“ ეუბნება პაციენტი-ქალი პროფესორ-ექიმს. „ქალი სომამბულოზამ შეიპყრო: თავი ჩაქინდრა, ჩაფიქრდა, მეორე ქვეყანაში გადავიდა“. ცოტა ქვემოთ ავადმყოფი დახასიათებულია, როგორც „ცნობიერების გაღმა გასული“, „ქალი ისტერიული ფსიქოზით არის დაავადებული“. „სიღონია იყრუებს, პროფესორი კი დაქინებით აბავს ერთმანეთს შეცნობისა და ქვეშევსნობის ქვეყნებს და პლამობს გაღმელი ისევე გამოღმა გამოიყვანოს“.

მწერალმა მხოლოდ ეს რამდენიმე სიტყვა გამოიყენა ვრცელ მოთხრობაში იმ შემთხვევის აღწერისას, რომელსაც სპეციალისტმა ფსიქიატრმა გამოკვლევის საგანგებო თავი მიუძღვნა.

(აი, ზოგიერთი ტერმინი გამოკვლევის ამ მონაკვეთიდან: „გზის ბულოზა, ანამნეზისი, ანესთეზიები, ასოციაცია, განდენის პროცესი, გუნებ-განწყობილება, დიფთერიული დამბლა, ემოტივობა, ეპიდემია, ილუზია, ინფანტილური სექსუალობა, ისტერიული გულყრა, ისტერიული კონსტიტუცია, კრუნჩხვები, მერძნობელობა, მორფიუმი, ნარკომანი, ნევროზი, პათოლოგიუ-

რი რეულექსები. რაპორტით შესვლა ავადმყოფთან, ტრავმა, ტრანსი, ფრივილოზა, ფიქოგურნი მოქმედება, ქრონიკული პროცესი. შთაგონებლობა. ცნობიერების აშლილობა, პალუცინაციები, status praesens (ფსიქონევროზები; 1932, გვ. 347—359).

ლექსიკური ფონდის დინამიკა და დარგობლივი სიტყვები

174. საერთო ენაში სპეციალური ლექსიკის როლი ვლინდება ლექსიკის დინამიკის შესწავლის დროსაც. დინამიკის ზოგი მხარე მკაფიოდ წარმოჩნდება ლექსიკური ფონდის განვითარების სხვადასხვა „ჭრილის“ შედარებისას.

სანიმუშოდ შევებოთ ქორ-მიმინოთი ნადირობასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას. რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროები.

თუ ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონს ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით შევისწავლით, ყურადღებას მიიქცევს ქორ-მიმინოთი ნადირობასთან დაკავშირებული სიტყვების სიმრავლე. ნადირობის ეს სახეობა პოპულარული იყო, ალბათ, უბირატესად „მაღალ“ წოდებაში — თავაღზნაურთა წრეში.

თეიმურაზ მეორე, რომელიც დაწვრილებით აღწერს „ქორისა და მიმინოს აზბავს“, იქვე შენიშნავს, რომ გლეხკაცობა სხარტს, სამწყურაო ჭოხსლა იყენებს: „გლეხმან კაცმან სხარტი იცის, იმწყურაებს, იხარებსა“. ჩვენ ზემოთ (§ 168) ავწერეთ (ნ.რეხვიაშვილის გამოკვლევაზე დამყარებით) ერთი „გლეხური“ სამწყურაო იარაღიც — ღურკკო. ქორ-მიმინოთი ნადირობის როლი ბატონყმობის გადავარდნასთან ერთად უნდა შემცირებულიყო. მაგრამ, რა თქმა უნდა, სრულებით არ მოსპობილა: ამჟამადაც წარმოადგენს აქა-იქ მიმინოთი ნადირობა სპორტის ერთ-ერთ სახეობას.

ქართველ ეთნოგრაფთა დაკვირვებით მიმინოთი ნადირობა უკანასკნელ დრომდე ყოფილა გავრცელებული გურიაში და სათანადო სპეციალური სიტყვებიც და გამოთქმებიც შემონახულა [157].

ყურადღებას იქცევს მიმინოთა დახასიათება ფერის მიხედვით: გარდა ფერთა აღმნიშვნელი ცნობილი სიტყვებისა (*შითელი, ყვითელი, თეთრი*), აქ გამოყენებულია საერთო ენაში უცნობი კომპოზიტები, რომლებიც, ჩანს, საგანგებოდ მიმინოთა შეფერილობის აღსანიშნავად გამოიყენება: *ნათელყეითელი, მხარტისფერი, თვალშაყისფერი, ჯიფლაყისფერი, ჯანგისფერი...* მიმინოთა შეფერილობის აღმნიშვნელი სიტყვებიც საინტერესო მასალას მოგვცემს ქართულში ფერთა სახელების

წარმოშავლობის შესწავლისას: აქაც მკაფიოდ ჩანს, რომ განყენებულად ფერის აღნიშვნა მეორეულია: ფერი ჩვეულებრივ რ ა ლ ა ც ი ს ფერია, რ ო მ ე ლ ი მ ე ს ა გ ნ ი ს (საგანთა კლასის) დახასიათებას წარმოადგენს; წარმოშობით „ფერთა გამა“ თავისთავად კი არ არსებობს, არამედ ფერი არის ნიშან-თვისებათაგანი მსგავს საგანთა განსახვავებლად. მსგავს საგანთა განსხვავების საჭიროებას აპირობებს ამ საგანთა როლი სათანადო კოლექტივის ცხოვრებაში. ამრიგად, ფერთა სახელების შესწავლისას სასარგებლო აღმოჩნდება ლარგობლივი ლექსიკის ფართო კონტექსტის გათვალისწინებაც.

მიმინოს დასაპერად — *მისატყუებლად* — ჩიტს იყენებენ. მიმინოთი მონადირეების ყურადღება მიუქცევია სამ ჩიტს — *ბედურას, მებოლოკიას და ღაჭობს*; ამათგან უპირატესობა ღაჭობის მთუნჩეებით, რაკი ფერი მიმზიდველი, თვალში მოსახვედრი აქვს (ადვილად მიიტყუება მიმინოს, რაც ბედურაზე არ ითქმის) და, მებოლოკიასაგან განსხვავებით, ადვილი *გასამართავიც* (გასაწვრთნელი) არის. ღაჭობს დასაპერი იარაღებია: *მიწის სმაპი, საღაგიე სმაპი ანუ სირენჩქა. სმაპთან* დაკავშირებულია სიტყვები: *ღაღილი* (ნრგვლად მოღუნული და ორივე წვერით მიწაში ჩასმული ტოტი), *გარა* (ბიის მოღუნული ტოტი).

როგორც მიმინოს მისატყუარად არის საჭირო ჩიტი; ასევე თვით ჩიტსაც სჭირდება მიტყუება. ღაჭობს მისატყუებლად კალიებს იჭერენ. და, აი, ვინც მიმინოთი ნადირობს, ის კალიებსაც კარგად უნდა იცნობდეს; ამრგვლად, ქორ-მიმინოთი ნადირობის ლექსიკაში შემოდის კალიათა სახელებიც: *გამვერია, ჩაღდაყა, შიკაჯაი, ძირყელაი, შაეი კმილი, მსუქანა...*

მიმინოს დაპერისა და გაწვრთნის შესახებ ცნობებს აქ არ გადმოვცემთ. წარმოვადგენთ მხოლოდ ამასთან დაკავშირებული სიტყვების სიას: *გასაწვრთნელობისა და შემდეგ ნადირობაში გამოსადეგობის მიხედვით არჩევენ აუზნიანსა და კაი ზნის, შემდეგ — კაი მჭირაე, მძლავრ და ბლავე, შემკობლავე მიმინოს. სქესის და ასაკის მხედვით გარჩეულია ნარდი, გუზელა, მთავარსაეი, კაპოუტი. მიმინოს მისატყუარად ჩიტს უფუთქებენ ხოლმე. თვით მიმინოს ბადისა იჭერენ. დასაპერად საჭირო იარაღებია: ჩაბბადე, სახამლაეი, საღლიამჩჩე, ინთა.*

ირაობა ეწოდება მიმინოს მასობრივად წამოსვლას (თბილი ქვეყნებისაკენ), *საირაო* არის ადგილი (მთაზე), საიდანაც გაღმოდის მიმინო (და სადაც იჭერენ მას).

საფეთქმა ღაჭობს რომ მიმინო ვერ დაინახოს და არ შეშინდეს, მას თვალის ზემოთ უკეთებენ საფარველს — *ბიზილოს*. ბადით დაპერილ მიმინოს ჯერ *ფეხებს უშოკიან* (და ისე ამოშურავენ ბადიდან. ახლად და-

პერილ მიმინოს თვალს აუბამენ (ძაფს გაუყრიან ქვედა ქუთუთოში. და ბოლოებს გაუნასკვავენ თავს უკან); მიმინოს დაისვამენ საფუხიროან (მეშის საფარვლიან) თითებზე. ღამე თურზე დასვამენ.

საწვრთნელად პირველი ფრინველის (წიწილის) დაქვრინება არის ბავლის გაგდება; პირველდანაქვერი წიწილის თვალის და ტვინის შექმევა დათვალტვინება არის, ხოლო პირველად დაქვრილი მწყრის თვალტვინისა და სხვა გარეცხილი ხორცის ქმევას *სამურება* ეწოდება.

მიმინოს დაავადებათა სახელებია: *მავლი*, *ხურდა*, *ჭირი*, *კვინჩიქარი*, *ალხის ცემა*, *წამოყრა*.

გურულ კილოში გამოვლენილი ამ სპეციალური სიტყვებიდან ძველ ლექსიკონებში გვხვდება: *გუბული* 'მამალი ქორი, მიმინო და მისთანანი', *კამოერი* 'მფრინველი წელიწადგამოვლილი', *კობლვი* 'ბაზთაგან ჭანგთ შეკუმშვა და მის გამო ვერ დაქვრა ნადირთა', *თური* 'ქორის საჯდომი', *მავლი* 'ქორისაგან პირველდაქვრილი მფრინველი', *მავლი* 'ფრინველის სენია მხართა'.

მეტ-ნაკლებად ერთმანეთს ეხმაურებიან: გურ. *სახამლაგი* და *საბას მამლი ბაზთ პაიჭი*, გურ. *საღლიამბრე* და ნ. ჩუბ. „სათვერცხე ბაზთ *სამხარიღლიე*“, გურ. *უმუნწრუქებენ* და ნ. ჩუბ. „*წრუშუნი* ხმის მიცემა ცხენთა, ქორთა და მისთანათა“ (საბა — „ბაგებით ქორთ მოწოდება“), გურ. *გარა* 'ბიის მოღუნული ტოტი' და საბა „*გარა* გრძლად ორკაბი ჯოხი“, გურ. *ირათბა* და ნ. ჩუბ. „*ირათ* დიდი მფრინველი“, გურ. *სირენჩქა* და ნ. ჩუბ. „*ილინჯა* (საბა *ილინჭა*) — გალიათ მსგავსი მახე სირთათვის“ *.

ლექსიკონებში შეტანილ სიტყვათაგან გურულის შესახებ ნარკვევში არ შესულა ბაზი და მისგან ნაწარმოები *ბაზიერი*, *საბაზიერო*, *ბაზიერთუხუცესი*, აგრეთვე ქულა 'მართვე ქორთა', შევარდენთა და მისთანათა', *კიპკიპი* 'ხმიანობა ქორთა, შევარდენთა, გავაზთა და მისთ.', *საჭანგე* 'ბაზთ მოყვანისა ან გაზრდის მიზდი ან საჩუქარი', *მწყაზარი ქორი*, *ბურაული* 'ქორი შავსა და წითელს საშუალო', *საშრიალი*, *აშრიალი*, *გულყო* 'ქორის დასაქვრი ბადე თავს დასაცემი' (ამ მნიშვნელობით გურულში იხმარება *ჩიტბადე*, რომელიც საბას მოხსენებული აქვს ფრინველთა შესაპყრობელ ბადეთა შორის — *აშრიალის*, *ოჯიჯის* ტრედბადის გვერდით), *ბოკილი*, *ბოკელი* 'ქორის ფეხსაბამი თასმა ან ზონარი, ვითა ბორკილი', *ჯიღური* 'ქორთ საკისრე', *ტაშილი* 'ქორთ საუზმე'...

ზოგი მათგანი გარკვეულ სოციალურ წყობას გულისხმობს (ბაზი-

*საბასთან საერთო მასალაზე მიუთითა ალ. რობაქიძემ [75].

ერი, ბაზიერათუხუცესი, საჭანგე) და ბუნებრივია, თუ დღევანდელი ინფორმატორის მიერ წარმოდგენილ მასალაში მას ადგილი არ დაურჩა; დანარჩენებიდან ბევრი თითქოს საგანგებოდ ქო რ თ ა ნ არის დაკავშირებული და ამიტომ სავალდებულო არ ჩანს გამოვლინდეს მ ი მ ი ნ ო ს თ ა ნ დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში. ამათი გამორიცხვის შემდეგ ცოტალა რჩება ისეთი სიტყვები, რომლებიც არ დასტურდებოდეს მიმინოთი ნადირობის გურულ ლექსიკაში.

გაცილებით მეტია გურულში არსებული სიტყვები, რომლებიც ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში არ ჩანს [140]. მიმინოთა ფერის სახელებიდან ორიოდ სპეციფიკურ გურულ ფუძეს შეიცავს (ჯაჯა 'ქორი', და, რამდენიმედ, ჩხარტი 'ჩხართვი'); მაგრამ ეს ფაქტი მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის ჩუბინაშვილის ლექსიკონის სიღარიბეს ამ რიგის სიტყვებით. მით უფრო, დიალექტურობით ვერ აიხსნება სიმძირე მიმინოს დაქერასთან და დაგეშვასთან დაკავშირებული სიტყვებისა (მისატყუარი ჩიტები, მათი დაგეშვა, მათი მისატყუარი კალიები), აგრეთვე მიმინოს დაავადებათა სახელები.

175. ამ დარგის ლექსიკის ეს მიმოხილვა ორ გარემოებაზე მიგვაქცევინებს ყურადღებას.

ჯერ ერთი, სა ე რ თ ო ე ნ ო ბ რ ი ვ ლექსიკონში მნიშვნელოვნად ნაკლები სიტყვებია წარმოდგენილი იმასთან შედარებით, რაც ამ დარგს ახასიათებს. თითქოს შერჩეულია, გაცხრილულია მასალა, მიმინოს და ქ ე რ ა ს თ ა ნ დაკავშირებული ტერმინოლოგია სრულებით არ არის გათვალისწინებული; მათ ცვლის ერთადერთი საჭანგე 'ბაზთ მოყვანისა და გაზრდის მიზდი ან საჩუქარი' (რომელიც საკუთრივ და ქ ე რ ა დ ა გ ე შ ვ ა ს თ ა ნ კ ი არ არის დაკავშირებული, არამედ დამქერის შრომის ან აზღაურებასთან და, ამრიგად, სხვა ჯგუფის ლექსიკას მიეკუთვნება).

ეს გარემოება იმაზე მიგვანიშნებს, რომ სა ე რ თ ო ე ნ ო ბ რ ი ვ ლექსიკურ ფონდში დარგობლივი ლექსიკიდან შესულა ის, რაც საინტერესოა მთელი ენობრივი კოლექტივისათვის, სახელდობრ, მოცემული დარგის პ რ ო ლ უ ქ ტ ი, რამდენადაც იგი სა ე რ თ ო მ ო ხ მ ა რ ე ბ ის ა ა. თვით ამ პროდუქტის დამზადება მოსაქმეთა მხოლოდ ვიწრო ჯგუფისათვის არის საყურადღებო და სათანადო სიტყვების გამოყენებაც, ჩვეულებრივ, ამ ვიწრო ჯგუფის ფარგლებს არ სცილდება.

საგულისხმოა ისიც, რომ საერთო-სალიტერატურო ქართულისაგან ისე მნიშვნელოვნად დაშორებული დიალექტი, როგორც გურულია. ამ დარგის ლექსიკაში სერიოზულ თავისებურებას არ ავლენს. რა თქმა უნ-

და, კუთხური თავისებურება არც დარგობლივ ლექსიკაშია გამორიცხული (ამის მაგალითები ჩვენც მოვიყვანეთ); მაგრამ საგანგებო დაკვირვება-გააზრების ღირსია ის გარემოება, რომ დარგობლივ ლექსიკაში დიალექტური ფილიაცია ნაკლებია.

ქორ-მიმინოთი ნადირობასთან დაკავშირებული ბევრი სიტყვა საერთო ენობრივ ფონდს მიეკუთვნებოდა ჯერ კიდევ ამ ასიოდე წლის წინათ.

მიმინოს როგორც სანადირო ფრინველის სახელი ფართოდ ყოფილა გავრცელებული. „გლახის ნაამბობში“ საკმაოდ დაწვრილებით არის აწერილი სანადირო მიმინო (აი, აქ ნახმარი სპეციალური სიტყვები და გამოთქმები: ხელში ნაპატიეები, თვალებს აუბამენ, გაიგეშება, გაშოაშიწკინებენ, მიეტყეება...): „შუარდნის სანადიროდ გაწრთვნი მოთხრობილი აქვს ვაქას მოთხრობაში „ჩემი შავარდენი“ (სპეციალური სიტყვები: გაშვა, ქუთუთოები გაგეკრათ, უწრუწუნებდა, გაქსუბულიყო...).

თანამედროვე მწერლების (მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია) ნაწერებში ამგვარი სპეციალური სიტყვები (და გამოთქმები) მხოლოდ ისტორიზმები — ძველი ყოფის აღწერასთან დაკავშირებული სიტყვებია.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სათანადო სიტყვები უცხოა სალიტერატურო ქართულის ლექსიკური ფონდისათვის.

საერთო ენაში სპეციალური სიტყვის დამკვიდრებას ადასტურებს, პირველ ყოვლისა, მისი რეგულარული გამოყენება შედარებაში:

„წავიდა ნავარდზე ჩემი გულისთქმა, როგორც გათამამებული მიმინო“ (ილია), „ორმა მათგანმა ისე გამოჰკრეს ჰაერში მოტრიალე ხორცს, როგორც მიმინომ ბრჭყალები მწყერს“ (აკაკი), „როგორც დაგეშილი ქორების ბოინი“ (ვაჟა), „ფეფენა მიმინოსავეთ ათვალეირებდა ხელსაყრელ მასალას გადარჩენილ ხალხში“ (ვ. ბარნოვი), „როგორც გეზელქორი, ისე მოჰყვა შიკეინსა“ (ნ. ლომოური), „წავგიძღვეს ძველი არწივი, ჩვენ მივყვეთ შავარდნულადო“ (აკაკი), „ქორებულ ტყვრება“ (ვაჟა), „შიოლას კაუპა ცხვირი ირთოდ გადმოქროლილ მიმინოს ამსგავსებდა“ (ლ. გოთუა).

არაიშვითად შედარების გამომხატველი სიტყვა (ან აფიქსი: -ეია, -ებრ -ურ...) არ არის გამოყენებული, მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ სპეციალური სიტყვა შედარებისათვის არის მოტანილი: ფრაზაში გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც შინაარსეულად დაკავშირებულია

სპეციალური სიტყვის მნიშვნელობასთან. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ენაში სპეციალურ სიტყვას კავშირი არ გაუწყვეტია მის თავდაპირველ მნიშვნელობასთან, ე. ი. ფრაზაში ჭრაც შედარებისას ხდება მისი გამოყენება:

„ჰო, რა კაპუტია! გამიგონია, სისხლი უყვარსო!“ (ლ. ქიაჩელი), „ისიც საკითხავია, შეეთვისებიან თუ არა ურთიერთს დიდხნის თავისთვის ნაცსოკრები, გაქსუებული ქვრივები“ (ბ. ჩხეიძე), „ბავშვის წერაკითხვაში გამართვა ძნელია“ (ი. გოგებაშვილი), „შენგან აფრენილ მძლე შევარდენმა ცაში ირაოდ შეკრა კამარა“ (ი. გრიშაშვილი)...

კაპუტი, გაქსუებული, გამართვა, შევარდენი, ირაოდ მოყვანილ ფრაზებში მხოლოდ მეტაფორებს წარმოადგენს.

ფრაზაში, გარდა ჩვენთვის საინტერესო სპეციალური სიტყვისა, გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც შინაარსეულად დაკავშირებულია სპეციალური სიტყვის მნიშვნელობასთან:

„მე ჭადო თვალს ვერ ამიბამს“ (ილია), „დიდკაცებს ანგარებამ ავალი აუბა“ (აკაკი), „ცდილობენ თვალი აუბან საზოგადოებას“ (ი. გოგებაშვილი) და სხვ. თავდაპირველი მნიშვნელობა ყველა ამ შემთხვევაში კომუნიკაციის მონაწილეთათვის შესაძლებელია გაბუნდოვანებული იყოს და არავის ასსოვდეს ქუთუთობებში ძაფის გაყრა. 'თვალის აქრელებას' ნიშნავს თვალის აბმა ე. ბარნოვის შემდეგს ფრაზაში: „თვალები თუ აუბა დაქანებულმა მღვრიემ თვით წყლის შეილებს“; აბმა 'აბევეად' გაუაზრებია ნ. ლორთქიფანიძეს: „თვალაბმული, დაბორკილი მოზვრები გამოიყვანეს... ხელოვნურად შეკრული ბორკილი და თვალსაბური ორივე ერთად შორიდან უცბად მოაშორეს“...

თვალის აბმა, აგრეთვე, ირაოს კრავს, მშენაარი ქორი და სხვა გამოთქმები, ჭერ მეტაფორულად ნახმარი და შემდეგ მნიშვნელობა გაბუნდოვანებული, შესულია ენის იდიომატურ გამოთქმათა ფონდში.

ასევე, მეტაფორული ხმარება დამკვიდრდა ბევრი სპეციალური სიტყვისათვის: „კაპოუნი სიცივე“ (შდრ. § 145), „ნავების ნაეარღა“, „პოლიციურ საქმეებში გაშაუული“, „ზარბაზნებივით დაეშვილი ტელესკოპები“... ამ სიტყვებზე მეტაფორულობა დაკარგა და ახალი მნიშვნელობებით დამკვიდრდა.

§ 76. სპეციალური სიტყვების საერთოენობრივი გავრცელება დამოკიდებულია იმ ინტერესზე, რასაც მთელი საზოგადოება — მთელი ენობრივი კოლექტივი — იჩენს ამ სპეციალური საქმიანობის მიმართ. ამ ინტერესის მატებას თუ კლების მიხედვით ხდება ამა თუ იმ დარგის სიტყ-

ვების შესვლა საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდში, ან ამ ფონდის ცენტრიდან პერიფერიაში გადანაცვლება.

გაზეთში, საყოველთაო ხმარების ბეჭდვითს პროდუქციაში, ყოველდღე გვხვდება წერილები, სადაც ამა თუ იმ სპეციალური ჯგუფის საქმიანობა არის აღწერილი, ან დახასიათებულია ისეთი მოვლენა, რომელიც მანამდე სპეციალისტთა ვიწრო ჯგუფისათვის იყო საინტერესო. როგორი პოპულარული ენითაც არ უნდა იყოს დაწერილი ეს წერილი, მაინც ამოტივტივდება ხოლმე მასში სპეციალური სიტყვები (და საერთო ენის სიტყვათა სპეციალური, საერთო ენისათვის უჩვეულო მნიშვნელობანი).

სულ რამდენიმე წლის ისტორია აქვს ჩვენში მეტროპოლიტენს, ტელევიზიას, მაღლივ სახლებს, და სათანადო სიტყვები უკვე ჩვეულებრივია ქართულში: *ესკალატორი, ტელეობიექტივი* და თვით *სიტყვა მაღლივი...*

კოსმოსში ფრენასთან დაკავშირებული სპეციალური სიტყვები განსაკუთრებით პოპულარული გახდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ზოგი ამ სპეციალური სიტყვიდან, ცხადია, მანამდეც არსებობდა ქართულ ენაში, მაგრამ, ჩვეულებრივ, საყოველთაო და ხშირი ხმარებისა არ იყო. *პერიგეა* და *აპოგეა* მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში გახდა *ს ა ე რ თ ე ნ ო ბ რ ი ვ ი*. საინტერესოა, რომ *აპოგეა* საერთო ქართულში ამ ცოტა ხნის წინათ თითქმის მხოლოდ გადატანილი მნიშვნელობით იხმარებოდა — 'რაიმე პროცესის უმაღლესი წერტილი': „თვით სახელმწიფოებრივი *აპოგეა* საქართველოსი დაკავშირებულია თამარ მეფესთან“ (პრესიდან). ამ ბოლო წლებში ამ სიტყვას ისევ გაუცხოველდა თავდაპირველი მნიშვნელობა — 'მთვარის ორბიტის წერტილი, რომელიც ყველაზე მეტად არის დაშორებული დედამიწას' — და მიიღო ახალი სპეციალური მნიშვნელობა — ხელოვნური თანამგზავრის ელიფსური ორბიტის მიმართ იქნა გამოყენებული... ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ გაჩნდა უჩვეულო გამოთქმები: *ხელოვნური თანამგზავრი, ხელოვნური თანამგზავრის გაშვება* და სხვ.; მალე სათანადო სავანი (კოსმოსური საფრენი აპარატი) მსაზღვრელის („*ხელოვნური*“) გარეშე იქნა დასახელებული: დღეს მთვარის თანამგზავრობის შესახებ როცა უნდათ ლაპარაკი, ამ თანამგზავრის *ბუნებრივ* ხასიათს აღნიშნავენ საგანგებოდ, კოსმოსურ აპარტს კი უბრალოდ *თანამგზავრს* უწოდებენ; და როდესაც ვკითხულობთ გაზეთში — „თანამგზავრი გაუშვესო“, არაფითარ უხერხულობას არ ვგრძნობთ

იმის გამო, რომ სიტყვიერად არ დაუზუსტებიათ ამ თანამგზავრის ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი ხასიათი...

თანამგზავრი-სიტყვის მნიშვნელობა ამ გზით იცვალა:

(მთვარიე)	(აპარატი)
თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი	_____
თანამგზავრი	_____ ხელოვნური თანამგზავრი
ბუნებრივი თანამგზავრი	_____ ხელოვნური თანამგზავრი
ბუნებრივი თანამგზავრი	_____ თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ი

უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დარგების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქართული ენის ლექსიკური ფონდი: ალფა-ნაწილაკები, ამქაჩრებელი, ბიონიკა, გამა-სხივები, დაპროგრამება, ელექტრონულ-გამომთვლელი, იზოტოპი, ინფორმაციული, კიბერნეტიკა, კომპიუტერი, ლაზერი, მოდულირება, ნახევარგამტარი, სეიტრონი, ნიშანდებული (ატომები), პროგრამისტი, სინქროტრონი, ფაზოტრონი და მრავალი სხვა სპეციალური ტერმინი ქართული ენის ლექსიკური ფონდის ომისშემდგომი შენაძენია. ბევრი ამათვანი საყოველთაო ხმარების სიტყვაც გახდა.

ასევე, მნიშვნელოვანი სიახლეებია პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში, რაც პოლიტიკური გარემოცვის ცვლილებებმა გამოიწვია: გაერთიანებული ერები, სახალხო დემოკრატია, იუნესკო, დენაციფიკაცია, მიუშრობელი ქვეყნები, ესკალაცია, ვიეტნამიზაცია, კოლონიზაცია, ნეოკოლონიალიზმი...

ამის საპირისპიროდ უნდა მოვიხსენიოთ ის სპეციალური სიტყვები, რომლებიც ნახევარი საუკუნის წინ სრულიად ჩვეულებრივი იყო ქართულში, დღეს კი თითქმის აღარ იხმარება:

თითქმის სრულიად გაქრა ყვარი, გუთნული, ჯამბარა, გუთნისდედა, დიური, ქცევა, საზიარო (ყანა), ნონაზვერე, მოზიარე, სარქალი, ოჯახისშვილი, მოჯამავირე და სხვა სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც რევოლუციამ დელისოფლის ყოფის ანარეკლს წარმოადგინდა, პირველ ყოვლისა, იმდროინდელი ზენა-თესვის ტექნიკასთან და შრომის ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული.

მღვდელმსახურებამ საერთო-საზოგადოებრივიდან გადაინაცვლა და ძალზე მცირერიცხოვანი ჯგუფის ინტერესთა სფეროშია და დარჩა, ამიტომ დღევანდელ საერთო ენაში ფაქტობრივ გაქრა შესაბამისი სიტყვები და გამოთქმები: ყოვლად სამღვდლო, მისი უწმინდესობა, მიტროპოლიტი, მთავარდიაკონი, წირვა, კურთხევა, პარაკლისი, ნათლისღება, ზიარება, მირქმა, ზეღაშე, სანაწილე, ბარძიმი, ფეშხუმი, უსუპი, ნა-

კურთხეიშე, სეფისკეერი. ჭესის აგება. წინათ პანაშვიდი საეკლესიო მღვდელთმსახურება იყო, ამიტომ რევოლუციის შემდეგ საგანგებოდ აღინიშნებოდა, რომ ცალკეულ შემთხვევებში მიცვალებულის პატივსაცემად „სამოქალაქო პანაშვიდი“ (და არა „საეკლესიო“) იყო დანიშნული. დღეს პანაშვიდის სამოქალაქო ხასიათზე არავინ მიუთითებს, რადგან თავისთავად იგულისხმება, რომ მღვდელი არ მონაწილეობს. პანაშვიდი-სიტყვის მნიშვნელობა არსებითად იცვალა:

პანაშვიდი

პანაშვიდი

—

სამოქალაქო პანაშვიდი

პანაშვიდი

ასევე, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ლექსიკური ფონდის პერიფერიაში მოექცა ნახევარი საუკუნის წინანდელი სოციალური ყოფისათვის დამახასიათებელი სიტყვები: მრეშველი, მოასლე, ბოქალე, აღმაგებულება...

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები და გამოთქმები XIX—XX საუკუნის პრესაში და მხატვრულ ლიტერატურაში ფართოდ იყო გავრცელებული, დღეს უიმედოდ მოძველებულია და ბევრ შემთხვევაში დავიწყებულიცაა საერთო ენაში. მაგალითად, მღვდელმსახურებასთან დაკავშირებული სიტყვები: კურთხევა, ზიარება, აღსარება საერთო ენაში ისე იყო დამკვიდრებული, რომ მათი გადატანითი ხმარებაც მნიშვნელოვნად გავრცელდა. ამჟამად ამ სიტყვათა მოხმარების სფერო ისევ მღვდელმსახურებით შემოიფარგლა — ს ა ე რ თ ო ე ნ ო ბ რ ი ვ ი ისე ვ ი წ რ ო ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი გახდა.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თუ როგორ აისახება ენაში, მის ლექსიკაში, ის ცვლილებები, რომლებიც სათანადო ენობრივი კოლექტივის ცხოვრებაში ხდება.

თანამედროვე ქართული ენის

ჰოლივალენტოვნება

177. ლექსიკონებში ხშირად არის მითითებული იმ დარგზე, საიდანაც საერთო ენაში შემოსულა ესა თუ ის სიტყვა: ასე, ზარბაზა-სიტყვას 'განმარტებით ლექსიკონში' ახლავს კვალიფიკაცია „ტექ.“, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სიტყვა ტექნიკური ტერმინოლოგიის კუთვნილებაა. გეოლოგიის ტერმინოლოგიის კუთვნილებაა ცენტროსფერო (ლექსიკონში ამ სიტყვას მიწერილი აქვს კვალიფიკაცია „გეოლ.“)...

მაგრამ დარგზე სავანგებო მითითების გარეშეც ჩანს, რომ ლექსიკონში შეტანილი ბევრი სიტყვა წარმოშობით დარგობლივი ლექსიკის კუთვნილებდა: *ვაგონები* 'პატარა თავლია ვაგონი ტვირთის მიმოსაზიდად მალაროებში, საწარმოებში და სხვ.', ლამაზი 'შარვლის ტოტების გვერდებზე სიგრძივ დაკრებული ფერადი ზოლი', *დაცამეგება* 'პურის თხუთმეტი ძნის ერთად დაწყობა' და სხვ. საერთო ქართულ ლექსიკურ ფონდში რამდენიმე ათეული ასეთი დარგი არის წარმოდგენილი:

ა ვ ი ა ც ი ა: ბიძლანი, ფიუზელაჟი, ტურბორეაქტიული, აერონი, ბორტ-მექანიკობი... **ა ნ ა ტ ო მ ი ა:** ბადურა, დენკინი, დესმოლოგია, დიაფრაჟმა, მყესი, სიხლძმარღვი, ქსოვილი... **ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი ა:** რასა, დოლიქოჟეფალი, მიკროცეფალი, ნეგროიდი... **ა რ ი თ მ ე ტ ი კ ა:** ჯამი, ნამბრალი, უცნობი, რიყები, შილადი, ჯერადი, ნაში... **ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა:** პალეოლითი, გათხრა, სამარხი, ხაერუმლე... **ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ა:** არქიტრაი, გუშბათი, მაჟრიტანული, კამარა, ჩუქურთმა... **ა ს ტ რ ო ნ ო მ ი ა:** კეზარი, პულსარი, თანამგზავრი, ბაკმი... **ბ ი ო ლ ო გ ი ა:** ცხოველშოქმედება, ბაქტერია, გენი, ჩანასახი... **ბ ო ტ ა ნ ი კ ა:** დედაფუტკარა, დენდროლოგია, აორთქლებადობა, მერქანი... **ბ უ ლ ა ლ ტ ე რ ი ა:** დებეტი, კრედიტი, დუბლიკატი, აღწერა, გროსბუხი, გაცამეგება, უწყინი... **გ ე ო გ რ ა ფ ი ა:** დემოგრაფია, თავთელი, იზობარი, კარსტი, კუნძული, ლამი, მყინვარი, დარტაფი... **გ ე ო ლ ო გ ი ა:** მუზოზოური, ქანობი, რიფი, საბადო, მენქერი, კარნიზი... **გ ე ო მ ე ტ რ ი ა:** თეორემა, გოლფერდა, პარალელუმიპედი, ლემა, მახვილკუთხიანი... **გ რ ა მ ა ტ ი კ ა:** ბრალდებითი, ბრუნვა, დერეკაცია, ფლექსია, ქვემდებარე, პარატაქსი, მირთვა... **დ ი პ ლ ო მ ა ტ ი ა:** დე-იურე, დემარში, შარღინება, აკრედიტებული, ატაშე, მრჩეველი, ნოტა... **ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ა:** ბელგა, შეხრეულება, პოლიგამია, მატრიარქატი... **ე კ ლ ე ს ი ა:** ბარძიმი, დეკანოზი, დიოფიზიტი, მონოფიზიტი, ზიარება, ეკლოგია... **ე კ ო ნ ო მ ი კ ა:** დემინგი, ინფლაცია, დეპრესია, დეფიციტი, აღმარშობა... **ე ლ ე ქ ტ ო ტ ე ქ ნ ი კ ა:** შვეფელი, კონტაქტი, ქსელგამყოფი, ტრანსფორმატორი, ფახა... **ვ ა ქ რ ო ბ ა:** ბრუტო, ნეტო, დახლი, მოლარე, საწყობი, უნივერსალი... **ზ ო ო ლ ო გ ი ა:** სახსროვანი, ჩანთოსანი, აბრეშუმა, ლაფნიკამია... **ზ ო ო ტ ე ქ ნ ი კ ა:** მშარშობელი, შველადობა, ფერმა, ფაცაბი, ვიზოროტია... **ზ ლ ვ ა ო ს ო ბ ა:** ბლანტი, ბუქსირი, ზომალა, ნაესაღვარი, კარჭამა, დოკი... **თ ე ა ტ რ ი:** ბუფონადა, დემიუტი, აუანსენა, დეკლამაცია, მელოდრამა, რეზონანსი, სტატისტი... **ქ ა ნ ც ე ლ ა რ ი ა:** ბიულეტენი, ბრძანებულება, დებულება, შტამპი... **ქ უ ლ ი ნ ა რ ი ა:** ბლამანჟე, ბოლვილა, დელიკატესი, დესერტი, დერიტა... **ლი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა:** დეტარმინანტი, სუბსტრატი, დივერგენცია, ოჯახი, კილოკაეი, იზოვლოსა... **ლი ტ ე რ ა ტ უ რ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა:** ბაირონიზმი, დეკადენცი, დეტექტიური, დიდაქტიზმი, ფაბულა, კვანძი... **ლო გ ი კ ა:** დეფინიციბა, ცნება, დანასკეი, ლუბიუნქცია, დილემა, კატეგორია... **მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა:** დიაგონალი, უცნობი, განტოლება, ფუნქცია, ამოხსნა, ცილობა, დიამეტრი... **მ ე დ ი ც ი ნ ა:** ატიტამინოზი, ბნელა, დუზინსექცია, დეკომპენსაცია, უკმარობა, დეპრესია, დიათერმია... **მ ე ტ ე ო რ ო ლ ო გ ი ა:** ბალონ-ზონდი, მოდრუბულუობა, გრივალი... **მ ე ც**

ხოველობა: ძროხა, წლიქი, ფარა, შიშავი, ბოსელი, სილოსი... მე-
 ტალურგია: დეტონატორი, აბსორბცია, ალუმბლავარგებნა, ნაგლანი,
 ნაშხადი... მინერალგია: ბროლი, ვიშერი, თაბაშირი, რკინაქა...
 მუსიკა: დიამაზონი, გამა, ქრომატული, ფუგა, კრეშენდო, კონტრაპუნქ-
 ტი, კრინი, დისკანტი... მშენებლობა: ბლოკი, ამშე, ბეტონსარევი,
 ღიობი, შელესვა, საძირკველი, აგურნახევიარი, ტკეი... მხატვრობა:
 ბატალიტი, პალიტრა, ულტრამარინი, დაზგური (ხელოვნება), აკვარელი...
 პალეოგრაფია: მთავრული, ნუხხური, ლურსმული, კაბადონი, სინგურ-
 რი, ჭვირნიშანი... პალეონტოლოგია: დინოზავრი, განამარხება,
 ჯაგარფუხიანები, პიპარიონი... პედაგოგიკა: თვალსაჩინოება, დიდაქ-
 ტიკა, სამოსანი, არდადეგები... პოლიგრაფია: დერმანტინი, კორექ-
 ტურა, დაკაბადონება, გამომშვები, მონოტიპი, აწყობა... პოლიტიკა:
 ბლოკი, დეზინფორმაცია, დეკლარაცია, დელუგაცია, დემოკრატია... პოლი-
 ტიკური ეკონომია: ღირებულება, ექსპლუატაცია, დაბანდება, ბა-
 ლანტი. ბიუჯეტი... რელიგია: დემონი, სამება-ერთარსება, სუნიტი,
 ბუდიზმი, პოლითეიზმი, ანტროპომორფიზმი... რკინისგზა: ბალსტი,
 ვაგონი, ჯახრიდი, მუხრუჭი, ელექტრომაგალი, ლიანდაგი... საათთი-
 კა: დესტილაცია, აბი, ეზულსია, ფარმაცევტი, უნცია, დევი, მიქსტურა...
 საბანკო: ავიზო, ჩეკი, დეპოზიტი, გადარიცხვა... საბეზლიოთე-
 კო: აბონენტი, ფორმულარი, ინდექსი... სამართალი: ბოროტმოქმედი,
 მსაჯული, მოშვე, სარჩელი, მარშმუნებელი, ალიბი... სამხედრო: ბა-
 რაკა, ბუნკერი, დებლოკირება, დეზერტირი, დემარკაცია, მობილიზაცია, დი-
 ვერსია... სასკოლო: მასშაველებელი, დასვენება, მეოთხედი, მედალოსა-
 ნი, მერხი, დავალება, კარნახი... სოფლის მეურნეობა: დერივა-
 ცია, კვადრატულ-ბუდობრივი, აზო, ყამირი, კულტივაცია... სპორტი: სდექ,
 გამკლავი, კრივი, ზურგული, ქვემომე, გარემარბი, მშერთნელი, ნაკრები,
 ოლიმპიადა... სტატისტიკა: დემოგრაფია, ცდომილება, კრებსი...
 ტექნიკა: ბაგირაკი, ბრძმედი, დეპიტი, დემონტაჟი, დეტალი... ფიზი-
 კა: ბგერა, დეფორმადი, დიელექტრული, დინამიკა, თანაბარაჩქარებული,
 დინამომეტრი, დისოციაცია... ფიზიოლოგია: რეულექსი, შვებძნება,
 გაღიზიანება, ვივისექცია, ელექტრომიოგრაფია... ფილოლოგია: დე-
 დანი, ტექსტოლოგია, ინტერპოლაცია, კონიენტურა... ფილოსოფია:
 დედაარსი, დეტერმინიზმი, მონიზმი, მონადა... ფინანსები: ბანკოტი,
 ბიმეტალიზმი, დისკონტი, ჩეკი... ფონეტიკა: ბაგისმიერი, არტიკულა-
 ცია, ღრიჭოვანი, ყულხშული, დეცესიური... ფოტოგრაფია: ბექდავს,
 ნეგატივი, ფიქსაჟი, გამელავნება, გადიდება, რეტუში... ფსიქოლოგია:
 განწყობა, განცდა, პერსპექტივა, ამნეზია, ასოციაცია... ქიმიკა: ბრომი-
 ჟანგბადი, ლაკმუსი, ტუტე, ეალენტობა... ჰიდრაკი: დემიუტი, დამამა-
 თება, ცაიტნოტი, ბაიკი, ქიში, ენდშპილი... ხელოვნებათმცოდნე-
 ობა: მოზაიკა, რენესანსი, იკონოგრაფია, ექსპრესიონიზმი, წაფენა და მრავ-
 ვალი სხვა.

ჩვენ აქ მხოლოდ თითო-ორი ნიმუში მოვიყვანეთ. თუ თანამედრო-
 ვე ქართული ენის ლექსიკას ამ თვალსაზრისით გულდასმით შევისწავ-
 ლით, ამგვარ სპეციალურ სიტყვებს თავს მოვუყრით და დარგობლივად

დავალაგებთ, თვალწინ გადაგვეშლება საინტერესო სურათი სპეციალური ლექსიკის მონაწილეობისა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში და ხელშესახები გახდება დებულება ქართული ენის პოლივალენტოვნების შესახებ [236, 138]. ე. ი. იმის შესახებ, რომ თანამედროვე ქართულ ენას მოხმარების ძალზე ფართო წრე აქვს: ქართული გამოიყენება არა მარტო საყოველთაო საუბრისათვის და ელემენტარული კომუნიკაციის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ იგი თანამედროვე მეცნიერების ენაც არის: ქართულ ენაზე იქმნება ნაშრომები ცოდნის ყველა დარგისათვის, ქართულ ენაზე წარმოებს სწავლება დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში; ქართული ენა არის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი თანასწორუფლებიანი სახელმწიფო ენა — ამ ენაზე ქვეყნდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოთა მიერ შემუშავებული კანონები, ბრძანებულებანი, აღმასრულებელ ორგანოთა დადგენილებანი; ქართულ ენაზეა სასამართლოს წარმოება, საქმისწარმოება საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობასა და დაწესებულებებში... რომ არაფერი ვთქვათ ქართული ლიტერატურის შესახებ, რომელსაც ათასეული წლების ტრადიცია აქვს. ქართული ენა პოლივალენტოვანია, ე. ი. მრავალმხრივი ღირებულების მქონეა მოხმარების თვალსაზრისით, და ეს ფაქტია უკუფენილი ქართული ენის ლექსიკურ ფონდში, რომელსაც მოეპოვება უაღრესად მდიდარი მასალა — ცხოვრების რაგინდარა მოვლენისა და ცოდნის რაგინდარა დარგის ცნებათა სახელწოდებანი.

ამის საშუალება სამწერლო ქართულს მისცა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალმხრივმა განვითარებამ, აგრეთვე თვით ქართული ენის დიდ შესაძლებლობათა ჯეროვანმა გამოყენებამ — ძველი მრავალსაუკუნოვანი სამწერლოენობრივი ტრადიციისადმი გულისხმიერმა დამოკიდებულებამ, ცოცხალი სასაუბრო ქართულის მდიდარი ლექსიკური მარაგისა და მოქნილი სიტყვაწარმოებითი ყალიბების თამამმა შემოტანამ სამწერლო ენაში და, აგრეთვე, ცხოველმა ურთიერთობამ მსოფლიოს კულტურულ ენებთან.

სინონიმია და

ენობრივი კოლექტივი

178. ლექსიკისა და ენობრივი კოლექტივის ურთიერთობის გარკვევისათვის საინტერესო მასალის მოცემა შეუძლია სინონიმიის შესწავლას.

თუ სინონიმიას განვიხილავთ ენობრივ კოლექტივთან მიმართებით —

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას მიიქცევს დიალექტური ჯგუფების მონაწილეობა საერთო ენაში.

სინონიმებს ქმნის *ჯირკ[ვ]* და *კუნძი*: „შუა კერაზე მხარ-თეძოზე წამოწოლილი დევივით იღვა დიდი, უზარმაზარი *ჯირკვი* და გაუსხლეტელად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა“ (აკაკი) — „ცეცხლი უნთიათ კერაზე, ზედ უძევს დიდი *კუნძია*“ (ვაჟა).

ძროხა და *ფური* — „პატარაძალმა *ძროხა* ვერ მოწველა, ბაკი მრუდ-აო“ (ანდაზა) — „*ფურმა* იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა წიხლი და დაღვარაო“ (ანდაზა).

უშობელი და *დეკეული*: „(ზახვას) მამას ჰყავდა... ერთი შეწველი ძროხა, სამი *უშობელი*“ (გ. წერეთელი) — „ქენქაძემ დაკლა ერთი ძროხა და ურწანი *დეკეული*“ (ბ. ჩხეიძე).

ჯიქანი და *ყური*: „(ბეკეკავი) გაძღები, გასისინდები, *ჯიქანს* გაივსებ რძითაო“ (აკაკი) — „(ბავშვები ცხვარს) *ყურზე*... ხელებს მაგრად უქერდნენ და სწრაფი ნაკადულით რძეს ადენდნენ“ (მ. არაგვისპირელი).

ჭური და *ქვეერი*: „დაეწყით სიმინდის ტეხა, ყურძნის კრეფა, ჭურების რეცხვა“ (ნ. ლორთქიფანიძე) — „დადგა მაძლარი შემოდგომა. სოფელში გაიმართა *ქვეერების* რეცხვა“ (ი. ჭავჭავაძე).

ვირთხა და *ვირთავვა*: „გარუჯულა ვირთხასავით“ (ნ. ლორთქიფანიძე) — „*ვირთავვები* ნასუფრალზე დარბიან“ (მ. ჭავჭავაძე).

ცინღელი და *კანუტი*: „გაგვუდავ ქეციანი *ცინღალივით*“ (ბ. ჩხეიძე) — „დაპკრეს ტაში და აცეკვეს *კანუტები* და ლეკვი ერთად“ (გ. კაჭახიძე).

ასევე სინონიმებია: *ქვიჯა* და *როღინი*; *კეეს-აბედი* და *ბალ-კეესი*; *ბაწარი* და *თოკი*; *ანბელა* და *მურყანი*; *ბატკანი* და *კრაკი*; *კობიტა* და *იუანი*; *ჭაკი* და *ფაშატი*; *ფლოქეი* და *ჩლიქი*; *საყოლი* და *სადგამური*; *ხაბი*, *კვახი* და *გოგრა*; *ალეისხე*, *ჭანდარი* და *ჩინარი*; *კორჩიოტა*, *ყორივარა* და *კეარაკუნჩა*; *ციხანე*, *კენანე*, *კონკისძველა* და *ციციწო*; *კეეთი*, *მაჭიკი*, *დედა*, *დერიტა* და *ხსენი*; *წაქი* და *სველი*; *ყოჩი* და *ურკემალი*...

ზემოთ, აკაკისეული დიალექტიზმების შესახებ რომ ვლაპარაკობდით, დიალექტური დუბლეტების რამდენიმე მაგალითიც მოვიყვინეთ (იხ. § 158).

ამგვარი ლექსიკური დიალექტიზმები ზოგჯერ საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდშიც იკავფავს გზას და ენას სინონიმებით ამდიდრებს.

179. მაგრამ საერთო ენაში შესვლა-დამკვიდრების შემდეგაც სინონიმები, ზოგჯერ მიანიც, ატარებენ თავიანთი კუთხური წარმომავლობის დაღს.

აი, მაგალითად, როგორი ვითარებაა ალ. სუმბათაშვილის პიესის „ლა-ლატის“ ქართულ თარგმანებში. ეს პიესა ოთხჯერ ითარგმნა თითქმის

ერთდროულად. მთარგმნელთაგან ორი ქართული იყო — გრ. ყიფშიძე და ნ. ავალიშვილი, ორიც — იმერელი: აკაკი წერეთელი და კოტე მესხი. ოთხივე გამოცდილი ლიტერატორი იყო და, რა თქმა უნდა, საერთო ქართულის თავგამოდებული დამცველი. და მაინც მათ თარგმანებში თავი იჩინა მშობლიური დიალექტის ლექსიკონათვის უპირატესობის მიცემამ (როგორც წესი, მაშინ, როდესაც ესა თუ ის სიტყვა მეტისმეტად კუთხურ ელფერს არ ავლენდა). უფრო საყურადღებოა, რომ სინონიმთაგან ერთ-ერთის ხმარებისადმი იჩენს მიდრეკილებას ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელი.

რუსული *веритъ*-სიტყვის ქართულად გადმოსაცემად მათ თარგმანებში გამოყენებული იყო ოთხი ქართული სიტყვა: *ენდობა* (სამჯერ), *ერწმუნება* (ორჯერ), *სჯერა* (ორჯერ); *სწამს* (ერთჯერ); არც ერთი ამ სიტყვათაგანი „კუთხური“ არაა, მაგრამ მათ ხმარებაში მაინც იგრძნობა მთარგმნელის ტენდენცია: გ. ყიფშიძეს და ნ. ავალიშვილს უმარიათ მხოლოდ *ენდობა* და *ერწმუნება*, აკაკის — მხოლოდ *სწამს*, კ. მესხს — *სჯერა* და *ერწმუნება*:

	გ. ყიფშიძე	ნ. ავალიშვილი	აკაკი წერეთელი	კ. მესხი
(3) ენდობა	2	1	—	—
(3) ერწმუნება	1	1	—	1
(2) სჯერა	—	—	—	2
(1) სწამს	—	—	1	—

ანუ გამარტივებულად

		„აღმოს.“ (5)	„წესაველ.“ (4)
(6)	„ხშირი“	5	1
(3)	„იშკიათი“	0	3

კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება მთარგმნელის ტენდენცია, თუ მეტი რაოდენობის მასალას გავითვალისწინებთ: ოთხ-ოთხი შესატყვისი გამოუყენებიათ მთარგმნელებს შემდეგი რუსული სიტყვები-

სათვის: стража (ღარაჯა, მეველი, გუშაგი, მეთვალყურე) *, молитв (მუღარა, ვედრება, თხოვნა, ხვეწნა), рабыня (მხვეალი, მონა, ხარკა, მოახლე), трус (მხდალი, ლაჩარი, მშიშარა, ჯაბანი), пощадить (შეწყალება, პატივება, შეწყნარება, შებრალება), победить (ძლევა, დაპყრობა, დამარცხება, მორევა), быстро (სწრაფად, ჩქარა, მარად. უცებ) და ზემოთნახსენები верить (ენდობა, ერწმუნება, სჯერა, სწამს). ეს მასალა რომ გავაერთიანოთ და გავითვალისწინოთ მათი მეტ-ნაკლები ხმარება ცალკე მთარგმნელების მიერ, ასეთ ცხრილს მივიღებთ:

Стража, молитв, рабыня, трус, пощадить, верить, победить, быстро	ბ. ყიფშ.	ნ. ავალ.	ა. წერეთ.	კ. შესხი
(56) ღარაჯა, მუღარა, მხვეალი, მხდალი, შეწყალება, ენდობა, ძლევა, სწრაფად	25	25	1	5
(26) მეველი, ვედრება, მონა, ლაჩარი, პატივება, ერწმუნება, დაპყრობა, ჩქარა	4	4	12	6
(15) გუშაგი, თხოვნა, ხარკა, მშიშარა, შეწყნარება, სჯერა, დამარცხება, მარად	1	—	7	7
(15) მეთვალყურე, ხვეწნა, მოახლე, ჯაბანი, შებრალება, სწამს, მორევა, უცებ	—	—	3	12

ორ-ორი შესატყვისია ** გამოყენებული შემდეგი რუსული სიტყვებისათვის: помиловать (შეწყალება, შებრალება), окружать (შემორტყმა, შემოხვევა), перс (სპარსი, სპარსელი), туок (ოსმალთ, თათარი), церковь (ეკლესია, საყდარი), ...за ней (მისდევს, მიჰყვება), რაც ასეთ ცხრილს მოგვცემს:

помиловать, окружать, перс, туок, церковь, ...за ней	ბ. ყიფშ.	ნ. ავალ.	ა. წერ.	კ. შესხი
(35) შეწყალება, შემორტყმა, სპარსი, ოსმალთ, ეკლესია, მისდევს	14	15	4	2
(13) შებრალება, შემოხვევა, სპარსელი, თათარი, საყდარი, მიჰყვება	1	—	9	3

* ქართული შესატყვისები დალაგებულია ოთხსავე თარგმანში ხმარების სიხშირის მიხედვით.

** სამშესატყვისიანები აღარ მოგვყავს, რადგან საერთო სურათს რამდენიმედ აბუნდოვანებს, თუმცა არსებითად არ ცვლის.

მეტი თვალსაჩინოებისათვის სქემა შეიძლება გავამარტივოთ — ცალკე მთარგმნელთა ნაცვლად ორი გრაფადა გამოვყოთ („აღმოსავლელები“ — „დასავლელები“); ასევე, სიხშირის მიხედვით ოთხშესატყვისიანი სქემაც ორზე დავიყვანოთ (მსგავსად ორშესატყვისიანისა) — „ხშირი“ და „იშვიათი“ ხმარების სიტყვებად. და მაშინ ასეთ „შეჯამების სქემას მივიღებთ:

(161)	„აღმოს.“ (90)	„დასავ.“ (71)
(118) „ხშირი“	88	30
(43) „იშვიათი“	2	41

ამ სქემაში წარმოდგენილია ცნობები 14 რუსული სიტყვის ფარდად ნახმარი 46 ქართული სიტყვის გამოყენების შესახებ.

სქემის ცნობები, დამავალი სიხშირით წარმოდგენილი, ასეთ სახეს იღებს:

უხშირესია (ნახევარზე მეტი) „ხშირთა“ ჯგუფი „აღმოსავლელთა“ სიტყვახმარებაში.

საკმაოდ ხშირია (მეოთხედი) „იშვიათთა“ ჯგუფი „დასავლელთა“ სიტყვახმარებაში;

საკმაოდ იშვიათია (მეხუთედზე ნაკლები) „ხშირთა“ ჯგუფი „დასავლელთა“ სიტყვახმარებაში;

ძალზე იშვიათია (2 შემთხვევა 161-იდან) „იშვიათთა“ ჯგუფი „აღმოსავლელთა“ სიტყვახმარებაში.

ეს მონაცემები მიგვანიშნებს, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულის საყოველთაოდ გავრცელებულ სიტყვათა ხმარებაშიც შესამჩნევია, გადმონაშთურად, ამა თუ იმ სინონიმის დიალექტური წარმომავლობა; ამასთანავე, მკაფიოდ ჩანს „აღმოსავლური“ სიტყვახმარების პრესტიჟი: „დასავლელი“ მთარგმნელები ხშირად ხმარობენ „აღმოსავლელთათვის“ დამახასიათებელ სიტყვებს, ხოლო „დასავლელთა“ დამახასიათებელი სიტყვები „აღმოსავლელ“ მთარგმნელთა სიტყვახმარებაში თითქმის არ გვხვდება (დაწერილებით — [97]).

180. სინონიმთა წარმოქმნაში შესაძლებელია მონაწილეობდეს ორი სხვადასხვა ენობრივი წრიდან მომდინარე მასალა, ვთქვათ, (გვიან) შეთ-

ვისებული და ქართულად ნაწარმოები, ან აღრიხდელი; ამგვარი სინონიმიის მაგალითებია:

ადვოკატი — ვეჭილი: „სამსონ ჯიბიაშვილი იყო ერთი კარგად ჩასუქებული სოფლის „ადვოკატი“ ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „ვეჭილი“ (გ. წერეთელი); „ერთმა გაჭნილმა ადვოკატმა, რომელიც უქმაძის ვეჭილად იყო, დაამტკიცა დათიას საჩივრის უსაფუძვლობა“ (ე. ნინოშვილი).

დეკეშა — ტელეგრამა: „უცებ კარი შემოიღო და მოახლემ ტელეგრამა შემომიტანა. — დეკეშა! — საშინლად შეჰკვივლა მაკრინემ და აკანკალებულის ხელით გაგლიჯა ქაღალდი“ (ეკ. გაბაშვილი); „ბანკის მმართველობას მოუვიდა პეტერბურგიდამ შემდეგი ტელეგრამა...“ (ილია) — „დღე არ გავა, რომ დეკეშა არ მოვიდეს“ (ილია).

ვექსილი — თამასუქი: „უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, გაკოტრებული კაცის თამასუქი“ (ილია). „საცა რამე ჰქონდა ვექსილებით და თამასუქებით ასაღები, უდავიდარაბოდ აღარავინ აძლევდა“ (გ. წერეთელი).

ეშალი — მინანქარი: „სურათზე: თბილისის ეშალ-ქურტლის ქარხანა. მინანქრის საამქროს ცვლის უფროსი“ (პრესიდან). „გარედან კბილები მოფენილია წმინდა და ბრწყინავი მინანქრითა“ (ი. გოგებაშვილი) — „(კბილის) გვირგვინი გარედან დაფარულია მკერივი ნივთიერებით — ეშალით“ (პლასტიკური ანატომიის სახელმძღვანელო).

ნაციონალური — ეროვნული: „როგორ თუ შენ ნაციონალური ცეკვა გეზიზღებაო?“ (აკაკი) — „აქ წარმოდგენილია ქალისა და მამაკაცის ეროვნული ტანსაცმელი“ (პრესიდან).

დიფთერია — ყელჭირვება: „ბავშვს ოპერაციის შემდეგ ემართება წითელა, ქუნთრუშა, დიფთერია“ (მ. კოკჩიაშვილი) — „გასულ ზამთარს ბავშვებმა ყელჭირვება მოიხადეს“ (ბ. ჩხეიძე).

იხ. აგრეთვე: არქიტექტურა — ხუროთმოძღვრება, ადევრბი — ზმნისართი, ამულეტი — ავეჯაროზი — შანა, ანემია — სისხლნაკლებობა, ანონიური — უსახლო, ბალკონი — აივანი, ბიბლიოთეკა — წიგნთსაცავი, ბოშბი — ყუმბარა, ბრასლეტი — სამაჯური, გაზი — აირი, გალერეა — ქანდარა (თეატრში), გენეზისი — წარმოშობა, გიმნასტი — ტანმოვარჯისე, გოლი — კარი (სპორტში), გრიფი — სეაეი, ლებიტორი — მოვალე, დელიკატესი — ნუგზარი, დეტალური — დამერილებითი, დომინირებული — გაბატონებული, ეგზამენი — გამოცდა, ეგზემპლარი — ცალი, ეკონომია — მომჭირნეობა, ელასტიკური — ღრუკადი, ემბრიონი — ჩანასახი, ემოცია — გრძნობა, ეპილეფსია — ხნვდა, ეპოქა — ხანა, ერესი — მშველბლობა, ეტიკეტი — იარლიყი, ექო — გამოძახილი, ექსპერიმენტი — ცდა, ექსპირაცია — ამოხუნთქვა, ექსტრაქტი — გამონაწერი, ეატერპასი — თარაზო, ეაქცინაცია — აყრა, ეერსიუიკაცია — ლექსთწყობა, ვიბრაცია — რხევა, ვიზაეი — პირდაპირ, ზალი — ბათქი, იგ-

ნორირება — უგულუბელოება, იმიტაცია — მიმსგავსება, იმუნტიკტი — შეუვალობა, ინდუსტრია — მრეწველობა, ინსტრუმენტი — იარაღი, კანიალი — კაციჭამია, კაფე — ყაფანა, კოლონა — სეგტი, კოლოსალური — უზარმაზარი, ლაბიალური — ზაგისმიერი, ლინგვისტიკა — ენათმეცნიერება, ლიტერატურა — მწერლობა, ლუმბაგო — შუღკავი, ლუნატიკი — მთეარეული, მაგია — მინსობა, მანესკრიპტი — ხელნაწერი, მედიკი — ექიმი, მოზგი — საცხედრე, ნეგტიური — უარყოფითი, ორთოგრაფია — მართლწერა, ორნამენტი — ჩუქურთმა, ოფიცერი — მეთაური, პარალიზება — დაღამბლაკება, პერგამენტი — ეტრატი, პერტრუბაცია — არეუ-ღარევა, პერფეუცია — აღქმა, პილოტი — მფრანავი, პილულა — აბი, პირატი — მეკობრე, პოსტამენტი — კვარცხლბეკი, პროგრესი — შინსვლა, პროსპექტი — გამზირი, პროფესია — ხელობა, რეზულტატი — შედეგი, რეპროდუქცია — აღმარმობა, რეფრენი — მისამღერი, რუკმაკი — ზურგანათა, სეკუნდი — წამი, სოციალური — საზოგადოებრივი, სპეკულანტი — ქორეაჭარი, ტრაქეა — სასულე, ტუბერკულოზი — ქლექი, ფალსიფიკატორი — გამყალბებელი, ფანერა — ფირფიცარი, ფსიქიკური — სულიერი, ქირურგი — დასტაქარი, ცეზი — საამქრო, პორიონტი — თეალსაწიერი და სხვ.

როგორც ვხედავთ, ამ წყვილებში თითქოს მხოლოდ პირველი წევრებია ერთგვაროვანი — ინტერნაციონალიზმები, აშკარად შეთვისებული მასალა — ბიუჯეტი... არქიტექტურა... ადვერბი... ადოკატი... ბრასლეტი... გაზი... რაც შეეხება წყვილთა მეორე წევრებს, ისინი, ერთი შეხედვით, ნაირგვაროვან მასალას წარმოადგენენ.

ზოგი მათგანი აგრეთვე შეთვისებულია (ადოკატი — ევაქილი, ბალი — შეჯღისი, დელიკატესი — ნუგბარი და სხვ.).

ზოგი საგანგებოდ არის ნაწარმოები ახალი სიტყვის ფარდად (ამაჟური — შუჭფარი, გიმნასტი — ტანმთვარჯიშე, პროსპექტი — გამზირი და სხვ.).

ზოგი ოდინდელი სიტყვა საგანგებოდ არის მისადაგებული ახლად შემოსული სიტყვით აღნიშნული მოვლენის სახელად (გალერეა — ქანდაკა, გოლი — კარი, ანონიმური — უსახელო და სხვ.).

და მხოლოდ ნაწილში გვაქვს ისეთი ვითარება, როდესაც უკვე ცნობილ მოვლენას და მის ტრადიციულ სახელს დუბლეტად გვერდით ამოუდგა ახლად შემოსული სახელწოდება (გრეფი — სეავი, დიფთერია — ეელქირეება, დებიტორი — მოვალე და სხვ.).

მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, ამ კერძო შემთხვევათა სიჭრელის მიღმა დავინახავთ მონოლითურ ქართულ ლექსიკურ ფონდს და სიტყვაწარმოების ტრადიციულ წყაროებს, რომლებიც ხვდებოდა თითოეულ შემთხვევაში გარდას კარს მომდევარ ცალკეულ უცხოურ ლექსიკურ ფაქტებს.

ეს სინონიმია, საბოლოო ანგარიშში, ენობრივი კოლექტივის

ცხოვრების ანარეკლია, მისი ჩვევების — მათ შორის ენობრივი ჩვევების — და ახალი ნაკადის შეხვედრის შედეგია, უბრალოდ — ენობრივი კოლექტივის ცხოვრების და მასთან ერთად ქართული ლექსიკური ფონდის დინამიკის პროდუქტია.

181. უფრო რთულია სინონიმის საკითხი, როდესაც საქმე ეხება სპეციალურ ლექსიკას:

აქ სინონიმია იქმნება იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა იჩრდილება, ხოლო მეტაფორული ხმარება იმდენად ვრცელდება, რომ თვით მეტაფორულობის გაგება ქრება.

აი რამდენიმე მაგალითი:

ალო — დრო: ალო საბას განმარტებით 'ერქვნის ქირა' არის, ჩუბინაშვილით — 'ნახნავი მიწა მიზლად გუთნისდელათა, მეხრეთა'; ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა ხშირად აქვთ ნახმარი XIX საუკუნის მწერლებს: „ვიყავი ხოლმე დღის მეხრე და ვიღებდი ერთ ალოს“ (დ. ჰონჭაძე), „წრეულს ხუთი ალო აილო“ (ეკ. გაბაშვილი)... ალო-სიტყვა მეტაფორულად უხმარია ვაჟას: „სვავო, შენ გასწი, იფრინე, მიხედე თავის ალოსა“... მოგვიანოდ, ალბათ იმათ მეტყველებაში, რომელთათვისაც ალო — 'გასამრჯელო' ახლობელი სიტყვა არ იყო, — იგი გაგებულია როგორც 'სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დრო': „ალო დადგა ხენა-თესვის“ (აკაკი), „სოფელი გაზაფხულის ალოს დაეცარიელებინა“ (რ. ჭაფარიძე), „ვენახების მოელის ალო“ (პრესიდან)... აქედან ერთი ნაბიჯია, რომ ალო-სიტყვით საზოგადოდ 'რისამე დრო' აღინიშნოს: „სადილობის ალომ მოაღწია“ (დ. კლდიაშვილი), „მამალი... სულ მუდამ ალოზე ყიოდა“ (რ. გვეტაძე)... ამრიგად, ალო ნელ-ნელა დაუახლოვდა დრო-სიტყვას და მის ფარდად იხმარება ხოლმე: სადილობის ალო იგივეა, რაც სადილობის დრო; „უალოო ალოს“ იგივეა, რაც „უდროო დროს“...

უპკველია, ყოფის ცვლილებებმა შეაპირობა ალო-სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, რამაც იგი ბოლოს და ბოლოს დრო-სიტყვის სინონიმად აქცია.

ანიავებს — ფანჯაკს: განიავება თავდაპირველად იყო 'ნიავზე აყრით ბზის გაცლა': „კალოზე შეგვა, განიავება, გაცხავენა საჭირო აღარ იქნებაო“ (ილია), „ლომს გაანიავებენ“ (ი. გოგებაშვილი)... ეგვეე მნიშვნელობა არის ამოსავალი შემდეგი ფიგურალური გამოთქმისათვის: „ჩემი საუბარი ამ სიტყვების გამო ისე გამოდის, ვითომც ბუჩოს ვანიავებდე და ტყუილად ვცდებოდე“ (ილია). „თოვლს ხვაევივით ანიავებდა“ (ვაჟა). მეზობელი სიტყვები —

ბურო, ზეაგი — მიგვანიშნებს, რომ ანიაკუბს-სიტყვა აქ თავდაპირველი — სპეციალური — მნიშვნელობით იხმარება; აქედან — მეტაფორა: „ჩემი მონაგები ქარში ნიაკუბა“ (გ. წერეთელი), „დრო და ხანი მასაც სრულიად განაქარვებდა, განიაკუბდა“ (ა. ყაზბეგი). ეს მეტაფორული ხმარება დამკვიდრდა, თავდაპირველი სპეციალური მნიშვნელობა მიიჩქმალა და ამიტომ ანიაკუბს იქცა „ლანგაჟ“-სიტყვის სინონიმად: „სახლს არ ზოგავდა და ანიაკუბდა“ (ვ. ბარნავეი). „გაგანაშოვარს ინახავდა, შვილი კი ანიაკუბდა“ (ი. გედევანიშვილი); ამ კონტექსტში არამცთუ ბურო და ზეაგი, არამედ არ მონაწილეობს არც ქარი და განაქარვებდა-სიტყვები, ე. ი. ფიგურალობის ნატამალიც არ დარჩენილა, ამიტომ გვხვდება პრესაში — „საწყობის გამგემ დიდძალი შაქარი გაანიავაო“... და დღეს, როდესაც გაზეთში ვკითხულობთ — „კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხელი მიჰყო ხორბლის განიაკუბასო“, დაბეჭითებით ვიცით, რომ აქ ხორბალი არ არის კონტექსტის „გასაღები“ სიტყვა (როგორც ზემოთ ბურო და ზეაგი იყო) და მხოლოდ გაფლანგვა ლაპარაკი. განიაკუბა-სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის გაბუნდოვანებით დაიწყო მისი სემანტიკური ცვლილებები, რომელმაც საბოლოოდ იგი გაფლანგვა-სიტყვის სინონიმად აქცია.

ზანტი — ნელი: ზანტიც სპეციალური სიტყვა იყო, — საბას თქმით, „პირუტყვი დაზარებული“ — და ლიტერატურაშიც არაიშვიათად გვხვდებოდა ამ მნიშვნელობით, კერძოდ კაშვილ-სიტყვის მსაზღვრელად. შემდეგ ხმარების სფერო ვაფართოვდა, თავდაპირველ საზღვრულებთან კავშირი შესუსტდა და დღეს არ გვიკვირს გამოთქმები — „ზანტი კაცი“, „ზანტი ბავშვი“, „ზანტად ამოქნარებდა“... დღეს ზანტი არის სინონიმი ნელი. აუჩქარებელი-სიტყვებისა.

ალანშული — შამოშით ლეხული: ალანშული იყო, საბას თქმით, „პირდამწვარი, შიგნით უმი“ და სკუმელს, პირველ ყოვლისა — პურს, გულისხმობს. მისი მნიშვნელობის სპეციალური ხასიათი ჩანს ნ. ჩუბინაშვილის განმარტებაში: „ალანშუა არისო „ნაკვერცხალზედ შეგდება გამოსაცხობის პურისა ან მწვადისა საჩქაროდ, რომ გარედან დაიწვას და შიგნით უმი ღარჩეს“... მეტაფორულად ეს სიტყვა ადამიანის სახის მიმართ გამოიყენეს — 'გაწითლების' გადმოსაცემად: „იმის პირისახე საშინელის ბრაზით იყო ალანშული“ (ეკ. გაბაშვილი). „სახე ალანშული აქვს, თმები — მიშლილ-მოშლილი“ (შ. დადიანი)... შემდეგ და შემდეგ კონტექსტში სახე-სიტყვაც გაიშვიათდა აილანშა-სიტყვის გვერდით და ამ უკანასკნელმა წამოწითლების ნიუანსი კი შეინარჩუნა. მაგრამ დამატებით ამ წამოწითლების სულიერი

მიზეზიც მიისაკუთრა: „ამირანი კარებში დგას და აღმასულ ნაცოლარს ღიმილით შესცქერის“ (მ. ჭავჭავაძე); ამრიგად, აღმსაღ დღეს ში-
ნისიონილუბა-სიტყვის სინონიმს წარმოადგენს.

დაძმარება — დღესდღეობა: დამძარება; „ქმრად ქცეულს“, 'დამეა-
ვებულს' ნიშნავს და ღვინოზე ითქმის: „კარგი ღვინო დამძარდება, ცუ-
დი გაწყალდება“ (ანდაზა)... შემდეგ ამ სიტყვაში ნეტაუროულად 'და-
ღონების' აღნიშნავს იკისრა, და დღესდღეობა და დამძარება სრულფასი-
ანი სინონიმები გახდა: „სულ დამძარა კაცია ამ ამბავმა“ (შ. არაგვის-
პირელი), „დამძარებულმა ბავშვებმა სკოლაში წასვლა დააპირეს“
(ი. გოგებაშვილი), „ერიპაა, რას დამძარებულხარ“ (თ. რაზიკაშვილი).

ნმხაყს — როტაყს. ნმხაყა 'ცუდად კერვა' არის თავდაპირველი
მნიშვნელობით, რაც ჭერაც ჩანს შედეგს გამოთქმაში: „შარმან არა-
ფერი დაუმალა, ახლა კი რაღაც ირიბულს ნმხაყს“ (მ. ჭავჭავაძე-
ლი); — ირიბული-სიტყვაც კრა-კერვის ტერმინია (ირიბად აქრილ ქსო-
ვილს ნიშნავს). თანამედროვე ქართულში ნმხაყს სიტყვის თავდაპირ-
ველი მნიშვნელობა დაიკარგა და როტაყს-სიტყვის სინონიმში შეიქცა:
„რა კორებს ნმხაყს?“ (პ. კაკაბაძე). „აბლა-უბლას ნმხაყს“ (პრესიდან).

ყაიდა — მანერა: მუსიკალურ ტერმინთაგან ამგვარი ცვლილება
განიცადა ყაიდაში. რომელიც პირველი მნიშვნელობით 'ზურნის დაკე-
რის ესა თუ ის კილო' არის, დღეს კი მანერა-სიტყვის საუბრული სი-
ნონიმია: ახალგაზრდობას თავი ყაბალახით კოხტად წაეკრა გურულ
ყაიდაზე“ (ლ. ქიაჩელი). ი. გრიშაშვილი თავის თანამოსაუბრე ასოთამწ-
ყობს ასე ათქმევინებს: „რა ეშმაკი ხარ, კაცო, საიდან იგონებ ასეთ
უცნაურ თემებს? მე მომწონს შენი წერის ყაიდა, რომელსაც ბევრი
ვერ დაიჩემებს“. თვით გრიშაშვილის მეტყველებაში იქნებ ამ სიტყ-
ვას ამ კონტექსტშიც არ ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი თავდაპირველ
მნიშვნელობასთან, მაგრამ დღევანდელი მკითხველი მას აღიქვამს
მანერა-სიტყვის სინონიმად.

დამქაში — ამყოლი: დამქაში'ც მუსიკალური ტერმინია და
'ბანის ზომცენს (ზურნაში)' ნიშნავს, საერთო ქართულში კი მან უარ-
ყოფითი ელფერი შეიძინა და საზოგადოდ ამყოლის მნიშვნელობა მი-
იღო. „დაქკარით ბობოლების დამქაშებს“ (ს. შანშიაშვილი).

ჭარბი — ხედმეტი: ვაჭრობის ტერმინია ჭარბი: „კიკოლა (ვა-
ჭარი) აუკრავს სასწორს თავსა, დააძლევინებს მატყლის მხარეს და
რაზევებს (ეუბნება) — ჰა, ძმაო, ჭარბი არის“ (ზ. ანტონოვი). აქედან-
ნაა ნაწარმოები საჭარბაეი 'აბრა'. დღეს ჭარბი ქცეულია მომეტე: 'უ-
ლი', ზედმეტი'ს სინონიმად.

მუხარაღი — ჩაფხუტი: საბას დროს: „რომელსა თავსა და-

სარქმელი რკინა აქვს და ზარადი წინა და უკანით გრძლად, იგი არს ზუჩი, რომელიმე ზარადად უსმობენ; არის მსგავსი ზუჩისა თავს და-სარქმელი საცხვირე გრძელი და არაზარადღლებული. იგი არის ჩუხუტი" დღეს მოტოციკლისტების ლითონის თავსაბურავს არც ზარადი აქვს. არც საცხვირე, რომელთა ქონება-უქონლობით განსხვავდებოდა მუზარადი და ჩაფხუტი.

ხელოსანთა თავისებური სიტყვებიდან საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდში დამკვიდრდა დაბეჭდის, ჩარბაჯის; ორივე სინონიმი გაუხდა (ენობრივად) გამართავს-სიტყვას.

სპეციალურივე სიტყვა გამოქვეყნდა დღეს საერთო ქართულში გამოქვეყნდა სინონიმად არის ქცეული.

საერთო ენაში მნიშვნელობაშეცვლილად იხმარება და ფილინის სინონიმად გამოდის 'ქიმებზემოთილი სათამაშო კოჭის' სახელი ქლესა.

ასევე სინონიმებს წარმოადგენენ გაიძვერობა და კიდაობის ტერმინი ბრიკი: ფანდი — კიდაობის ტერმინი — გადატანითი ხმარებიდან ნელ-ნელა იქცა თინის სინონიმად.

სხვა მაგალითები: ქვაკუთხედი — დედაბოძი. ამ ორი მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვის გადატანითი ხმარებიდან განვითარდა ერთი მნიშვნელობა და მამ სიტყვებიც (ამ ახალი მნიშვნელობით) სინონიმებად იქცა: „კულტურა... კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედი" (ილია).

თაკარა (თავდაპირველად: 'მინის სადნობი ღუმელი') — ააბაბეკება, გაინაბება (ინაბება მხოლოდ ფრინველზე ითქმობდა) — გაიკმინდება.

დაროშავს (თავდაპირველად: წი ს ქ ვ ა ლ ი) — შამოაყრანტალეებს (თავდაპირველად: ყ ვ ა ვ ი).

ფხორვა (თავდაპირველად ფ რ ი ნ ვ ე ლ ი ს ა) — ბლენძა.

საფანელი (თავდაპირველად: 'შესაზველი ფქვილი') — საშუალება.

ქარგა (თავდაპირველად: 'საქარგავი მოწყობილობა ქსოვილის გადასაბეჭავად') — სიუვეტი.

აღორძინება; (თავდაპირველად: 'გაფურჩქენა, აყვავება') — განახლება.

ყველუა (თავდაპირველად: 'ქერქის, ბუმბულის და მისთ. გაძრობა') — ექსპლუატაცია.

ჯირითი (თავდაპირველად: 'სატყორცნი ჯოხი ძველებურ ცხენოსნურ შეჭიბრებაში; ამ ჯოხით შეჭიბრება') — ქუნება.

აშკარაა, რომ ყველა შემთხვევაში სინონიმია გამოწვეულია სიტყვის (წყვილთაგან ერთ-ერთი სიტყვის ან ორივეს) მნიშვნე-

ნ ე ლ ო ბ ი ს შ ე ც ვ ლ ი თ, რასაც თავის მხრით საფუძველი ეძებნება ენობრივ კოლექტივში მომხდარ ცვლილებებში: სახელწოდების მნიშვნელობის გაბუნდოვანება სათანადო მოვლენისადმი ინტერესის დაკარგვის ან სხვა სამეტყველო ჯგუფში მოხვედრის გამო და ა. შ.

საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის უკუფენა ლექსიკურ ფონდში

182. საერთო ენის უმაღლესი ფორმა სალიტერატურო ენაა. სალიტერატურო ენა ემყარება არა მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიულ დიალექტს, არამედ აგრეთვე გარკვეულ სოციალურ ჯგუფს: „ერთ სოციალურ ჯგუფს, რომელიც სარგებლობს ყველაზე მეტი ავტორიტეტით და ყველაზე ხანგრძლივი გავლენით მთელ კოლექტივზე, შეუძლია (როცა საამისო დრო დადგება) იმდენად შეაკავშიროს რამდენიმე ტერიტორიული კოლექტივი, რომ ეს კოლექტივები სავალდებულოდ მიიჩნევენ სალიტერატურო ენას, რომელიც თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ ამ რჩეულ ჯგუფში“ [180].

ამ სხვა ტერიტორიული თუ სოციალური კოლექტივების (resp. დიალექტებისა და სპეციალური ენების) ლექსიკა ძნელად იკაფავს გზას საერთო სალიტერატურო ენაში და თუ შემოდის, თავდაპირველად შემოდის როგორც საერთო ენის ლექსიკური ფონდის არასრულფასოვანი ნაწილი, მაგრამ როდესაც სალიტერატურო ენის კანონმდებელი საზოგადოებრივი ფენა ადგილს უთმობს სხვა სოციალურ ჯგუფს, — ხდება სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის ნაწილობრივი განახლება და თვალსაზრისის შეცვლა ზოგი სიტყვის შეფასებაში [195]. მაგალითისათვის მივუთითებთ იმ ცვლილებებზე, რომელიც განიცადა ქართულმა ენამ საქართველოს სახელმწიფოს გამთლიანებისა და საზოგადოებრივ ასპარეზზე „საერთო“ როლის გაზრდის გამო (XII ს.), ან კიდევ იმ ბრძოლაზე, რომელიც მესამოცე წლების მოღვაწეებმა გაუმართეს „მამათა“ თაობას; მართალია, ასეთი ბრძოლის შედეგები ყოველთვის არ შეეფერება კამათის მასშტაბს, მაგრამ ცვლილებები მაინც არის, და ზოგჯერ მნიშვნელოვანი ცვლილებებიც, სალიტერატურო ენაში ნელ-ნელა გზას იკაფავს ზოგიერთი იმ სიტყვათაგანი, რომლებსაც — როგორც „ბიჭბუჭების“ მეტყველების დამახასიათებელს — აქ ადრე არავინ გააჰკაჷანებდა. ასეთ სიტყვებს ხშირად დიდხანს შემორჩებათ ხოლმე თავისებური, სალიტერატურო ენის სხვა სიტყვათაგან განსხვავებული ელფერი, რაც მათ წინანდელ არასრულფასოვნებაზე მიუთითებს

ამ თავისებურებას ლექსიკონებში სათანადო შეფასებითი კვალიფიკაციით გამოხატავენ — სიტყვას ახასიათებენ როგორც „სასაუბროს“ ან სულაც როგორც „ვულგარულს“ და სხვ.

საბას მეტიზარა, მუსუსი, ტაბუზი და ზოგი სხვა სიტყვა, ჩანს, ცოცხალი მეტყველებიდან (და არა მწიგნობრული ენიდან) აულია, კერძოდ, გლებთა წრეში გაუგონია და სათანადოდაც, ე. ი. „გლებურ“ სიტყვებად ახასიათებს მათ [48]. ეს სიტყვები შემოსულია ამჟამად სალიტერატურო ქართულში, მაგრამ მეტ-ნაკლებად სასაუბრო ელფერით: მეტიზარა-სიტყვას მიცემული აქვს კიდევ ამგვარი დახასიათება („საუბ.“) ქ. დათიკაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში [32]; მეორე სიტყვას (მუსუსი) ვულგარული თუ არა, აშკარად სასაუბრო იერი მაინცა აქვს, ცაბუზი („მუხლის თავი“) ტერმინად არის მიღებული. მაგრამ საერთო ენაში „საუბრულის“ კვალიფიკაცია აქვს მიცემული გამოთქმას, რომელშიც ცაბუზი-სიტყვა შედის [100].

აქ წარმოვადგინეთ ორიოდ ნიმუში იმისა, თუ როგორ აისახა ლექსიკურ ფონდში საზოგადოების, ენობრივი კოლექტივის დიფერენციაცია. ამ ნიმუშებიდან თვალნათლივ ჩანს, თუ რამდენად საჭიროა ამგვარი მიდგომა ქართული ენის ლექსიკური ფონდის აგებულებისა და მისი დინამიკის კვლევისას და როგორი ნაყოფიერი შეიძლება აღმოჩნდეს იგი.

ლექსიკონებში ზოგ შემთხვევაში შეფასებითს კვალიფიკაციას წარმოადგენს მითითება, რომ ესა თუ ის სიტყვა არის „ძველი“, „ნეოლოგიზმი“, „არქაიზმი“, „მოძველებული“. მაშასადამე, ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ამა თუ იმ სიტყვის სოციალური ღირებულების შესახებ ასეთი კვალიფიკაციის სიტყვებსაც შეეხება: ამბორი ძვ., აღგვის ძვ., კასბანილი ძვ., წიგნ., შთაბეჭდილება ძვ., წიგნ., აღმალღება ძვ., აღმოხდება ძვ., ბჭე ძვ.

ეს მსჯელობა, ცხადია, ვერ გავრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ლექსიკონში მიწერილი კვალიფიკაცია ახასიათებს არა უშუალოდ თვით სიტყვას, არამედ ამ სიტყვით აღნიშნულ მოვლენას: „ღიაშბეგი ძვ.“, „კაშკაყა რევოლუციამდ.“, „გაუპიროვნება ახ.“, „ნეპმანი ახ. ისტ.“, „რევკომი ისტ. საბჭ.“... ძველი, რევოლუციამდელი, საბჭოური და სხვ. არის სათანადო სიტყვებით აღნიშნული მოვლენები და მხოლოდ ამიტომ — თვით სიტყვებით.

ბ. სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში. — პოლისემია და სპეციალური ლექსიკა. — ელიფსი და პოლისემია. — პოლისემია და დიალექტები. — პოლისემია და საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია.

188. ზემოთ წარმოდგენილი იყო დახასიათება ქართული ენის ლექსიკური ფონდისა მის მიმართებაში ქართულ ენობრივ კოლექტივთან. ცალკე მაგალითების მიხედვით ნაჩვენები იყო წმინდა სემანტიკური ასპექტის უკმარობა და სხვაგვარი — „პრაგმატული“ მიდგომის საჭიროება იმისთვის, რომ ჩვენი ლექსიკური ფონდი უფრო ღრმად, უფრო სრულად აღიწეროს.

„პრაგმატული“ ასპექტით, ე. ი. ქართულ ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში დახასიათება სასარგებლო უნდა იყოს ცალკე სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის შესწავლის დროსაც.

ცალკე სიტყვის სემანტიკური (ე. ი. მხოლოდ საგნობრივი მიმართების მიხედვით) დახასიათება მოგვეცემს ინფორმაციას სიტყვის მხოლოდ წმინდა აზრობრივ შესაძლებლობათა შესახებ.

მაგრამ ეს შესაძლებლობები სხვადასხვაგვარად არის ხორცშესხმული სხვადასხვა შემთხვევაში სათანადო საზოგადოების — ენობრივი კოლექტივის — ბედ-იღბლის შესაბამისად. ამიტომ ნამდვილ სურათთან დასაახლოებლად საჭიროა, რომ განყენებულ სემანტიკურ მიდგომას არ დავჭერდეთ და ცალკეული სიტყვების (თუ სიტყვათა კლასების) მნიშვნელობანი განვიხილოთ მოცემული საზოგადოების ენობრივ ჩვეულებათა ფართო ფონზე.

ბაგირი-სიტყვის უმკველი რუსული შესატყვისია канат. ასეა თარგმნითსა და ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში. მაგრამ თითოეული ამ სიტყვათაგანი (ბაგირი—канат) მნიშვნელობის მიხედვით განსხვავებულად უნდა დახასიათდეს — მათ განსხვავებული სემანტიკური აგებულება აქვთ:

Канат

ბ ა გ ი რ ი

Толстая очень прочная веревка из волокон или шнуровоки (Шенниковый канат. Стальной канат. Ходит по канату).

(Словарь русского языка, т. II. 1958)

1. ტექ. მეტად მსხვილი თოკი (გაფისული ბაგირი). || ფოლადის მავთულების წნული (ბაგირის გზა).

2. ძვ. თოკი (ბაგირი შაუჭირის, დამთვეს)

3. კუთხ. (ლეჩხ.) ძუის თოკი

(ქართ. ენის განმ. ლექს. I. 1950).

რუსული канат არის 'მსხვილი, ძალიან მაგარი თოკი ბოქკოსაგან ან მავთულისაგან' და საყოველთაო ხმარების სიტყვაა;

რაც შეეხება ქართულ ბაგირ'ს, იგი თანამედროვე სიტყვახმარებაში სპეციალური სიტყვის ელფერს ატარებს (და ამიტომაც არის დახასიათებული განმარტებით ლექსიკონში როგორც „ტექნიკური“).

რუსულ каиат'ში სიმსხოსთან ერთად საგანგებო ყურადღება ექცევა მის სიმტკიცეს („ძალიან მაგარი“), ნაკლები — მასილას („ბოქკოსაგან ან მავთულისაგან“), ქართულში კი ბაგირი, უწინარეს ყოვლისა, „თოკია“, ხოლო მასალაზე ყურადღება ცალკე არის გამახვილებული: „ფოლადის მავთულის წნული“, და ცალკე მნიშვნელობად არის გააზრებული. ცხადია, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ძველი ქართულიდან შემორჩენილია ბაგირი'ს მნიშვნელობა როგორც 'თოკისა'. გარდა ამისა, დიალექტურად (მაგალითად, ლენინგრადში) ბაგირი 'ტუის თოკს' ნიშნავს.

როგორც ვხედავთ, საგნობრივი მიმართების მიხედვით რუსული каиат და ქართული ბაგირი მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს: მათ შორის განსხვავებას ქმნის რუსული და ქართული ენობრივი კოლექტივების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება სათანადო სიტყვასთან.

ამრიგად, ქართული სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის გასათვალისწინებლად საჭიროა ანგარიში გავუწიოთ მის წარმომავლობას — კავშირს ამა თუ იმ სპეციალურ ენასთან ან დიალექტურ ლექსიკასთან.

პოლისემია და სპეციალური ლექსიკა

184. საყოველთაოდ არის აღიარებული პოლისემიის კავშირი კონტექსტთან. სიტყვის მნიშვნელობის განსხვავება სხვადასხვა კონტექსტში იმდენად აშკარაა, რომ თვით კონტექსტის ცნების განსაზღვრაში გაიზაზება ეს ფაქტი: კონტექსტი არისო მეტყველების აზრობლივად დასრულებული მონაკვეთი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მასში შემავალი სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობას, ან „რომელიმე ლინგვისტური ფორმის მნიშვნელობა განისაზღვრება მის მოხმარებათა (კონტექსტთა) ერთობლიობით“ [215ა, 196].

წინადადებაში, შესიტყვებაში სიტყვები ერთმანეთს უნდა „მოერკონ“ არა მხოლოდ გრამატიკულად, არამედ შინაარსის მიხედვითაც.

მლაშე ყა ან ღრუბლიანი შყალი შეუძლებელი შესიტყვებებია, თუმცა გრამატიკულად ერთიკ უნაკლო და მეორეკ. სამაგიეროდ სრულიად ბუნებრივია: მლაშე შყალი, მლაშე საგმელი, მარილი მლაშეა, „ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, გავიდნენ მლაშე ეელში“ (ვაჟა). „ნისლს გავიბია ჰაერი, მლაშე გრიადებს ქარი“ (ვ. ტაბიძე). ასევე ბუნებრივია:

ღრუბლიანი ცა, ღრუბლიანი ამინდი, ღრუბლიანი დილა, „გულდახურულ-თა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო“ (ნ. ბარათაშვილი).. ჩვეული კონტექსტები მოეპოვებათ ცა- და წყალი-სიტყვებსაც: ლურჯი ცა, მოშვენ-დილი ცა, ღრუბლიანი ცა, „სამხრეთის გაკარგარებული ცა“ (შ. დადიანი)... მღაშე წყალი, ადუღებული წყალი, ცივი წყალი, „დაეწათა და დიდხანს სვა ყინულივით ცივი წყაროს წყალი“ (ი. გოგებაშვილი)...

თითოეული სიტყვა შინაარსობლივად დაკავშირებულია, „მორგებულ-ია“ სიტყვათა მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვან ჯგუფთან; კონტექსტს შეუძლია გაგვაგებინოს—რა და რა საგანთან არის აზრობლივად დაკავ-შირებული მოცემული სიტყვა; მაგრამ უშუალოდ კონტექსტი, ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი გარემო ვერ განსაზღვრავს ამ კონტექსტში შემავალი სიტყვის მნიშვნელობას, საგნობრივ მიმართებას. სიტყვის მნიშვნელობას კონტექსტი აზუსტებსო, — როდესაც ამბობენ, გადაუქრელი რჩება სა-კითხი — როგორ იქნეს გამორჩეული კონტექსტთა სიმრავლეში სახელ-დობრივ დაზუსტებელი კონტექსტი.

ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა წყნარი, იგი გვხვდება მრავალრიცხოვან კონტექსტებში:

წყნარი ადამიანი, არსება, ასული, ბაასი, ბინდი, ბიჭი, ბულბული, ბუნება, გამომეტყველება, გრძნობა, გუთანი, გული, დაბერება, დარი, დგომა, დილა, დუ-ღანი, დღე, ეკვი, ეარსკვლავი, ზუზუნი, ზღვა, თავდახრა, თვალები, თვისება, იჭვი, კაეშანი, კილო, კლდე, კრება, ლიკლიკი, ლოცვა, მაისი, მეტყველება, მთვარე, მიდამო, მიმოზა, მოხუცი, მოწყენა, მტრედი, მუსაიფი, მუშაობა, ნაბი-ჯი, ნათელი, ნემსი, ნიაყი, ომი, ოცნება, ოხერა, რეკოლუცია, რხევა, საღამუ-რი, სასაფლაო, საღამო, საბე, სეუდა, სიარული, სიმღერა, სინაზე, სიმშვიდე, სიტყვა, სინემე, სიცოცხლე, სტუდენტი, სულელი, ტბა, ტირილი, ფიგურა, ფიქ-რი, ფოთლები, ქალი, ქუნა, ღვაწლი, ღიმილი, ღიღინი, ყურე, შემოდგომა, შე-ძახილი, შველი, შრიანი, ჩურჩული, ცა, ცეცხლი, ცხვარი, ცხოვერება, ძახილი, ძილი, წარმავლობა, ჭკუა, ხასიათი, ხე, ხმა, ხმაური... ჩამოთვალაში — შემ-დეგი სიტყვების მეზობლად: ამოხმინი, აუმღერეველი, გარინდებული, გო-ნიერი, გრილი, გულკეთილი, გულცივი, დამშვიდებული, დინჯი, ზრდილი, თავ-დაბალი, თბილი, ლამაზი, მთვარიანი, მინაზებული, მოკრძალებული, მორიდ-ბული, მორჩილი, მორცხვი, მსუბუქი, მყუდრო, მშენიერი, მშვიდი, მშვიდო-ბიანი, მშრალი, მწყობრი, ნაზი, ნელი, ოდნავ გასაგონი, სათნოიანი, სევდიანი, სუსტი, ტკბილი, უბრალო, უდარდელი, უზადო, უსისხლო, უტყვი, უშფოთველი, უხმაურო, ფხიანი, ქედმობრილი, შეუშფოთველი, ჩუმი, ცელქი, ხანგრძლივი... ვითარების გარემოებითურთ: ანგელოზივით წყნარი, მეტად წყნარი, წყნარზე წყნარი... ანტონიმურ გამოთქმებში: წყნარი ამინდი — უამინ-დობის მრისხანება, წყნარი კილო — ამაყური, წყნარი მიდამო — ამაყი ქარი, წყნარი ოცნება — ბოროტი დრო, წყნარი საღამო — მღელვარე დღე, წყნარი ფიქრი — ამიჭრელდა, წყნარი ფიგურა — მოძრავი, წყნარი — აურზაური, წყნარი — მღელვარება, წყნარი — ავი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდიდან).

როგორც ვხედავთ, *წყნარი გვხვდება გულკეთილ'თანაც და გულყიე'თანაც, ღინჯ'თანაც და ცელქ'თანაც, უღარდელ'თანაც და ხედიან'თანაც*. ცხადია, ასეთ პირობებში, თავისთავად კონტექსტი არაფერს აზუსტებს ამ სიტყვის მნიშვნელობაში, მით უმეტეს ვერ გაგვირკვევს — პოლისემიურია მოცემული სიტყვა თუ მონოსემიური.

მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს, რომლებშიც აშკარად პოლისემიური სიტყვა ორჯერ იხმარება ერთ მოკლე ფრაზაში (ერთ კონტექსტში) სხვადასხვა მნიშვნელობით: „დიდ სიხარულში იყო ზამთარი, სად მთები თოვლით გადაეღვსა, ხეები ნამქრით აევსო, მდინარეებზე, ხევებზე, ტბებზე ყინულის ბოგირ-ხიდები გაემართა“ (თ. რაზიკაშვილი), „ჩამისტოლა ძოწივით წითელი და ქარვასავით ჩაყვითლებული ქაშა ვაშლები ხომ იმოდენა ეყარა ვაშლების ქვეშა, რომ ფეხი აუგორდებოდა კაცს“ (თ. რაზიკაშვილი); „გაუმარჯოს შითელ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდობას! — ამოიკითხა იუსტინემ შითელ ნაჭერზე“ (ა. ბელიაშვილი); „შენს კაიბიჭობას ჩაღად არ ვიყიდი, აი, ჩაღად, მაგ ჩაღა ცხენზეითაც მალე ჩამოგახდენ“ (ვაჟა).

კონტექსტი სიტყვის მნიშვნელობას აზუსტებს მხოლოდ „რ ე აღუ რ კონტექსტზე“, სიტუაციაზე მითითებით. სიტყვის მნიშვნელობას ნამდვილად აზუსტებს სიტუაცია, ხოლო სიტყვიერი კონტექსტი ამ როლს ასრულებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ახერხებს მსმენელს (მკითხველს) გაახსენოს. აღუდგინოს მეხსიერებაში სათანადო სიტუაცია, სათანადო რეალური კონტექსტი. სადაც ამ სიტყვით აღნიშნული საგანი (მოვლენა) არსებობს.

რაკი მონოსემიური (მარტივი, ერთი მნიშვნელობის მქონე) სიტყვისაგან განსხვავებით პოლისემიური სიტყვა საგანთა რამდენსამე კლასთან ავლენს მიმართებას, ამდენად იგი კონტექსტთა რამდენსამე ჯგუფში უნდა გვხვდებოდეს.

მეზობელმა სიტყვამ, რომელიც აგრეთვე რომელიმე საგანთან (უფრო ზუსტად — საგანთა რომელსამე კლასთან) არის მიმართებაში, უნდა გაარკვიოს (დააზუსტოს), თუ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გარესინამდვილის რა საგნებზეა, რა მოვლენებზეა ლაპარაკი და მაშ რომელ საგანთან (საგანთა რომელ კლასთან) ივარაუდება მოცემული პოლისემიური სიტყვის მიმართება მოცემულ კონტექსტში.

185. სიტყვები შინაარსობლივად ერთმანეთს მოერგებიან იმის მიხედვით, თუ რა რეალური ვითარებაა კომუნიკაციის საგანი. იმის საილუსტრაციოდ, რომ სხვადასხვა კონტექსტში სიტყვის მნიშვნელობა სხვადასხვა შეიძლება იყოს, ხშირად მოჰყავთ სიტყვა *ოპერაცია*

ოპერაცია ლათინურიდან მოდის და საერთოდ 'მოქმედებას' აღნიშნავს. ამ სიტყვის ხმარების თითოეულ მოცემულ შემთხვევაში ძნელი არაა დავადასტუროთ ამა თუ იმ ახლანდელი მნიშვნელობის კავშირი თავდაპირველ მნიშვნელობასთან. ეს კავშირი იმდენად მკვიდროა, თავდაპირველი მნიშვნელობიდან გადახრა იმდენად უმნიშვნელოა, რომ მსგავსი ცვლილება შეიძლება გვექნეს თითქმის ყოველი ზოგადი მნიშვნელობის მქონე, მაგრამ არაპოლისემიური სიტყვის ხმარებისას*.

და მაინც თუ მოცემულ შემთხვევაში *ოპერაცია-სიტყვის* პოლისემიურობაზე ვლაპარაკობთ და არა ამ სიტყვის სხვადასხვაგვარი ხმარების შესახებ. — ამის საფუძველს გვაძლევს ამ სხვადასხვაგვარი ხმარების რეგულარობა: როდესაც *ოპერაცია* დაკავშირებულია იმ სიტყვებთან, რომლებიც სამხედრო საქმეში იხმარება ხოლმე, მაშინ მისი მუდამ ერთი ნიუანსი ვლინდება, თუ მედიცინაში ხმარებულ სიტყვებთან გვხვდება — მეორე ნიუანსი და ა. შ. თუ შევეცდებით და თავს მოვეუყრიოთ იმ სიტყვებს, რომელთა მეზობლობაშიც *ოპერაცია-სიტყვა* რეგულარულად გვხვდება, და გავითვალისწინებთ მათი მოხმარების „რეალურ კონტექსტებს“ — რეგულარულ სიტუაციებს, აღმოჩნდება, რომ *ოპერაცია-სიტყვის* მეზობელ სიტყვათა ერთობლიობა საკმაოდ გარკვეულად იყოფა სხვადასხვა პროფესიებში გავრცელებულ სიტყვათგჯუფებად. აი, მაგალითები:

„სამხედრო ფლოტის საბრძოლო *ოპერაცია*“, „მოწინააღმდეგის დაზვერვითი *ოპერაციები*“, „პარტიზანული რაზმები *ოპერაციებ*“, განაგრძობდნენ“. „რომელ *ოპერაციაში* იღებდით მონაწილეობას? — ეკითხება *ლეიტენანტი*“, „მთავარსარდლის ცნობაში ნათქვამია: მაკარტური... ჩასული იყო, რათა ხელმძღვანელობა გაეწია *ოპერაციებისათვის*“. ამ ფრაზებში *ოპერაცია-სიტყვას* 'სამხედრო ოპერაციის' მნიშვნელობა რომ აქვს, ამას ადასტურებს კონტექსტის სიტყვები: *სამხედრო, საბრძოლო, ლეიტენანტი, მთავარსარდლი, დაზვერვითი, რაზმები*.

ოპერაცია: ასეთ კონტექსტშიც გვხვდება: „გულის *კრილობის* *ოპერაციის* მკურნალობა“, „ელიკოპტიმე ავადმყოფებს მკურნალობდა, რთულ *ოპერაციებს* აკეთებდა“, „საკაცეთი გამოატარეს რამდენიმე ავადმყოფი: *ოპერაცია* დამთავრდა“, „მედიცინის დები მძიმე *ოპერაციის* ჩატარებას ესწრებიან“, „ექიმები კარგად ყოფნას ულოცავდნენ — ახლა მხოლოდ მცირე

* „საერთო მნიშვნელობის მქონე ყოველი სიტყვა კონკრეტული ვითარების მიხედვით აუცილებლად იღებს სპეციალურ მნიშვნელობას მეტყველის პირში“ [182].

ოპერაცია და სავსებით განიკურნებო“. ამ ფრაზებში ოპერაცია-სიტყვას 'ქირურგიული ოპერაციის' მნიშვნელობა რომ აქვს, ამას ადასტურებს კონტექსტის სიტყვები: *ჭრილობა, მკურნალობა, ავადმყოფი, საკაცე, მედიცინის დები, ექიმები, განიკურნება*.

ოპერაცია-სიტყვა ვლინდება, აგრეთვე, ასეთ კონტექსტებში: საწყობს არ ჰქონდა შემოსავალ-გასავლის წიგნი, აწარმოებდნენ უკანონო ოპერაციებს“. „საევაქროსახლის მთავარ ოპერაციას შეადგენდა ღვინისა და არყის მიწოდება“. „ფულის ოპერაციები“.

დაბოლოს, ოპერაცია-სიტყვის კიდევ ერთ განსხვავებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს შემდეგი გამოთქმები: „მაქოების შეცვლის ოპერაცია“, „საწარმო ოპერაცია“, „მრავალკბილებიანი დეტალების დამზადებისათვის ტარდება რამდენიმე ოპერაცია“, „ყოველ ფაბრიკაში ასრულებენ ამა თუ იმ ოპერაციას“.

სიტყვიერი კონტექსტის უკან დგას რეალური კონტექსტი. ობიექტური ვითარება, სიტუაცია. საბოლოო ანგარიშში აი, ეს რეალური კონტექსტი განსაზღვრავს მოცემული სიტყვის ამა თუ იმ სიტყვასთან დაკავშირების, „მორგების“ უნარს. სიტყვიერი კონტექსტი არის სიტყვათა გარკვეული ურთიერთმორგება, შეპირობებული ამ სიტყვებით მითითებული საგნებისა და მოვლენების რეალური სიახლოვით, სიახლოვით საზოგადოებრივ პრაქტიკაში.

ამიტომ მტკიცება — „კონტექსტი ზუსტად განსაზღვრავს მასში შემავალი სიტყვის მნიშვნელობასო“ — ერთგვარ დაზუსტებას საჭიროებს: *დაზვერვითი ოპერაციები, სამხედრო ფლოტის საბრძოლო ოპერაცია და სხვა მსგავსი ფრაზები კი არ განსაზღვრავს მათში შემავალი ოპერაცია-სიტყვის მნიშვნელობას, არამედ ამ ფრაზაში შემავალი ზოგიერთი სიტყვა (დაზვერვითი, საბრძოლო...) მოგვაგონებს იმ რეალურ გარემოს, სადაც იხმარება ზოლმე ეს სიტყვები და მათ შორის ოპერაცია-სიტყვაც; ეს გარემო არის სამხედრო პირთა გარემო.*

სხვადასხვა კონტექსტმა კი არ განსაზღვრა ოპერაცია-სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა, არამედ ოპერაცია-სიტყვის პოლისემიურობამ, მნიშვნელობათა მკაფიო გამიჯნულობამ გახადა შესაძლებელი ამ სიტყვის გამოვლენა ურთიერთისაგან მკაფიოდ გარჩეულ კონტექსტებში. თვით ამ კონტექსტთა მკაფიო უამიჯვნის, ისევე, როგორც ოპერაცია-სიტყვის მნიშვნელობათა გამიჯვნის საბოლოო მიზეზი, საფუძველი. მათ გარეშე ეძებარეობს — „რეალურ კონტექსტში“, სიტუაციებში, ვითარებებში, ამისათ-

ნავე, ამ სიტუაციათა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეგულარობის ხარისხში. თუ ეს რეალური კონტექსტი ერთგზისი სიტუაციაა, ერთგზისი ვითარებაა, მაშინ საქმე გვაქვს სიტყვის ერთგზის გამოყენებასთან ამა თუ იმ საგნის აღსანიშნავად და, ამის შესაბამისად, ამ სიტყვის ერთგზის გამოვლენასთან შემთხვევითს კონტექსტში; ხოლო თუ იგი რეგულარულად განმეორებადი ვითარებაა, მეტ-ნაკლებად მყარი გარემოა, მაშინ მოცემული სიტყვა რეგულარულად გამოიყენება სათანადო საგანზე მისათითებლად, ამ საგნის სახელად იქცევა; ამრიგად, უკვე საქმე გვაქვს ამ სიტყვის მნიშვნელობასთან, რაც აპირობებს მის გამოვლენას ისეთ კონტექსტებში, სადაც სიტყვიერი მასალა რეგულარულად მეორდება.

რეგულარულად განმეორებადი ვითარება ხასიათდება თავისებური, სხვებისაგან განსხვავებული საქმიანობით, მოსაქმეთა თავისებური წრით. ე. ი. გარკვეული სოციალური (პროფესიული და სხვ.) ჯგუფით; ამ ჯგუფში მეტყველების თავისებურებებიც ვლინდება, რამდენადაც იგი თავისებურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ეს თავისებური მეტყველება პროფესიული, სოციალური დიალექტია, სპეციალური ენაა.

აქრამია-სიტყვასთან დადასტურებულ კონტექსტებში რომ სიტყვათა რამდენიმე ჯგუფი გამოვლინდა, ეს ჯგუფები ერთმანეთს გაემიჯნება სწორედ იმიტომ, რომ სხვადასხვა სპეციალურ ენას მიეკუთვნება. ამრიგად, პოლისემიის გარკვეულ შემთხვევათა, კერძოდ, კონტექსტში გამოვლენილ შემთხვევათა კვლევა წინაპირობად ვარაუდობს პროფესიული, სოციალური დიალექტებისა და საერთო ენასთან მათი ურთიერთობის კვლევას.


186. ზემოთ (§ 171) მეჭურჭლეობის სპეციალური ლექსიკის რამდენიმე ნიმუში მოვიყვანეთ: ახლა დავასახელებთ რამდენსამე საერთო-ქართულ სიტყვას, რომლებსაც საერთო-ქართულ ენაში ცნობილ მნიშვნელობასთან ერთად აქვთ სპეციალური, მეჭურჭლეობასთან დაკავშირებული მნიშვნელობები: ბასრი 'ჭურჭლის გამოსაყვანი იარაღი', ზოგირი 'ჭურჭლაში ჭურჭლის დასაწყობი', ბშკალი '„ნიკარტიანი“ ჭურჭლის პირი', დაკუნტება 'ჭურჭლის ძირის გადადგმა სკამიდან საგანგებო ადგილზე შემდგომი შემოქნისათვის', ერთიანი (მიწა) 'აყალოს და თინის ბუნებრივი შენაერთი', კენწი 'სამკაული ქიმი ჭურჭლის ყურის ძირში' და სხვ.

პროფესიული დიალექტი, სპეციალური ენა საერთო ენისაგან ფონეტიკურ-გრამატიკულად არ განსხვავდება, მაგრამ მას აქვს, როგორც ვიცით, თავისი სპეციალური სიტყვები, განსხვავებული საერთო ენის ლექსიკური ფონდისაგან. სპეციალურ სიტყვათა შორის გვხვდება საერ-

თო ფონდის სიტყვებიც, რომელთაც სპეციალურ ენაში სპეციალური მნიშვნელობები მიუღიათ; სპეციალური ენა საერთო ენის სიტყვათა სემანტიკური სპეციალიზაციითაც ხასიათდება. ეს, ცხადია, საგანგებო შესწავლის საგანია.

მაგრამ როდესაც შევისწავლით პროფესიული დიალექტების, სპეციალური ენების ლექსიკას და მასში გამოვავლენთ საყოველთაო ხმარების (და საერთო ენის კუთვნილ) ისეთ სიტყვებს, რომლებსაც სპეციალური მნიშვნელობები მიუღიათ, ამით პოლისემიის მხოლოდ წყაროებს ვადგენთ და არა თვით პოლისემიის ფაქტებს: ბასრი არაა პოლისემიური სიტყვა საერთო ქართულში, რადგან 'შქრელი'ს გარდა მას სხვა მნიშვნელობა აქ არა აქვს; მნიშვნელობა 'ჭურჭლის გამოსაყვანი იარაღი' საერთო ქართულში არ შემოსულა. ასევე, საერთო ქართულისათვის უცნობია სპეციალური (მექურქლეობისათვის დამახასიათებელი) მნიშვნელობანი დანარჩენი სიტყვებისა — ბოგირი, ბჟკალი, დაკუნტება, ერთიანი, კუნწი —. ამიტომ ეს სიტყვები საერთო ქართულში პოლისემიურ სიტყვებად ვერ დაფასდება.

სიტყვა პოლისემიური გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი საერთო ენას დაუბრუნდება და განშტოებული მნიშვნელობები თავს მოიყრიან. უკვე პოლისემიურია ჭურჭლის ნაწილთა სახელები—ყელი, ყური, ტუჩი, პირი, მუცელი, რადგან ამ საერთო-ენობრივმა სიტყვებმა ჭერ მექურქლეობის ლექსიკაში მიიღეს სპეციალური მნიშვნელობანი, ხოლო შემდეგ ეს სპეციალური მნიშვნელობები საერთო ენაში შევიდა და, ამრიგად, თითოეულ ამ სიტყვათაგანში საერთო-ენობრივ მნიშვნელობას გვერდით ამოუდგა სპეციალური მნიშვნელობა:



როგორც აღრე აღვნიშნეთ, ჩვენ ჩვენდა შეუმჩნეველად ვცვლით საკუთარ მეტყველებას გარემოს მიხედვით. მაგრამ ასევე ჩვენდა შეუმჩნეველად გამოვუტრევთ საერთო ენაზე ლაპარაკის დროს არა მხოლოდ ამათუიმ სიტყვას, ხმარებულს პროფესიულ თუ სხვა ჭკუფურ კოლექ-

ტივებში, არამედ ზოგჯერ ვიყენებთ საერთო ხმარების სიტყვათა იმ მნიშვნელობებსაც, რომლებიც სპეციალურ ჯგუფებში გვხვდება — შეგვაქვს სპეციალური მნიშვნელობანი საერთო ქართულში.

მსგავსი აგებულებისა ჩანს მნიშვნელოვანი წილი იმ პოლისემიური სიტყვებისა, რომელთა მეორეული მნიშვნელობები გარკვეულია: საერთო გავრცელების მნიშვნელობის გვერდით მათ მოეპოვებათ საერთო ენაში სოციალური დიალექტებიდან. სპეციალური ენებიდან შემოსული მნიშვნელობები.

ელიფსი და პოლისემია

187. როდესაც ამბობენ ვისიმე შესახებ—„ეწვევა“, ნათელია, რომ ეწვევა თამბაქოს (პაპიროსს, ჩიბუხს...). *ეწვევა*-სიტყვამ შეითვისა თამბაქოს-სიტყვის მნიშვნელობაც, ამიტომ თვით თამბაქო ფრაზიდან გაქრა. ამ მოვლენას ელიფსი ეწოდება. აი, კიდევ რამდენიმე ნიმუში ელიფსისა: (ფხვს) *იუჩქარებს*, (ღვინის) *მსმელი*, (ტანისამოსის) *მკურავი*, *საკაბე* (ქსოვილი), *ნაგუბარი* (ადგილი), (მდინარის) *საგუბარი*, (ცეცხლს) *მოწყობებს* და სხვ.

მ. ბრეალი მიუთითებს პოლისემიის ერთ კერძო შემთხვევაზე, რომელიც აგრეთვე დაკავშირებულია (წარმოშობით) სოციალურ დიალექტებთან; საკითხი შეეხება ელიფსის შედეგად წარმოქმნილ პოლისემიას; როცა ორი სიტყვა ერთად იხმარება ხოლმე, მათი მნიშვნელობა შერწყმულია და ისინი მხოლოდ ერთ ნიშანს ქმნიან; ამ ორი სიტყვიდან ზოგჯერ ერთი ქრება, ამის გამო დარჩენილი სიტყვა თითქოს უეცრად იცვლის მნიშვნელობას; ნამდვილად კი გადარჩენილი სიტყვა, რომელიც პთელი შესიტყვების შემკვიდრე ზდება, მისგან (შესიტყვებისგან) ისრუტავს მთელ მნიშვნელობას: (მინისტრთა) *კაბინეტი*, *სწორი* (ხაზი).

ზედსართავი გამდიდრებულია ნავარაუდევი არსებითი სახელის მნიშვნელობით, ზნნებს შეწოვილი აქვთ მნიშვნელობა დამატებისა. რომელიც ამიტომ შეიძლება გამოტოვებულ იქნეს. ყველა სიტუაციაში, ყველა ხელობაში არსებობს ზოგი იდეა, რომელიც ისე გარკვეულად იგულისხმება, რომ საჭირო არ ჩანს მისი თქმა, ამბობენ მხოლოდ იმ ეპითეტს, რომელმაც უნდა მოახდინოს ამ იდეის დაზუსტება (ამიტომ გადადის ხოლმე დროთა განმავლობაში ზედსართავეები არსებით სახელებში და სხვ.). ბრეალი დაასკვნის, რომ ეს მოვლენა მეტად ხშირია სხვადასხვა პროფესიისა და განსხვავებული ხელობის (დარგის) ენებში [246, 131].

ფაქულტეტურს დასახელებისას ერთისა და იმავე უმაღლესი სასწავლებლის მუშაეები, ჩვეულებრივ, გამოტოვებენ ხოლმე თვით ფა-

კულტური-სიტყვას: *ქიმიური*. იურიდიული ნიშნავს ენივერსიტეტში 'ქიმიურ ფაკულტეტს', 'იურიდიულ ფაკულტეტს'. სამთო საადმშენებლო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთათვის. ასევე ნიშნავს 'სამთო ფაკულტეტს'. 'საადმშენებლო ფაკულტეტს'; მსგავსადვე. *სამკურნალო*, *სტომატოლოგიური* სტუდენტ-მედიკოსთათვის ფაკულტეტებს ნიშნავს — სამკურნალოს, სტომატოლოგიურს. და სათანადო წრეში გაუგებრობას ადგილი არა აქვს ხოლმე. უნივერსიტეტში იურიდიულ-სიტყვის გაგონებისას არ იგულისხმებენ. ვთქვათ, 'იურიდიულ კონსულტაციას'. მომავალი ინჟინრებისათვის *საადმშენებლო* ჯერ კიდევ ფაკულტეტია და არა, ვთქვათ: 'საადმშენებლო ტრესტი'. და სტუდენტი-მედიკოსებიც *სამკურნალო*-ს ხსენებისას ვარაუდობენ არა 'სამკურნალო კომბინატს', არამედ მათი ინსტიტუტის 'სამკურნალო ფაკულტეტს'. როდესაც მასწავლებელი მასწავლებელს ელაპარაკება, *სამინისტრო*-ში 'განათლების სამინისტრო' იგულისხმება, ლექტორისათვის ეგვევ სიტყვა 'უმალესი განათლების სამინისტროს' ნიშნავს, მსახიობებისა და პესიკოსებისათვის — 'კულტურის სამინისტროს' და ა. შ.

საავადმყოფოში შესახვევი არის 'შესახვევი ოთახი', თუმცა, ჩვეულებრივ, ეს სიტყვა ერთგვარ ქუჩას თუ ჩიხს აღნიშნავს.

დიდ საწარმოში განყოფილება — თუ *სამჭრო*-სიტყვას არც ახსენებენ, ამბობენ ხოლმე მხოლოდ დამაზუსტებელ ეპითეტს: *საპარატო* არის 'საპარატო განყოფილება' *საინსტრუმენტო* არის 'საინსტრუმენტო სამჭრო'...

ნაკვეთი არის ნამყოს ვნებითი გვარის მიმღეობა (*კაკოს*-ზმნის ფუძისა), რაც გამოკვეთეს; ზმნასთან უშუალო სემანტიკური კავშირი დაკარგული აქვს და საზოგადოდ ზედსართავ სახელად არის ქცეული მიწის, ადგილ-მამულის მიმართ ხმარებისას: „ამ გურგუშევის ზემო კერძოთი უძახდნენ ერთ პატარა ნაკვეთ ადგილს ლევერწას“ (აკაკი). მალე ეს *ნაკვეთი* გასუბსტანტივდა: „წალდის ყუთი ზაზავს... მენობელთან სადაო ნაკვეთის საზღვრებს“ (ნ. ლორთქიფანიძე); ეს ამკარად მიწაა. და მინც გვხვდება ხოლმე აღნიშვნა, რომ საქმე ეხება მიწის ნაკვეთს: „ვათხოვე მიწის ნაკვეთი“ (ვ. ბარნოვი). „უნდა შევეუდგეთ ახალი პლანტაციებისათვის მიწის ნაკვეთების გამოძებნას“ (პრესიდან), „სასოფლო საბჭოში შრომელებს ვანცხადებები შეაქვთ საკარმიდამო მიწის ნაკვეთის საკითხებზე“ (პრესიდან). *საკარმიდამო მიწის ნაკვეთი* ზოგჯერ *ნაკვეთი*-სიტყვის ამოვლებით არის შემოკლებული: „საკარმიდამო მიწების დაბრუნების ამბავი არაფერად მიგაჩნია?“ (ლ. ქიაჩელი): მაგრამ, ჩვეულებრივ, სწორედ *მიწა*

საფეიქრო 1. ფეიქრობისათვის განკუთვნილი (*საფეიქრო ფაბრიკა*, *საფეიქრო დაზგა*). 2. ფეიქრის სახელოსნო.

საქერიეო 1. ქერივისათვის განკუთვნილი, ქერივისათვის შესაფერი (*საქერიეო კაბა*). 2. ქერივის წილი (ოჯახის გაყოფისას).

საძროხე 1. ძროხებისათვის განკუთვნილი (*საძროხე ქვაბი*). 2. ძროხის სადგომი.

მონაკვეთი 1. მოკვეთილი, მოკრილი. 2. ცალკე წიგნად გამოცემული ნაწილი თხზულებისა.

მოსართავი 1. ვინც, რაც, რითაც უნდა მორთონ. 2. უნაგირის მოსაქერი ფართო ღვედი...

ამრიგად, პოლისემიისა (და სიტყვიერი) კონტექსტის ურთიერთობაში უკუფენილია ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ საერთო ენის ლექსიკური ფონდი შეიცავს რიგ ლექსიკურ ფენებს იმ სოციალური ჯგუფების შესაბამისად, რომლებიც ამ საერთო ენაზე ლაპარაკობენ, ამ ენობრივ კოლექტივს მიეკუთვნებიან.

კონტექსტში გამოვლენილი პოლისემიის პრობლემა სხვა არაფერია, თუ არ სემანტიკური პროფესიონალიზმების (ანუ არგოტიზმების) პრობლემა; მისი კვლევა არის საერთო ენისა და სპეციალურ ენათა ურთიერთობის კვლევის ნაწილი.

პოლისემია და დიალექტები

188. ენაში პოლისემიის წარმოქმნისათვის ძირითადი წყაროა სპეციალური ენებიდან შემოსული მნიშვნელობები. მაგრამ გარკვეულ როლს ასრულებს დიალექტებიდან მომდინარე მნიშვნელობათა თავმოყრაც.

ბაშარი დასავლურ კილოებში მხოლოდ 'თოკს' ნიშნავს. ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში, სადაც ამ საგნის აღსანიშნავად თოკი არის გავრცელებული, ბაშარი არის 'წვრილი თოკი' (ქართლი), ან კიდევ 'საწინდე მატყლის ძაფი' (კახეთი, ქიზიყი...). თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ბაშარი ფეხს იკიდებს თოკი-სიტყვის გვერდით და მის სინონიმად. გ. ლეონიძე წერს: „მზეს გველესაჰმა ყელზე მოაგდო შავი ბაშარი“, „ლომნი ძაღლებად ჰყოლიათ, ყელზე არ ჰქონდათ ბაშარი“, სადაც ბაშარი უთუოდ 'თოკს' ნიშნავს და არა 'მატყლის ძაფს' ან თუნდ 'კანაფს'. მაგრამ ბაშარი იხმარება სალიტერატურო ქართულში 'კანაფის, წვრილი თოკის' მნიშვნელობითაც: „არსენამ თოკი წვრილ ბაშრებად დააშლევინა“ (მ. ჯავახიშვილი), „(მღვდელს) ხელში ეჭირა საცეცხლურის მაგივრად ბაშრებზედ ჩამოკიდებული

ძველი თუნუქის ნაჭერი“ (შ. არაგვისპირელი), „გამოიყვანდნენ (ბარტყებს) გარეთ, მოაბამდნენ ფეხებზე ბაშრებს და გაუშვებდნენ ჰაერში (თ. რაზიკაშვილი), „(ჩურჩხელას) ბაშრის სათაურები გაუყეთეთ, რომ ხარისხაზედ დაიკილოს“ (ბ. ჯორჯაძე).

თანამედროვე საერთო ქართულში ბაშარი-სიტყვის პოლისემიურობა, ანრაგად, დიალექტურ მნიშვნელობათა თავსაყრის შედეგია.

ქოთ-ცუძე მნიშვნელობით აფორიაქებდასთან არის დაკავშირებული: „არ მოვსწრებივარ ამგვარ ღელვას, ზვირთთ აქოთებას“ (ი. შანაბელი), „სოფიო აქოთებდა ყუთებს“ (შ. არაგვისპირელი). „მსუნაგი კატები რაც იყვნენ, ისინი თაროებს აქოთებდნენ“ (ვაჟა), „ორმა სკამები გადააყირავა, მესამემ ლოგინი აქოთა“ (პრესიდან). დასავლელ მწერლებისათვის აქოთებული სინონიმია 'ამყარებულისა': „სადილს აქვე სჰამდნენ, ცეცხლის პირას, საქონლის ჩაღის ხრამუნში და მათი განავლით აქოთებულს ჰაერში“ (დ. კლდიაშვილი), „ნაფტალინისაგან აქოთებული... მუშია“ (კ. გამსახურდია), „როდესაც ოდესაღონითაც დაიწყო აქოთება, მაშინ კი ყველა დარწმუნდა, რომ კირილე შეყვარებული იყო“ (ა. ბელიაშვილი). ამრიგად, სალიტერატურო ქართულში თანაარსებობს ქოთ-ფუძის ორი მნიშვნელობა და ამ პოლისემიის საფუძველი დიალექტური მნიშვნელობების თავმოყრაა.

ასევე, პოლისემიურია მცენარეთა ზოგიერთი სახელი: აკაცია, რომელიც სალიტერატურო ქართულში სხვადასხვა კილოდან არის შემოსული და სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება—საკუთრივ 'აკაციისა' (Acacia) და 'ცრუაკაციისა, ეკლისისა' (Robinia pseudoacacia). აგრეთვე, ალვისზე, რომელიც საკუთრივ 'ალვის' გარდა 'კვიპაროსის' მნიშვნელობითაც იხმარება.

აკაცია, ალვისზე, ბაშარი, აქოთება პოლისემიური სიტყვებია. ამათი პოლისემიურობა იმის შედეგია, რომ დიალექტებში დიფერენცირებულმა მნიშვნელობებმა თავი მოიყარა საერთო ენაში.

პოლისემიურ სიტყვებში დიალექტურ და საერთოენობრივ მნიშვნელობათა ამგვარი შეხამება არის ენობრივი კოლექტივისა და მასში შემავალ ტერიტორიულ ჯგუფთა ურთიერთდამოკიდებულების ასახვა, უფრო ზოგადად — ლექსიკისა და ენობრივი კოლექტივის ურთიერთობის უკუფენას წარმოადგენს.

პოლისემია და საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია

189. ზემოთ (§ 182) მოკლედ შევეხეთ ენობრივი კოლექტივის სოციალური დიფერენციაციის უკუფენას ლექსიკურ ფონდში. ახლა ისიც

უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია ზოგჯერ უკუიფინება ცალკე სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაშიც.

კვლიფიკაცია „ს ა უ ბ (რ უ ლ ი)“ განმარტებით ლექსიკონში მიწერილი აქვს კაფი-სიტყვის მესამე მნიშვნელობას ('ქმარი') და დე-აკაფი-სიტყვის მეორე მნიშვნელობას ('ცოლი'). 'ქმარისა' და 'ცოლის' მნიშვნელობით ეს სიტყვები წარმოშობით გ ლ ე ხ თ ა მეტყველების კუთვნილებაა და სალიტერატურო ენაში შემოვიდა გლეხთა ყოფიან აღწერასთან ერთად.

სასაუბრო სიტყვადვე არის დახასიათებული იარაღი-სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა — 'რისამე ნაწილი, რისამე გამართულობა'. საინტერესოა ამ სიტყვის საბასეული დახასიათება: „იარაღი ესე არს ჭურჭელნი ხელოვანთა სახმარნი. რკინათა, თუ ძელთაგან, მეომართა აღსაკაზმავი, გინა ცხენთა, ანუ ხუროთა, შვედელთა და გალატოზთა. ესე მ ს ო ფ ლ ი ო თ ა ე ნ ი თ ა არს, ხოლო სამდღელოთა ენითა ჭური. ჭურჭელი და რომელთამე ორღანთ ეწოდების“. „მ ს ო ფ ლ ი ო“ საბასათვის „სოფლისაგანი“ არის, ე. ი. საერო პირი; ეს საერო, არა „სამდღელო“, ე. ი. არასრულფასოვანი ლიტერატურული ხასიათი ამ სიტყვას მხოლოდ ამ კერძო მნიშვნელობაში შემორჩენია, მაშინ როცა ჭური და ჭურჭელი, რომლებიც — 'იარაღის' მნიშვნელობით — საბასათვის სალიტერატურო სიტყვებია, ამჟამად, დღევანდელ სალიტერატურო ქართულში, მხოლოდ 'ქვევრს' (პირველი) და 'სათავსს' (მეორე) აღნიშნავენ.

ბუდე-სიტყვას, საბას თქმით, „ვიეთნი უწოდენ წიგნის ჩალათასა“. ჩალათა-სიტყვასთან პირდაპირ აღნიშნულია—„ვან არიან ეს „ვიეთნი“: „ჩალათა მ ს ო ფ ლ ი ო ნ ი ბუდედ უწოდენ“. ამჟამად ბუდე ამ მნიშვნელობითაც ('ფუტლარი') სალიტერატურო ენის სრულფასოვანი კომპონენტია.

ასევე, სრულფასოვანი სალიტერატურო სიტყვა არის ბუბი. მეორე მნიშვნელობით, საბას დროს კი იგი გლეხური სიტყვა იყო: „ბუბი: გ ლ ე ხ ნ ი ყრმათ ამქმელს უწოდენ“.

ეს მაგალითები სალიტერატურო ენაში პოლისემიის გაჩენის საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ.

პირიქით, პოლისემიის ვაქრობის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს კარგი ფუძე.

ეს ფუძე საბას ლექსიკონში პოლისემიურია: „მკარგავი (ა) მარტებელი თუ (ბ) დაკარგვის მქმნელი“, ამასთანავე, მეორე მნიშვნელობა ('დაკარგვის მქმნელი') „სოფლური“ ყოფილა: „მკარგავ ს ო ფ ლ უ რ ი სიტყვით დავჰკარგავ, რომე ველარ ვაპოებ“. ეს ფუძე არა-

„სოფლური“ მნიშვნელობით („ეკარგავ ვარიგებ“, „ეკარგავე მარიგებელი“) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თითქმის სრულიად გამქრალია (თავს მხოლოდ ერთ ნაწარმოებ სიტყვაში იჩენს: განკარგულება); სამაგიეროდ, კარგავ-ფუძის „სოფლური“ მნიშვნელობა ამჟამად მხოლოდ ამ ფუძით გადმოიცემა და იგი ერთადერთი ლიტერატურული სიტყვაა ამ შინაარსის გადმოსაცემად (ძველი სალიტერატურო შარწყმედ-ფუძე, რომელსაც საბა სოფლურ კარგავს უპირისპირებდა; ამჟამად ამ მნიშვნელობით აღარ იხმარება).

მსჯელობა სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენლობის არასრულფასოვანი პერიფერიული ნაწილის შესახებ, რა თქმა უნდა, არ იძლევა პრაქტიკულ ხერხს პოლისემიური სიტყვის საანალიზოდ. ადამიანთა საზოგადოება უაღრესად რთული სტრუქტურისაა და ენის ასევე რთული აგებულების გამო ვერ დავადგენთ პირდაპირ მიმართებას ამ სტრუქტურათა ცალკეულ კომპონენტებს შორის.

მაგრამ ენის სოციალური სტრატეფიკაციის ფაქტზე დაყრდნობით და კონკრეტული ენობრივი მასალის ბეჭითი ანალიზით შეგვიძლია მივალწიოთ ამა თუ იმ პოლისემიურ სიტყვაში სხვადასხვა ფენის გამოყოფას; ანუ, უფრო ზუსტად: სპეციალური ენებისათვის (და ენობრივ სტილთათვის) და ტერიტორიული დიალექტებისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ჯგუფთა და, აგრეთვე, მათი კომბინაციის რთულ შემთხვევათა დაწვრილებითი შესწავლა აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ დავადგინოთ თითოეული მათგანის წილი საერთო ენის ლექსიკურ ფონდში საერთოდ და პოლისემიურ სიტყვათა მნიშვნელობებში კერძოდ.

აუცილებელი წინაპირობაა, მაგრამ არა საკმარისი; რადგან ლექსიკას, რა მჭიდროდაც არ უნდა იყოს ის დაკავშირებული სათანადო ენობრივი კოლექტივის ცხოვრებასთან, მაინც აქვს ზოგი ისეთი თავისებურება, რომელიც „გარეგანი“ მიზეზებით ვერ აიხსნება და თვით ლექსიკური ფონდის ტრადიციულად დამკვიდრებული აგებულებით არის გაპირობებული.

სიტყვათა ურთიერთდამოკიდებულება

ა. ზოგადი. — სიტყვის განხილვის სხვადასხვა თვალსაზრისები. — სინონი-
მია. — ანტონიმი. — ლექსიკური პარადიგმატიკის სხვა მოვლენები. — ლექ-
სიკური პარადიგმატიკა და ცვლილებანი ლექსიკაში.

ზოგადი

100. ქართული ლექსიკა რამდენიმე თვალსაზრისით განვიხილეთ. ყველა შემთხვევაში სწორედ ლექსიკის შესახებ ვლაპარაკობდით და, მაშასადამე, ყოველთვის ვითვალისწინებდით მის სპეციფიკურ ენობრივ ხასიათს.

აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა თვალსაზრისით განხილვისას ქართული ლექსიკის სხვადასხვა ჯგუფი ხვდებოდა ყურადღების ცენტრში; ამა თუ იმ ასპექტით განხილვა ყველაზე უკეთ ლექსიკის ამა თუ იმ ჯგუფის დახასიათების საშუალებას იძლეოდა — ამა თუ იმ ჯგუფის სპეციფიკას წარმოაჩენდა.

ასე, ფონეტიკასთან მიმართებით ლექსიკის შესწავლამ დაადასტურა, რომ საერთოდ და მთლიანად ბგერადობასა და მნიშვნელობას შორის შინაგანი ბუნებრივი კავშირი არ არსებობს (სიტყვა კი, პირველ ყოვლისა, ბგერადობისა და მნიშვნელობის ერთიანობაა), მაგრამ ფონეტიკასთან მიმართებით ლექსიკის შესწავლამ მაინც გამოგვაყოფინა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში სიტყვათა ის ჯგუფი, რომელშიც მნიშვნელობასა და ბგერადობას შორის მანძილი მინიმალურია. მნიშვნელობა და ბგერადობა ამ ჯგუფში სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე ახლოს დგანან ერთმანეთთან. ესაა ხმაბაძვითი სიტყვები, რომლებშიც ბგერადობა თითქმის უშუალო მანძილზე სტაციარაა მნიშვნელობისა და, აგრეთვე, შორისდებულები, რომელთა ფონეტიკური ორგანიზაცია თვალსაჩინოდ განსხვავდება სიტყვათა სხვა კლასებისაგან.

სიტყვაში (და, საზოგადოდ, ლექსიკურ ფონდში) გრამატიკულ და ლექსიკურ მხარეთა ურთიერთობის შესახებ მსჯელობისას ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ენის შესწავლის

ორ, ერთმანეთისაგან ავტონომიურ ასპექტთან. მაგრამ ამასთანავე დავინახეთ, რომ სიტყვაწარმოების როგორც გრამატიკის დარგის გათვალისწინება უაღრესად ფასეულია ენის ლექსიკოლოგიური შესწავლისათვის, რამდენადაც სიტყვაწარმოება წარმოადგენს ენის ლექსიკური ფონდის სემანტიკურ შესაძლებლობათა მნიშვნელოვან წყაროს.

ლექსიკოლოგია სიტყვებს შეისწავლის როგორც მნიშვნელობათა მატარებელ ოდენობებს, ხოლო სიტყვის მნიშვნელობის ყველაზე ნაკლებ სადავო გაგება არის მისი გაგება როგორც საგნობრივი მიმართებისა.

ასეთ პირობებში რა უნდა ყოფილიყო ლექსიკის უფრო სპეციფიკურად-ენობრივი განხილვა, თუ არ სემანტიკური განხილვა, რომელიც სწორედ საგნობრივ მიმართებას ითვალისწინებს! მართლაც, ამგვარი (სემანტიკური) განხილვის დროს სიტყვათა მეტად მნიშვნელოვანი კლასები აღმოჩნდა მხედველობის არეში.

მაგრამ ლექსიკის სემანტიკური განხილვის დროსვე გაირკვა, რომ ჯერ ერთი: მხოლოდ ამ ასპექტით ლექსიკური ფონდისა და ცალკეული სიტყვების შესწავლის შედეგად ვიღებთ არა რეალურ ენობრივ ოდენობებს, ე. ი. არა მეტყველებაში გამოყენებულ ენობრივ ოდენობებს, არამედ მხოლოდ გამოსაყენებელს, შესაძლებლობებს; და მეორეც: განხილვის სფეროს გარეშე დარჩა სიტყვათა გარკვეული ჯგუფები, რომლებსაც ლექსიკონში თუმცა დიდი ადგილი არ უჭირავთ. სამაგიეროდ მეტყველების პროცესისათვის უაღრესად ფასეულნი არიან, ამიტომ მეტყველების ნაკადში ყველაზე ხშირად გვხვდებიან. ესაა ე. წ. დეიქტური (მითითებითი) სიტყვები, რომელთა ლექსიკოლოგიური დახასიათებისათვის, ე. ი. მნიშვნელობის გამოსავლენად საჭიროა მოლაპარაკისა და მსმენელის პოზიციის გათვალისწინება.

ხოლო განხილვის სფეროში დეიქტური სიტყვების შემოსატანად აუცილებელი შეიქნა განხილვის თვალსაზრისით გაგვეფართოებინა და ბგერადობისა და მნიშვნელობის ურთიერთობა შეგვესწავლა მოლაპარაკეთა პოზიციის გათვალისწინებითაც, ე. ი. საკუთრივ სემანტიკურ ასპექტის გარდა ლექსიკოლოგიაში ჯეროვანი ადგილი უნდა დაგვეთმო ე. წ. პრაგმატული ასპექტისთვისაც.

„პრაგმატული“ განხილვისას, ბუნებრივია, მხედველობის არეში მოექცევა ენობრივი (ამ შემთხვევაში — ლექსიკური) ფაქტები იმდენად, რამდენადაც მათში უკუფენილია სათანადო ენობრივი კოლექტივის აგებულება და ყოფა.

განხილვის საგანი ხდება არა მხოლოდ წინათ უგულებელყოფილი ნაცვალსახელები და სხვა მითითებითი სიტყვები, არამედ აგრეთვე წინათ განხილული ყველა ქართული ლექსიკური მოვლენა, რამდენადაც მასში

უკუიფინება ქართული ენობრივი კოლექტივის ცხოვრების ესა თუ ის მხარე (ენობრივ მოვლენათაგან ლექსიკისათვის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია „პრაგმატული ასპექტით“ განხილვა).

191. მაგრამ ეს თვალსაზრისები არ კმარა ქართული ლექსიკის ყოველმხრივ შესასწავლად: აღმოჩნდა, რომ განუხილველი გერჩება სიტყვათა რამდენიმე კლასი, რომლებიც არც საკუთრივ „სემანტიკურ“ განხილვას ექვემდებარება და რომელთაც არც „პრაგმატული ასპექტით“ განხილვის დროს დაუტოვებელი: ბევრი ნაწილაკი, ბევრი თანდებული და ყველა კავშირი დამოუკიდებელი სიტყვებია, მაგრამ ლექსიკის სემანტიკური და პრაგმატული ასპექტებით განხილვის დროს შეუძლებელი აღმოჩნდა მათთვის ადგილის მიჩენა. და, აი, დგება საკითხი: ხომ არ არსებობს კიდევ უფრო ფართო თვალსაზრისი, რომელიც სხვა ლექსიკურ მოვლენებთან ერთად ამგვარ ფაქტებსაც მოიცავდა?

მაგრამ, რადგან, შინაშე, განა და ბევრი სხვა მსგავსი სიტყვა არც უშუალო საგნობრივ მიმართებას ასახავს და არც მეტყველთა (ზოგადად — ენობრივი კოლექტივის) სათქმელთან დამოკიდებულებას გადმოსცემს (ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლება უშუალო კავშირზე მათ ბგერადობასა და მნიშვნელობას შორის).

ენაში კავშირებს (*მაგრამ, რადგან...*) ვიყენებთ იმ ურთიერთობის განმოსხატავად, რომელიც თვით სიტყვებს შორის არსებობს; ამ მხრივ კავშირი, თუმცა იგი ცალკე სიტყვის სახით არის წარმოდგენილი, გრამატიკულ მოვლენათა რიგში დგას. რაც შეეხება სიტყვა-ნაწილაკებს (*განა...*) და სიტყვა-თანდებულებებს (*შინაშე...*), ისინი ხომ ფუნქციით მორფემათა ტოლნი არიან; ქართულში ნაწილაკებიც და თანდებულებიც მეტწილად მორფემების, სიტყვის ნაწილების სახით არსებობს.

მორფემებს გრამატიკა სწავლობს, მორფემათა ფუნქციის მქონე სიტყვებიც, უწინარეს ყოვლისა, გრამატიკის შესწავლის საგანი უნდა იყოს. მაგრამ დაბრკოლება ისაა, რომ აქ მხოლოდ ფუნქციური მსგავსება გვაქვს მორფემათა, ხოლო აგებულების მიხედვით თუ განვისილავთ, კავშირები და ზოგი თანდებულ-ნაწილაკი სულ სხვა რიგის მონაცემებია — სიტყვები (უფრო ვრცლად იხ. ზემოთ § 100-101).

გრამატიკული თვალსაზრისი ენობრივი ფაქტების შესწავლისა საკუთრივ ენათმეცნიერული თვალსაზრისია. ყველაზე უკეთ გრამატიკაში ჩანს, რომ ესა თუ ის ენობრივი მოვლენა ავტონომიურია როგორც „სემანტიკური“, ისე „პრაგმატული“ განხილვისაგან. ცხადია, ნათესაობითი ან მოქმედებითი ბრუნვების არსებობის შესაძლებლობას სემანტიკა, საგნობრივი მიმართება ქმნის; ქართული ენობრივი კოლექტივის თავისებურებამ — დიალექტურმა დაყოფამ და შემდეგ დიალექტთა

დაახლოება-შერწყმამ შეეპირობათ ანაარსებობა მოქმედებითი და ნათესაობითი ბრუნვებისა ქართულში. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ფორმები შეიქმნა და მათ ენაში თავი მოიყარეს, მათი შემდგომი ბედი უშუალოდ დაკავშირებული კი არაა სემანტიკასთან და ენობრივი კოლექტივის ბედ-იღბალთან, არამედ ბრუნვათა ეს ფორმები გარკვეულ ავტონომიურობას იძენენ — „სემანტიკა“ — „პრაგმატიკისაგან“ დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ და იცვლებიან.

რაც ენაში გრამატიკულია, ის უთუოდ ენობრივიცაა; მაგრამ ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ არაგრამატიკული უთუოდ არაენობრივიც არის; ენაში ენობრივია ყველა ის მოვლენა, რომელშიც სემანტიკური შესაძლებლობანი და მათი „პრაგმატული რეალიზაცია“ ქცეულია ჩვეულებად, უზუსად.

ენა არა მარტო აზროვნების იარაღია, არა მარტო განაცადის გამოხატვის საშუალებაა, არამედ იგი ისტორიულად ჩამოყალიბებული ფენომენიცაა. ამიტომ ენობრივი ნორმა, უზუსი არსებობს მიმდინარე (ყოველდღიური) საობიექტივაციო, ექსპრესიული მიზანდასახულობის გარეშე; მეტიც: ენობრივი გამოხატვა უზუსის ფარგლებში თავსდება, ენობრივი. უწინარეს ყოვლისა, უზუალური. ნორმირებისათვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს აფიქსები ქმნიან; ამიტომაც, რომ ყველაფერი გრამატიკული უზუალურია; მაგრამ არა პირიქით: ენაში ბევრი რამ არაგრამატიკულია; თუმცა უზუალურია და, მაშასადამე, ენობრივი [94].

სიტყვის განხილვის

სხვადასხვა თვალსაზრისები

192. რაკი ხმაბაძვას რეალურ მოვლენად მივიჩნევთ (და არა ენათმეცნიერულ ფიქციად), *ქვითქვითი* უეჭველად ხმაბაძვითი სიტყვაა, ე. ი. სიტყვა, რომელშიც ბგერადობა და მნიშვნელობა მაქსიმალურად დაახლოებულია ერთმანეთთან. რა თქმა უნდა, ბგერადობისა და მნიშვნელობის ამ სიახლოვის მიუხედავად, *ქვითქვითი* მაინც ქართული ენის სიტყვაა და არა გარე ენობრივი ხმაბაძვა: ჯერ ერთი, აქ გამოყენებულია ქართული ენის ფონოლოგიური სისტემა (ამიტომ ვერ გაუტოლდება კაქკაქის, თუთიყუშის და სხვ. მსგ. „ხმაბაძვას“), და, შემდეგ, იგი გრამატიკულად ქართულ ყალიბში არის მოქცეული — იბრუნვის ისე, როგორც ყველა სხვა (არა მხოლოდ ხმაბაძვითი) ქართული სიტყვა: *ქვითქვითი-ი... ქვითქვით-მა... ქვითქვით-ფუძე*, აგრეთვე, გამოყენებულია სხვა სიტყვების წარმოებისას, ისევე როგორც

ყველა სხვა „ჩვეულებრივი“ (არახმაბაძეითი) სიტყვის ფუძე: *აქვით-ქვითდება, ჩაიქვითქვითებს...*

მაგრამ *ქვითქვითი* ენობრივი ფაქტია იმიტომაც, რომ ის ჩართულია ქართულ ლექსიკურ მარაგში და — არა მხოლოდ ფონოლოგიურად და გრამატიკულად, არამედ ლექსიკურადაც — გვერდში უდგას სხვა ქართულ სიტყვებს, კერძოდ, *ტირილი-სიტყვის* რიგში დგას: „(ოთარაანთ ქვრივი) პირქვე დაეცა ხელახლად შვილის გაცივებულს გულს და ტირილი კი არა, მართო *ქვითქვითით* გოდებდა ისმოდა“ (ილია).

ასევეა მოქცეული ენის ჩარჩოებში (არა მხოლოდ ფონოლოგიურად და გრამატიკულად, არამედ ლექსიკურადაც) ხმაბაძეითი სიტყვა *ხარხარი*: „სიცილი ხარხარად გადაიქცა და ულრანი ტყე მზიარული კიყინით გაიყლინთა“ (მ. ჭავჭავაძის მიერ).

ქვითქვითი და *ხარხარი* ემოციების უშუალო მანიფესტაციაც და ხმაბაძეაც არის.

ქვითქვითი და *ხარხარი* წარმოადგენს სემანტიკის გრამატიკულ შესაძლებლობებსაც (მოქმედების მრავალგზისობა გადმოცემულია გაორკეცებული ფუძის მქონე კომპოზიტით).

ქვითქვითი და *ხარხარი* საგნობრივ მიმართებასაც გადმოსცემს, ე. ი. სემანტიკურ ფაქტადაც მიიჩნევა.

ქვითქვითი და *ხარხარი* ენობრივი კოლექტივის, მეტყველთა-მოკიდებულებასაც უკუფენს.

ეს უკანასკნელი გარემოება კარგად ჩანს, მაგალითად, *ხარხარის* და *ხითხითის* დაპირისპირებაში, რაც ასახულია რ. ინანიშვილის ერთ მოთხრობაში: „შეხედეს ერთმანეთს იასონამ და გლახებმა, და, — რა აცინებდათ იმ გლახებს, ეშმაკმა უწყის, — ატეხეს *ხითხითი*: — ხიი-ხი-ხი-ხი! ხიი-ხი-ხი-ხი! ბატონკაცურად — ვაა-ხა-ხა-ხა კი არა, გლახურად — ხიი-ხი-ხი-ხი... იცინოდნენ წელში მოხრილები და ფარჯის კალთებით იმშრალეზდნენ ცრემლმორეულ თვალებს“.

დაბოლოს, *ქვითქვითი* და *ხარხარი* ენობრივი ფაქტებია იმიტომაც, რომ ისინი გარკვეულ მიმართებაში არიან სხვა ენობრივ ფაქტებთან (ჩვენს მაგალითებში — *ტირილი-* და *სიცილი-*სიტყვებთან), მიუხედავად მეტყველთა დამოკიდებულების უშუალო უკუფენისა, მიუხედავად საგნობრივი მიმართებისა, ე. ი. სემანტიკური შესაძლებლობისა და ა. შ.

სხვა ენობრივ ფაქტებთან მიმართება შეპირობებულია (გარდა ფონეტიკურ-გრამატიკული და სემანტიკურ-პრაგმატიკული საფუძვლისა) ქართული ენის ისტორიით, ტრადიციით. უზუსტით, ესე იგი საკუთრივ ენობრივად.

ესა თუ ის სიტყვა, ესა თუ ის ბგერათკომპლექსი, ქართული ენის ფონემებით რომ ითქმის და ქართულ გრამატიკულ ყალიბში რომ არის მოქცეული. უკვე ამის გამოა ქართული ენობრივი ოდენობა.

ის ქართული ენობრივი ოდენობა, რომელიც საგნობრივი მიმართებით ხასიათდება, უკვე ამის გამოა სემანტიკური ფაქტი.

ის სემანტიკური ფაქტი, რომელიც ქართული ენობრივი კოლექტივის, ქართველობის ყოფას ასახავს. უკვე ამის გამოა ქართული სემანტიკური ფაქტი.

მაგრამ ქართული სემანტიკური ფაქტების ერთობლიობა არ მოიცავს მთელ ქართულ ლექსიკურ ფონდს; ქართული სიტყვის „სემანტიკურ-პრაგმატული“ დახასიათება არ ამოწურავს ქართული სიტყვის ბუნებას.

ქართული ენის ლექსიკური ფონდისა და ცალკეული ქართული სიტყვის სრულად დახასიათებისათვის საჭიროა გათვალისწინებული იქნეს, ჯერ ერთი, ტრადიციით შეპირობებული კავშირები სიტყვათა შორის; მეორეც, ფონეტიკურ-გრამატიკული და სემანტიკურ-პრაგმატული მოვლენებისაგან დამოუკიდებლად მომხდარი ცვლილებები ამგვარ კავშირებში. საკუთრივ ლექსიკურ მოვლენებად მიიჩნევა ეს სიტყვათა კავშირები და ამგვარი ცვლილებები ამ კავშირებში.

სიტყვათა კავშირები შეიძლება იყოს პარადიგმატული და სინტაგმატური (იხ. ზემოთ § 64—69).

რაკი პარადიგმატული („ასოციაციური“) ურთიერთობა ყველაზე მკაფიოდ ვლინდება სინონიმურ და ანტონიმურ დამოკიდებულებაში, ამიტომ ჩვენი მსჯელობის საგანი ამჯერად იქნება ეს ლექსიკური მოვლენები — სინონიმია და ანტონიმია.

სიტყვათა სინონიმური ურთიერთობა

198. სიტყვათა შორის სემანტიკური ურთიერთობის საბუთად ყოველთვის ვერ ვიპოვიეთ იმგვარ ფრაზებს, როგორც გვაქვს ილიასა და მ. ჯავახიშვილის ნაწერებშიდან ამოღებულ შემომოყვანილ ციტატებში („ტირილი კი არა, მარტო ქვითქვითთ გოდებალა ისმოდა“, „სიცილი ხარხარად გაღაიქცა“). მაგრამ, როგორც ვიცით, გვაქვს სხვა საშუალებებიც სიტყვათა სემანტიკური ურთიერთობის, კერძოდ, სინონიმურობის გასარკვევად: ერთი და იმავე სიტყვის სხვა ენაზე თარგმნის დროს ეს სიტყვა არაიშვიათად სინონიმებით გადმოიცემა (იხ. ზემოთ, § 28).

თითოეულ სინონიმურ წყვილს საგანგებო შესწავლა სჭირდება, რომ

სრულად გამოვლინდეს განსხვავება (ზოგჯერ რამდენიმენაირიც) მათ შორის.

ტირის ზოგადი სახელია გარკვეული მოქმედებისა — 'ცრემლი სდის მწუხარების გამო'. ამავე მოქმედების გამომხატველია, ე. ი. ამავე მოვლენაზე მიუთითებს, აგრეთვე, იყრემლება 'ცრემლებს ღვრის'. გრამატიკული განსხვავება ტირის-და იყრემლება-სიტყვებს შორის ამ შემთხვევაში საინტერესო არაა, მნიშვნელობით კი ორივე 'ცრემლის ღენა' არის, იეარაუდება ორივე — ერთი მიზეზით: მწუხარების გამო. ისინი, ამრიგად, სინონიმებს წარმოადგენენ. განსხვავება მათ შორის მაინცაა: ტირის-სიტყვაში ხაზგასმულია მ ი ზ ე ზ ი, ემოციური მხარე (მწუხარების გრძნობა), იყრემლება-სიტყვაში კი წინ არის წამოწეული მისი გარეგანი გამოვლენა (ცრემლების ღენა).

ტირის-სიტყვა ქვითინებს-სიტყვასთანაც არის სინონიმურ ურთიერთობაში. ეს უკანასკნელი ხასიათდება როგორც 'უსიტყვო, მაგრამ ხმით ტირილი'; გარდა ამისა, ქვითინისათვის დამახასიათებელია ნაწყვეტ-ნაწყვეტობა, გულამოსკენილობა.

ქვითინებს-და სლუკუნებს-სიტყვები მეტ-ნაკლები „ხმაშლილობის“ ელფერით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

თითოეულ მათგანს აქვს ფუძეგაორკეცებული ვარიანტი: ქვითინებს — ქვითქვითებს, სლუკუნებს — სლუკსლუკებს. რაკი ფუძის გაორკეცება, თავისთავად, მოქმედების განმეორებულობას, ნაწყვეტ-ნაწყვეტობას გულისხმობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ორი წყვილი (ქვითინებს — ქვითქვითებს და სლუკუნებს — სლუკსლუკებს) ექსპრესიულ ობიექტად განსხვავდება ერთმანეთისაგან: მეორე წევრები (ფუძეგაორკეცებულნი: ქვითქვითებს, სლუკსლუკებს) ექსპრესიულად შეფერილნი არიან და, როგორც მოსალოდნელიცაა, მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან გავრცელებულობით, ხმარების სიხშირით პირველ წევრებს (ე. ი. ქვითინებს-და სლუკუნებს-სიტყვებს).

როგორც ვხედავთ, ეს ხუთი-ექვსი სიტყვა (ტირის, იყრემლება, ქვითინებს, სლუკუნებს, ქვითქვითებს, სლუკსლუკებს) ერთმანეთთან სინონიმურ კავშირშია, მაგრამ მათი ურთიერთობის (განსხვავების) დახასიათება მოუხერხებელია ერთი საერთო ნიშნის მიხედვით. მხოლოდ წყვილებს შორის ხერხდება დავადასტუროთ ერთი ნიშნის ქონა-უქონლობა, ამიტომაც მიზანშეწონილი სინონიმთა ეს ჯგუფი განხილულ-დახასიათებული იქნეს არა ერთიანად (ექვსივე წევრი ერთად), არამედ წყვილებად (ტირის — იყრემლება, ტირის — ქვითინებს, ქვითინებს — სლუკუნებს, ქვითინებს — ქვითქვითებს...).

194. სინონიმთა განმასხვავებელ ერთ-ერთ ნიშან-თვისებად გაკვ-

რით ვახსენეთ ხმარების მეტ-ნაკლები სიხშირე. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში უფრო თვალსაჩინოა ამ ნიშან-თვისების როლი.

ჩიბუხი და ყალიონი სინონიმებია. ყოველ შემთხვევაში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მათ შორის სხვაობა არ შეიმჩნევა არც მნიშვნელობით (საგნობრივი მიმართების მიხედვით, ე. ი. სემანტიკური თვალსაზრისით) და არც ამა თუ იმ დიალექტის წარმომადგენელ მწერალთა სიტყვახმარების მიხედვით (ე. ი. „პარადიგმატული ასპექტით“): ერთი და იგივე ავტორი ხმარობს ჩიბუხსაც და ყალიონი-სიტყვასაც.

ყალიონი¹ცა და ჩიბუხი²ც უხმარიათ ილიას, რ. ერისთავს, ალ. ყაზბეგს, ვაჟას, ბაჩანას, მ. ჭავჭავაძის... აკაკის, ე. ნინოშვილს. დ. კლდიაშვილს, ს. კლდიაშვილს, ნ. ლორთქიფანიძეს, გ. ტაბიძეს, რ. გვეტაძეს... ამრიგად, არ დასტურდება დიალექტური სხვაობის კვალი ამ სიტყვების ხმარებისას სალიტერატურო ქართულში.

გვხვდება ჩიბუხი-და ყალიონი-სიტყვების ერთდროული ხმარებაც კი — ერთ ფრაზაში: „არჯალამ და პაპაჩემმა ჩიბუხები გააჩაღეს, იმათი ყალიონების ბოლი ცეცხლის ბოლსა ჩრდილავდა“ (ვაჟა); ასეთი სურათია დღესაც, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში: ინგლისურიდან ნათარგმნ ერთ მოთხრობაში ასეთი ფრაზა გვხვდება: „ემერსტმა სათუთუნე ქისა გაუწოდა: — გაიტენეთ ჩიბუხი. მოხუცმა კვლავ ქუდზე მიიღო ხელი და დინჯად აივსო თიხის ძველი ყალიონი“ (მთარგმნელი ალ. გამყრელიძე).

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ყურადღება უნდა მივაქციოთ ხმარების სიხშირეს როგორც მთავარ განმასხვავებელ ნიშან-თვისებას.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ვაჟას ნაწერებში ყალიონი თორმეტჯერ გვხვდება და ჩიბუხი — ოცდათექვსმეტჯერ (რასაც ემატება თარგმანში მისი ხმარების ოცდაერთი შემთხვევა). უეჭველია, ამგვარი შეფარდება — მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც ვაჟას მშობლიურ დიალექტში ყალიონი იხმარება და არა ჩიბუხი — ე. ი. სწორედ ხმარების მეტ-ნაკლები სიხშირე უნდა მივიჩნიოთ სინონიმთა, ყალიონი- და ჩიბუხი-სიტყვების, განმასხვავებელ ენობრივ ნიშან-თვისებად.

სამწუხაროდ, ჭერჭერობით, სანამ სიხშირის ლექსიკონი არა გვაქვს, სინონიმთა დახასიათება სიხშირის მიხედვით ყოველთვის არ მოხერხდება (გამოთვლის გარეშე შთაბეჭდილება ვერ ასახავს ხოლმე ფაქტობრივ ვითარებას).

106. ქართულში სინონიმები ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით იხმარება ხოლმე, ამ მოვლენას სინონიმურ პარალელიზმს ან სინონიმურ წყვილებს უწოდებენ [107, 108, 146^a, 33]:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი“, „ადამიანს ჭირი და ვარამი ალაპარაკებს“ (ილია), „ჰშიოდა კიდევ, ეს იყო თავი და თავი ჭირი და ვარამი“ (ვაჟა), „ათასი ჭირი და ვარამი სოფლისა იქცა მარინეს პირად გასაჰირად“ (ჭ. ლომთათიძე). „რად არ ფიქრობდი, რომ მეც ჩემს ჭირსა და ვარამს ვჩიოდი“ (შიო მღვიმელი)... „დაჭრა და დაკაფა მისი ბედკრული სხეული“ (ვაჟა)... „კუდიანის გზასა და კვალს ვინ აღევნებს თვალყურს“ (შ. არაგვისპირელი)...

ამგვარი მოვლენა, პირველ ყოვლისა, მხატვრულ ნაწარმოებშია დადსტურებული და მას გარკვეული ექსპრესიული დანიშნულება აქვს. მაგრამ იგი საერთო ენაშიც მკვიდრდება ხოლმე, კონვენციური მოვლენა ხდება (რის ნიმუშებიც ზემომოყვანილ ციტატებში იყო წარმოდგენილი) და, მაშასადამე, საერთო ენის ლექსიკოლოგიური შესწავლის სფეროში შემოდის.

სიტყვათა ანტონიმური ურთიერთობა

196. *ქეთინებს* — *ქეთქეთებს*-სიტყვათა შორის სინონიმური ხასიათის ურთიერთობაა, ე. ი. ამ სიტყვებს დაახლოებით ერთგვარი საგნობრივი მიმართება აქვთ. ასევე, დაახლოებით ერთგვარი საგნობრივი მიმართებით ხასიათდება *ხითხითებს*- და *ხარხარებს*-სიტყვები.

ეს წყვილები (*ქეთინებს/ქეთქეთებს* — *ხარხარებს/ხითხითებს*) ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვათა ჯგუფებია.

ურთიერთდაპირისპირებული სიტყვებია, აგრეთვე, *წირის* და *იყინის* „ამას ველოდი, მოვესწარ, ვიყინი, აღარ ვჭირი მე“ (აკაკი), „დეე, სიცილ-ჭირილმა, ამ და-ძმამა გვდიოს ჩვენ ბოლომდინა“ (ილია) ...*ჭირი* და *ლზინი*: „ჭირში ზარს ვიტყვი საცრემლოს და ლზინში მრავალეამიერს“ (აკაკი), „საცა ჭირი იყო, პირველნი იყავით და საცა ლზინი — უქანასკნელნი“ (ილია)... ასევე, *სიყოყბლე* — *სიკედლი*, *სიხარული* — *მწუხარება* და სხვ.

გარკვეულ შემთხვევებში ამგვარი დაპირისპირებული სიტყვები ანტონიმებს ქმნიან. ანტონიმებიც, სინონიმთა მსგავსად, მინიმალური (ორწევროვანი) ჯგუფებია. სინონიმები და ანტონიმები იმით გაირჩევიან ერთმანეთისაგან, რომ სინონიმის შემთხვევაში ამ ჯგუფის წევრთა ურთიერთობა ემყარება აღსანიშნათა შორის მსგავსებას, ხოლო ანტონიმური ურთიერთობის საფუძველი განსხვავებაა.

მსგავსება არსებობს როგორც *ქეთინისა* და *ქეთქეთის* შორის, *ხარხარისა* და *ხითხითის* შორის, ისე *ქეთქეთისა* და *ხითხითის*, *ქეთინისა* და *ხარხარის* შორის — ორსავე შემთხვევაში ემოციების გამოვლენასთანა გვაქვს საქმე.

ასევე, განსხვავებაც არსებობს ამ ორ წყვილს შორის. ერთ შემთხვევაში (*ქეთინი — ქეთქეთი*) ერთგვარი ემოციის სხვადასხვა სახეობის გამოვლენასთანა გვაქვს საქმე; მეორე შემთხვევაში ჩვენს წინაშეა უკვე სხვადასხვაგვარი ემოცია (მწუხარება — მხიარულება: *ქეთინი/ქეთქეთი — ხარხარი/ხითხითი*)...

მაგრამ განსხვავებაცაა და განსხვავებაც. როდესაც განსხვავება სიტყვებს შორის ენის ლექსიკურ სისტემაში ფასდება როგორც დაპირისპირება, ჩვენ წინაშეა ანტონიმია: „ქალისა, რძლისა *ქეთინი* ეგონოს სიცილ-ხარხარი“ (ვაჟა), „ეტლის სიღრმეში გადავვხე და *აქეთინი*დი“ — „გამიგონე, მესაფლავე, შენ არ იცი კაცის დარდი, თორემ რაა — ჩემს თქმაზე რომ სულელივით *ახარხარდი*?“ (გ. ტაბიძე), „მოზარეების ხმებს აჰყოლიან, და*ქეთინებუნ* პეტრე, ილია“ (ვაჟა) — „დიდი ხანია იქცა არარად და და*ახარხარებს* შეფისტოფელი“ (გ. ტაბიძე)...

ანტონიმია

სიტყვათა

ქეთინი

ხარხარი

ქეთქეთი

მნიშვნელობით დაპირისპირებულნი არიან ესენიც: *ქეთინი — ხითხითი*, *ქეთქეთი — ხარხარი*, *ქეთქეთი — ხითხითი*; თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს უკანასკნელები მეტყველების პროცესში არ უპირისპირდებიან ერთმანეთს (როგორც *ქეთინი* და *ხარხარი*), ამიტომ ქართული ენის ლექსიკურ სისტემაში ისინი ანტონიმურ წყვილებს არ ქმნიან.

197. როგორც ზემოთ დავინახეთ (ანტონიმის ზოგადი დახასიათების დროს, იხ. § 32—33), ლოგიკური დაპირისპირება ცნებებისა არ ემთხვევა სიტყვათა ენობრივ დაპირისპირებას. ენაში ხშირად გვაქვს უარყოფის გამომხატველი აფიქსებით თუ ნაწილაკებით ნაწარმოები ბევრად ისეთი სიტყვა, რომელსაც „დადებითი“ (ე. ი. უარყოფის გამომხატველი აფიქსის არმქონე) სიტყვა არ უპირისპირდება, და, ამრიგად, თითქოს მოსალოადნელი ანტონიმია არ დასტურდება:

გვაქვს *უაღვილოდ* („*უაღვილოდ* დარჩა“, „*უაღვილოდ* წამოიძახა“...), ხოლო *„აღვილიანად“* არ არსებობს. ასევე „ცალი“ სიტყვებია *უაგარითოდ*, *უამანდობა*, *უამისობა*, *უაშხანავო* (კაცის ხასიათის აღსანიშნავად), *უანგარეთო* (ბევრის მნიშვნელობით), *უარაბაო*, *უბაღლო*, *უბაგონოდ* („*უბაგონოდ* ხმას ვერ გასცემს“), *უბელო* („*უბელო* ცხენს მოახტა“), *უბოდნით* („*უბოდნით* სტუმარი“), *უბრალო* („ჩვეულებრივის“, „სადას“ მნიშვნელობით: „*შეგავყარე* კიდევ ც თავი ამ *უბრალო* ლექსებით“:

გ. ტაბიძე): თუმცა არსებობს ამჟამად წყვილი: „უბრალო და ბრალიანი“ ყველას გაგებით, მაგრამ უბრალო აქ 'ბრალის უქონელს' ნიშნავს, თანაც ბრალიანი საგანგებოდ 'უბრალოს' „შესავსებად“ შექმნილი სიტყვა ჩანს: „ეო ვ ე ლ ს აჭმეში, ბრალიანი თუ უბრალო, მოწველ მე მნიშნავს“ (აკაკი), „ბრალიანი თუ უბრალო, ვისაც უჭირს და არ უჭირს, სულ ყველა რუსულად ლაპარაკობს“ (აკაკი): უბრყვილო, უგვანი, უგბილი, უგამყიდველო („უგამყიდველო ვაჭრობა“). უგვირგვინო ('ჭვარდაუწერელის' მნიშვნელობით), უზო-უკელო, უზულო (კაცის ხასიათის აღსანიშნავად), უდაბური, უდემამოდ, უდროო („უდროო სტუმრობა“), უდღური, უენო („უენო კაცი“), უორუნველი, უთავბოლო, უთენია, უთვალავი, უკეალოდ, ელუკმაპუროდ, უმსგავსი, უმატრონო, უსასყიდლო, უსაქციელო, უსინათლო, უსირცხვილო, უსწორმასწორო, უქანარა, უქორწინო. უყოლი, უცნაური, უშმაწური, უხუნარი...

არა'თი ნაწარმოები ბევრი სიტყვაც არ შედის ანტონიმურ წყვილში: არათითი, არაკაცი, არამკითხვ... არ(ა)-წინსართიანი სიტყვები თანამედროვე ქართულში ცოტა არ არის, მაგრამ უპირატესად უახლოესი ფორმაციისაა, წიგნურია, ან სპეციალური ენის კუთვნილებაა და კალკს წარმოადგენს. არამგობნელები — не жвачные по гумипантиа, არამილოვანი, не белковый, არამუწერბრივი, არამაჯერებელი, არათანასწორუფლებიანობა, არაკეონომიური, არაკეთილსამიქლო, არამეტეს... მხოლოდ ზოგიერთია მეტ-ნაკლებად ძველთაგანვე დამკვიდრებული ენაში (საბას ლექსიკონში, ამგვარია, მაგალითად, „არა-შმიდა უწმიდურივით“); მათგან რამდენიმეს, როგორც დავინახეთ, დადებითი მნიშვნელობის ფარდი (უ'არა'ო) ფუძე არ მოეპოვება, სხვებში არა'ს მქონე ფორმები მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ კონტექსტთან არის დაკავშირებული: ამგვარია: ყოუნა — არყოუნა („ყოუნა, არყოუნა, საკითხავი აი ეს არის“), ყოლა — არყოლა („შენს ყოლით და არყოლით არ გვიბედენებს ძალო“: ვაე), ჭონა — არჭონა (ანდაზაში: „ვაი ჭონავ და ვაი არჭონავ“).

ქართულ ენას აქვს მნიშვნელობათა დასაპირისპირებელი სიტყვაწარმოებითი საშუალებანი: არა-, უ-ო და -იანი, -იერი... (უწყუო—წყუიანი, უღონო—ღონიერი...), აქტიური და პასიური მიმღებობის ფორმები (მწეცხავი—სარეცხი, გამკეთებელი—განაკეთებელი...) და სხვ. მაგრამ როგორც საზოგადოდ, ისე ამ შემთხვევაშიაც სიტყვაწარმოება იძლევა ლექსიკური განსხვავების მხოლოდ შესაძლებლობებს, ამ შემთხვევაში — ანტონიმის შესაძლებლობებსა და არა თვით ანტონიმის: ბევრ შემთხვევაში აფიქსებით მოხდენილ დაპირისპირებას არ ახლავს შინაარსული დაპირისპირება: უამხანაგო და ამხანაგია-სიტყვები წარმოებით უპირისპირ-

დებიან ერთმანეთს, მაგრამ ამ დაპირისპირებაში გამქრალია უაშხანაგო-სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა — ადამიანის ხასიათის აღნიშვნა. თითო და არათითო წარმოებით დაპირისპირებული სიტყვებია, მაგრამ შინაარსეულად ასეთი დაპირისპირება არ არსებობს—თით'ს არ უპირისპირდება არათითი. სხვა შემთხვევაში, როგორც ზემოთ დავინახეთ, საპირისპირო ფორმები არ არსებობს (უგზოუკვლო, უსწორმასწორო, უთავბოლო...), ან კიდევ, დაბოლოს, დაპირისპირება შემთხვევითია, ერთგზისია, „ოკაზონალურია“ და არა რეგულარული, „უზუალური“...

როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც ნაწარმოები სიტყვის ელემენტები (აფიქსები და ფუძე) დროთა განმავლობაში ავტონომიურობას კარგავენ და ნაწარმოები ფუძის მნიშვნელობა აღიქმება არა როგორც მაწარმოებელი ელემენტების მნიშვნელობათა ჯამი, არამედ როგორც ერთი მონოლითური მნიშვნელობა.

ამიტომ თუ ერთ შემთხვევაში უ—ურ-აფიქსებით ნაწარმოებ უგუნური-სიტყვას უპირისპირდება იმავე ფუძის, მაგრამ სხვა აფიქსებით ნაწარმოები გონიერი („გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“, „ყრმავ გონება უგუნური აგონიარეო“: დ. გურამიშვილი, „უგუნურების ნიშანი გონიერებად შესცვლია“: გ. წერეთელი და სხვ.), სხვა შემთხვევაში მას შეიძლება სრულიად ახალი ფუძე — ბრძენი — დაუპირისპირდეს („ბრძენი სინათლეში დადის და უგუნური ბნელშიო“: ილია, „ხან უგუნური ვარ, ხან ბრძენი... ნუ მკიცხავთ, მნახოთ უგუნურად. ნურც გაიკვირებთ ბრძნობას“: აკაკი).

ცალკეულ შემთხვევებში უგუნურების საპირისპიროდ სხვა სიტყვებსაც იყენებენ ხოლმე. გვხვდება: აზროვნება, განათლება („ზოგჯერ დედაც ქართველია და მამაც, არც ერთი არ არის მოკლებული არც განათლებას, არც გრძნობასა და არც აზროვნებას, მაგრამ სახლობაში კი ბრმა მიმდევარნი არიან უგუნურის მოღისა“: ი. გოგებაშვილი), ჭკპუ („ეცადე, რომ შენზე უგუნურებთან თავი ჭკვიანად გამოაჩინო“: აკაკი) და სხვ. მაგრამ ამგვარი დაპირისპირება ენაში დამკვიდრებული არ არის და, ამდენად, მათ ანტონიმიის შემთხვევებად ვერ მივიჩნევთ.

დაპირისპირებისას სინტაქსური საშუალებებიც არის ხოლმე გამოყენებული, კერძოდ — კავშირები და მათი ფუნქციის მქონე ნაწილაკები:

ხან—ხან („მეც ვყვიროდი, მეგობრებო, ხან სხვებთან და ხანაც მართ“: ი. ევდოშვილი, „ხან მყივან და ხან მყბელა, ყოველთვის კი მშინაო“: აკაკი, „მთაო ცხოველო, ხან მყინარო, ხან ცრემლიანო“: ნ. ბარათაშვილი...), ვერს—ვერს („ვერს ვერას ვხედავ, ვერს ვერა მესმის რა“: ილია, „ვერცა რა თავსა ვუშველე, ვერც გაჭირვებას ძმისასა“: ვაჟა, „იგი ვერც

შარსულს გამოაბრუნებს და ვერც მომაყალს ვერ მიეწევა“: გ. ტაბიძე)... აქაც საქმე გვაქვს დაპირისპირების შესაძლებლობათა შემთხვევითს რეალიზაციებთან. ჩვენს ერთ-ერთ მაგალითში ძმა და შაყი არის დაპირისპირებული, მაგრამ ეს დაპირისპირება რეგულარული არ არის: ძმა-სიტყვას სხვა შენაწევრებში სხვა სიტყვები შეიძლება დაუპირისპირდეს: „მე ძმა ვარ და ის და არის, რათ ვძულდებით ერთმანეთსა“ (ხალსური), „ძმას ძმობილი რით ემჯობინება: ძმა ძმაყ არის და ძმობილიყათ“ (ხალსური) და სხვ.

198. ჩვეულებრივ, ანტონიმები ისეთი ურთიერთსაპირისპირო სიტყვებია, რომლებიც ენაში დამკვიდრებული და დამოკიდებული არ არის ამ, თუ იმ კონკრეტულ კონტექსტზე ან სათანადო კონკრეტულ სიტუაციაზე.

როგორ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან შემთხვევითი დაპირისპირება და რეგულარული, ენაში დამკვიდრებული დაპირისპირება — ანტონიმია? იმისათვის, რომ სიტყვათა დაპირისპირება დამკვიდრდეს ენაში, მნიშვნელობა აქვს, ცხადია, მათ ხშირ განმეორებულობას. ამ განმეორებას ხელს უწყობს დაპირისპირებული სიტყვების ერთდროული არსებობა საყოველთაოდ გავრცელებულ გამოთქმებში — შორსულ ციტატებში, ანდაზებში, სიტყვის მასალაში და სხვ.

თეთრი—შაყი: „თეთრი კბილი და შაყი გულიო“, „თეთრი ძაღლი და შაყი ძაღლი ორივე ძაღლიაო“, „შაყი ცხვარი ბანით მოკლეს, თეთრი დაუბანლობითაო“, „შაყი თეთრად ეჩვენებაო“, თეთრი ქორისა მეგონა, შაყი შავარდნის ბუდეო“, „შაყი ხარ და შახი ხარ, თეთრი ხარ და ლაყე ხარო“, აგრეთვე „თეთრი და შაყი პური“, „თეთრი და შაყი ყურძენი“, „თეთრებით და შაყებით თამაში“ და სხვ. და სხვ. თეთრი- და შაყი-სიტყვების ამგვარი დაპირისპირება იმიტომ მიიჩნევა ანტონიმიად, რომ ეს დაპირისპირება დამკვიდრებულია ენაში. სამაგიეროდ ანტონიმებს არ წარმოადგენს ენაში არსებული, მაგრამ არა საყოველთაოდ გავრცელებული თეთრი-და შითელი-სიტყვების დაპირისპირება („თეთრი ღვინო და შითელი ღვინო“, „თეთრები და შითლები“), შითელი-და შაყი-სიტყვების დაპირისპირება (*წითელირანაშელი — შაყი, ზაქელი*)... ანტონიმებს არ ქმნიან სიტყვები შითელი და იისფერი, თუმცა რეალურად, მზის სპექტრში, მათ შესაბამე ფერებს საპირისპირო ადგილები უჭირავთ — უკიდურესი წევრები არიან (შდრ. „ულტრაიისფერი სხივები“ და „ინფრაწითელი სხივები“), ამიტომ თითქოს დაპირისპირებულ სიტყვებს უნდა წარმოადგენდნენ.

აყ — კარგი: ქართულ ანდაზებში ფართოდ არის გავრცელებული ამგვარი დაპირისპირება: „აყ დროში ცოლი შეირთე, კარგ დროში გა-

მოგადგებაო“, „აჲი არ მაკადრიანო, კარგი არ მაღირსიანო“, „აჲი მეზობლის ჳირიმე, კარგი რალა იქნებაო“, „აჲი თქვი, აჲიჲ გაიგონეო, კარგი თქვი, კარგიჲ გაიგონეო“, „აჲია თუ კარგიაო, ქალო შენი ქმარი-აო“, „აჲისა კარგიჲ ნუ გინდაო“, „აჲმა სახლმა აჲი გამომიყვანა და კარგმა—კარგიო“, „კარგი მეწისქვილისა სული ჳოჯოხეთშია, აჲისა საღლა იქნებაო“, „კარგი ცხენი ქერს მოიმატებს, აჲი—მათრახსაო“, „კარგი შვილისათვის სახლის აშენებაზე ნუ იზრუნებ, აჲ შეიღს ნუ დაუქცევო“, „აჲ თვალს კარგს ნურას უჩვენებ, აჲ ყურს კარგს ნურას ეტყვიო“, „ბავშვისაგან გაიგებ ოჯახის კარგსაჲ და აჲსაჲო“, „კარგმა ძაღლმა აჲ კაცს აჯობაო“, „კარგს დამალავენ, აჲს მალე იტყვიანო“.. ლიტერატურაში: „აჲ თუ აჲი არ ვაგინე, კარგი როგორ უნდა ვაქო, აჲს თუ აჲი არ ვუწოდე, კარგს სახელი რა დავარქო“ (დ. გურამიშვილი), „კარგი რამ მჳირდეს, გიკვირდეს, აჲი რა საკვირველია“, „თქვენი თათბირი აჲიჲს სხვისა კარგისა მჯობია“, „აჲსა კარგად ვერვინ შეცვლის“ და სხვ.

ცხადია, სიტყვები კარგი და აჲი ანტონიმის გარეშე იხმარება. ე. ი. მაშინაც, როდესაც საპირისპირო სიტყვა ფრაზაში არც მონაწილეობს და არც იგულისხმება: „აჲი ძაღლი არც თვითონ ჳამს და არც სხვას აჲმევესო“. აჲ კარგი, ცხადია, არ იგულისხმება როგორც აჲი“ს საპირისპირო სიტყვა (ვთქვათ, „კარგი ძაღლი...“), „ტოროლას მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რომ მჳონდეს წამალი, საწყალი ღამის მეხრისა, ის არის კარგი მამალი“... აჲ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება როგორც ანტონიმური, საპირისპირო — „აჲი მამალი“...

ასი — ერთი: „ას თათარში ერთი ქართველი ვერ ვნახეო“, „ასი დამკარ და ერთი სწორა მათქმევიწეო“, „ასი ერთად და ერთი ასადო“, „ასი კაცის ნუ გეშინია და ერთი კაცის გეშინოდესო“, „ასი ნათლიდელასაო და ერთი სეინასაო“, „ასი წლის დედალს ერთი წლის მამალი სჯობიაო“, „ასმა კაცმა ასი ცხვარი შეჳამა და ერთმა კაცმა ერთი ცხვარიც ვერაო“, „ასი ტყუილი რომ თქვა, განა ერთ მართლადაც ჩაგეთვლებაო!“ „ერთი რომ ასჯერა ვთქვა, ასი რამდენჯერ ვთქვაო“, „ერთმა სულელმა ზღვაში ძვირფასი თვალი ჩააგდო და ასმა ჳკვიანმა ვერ ამოიღოო“, „ერთმა გამტანმა აჯობა ას შემომტანსაო“, „ერთმა მეკომბლემ აჯობა ას მექურქულესო“, „ერთმა წვირიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო“, „ასი კაცი ცხენს ჳკიდებდა, ვაი ერთო კაცო“... ასევე გავრცელებულია ერთი- და ასი-სიტყვების დაპირისპირება მხატვრულ ლიტერატურაში. კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში“: „ფათერაკი სწორად მოჳკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი“, „ივი გაჳხდის წამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“ და სხვ. ანდაზაში (რომლის ერთი ვარიანტი ზემოთ მოვიყვანეთ) ასი-სიტყვას გვერდით ერთი არ უდგას, მაგრამ იგულისხმება კი: „ასი

კაცი ცხენს კაზმავდა, ვაი უკაცობასაო“. აქ ენობრივად გამოხატულია დაპირისპირება კაცი — უკაცობა, მაგრამ ამავე ანდაზაში იგულისხმება ასი-და ერთი-სიტყვების ანტონიმია: ცხენს ხომ უთუოდ ერთი კაცი კაზმავს ხოლმე.

ამრიგად, ანტონიმი ცალდაც შეიძლება იხმარონ. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც სიტყვის სემასიოლოგიური ხასიათი (მნიშვნელობა) განისაზღვრება არა მხოლოდ მისი დადებითი ნიშნებით („ხასიათდება ამით და ამით“). არამედ — უარყოფითითაც („ამ სიტყვისათვის დამახასიათებელი ისიცაა, რომ სათანადო მოვლენას ესა და ეს თვისებები არა აქვს“), ე. ი. ასეთ შემთხვევაში სიტყვის ხმარებისას ფარულად მონაწილეობს მისი საპირისპირო სიტყვა: საპირისპირო სიტყვა მკაფიოდ გამოკვეთს ამ სიტყვის საზღვრებს.

199. დავუბრუნდეთ ისევ ერთი — ასი'ს ანტონიმიას: ანდაზებში აშკარად ჩანს, რომ ამ ანტონიმიის საყრდენ სიტყვას ქმნის ასი:

პირველ ყოვლისა, ასი ანდაზებში ცალკე (ერთი-სიტყვასთან შეუპირისპირებლად) შეტად იშვიათად იხმარება.

აი, ასი'ს შემცველი ამგვარი ანდაზები: „ასი ურტყი დავითასა, მაინც იტყვის თავისასა“, „ასი წლის დედაბერი ლეკურს სწავლობდაო“, „ასმა მიიწია, ასი დაეტიაო“, „ასმა ცხვარმა ხეს შეაბღავლა და ხე გახმაო“. არც ერთ ამათგანში ასი'ს საპირისპირო ერთი არ იგულისხმება.

ერთი ასე დამოუკიდებლად (ასი-სიტყვასთან შეუპირისპირებლად) გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება.

გარდა ამისა, ერთი უპირისპირდება არა მხოლოდ ას'ს, არამედ ორი, მეორე, ცხრა, ათასი, ყველა-სიტყვებს:

ერთი — ორი: „ერთ მკვდარს ორ საფლავში არ მარხავენო“, „ერთ ქარქაშში ორი ხანჯალი არ ჩაიგებაო“, „ერთი მუგუზალი ბრჩოლავს, ორს ცეცხლი უკიდია“, „ერთი სალი თვალი ორ ბრუციანს სჯობიაო“, „ერთი ტიკისა არ იყო, ორში ასხამდნენო“, „ერთი ნახეა ცნობაა, ორი ნახეა ძმობაო“, „ერთი ცხვარი ორჯერ არ გატყავდებო“, „ერთი ხელი ჩუმად არის, ორი გაიღებს ტყაცანსო“, „ორი ნესვი ერთი ხელით არ დაიჭირებო“...

ერთი — მეორე: „ერთი ცხვრისკენ, მეორე მგლისკენო“, „ერთი კარი რომ მოიხურება, მეორე გაიღებო“...

ერთი — ცხრა: „ერთი დამპალი ვაშლი ცხრა ვაშლს დაალობსო“, „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“, „ცხრაჯერ ძველმა გამახარა, ერთხელ ახალმაო“...

ერთი — ყველა: „*ყველა* ძალი ერთი ჯოხით არ გაიდენებაო“, „*ერთ* თითს რომ მოკაცვავ, *ყველა* მოიკაცვებაო“...

ერთი — ათასი: „*ერთ* ცხვარსაც მწყემსი სჭირდება და *ათასსაცაო*“, „*ერთი* ბერი მგელი კვდება, სხვა *ათას* ლეკვი რჩებაო“...

ამ მაგალითებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ წყვილთა შორის ანტონიმური ხარისხი სხვადასხვაგვარია: *ანი-* და *ერთი-*სიტყვების დაპირისპირება ყველაზე მრავალრიცხოვან შემთხვევებში გვაქვს და, შესაბამისად, ეს დაპირისპირებაც უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე, მაგალითად, *ერთი* და *ორი* სიტყვების დაპირისპირება, დანარჩენებთან ხომ შედარებაც არ შეიძლება — ისეთი დიდია განსხვავება ხმარების სიხშირეში.

200. ანტონიმია შეიმჩნევა უპირატესად ისეთ სიტყვებში, რომლებიც გამოხატავენ რაიმე მოვლენის („საგნის“) თვისებას, ან მის შეფასებას წარმოადგენენ მეტ-ნაკლები ძალის, ღირებულების, წონის, სიდიდის, მოცულობის და ა. შ. მიხედვით.

აი, რამდენიმე მაგალითი საყოველთაოდ გავრცელებული ანტონიმისა: *ახალი* — *ძველი*, *ახლოს* — *შორს*, *ახლობელი* — *შორეული*, *ბნელი* — *ნათელი*, *გემრიელი* — *უგემური*, *დარი* — *ავდარი*, *ზარმაყი* — *ბეჯითი*, *თავი* — *ბოლო*, *იშვითად* — *ხშირად*, *კეთილი* — *ბოროტი*, *ლამაზი* — *უშნო*, *მაგარი* — *რბილი*, *მადლი* — *ცოდვა*, *მართალი* — *მტყუანი*, *მალაღი* — *დაბალი*, *მაძლარი* — *მშიერი*, *მდიდარი* — *ღარიბი*, *მრუდე* — *სწორი*, *მუქი* — *ღია*, *ნაკლები* — *მეტი*, *პატარა* — *დიდი*, *ცარიელი* — *სავსე*, *ცოტა* — *ბევრი*, *ცოცხალი* — *მკვდარი*, *ჭირი* — *ღბინი* და სხვ.

მოდღვრება ანტონიმების შესახებ ლექსიკოლოგიის მთელი დარგია. ანტონიმთა შესწავლამ უნდა გამოავლინოს ცოცხალი, მოქმედი კავშირები სიტყვათა შორის, ამ კავშირთა ისტორია — დროში ცვალებადობა, ამ კავშირთა მიმართება სიტყვაწარმოებასთან, ანტონიმის გავლენა ცალკე სიტყვის მნიშვნელობაზე, გრამატიკულ ბუნებაზე თუ ფონეტიკურ სახეზე.

ლექსიკური პარადიგმატიკის სხვა მოვლენები

201. პარადიგმატული ასპექტით ლექსიკის შესწავლა გულისხმობს არა მხოლოდ სინონიმებისა და ანტონიმების კვლევას, არამედ მნიშვნელობით ახლო მდგომ სიტყვათა კვლევასაც, რამდენადაც ეს სიახლოვე გავლენას შეიძლება ახდენდეს თითოეული მათგანის, ან ერთ-ერთის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუნებაზე.

პარალელიზმი პოლისემიაში დასტურდება არა მხოლოდ სინონი-

მებში, არამედ, აგრეთვე, მნიშვნელობით ერთგვაროვან სიტყვათა მთელ კლასებში, მაგალითად, ხ ე ხ ი ლ ის ა და ხ ი ლ ის (ნ ა ყ ო ფ ის) სახელებში:

- აღუბალი: ხ ე — „აღუბლის ბაღი“. „გაჩერდა სამტრია აღუბლის ძირში“ (ე. ნინოშვილი). ნ ა ყ ო ფ ი — „აღუბლის მურაბა“. „აღუბალზე დაყენებული არაყი გირჩევენია თუ პიტნაზე“ (რ. ინანიშვილი).
- ატამი: ხ ე — „ატმის ყვავილი“ „მოაგონდა ციხის ეზოში აყვავებული ატმები“ (კ. გამსახურდია). ნ ა ყ ო ფ ი — „ატმის კურკა“. „ყურძენიც მწიფდა, ატამიც თვალშესული იყო“ (თ. რაზიკაშვილი).
- ბალი: ხ ე — „ბლის ქერქი“. „თქვენს წინ არის მდიდარი სუფისის ქალა მაისის ბლებით“ (ნ. დუმბაძე). ნ ა ყ ო ფ ი — „ბლის კუნწულა“. „მარგალიტის ტყუპის ცალი ტოკავს ბალი ნებანება“ (გ. ლეონიძე).
- თუთა: ხ ე — „თუთის ფოთოლი“. „ისევე იქ დგას ჩრდილი თუთის, ცაცხვები კი გადახმა“ (გ. ტაბიძე). ნ ა ყ ო ფ ი — „თუთის ბაქმანი“. „სხივთან ერთად ჩამოვარდა ხიდან ჩიტისაგან დაკენილი თუთა“ (გ. ლეონიძე).
- ვაშლი: ხ ე — „ვაშლები უდგას“. „ვაშლებქვეშ კვლავ ბნელოდა“ (ა. გამყრელიძე — თარგმანი). ნ ა ყ ო ფ ი — „ვაშლის პიურე“. „ქკუტა ვაშლს ჩირავდა“ (ა. გეწაძე) და სხვ.
- ასევე ხ ე და მ ე რ ქ ა ნ ი როგორც მასალა:
- ბზა: ხ ე — „ბზის შტო“, „ბზის მოკრა“. მ ე რ ქ ა ნ ი — „ბზის კოვზი“. „ბზის სავარცხელი“.
- კაკალი: ხ ე — „კაკლის ქვეშ დასხდნენ“. მ ე რ ქ ა ნ ი — „კაკლის ავეჯი“.
- მუხა: ხ ე — „დაბურულ ტყეში დიდი მუხა იდგა“. მ ე რ ქ ა ნ ი — „მუხის პარკეტი“.
- წაბლი: ხ ე — „წაბლის ტყე“. მ ე რ ქ ა ნ ი — „წაბლის ოდა“ და სხვ.

უფრო სუსტად, მაგრამ მაინც ცალკე მნიშვნელობად „იგრძნობა“ ც ხ ო ვ ე ლ ის ან ფრინველის აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება მათი ხ ო რ ც ი ს როგორც საკვების აღსანიშნავად:

„ქათმის ჩახოხბილი“, „ინდაურის საცივი“, „ირმის მწვადები“, „ცხვრის ხაშლამა“, „ლორის კუპატები“ და სხვ. *.

შესაძლებელია სამსავე შემთხვევაში (ხ ე ხ ი ლ ი — ნ ა ყ ო ფ ი. ხ ე — მ ე რ ქ ა ნ ი, ც ხ ო ვ ე ლ ი — ხ ო რ ც ი) მნიშვნელობათა დაყოფის ერთ პრინციპთან გვეკონდეს საქმე: ბუნების საგანი და მოსახმარად ვარგისი მისი ნაწილი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ (იხ. § 143), რომ სხეულის ნაწილთა სახელები რეგულარულად გამოიყენება ნახელავის ნაწილთა სახელებადაც: *თაყი, ყური, ცხვირი, თვალი, ტუჩი, ყელი, მუცელი, ხელი, თითი, ფეხი...* აქაც მნიშვნელობით ერთგვაროვან სიტყვათა მთელი კლასი ავლენს პარალელისმს პოლისემიაში **.

ლექსიკური პარადიგმატიკა და ცვლილებანი ლექსიკაში

202. სინონიმის შექმნის საფუძველი, როგორც ცნობილია ჩვეულებრივ, გარეენობრივი მოვლენებია: დიალექტურ დუბლეტთა თავმოყრა (*თოკი — ბაშარი, ბურჩი — ჩირგვი, დეკეული — უშობელი, კნუტი — ცანდალი...*), უცხოენობრივის (ინტერნაციონალურის) და ქართული (ზოგჯერ ისევ უცხო წარმოშობის) მასალის შეხვედრა (*ბიუჯეტი — ხარჯთაღრიცხვა, მალარია — ციება, პროგრესი — შინსვლა, სატელიტი — თანამგზავრი*). მნიშვნელობის გაბუნდოვანება სათანადო რეალიტების გაქრობის გამო (*ჭენება — ჯირითი, ქვაკუთხედი — დედაბოძი, თაკარა — ქაპანაქება...*). დაწერილობით იხ. § 178—181.

მაგრამ მას შემდეგ, რაც სინონიმია შეიქმნა, სინონიმთა ურთიერთობა უპირატესად გარეენობრივ ფაქტორთა ჩაურევლად წესრიგდება. ეს მოწესრიგება სხვადასხვაგვარად ხდება.

თუ სინონიმურ სიტყვათა შორის მნიშვნელობის სხვაობა არ შეიმჩ-

* რუსულ ენაში საგანგებო გრამატიკული საშუალებით — სუფიქსაციით — არის გამოყოფილი ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვისაგან მისი ხორცის აღნიშვნა: *конец-конина, свишня-свинина, осетр-осетрина, говядина* (შდრ. ზვ. *говядо*), *дохлятина* 'ღუმი, მძორი'.

** „არ შეიძლება მნიშვნელობის დავიწროების (ჩვენ ვიტყვით: „ცვლის“—ბ. ფ.) ყოველი მაგალითი გენეტურად აეხსნათ. რაკი ენაში წარმოიქმნა გარკვეული ტიპი სიტყვებისა, რომელთაც ჰქონდათ დავიწროებული მნიშვნელობა, სხვა სიტყვებს შეეძლოთ დამორჩილებოდნენ მათ ანალოგიით, ისე რომ, დამოუკიდებლად არ გაეყოლოთ მთელი გრძელი გზა“ [222].

ნევა, სინონიმის არსებობა ხშირად იწვევს სინონიმთა კონკურენციას ლა ზოგჯერ ერთ-ერთის გ ა ქ რ ბ ა ს.

ასე განდევნა ღერღები უცხოური (ნასესხები) ბატი-სიტყვის კონკურენციამ, კულური — მისმა სიტყვაწარმოებითმა ღებღებმა კულანი-სიტყვამ, ასევე კონკურენტი-სინონიმები განდევნეს შემდეგმა სიტყვებმა: აბრეშუმი (— კიზნაური), კვირა (— ერთშაბათი), მასი (— ეარღობისთე), აღმასი (— ადამანტი), ბუღბული (— იადონი: არის ცდები, რომ სინონიმთა ამ წყვილის მეორე წევრი შეუნარჩუნონ სალიტერატურო ქართულს — სახელწოდება იადონი „მიამაგრონ“ 'კანარის ჩიტს'), ჯაშუმი (— მსტოვარი), ფერფლი (— ავლი), უზანგი (— აყანდა), ბერკეტი (— აზარმაცი), ალვა (— სარო), სიმი (— ალყა, ძალი), იქ (— მუნ), სასიამოვნო (— ამო), უყვარი (— ანაზდა), ანჩხლი (— გლისპი), შილი (— არჩივი), ვედრება (— აჯა), აუცილებელი (— მიუცილებელი), ბარტყი (— ბლარტი), ასანთი (— შუშუშუშა), შერილი (— ბართი: მართალია, ბართი კანკელარის ენას შემორჩა გამოთქმებში „მოხსენებითი ბართი“. „განმარტებითი ბართი“: „ღია ბართიც“ უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე „ღია წერილი“, მაგრამ ჩვეულებრივი წერილის აღსანიშნავად დღევანდელ ქართულში ბართი-სიტყვა, შეიძლება ითქვას, აღარ გამოიყენება)...

203. სინონიმთა ურთიერთობის მოწესრიგება არაიშვიათად ხდება მათი მნიშვნელობის დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ც ი ი ს გზით.

მნიშვნელობის დიფერენციაციის ნიმუშია ფანჯარა- და სარკმელი-სიტყვების ურთიერთობა. ადრე ეს უკანასკნელიც (სარკმელი) 'ფანჯარას' აღნიშნავდა (იხ. ზემოთ § 26), მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ფანჯარა-სიტყვის გაბატონების გამო შეინიშნება სარკმელი-სიტყვის ხმარება რუსული чорто́чка-ს ფარდად. „ცნობათა ბიუროს სარკმელი“. „სალაროს სარკმელი“. „ამ დროს ფანჯარას ალებენ, თუ ზამთარია — სარკმელს მაინც“ (პრესიდან).

ზემოთ აღნიშნული ცდა იადონი-სიტყვის ხმარებისა 'კანარის ჩიტის' მნიშვნელობით ისევ ამ— სინონიმთა დიფერენციაციის — ტენდენციის გამოვლენაა: რაკი ბულბული'ცა და იადონი'ც ერთსა და იმავეს აღნიშნავს, ცდილობენ ერთი ამ სიტყვათაგანი სხვა ფრინველს „მიამაგრონ“.

ცნობილია, რომ ასლი არაბულიდან არის ნასესხები და 'დედანს'. 'ნამდვილს' ნიშნავს: „ეს ქალი ასლი საშენოა“ (ან. ერისთავ-ხოშტარია). 'დედანის' აღმნიშვნელი ორი სიტყვის (ასლი, დედანი) თავმოყრამ ხელი შეუწყო მათი მნიშვნელობის დიფერენციაციას: „ასლი დედანთან სწორია“ — ამ და ბევრ სხვა გამოთქმაში ასლი სწორედ იმის საპირისპიროს აღნიშნავს, რასაც დედანი ნიშნავს — 'პირს', 'კაპიოს'

(ა. შანიძე). ამ უხერხულობის ასაცილებლად ცდილობენ დღეს თავაარიდონ საზოგადოდ ახლი-სიტყვე-ს ხმარებას. სინონიმთა კონკურენცია ამ შემთხვევაში ერთ-ერთის განდევნის ტენდენციაში ვლინდება.

აშ მნიშვნელობით იგივეა, რაც 'ახლა, ამჟამად': „აშ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“, „რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ, ძნელი არის აშ სათქმელად“ (აკაკი), „ეჰ, ვოცნებობდით თურმე ბალღურად, გვიანლა არის აშ დანანება“ (ა. აბაშელი)... აშ-სიტყვის ფარდია მნიშვნელობით ახლა (თავდაპირველი მნიშვნელობა ახლა-სიტყვისა იქნებ განსხვავებული ელფერისა იყო. შდრ. „ერთს ავს ფიქრს რომ აიცოლებდა, ახლა უფრო უარესს წააწყდებოდა“: ილია). აშ- და ახლა-სიტყვების სემანტიკური სიახლოვე გახდა ალბათ მიზეზი პირველი ამათგანის მნიშვნელობის გადაწევისა ზოგ კილოში: გურულში და იმერულში აში (აშე) მომავლის ზმნისართია — ნიშნავს „ამის შემდეგ“: „სულაც აღარ გაგეკარები აში“ (ე. ნინოშვილი).

სიმღერა ოდესღაც 'თამაშს' ნიშნავდა, გალობა — იმას, რასაც დღეს სიმღერა ნიშნავს. მაგრამ მას შემდეგ, რაც სიმღერა- სიტყვამ 'გალობის' მნიშვნელობა მიიღო (იხ. ქვემოთ § 214), ნელ-ნელა მოხდა ამ სინონიმთა მნიშვნელობის დიფერენციაცია: გალობა 'მხოლოდ სასულიერო, საეკლესიო გალობას' აღნიშნავს, სიმღერა კი — საეროს.

სიმღერა- და გალობა-სიტყვების ფუძეთა სინონიმურობა აქა-იქ მაინც გვხვდება XIX—XX სს მწერლობაში: „ეგ ზემოაღნიშნული სიტყვები რომ გამოაკლო თავის სიმღერას, უკეთესი მგალობელი იქნები“ (ვაჟა), „ერთი და იგივე გალობის მომღერალნი“ (ჭ. ლომთათიძე), „დედამისი მღერის ჰგონია, როცა მგალობელი ჩიტის ხმა მოესმის“ (ჭ. ლომთათიძე).

ემოციური იერის მიხედვით მოხდა ბატონი- და ვაჟბატონი-სიტყვების დიფერენციაცია.

XIX საუკუნის გასულამდე ბატონი იხმარებოდა (მიმართვაში მაინც) როგორც მამაკაცის, ისე ქალის მიმართ; აკაკი წერილებში ასე მიმართავს ხოლმე დედას: „უსაყვარლესო ბატონო დედა!“, „უძვირფასესო ბატონო დედა!“... ახლაც, გადმონაშთურად; ბატონო-სიტყვას ვიყენებთ პატივსაცემ ქალთან საუბრის დროს: „დიად, ბატონო!“, „მობრძანდით, ბატონო!“ — ახლაც ჩვეულებრივია, თუმცა ქალთან ლაპარაკისას უკვე ქალბატონ-სიტყვას ვაძლევთ უპირატესობას. მიმართვის (დაძახების) პასუხადაც მუდამ ბატონო-სიტყვით შევეხმიანებით არა მხოლოდ მამაკაცს, არამედ ქალსაც.

წინათ ბატონი-სიტყვის ფარდი იყო როგორც ქალბატონი, ისე ვაჟ-

ბატონი; ეს უკანასკნელი უარყოფით ემოციურ იერს არ შეიცავდა. აი, როგორ აღწერს, მაგალითად, აკაკი ერთ-ერთ თამაშობას: „ბატონებიას“ თამაშს დავიწყებდით ხოლმე: ზოგი ქალბატონს წარმოადგენდა, ზოგი ვითომ ვაჟბატონი იყო, ზოგიც მხლებლები“. სხვა მაგალითი: „თქვენის კარგად ყოფნით, ბატონო, დავლევთ და დავლევთ ჩვენი ახალგაზრდა ქალბატონის და ვაჟბატონის სადღეგრძელოს“ (ე. ნინოშვილი). მას შემდეგ, რაც პატივსაცემი ქალის აღნიშვნაში ქალბატონი დამკვიდრდა, ბატონი უპირატესად ქალბატონის საპირისპირო მნიშვნელობით დარჩა, ე. ი. 'მამაკაცი ბატონის' და 'პატივსაცემი მამაკაცის' მნიშვნელობა მიიღო. რევოლუციამდე ყოველი თეატრალური სეზონის დასაწყისში პრესაში ქვეყნდებოდა დასის წევრთა — მსახიობთა სია, ამასთანავე მამაკაცებისა და ქალების გვარები ცალ-ცალკე იყო დაწერილი (ანბანის მიხედვით): ქ-ნნი (ქალბატონნი) ესა და ეს და ბ-ნნი (ბატონნი) ესა და ესო.

ამრიგად, ბატონი და ვაჟბატონი სინონიმებად იქცა. ეს სიტყვები ძალიან ჩქარა განსხვავდნენ ემოციური ელფერის მიხედვით — უარყოფითი ელფერი ვაჟბატონი-სიტყვას დაუმკვიდრდა; პირველ ხანებში (როდესაც იგი ბატონი-სიტყვის გვერდით არსებობდა როგორც 'მამაკაცი ბატონის' აღმნიშვნელი სიტყვა) აღბათ გადატანითი ხმარებისას ჰქონდა ამგვარი (უარყოფითი) ელფერი და ამიტომ გვხვდება ხოლმე მის გვერდით თავაზიანობის გამოხატველი ზმნა — ისიც გადატანით ნახმარი უარყოფითი იერით: „შენი ნება თუ იქნება, კი ვიცი, არ მიირთმევ, ვაჟბატონო, მაგრამ აქ თამაშის ნებაა!“ (ვაჟა), „დაგინახეთ, ვაჟბატონო, დაგინახეთ. ვიცით, ვინცა ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ი“ (ვაჟა).

თავაზიანობის გამომხატველ ზმნათა გარეშე ვაჟბატონი-სიტყვის უარყოფითი იერით ხმარების ორიოდე მაგალითს მოვიყვანთ: „აი, ხედავთ, ამ ვაჟბატონს, ყველაზე წინ რომ დამდგარა და სახეზეც აწერია: „თ ა ვ მ ო ყ ვ ა რ ე!... მ ე ტ ი ჩ ა რ ა“? (აკაკი), „მე დიდიხანია კარგად ვიცნობ თქვენისთანა ო რ გ უ ლ, დ ვ ა რ ძ ლ ი ს ა და უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ი ს მ თ ე ს ა ვ ვ ა ჯ ბ ა ტ ო ნ ე ბ ს“ (ნ. ლომოური), „ზოგიერთ ვაჟბატონ-ქალბატონებს ღირ ს ბ რ ბ ი ნ ე დ მი ა ჩ ნ ი ა თ შე მ დ ე გ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს წ ა მ ო რ ო შ ვ ა...“ (ნ. ლომოური). აქ რომ ვაჟბატონი უეჭველად უარყოფითი ელფერის სიტყვაა, ჩანს კონტრესტიდან: თავმოყვარე, მეტიჩარა, ორგული, შამორიშვა, ღვარძლისა და უთანხმოების მთესავი.

ბატონი და ვაჟბატონი ამჟამად მკაფიოდ არის განსხვავებული ემოციური იერით: ვაჟბატონი მხოლოდ უარყოფითი ელფერით იხმარება (ქალბატონი, რომელსაც სინონიმი არა ჰქონია, უარყოფითი იერი-

თაც გამოიყენება). *ვაჟბატონი*'ს „გენეალოგია“ ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: I. ბატონი, II. ბატონი||*ვაჟბატონი* და ბატონი||*ქალბატონი*, III. ბატონი||*ვაჟბატონი* და *ქალბატონი* და, ბოლოს, IV. ბატონი (ნეიტრალური ემოციური ელფერი) — *ვაჟბატონი* (უარყოფითი ელფერი) და *ქალბატონი* (ნეიტრალ.—უარყ.).

საინტერესო ისტორია აქვს *ფოთლი-* და *ფურცლი-*სიტყვების ურთიერთობას.

სავარაუდოა, რომ ეს ორი სიტყვა ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია. ყოველ შემთხვევაში, კილოებში გვხვდება *ფოთოლი* და *ფოთელი*. რომლებიც ფონეტიკურად *ფოთოლი-* და *ფურცელი-*სიტყვებს შორის დგანან. საბას ლექსიკონში მოცემულია ცდა მათი მნიშვნელობების გამოჩვენისა: „*ფურცელი* ეწოდების ხეთა და მოლთა მწვანესა, ხოლო *ფოთელი* ყვავილთაგანსა ერთსა ფურცელსა“. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში *ფოთოლი* არის ის, რასაც საბა *ფურცელი-*სიტყვით აღნიშნავდა: „ქართ დატირებული, უნუგეშოდ შთენილი, მიწას ფარავს *ფოთოლი* ხიდან გადმოცვენილი“ (გ. ტაბიძე), „ქარი ქრის, ქარი ქრის. ქარი ქრის, *ფოთლები* მიქრიან ქარდაქარ“ (გ. ტაბიძე), ხოლო *ფურცელი* ეწოდება 'მცენარის ყვავილის გვირგვინის ერთ ნაწილს' (ე. ი. იმას, რასაც საბამ *ფოთელი* უწოდა); *ფურცელი-*სიტყვის ამგვარი გაგება მხატვრულ ლიტერატურაშიც დასტურდება: „არ დაიფუშა ვ არ დის *ფურცელი*“ (ს. ჩიჭოვანი), „შენ ზამბახის *ფურცელი* ხარ“ (ი. გრიშაშვილი), „...დასცვივდა შემდეგში *ფურცლები* მის ვარდს“ (აკაკი), „ყველა სახე პეპლები ყვავილთ *ფურცლებზე*“ (ვ. ბარნოვი), „ნარგიზმან *ფურცელი* გარდაიშალა“ (ნ. ბარათაშვილი)...

ფურცელი აღნიშნავს წიგნის ან რვეულის გარკვეულ ნაწილსაც... 'ქალაღლის ნაქერს, ჩვეულებრივ, ოთხკუთხედს'.

ფურცელი და *ფოთოლი-*სიტყვების მნიშვნელობათა ეს გარჩევა რომ მეორეულია, ამას ადასტურებს გამოთქმები: „ვერხვის *ფურცელი*“, „ვაჟი ვით ვაზის *ფურცელი*“ (გ. ლეონიძე), „და დილის ნამი კვლავ იკამკამებს ალუბლისა და წაბლის *ფურცლებზე*“ (ი. გრიშაშვილი), „და ფნის *ფურცელი*“ (ნ. ლორთქიფანიძე), „ერთსა ალვისა ხეზედა თორმეტი ტოტი აბია, სცვივა და სცვივა *ფურცელი*, მაინც იმდენი ასხია“ (ხალხური). 'წიგნის ფურცლის' აღსანიშნავად გარეკახეთში *ფოთოლი-*სიტყვაც არის დადასტურებული [121]: „ერთი *ფოთოლი* გათავდა? ე, შე ოხერო წავლაო“ — ჩაურთო ინფორმატორმა, როდესაც დაინახა, რომ ენათმეცნიერმა — ტექსტის ჩამწერმა რვეულის ფურცელი შეავსო.

ფურცელი — ფოთოლი'ს მსგავსი ურთიერთობა (ე. ი. სემანტიკურა დიფერენციაცია ფონეტიკურ დიფერენციაციასთან ერთად) სხვა შემთხვევებშიც დასტურდება: ყარბი—ღარიბი: „უნდა წავიდეს უცხოეთს, იქ შეეთვისოს ყარბად. თუ სამშობლოში დარჩება, უნდა იცხოვროს ღარიბად“ (აკაკი), ან კიდევ: „ქვეყნის შვილი, ქვეყნის მოძმე ქვეყანაში ყარბი ვარ; მაშინ უფრო მდიდარი ვარ, როცა უფრო ღარიბი ვარ“ (აკაკი). იხ. აგრეთვე მრთელი — მთელი [26]...

სინონიმების მნიშვნელობათა დიფერენციაცია უეჭველი ფაქტია. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საამისო მაგალითი მოვიყვანეთ. ლექსიკოლოგიის ამოცანაა — რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი მასალის მიზიდვით შეეცადოს დიფერენციაციის ცალკე სახეობათა (ტიპთა) და ზოგადი კანონზომიერების დადგენას.

სინონიმია ზოგჯერ იწვევს გრამატიკულ ნიშან-თვისებათა ნიველირებასაც.

მას შემდეგ, რაც ჯირით-ფუძემ ჭენება-სიტყვის ფუძის მნიშვნელობა მიიღო (იხ. § 181 შმდ., აგრეთვე § 195), იგი გრამატიკულადაც გაუთანაბრდა ამ ფუძეს და ამჟამად გვხვდება გა-ჭუნ-ღ-ებ-ა, გა-ა-ჭუნ-ებ-ს, ი-ჭუნ-ებ-ს და მსგ. ზმნების ფარდი გა-ჯირით-ღ-ებ-ა, გა-ა-ჯირით-ებ-ს, ი-ჯირით-ებ-ს... „მოახტა ვირს და გაიჯირითა“ (შ. არაგვისპირელი), „ცხენი ეზოში შემოაჯირითა“ (დ. კლდიაშვილი), „ეზოში შემოაჯირითდა თავისი ლამაზი წაბლისფერი ცხენით კირილე“ (დ. კლდიაშვილი).

დაღერღავს, აგრეთვე დაროშავს-სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობაა 'ძალიან მსხვილად დაფქვავს'; შემდეგ გადატანით დაროშავს გამოყენებული იქნა 'უადგილოდ თქმისთვისაც'. თქმისა და როშვის ფუძეთა სინონიმურმა გამოყენებამ * შესაძლებელი გახადა ამ უკანასკნელს დართოდა ზმნისწინი შამო-(შამოროშა), რომელიც 'თქმის' აღმნიშვნელ ფუძეებთან გვხვდება (შარმოთქვამს, შამოილაპარაკებს, შამოიძახებს, შამოაბოდებს, შამოაკივლებს...) და 'ფქვის' აღმნიშვნელთან კი — არა. ამოღერღავს-ზმნა 'გაქირვებით თქმისათვის' არის გამოყენებული. მისი ამო-ზმნისწინი 'ფქვის' მნიშვნელობით გამოყენებულ ფუძეებში არ გვხვდება, იგი დგას 'თქმის' აღმნიშვნელ ფუძეთა რიგში (ამოილაპარაკებს, ამოიკენებს, ამოილულულებს, ამოიბღალავს... „ლექსო. ამოგთქვამ. ოხერო...“: ხალხური).

* საგნობრივი მიმართების ერთგვარობის გამო ისინი სინონიმებს წარმოადგენენ. თუმცა, ცხადია, ემოციური ელფერი განსხვავებული აქვთ.

204. ანტონიმების საურთიერთო სემანტიკური გავლენის ერთი თვალსაჩინო მაგალითია სუსხვა- და შუა-სიტყვათა ურთიერთობა.

მათ ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ საინტერესო სემანტიკურ პარალელიზმს ავლენენ: შუა 'შეტისმეტად შეცივებასაც' ნიშნავს, ისევე როგორც სუსხვა — 'შეტისმეტად შეხურებას' [159]: „მიშველე, მამილო, შეჩვენებულმა ჭინჭარმა დამსუსხა, ხელეზი ძლიერ მეშვის“ (ი. გოგებაშვილი), „ცალკე სიცივემ, ცალკე იმათმა საცოდაობამ დამშო“ (ლ. არდაზიანი).

ანალოგიით გამოწვეული ფონეტიკურ-გრამატიკული ცვლილებებით ლექსიკური პარადიგმის ფარგლებში ხდება ხოლმე, ე. ი. სინონიმურ ჯგუფში (მნიშვნელობით მონათესავე სიტყვებში — იხ. ზემოთ). ან ანტონიმურ წყვილში (საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებში).

საკითხი შეეხება ცნობილ ფაქტებს, როგორცაა, მაგალითად, დამა-სიტყვის გავლენით დაჯედ-სიტყვის ცვლა დამა-სიტყვად. დამა-ში დაჯედზე სწორედ იმიტომ მოახერხა გავლენის მოხდენა, რომ სათანადო ფუძეები ქართულში შეფასებულია, გაგებულია, როგორც ლექსიკური პარადიგმის წევრები.

ასევე აქა — იქი'ს ანტონიმურობის გამო „მოხერხდა“, რომ აქა-სიტყვას გავლენა მოეხდინა და იქა'დ ექცია ამ წყვილის მეორე წევრი. და, პირიქით, იქი-სიტყვიდან ნაწარმოები იქიდან გავლენას ახდენს აქა-სიტყვიდან ნაწარმოებზე (აქათგან, *აქაითგან, აქეთგან, აქედან) და აქიდან-სიტყვად აქცევს.

აღმართი'ს გავლენით ჩნდება ღ მის ანტონიმში დაღმართ'ში (შემდეგ ეს ღ შეეხორცა მართ-ფუძეს და ახლა ყველა პრევერბთან გვხვდება: შაღმართი — უკუღმართი, შეღმართი, ჩაღმართი და სხვ.).

ასევე მთელი რიგი ენობრივი ცვლილებები გარეენობრივი ძალების მოშველიებას არ საჭიროებს და ლექსიკური პარადიგმატიკის საფუძველზე იხსნება.

მაგრამ ერთხელ კიდევ უნდა გავხაზოთ, რომ გრამატიკულ წყობასთან შედარებით ენის ლექსიკური შემადგენლობა გაცილებით ნაკლებ არის ავტონომიური „სემანტიკური“ და მით უფრო, „პარადიგმატული“ ფაქტორებისაგან: პარადიგმატიკა ლექსიკაში გაცილებით უფრო მკრთალად არის გამოხატული, ვიდრე; მაგალითად, მორფოლოგიაში. იმიტომ ლექსიკური პარადიგმატიკის ფაქტთა აღწერისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ, ჯერ ერთი, სემანტიკური შესაძლებლობანი აქ გაცილებით

უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვინემ სხვა შემთხვევებში (ცერძოდ, გრამატიკის შემთხვევაში) და, მეორეც, ენობრივი კოლექტივის ცხოვრება უშუალო გავლენას ახდენს ამა თუ იმ პარადიგმატული კავშირის შექმნასა თუ დარღვევებზე.

205. მნიშვნელობის ცვლილება ზოგჯერ შეპირობებულია სათანადო სიტყვის ადგილით ლექსიკურ სისტემაში, იმ ცვლილებით, რომელიც მოსვლია ამ სიტყვასთან შინაარსობლივად დაკავშირებულ სხვა სიტყვას.

ამ რიგისაა კლასიკური მაგალითი მნიშვნელობის გადაწევისა ლათინურ იურიდიკულ ტერმინთა წგუფში; ამ მოვლენისათვის ყურადღება მიუქცევიათ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში (და ამ დროიდან იწყებენ „სემანტიკური ველის“ ცნების ისტორიას [253]).

ქართულში ამგვარი გადაწევა შეინიშნება ქვეყანა, სოფელი და დაბა-სიტყვებში. ეს სიტყვები ძველ ქართულშიც არსებობდა და თანამედროვე ქართულშიც არის, ოღონდ მნიშვნელობა განსხვავებული აქვთ (ზოგიერთი ძველი მნიშვნელობა მათ ამჟამად არ მოეპოვებათ), ამასთანავე, მნიშვნელობის განსხვავება რეგულარულ ხასიათს ატარებს. თუ ძველ ქართულში ამ სიტყვათა ბგერადობას ბერძნული მთავრული ასოებით აღვნიშნავდით (A, B, Γ), ხოლო მნიშვნელობას — ნუსხურით (α, β, γ) — ძველ ქართულში არსებული ვითარება შეიძლება დავახასიათოთ როგორც Aα, Bβ, Γγ. ახალ ქართულში ვითარება შეიცვალა: გვაქვს: α, Aβ, Bγ, Γ, ე. ი. შეცვლა რეგულარულად, ერთი მიმართულებით მოხდა.

იყო: A ქვეყანა	B სოფელი	Γ დაბა
α 'земля'	β 'страна'	γ 'деревня'
არის: A ქვეყანა	B სოფელი	Γ დაბა
β 'страна'	γ 'деревня'	

ახალ სისტემაში გამოუხატავი დარჩა α (მნიშვნელობა 'земля') და მნიშვნელობისაგან დაცარიელდა Γ (ბგერადობა დაბა). ეს ხარვეზი იმით შეივსო, რომ α მნიშვნელობით გაბატონდა სხვა სიტყვა — მიწა. ხოლო მნიშვნელობაწარმეულმა დაბა-სიტყვამ ახალი მნიშვნელობა მიიღო 'ქალაქის ტიპის დიდი სოფელი (поселок)'.

ამ მაგალითიდან ჩანს, რომ სიტყვის მნიშვნელობის ისტორიის გათვალისწინებისათვის, საზოგადოდ — ქართული ლექსიკის ისტორიული კვლევისათვის „სემანტიკური“ და „პრაგმატული“ ასპექტების გვერდით ანგარიში უნდა გაეწიოს ლექსიკის დინამიკის შესწავლას „პარადიგმატული“ ასპექტითაც.

ბ. გრამატიკულისა და ლექსიკურის დაუმთხვევლობა შესიტყვებაში. — სიტყვათა შეხამების მეტ-ნაკლები შეზღუდულობა. — იდიომატური გამოქმები. — ტრადიციით დამკვიდრებული შესიტყვებანი. — შესიტყვებათა ტიპები. — მნიშვნელობის ცვლა შესიტყვებაში („დამართება“).

206. ლექსიკური სინტაგმატიკის კვლევის სფეროა სიტყვათა კავშირი მათი ფუნქციონირებისას, სიტყვები შესიტყვებაში.

ისინი, ვინც ენას სტატიკურ სისტემად წარმოიდგენენ, ხოლო ენის გამოყენებას — ლაპარაკს, მეტყველებას — განსხვავებულ ობიექტად მიიჩნევენ, ლექსიკურ სინტაგმატიკას (პარადიგმატიკისაგან განსხვავებით) მიაკუთვნებენ მეტყველების სფეროს (ენისაგან განსხვავებით).

მეტყველებისა და ენის ამგვარი გათიშვა მიზანშეწონილი არ ჩანს — ენა არსებობს იმდენად, რამდენადაც ის ფუნქციონირებს — ამიტომ საქმის ვითარებას არ შეეფერება სინტაგმატიკის და პარადიგმატიკის დაპირისპირება როგორც მეტყველების და ენის სფეროებისა.

გრამატიკულისა და ლექსიკურის დაუმთხვევლობა შესიტყვებაში

207. სინტაგმატური კავშირი ლექსიკურ ერთეულთა (სიტყვათა) შორის არ არის დამოკიდებული ამ კავშირის ფორმალურ გამოხატვაზე. წინადადებაში „გუშინ აქ ძლიერ ციოდა“ არავითარი გრამატიკულ-სინტაქსური კავშირი არ არსებობს — ყველა შემთხვევაში მირთვა გვაქვს, — ე. ი. სინტაქსური ურთიერთობის „ნულ“-ფორმა [131]. მაგრამ შესიტყვება, მიუხედავად ამისა, სრულფასოვანია — ქართული ენის წესების მიხედვით არის გამართული და სრულ ინფორმაციას იძლევა სათანადო მოვლენის შესახებ.

სიტყვათა ლექსიკურ-სინტაგმატური კავშირი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს გრამატიკულ კავშირს — სინტაქსურ ურთიერთობას სიტყვებს შორის.

ენაში სიტყვათა შორის ლექსიკურ-სემანტიკური კავშირის ბუნება შეიძლება არ შეიცვალოს სინტაქსური თვალსაზრისით ნაირნაირი ვითარების პირობებშიც: „მონადირემ ირემი მოკლა“, „მონადირე ირემს კლავს“, „მონადირეს ირემი მოუკლავს“, „მონადირის მიერ ირემის მოკლა“, „მონადირის მოკლული ირემი“... სინტაქსური კავშირი ამ სინტაგმებს შორის სხვადასხვაგვარია (კოორდინაცია, მართვა, შეთანხმება), ლექსიკური სინტაგმატიკის თვალსაზრისით კი ისინი ერთ ჯგუფში ექცევიან.

სინტაქსური იგივეობის პირობებში ლექსიკურ-სემანტიკური კავშირი შეიძლება განსხვავებული იყოს: შესიტყვებები „ირემის მოკლა“, „ირემის რქა“, „ირემის მშვალები“ სინტაქსურად ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება, ხოლო ლექსიკური სინტაგმატიკის მიხედ-

ვით ეს შესიტყვებები, ცხადია, განსხვავებულ ოდენობებს წარმოადგენენ.

სიტყვათა შორის ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთობა რომ სინტაქსური ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ამის საფუძველია ქართულ ენაში დამკვიდრებული სიტყვაზმარების ტრადიცია. უზუსი. ქვემოთ სიტყვათა შორის ურთიერთობას სწორედ ამ თვალსაზრისით — უზუსის, ტრადიციის თვალსაზრისით განვიხილავთ.

ფრაზაში სიტყვებს შორის ურთიერთობა მეტ-ნაკლებად მჭიდრო შეიძლება იყოს. ამ ურთიერთობას, რა თქმა უნდა, აპირობებს აზრობლივი კავშირი ამ სიტყვებს შორის, თუ, ცხადია, ამ ურთიერთობას ხელს არ უშლის ქართულში არსებული სინტაქსური ყალიბები. სიტყვები *ბუჯაი* და *მოწაფე* შეიძლება ერთმანეთს აზრობლივად დაუკავშირდეს. მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისათვის, მისი სინტაქსური ყალიბების მიხედვით, მიუღებელია ასეთი შესიტყვებები: *ბეჯითი მოწაფემ, ბეჯით მოწაფის...*

მაგრამ ისიც შეიძლება, რომ სიტყვათა ურთიერთკავშირის უშუალო აზრობლივი საფუძველი არც დაიძებნებოდეს. მაგალითად, *თუალყურის დევნება* ('თვალთვალი'), *თავსა სდის* ('საკვიროზე მეტი აქვს')... ამგვარი კავშირის ერთადერთი საფუძველი ტრადიციაა და ამ ტრადიციული ხმარების აზრობლივ და სოციალურ პირობათა (ე. ი. „სემანტიკური“ და „პრაგმატული“ საფუძველების) გასარკვევად ენის ისტორიის მოშველიება იქნება აუცილებელი.

ხიტყვათა შეხამების

მეტ-ნაკლები შეზღუდულობა

208. სინტაქსური კავშირი ყოველ ზმნასა და ყოველ სახელს, ყოველ მსაზღვრელსა და ყოველ საზღვრულს შორის შეიძლება არსებობდეს. საკუთრივ სინტაქსური თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, *„ცხენის კაკანი“* ისევეა დასაშვები, როგორც *„ცხენის ჭიხინი“* ან *„ქათმის კაკანი“*.

სხვა ვითარებაა, როდესაც საკითხი აზრობლივ კავშირს ეხება:

ძალიან ბევრია შესაძლებელი *შითელი-სიტყვის* მონაწილეობით იმგვარი შესიტყვებები, როგორიცაა *„შითელი კაბა“*.

მნიშვნელოვნად შეზღუდული რაოდენობით გვხვდება *„შითელი ღვიზის“* მსგავსი შესიტყვებები.

ერთადერთია შესიტყვება *„შითელი ქარი“*.

სემანტიკური თვალსაზრისით პირველი ტიპის შესიტყვება არსებითად განსხვავდება მესამე ტიპისაგან. *შითელი კაბა-შესიტყვების* მნიშვნელობა უდრის მასში შემავალი სიტყვების (*კაბა, შითელი*) მნიშვნელობა-

თა ჯამს; შესიტყვებაში შემავალი სიტყვები სემანტიკურად მაქსიმალურად დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისაგან.

ამიტომ შესაძლებელია თითოეული მათგანის შეცვლა სულ სხვადასხვაგვარი სიტყვებით: *წითელი კაბა, წითელი კედელი, წითელი შუქი, წითელი ეაშლი, წითელი ნისკარტი, წითელი ყდა.. წითელი კაბა, შავი კაბა, ლურჯი კაბა, მწვანე კაბა, ჭრელი კაბა, მოკლე კაბა, ახალი კაბა...*

ამიტომეფა შესაძლებელი — შესიტყვება *წითელი კაბა* შეევასოთ სხვა სიტყვებით: ისე რომ *წითელი* და *კაბა*-სიტყვების ურთიერთობა არ შეიცვალოს: *სიხსლივით წითელი კაბა, ახლად შეკერილი წითელი კაბა...*

რაც შეეხება გამოთქმას --- *წითელი კარი* — აქ ამგვარი ცვლილებები შეუძლებელია: ამ შესიტყვების ვერც ერთ წევრს — ვერც *წითელი*-სიტყვას და ვერც *კარი*-სიტყვას — ვერ დავაზუსტებთ დამატებითი სიტყვებით.

შეუძლებელია *სიხსლივით წითელი კარი* (ან სხვა რაიმე დამაზუსტებელი *წითელი*-სიტყვისა), ასევე შეუძლებელია *კარი*-სიტყვისათვის დამატებითი მსაზღვრელის მიწერა, ვთქვათ, *„ექვსხალიანი წითელი კარი“*.

ყოველ სახელთან შეიძლება იხმარებოდეს არის- (*იყო, იქნება*) ზმნა: *„ცხენი არის (იყო...)“*, *„ქათამი არის“*, *„წიგნი არის“*, *„მშალდი არის“*, *„შეშინებული არის“*, *„კრება არის“*, *„გახსკეტებული არის“...*

სხვა ზმნები უფრო ნაკლები რაოდენობის სახელებს შეეხამება და აქ შეზღუდვას, პირველ ყოვლისა, ისევ სემანტიკური მომენტი განსაზღვრავს: *შეეს (იშეა...)*-ზმნას ყველა სახელთან ვერ ვიხმარებთ.

ჩვეულებრივია *„კამეჩი შეეს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია“* (ხალხური), *„აჲად როდი ვარ, როდი ვშეჲარ, ისე, ფეხზე ვქქნები (ვ. ლომთათიძე)“*, *„მე, ქართველი ბუხაიძე, ბალყარეთის მთებში ვშეჲარ“* (ი. აბაშიძე), *„შეეხარ ცივ სამარეში“* (გ. ტაბიძე)... მაგრამ *შეეს*-ზმნასთან ვერ ვიხმარებთ *კრება*-სიტყვას: *„კრება შეეს“* შეუძლებელი შესიტყვებაა ჩვეულებრივს მეტყველებაში, თუმცა, ეს შესიტყვება გრამატიკულად სავსებით გამართულია...

შეეს- ზმნის ხმარების სფერო მნიშვნელოვნად ფართოვდება, როდესაც მას შედარებაში იხმარებენ. ცალკე აღებული *„მთვარე შეეს“* ქართულისათვის უჩვეულო შესიტყვებაა, მაგრამ დასაშვებია ასეთ გამოთქმაში: *„ღრუბელთა შორის ისე შეეს მთვარე, როგორც ცხედარი ვერცხლის კუბოში“* (გ. ტაბიძე); ასევე, *„გუდები შეანან“* ქართულისათვის უჩვეულოა, მაგრამ ყურს არ ეხამუშება *„ყელგამოჭრილი ტახე ბივით შეანან გუდები“* (ლ. ასათიანი).

ზოგჯერ კონტექსტში უეკველად იგულისხმება შედარება, თუმცა მის გამოსახატავად გამოყენებული არ არის შესადარებელი სიტყვები (როგორც, ვით, -ებრ, -ვით-თანდებული...). „დახასხებული ლოდი განა იმიტომ მიყვარს, უძრავად რომ წევს და განისვენებს“ (თ. რაზიკაშვილი): განისვენებს-სიტყვიდან ჩანს, რომ უსულო ლოდი აქ სულიერ საგნად არის წარმოდგენილი და მხოლოდ ამიტომ შეეხამება მას სულიერთათვის განკუთვნილი წევს-ზმნა...

მიუხედავად შესადარებელი ვით-სიტყვის გამოყენებისა, განსაკუთრებულ პოეტურ სახეს წარმოადგენს და არა შედარებას იშვიათების ხმარება შემდეგ შემთხვევაში: „საღამო იშვა ხავერდის ყდაში, ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი“ (გ. ტაბიძე). აქ საღამო შედარებულია წიგნთან, მაგრამ თავისთავად „წიგნი იშვა (ყდაში)“ უჩვეულო შეხამებაა.

უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს კონტექსტს ამ შემთხვევაში: „საშინაბელი გვერდზე წევს“: აქ ძნელი დასადგენი ცია — შედარებასთან (ან პოეტურ სახესთან) გვაქვს საქმე, თუ ჩამოყალიბებულ (გაქვეყნებულ) ენობრივ მეტაფორასთან. წევს-ზმნა მაშინაც გვხვდება, როდესაც ლაპარაკია ღრუბლის შესახებ, ნისლის შესახებ, სიბნელის შესახებ და ა. შ.: „ბეშთაუს თავზე ღრუბლები წეან“ (ი. ნონეშვილი), „ირგვლივ იშვა სიბნელე“ (ნ. ლომოური)... აქ მეტაფორულ ხმარებაზე შეიძლება გველაპარაკა, რომ საექვო არ იყოს უცხო (რუსული) ენის გავლენა: რუსულში წევს და დევს ერთი სიტყვით გადმოიციემა — лезит — და ამიტომ ღრუბლის თუ სიბნელის აღმნიშვნელი სიტყვების მეზობლად лезит-სიტყვის გამოყენება ბუნებრივია... მოკლეობა აწევს და მსგავსი გამოთქმები აშკარად მეროეული ჩანს: ქართულისათვის ბუნებრივია ბეგარა აღევს, ხოლო აწევს-ზმნა ასეთ შემთხვევებში — და, შემდეგ, გადატანითად ხმარებისას („მოვალეობა“...) — ზემოხსენებული უცხოენობრივი გავლენის შედეგია.

არის (იყო, იქნება...) -ზმნასთან შედარებით წევს-ზმნა გაცილებით უფრო ვიწრო სფეროში გამოიყენება და მხოლოდ შედარებისას და მეტაფორულ ხმარებაში შეეხამება ამ სფეროს გარეშე მდებარე სიტყვებს.

უფრო ნაკლები რაოდენობის სიტყვები შეეხამება ზემოთ ნახსენებ კაჟანებს-ზმნას.

ეს სიტყვა, პირველ ყოვლისა, ქათამთან (დღალთან, კრუხთან, კარიასთან...) და მისი ჯიშის ზოგიერთი გარეული ფრინველის სახელთან (კაკაბი, როჭო) იხმარება (საინტერესოა, რომ როჭო-სიტყვასთან ვაჟას ვაჟანოცა აქვს ნახმარი). ენობრივ მეტაფორასთან გვაქვს

საქმე ამ გამოთქმაში: „ტყვიამფრქვევი კაკანებს“ (და, უფრო იშვიათად, „აეტომატი კაკანებს“); დანარჩენი შემთხვევები — ხტვირი კაკანებს, ბულბულმა ჩააკაკანა, კაკანებაჲ პელაგია... — ინდივიდუალურ სიტყვახმარებას წარმოადგენენ.

ასევე, გადატანითობა ნათელია ამ სინტაქსში: ბარაქლახე მუშაობს, რომელიც 'მუქთად მუშაობის' მნიშვნელობით იხმარება: ივარაუდება, რომ მომუშავეს მხოლოდ აქებენ — „ბარაქალაო“ ეუბნებიან — და სასმრჯელოს კი არაფერს აძლევენ.

ჭიხინთან სახმარი სიტყვები კიდევ უფრო მკირერიცხოვანია:

ტყვიამფრქვევის კაკანი'ს მსგავსი მეტაფორა აქ არ გვხვდება (ინდივიდუალურია ადამიანის სიცილის მიმართ ამ სიტყვის გამოყენება მ. ჯავახიშვილის მიერ). მიუხედავად ხმარების ამგვარი შემოფარგულობისა, ჭიხინებს მაინც რამდენიმე სიტყვის მეზობლად გვხვდება: ჭიხინებს ცხენი, ჭიხინებს კვიცი, ჭიხინებს ულაყი...

ასევე, ჩაიყურეყუმელაეებს-ზმნა: ჩაიყურეყუმელაეებს წყალში, ტბაში, გუბეში...

ზოგი ზმნა ერთადერთ სახელს შეიხამებს: შორთხამს ფეხს, ჩაუთხო გულს... ამ უკანასკნელ შემთხვევებში ზმნა, ცოტა არ იყოს, გვეხამუშება კიდევ: ბუნებრივი ჩანს არა შესიტყვება, არამედ კომპოზიტი, რომელშიც ზმნური ფუძე მიმღეობის სახით არის წარმოდგენილი: გულჩათხოვნილი, ფეხშორთხმული...

ფეხს შორთხამს-ტიპის მაგალითები ერთგვარად ხიდს ქმნიან ისეთ შესიტყვებებთან, რომელთა მნიშვნელობას ვერ გამოვიყვანთ შემადგენელ სიტყვების მნიშვნელობათა ჯამიდან. ასეთ შემთხვევებში იდიომატიური გამოთქმების შესახებ ლაპარაკობენ.

იდიომატური გამოთქმები

209. ამგვარ (იდიომატურ) გამოთქმებში ბევრ შემთხვევაში აშკარად მოჩანს გადატანითობა:

ფეხს (ფეხებს) ფშეკს ჩვეულებრივი შესიტყვებაა ამ ფრაზებში: „(კრიკინა) ანძრევედა ულვაშებსა და ცალ ფეხსა ფშეკდა“ (ი. გოგებაშვილი), „(მგელი) ფშეკდა მიწაზე ფეხებსა“ (ი. გოგებაშვილი); მაგრამ „გათქვირებულმა დეკეულმა ფეხები ფშეკა“ (შ. არაგვისპირელი) და ბევრი სხვა მსგავსი გამოთქმა გადატანით არის ნახმარი და 'სიკვდილს' გულისხმობს.

ფეხს ითრეკს, ჩვეულებრივი მნიშვნელობით რომ იხმარებოდა. ამას უნდა ნიშნავდეს: „იმდენად ნელა და უნდომოდ მიდის, რომ ნა-

ბიჯის გადადგმისას ფეხის ზევით აწევა ეზარება და თრევით მიაქვს“ (შდრ. ვაჟა: „ცალ მხარს მიწაზე მიითრევს“); მაგრამ ფეხს ითრევს ამგვარი 'ნელი სიარულის' აღმნიშვნელი გამოთქმა კი არაა, არამედ 'რამე საქმიანობაში განზრახ დაგვიანების' აღსანიშნავად იყენებენ: „იანგორა ყოველთვის ფეხს ითრევდა შინ წასვლაზე“ (რ. ინანიშვილი), „(ჯანდიერი) ფეხს ითრევდა: დრო უნდა მოვიგო, დრო, იქნებ გადაუაროს სიშმაგემ“ (ლ. გოთუა). ფეხს ითრევს-გამოთქმისათვის ჩვეულებრივია სწორედ გადატანითი ხმარება.

ზოგჯერ სინტაგმის ერთ-ერთი ელემენტის მნიშვნელობა იმდენად გაბუნდოვანებულა, რომ შესიტყვების გაანალიზება აღარ ხერხდება.

პირში ნაწილი არ ჩასვლია*ო როდესაც ამბობენ, იგულისხმება, რომ 'არაფერი უქამია'; პირში. არ- და ჩასვლია-სიტყვათა მნიშვნელობები აშკარად მონაწილეობს ამ შესიტყვების მნიშვნელობაში — 'არ უქამია', ე. ი. პირში არ ჩასვლია. მაგრამ მნიშვნელობა 'არაფერი უქამია' განსხვავებულია 'არ უქამია'საგან. ამ „არაფრობას“ ნაწილი-სიტყვა ქმნის. ნაწილი-სიტყვის ჩვეულებრივი გაგება არ იძლევა საშუალებას მივიჩნიოთ იგი მთელი ფრაზის ამგვარი მნიშვნელობის მიზეზად. ნამდვილად, ნაწილი აქ იხმარება იმ მნიშვნელობით, რომელიც ამჟამად მოძველებულია და ქართული ლექსიკური ფონდის პერიფერიაში დგას. ესაა შემოკლება შმიდა ნაწილი'სა, რომელიც "ზიარებას" აღნიშნავს: ღვინოში ჩალბობილი სეფისკვერის პატარა ნატეხი, რომელიც სიმბოლურად ქრისტეს სისხლსა და ხორცს ნიშნავს და რომლის შექმნით მორწმუნენი თითქოს ამ ღვთაების მოზიარენი, მონაწილენი ხდებიან*.

როგორც ვხედავთ, 'არაფერი უქამია'ს მნიშვნელობით პირში ნაწილი არ ჩასვლია წარმოშობით არის ამ მთელი გამოთქმის გადატანითი ხმარება.

სიტყვის მოძველება და აქტიური ხმარებიდან გასვლა იწვევს ამ სიტყვით შედგენილი გამოთქმის მნიშვნელობის გაბუნდოვანებას:

სიქა (არაბული სიტყვაა) ნიშნავდა "შტამპს ლითონის ფულზე (ან

* საზარების თქმულებით, საიდუმლო სერობაზე ქრისტემ თავის მიწ.ფეხებს პური დაუტეხა და ღვინო მიაწოდა „და პრქუა: მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს კორცი ჩემი თქუენ მრავალთათვის განტეხილი მისატყეველად ცოდვათა“ და „მიიღეთ და სუთ ამისგანი თქუენ ყოელთა, რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი.. თქუენ მრავალთათვის დათხეული მისატყეველად ცოდვათა“; ამრიგად, ქრისტემ მოწადევს თავისი სისხლი და ხორცი გაუნაწილა.

სხვა ნივთზე)', *სიქის* გაცლა იყო 'ბევრი ხმარებით გაცვეთა (ისე რომ სიქა აღარ რჩებოდა ზედ)'. მისი გადატანით ხმარებაა 'მეტისმეტად დამლღელი მუშაობა'. დღეს ცალკე აღებული *სიქა-სიტყვის* მნიშვნელობა ცნობილი არაა, ამიტომ მის მეზობლად ნახმარი *გაცლა-სიტყვაც* გაუგებარია და *სიქის* გაცლა მეტაფორად კი არ შეიგრძნობა (ეთქვათ, *ფეხები ფშიაქს* მსგავსად), არამედ მყარ შესიტყვებად, რომლის კომპონენტები უცნობია (*სიქა*) ან ამ კონტექსტში გაუგებარი (*გაცლა*) და ამიტომ გამოთქმის სემანტიკური დანაწევრება არ ხერხდება.

„მაღალ ფარდებზე ლაპარაკი“ ნიშნავს 'უშინაარსო, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზების სროლას', ამ გამოთქმაში შემავალი სიტყვა ფარდები ნიშნავდა 'დანაყოფებს ჩონგურის ყელზე' [162]. ამრიგად, თავის დროზე აქაც საქმე გვექონდა გადატანით ნახმარ გამოთქმასთან.

210. მყარი გამოთქმები ხშირად ერთ სიტყვად ერთდება. ვიღებთ კომპოზიტებს: *რკინის გზა-რკინის-გზა-რკინიგზა, მამის და-მამიდა, დედა უფალი-დედუფალი||დედოფალი* * და სხვ.

მთელი გამოთქმის ერთ სიტყვად გაერთიანების ამგვარ პროცესს ადგილი აქვს ისეთ სინტაგმაშიც, რომლის მნიშვნელობა არ ემთხვევა შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს: *მაღალფარდოვანი, სიქაგაცილილი, ზელმოყარული, არაქათგამოლეული...* (სათანადო გამოთქმები დღესაც ცოცხალია: *მაღალ ფარდებში, სიქა გაეცლება, ზელი მოეყარა, არაქათი გამოელია...*).

სიტყვათა ამგვარ შეერთებას შესაძლებელია თან სდევდეს შემდგომი ფონეტიკური გამარტივება-ცვლილებანი (*დეიდაშვილი: დედის დის შვილი* და სხვ.).

ამგვარი გამარტივება, როდესაც საქმე მნიშვნელობაშერწყმულ სიტყვებს ეხება, ახალი იდიომატური გამოთქმების წყარო ხდება ზოლმე: *თავს ლაფის დასხმა-თავლაფის დასხმა* (კილოებში — *თამხლაფის დასხმა*), *თავ ყანის ცემა-თავყანის ცემა...* ამ შემთხვევებში *დასხმა-დემა-სიტყვები* ეხამება მნიშვნელობით გაუგებარ სიტყვებს და ამიტომ მთელი გამოთქმაც სემანტიკურად გაუანალიზებელია (არაგანალიზებადია), ე. ი. გაუგებარია — რის დასხმა? რის ცემა? შედეგობისაა, რომ სხვა შემთხვევაში გასაგებ ფუძეთა — *ცემ-* და *სხამ-* ფუძეთა

* ენაში ამ გზით შექმნილია კომპოზიტთა ყალიბები და ამ ყალიბების მიხედვით სდება არა მხოლოდ შესიტყვებების შერწყმა, არამედ კომპოზიტების უშუალო წარმოქმნაც.

მნიშვნელობა დაჩრდილულია მოცემულ ფრაზებში: *თაყვანისცემა — რატომ ცემა? თავლაფის (||თამხლაფის) დახმვა — რატომ დახმვა?*

ამგვარი მეორეული იდიომატური გამოთქმებიც შეიძლება ერთ სიტყვად შეირწყას — ამ შემთხვევაში მეორეულ კომპოზიტებს მივიღებთ: *თავლაფდახმული, თაყვანისმცემელი...*

ამრიგად: სიტყვათა სინტაგმატურ კავშირს ტენდენცია აქვს შეირწყას ერთ, სემანტიკურად გაუთიშავ მთელად, იდიომატურ გამოთქმად.

ამგვარი შერწყმა მთელი გამოთქმის მეტაფორული ხმარების შედეგად ხდება მეტწილად მაშინ, როდესაც გამოთქმაში შემავალი ცალკე სიტყვის მნიშვნელობის გაბუნდოვანების გამო მთელი გამოთქმის პირდაპირი მნიშვნელობაც ბუნდოვანდება და, ამრიგად, მეტაფორისათვის აუცილებელს ორგემიანობის თვისებას კარგავს.

თავისთავად ცხადია, რომ თავისუფალი შესიტყვების ქცევა იდიომატურ გამოთქმად არ არის დამოკიდებული შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა მნიშვნელობაზე, ე. ი. არ არის საკუთრივ სემანტიკურად შეპირობებული. არც ის ითქმის, რომ იდიომატური გამოთქმა ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის ცხოვრების უშუალო უკუფენას წარმოადგენდეს. იდიომატურობა უკვე იმას ნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ცალკე სიტყვათა ხმარების წესები დარღვეულია, ე. ი. უშუალო გავლენა ენობრივი კოლექტივისა აქ არ არის სავარაუდებელი.

იდიომატური გამოთქმა შედეგია ენაში არსებული თავისუფალი გამოთქმების თანდათანობით გაქვეყნებისა; სიტყვათა ერთმანეთის მეზობლად ხმარება ჩვეულებად, უზუსად იქცევა, სიტყვა გამოეთიშება მისთვის დამახასიათებელ (ე. ი. მისი სემანტიკისათვის თუ „პრაგმატული“ ღირებულებისათვის დამახასიათებელ) წესებს და მის მეზობლად ნახმარ სიტყვას დაუკავშირდება.

ტრადიციით დამკვიდრებული შესიტყვებანი

211. ლექსიკური სინტაგმატიკის შესწავლის საგანი მხოლოდ იდიომატური გამოთქმები არაა. ლექსიკურმა სინტაგმატიკამ უნდა იკვლიოს ქართულ ენაში გავრცელებული და ტრადიციით დამკვიდრებული შესიტყვებანი, როდესაც ამგვარ შესიტყვებაში შემავალი სიტყვების მნიშვნელობანი აუცილებლობით არ მოითხოვენ სიტყვათა ერთად დასმას.

სანიმუშოდ განვიხილოთ ისეთი შესიტყვებები, სადაც ლურჯი-სიტყვა მონაწილეობს მსაზღვრელად.

ლურჯი რა ფერსაც აღნიშნავს, ეს თითქოს საყოველთაოდ გასაგებია. საბა მას ახასიათებს როგორც „ცის ფერს“, მაგრამ ცისფერი ამ შემთხვევაში სინონიმი არაა (როგორც, მაგალითად, სინონიმით არის დახასიათებული „თეთრი — სპეტაკი“); „ცის ფერი“ შესაძარებლად მოტანილი გამოთქმაა. შდრ. „შაჟი—ყორნის ფერი“, „წითელი—ცეცხლის ფერი“, „მშუანე — ბალახის ფერი“... ლურჯი-სიტყვის განმარტება საბას ლექსიკონში არის არა თეთრი-სიტყვის განმარტების ტიპისა, არამედ შაჟი- წითელი- მშუანე-სიტყვათა განმარტების ტიპისა.

მაგრამ ცისფერი¹ ც რომ ცალკე სიტყვა ყოფილა, ამას ადასტურებს მისი საგანგებოდ (სალექსიკონო სტატიის სასათაურო სიტყვად, განსამარტავ სიტყვად) შეტანა საბას ლექსიკონში: „ცის-ფერი—ლურჯი“.

ლილა განმარტებულია როგორც „ლურჯი საღებავი“, ლურჯი² რაობის გასარკვევად იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ ლიბრი ერთგან განმარტებული აქვს როგორც „ჩალურჯებული“, მეორეგან (რუხაბუდეში) — როგორც „ლურჯ-მოისფრო“ (იისფერი-სიტყვას კი განმარტება არ ახლავს. მხოლოდ თარგმანები აქვს მიწერილი: „ლ. ვიოლაჩე, თ. ბანავ, ს. წირან“). ამრიგად. საბას ლექსიკონში შეტანილია მზის სპექტრის სამივე მეზობელი ფერის დღევანდელი სახელები — ლურჯი, ცისფერი და იისფერი, თუმცა ყველაზე მკაფიო მაინც ლურჯი-სიტყვის განმარტება ჩანს.

ნ. ჩუბინაშვილს ლურჯი და ცისფერი მკაფიოდ აქვს გამიჯნული: „ლურჯი მოჭირებული ცის ფერი“, „ცისფერი მხიარული ანუ ღია ლურჯი“...

ფერთა სახელების სრული მიმოხილვა საგანგებო სამუშაოა. ამ შემთხვევაში, საბას და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონთა ჩვენების გაცნობის შემდეგ, გავითვალისწინოთ იმ გავრცელებულ შესიტყვებათა სია, სადაც ლურჯი-სიტყვა მონაწილეობს.

ლურჯი გარკვეულ ფერად შეღებული ალსანიშნავად: ლურჯი ხალათი, ლ. ბლუზა, ლ. შარვალი, ლ. პიჯაკი, ლ. ფარაჯა, ლ. ფრაკი, ლ. აბრეშუმის გულისპირი, ლ. ხელსახოცი, ლ. სუფრა, ლ. მაუდი, ლ. სატინა, ლ. ქაღალდი, ლ. შუშის მძივები... აქ ქერ კიდევ შეიძლება არ იყოს აშკარა, თუ რა ფერზეა ლაპარაკი, თუმცა გამოთქმები ბუნებრივია.

ლურჯი გვხვდება ცის აღმნიშვნელ სიტყვებთან: ცის ლურჯი კამარა, ცის ლ. გუმბათი, ცის ლ. სივრცე, ლ. თაღი, ლ. ტაჭანი, ლ. ციაგი, ლ. ლაქარდი (ამ ორ შემთხვევაში შეფერილობის აღმნიშვნელი სიტყვები (ციაგი, ლაქარდი) 'ცის' აღსანიშნავად არის გამოყენებული), ლურჯად მოკამკამე ცა, „ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი...“ (გ. ტაბიძე). ეს გამოთქმები არავის გვეუცხოება, თუმცა რაკი

ცისფერი-სიტყვა გვაქვს, აქ უადგილო უნდა გვჩვენებოდა „მოკირებულ ცისფერის“ აღმნიშვნელი ლურჯი... რაკი ცის მიმართ იხმარება ლურჯი, ბუნებრივია ასეთი შესიტყვებებიც შეგვხვდეს: „ცა ღელავდა, ლურჯ ეთერში ოქროს ტალღებს ატოკებდა“ (ა. აბაშელი). ლ. ჭაერი ლ. ბოლი, ლ. შუქი, ლ. ბინდი... „ლ. ნისლეზის დენა“ (ვაჟა), „ლ. მოშავო ღრუბლები (ნ. ლომოური), „პავანის ლ. რგოლები“ (ნ. ლორთქიფანიძე).

ლურჯი ბუნებრივია, აგრეთვე, წყლის აღმნიშვნელ სიტყვებთან: „მტკვრის ლურჯი ტალღები“, „ლ. ხაზივით მიიკლავნება მტკვარი“, „ნევის ტოტების ლ. არბები“, ლ. ბოსფორი, ლ. ტბა, „კოკა არაგვის ლურჯი მყლით სავსე შემოიტანა“ (შ. არაგვისპირელი); ცხადია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ლურჯი-სიტყვა არის მყალი-სიტყვის მეზობლად ნახმარი, თორემ კოკაში ჩასხმული წყალი ლურჯი ფერისა როგორღა იქნებოდა?

ცისფერთან გაიგივების გამო არ გვეხამუშება არც ლურჯი თვალეზი: „ლ. ცისფერი თვალეზი“ (ა. ყაზბეგი), ხოლო იისფერის ლურჯისაგან განსხვავების მიუხედავად ლურჯი ია ქართულში სრულიად ბუნებრივი გამოთქმაა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი-სიტყვის გვერდით ქართულში გვაქვს სიტყვები ცისფერი და იისფერი, ლურჯი-სიტყვა მაინც იხმარება სწორედ ცის და სწორედ იის ფერის აღსანიშნავად:

ფერები: იისფერი. ლურჯი. ცისფერი

გამოთქმები: ლურჯი ია ლურჯი ცა

ლურჯი-სიტყვის მეზობლად ნახმარია: ყინული, ქვა, ფოლადი, ხორცი, ბეჭვი... „ნახერეტიდან ლურჯად ამომქვრეტი ყინული“ (შ. არაგვისპირელი), „ლურჯი, მაგარი კლდის ქვა“ (ნ. ლომოური). „შიგ ლურჯსავე ქვამარილში ლურჯი თევზი იხარშება“ (გ. ლეონიძე). „ლურჯი ფოლადის ხანჯარო“ (ბაჩანა), „ლურჯი კალმუხის ქული“ (ილია), „ლურჯი ქული ანჩხატურად ჩატეხილი“ და საყოველთაოდ გავრცელებული ლ. ცხენი, ლ. შერანი, ლ. ბედაური, ლ. ტაიჭი, ლ. ლაშქა, აგრეთვე, ლ. ქორი, ლ. კრუხი...

ხორცი, ქვა, ბეჭვი- და მისთ. სიტყვების არსებობას ლურჯის გვერდით შესაძლებელია მაინც სემანტიკური ახსნა მოეძებნოს — იქნებ ფერად მართლაც მოლურჯოს შთაბეჭდილებას ტოვებენ.

მაგრამ მაშინ. როდესაც ენაში არსებობს სიტყვა მშენა — „ბალა-

ხის ფერი“ (საბა), ამ სიტყვის ნაცვლად ლურჯი¹ს ხმარება ენობრივი ტრადიციის საქმედ უნდა მივიჩნიოთ, ე. ი. ლექსიკურ სინტაგმატიკას მივაკუთნოთ: „ლურჯად ბიბინებს სათიბი“ (რ. ერისთავი), „ლურჯად მოქათქათე ყანები“ (ს. კლდიაშვილი), „შენი სუნთქვეა ლურჯ ბალახი“ (ა. კალანდაძე), „მიწა ყოველმხრე ლურჯი ქათიბით იმოსებოდა“ (რ. გვეტაძე), „ქარი ლურჯ ძეწნას ხრის“ (გ. ტაბიძე).

ლურჯი-სიტყვის „დისტრიბუციულ შესაძლებლობათა“ საფუძველზე იქმნება ასეთი პოეტური სახეები:

„ლურჯ მთების ზოლი ლურჯ ცის სივრცეში

შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლავნება.

ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები

ლურჯ ტყეან ნიშნავს აქცევს, აკედება“.

(გ. ტაბიძე)

უაზრობა იქნებოდა აქ ყველა შემთხვევაში ლურჯი-სიტყვა ერთი და იმავე ფერის აღმნიშვნელად გვევარაუდა: მაშინ ხომ რაიმე სურათის გარჩევაც შეუძლებელი იქნებოდა! პირველ შემთხვევაში („მთების ზოლი... უსაზღვროდ შორს მიიკლავნება“) ლურჯი არის 'იის ფერის' აღმნიშვნელი (მდრ. გ. ტაბიძისავე: „გინახავთ თქვენ ფერი და ბინდულ ქლიავის? — ეს ჩემი სამშობლოს მთებია“). მეორე და მომდევნო შემთხვევებში (ყა. ოკეანე და ტალღები-სიტყვათა მსაზღვრელად) 'ცის ფერი' იგულისხმება. ბოლო სტრიქონში ლურჯი 'მწვანე'ს ნიშნავს: „ლურჯი ტყე“ მხოლოდ მწვანე ტყე შეიძლება იყოს...

ამრიგად ლურჯი-სიტყვა ენაში დამკვიდრებულ, ჩვეულებად ქცეულ შეხამების წესებს ექვემდებარება; ეს შეხამების წესები მხოლოდ სემანტიკურ შესაძლებლობათა რეალიზაციით არ იფარგლება *.

212. ერთი მაგალითი იმისა, რომ სიტყვათა სინტაგმატური კავშირი ტრადიციით დამკვიდრებული კავშირია და არა სემანტიკური აუცილებლობით შეპირობებული, არის შუშა-სიტყვის ხმარება სხვა სიტყვების მეზობლად.

XIX საუკუნის დასაწყისში ჭიქა მასალის (стекло) მნიშვნელობით ესმოდათ **. ნ. ჩუბინაშვილი შუშას განმარტავდა როგორც „ჭიქის ქურქელს“, ხოლო მინა არისო „ჭიქა“ ან „ჭიქის ქურქელი“.

* „სემანტიკასა“ და „სინტაგმატიკას“ შორის ლურჯის შემთხვევაშიც „პრაგმატიკა“ ივარაუდება [217].

** თუმცა არის ვარაუდი, რომ ჭიქა თავდაპირველად სწორედ ქურქელს ნიშნავდა ('პატარა რქა') და არა მასალას [77].

თანამედროვე ქართულში ეს სამი სიტყვა (*შუშა*, *მინა*, *ჭიქა*) ორივე მნიშვნელობით გვხვდება — მასალასაც აონიშნავს და ჰურ-ჰელსაც.

ჭიქა — მასალად გვხვდება ხოლმე, მაგრამ შედარებით იშვიათად: „ცა ვარსკვლავების *ჭიქით* გადაფარული არის“ (გ. ტაბიძე). „*ჭიქის* წვრილი თვალები“ (ა. ქუმბაძე), „დანაყილი *ჭიქა*“ (გ. წერეთელი)... *მოჭიქვა* 'გლაზურის' მნიშვნელობით გულისხმობს, რომ *ჭიქა* მასალად არის გაგებული.

ჭიქა — ჰურჰელის გაგებით საყოველთაოდ არის გავრცელებული. აღნიშნავს, ჩვეულებრივ, ცილინდრული ფორმის თავლია სასმისის მინისას: „ღვინის *ჭიქა*“. „ჩაის *ჭიქა*“. „*ჭიქები* მიაქახუნეს“... „კაფეში შევალ სრულიად მარტო და ორს სასმელით ავიღებ *ჭიქას*“ (გ. ტაბიძე).

ამჟამად მასალის მნიშვნელობა მიჩქმალულია და მხოლოდ გარკვეული ფორმის (და დანიშნულების) ჰურჰელი იგულისხმება: „*პლასტმასის ჭიქა*“. „*ვერცხლის ჭიქა*“. „*ვაფლის ჭიქა*“. „*ქაღალდის ჭიქა*“...

შუშა — მასალა: „*შუშის* სამაჭური“. „*შუშის* ღვინქილა“. „*შუშის* თალფაქი“, „*შუშის* ქილა“, „*შუშის* ფარანი“, „*შუშისა*ვით გამჰვირი“, „ფერადი *შუშა*“. „*შუშის* ფერი“...

შუშა — ჰურჰელი — 'მცირე ბოთლი': „კალმისტარი მელნით სავსე *შუშაში* ჩატოვა“ (რ. გვეტაძე). „წინ ღვინით სავსე *შუშა*“ (დ. გურამიშვილი). „ოდეკოლონის *შუშა*“. „წამლის *შუშა*“ (ვაჟას ერთგან 'სარკის' მნიშვნელობით უხმარია *შუშა*: „ქალო, სალამი შენთანა, ჩვენი თეატრის მუშაო, ხანუშას სულის ჩამდგმელო, მის აღმბეჭდაო *შუშაო*“; საინტერესოა ამ კონტექსტში გაუიხსენოთ, რომ ქვემო იმერეთსა და სამეგრელოში *სარკე* იხმარება 'ფანჯრის მინის' მნიშვნელობით).

მინა — მასალა ჩვეულებრივია სიტყვახმარებაში „*ფანჯრის* მინა“, „*მინის* ჰურჰელი“, „*მინის* ოთხეუთხი საწერელი“ (ლ. არდაზიანი).

მინა — ჰურჰელი: „მას ტიკის ღვინო წინ უდგი *მინით*“ (დ. გურამიშვილი), აქა-იქ გვხვდება „წამლის *მინა*“ (ილია), „არაყ წაიღეს *მინითა*“ (ზაჩანა), „ლენცოფის წვენით სავსე *მინა*“ (ი. მაჩაბელი), „და მოათავსა ყვაილნი კომის მსგავს რასმე *მინაში*“ (ვაჟა), „ვარდის წყალი ჩაასხით *მინაში* და მაგრა დაუცეთ პირს“ (ბ. ჯორჯაძე).

ჭიქა. მინა და შუშა ხშირად ერთმანეთს ენაცვლებიან შესიტყვებებში: „ჭიქის თვალის“ გვერდით გვხვდება „შუშის თვალი“ და „მინის თვალი“. ამგვარი მონაცვლეობა უფრო ხშირია შუშა- და მინა-სიტყვებს შორის: „შუშის ქარხანა“ — „მინის ქარხანა“, „შუშის ტარის ქარხანა“ — „მინის ტარის ქარხანა“, „შუშის მძივები“ — „მინის მძივები“, „შუშის ფარანი“ — „ფარნის მინა“, „სათვალე მოიხსნა, ცხვირ-სახოცით შუშები გაუწმინდა“ (რ. გვეტაძე) — „ქარგი მინის სათვალე“ (რ. ერისთავი)... შუშა და მინა ხშირად ერთი და იმავე ავტორის სიტყვახმარებაში გვხვდება (ვაჟა, ი. გოგებაშვილი, შ. არაგვისპირელი, ა. ბელიაშვილი, რ. გვეტაძე, ა. აბაშელი, ა. მაშაშვილი...). მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ტენდენციაა — გამოიღვენოს შუშა და გაბატონდეს მინა, მაინც რამდენსამე კონტექსტში შუშა-სიტყვის შეცვლა მინა-სიტყვით ყურს ეჩოთირება: „ლამპის შუშა“ („ლამპის მინას“ არ იტყვიან), „წამლის შუშა“ (თუმცა თვით ილიას ჰქონდა ნახმარი „წამლის მინა“, მაინც ამჟამად აქაც შუშა ბატონობს) [80: Пы-зырек].

სემანტიკისა და სინტაგმატიკის ურთიერთობა ამგვარ შემთხვევებში ასე წარმოგვიდგება: სიტყვათა სინტაგმატურ კავშირში სემანტიკურ შესაძლებლობათა განხორციელებისათვის გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის უზუსტ. ტრადიციას.

შესიტყვებათა ტიპები

213. თითოეული სიტყვის შეხამებადობის აღრიცხვა-დასისტემება ქართული ლექსიკოლოგიის ერთი რთული ამოცანათაგანია.

სიტყვათშეხამებათა (შესიტყვებათა) ლექსიკოლოგიური (და არა გრამატიკული, არა სინტაქსური) კლასიფიკაციის რამდენიმე ცდა არსებობს [179, 185, 210, 37]. მათი საერთო ნაკლი ისაა, რომ არ არის დაძებნილი იმგვარი ნიშან-თვისებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა ენაში არსებულ შესიტყვებათა ერთობლიობა წარმოგვედგინა ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნული ჯგუფების სახით. ამას ობიექტური მიზეზიც აქვს: ლექსიკა იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ყოველ მომენტში, მის ყოველ რგოლში გარდამავალი საფეხურები არსებობს; უკეთ რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს უწყვეტობასთან და ამ უწყვეტობაში ცალკე ჯგუფების გამოყოფა მეტ-ნაკლებად ნებისმიერია. ასე, მაგალითად, ზემომოყვანილი მაგალითებიდან არის-ზმნას ყოველგვარი სახელი შეიძლება შეეხამოს, ხოლო მოირთხამს-ზმნას — მხოლოდ ერთი სახელი — ფიზი შეეხამება. ქართული ენის ზმნები ამ ორ პოლუსს შორის

არის განლაგებული და ძალზე ჰირს მათი დაჭგუფება მეტ-ნაკლები შეხამების უნარის მიხედვით.

შესიტყვებათა კლასიფიკაციის ერთ-ერთი უკანასკნელი ცდა [244] ექვს ძირითად ჯგუფს გამოყოფს, რომელთაგან ზოგიერთი ქვეჯგუფებადაც იყოფა.

1. თავისუფალი შესიტყვებები:

1. 1. საერთო მნიშვნელობა წარმოადგენს შესიტყვებაში შემავალი ცალკეული სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. აქ სიტყვების ერთად ხმარების საფუძველია გამოსახატავი სიტუაცია: *წითელი, ლურჯი, ჭრელი...* საკაბე; *იშეიათი, საყურადღებო, ჩვეულებრივი...* მოკლენა და სხვ.

1. 2. შესიტყვების ერთ-ერთ წევრს შემოსაზღვრული მოხმარების სფერო აქვს, რის გამოც მეორე წევრის არჩევანი შეზღუდულია: *ღვინო ფერის მიხედვით სულ სამ-ოთხ სიტყვას იგუებს: შავი ღვინო, აეთრი ღვინო, წითელი ღვინო...* ალაგება-სიტყვის გვერდით ჩვეულებრივია მხოლოდ *ლოვინი, სუფრა, ჭურჭელი...* მინდორი ფერის აღმნიშვნელ მხოლოდ ერთ სიტყვას იგუებს: *მშენებ მინდორი.*

2. განცალკევებული შესიტყვებები:

2. 1. შესიტყვება ტერმინოლოგიური ხასიათისაა (მაგრამ შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა შერწყმა არ ხდება): *შეკვე კიტრი, სინქარის გადართვა.*

2. 2. ტიტულის აღმნიშვნელი შესიტყვება: *უმცროსი ლეიტენანტი, სახალხო არტისტი და შესიტყვებით გადმოცემული საკუთარი სახელები: შავი ზღვა, წყნარი ოკეანე, დიდი კანიონი (მდრ, უფროსი ლეიტენანტი, უმცროსი სერჟანტი, სახალხო მხატვარი, დამსახურებული არტისტი, შავი კლდე, მესამეული ზღვა...).*

2. 3. მკვიდრი შედარებები: *ქეასკვით მაგარი, ნახშირივით შავი, თავლივით ტკბილი...*

2. 4. ერთ-ერთი წევრის მნიშვნელობა დიდად შორდება მის მთავარ მნიშვნელობას, მაგრამ მაინც შესიტყვების მნიშვნელობა შემადგენელი ელემენტების მიხედვით დაისკვნება: *ბუნდოვანი აზრი, მტკიცე უარი...*

3. მყარი შესიტყვებები — მარტივი ფრაზეოლოგიური კავშირები.

აქ გამოთქმის ერთი წევრი, მეტწილად ზმნა, გახუნებულია ან მნიშვნელობისაგან დაცლილია, მაგრამ შესიტყვება მაინც შეიცნობა

როგორც შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამი: *აქვს შანი, ინტერესი... აღიარებს (ვისიმე) უპირატესობას, სიმართლეს...*

4. ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ნ ი:

სიტყვები აქ შედარებით მყარად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, საერთო მნიშვნელობა არის არა შემადგენელი ელემენტების ჯამი, არამედ ამ ჯამის განზოგადება ან მეტაფორაა: *კბილებს აკრატუნებს, ფებს შაიტებს, ყოველ ნაბიჯზე...*

ამ ჯგუფიდან იდიომატური გამოთქმებისაკენ გარდამავალი ვითარებაა წარმოდგენილი ისეთ გამოთქმებში. როგორცაა *თეთრი ყვავი, ეშმაკის მშხალა...*

5. ტ ყ უ პ ი ფ ო რ მ უ ლ ე ბ ი შინაარსობლივად წინა ჯგუფს წააგავს, გარეგნულად კი მიმართებითი სიტყვით (ან კავშირით) დაკავშირებული ორი (იშვიათად — სამი) სიტყვისაგან შედგენილი შესიტყვებაა:

5. 1. გაორმაგება გაძლიერების ან ხანგრძლივობის გადმოსაცემად: *ისეე და ისეე, დრო და დრო, წლიდან წლამდე...*

5. 2. მნიშვნელობით ახლო მდგომი სიტყვების წყვილი: *თავი და ბოლო, სულით და გულით...*

5. 3. მნიშვნელობის შემავსებელი ან დამაპირისპირებელი წყვილი: *დღე და ღამე, მთასა თუ ბარში, ზღვა და ხმელი, არც წყალი არც ღვინო.*

6. ი ღ ი ო მ ე ბ ი (მყარი ფრაზეოლოგიური კავშირები):

6. 1. ერთ-ერთი კომპონენტის მნიშვნელობა გაბუნდოვანებულია ან დაბნელებულია: *სიქა გაყალა.*

6. 2. მტკიცედ ჩამოსხმული ფრაზები: *ტყემაღზე ზის, ხელი ფაფას, ვერ მოგართევს.*

დაბოლოს, ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი დამთავრებული აზრის მქონე წინადადებები — ანდაზები, ციტატები: *ხელი ხელს ბანს, ჭერში ბუზებს ითვლის...*

ამ ჯგუფთა საზღვრები მკაფიო არ არის. გარდა ამისა, ზოგი ჯგუფი აგებულების მიხედვით არის გამოყოფილი, ზოგიც — შინაარსის მიხედვით.

შესიტყვებათა ლექსიკოლოგიურ დაჯგუფებათა სხვა ცდებიც არსებობს, საეხებით დამაკმაყოფილებელი სქემა ჯერაც ვერ შექმნილა. იქნებ წარმატებისათვის ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყოს გენეტური თვალსაზრისის გამოყენება — შესიტყვებათა განლაგება განვითარების ერთ ხაზზე თავისუფალი შესიტყვებიდან იდიომატურ გამოთქმამდე.

საამისოდ საკირო იქნება შესიტყვებათა მთელი ერთობლიობის თავმოყრა და სემანტიკურად გაანალიზება, რაც, ცხადია, ძალზე შრომატევადი სამუშაოა.

მნიშვნელობის ცვლა შესიტყვებაში
(„დამართება“)

214. ლექსიკოლოგიური სინტაგმატიკის სფეროს მიეკუთვნება სიტყვის მნიშვნელობის ისტორიის კვლევაც, როდესაც მნიშვნელობის ცვლას ბიძგს აძლევს სათანადო სიტყვის რეგულარული ხმარება გარკვეულ კონტექსტებში.

მოვიყვანო მნიშვნელობის ამგვარი ცვლის რამდენიმე მაგალითს:
მეხევეთი (იხ. ზემოთ, § 145).

თავდაპირველად ეს სიტყვა 'შკაში მეთაურ მომკალს. სვის გამტანს' ნიშნავდა და იმ რიგის ტერმინი იყო, როგორცაა გუთნისდღა. დამის მეხრე. მენობარი და სხვ. „ეგრე, ეგრე, მესევეურო, ასქერ ყანა, გადაყელე“ (შიო მღვიმელი).

შემდეგ ეს სიტყვა მეტაფორულად იქნა ნახმარი 'გზის გამკვლევის, ახალი მძიმე საქმის დამწყების' აღსანიშნავად: „ამ ახალი მიმართულების მესევეური იყო სახელოვანი Современник-ი“ (ილია).

სალიტერატურო ენაში მესევეური-სიტყვის ეს ახლებური ხმარება დამკვიდრდა პუბლიცისტიკაში, ამიტომ პირვანდელ მნიშვნელობასთან კავშირი გაწყვიტა?, ე. ი. მეტაფორის ხასიათი დაკარგა და პატივისცემის ელფერის მქონე 'პიონერის, საქმის დამწყების' მნიშვნელობიდან შემოიფარგლა 'მეთაურის, ხელმძღვანელის' აღნიშვნით.

მაგრამ პატივისცემის ელფერის მქონე სიტყვები ხშირად განზრახ გამოიყენება ირონიული ელფერით. შდრ. „ვერ მოგართევს!“ „სად დაბრძანდებოდი ამ შუალამემდე?“ „რას ცუდლუტობ, ე აჭ ბ ა ტ ო ნ ო?“ (დ. კლდიაშვილი). ეს მოუვიდა მესევეურ'საც: „კოლმეურნეობის მესევეურთა დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა“ (პრესიდან) და სხვ.

აქედან კი ერთი ნაბიჯია მკვეთრად უარყოფითი ელფერისაკენ: „იმპერიალისტური ბანაკის მესევეურები“, „კაპიტალისტური სამყაროს მესევეურები“, „ფლანგისტები და მათი ოკეანისგალმელი მესევეურები“... ამ უქანასკნელ შემთხვევაში მესევეური'ს თავდაპირ-

* კავშირის გაწყვეტას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პირვანდელი მნიშვნელობა იშვიათად იხმარებოდა სამწერლო ენაში.

ველ მნიშვნელობიდან აღარაფერია დარჩენილი: აქ მესვეური მხოლოდ 'ბატონს' აღნიშნავს.

ამრიგად, გარკვეულ, სახელდობრ — ვარყოფითი ელფერის მქონე კონტექსტებში ხშირმა ხმარებამ სიტყვას უცვალა ემოციური იერიცა და შემდეგ საგნობრივი მნიშვნელობაც: ეს ახლებური მნიშვნელობა და იერი მას კონტექსტმა, ხშირად ხმარებულმა სიტყვებმა, „გადასდო“, „დამართა“: ენათმეცნიერებაში ამ მოვლენას სწორედ დამართება (Con-lagion) ეწოდება [246].

ლ ა მ ა ზ ი :

ლამაზ-ფუძე არაბულიდან მომდინარეობს [პ. 4. 52] და მისგან ნაწარმოები ლამაზობა 'ეშმაკობის, სიცრუის, თვალთმაქცობის' მნიშვნელობით იხმარებოდა ვისრამიანში: „მე ლამაზობასა და უსირცხვილობასა ნუ მასწავლი“, „შენ იგივე და იგივე საუბარი არ დაგელევის და ლამაზობა“, „მზე ხარ კეკლუცთა და არამცა მოგაცთუნვა სიკეკლუცემან. ღმრთისა განგება თავსავე ზედა ქმნილა შენთუის, ეგე ეგზომი უსარგებლო სიტყვა რასალა გერგების? დააგდე სიჭრელე შენი და ლამაზობა“. „რა მუნებურნი დედანი მამათა პირსა უჩუენებენ, მაშინვე გულსა წაუღებენ მათთა თმითა, პირითა მშუენიერთა და ლამაზობითა“.

ამ ფრაზებში *შუენიერი*, *სიკეკლუცე*-სიტყვების გვერდით ხმარების გამო ლამაზობა-სიტყვამ განივითარა 'თვალთმაქცობის' მომიჯნავე ელფერი — 'მომხიბლაობისა', 'სიკეკლუცისა' ('კობტაობისა').

ეს კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“: „რა გათენდა, შეეკაზმა მისთა მკვერტთა სალამაზოდ“, ე. ი. მოსახიბლავად. „(ნავროზობას) დავიწყებთ კაზმასა, ლამაზობასა“: აქაც ლამაზობა აღარაა მკვეთრად უარყოფითი ელფერის სიტყვა და აღარ ნიშნავს 'სიცრუეს', 'თვალთმაქცობას'; „მე შემომხედის ლამაზად მის მეღნის ტბისა თვალითა“, სადაც ლამაზად = *კეკლუცად*. სხვა ადგილებში ლამაზი გვხვდება 'ტურფას' გვერდით: „ტურფისა და ლამაზისა“, „ტურფაო, ლამაზ-ენაო“ ... და აგრეთვე ლაღი-სიტყვის გვერდით „ლაღმან და ლამაზმა“.

არა მხოლოდ სიტუაციამ, რეალურმა კონტექსტმა, არამედ, აგრეთვე, გარემომცველმა სიტყვებმა, ენობრივმა კონტექსტმა — *შუენიერი*, *სიკეკლუცე*, *კაზმეა*, *ტურფა*, *ლაღი-სიტყვებმა* — უბიძგეს ლამაზ-ფუძეს მიეღო ბოლოს და ბოლოს ის მნიშვნელობა, რომელიც დღესა აქვს.

მ ე კ ო ბ რ ე :

მეკობრე თანამედროვე ქართულში 'ზღვის ავაზაკს' ხიშხავს, თუმცა აღრინდელი მნიშვნელობა საზოგადოდ 'ავაზაკი' იყო. მნიშვნე-

ნელობის ცვლას უთუოდ ბიძგი მისცა ამ სიტყვის ხმარებამ პოპულარულ წიგნში — „ვეფხისტყაოსანში“ ისეთ კონტექსტებში, სადაც ნაეი და ზღუა-სიტყვები მონაწილეობენ: „გამოჩნდა ნ ა ე ი მ ე კ ო ბ რ ე“ „იგი ნ ა ე ი მ ე კ ო ბ რ ე თ ა“, „მ ე კ ო ბ რ ი ს ა ნ ა ე ი ს ა ნ ი“, „ზ ღ ე ა ს ა შე-ვედით, მუნ მ ე კ ო ბ რ ე თ ა და გ ვ ხ ო ც ე ს...“

მჭკერი:

მჭკერი აღრე 'ლამაზს, მოხდენილს' ნიშნავდა.

„ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს „ტანი მჭკერი“, „ალეა მჭკერი“...

„ვეფხისტყაოსანშივე“ სიტყვა ნახმარია მჭკერის გვერდით: „ს ი ტ ყ ვ ა მჭკერი და წყლიანი“, „ს ი ტ ყ ვ ა ნ ა ტ ი ფ ი, მჭკერები“. აქ მჭკერი ისევ 'ლამაზი, მოხდენილი' არის (მღრ. მეზობელი სიტყვა ნატიფი) და აგრეთვე: „რაზომცა ს ი ტ ყ ვ ა მიუგო მჭკერი და ლამაზ-მანები“ (იოსებზილიხანიანი).

მაგრამ მჭკერის კონტექსტები თანდათან შემოიფარგლა სიტყვა-ენა-, მეტყველება-სიტყვებით: ენამჭკერობა, მჭკერმეტყველი... ამ კონტექსტულურმა შემოფარგვლამ თვით მჭკერი-სიტყვის მნიშვნელობა შემოფარგლა და, ბოლოს და ბოლოს, 'კობტას, მოხდენილის' აღნიშვნიდან 'კობტა, მოხდენილი ს ი ტ ყ ვ ი ს' აღნიშვნად შეიცვალა „ვერ ვაქებ მუნჯის მჭკერობას, შორსმხედველობას ბეცისა“ (აკაკი). უეჭველია, აქ მუნჯის ს ი კ ო ხ ტ ა ვ ე ზ ე კ ი არაა ლაპარაკი, არამედ მუნჯის ო რ ა ტ ო რ ო ბ ა ზ ე (ისევე. როგორც ბეცის მიმართ მის შორსმხედველობაზე).

ქ რ თ ე ბ ა, მ ქ რ თ ა ლ ი...

ამ სიტყვათა ფუძე შეხტომას, შეთრთოლებას' აღნიშნავდა. ერთი მხრით, ამ ფიზიკური დახასიათებიდან განვითარდა სულიერი მდგომარეობის გადმოცემა: შეკრთომა აღნიშნავს "შეშინებას".

მეორე მხრით კრთომა'ს ფუძემ 'სხივის ციმციმის' და 'ბრწყინვის' მნიშვნელობა მიიღო და 'შუქიანობას' დაუკავშირდა: „შეტბორებულ შავ ღრუბლებში ოდნავ კრთოდა იისფერი“ (გ. ლეონიძე), „განთიადი კი კრთოლვა-ლიმილით მის მწვერვალიდან იძლევა სალამს“ (ი. ევდოშვილი), „აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული“ (გ. ტაბიძე)... მნიშვნელობის ამგვარს განვითარებას უძღოდა ამ ფუძის ხშირი ხმარება შუქი და ელვა-სიტყვების გვერდით: „მას რომე ელვა კრთებოდა“, „პირითა მზისებრ ელვა-მკრთალითა“, „პირი ელვათა მკრთობარე“, „პირთათ გამოკრთების თეთრი ელვა“.

შეტ-ნაკლები შუქიანობის' შინაარსიდან უკვე ერთი ნაბიჯია 'უფერულამდე': „ფერნამკრთალი“ — ფერმკრთალი — მკრთალი 'უფერულ-

ლა': „ვენაცვალე შენს მერთალ სახეს. დედაჩემო“ (ვაეა); დედის სახე, ივარაუდება. უფერულია და არა „მთრთოლვარე“. ასევე: „მერთალად ანათებდა პატარა თუნუქის ლამპა“ (ე. ნინოშვილი) — ივარაუდება — 'ო დ ნ ა ვ ანათებდა' და არა „ციმციმებდა“.

მღერა:

მღერა. როგორც ცნობილია, ადრე 'თამაშობას, თავის შექცევას. გართობას' ნიშნავდა. დღეს მხოლოდ 'გალობას' ნიშნავს.

მნიშვნელობის ამგვარ ცვლას ხელი შეუწყო სიტყვის ხშირმა ხმარებამაც გარკვეულ კონტექსტებში: „ხ მ ა მ მემღერთა“, „ვიმღერდ და ვროკვიდე წინაშე უფლისა“, „ემღერ და ვშუშპარობ“, „ყოველი ერი იერუსალემისაჲ იმღერდეს წინაშე კიდობანსა მას შჭულისასა ნესტვთა, ქნარითა, ბიბლინითა და ლინითა“... ყველა ამ შემთხვევაში *მღერა* ჭერ კიდევ პირვანდელი მნიშვნელობით არის ნახმარი, მაგრამ კონტექსტის სიტყვები (*გროკვიდე, ხმამ, ვშუშპარობ, ნესტვ, ქნარი...*) უბიძგებდა ალბათ უფრო გვიანდელი ხანის მკითხველებს *მღერა*-სიტყვის მნიშვნელობა დაეკავშირებინათ ხმიანობასთან, სიმღერასთან (დღევანდელი მნიშვნელობით), როცა უკვე შემოსული იყო ქართულში 'თავის შექცევის, გართობის' აღმნიშვნელი ახალი სიტყვა *თამაში*. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით XII საუკუნეში, „ვისრამიანში“ *სიმღერა* ზოგ კონტექსტში ჭერ კიდევ თამაშის, თავის შექცევის, მნიშვნელობით არის ნახმარი და ზოგში უკვე — 'გალობის' მნიშვნელობით: „მუტრიბნი სხდეს და გარე მრავალფერითა შაირითა იმღერდეს“. მნიშვნელობის ცვლას ამ „სინტაქსური“ ხასიათის მიზეზმა მხოლოდ შეუწყო ხელი; მოქმედებდნენ ალბათ სხვა ფაქტორებიც, კერძოდ „პარადიგმატული“ (იხ. ზემოთ, § 203).

„დამართების“ საინტერესო შემთხვევა აქვს აწერილი ა. შანიძეს [109] „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ადგილზე ასეთი კომპოზიტი გვხვდება: *სტაჟრა-ნახლები* („ვეფხისა ტყავი აცვია, ცუდად უჩნს *სტაჟრა-ნახლები*“). აქ პირველი სიტყვა ძვირფასი ქსოვილის ზოგადი სახელია, მეორე — *ნახალ-ფუძეა*, ხმოვნიანი სუფიქსის დართვით შეკუმშულია. ეს ფუძე კილოებში გვხვდება *ნაალი*-სიტყვის სახით. მაგრამ თავის დროზე *ნახალი* (—*ნაჰალ* სპარს.), ჩანს, ფართო გავრცელებისა არ ყოფილა. გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ შავთელთან („*სტაჟრა და ნახლი*“) და უკვე საკმაოდ ხშირად — აღორძინების ხანის ლიტერატურაში, თითქმის მუდამ *სტაჟრა*-სიტყვის გვერდით ან კომპოზიტში („ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად): გაუგებარი სიტყვა გააზრიანდა შე-

ზობელი სტაერა-სიტყვის გავლენით 'ერთგვარ ქსოვილად' (და რედუცირებული ფუძეც შეკუმშულადვე იქნა გამეორებული, შემკუმშველი -ებ-სუფიქსის ჩამოშორების შემდეგაც).

ასევე, აღორძინება-სიტყვამ, რომელიც '(მცენარის) აყვავებას' აღნიშნავდა, გარკვეულ კონტექსტებში ხშირი ხმარების წყალობით მნიშვნელობა იცვლება და ამჟამად 'ხ ე ლ ა ხ ლ ა აყვავებას', 'განახლებას', 'რენესანსს' აღნიშნავს (დაწერილებით იხ. ზემოთ, § 145).

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ სიტყვათა შესწავლა კონტექსტში, სიტყვათა სინტაგმატური შესწავლა, ფასეულია როგორც ამ სიტყვათა მნიშვნელობის სრულად აღსაწერად, ისე მნიშვნელობის ცვლის მიზეზთა დასადგენად.

საქუთარო და შეთვისებაშლი მასალა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში

ა. უძველესი ქართული ფეძეები: ზოგადი. -- უძველესი მასალის გამოყოფასთან დაკავშირებული საკითხები. -- საერთოქართულურის ნაშეკიდრევი სიტყვები ქართული ენის ლექსიკურ ფონდში. -- შთის იბერიულ-კავსიურ ენებთან საზიარო ლექსიკა ქართულში. -- ქართული ლექსიკის ადგილი „ნოსტრატულ“ კიბოთეზაში.

ზოგადი

ქართული ენის ლექსიკის შესწავლა გულისხმობს, პირველ ყოვლისა, იმ ფაქტთა თავმოყრას, რომლებიც ქართულ ლექსიკას განეკუთვნება, ე. ი. ქართული ენის ლექსიკურ ერთეულთა რაც შეიძლება სრული სიის შედგენას და შემდეგ ამ ერთეულთა დაჯგუფებას.

ასე, ლექსიკური ფონდის განხილვა ფონეტიკასთან მიმართებაში იძლევა სიტყვების დაჯგუფებას ბგერადობისა და მნიშვნელობის კავშირის მიხედვით, საინტერესო შედეგები მოგვცა ლექსიკის განხილვას სიტყვათა ნორმებული აგებულების გათვალისწინებით.

არსებითი მნიშვნელობისა ცოდნა, რომელსაც ვიღებთ ლექსიკის შესწავლით საკუთრივ ლექსიკოლოგიური ასპექტებით, სახელდობრ, საზნობრივი მიმართების მისეჯვია, ენობრივი კოლექტივის ყოფასთან დამოკიდებულების, აგრეთვე სიტყვათა ურთიერთმიმართების გათვალისწინებით.

ყველაფერი ეს იძლევა საშუალებას გამოგავლინოთ, ერთი მხრივ, ლექსიკის სპეციფიკა ფონეტიკურ და გრამატიკულ სისტემებთან შედარებით და, მეორე მხრივ, ქართული სიტყვის თავისებურებანი სხვა ენათა ლექსიკასთან შედარებით.

215. ჩვენი მიმოხილვა სრული არ იქნება, თუ არ წარმოვადგენთ ცნობებს ლექსიკის ისტორიული ცვალებადობის შესახებ და სათანადოდ არ დავაჯგუფებთ ქართულ სიტყვებს.

ლექსიკურ ერთეულთა ყველაზე მარტივი დაჯგუფება იქნებოდა მასში უძველესი მასალის გამოყოფა შემდეგ შეთვისებული მასალისა-

გან. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ყველაზე მარტივი დაჯგუფებაც მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული.

ეს სიძნელეები ზოგჯერ ფაქტობრივი ხასიათისაა — არ ვიცით, ესა თუ ის ლექსიკური ერთეული უძველესია („ოდინდელია“), თუ შემდეგ არის შეთვისებული: ზოგიერთი სიტყვა დავის საგანს წარმოადგენს: *ხიდი, მკაცრი, ძეგლი...* ან მათი წარმომავლობის შესწავლა ჯერაც არაა დაწყებული...

ზოგი სიძნელე პრინციპული, მეთოდოლოგიური ხასიათისაა — სადავო შეიძლება აღმოჩნდეს ის კრიტერიუმიც, რომელიც ქართულისა და არაქართული ლექსიკური მასალის გასამიჯნავად გამოიყენება.

ყოველ დღის ნაბიჯზე ფირნიშებზე ვკითხულობთ ქართულ-რუსულ წარწერებს: *უბხაცმეუი — Обувь, ქსოვილები — Ткани, სურსათი — Продукты, კაფე — Кафе, ფახსაცმელის შეკეთება — Ремонт обуви...* ვიცით, აგრეთვე, რომ ამგვარადვე უპირისპირდება ერთმანეთს ქართულ-რუსული სასპორტო ტერმინები *შეკარე — вратарь, სეგპურთი — теннис, ფრენკრთი — волейбол, ფეხბურთა — футбол, სესისავე წვევლებს ქმნის: გამზირი — проспект, ხარჯთაღრიცხვა — бюджет, ასაკი — возраст, მანძილი — расстояние, ლუდი — пиво, არაყი — водка, ლიმონათი — лимонад, ბორში — борщ, ხახოხნილი — чахохбили...*

ეს უკანასკნელი მაგალითები უკვე დაგვაფიქრებს: ქართული ასოებით დაწერილი ბორში¹ს ქართულობა ნაინც როგორღაც არ გვჯერა. ისევე, როგორც რუსულად დაწერილი чахохбили²ს რუსულობა; და кафе — კაფე³, რუსულ-ქართული დაწერალობის მიუხედავად, არც რუსულ და არც ქართულ სიტყვად არ შეიგარძნობა; სხვათა შორის, რამდენიმე ათეული წლის წინათ კაფეს ფარდად ქართულად ყავახანას⁴ წერდნენ და ლაპარაკობდნენ (გავისხენოთ თუნდ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობების ციკლი „პოეტების ყავახანა“). მაგრამ საეჭვოა არა მხოლოდ კაფეს ქართულობა, არამედ ყავახანა-სიტყვისაც. ასევე, ხშირად საეჭვოა წარმოშობის მიხედვით ქართულ ან რუსულ სიტყვებად დაბასიათება შემოთ ჩამოთვლილი წყვილებიდან თითოსი, ან ორივესი ერთად: *განა მკვლელობა, მკვლეობა, ფრენსეკრთი, ცემბკრთი, ვანძირი და ხაკელი* — აღრიცხვა-სიტყვების ფარდი რემსიტ, ტენის, волейбол, футбол, проспект, бюджет-სიტყვები რუსული სიტყვებია? ასევე, возраст, расстояние, водка, пиво-სიტყვათა ფარდად გამოყენებული ასაკი, მანძილი, არაყი, ლუდი, როგორც ცნობილია, წარმოშობით შეთვისებული სიტყვებია და არა უძველესი ქართული. ლიმონათი — лимонад, კაფე — кафе ორივე ენას, რუსულსაც და ქართულსაც, სხვა, მესამე, წყაროდან აქვს შეთვისებული, ხოლო სურსათი — продукты-სიტყვებში ქართული და რუსული მასალა კი არ უპირისპირდება ერთმან-

ნეთს, არაზედ არაბული და ლათინური! და მინც სურსათი ქართული ფარდია რუსული პროდუქტ-ისა, ქართულია ლიმონათი, კაფე, ნახმარი რუსულ лимонад, кафе'ს ფარდად; თვით რუსული ასოებით დაწერილი (და რუსულ ფრაზაში გამოყენებული) чахохили'ც რუსული ფარდია ქართული ჩახობილი'სა (და ქართული ბორში — რუსული щи'ისა)... ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ მარტივად ვერ გადაწყდება საკითხი — რუსულია თუ ქართული ესა თუ ის სიტყვა. — თუნდაც მათი წარმოშობა ჩვენთვის ნათელი იყოს.

216. თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ლექსიკურ ფონდში, სულ ცოტა, ასი ათასი სიტყვა — ათასობით მარტივი ფუძე — შედის.

ზოგიერთი მათგანი სულ უკანასკნელი წლების შენაძენია: ტრანზისტორი, ხელბურთი, სელენოცენტრული, მთვარემაკალი, ლოჯია, ტრანსლანტაცია და ბევრი სხვა. ეს სიტყვები, რომლებიც სალიტერატურო ენის დღევანდელ მომხმარებელს ყოველდღიურად ხვდება გაზეთში და ესმის რადიოში თუ ტელევიზორში, ამ ათი-თხუთმეტი წლის წინ ქართულში არ არსებობდა.

მეორე მხრით, ქართულ ენაში გვაქვს ბევრი ისეთი სიტყვა, რომლებიც არაერთი ათასეული წლების განმავლობაში მიეკუთვნებოდა ქართულს და რომელთა წარმოშობა შორეული წარსულის ბურუსით არის დაფარული. ასეთებია: გული, ძმა, მზე, კაცი, ვინ, იქ, ჭამს, იცინის, თესავს, თრგუნავს...

ქართული ენის ლექსიკური ფონდის შემადგენლობაში გარკვევისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა განგვეხილა იგი თავიდან ბოლომდე და სხვადასხვა წარმოშობის შეთვისებული მასალა გამოგვეცალკევებინა უძველესი ქართული სიტყვებისაგან (ფუძეებისაგან).

ქართული ენის უძველესი ლექსიკური ფენის შესასწავლად ბევრი რამ არის გაკეთებული. არსებობს ისტორიულ-შედარებითი ხასიათის ნაშრომები საკუთრივ ლექსიკის შესახებ. გარდა ამისა, ქართული ენის უძველეს მორფოლოგიურ და ფონოლოგიურ სტრუქტურაში გარკვევას მიეძღვნა რამდენიმე კაპიტალური გამოკვლევა, რომლებშიც ქართული ენის სიტყვათა დახასიათება არის მოცემული და სხვა ენებთან მიმართების საკითხები არის განხილული. ბუნებრივია, რომ ეს ნაშრომები და გამოკვლევები საფუძვლად დაედება ქართული ლექსიკის დახასიათებას წარმომავლობის მიხედვით, კერძოდ, უძველესი ლექსიკური მასალის გამოყოფას.

შემდეგ, დანარჩენი — შეთვისებული — დანაწევრდება სესხების წყაროთა მიხედვით, ვთქვათ, ცალ-ცალკე იქნება განხილული სპარსუ-

ლი ენიდან, ბერძნულიდან, არაბულიდან და სხვა ენათაგან შეთვისებული მასალა.

უძველესი მასალის გამოყოფასთან დაკავშირებული საკითხები

217. ყველაზე რთული სამუშაოა საკუთრივ ქართულის, უძველესი ლექსიკური მასალის გამოყოფა.

საამისოდ თითოეული სიტყვა უნდა დახასიათდეს როგორც პოზიტიურად, ისე ნეგატიურად.

ნ ე გ ა ტ ი უ რ ი დახასიათება გულისხმობს იმის დადგენას, რომ მოცემული სიტყვა ნამდვილად არ არის ქართული, ნასესხებია. მაგალითად, *სამოვარი* რომ არაა უძველესი ქართული, რომ ნასესხებია, ამას ადასტურებს სიტყვის არაქართული შედგენილობა: *cam-o-bap* (*cam* და *bap* რუსული ფუძეებია, მათი გამაერთიანებელი *o* ხმოვანი რუსული რთული სიტყვებისათვის არის დამახასიათებელი). მუხი რომ დაკავშირებულია ოსურ *მულ-ფუძესთან*, ამ ვარაუდს მხარს უჭერს *მულ*-ის შესატყვისი ფუძის არსებობა არა ქართულის, არამედ ოსურის მონათესავე სხვა ენებში (ძვ. ირან. *maigha*, ძვ. ინდ. *mégha*, ავესტის *maēja*, ახალი სპარსული *maej* და სხვ. [11]).

ამრიგად, სიტყვის არაქართული, სახელდობრ *ამა* და ამ ენისათვის დამახასიათებელი *ა გ ე ბ უ ლ ე ბ ა*, ან კიდეც არაქართული, სახელდობრ *ამა* და ამ ენობრივი ოჯახისათვის დამახასიათებელი *გ ე ნ ე ტ ი კ უ რ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი* წყვეტს *ამა* თუ იმ სიტყვის არაქართულობის საკითხს.

218. მაგრამ რა საბუთით უნდა ჩავთვალოთ ესა თუ ის სიტყვა *ს ა კ უ თ რ ი ვ ქ ა რ თ უ ლ* სიტყვად? ის გარემოება, რომ ამ სიტყვის ნასესხებობა ჭერჭერობით არ დამტკიცებულა, ვერაფერი საბუთია: დღეს არ დამტკიცებულა. მაგრამ იქნებ ხვალ დამტკიცდეს! არანასესხობასთან ერთად თუ სათანადო ფუძე დადასტურდება ქართულის მონათესავე ენებში, ეს უკვე ისეთი ფაქტი იქნება, რომ მას ანგარიში უნდა გაეწიოს: *მილ-ფუძე* („კვერცხის ცილა“) ქართულშიც რომ გვხვდება, ზანურშიც და სვანურშიც [137], ეს იმის საბუთია, რომ ამ ფუძის ოდინდელქართულობა ვივარაუდოთ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბოლომდე სარწმუნო არც ეს საბუთია. მართლაც, ხომ შეიძლებოდა შეეთვისებინა იგი ერთი ენიდან სხვა ენებს? არის კიდეც ეჭვი, რომ *მილ-ფუძე* სვანურს შეთვისებული აქვს ქართულ-ზანურიდან [205].

ასეთ პირობებში უპირატესობა, ბუნებრივია, უნდა ეძლეოდეს ისეთ

ფაქტებს, სადაც აშკარად გვაქვს რეგულარული ფონეტიკური დიფერენციაცია: კაჟ-ფუძეს ზანურში შეესაბამება კოზ- და ვიცით, რომ ის ბგერათა სხვაობა, რომელიც ამათ შორის არსებობს, არის კერძო გამოვლენა ქართულისა და ზანურის რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობისა (ქართ. ც — ზან. ჩ. ქართ. ა — ზან. თ); შეიძლება ვთქვათ, რომ კაჟ-ფუძე, ყოველ შემთხვევაში, ქართულისა და ზანურის „გათიშვამდ-არსებობდა ქართულ ენაში. ხოლო თუ ქართულ კაჟ- და ზანურ კოზ-ფუძეებს გვერდით ამოვუყენებთ სევანურ ჭაშს, მაშინ უკვე გულდაჭერებით ვიტყვი, რომ კაჟ-ფუძე ქართულში შორეულ წარსულშიც გვექონია.

მაგრამ ასეთი მასალა, ე. ი. მასალა, რომელიც ქართულ-ზანურ-სევანურ შესატყვისობათა გამო უძველეს ქართულშიც სავარაუდოა, დიდი რაოდენობისა არ არის — სულ ათასიოდე ფუძეს ასახელებენ სპეციალისტები. რა თქმა უნდა, ამ ათასი ფუძით არ ამოიწურება საერთო-ქართველური, ე. ი. უძველესი ქართული ლექსიკური მასალა.

219. საქმე ის არის, რომ საერთო მასალის თითოეულ ფუძეს შეიძლება არც განეცადოს რეგულარული („კანონზომიერი“) ბგერითი დიფერენციაცია.

„ფონეტიკური კანონზომიერება“ განზოგადებული ფორმულაა და თითოეული ფაქტის უეჭველობით ახსნა მას არ ევალება*.

აი, რას ამბობს ამის შესახებ, მაგალითად, იტალიელი ენათმეცნიერი ვ. პიზანი: „ენათა შესწავლამ მათ სივრცითს განაწილებაში მიგვიყვანა იმის მტკიცებამდე, რომელიც, სიმარტივის მიუხედავად, ძველ თაობათა ბევრ ლინგვისტს მხედველობიდან გამოიჩინა და რომელსაც აქამდე

* რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვისობათა უგამონაკლისობის მტკიცება შედეგია ამ შესატყვისობათა ნატურალისტური ინტერპრეტაციისა, რომელიც შლაიხერსაგან მომდინარეობს. შლაიხერი, თავის მხრით, ისტორიული პროცესის პეგელიანურ გავებას ემყარებოდა: ენას ისტორიულ პერიოდში მიიჩნევდა აბსოლუტურ გონივრულ მიტოვებულ ნაჰუქად: ენის ცვალებადობა, თითქოს, მდგომარეობს ამ ნაჰუქის როგორც ფიზიკური ოდენობის ცვლასა და დაშლაში, და ეს ცვლათა-დაშლა ფიზიკური კანონების მიხედვით ხდება. აქედან მომდინარეობს ნეოგრამატიკოსებისეული თეორია — „ფონეტიკური კანონები მოქმედებენ ბრმად, ბრმა აუცილებლობით“.

ამრიგად, ბგერათი რეგულარობის მიჩნევა უგამონაკლისოდ, ბრმა აუცილებლობით მოქმედ ფონეტიკურ კანონებად საბოლოო ანგარიშში ემყარება, ერთი მხრით, პეგელიანურ გონის ფენომენოლოგიას და მისი სისუსტის უუფერნას წარმოადგენს: მეორე მხრით, იგი ემყარება ბიოლოგიური კანონზომიერების მექანიკურ გავებას, რაც შეუთავსებელია მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონესთან: „უაღლა ბიოლოგიური მოვლენა ვითარდება ატომურ-მოლეკულურ დონეზე, სადაც ყველა კანონი ამოიწურება „ქანტური მექანიკით“ [207]. (მდრ. აგრეთვე, ქვემოთ, §5221, 241)

ეწინააღმდეგება ზოგი ენათმეცნიერი, ისეთ შემთხვევებში მაინც, როდესაც საქმე ეხება სათანადო დასკვნებს. ეს მტკიცება იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ენობრივი მოვლენა თავდაპირველად წარმოიქმნება ერთ ადგილას გარკვეულ ინდივიდთან და მხოლოდ შემდეგ იქცევა მოდელად სხვა ინდივიდთა ენობრივი წარმონაქმნებისათვის, სულ უფრო და უფრო ვრცელდება სივრცეში, სანამ გარკვეულ საზღვრებს არ მიაღწევს... ეს გავრცელება არ არის, რა თქმა უნდა. ერთგვაროვანი. ის შეიძლება შეესოს გარკვეულ საზოგადოებრივ კლასებს ან გარკვეულ ტექნიკურ და პროფესიულ ჯგუფებს, სხვებს კი გვერდი აუაროს, ანდა გამოიწვიოს მათში სათანადო რეაქცია; მას ზოგჯერ დაბრკოლება ხვდება ერთი დიალექტური ფორმებიდან სხვებში უბრალოდ გადასვლისას. მაშინ როცა სხვა შემთხვევებში მოვლენა ერთი ენიდან სხვა, დიდად განსხვავებულ ენაშიც კი გადააქვთ იმ პირებს, რომლებიც ორ ენაზე ლაპარაკობენ; იგი იღებს ფორმებს, კომპრომისულს ძველსა და ახალს შორის და ა. შ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ამ გავრცელებას განსაზღვრავს ორი ფაქტორი, — აუცილებლობა და ავტორიტეტი, ამასთანავე ავტორიტეტი აქ გაგებულია ძალიან ფართო აზრით, არა მხოლოდ როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ პირობათა გავლენა, არამედ როგორც ახლის გრძნობა...“ [220].

ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ სიტყვათა სხვადასხვა კლასები შესაძლებელია ერთგვარად არ ექვემდებარებოდნენ ფონეტიკური კანონების მოქმედებას. სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ, რომ ბავშვთა პირველი სიტყვები, მაგალითად „დედის“ და „მამის“ სახელები, ადვილად არ თავსდება სათანადო ენის ბგერითი განვითარების ყალიბში. სხვა მაგალითი: პ. ფოგტის თქმით, „ფონეტიკური სიმბოლიზმის მქონე ზმნებში“ ხდება „ნებისმიერი დეფორმაციები, რომლებსაც ამ ზმნების კონსონანტიზმი ემორჩილება «ფონეტიკური კანონების» ანგარიშის გაუწევლად“ [86].

220. დაბოლოს, რეგულარობის მწყობრ სურათს აბუნდოვანებს (და ბევრ შემთხვევაში არღვევს) სათანადო კოლექტივის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც მეტწილად უცნობია მკვლევართათვის. თვით ქართული ენა, რომლის ლექსიკის შესწავლაც წარმოადგენს ჩვენს ამოცანას, მონათესავე დიალექტების არაერთგზისი შერწყმა-გათიშვის შედეგად მიღებული ერთიანობაა.

ამის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობდა: „არც ერთ ენა-კავს თავის პირვანდელ სახით არ მოუხსნევია, არამედ ცოტად თუ ბევრად თვითეული მათგანი შერეულია. ამას გარდა, ხანგრძლივმა საერთო ისტორიულმა ცხოვრებამ და არსებობამ საერთო ენაც და მწერლობაც

შექმნეს, რომლის შექმნაში ყველა ქართველი ტომები სხვადასხვა დროს და ერთდროულადაც სხვადასხვა მონაწილეობას იღებენ; თვითელს თავისი წვლილი აქვს შეტანილი ამ საერთო საუნჯეში. ამგვარად შესდგა ერთი საზოგადო სამწერლო-სალიტერატურო და სახელმწიფო ენა; რა ნიადაგზე იყო აღმოცენებული იგი უძველეს დროს, ჯერ გამოკვლეული არ არის, მაგრამ შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს გაქრისტიანებიდან მოყოლებული და უფრო წინანდელ წარმართობის დროსაც, საერთო ენას საფუძვლად ქართვების ენა-კავი ჰქონია. საერთო ენის „ქართულის“ შექმნამ შთანთქა შემდეგ არა ერთი და ორი ენა-კავი, როგორც მაგ., თვით ქართვების, მესხების და იბერთა ენა-კავები. „ქართული“ ვითარცა საერთო სამწერლობო ენა, ხელოვნური ენაა და ამიტომ არის, რომ მას ბევრი რამ აქვს, რაც მეგრულ-ქანურ-სვანურ-აფხაზურიდან არის დაუნჯებული; ამის გამოა, რომ თუმცა ქართულმა ქართ-მესხ-იბერული შთანთქა, მაგრამ მაინც ყველაფერს, რაც ქართულშია, მთლად ქართვების, მესხთა და იბერთა ენა-კავების კუთვნილებად ვერ ვიცნობთ. ეს კია, რომ როცა შეიქმნა საზოგადო ენა — ქართული, მანაც თავის მხრივ იქონია და ჰქონდა ხოლმე მუდამ განუწყვეტელი გავლენა მეგრულ-ქანურ-სვანურ-აფხაზურზე“ [160].

ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველურმა ენათმეცნიერებამ დიდად წაიწია წინ. აუარებელი ახალი ფაქტი გამოვლინდა. შესაძლებელი გახდა წინათ დადგენილი ფაქტების დაზუსტება და ახლებური გაშუქება; საზოგადოდ, ისეთი ცოდნა დაგროვდა. რომლის შესახებაც ალბათ ოცნებაც გაუჭირდებოდა ჩვენს დიდ მეცნიერს ამ სამოცი წლის წინათ, როდესაც ზემოთ მოყვანილი სტრიქონები იწერებოდა.

221. თუმცა ეს სიახლეები ზოგი მაშინდელი მოსაზრების დაზუსტებას მოითხოვს (კერძოდ, ეს შეეხება აფხაზურის განხილვას მეგრულ-ქანურისა და სვანური ენის თანაბრად), მაგრამ ძალაში დარჩა ძირითადი დებულება, რომ კონვერგენციის (ინტეგრაციის), დაახლოების პროცესს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენებში და, კერძოდ, ქართული ენის განვითარებაში. არა მხოლოდ ძალაში დარჩა, არამედ ახლად მოპოვებული ფაქტები დაბეჭითებით მოითხოვს კონვერგენციის მოვლენებისათვის განსაკუთრებულად ანგარიშის გაწევას როგორც ქართულის გრამატიკული აგებულებისა და ლექსიკური შემადგენლობის კვლევისას, ისე იმ რთული საკითხების ძიებისას, რომლებიც შეეხება ქართულის ურთიერთობას მის ახლო თუ შორეულ მონათესავე ენებთან.

„გენეალოგიური ხის“ სქემა, რომელიც ამ ასი წლის წინათ იქნა შე-

მოტანილი ენათმეცნიერებაში *, უკვე მაშინ დაუშვებლად გამარტივებულად წარმოგვიდგენდა იმ რთულ ურთიერთობას, რომელიც ინდოევროპულ ენათა შორის არსებობს. ძალიან მალე „გენეალოგიური ხის“ საპირისპიროდ იოჰან შმიდტმა წამოაყენა ე. წ. ტალღების თეორია, რომელიც მოწოდებული იყო უფრო ადეკვატურად აესახა ხსენებულ ენათა ურთიერთობა. მოგვიანებით ანტუან მეიემ წარმოადგინა კიდევ ერთი სქემა (ინდოევროპულ დიალექტთა ურთიერთობისა [118. 231]). მაგრამ ეს გაუმჯობესებული სქემებიც ვერ ასახავს იმ რთულ პროცესებს, რომელთა შედეგიც უნდა ყოფილიყო ინდოევროპულ ენათა ოჯახის შექმნა.

შეუდარებლივ უფრო რთულია ქართულის დამოკიდებულება მონათესავე და მეზობელ ენებთან, ამიტომ კიდევ უფრო ნაკლები გამართლება ექნებოდა აქ „გენეალოგიური ხის“ სქემას, რომელსაც სარჩულად უდევს „ბრმად, ბრმა აუცილებლობით მოქმედი კანონები“ (როგორც ნეოგრამატიკოსები ამბობდნენ ხოლმე გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში); ამ სქემამ ზედმეტი გამბედაობის პირობებში შესაძლებელია მიგვიყვანოს ქრონოლოგიურ „დონეთა“ უპირობო დაშვებამდე; დაბოლოს, ეს სქემა ლოგიკური აუცილებლობით ვარაუდობს, თითქოს რეალობებს (ე. ი. „ისტორიულ ობიექტთა ასლებს“) წარმოადგენდეს რეკონსტრუირებული პრაფორმები, რომლებიც ნამდვილად მხოლოდ შესატყვისობათა ფორმულებია. ამა თუ იმ მკვლევრის (ან სკოლის) თვალსაზრისის გადმომცემი პირობითი აღნიშვნებია [218].

ამგვარი საშიშროება განსაკუთრებით ხელშესახებია დღეს, როდესაც დისკრეტულობის პრინციპი არა მხოლოდ სინქრონული აღწერის დროს გამოიყენება. დისკრეტულობის, „წ ყ ვ ე ტ ი ლ ო ბ ი ს“ პრინციპის გამოყენებას დიაქრონული კვლევის დროსაც ცდილობენ, თუმცა ენა თავისი ბუნებით უ წ ყ ვ ე ტ ო ბ ა ს, კონტინუუმს წარმოადგენს და მისი ქრონოლოგიური დასაფხუზრება, განსაკუთრებით პრეისტორიულ ხანაში, მხოლოდ მეტ-ნაკლებად მოსახერხებელ მეთოდურ საშუალებას (ხერხს) შეიძლება წარმოადგენდეს, მაგრამ თვით ენის დინამიკის ადეკვატურ ასახვად მას ვერ მივიჩნევთ.

* შემოტანილი იქნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან ავგ. შლაიხერის მიერ, რომელიც ენას ორგანიზმად მიიჩნევდა [213]. ამრიგად, „გენეალოგიური ხის“ გამოყენება ნაკარნახევი იყო მისი გამოყენებლის თვალსაზრისით და არა ობიექტის — ენის — ქვეშარტი ბუნებით.

საერთოქართველურის ნამემკვიდრევი სიტყვები ქართული ენის ლექსიკურ ფონდში

222. განუხილველად ვტოვებთ იმ სიტყვებს, რომლებიც სავარაუდოდ ძველია, მაგრამ ქართველურ ენებში შესატყვისები ჯერჯერობით არ უჩანთ.

შემოვიფარგლებით იმ სიტყვებით, რომლებსაც სხვა ქართველურ ენებში შესატყვისები აქვთ, ე. ი. რომლებიც საერთოქართველურის ნამემკვიდრევი ჩანს თანამედროვე ქართულში*.

ამ საერთოქართველურ მასალას ჩამოვთვლით არა ერთიანად, ანბანის მიხედვით, არამედ შინაარსეულ ჯგუფებად. ამგვარი (ე. ი. შინაარსის მიხედვით) დაჯგუფება უძველესი ლექსიკური მასალისა ტრადიციით არის მიღებული, ჩვენთვის კი იგი განსაკუთრებით საინტერესოა. რადგან ჩვენი შესწავლის საგანი სწორედ ლექსიკაა, ე. ი. ქართული სიტყვები განხილული, უპირველეს ყოვლისა, მათი მნიშვნელობის თვალსაზრისით.

223. ბაბ : 'მამა' (ზან. ბაბა. სვან. ბაბა 'პაპა'). ნანა. ნენა 'დედა' (ზან. ნანა).

რაც შეეხება მამა¹სა და დედა²ს, მათი ფუძეები ზანურშიც გვხვდება, ოღონდ „მამლისა“ და „დედლის“ სახელებში: მუშული—მომ... რაც ქართული მამ-ფუძის კანონზომიერ შესატყვისის წარმოადგენს: ა/ო, და დ/დეული. რომლის ფუძე დად- აგრეთვე კანონზომიერი შესატყვისია ქართულის დედ-ფუძისა: ე/ა. თვით მეგრულში დადასტურებული 'დედის' აღმნიშვნელი დიდა მეორეულია, შედარებით გვიანდელი, და ქართულიდან ნასესხებ სიტყვად არის მიჩნეული: მეგრული დიდა-სიტყვის ფუძის გახმოვნება ქართულიდანვე უნდა მომდინარეობდეს, შდრ. სინდიოფალა. ძე. ქ. დიაცი და კუთხ. დია; რაც შეეხება მეგრულში არსებულ მუშა³ს ('მამის' მნიშვნელობით), მისი ფუძე ქართული მამის კანონზომიერი შესატყვისია, ამიტომ თვით ქართულში მოცემული მნიშვნელობით ამ ფუძის სიძველის საკითხი უყოყმანოდ დადებითად გადაწყდებოდა; ჭანურს რომ დაეჭირა მხარი (სვანურში არსებული შუ მეგრული ფუძის გახმოვნებას იპეორებს).

* ვემყარებით არს. ნიქობაჟას „შედარებით ლექსიკონს“ [137]; სხვა შეტწილად სვანური, მასალი-თვის მოვიშველიეთ გ. კლიმოვის „ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ [203], რომელშიც ავტორის ვარაუდებთან ერთად წარმოდგენილია სხვა მკვლევართა მოსაზრებებიც (ალ. ცაგარელი, ნ. შარი, ა. შანიძე, ე. თოფური, პ. ჭარაია, მ. ჭანაშვილი, მ. წერეთელი, გ. მკვათარიანი, ფ. ერთელიშვილი, ს. ელენტი... გრენი. უორ-ლოპი, აბაევი, ფოგტი...).

აქ ლაპარაკია მამა- და დედა-სიტყვების როგორც ადამიანთა შშობლების აღმნიშვნელთა უძველესობაზე, თორემ მამა და დედა-ფუძეთა როგორც საერთოდ მამრისა და მდედრის აღმნიშვნელთა ოდინდელობა ეჭვს არ იწვევს.

დასახელებულ ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებთან დაკავშირებით ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბგერადობის მიხედვით ეს სიტყვები ზოგადენიობრივ შესაძლებლობათა განოვლენას წარმოადგენენ. შშობელთა სახელები, როგორც ზემოთაც (§ 76) გაკვირთ აღვნიშნეთ, მსოფლიოს სხვადასხვა ენებში ვვხვდებთ უპირატესად მსგავსი ბგერადობით — ბავისმიერი და კბილისმიერი ფონემებით. იქნებ ამიტომაც ხმოვანთა კანონზომიერი ცვლილება არ დასტურდება ბაბა-სიტყვაში (აგრეთვე ქაქა"ში, ი.ე. იგი სულაც ნასესხები არ არის).

ოდინდელ ქართულ ლექსიკურ ფონდში შესატანია ნათესაობის აღმნიშვნელი ბევრი სხვა სიტყვა:

მამა (ზან. ჯიმა[ლ], სვან. ჯიხილ), დე (ზან. დე[ლ]; სვან. ვლილ), ცოლი (შდრ. ზან. მილი. ვარაუდობენ სვანურში ამავე ფუძიდან ნაწარმოებ სხვა სიტყვებსაც. ა. შანიძე დასველურ კილოებში არსებულ შილი-სიტყვას, რომელიც აღნიშნავს 'რძლისათვის რძალს', იოლა-ფუძის სვანურ შესატყვისად მიიჩნევს), მამარი (ზან. ქომო[ნ]ჯი, ქომოლი), რძალი, სძალი (ზან. ოხორ-ჯა[ლ] 'ქალი, ცოლი' აგებულებით — „სახლის ქალი“), სიძე (ზან. სინჯა, სვან. ჩიქე), შვილი (ზან. -სჭირი, სჭუა, სვან. ხვ "შობა". წარმოადგენს შვე-წობ-ზმნიდან ნაწარმოებ სიტყვას). ნეილი (ზან. ჩქიჩქუ). ქეიხლი (მეგრ. ქეიშილი, სვან. მეჭეშელ). მზახალი (მეგრ. ძახალი, ჰან. მზახალი); ძველი უნდა იყოს ასული'ც (ზან. ოსური, სვან. -ის-თუ ქახტიშ), თუმცა ირანისტები მას უკავშირებენ ოსურ ას-სიტყვას, რომელიც 'ქალს, ცოლს, დედაკაცს' ნიშნავს, და რომელსაც ირანულ ენებში შესატყვისები ჰქონია [11]; ამგვარი დაკავშირება ქართველურ შესატყვისობათა საკითხს ართულებს.

დაბოლოს, უნდა მოვიხსენიოთ რთული სიტყვები მამამთილი და დედამთილი (შდრ. მეგრ. მუანთილი, დიამთილი, ჰან. მთირი, დამთირე, სვან. მიმთილ. დიმთილ. შესატყვისობის საკითხი აქ კიდევ უფრო რთულია).

მ.წ. ენებში უძველეს დონდს ნიკეთენებენ სხეულის ნაწილთა სახელებსაც. ქართულში ასეთია (ვგულისხმობთ ამ შემთხვევაშიც საერთოქართველურის ნამემკვიდრევი მასალას) შემდეგი სიტყვები:

თავი (მეგრ. თუ-ში 'ურმის კავები' ჰან. თი სვან. შთა 'თავთავი'). თვალი (ზან. თოლი, სვან. თე), წამშაში (ჰან. კამშამი, მეგრ. თიშ-კანს 'იმ წამს', სვან. შამშამ 'სწრაფი'), ყური (ჰან. ყუჯი, მეგრ. სუჯი, სვან. ყორ 'კარი'), ცხვირი (ზან. ჩხვინდი), ნიკაპი (ჰან. ნუჟუ, მეგრ. ნუჟ, სვან. ნიყა), პირი (ზან. პიჯი, სვან. პილ), ლაში (ჰან. ლეშქი, მეგრ. ლეშქვი), ღაშვი (ზან. ღვა, მეგრ. ღვანჭვი), ენა (ჰან. ნენა, მეგრ. ნინა, სვან. ნინ), კბილი (ზან. კიბირი), ღრძილი (ჰან. ჯორ-ჯილი, მეგრ. ჯირგილი), ყელი (ზან. ღალი), მხარი (ზან. მხუჯი, სვან. მეკარ), ხელი (ზან. ხე), იდაყვი (ჰან. ღურჟუ, მეგრ. ღური), თითი (ზან. კიოთი), ცერი (მეგრ. ჩანჯი), მტკაველი (ჰან. მტკო, მეგრ. ტკუ), ციდა (ჰან. მციდა, მეგრ. ცინდა), ფრჩხილი (ჰან. ბუცხა, მეგრ. ბირცხა, სვან. ცხა), მჯიღი (ჰან. მჯიზი, მეგრ. ჯიზი), კოჭი (ჰან. კოჭი, მეგრ. კონჭი 'კარის საკეტი'), ქუსლი (ზან. ქური), გული (ზან. გური, სვან. გუი, გუილ), ფილტვი (ჰან. ფურფუ, მეგრ. ფირტვი, სვან. პერშედა, პერშეტვა), შელი (ჰან. ჭუ, მეგრ. ჭი), ჭიპი (ჰან. შიპა, მეგრ. ჭიპი), ტყავი (ჰან. ტკეპი, მეგრ. ტყეპი, ტყაბარანს 'ატყავებს'), თმა (ზან. თომა), სისხლი (ჰან. დიხხირი, მეგრ. ზიხხირი, სვან. ზიხხ), ცრემლი (ჰან. ჩილაშრე, მეგრ. ჩილაშური, სვან. ჭიშ-, ჭმშ-), თხრამ-ლი (ზან. თხომური), სახსარი (ჰან. მემცხვერი, მეგრ. სარხხალი), ღვიძლი (სვან. ყვიყვი, მეგრ. იყვიყინანს 'ღვიძლის ფერი ადევს')...

225. ცხოველთა სახელებიდან, რომლებიც აგრეთვე უძველეს ქართულ ლექსიკურ მასალას წარმოადგენს, დავასახელებო შემდეგს სიტყვებს:

ხარი (ზან. ბოჯი, სვან. კან), ფური (ზან. ფუჯი, სვან. ფირტი), კირი (ზან. გირინი), ცხვარი (ჰან. მჩხური, მეგრ. შხური, სვან. შხან 'ნიშა ხარი'), თხა (ზან. თხა, სვან. დაქლ), ღორი (ზან. ღეჯი), ძალი (ზან. ჯოღორი, სვან. ველუ), კატა (ზან. კატუ); ბატკანი, თიკანი (ჰან. თიკანი, ტიკანი, მეგრ. ბატკი), ლეკვი (ჰან. ლაკი, მეგრ. ლაკვი), ცინტალი (ჰან. ცინტალი, შვინტალი, მეგრ. ცინდალი, სვან. ცინდატუ), მგელი (ჰან. მგერი, მეგრ. გერი), დათვი (ჰან. მთუ-თი, მეგრ. თუნთი, სვან. დამუტ), მელა (ჰან. მელი, მეგრ. მელა, სვან. მალ), ვეშური (მეგრ. ოსკუ 'სალორე'), კრაკი (მეგრ. კირიბი), კერრ-ნა (ჰან. კერნური, მეგრ. კერნორი, სვან. კენ-), მანკი (ზან. მუნჩქვი), თაგვი (ჰან. მთუგი, სვან. შღეგუ), გველი (ზან. [შ]გვერი, სვან. კი-ჯუ) და სხვ.: აქვე ჩამოვთვლით ცხოველებთან დაკავშირებულ ზოგ სხვა სიტყვასაც: კუდი (ზან. კუდელი, სვან. კაკ-ეპდ), რქა (ზან. ქ[რ]ა), რძე (ზან. ზეა, სვან. ლეჯე), ყელი (ჰან. ყელი, მეგრ. ყელი), მატყლი (ჰან. მონტკორი, მეგრ. მონტკორი, სვან. მატყ), ფაფარი (ჰან. ფანფარი 'მამლის ბიბილო', მეგრ. ფაფარი), მაკე (შდრ. ზან. მო[რ]კა), მწყემსი (ჰან. მტკეში, მეგრ. მტყეში) და სხვ. ფრინველთა სახელებიდან: ქათამი (ჰან. ქათამი, სვან. ქათამე, მეგრ. ქოთომი, სვან. ქათალ), დედალი (ზან. დადული, სვან. დატუ), მამალი (ჰან. მამული, მეგრ. მუმული, სვან. მამალ), ყვერული (ჰან. ყვარელი, მეგრ. ყვარილი), ღერღეტი (ზან. ღორღონჯი), ქორი

(ჰან. ქური, მეგრ. ქორი), მტრედი (ზან. ტორონჯი), გუგული (ზან. გუგული, სვან. გაგო), ოფოფი (ჰან. ოფამფე, მეგრ. ოფოფი, სვან. ოფი-ფა), შაშვი (ჰან. შხესქუ, მეგრ. ზესქვი), კოღალა (ჰან. კილი, მეგრ. კილუ), ჭინჭრაქა (ჰან. ჭურჭა, მეგრ. ჭინჭა), ყვაეი (ჰან. ყვაოჯი, მეგრ. ყვარია, სვან. ჭვერ), სკეინჩა (ჰან. კეინჩი, მეგრ. კეინჩა), მოლაღური (ჰან. მალაღდე, მეგრ. მალაღური), ღაჭო (ჰან. ღაჭო), მერცხალი (მეგრ. მარჯინოლი), ფრინველებთან დაკავშირებული სიტყვებიდან ცილა (ზან. ცილა, სვან. ცილა), ხეჭბი (ჰან. ხეჰა), კვერცხი (ზან. მარქალი, სვან. ლგერე)... მწერთა სახელებიდან: ობობა (ჰან. ბომბულა, მეგრ. ბომბოლია), ბაბაჭუა (ჰან. ბომბჭუა 'ხოკო'), კალია (ზან. კოლი), კოლო (ჰან. კოლონი, მეგრ. კოლონა, სვან. კოლუნ), ტილი (ჰან. მტი, მეგრ. ტი, ტიშონუნს 'ხილაეს', სვან. ტიმ), რწყილი (ჰან. მწყირი, მეგრ. მყირი, სვან. ზისყ), ჭინჭველი, ჭიანჭველა (ჰან. ლუმჭკუ, ლიმჭკუ, მეგრ. ჭიანჭკიტა, ჯვიჯვიტა, სვან. შჭ[რ]სკ), ფუტკარი (ჰან. ზუტკუჯი, მეგრ. ტკუტკარია), მწერი (ჰან. მჭაჯი, მეგრ. ჭანჯი, სვან. მწრ. შღრ. სომხ. ჭანტ). იაფლი (ზან. აფური, სვან. იფ. იტი) და სხვ.

226. ბევრი მცენარის სახელი ქართული ენის უძველესი საკუთრება ჩანს.

მსხალი (ჰან. მხული, მეგრ. სხული, სვან. იყბ.), ვაშლი (ზან. უშქური, სვან. ჟისჭვ), ღვღვი (ზან. ლული, სვან. ლიღე 'ხორცი'), ატამი (ზან. ა[რ]ტამა, სვან. ატამ), ბალი (ზან. ბული, სვან. ჯბ), კაკალი (ზან. კაკალი, სვან. გაკ), თხილი (ზან. თხირი, სვან. შღიხ), ბროწეული (ზან. ბერძ[ე]ული, სვან. ბროწეულ), ტყეშალი (ზან. ლომური, სვან. ბარყვენ), შიფული (ზან. შიფური, სვან. შიფრა), წაბლი (ზან. ჭუბური, სვან. ჭებრა), თხშელა (ზან. თხომუ), ცაცხვი (ჰან. ლუმუ, მეგრ. ცხაჭხუ, სვან. ცაჭტ), შყაფი (ჰან. მშკოლი, მეგრ. მყოლი, სვან. წყაე), შქერი (ზან. [მ]ქერი), სურო (ჰან. სუჯი, მეგრ. სურო), ანშლი (ზან. ინჭირი[ა], სვან. ვანჭუ), ზღმარტლი (ზან. ექიმუნტური, სვან.. ზუნტ), ...და აგრეთვე: ძელი (ზან. ჯა), თივა (ზან. თიფი, 'ბალახი'), ენახი (ზან. ბინეხი, სვან. ვერახ), ყურძენი (შღრ. ზან. სურძენი, სვან. ყურძენ, სა-ყუნეულ), კუფხალი (ჰან. კუფხი), ყლორტი (ჰან. ყა, მეგრ. ლა), მკვასხე (ზან. კოხა 'ისრიმი', სვან. კუჭტ), ბუტკო (ჰან. ბუტკა 'ფოთოლი'), კენძერო (ჰან. კანტარი), ნედლი (ჰან. ლადრე, ლარდე, მეგრ. ლადირი), დომი (მეგრ. ლუმე), ყანა (ჰან. ყონა, მეგრ. წყანა), მტილი (ჰან. ოსკილე, სეკურ. ოსტირი, სვან. ლურტამ), ქვრიშა (ჰან. ქურუში), ჭყინტლი (ჰან. ჭყინტლი, მეგრ. ჭყინტუ, სვან. ჭყინტ 'ახალგაზრდა'), თესლი (ზან. თანი) და სხვ.

227. ბუნების მოვლენებიდან სანიმუშოდ დავასახელებთ რამდენსამე სიტყვას:

შყალი (ჰან. შყარი, მეგრ. შყარი, სვან. ნიყ, ლიყ), ღელე (ზან. ღალი), ტბა (ზან. ტობა, ტუბა), ზღვა (ჰან. ზღუა, ზოლა, მეგრ. ზღვა, სვან. ძულუა), ქვა (ჰან. ქვა, მეგრ. ქუა), თიხა (ზან. დიხა 'მიწა'),

ზ ა ო ზ უ ლ ი (ჟან. მაფხა 'კარგი დარი' მეგრ. ზარზული, სვან. მაფხა 'მოწმენდილი ცა'), თ ო გ ლ ი (ჟან. თეირი, მეგრ. თირი), შ ვ ი მ ა (ჟან. შვიმა, მეგრ. შვიმა). ღ ვ ა რ ი (ჟან. ქობობლუ, მეგრ. ქობობლუ 'დაღვარა'). ს ი ც ხ ე (ჟან. ჩხაფა, მეგრ. სინხე). ზ ე ა ვ ი (სვან. ჟაა), ღ ღ ა (ზან. ღღა, სვან. ღღელ), ღ ა მ ე (ჟან. ღამა[ნ]. 'გუშინ', მეგრ. ღუმა 'წუხელ'). ა დ რ ე (ორდო — ჟან. 'ადრე. მალე'. მეგრ. 'ღილა'), მ ყ ე ღ ა ა ღ ა (ჟან. [მ]ყეფი). ნ ა თ უ ლ ი (ჟან. ი. ე. მეგრ. ს. ნ. თ. სვან. თენ 'ჩენა'). გ ა (ზან. გა, სვან. გე-ი). მ შ ე (ჟან. მჭობა, მეგრ. მჭა, სვან. მყ). თ ვ ე (ზან. თევა, სვან. თემშელ). ხ ა ვ ე ლ ი (ჟან. ხიველი), წ ა ლ ი (ზან. წანა); ივ. ჭავჭავიძე ილი ერთ ფუძედ (და არა ომონიმებად) გ-ჩინვეს დროის მონაცვეთის აღმნიშვნელ შულს (ზან. შანა) და სხეულის ნაწილის აღმნიშვნელ შელს (ზან. შუ. ვი) [159]. რაც საინტერესო მოსაზრებაა მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით (მხოლოდ მოსავლელია ზანურის სხვადასხვაგვარი შესატყვისების საკითხი).

228. უძველესი ფონდისა აგრეთვე ყველა მარტივი (დღევანდელი თვალსაზრისით) რ ი ც ხ ე თ ი ს ა ხ ე ლ ი:

ა რ თ ი (ჟან. [ა]ართ[ი], მეგრ. ართი). ჟ ა ღ ა (სვან. ეშხე; ამ უკანაა. — ნელს ზოგჯერ ქართულ სხვა საც უკავშირებენ), ო რ ი (ჟან. ორ. მეგრ. ორ. სვან. ოროი), ს ა მ ი (ზან. სემი, სვან. სემ), ო თ ხ ი (ჟან. თახო, მეგრ. თთხი, სვან. ჟომღბ), ზ უ თ ი (ზან. ზუთი, სვან. ჟობჯ-იშღ), ე ჭ ე ს ი (ჟან. აქსი, მეგრ. აშვი, სვან. უჭვა), შ ე ი ღ ი (ზან. შქითი, სვან. იშქიღ), რ ვ ა (ჟან. [ქ]ორვო, მეგრ. ბრუო, სვან. არა). ც მ რ ა (ზან. ჩხო[ე]რა, სვან. ჩხრა), ა თ ი (ზან. ვა-ი, სვან. ეშღა, ოცა (ზან. ეში, სვანური სათანადო მნიშვნელობის ფუძე შედგენილია ორისა და ათის აღმნიშვნელ ფუძეთაგან: აურე-ეშღა). ა ხ ა (ზან. ამ. სვან. ამირ).

სანიმუშოდ მოვიყვანთ აკად. ივ. ჭავჭავიძის მოსაზრებებს ზოგიერთი რიცხვითი სახელის წარმოშობის შესახებ: „ერთი შესაძლებელია კენტის წინამორბედ კენტისაგან იყოს წარმომდგარი თავიერი კ-ს ჩამოცლისა და ბ-ს გაასპირატების გზით“, ხოლო კარგი თავდაპირველად შეკვრას. შეკრულს. ერთეულს, ერთ შეკვრას ნიშნავდა“. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ჟანურის ათინურ კილოკავში ერთის აღმნიშვნელ კ-სიტყვის არსებობა; ხარ უკავშირდება ერთურთის აღმნიშვნელ კანთა-კანთის. რომელიც კენტისაგან შეიძლებოდა წარმომდგარიყო.

ათი მონათესავე ენებში ათ, ერთ და კურ ფუძეებით არის წარმოდგენილი. მასვე უკავშირდება ძველი ქართულის ნუღაჟის (საპირ-სარჩულიანი წამოსასსამი) პირველი ნაწილი ნუღ. ამრიგად, ჩანს, რომ თ ხმოვანს რაღაც თანხმოვანი უძღოდა. ეს თანხმოვანი

თავდაპირველად უნდა ყოფილიყო *ყ*, რომელიც წყვილ საგანთა სახელებში გვხვდება: *ყეპარი* ('ორი უღელი'), *ყანსული* ('სამი ურმეული': *ყუნ+ცულ/ცალ*), *ყური* (რომელიც „თავდაპირველად მარტო სასმენელის აღმნიშვნელი არ ყოფილა, არამედ წყვილობის გამომხატველი იყო და თვალეზზედაც ითქმოდა. ამას ზმნა *ყურება-ც* ამქვლავნებს“).

ოახი დაკავშირებულია *ზორღვა-სიტყვასთან* და ანალიზდება როგორც *ორ+ბყ*: (ბი).

ათი უკავშირდება *ოახს* (უკეთ — *თათებს*) [161, შდრ. 59].

ივ. ჯავახიშვილს მოცემული აქვს სხვა რიცხვითი სახელების ეტიმოლოგიებიც. ჩვენ აქ წარმოდგენილი ეტიმოლოგიები სანაშენებელია.

229. ყველაზე მეტად, როგორც მოსალოდნელია, უძველესი ქართული ლექსიცა შემონახულია ნაკვალსახელებში (ზმნისართებით ურთ), უკეთ — მათ ფუძეებში:

მე (ზან. *მა[ნ]*, სვან. *მი*). *შენ* (ზან. *ხი[ნ]*, სვან. *ხი*), *ჩვენ* (ვან. *ჩქუ[ნ]*, მეგრ. *ჩქი*, სვან. *ჩხი*), *თქვენ* (ვან. *თქუ[ნ]*, სვან. *სვა, ვინ* (ზან. *მინ*, სვან. *აურ-ე*), *რომელი* (ზან. *ნამე*), *მე* (ზან. *მე[ნ]*, სვან. *ამას*, *ამაე* 'აქეთ, აქამდე'), *ეს* (ვან. *ამ[უ]*, მეგრ. *ენა*), *იხ* (ვან. *პიმ[უ]*, მეგრ. *ინა*), *აქ* (ვან. *აქთ*, მეგრ. *ათქ*), *ახე* (ვან. *ამო*, მეგრ. *ამი*, სვან. *ამ*), *სხვა* (ვან. *ჩქა*, მეგრ. *შხა*, სვან. *ემხე*) *და* სხვ.

230. ბევრი ზედსართავი ქართული ლექსიკის უძველესი კუთვნილებაა:

გრძელი (ზან. *ვინძე*), *შრფელი* (ზან. *მეიფე*), *მსხვილი* (ვან. *მსხუ*, მეგრ. *შხუ*), *მრგვალი* (ვან. *მურგვალი*, მეგრ. *რგვალი*, სვან. *ვირგოდ?*), *შითელი* (ზან. *კითა*, სვან. *ჭიმდე?*), *მხცე*, *მხცოვანი* (ზან. *[მ]ე*), *ცხელი* (ზან. *ჩხე*), *თბილი* (ზან. *ტიბი*, სვან. *ტაბილ*), *ბეელი* (მეგრ. *შოლირი*), *ძველი* (ზან. *[მ]ველი*, სვან. *ჯინილ*), *თსელი* (ზან. *თ[მ]თსი*, სვან. *დთსელ*), *შუა* (ვან. *შუა* 'უკეთ', მეგრ. *შუა*, სვან. *იხუა*), *თეთრი* (სვან. *თ[მ]ეთრე*), *მრთელი* (მეგრ. *თარ*), *გრძელი* (მეგრ. *თ[მ]რ*), *ვადანდელი* (ვან. *ვადან* (ზან. *ვი[ნ]ლო*, სვან. *ვი*) და სხვ.

231. მრავალრიცხოვანია უძველესი ზმნები — გასაგები მიზეზით: რთული სტრუქტურის გამო ზმნათა სესხება საზოგადოდ მინიმალურია ენებში. არანაკლებად შედარებით ლექსიკაში, სადაც მხოლოდ ზანურის შესატყვისი ქართული მასალაა, 230 ქართული მარტივი ზმნური ფუძეა წარმოდგენილი (ეტიმოლოგიკ, ცხადია, თანამედროვე ქართულში გაცილებით მეტია ისეთი ზმნები, რომლებიც საკუთარივე ქართული ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა). დავსახელებთ მხოლოდ რამდენიმეს:

აბიპ (ზან. *ვიბუ[ნ]*, სვან. *ხუაბე* 'ვაბამ'), *უბერაქ* (ზან.

ბარ-, სვან. ბალ). ბანს (ზან. ბონ-, ბორ-, სვან. ბარ. ბარ), მთიგო (ჰან. მიგო, მეგრ. მინგო), ჰგავს (ჰან. ნგამს, მეგრ. გუ[ნ], სვან. ჯგუ), იგლოეს (ჰან. იგარს, მეგრ. ინგარს). შეაგბო (ზან. დოგიბო სვან. ლიჯაბ), დნება (ზან. -დინ- 'დაკარგვა' სვან. ლინე), ელაეს (ზან. -ელ-), შავალს (ზან. -ულ-), ივიშყებს (ჰან. ჰკონდ- მეგრ. ჰყორდ-), აესებს (ზან. ფშ-, სვან. გტშ-), გაზრდა (ზან. რდ-, სვან. ლირდი), ხელს (ზან. დოზუ, სვან. ზიძ-), ზომავს (ზან. ზიშ-, სვან. ზუშ-), თენება (ზან. -თან-, სვან. ლითენი 'ჩნდება'), თათხვა (ჰან. -თათ, მეგრ. -თართ-), თლის (მეგრ. გოთოლუ), თესავს (ზან. თას-), თრთის (ზან. -თირთ-), ათრევს (ზან. [ნ]თირ-), თქვა (ზან. თქუ, სვან. ლიქვისგ), თხრა (ზან. თხორ- სვან. შთხარ), კაკუნი (ზან. კანკ-), კვეთს (ზან. კვათ-), მოჰკიდებს (ზან. -კინდ, სვან. კიდ-, ლიკედ-), შეკარ (ზან. კორ-), კრებს (ზან. კორობ-), კივის (ჰან. კრამს, მეგრ. რკიანს, სვან. კილ), კლავს (ზან. ცვილ), კენესის (ზან. კუს-), კრთება (ზან. კრთ "შეკრთობა" 'სულის შეკრა'), ღბება (ზან. ღობ-, ღიბ-), ღოკავს (ჰან. ღოკ-, ღოსკ-, სვან. ღიღაკე), ილტვის (ჰან. მტ-, მეგრ. ნტ-, სვან. ლიტე-), ამთქნარებს (ჰან. ნქორ-, მეგრ. ქილ-, ქირ-), ამყნობს (ჰან. პონ, მეგრ. ლონ), არის (ზან. ორუ[ნ], სვან. ვრი), რაცხ-, აღრიცხავს (ზან. კოროცხ-), რათხ-, გართხმა (ზან. [ნ]თხ-, 'გაშლა, დაცემა'... სვან. ირთხინ 'მტკაველი'), არტყია (ჰან. ტკ-, მეგრ. ტყ-, სვან. რტყ-), დარჩება (ზან. ჰქად-, სვან. -ხედ-), რეცხავს (ზან.-სვან. რჩხ-), ესმიხ (ზან. სიშ- სვან. სეშ-), ისროლის (ჰან. სთოლ-), სვამს (ზან. შუ-), ისვენებს (ჰან. შუაჯ-, მეგრ. შუანდ-, სვან. შუემ-), ასლოკინებს (ზან. შიკან-, სვან. შდკუნ-), მოსრავს (ზან. შირ- 'გაცვეთა'), სხლეთა (ჰან. ცხო[ნ]ტ-'ხტომა', მეგრ. ცხოტ-'კაფვა'), ესმის (ზან. სიშ- სვან. სეშ-), ტოვებს (ზან. ტალ-), ტეხს (ზან. ტახ-), ტკაცანი (ჰან. ტკუაც-, 'გასკლომა, აფეთქება', მეგრ. ტყუაც-, 'მეხის გავარდნა', სვან. ლიტყყანე 'ცემა'), ტყორცნა (ჰან. ტკორ, მეგრ. ტყუაც-, სვან. ტყც-), დავტევა (ზან. ნტირ-), ფერთხავს (ზან. ფართხ-), ფეოქავს (ზან. ფა[რ]ოქალ-, სვან. ბუოქ-), ფენს (ზან. ფინ-), ფლავს (ზან. ფულ- 'მალეა'), ფუვილი (ზან. ფუნ-'დულილი', სვან. ფუინ-), ფიც-, ფუც- (ზან. ფუნ-), ფქევას (ჰან. მქე-, მეგრ. ქ(ე)-, სვან. ფაქ-), ფხეკს (ზან. ხაკირ-), ფ[ბ]რეჟს (ზან. ბრიშ-, ბურიშ-), ქყევა, მოიქყევა (ჰან. ქთ-, მეგრ. რთ-), უქნევს (ჰან. ქინ-, მეგრ. ქირ-), ქიჩავს (ზან. ქინჩ), ქამ-, იქმს (ჰან. ქომ-, მეგრ. ქიშ-, სვან. ხუმ-), აქრობს (ჰან. ქორ-, ქირ- 'გავრილება', მეგრ. ქირ- 'გაშეშება'), ქსოვს (ზან. [რ]შუ-, სვან. ჯიშ-), შაიდებს (ზან. ილუ, სვან. ლიღვენე), დებაავს (ზან. დაფ-), დვივის

(ზან. მღ., მეგრ. დვიღუ- სვან. დიუ-), დერის (ზან. დვარ- 'დასველება'), დრიალი (ზან. დორ-), აღორებს (ზან. დორ-, სვან. ლილოვი), იყო (ზან. იუ-), ყივის (ჭან. ყი[ე]-, მეგრ. ლი[ე]-, ყინავს (ჭან. ყინ-, მეგრ. ლინ-, სვან. ყვინ-), აიყვანს (ზან. ლინ-), დაყოვნდუბა (ჭან. ყონდ-), უყვარს (ზან. ლორ-), ყვირის (ჭან. ყურ-, მეგრ. ხურ-, 'ყმული', სვან. ყულ), შეელის (ზან. შეელ-), შეენის (ზან. სქე-, სვან. მუსგვენ), შვა, შობს (ზან. სქე- 'კვერცხის) დაღება', სვან. [შ]სეჟა 'ბიჭი'), შრება (ზან. სქირ-), გაუშვებს (ზან. სქე-, სვან. შგან?), აშთობს (ზან. შქეიდ-, სვან. სგულ-), შია, სიმშილი (ზან. შქირ-), ეშინია (ზან. შქურ-), ჩანს (ზან. ჩქ-), ც. მის-ეუმს (ზან. ჩამ), ცენ-, აღმოცენდება (ზან. ჩან-, სვან. შენ-, შან-), იცავს (ზან. ჩე-), ცურავს (ჭან. ჩეირ-, მეგრ. ჩურ-), ცუთ-ასცდება (ზან. ჩი[რ]თ-, სვან. კად-), იცნობს (ზან. ჩინ-), ცალ-, დაცლის (ზან. ჩოდ-), იცინის (ზან. ძიყ-), ცად-გამოცდის (ზან. ცად-), ცრის (ზან. ცირ-), ძარცვავს (ზან. [რ]ჩე-), შეეძინა (ზან. ძინ-), ეძახის (ზან. ჯობ-, სვან. ფახ 'სახელი'), ძინავს (ზან. ჯან- 'წოლა, ძილი'), ძღება (ზან. [რ]ძღ-), უძღვრის (ზან. ჯღონ-, სვან. ჯღვან-), შნებს (ჭან. შილაბ-, მეგრ. შილობ-), შყენა (ჭან. შყუნ-, მეგრ. შყუნ- 'ტყენა'), შურავს (ჭან. შორ-, მეგრ. შირ-, სვან. შნურ-), შებავს (ზან. ჭაბ-), შოდ-მოუშოდებს (ზან. ჭან-), შერს (ზან. ჭარ-, სვან. ლირე 'წერა'), შეავს (ზან. ჭე-, სვან. შე-), შეელის (ზან. [შ]ჭეალ-), იშყებს (ჭან. ჭყ-, მეგრ. ჭყ-), შყეუტს (ჭან. ჭყეიდ-, ჭყორდ-, მეგრ. ჭყეიდ-, ჭყორდ-, სვან. შყედ 'ვარდნა'), შყენ-, მოშყინდა (ჭან. ჭყინდ- 'დალლა', მეგრ. შყინდ-), ჭედავს (ზან. ჭეად-, სვან. შჟად), ჭამს (ზან. ჭომ-, სვან. ნშ), ჭრის (ზან. ჭკირ-), ხალავს (ზან. ხალ- 'ხრაკევა'), ხარ-, უხარია (ჭან. ხელ-, მეგრ. ხოლო, სვან. ხიად), ახელებს (ზან. ხეალ-), აღმოხდა (ჭან. ხო-, მეგრ. რთ-, სვან. ქდ-, ქედ-, ქიდ-), ხმება (ზან. ხომ-), ხოცავს (ჭან. ხ[რ]ოყ- 'ცხოველის) კედლომა', მეგრ. ხორყ- 'გლეჯა'), მოხოცავს (ზან. ქოს-), ახსენდება (ზან. შინ-), ხნავს (ზან. ხონ-, სვან. კან-), ჯობნის (ზან. რჯვინ-)...

232. კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით საყურადღებოა ნახელავის სახელწოდებანი, რომელიც თანამედროვე ქართულს უძველესი დროიდან შემორჩენია. რა თქმა უნდა, არ არის მიზანშეწონილი პირდაპირი კავშირის გაბმა სახელსა და სავანს შორის და სიტყვების მიხედვით შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა ამ სიტყვებით მოლაპარაკე ხალხის მატერიალური (თუ სულიერი) კულტურის შესახებ. მაგრამ უაღრესად საინტერესოა ვიცოდეთ ნახელავის ის სახელები, რომლებიც ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ ქართველურ ტომთა ისტორიული ერთიანობის ხანაში; აი, ზოგიერთი მათგანი:

სახლი (ზან. ოხორი), ბელელი (ზან. ბალუ), კელელი (ზან. კიდა, სვან. ჭეედ), კარი (ჭან. ნეკა, მეგრ. კარი, სვან. ყორ?), შეშა (ზან. დიშქა, სვან. ზექ-?), ცეცხლი (ზან. დამხირი), ნახშირი

(ზან. ნომქვერი, სვან. შიხ-წვა), ტუტა (ზან. [შ]ტუტა, სვან. ლტ), ისარი (ჰან. ისინჯი, მეგრ. ისინდი), სავარძელი (ჰან. ორძო სკამი), ხალდი (ზან. ბურჭული), ნემსი (ჰან. ლემში, მეგრ. ლში). ფოცხი (ზან. ბუცხი), თოკი (ზან. თოკი, თოჭი, სვან. თაკჷ), კოეზი (ზან. კიზი), სარტყელი (ჰან; ოტყაფუ, მეგრ. ორტყაფუ), სავარცხელი (ზან. ორცხონჯი), შინდი (ზან. მარშკინდი 'ბეჭედი'), ხორბალი (ჰან. ქოვალი, მეგრ. ქობალი 'გამომცხვარი პური'), ძმარი (ჰან. ჯუმორი)... აქვე უნდა მოვიხსენიოთ ზემოთ უკვე ჩამოთვლილი სიტყვები, დაკავშირებული ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან. (შინაური ცხოველებისა და მათი პროდუქტების სახელწოდებანი, ამ პროდუქტთა მოპოვების გამომხატველი სიტყვები)...

გამორიცხული არ არის, რომ მოყვანილ სიტყვათა შორის ისეთი ფუძეებიც არსებობდეს, რომლებიც ჩვენს წინაპრებს ძველისძველად, ქართველურ ენათა დიფერენციაციამდე, შეუთვისებიათ და ისინი ცალკეულ ქართველურ ენებში შესაძლებელია კანონზომიერ შესატყვისობებსაც კი იძლეოდნენ. ამის მიხედვით ეს სიტყვები მაინც უძველეს ქართულ ლექსიკურ ფონდს მიეკუთვნება.

233. ქართულში შესაძლებელია აღმოჩნდეს სხვა ქართველური ენებიდან შემოსული სიტყვებიც: ამის ნიმუშად ითვლება ჯაჭვი, რომელიც ძეშკა-ფუძის კანონზომიერი ზანური შესატყვისი ჩანს და, მაშასადამე, შესაძლებელია ზანურიდან შემოსულ სიტყვად მივიჩნიოთ.

მნიშვნელოვანი რაოდენობა ზანური სიტყვებისა გვხვდება გურულსა და ქვემოიმერულ კილოებში (აგრეთვე ლეჩხუმურში); აქ ზანური წარმომავლობის სიტყვები მეტწილ შემთხვევებში ალბათ სუბსტრატულია, ე. ი. ენობრივად გაქართველებულ მოსახლეობას შემორჩენია ძველი, მათთვის მშობლიური ზანური მეტყველებიდან.

მაგალითად, ზემოთ (§ 223) მივუთითეთ, რომ მეგრულში 'დედის' აღმნიშვნელი დიდა-სიტყვა ქართულიდან ნასესხებად არის მიჩნეული. ახლა შევნიშნავთ, რომ ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვების სესხება „აქეთა მიმართულებითაც“ ხდებოდა: ქართულის ზოგიერთ კილოში (უბირატესად, ქვემოიმერულ თქმებში) 'დეიდის ქმრის' აღსანიშნავად გამოყენებულია მეგრული სიტყვა ჯიმადი (ჯიმადა, ჯიმადე). რომელიც ზანურის ნიადაგზე ანალიზდება და 'დიდ ძმას' უნდა ნიშნავდეს: ჯიმა — ძმა ზანურ-ქართულ კანონზომიერ შესატყვისებს წარმოადგენს; გარდა ამისა, ზანურში არსებობს აგებულებით ჯიმადი-სიტყვის შესაბამისი დადი „დიდი და“, რომელიც 'მამიდას' და 'დეიდას' აღნიშნავს (შდრ. ქართული მდადე, ძმადე). ზანური წარმოშობისაა ქართულში ჯარგვალი 'ძელური სახლი': ჯალ-, როგორც ცნობილია, ძელ-

ფუძის კანონზომიერი შესატყვისია (ჩიქორთულშიც ქორთ-ელემენტი შესაძლებელია ქართ-ის ზანური შესატყვისის იყოს).

ო"ზე დაწყებულ დანიშნულების აღმნიშვნელ სიტყვებს საგანგებო განხილვა ესაჭიროება: ცნობილია, რომ დანიშნულების სა-პრეფიქსის ფარდად ზანურში ო-პრეფიქსი იხმარება. სალიტერატურო ქართულშიც შემოვიდა მალლარი ვაზის ერთ-ერთი ჭიშის სახელი ოჯალეში, რომელიც ასე ანალიზდება; ო-ჯალ-ეში „სა-ხე-ო“, ე. ი. 'მალლარი'. ყურადღების ღირსია მსგავსი აგებულების სხვა სიტყვებიც: ოკაჩე 'გემბანის კიჩო', ოლოფსირი 'მაწაწური' (დადასტურებულია ლეჩხუმში), ონჯარო, 'ალა' (იმერ.), ორე 'გეჭა, საწნახელი' (გურ., რაჭ.), ორნხოველი 'მოდიდო ნაეი', ოსარო 'თევზის საჭერი ბადე', ოფიხო 'ნაეიდან წყლის სახობავი', ოფიჭო 'ბლის ქერქი სარცხისათვის' და სხვ.

მეგრული სუფიქსით არის წარმოდგენილი სიტყვა მათხოჯი, რომელიც არა მხოლოდ ტოპონიმი არის, არამედ ზოგად სახელადაც გვხვდება და 'ცუღს, უმსგავსოს, მახინჯს' ნიშნავს [143].

შესაძლებელია ზოგი სხვა სიტყვაც დაიძებნოს ისეთი, რომელთა ზანურთან დაახლოების საფუძველი იარსებებს; მაგრამ მათი საერთო რაოდენობა ძალზე მცირე იქნება და ხვედრითი წონა საერთო ქართულში — უმნიშვნელო. სამაგიეროდ ზანურ-სვანურ მეტყველებაში ქართულიდან ბევრი სიტყვა არის შესული და, რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერდება ქართულის გავლენა ამ მოძმე ენებზე. მიზეზი გასაგებია: განსაკუთრებული იყო და არის 'ქართვების' როლი ქართველურ ტომთა კონსოლიდაციის საქმეში. ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ტომები ერთ მთლიან პოლიტიკურ და კულტურულ ორგანიზმს ქმნიდნენ და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ინტენსიური ხდება მათი შენეიდროება. ქართული ენა სახელმწიფო ენაა, სკოლის და მწიგნობრობის, აგრეთვე საერთო-სასაუბრო ენაა მთელ საქართველოში. სხვა ქართველური ენები საშინაო-სასაუბრო მეტყველების დონეზე დგანან დიალექტების მსგავსად.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან

საზიარო ლექსიკა ქართულში

234. ქართულ ენას მხოლოდ ქართველური ენები — ზანურ-სვანური — კი არ ემეზობლება, არამედ იგი რიგი სხვა ენების გარემოცვაშია.

კავკასიაში რამდენსამე ათეულ ენას ითვლიან. მათ შორის ზოგიერთი მიეკუთვნება აშკარად სხვა ენობრივ ოჯახებს: აზერბაიჯანული და ბალყარულ-ყარაჩაული თურქული ენებია და ალთაურ ენათა ოჯახში

შედის; ოსური და, აგრეთვე (ძირითადად), სომხური ინდოევროპული ოჯახის წევრებს წარმოადგენენ... სხვაგვარია ვითარება, როდესაც საკითხი ეხება ქართულისა და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ურთიერთობას. ქართულთან ამ (მთის იბერიულ-კავკასიურ) ენათა ურთიერთობის საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

ერთი მხრით, მათი ნათესაობა სრულიად უარიყოფა; ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობა ენათა კავშირად მიაჩნიათ (მაგრამ „ენათა კავშირის“ ცნების შემომტანი ნ. ტრუბეცკოი მას უნივერსალურ საენათმეცნიერო ცნებად თვლიდა ენათა ურთიერთობის დახასიათებისას. ენათა კავშირს ევალეზობდა „ენათა ოჯახის“ ცნების შეცვლაც; ამრიგად, „ენათა კავშირის“ პოზიციაზე მდგომთათვის საზოგადოდ ენათა გენეტური ურთიერთობის საკითხი ისმის იმათგან განსხვავებულად, ვინც ენათა გენეტურ ნათესაობასა და ენათა ოჯახებს ფიქციად არ თვლის).

კავკასიის ენათა მსგავსებას რიგი ენათმეცნიერები მეორეულ მოვლენად, კონვერგენციის შედეგად მიღებულად მიიჩნევენ; ზოგიერთები იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტურ კავშირს მომხიბლავ, მაგრამ ძნელად დასამტკიცებელ ჰიპოთეზად თვლიან, ზოგის აზრით კი ამ ენათა ნათესაობის ვარაუდი უპერსპექტივო ჰიპოთეზაა, რომელიც თითქოს კავკასიის ენათა კვლევის საქმეს აბრკოლებს კიდევ, რაც, რა თქმა უნდა, პოლემიკური გაზვიადებაა.

ამ უკანასკნელ ხანებში ნაწილობრივი ნათესაობის — ალოგენეტური კავშირის — ცნებაც იქნა გამოყენებული იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის დასახასიათებლად [235].

235. მათ შორის, ვინც ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობას სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ მსგავსებად მიიჩნევენ, არიან ავტორები, რომლებიც ამ მსგავსებას გენეტური ნათესაობის გამოვლენად თვლიან. გ. მაქავარიანს თავის ერთ წერილში წარმოდგენილი აქვს „ცდა — ზოგად ხაზებში დაახასიათოს საერთო ქართველური ფუძე-ენის ფონოლოგიური და გრამატიკული სისტემები, შეუპირისპიროს ისინი ინდოევროპულ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სათანადო სისტემებს და ამ გზით გამავლინს სტრუქტურულ-ტიპოლოგიური პარალელები და განსხვავებანი ქართველურ ენებსა და დასახელებული ორი ჯგუფის ენებს შორის“. ამ შეპირისპირებით ასეთი შედეგი მიიღო ავტორმა: „გვიანდელი პერიოდის საერთო ქართველური ფუძე-ენის ლინგვისტური ტიპი შეიძლება განისაზღვროს როგორც გარდამავალი კავკასიურიდან ინდოევროპულისაკენ“, ამასთანავე „სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ნიშნები, რომლებიც ქართველურ“

ენებს აახლოებს ჩრდილოკავკასიურთან, უეჭველია, მეტად ძველია, ხოლო ინდოევროპული ნიშნები... უფრო გვიანდელ ქრონოლოგიურ პლასტს მიეკუთვნება“. მკვლევარი არ იფარგლება მთის იბერიულ-კავკასიური ენებისა და ქართველურ ენათა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური სიახლოვის ფაქტის დადასტურებით და ამ სიახლოვის მეტად ძველ მოვლენად მიჩნევით; იგი დაასკვნის, რომ „საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში კავკასიური სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ფენის არსებობა არის გამოვლენა ოდინდელი ნათესაობისა“ [216]. ეს შეხედულება ანგარიშგასაწევია: მართლაც, თუმცა ყველაფერი, რაც სხვადასხვა ენის აგებულებაში ერთმანეთს წააგავს, ძნელია მათი გენეტური ნათესაობიდან დავასკვნათ, მაგრამ ბევრი რამაა ამ ენათა სტრუქტურაში ისეთი საერთო, რომელთა შესახებ ვერ ვიტყვი, რომ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არიან განვითარებულნი (იხ. აგრეთვე § 243).

226. ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის ვარაუდი XVIII საუკუნის ბოლოდან მოდის (გიულდენშტედტი და სხვ.), მაგრამ იგი დებულების სახით ერთი საუკუნის წინ იყო წამოყენებული მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევრის პ. უსლარის მიერ. ამ ნათესაობის იდეამდე მივიდა ნიკო მარი, როდესაც ქართულ-ქართველურ ენათა გენეზისის საკითხებს საგანგებო ყურადღება მიაქცია და კვლევის სფეროში თანდათან შემოიყვანა მთის იბერიულ-კავკასიური ენები: ჯერ აფხაზური, შემდეგ — ხუნძური და ა. შ. * (მაგრამ ნ. მარმა ამის შემდეგ მალე უარყო საზოგადოდ ენათა გენეტური ნათესაობის დებულება და ე. წ. სტადიალურ კლასიფიკაციაზე გადაინაცვლა [130]).

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დროიდან მთის კავკასიური ენების კვლევა იქნა მიჩნეული ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთ ამოცანად, და საგანგებოდ აღინიშნა, რომ ამის გარეშე შეუძლებელია ქართული ენის ბუნებაში გარკვევა [161]. ამ მიზნით უნივერსიტეტის არსებობის პირველსავე წლებში შემოღებული იქნა აფხაზური ენის კურსი. ოცდაათიან წლებში შეიქმნა (პროფ. არნ. ჩიჭობავას ხელმძღვანელობით) საგანგებო კათედრა მთის კავკასიური ენებისა, სადაც თავდაპირველად ხუნძური, ლაკური და აფხაზური ენების კურსები იკითხებოდა, შემდეგ და შემდეგ, ახალი სპეციალისტების შემომატებასთან ერთად, საგრძნობლად გაფართოვდა წრე იმ იბერიულ-კავკასიური ენებისა,

* როგორც ცნობილია, თავდაპირველად მარი ქართლისა და სემიტური ენების ნათესაობას ვარაუდობდა. ფონეტიკური შესატყვისობის დადგენის ცდა და ფუძეა შედარებაც მან ისე მოახდინა, რომ სხვა ქართველური ენებიც კი (ჭანურ-შეგრული, სვანური) არ გაუთვალისწინებია [214].

რომლებიც უნივერსიტეტში შეისწავლება. ოცდაათიანი წლების გასულს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება. ამ ორი უკრედის მუშაობის წყალობაა, რომ თბილისი ამჟამად იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ცენტრად ითვლება.

237. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის შესწავლას დიდმა ქართველოლოგმა ი. ჭავჭავაძემ. ამ ენათა ურთიერთობის ძიება მას, პირველ ყოვლისა, ესაჭიროებოდა როგორც ისტორიკოსს: „მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამოკვლევა და გადაჭრა შეუძლებელიაო“ — განაცხადა მან და გახაზა, რომ „ამისათვის ე. წ. კავკასიური... ენების... ლინგვისტური მასალების გამოყენება მაინც აუცილებლად საჭიროა“ [161].

საამისო კვლევა ი. ჭავჭავაძემ ოციანი წლებიდან დაიწყო და აგვირგვინა ფუნდამენტური ნაშრომით „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937). ამ ნაშრომის პირველი ნაწილები ფონეტიკასა და მორფოლოგიას (კერძოდ, სქეს-კატეგორიის საკითხს) მიეძღვნა. დანარჩენებში გაანალიზებულია რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და ზმნები და ნევარაუდევია ბევრი საერთო ფუძე.

აი რამდენიმე მაგალითი: 'ერთის' აღმნიშვნელი ქართული სიტყვა ცალი დაკავშირებულია შემდეგ სიტყვებთან: აფხაზური ძაღა, ჩაჩნურ-ინგუშური ყაა, ყაა, შაა, ლაკური ყავ (ყარა, ყაბა), ბოთლიურ-რი შევი (შეა, შები), წახურული სარ (საბ, სად), არჩიბული სეაჟუ (სეარუ, სეაჟუ, სეაჟუ); ასეთივე წესით არის ნაჩვენები 'ორის', 'ხუთის', 'ათის' და 'ასის' აღმნიშვნელ ფუძეთა ნათესაობა, ნაცვალსახელებიდან ჩემის ჩ დაკავშირებულია მსგავსი მნიშვნელობის საერთოკავკასიურ ელემენტებთან ს/ზ/სთან, ხოლო შენის შ—ს/თან. ი. ჭავჭავაძის საზოგადო სახელებშიც დაძებნილი აქვს საერთოკავკასიური ძირები: ვაჟი (ხუნძური და ჭამალალური ვაჟ 'ძმა'), ვაჟი (ხუნძ. ვასა), აგრეთვე დედა, ნეზეი, თხა, თიკანი (ბატკანი), ქათამი, თმა, ბოქვენი, აგამი, ზღმარტლი...

მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ქართულთან საერთო ძირები კვლევა, რა თქმა უნდა, ივანე ჭავჭავაძემამდეც წარმოებდა და ივანე ჭავჭავაძის მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგაც გრძელდება.

238. აი, მაგალითად, ამგვარი კვლევის ნიმუში [127]: ძველი ქართულის ბაბილო 'ყურძენი' და დობილო 'მალლარი ვენახი' ერთი ძირისა ჩანს.

განსხვავებული თავიიდური მარცვლები ოდინდელი გრამატიკული კლასის ნიშნებია — ბა- (ზღრ. ბაჟეჟი—ბა-შეჟი) და ღო- (ზღრ. სვან. ღო-შედულ 'თთვე'). თანამედროვე ქართულ კილოებში ბაბილო ზოგან (მაგ., გურულში) 'ვაზის ფოთოლს' ნიშნავს, ხოლო სხვაგან (მაგალითად, საგურამო-მთიულეთში) — 'გარეულ ვაზს, უპირატესად მამრობითს', ე. ი. უნაყოფოს, უყურძნოს! ეს გარემოება მიგვანიშნებს, რომ ძველი მნიშვნელობა შეიძლებოდა ყოფილიყო არა საკუთრივ ყურძენი, არამედ ვაზი, როგორც მცენარე და მისი ფოთოლი...

საზიარო ძირის სხვა სიტყვები აზუსტებენ ამ ფუძის თავდაპირველ მნიშვნელობას. ბიბინი გაორმაგებული ძირია — ბინ-ბინ და 'ყვაილის' უკავშირდება — „ყვაილთ ფერადობას“ ნიშნავს. ყვაილი'ს სინონიმი ბილილა'ც საეარაუდოა გაორმაგებული ძირი იყოს — ბილ-ბილ. იმერულში ბიმბილი არის 'თხმელის და თხილის ყვაილი', ხოლო ლეჩხუმში — 'ყურძნის მარცვალი'. ამ მონაცემების საფუძველზე ბილ-ძირის მნიშვნელობის განვითარება ასე წარმოიდგინება: 'ყვაილი' — 'ვაზი (სეზე ამგებული)' — 'ვაზის ნაყოფი, ყურძენი'.

'ყვაილისა' და 'ყურძნის' მნიშვნელობანი, ქართულის მსგავსად, ერთ ძირშია თავმოყრილი მთის ერთ-ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში, ლაკურში: ზჷჷო როგორც ბ კლასის სიტყვა არის 'ყურძენი', როგორც დ კლასისა — 'ყვაილი'.

ლაკური და ქართული ფუძეები „სემანტიკური სტრუქტურით“ ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ მასალობრივად განსხვავებულნი არიან. სამაგიეროდ, მასალობრივი სიანლოვე ქართულ ბილ-ფუძესთან დადასტურებულია დაღესტნის სხვა ენაში — ხუნძურში, აქ ყურძნის აღმნიშვნელ შჷჷბილ/შჷბილ-ბო-ყა-სიტყვაში ბილ-ძირი გამოიყოფა. არნ. ჩიქობავა და ასკენის, რომ „ეს ფუძე საერთო ფუძის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ თუნდაც რომ იგი ქართულიდან შეთვისებულადაც ვცნოთ, ჩვენს წინ ისეთი სიძველის ფაქტია, რომ „საერთოსა“ და „ნასესხების“ გამიჯვნას ეკარგება სიმწვავე და ყურადღების ცენტრში ექცევა ძველისძველი ლექსიკური მკიდრო კავშირი ქართველური ენებისა მთის ისეთ ენასთან, როგორიცაა ხუნძური“.

289. ამგვარი უძველესი ლექსიკური ურთიერთკავშირის დამადასტურებელი ფაქტები სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებიდან მეტ-ნაკლები სისრულით ამოკრეფილი აქვს გ. კლიმოვს და ჩართული აქვს თა-

ვის „ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“, საიდანაც არის ამოღებული ქვემოთმოყვანილი ნიმუშები *.

დ ე ღ ა (შდრ. აფხ. დი, ლეზგიური დიდე ხინალულური დედე), ა ს ი (შდრ. აფხ. შვ. ყაბარდოული შწ, დარგუელი დარშ, ლეზგიური ვიშ, რუთულური ვეშ); ამგვარივე წესით არის დაკავშირებული მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალასთან შემდეგი სიტყვები: ათა (ეგვევი ძირი დადასტურებულია ჩაჩნურსა და ინგუშურში), აშ (ბაცბურსა და ხუნძურში), ბ. აბამს (ბაცბ., დარგ.), ბერში (ჩაჩნ.), ბარკალი, ფერხი (ადილ., ყაბარდ.), ბუ (ჩაჩნ., ჰამალალურში), გუგული (ხუნძ.), გული (აფხ., ხუნძ., ლაკ.), დიდი (აფხ., ყაბარდ.), დიკა (ტაბასარანულში, წახურულში), იდაყვი (ადილ., ყაბარდ., ლაკ., დარგ., ჩაჩნ.), დღე (ადილ., ყაბარდ., ხუნძ., ლეზგ.), კაშლი (ხუნძ., ტაბასარან., ჩაჩნ.), კაყი (ხუნძ., ლაკ., ლეზგ., ალულურში), კერცხლი (ხუნძ., ლაკ., ტაბასარან.), ზაფხული (აფხ., ჩაჩნ., ინგ.) შემა-ზრუენი (ჩაჩნ., ლაკ., ლეზგ.), თაგვი (უბიხ., ყაბარდ., ჩაჩნ., ბაცბ.), თესავს (ადილ., ყაბარდ., ჩაჩნ.), კაკალი (რუთულ., წახურა. ტაბასარან.). კაკანი (აფხ.-ადილ. და ნახ.-დაღესტ. ენებში), კაშლი (ჩაჩნ., ხუნძ., ლეზგ., ტაბასარან., წახურ.), ლეღვი (აფხ., ადილ., ლეზგ.), ლბილი, რბილი (ადილ.), შამა (ხუნძ., ლაკ.), მარჯვენა (ჩაჩნ., ლაკ., ლეზგ., არჩიბულში). მახა (ჩაჩნ., ინგუშ., დარგ., არჩიბ., დიდოურში), მგელი (ჩაჩნ., ხუნძ., დარგ.), შხე (აფხ., ყაბარდ., ჩაჩნ., ხუნძ., ლაკ., დარგ.), მი-, ვინ (ჩაჩნ., ბაცბ.), მკალი, კალია (ადილ., ყაბარდ.), მკერდი (დარგ., ტაბასარან., არჩიბ.), მხალი (ლაკ., დარგ., არჩიბ., ლეზგ.), მტვერი (ლაკ., არჩიბ.), მჭადი (ხუნძ., ლაკ., კრიზულში), მხარი (ლეზგ., ჰუნზიბურში), ნოყა, ნოყო (ხუნძ., არჩიბ.), ობოლი (აფხაზ., ყაბარდ., ჩაჩნ., ხუნძ.), კეკელა (აფხ., უბიხ.), პირი (ლეზგ., რუთულ.), რკინა (ლეზგ. ტაბასარან.), სად (უბიხ.-ადილ., ყაბარდ. ხუნძ., ლაკ., დარგ.), სამი (აფხ., ხუნძ., ლაკ., დარგ.), სელი (ხუნძ.), სეე (აფხ.), სოკო (ბაცბ., დიდ., ჰუნზიბ., ბეკიტურში), სტვენს (ხუნძ., ახვაზ., არჩიბ.), სძე, რძე (აფხ.-ადილ., ნახ.-დაღესტ.), სეამს (აფხ.), სველი (ადილ.), სვენება (ხუნძ., ანდ.), სული (აფხ., ადილ.-ყაბარდ., ჩაჩნ.), ტინი (ბაცბ.), ტუა (დარგ., ტაბასარან.), ტუპი (ადილ., ყაბარდ., აგრეთვე ნახ.-დაღესტნ. [203]), უღელი (ხუნძ., ჩაჩნ., ლაკ.,

* თვით გ. კლიმოვის პოზიცია იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტური იჯივობის საკითხში ჩანს ამ გამოწვევად: „მიუხედავად იმისა, რომ ინტუიციური შეხედულება ამ ენათა შორეული გენეტური კავშირის შესახებ წამოყენებული იყო ჯერ კიდევ მათი შესწავლის ადრეულ ეტაპზე, ამ პირობების პროგრესი უკანასკნელ დრომდე ძალზე მცირედია (остается очень скромным)“ [204].

ლეზგ.), ფილტვი (ჰუნზიბ., ლაკ., არჩიბ., ტაბასარან.), ფრენს (აფხ., არჩიბ., და უდიურში), ფუგება (ხუნდ.), ფხა (ადილ., ყაბარდ., ჩაჩნ., ლაკ., დარგ.), ქათამი (აფხ., ადილ., რუთულ., წახურ.), ქსოვს (ახვახურში, კარატაულში); ყავი (უბიხ., ადილ., ყაბარდ.), ყველი (ადილ., ყაბარდ.), ყინაეს (ხუნდ., ანდ., დიდ.), შიში, ეშინია (ადილ., ყაბარდ.), ცა (ლაკ., ლეზგ., ტაბასარან.), ცალი (აფხ., ადილ., ჩაჩნ., ხუნდ., ლაკ., დარგ.), ცელი (ნახ.-დაღესტ. ენებში), ცვილი (აფხ.), ცოლი (ადილ. ყაბარდ.), ძეალი (აფხ., ადილ. [203]), ძეელი (აფხ., ადილ.), ძმარი, (აფხ., ხუნდ., დარგ., ლაკ.), ძუ (ხუნდ., ლაკ.), ძუძუ (ადილ., ყაბარდ.), შამშამი (დარგ., ლაკ., არჩიბ., ლეზგ., ტაბასარან.), შკეს (ლაკ., დარგ., არჩიბ., ტაბასარან.), შვერი (ლაკ., ლეზგ.), შოვს (ხუნდ., ანდ., ახვახ.), შურავს (ხუნდ., ახვახ.), ჭამს (ხუნდ., ანდ., არჩიბ.), ჭეშს (ლეზგ., ტაბასარან. რუთულ.), ჭინკველა (ხუნდ., ტინდ., არჩიბ.), ჭინჭარი (ხუნდ., ლაკ., დარგ., ლეზგ.), ჭიპი (ხუნდ., ლაკ., არჩიბ.), ჭერხავს (ხუნდ., ანდ., ლაკ., არჩიბ.), ჭეიხვინი (ხუნდ., ანდ., ლაკ., დარგ.), ზობავს (ლაკ.), ზუთი (აფხ., ყაბარდ., ჩაჩნ., ხუნდ., ხინალულ.), ზამლი (აფხ.), ზელი (ადილ., ყაბარდ.), ჯაჭვი (აფხ.)...

მოგვიანებით გ. კლიმოვა ცალკე გამოყო ქართველური და აფხაზურ-ადილური ლექსიკური შეხვედრები და გაიზიარა (მეტ-ნაკლები ყოყმანით) და სხვა მკვლევართაგან დამოუკიდებლად აღნიშნა 42 ფუძის საერთო ქართველურ-აფხაზურ-ადილური ხასიათი, მათ შორის შემდეგ სიტყვათა ფუძეებისა: ძეალი, მუხლი, ციყვი, მშერი, ანშლი, მსხვილი, დვას, ზორხი, იყინის (სხვა ავტორების დამოწმებით), აგრეთვე: ყვითელი, თხელი, გორავს, ლოკავს (სხვათაგან დამოუკიდებლად დაუძებნა საზიარო ფუძეები აფხაზურ-ადილურ ენებში) [203]; სხვა ნაშრომში საერთო იბერიულ-კავკასიურ ფუძეებს დაუმატა ზეადი (სხვა ავტორების დამოწმებით) და ძეხვი [204]...

სხვა მკვლევართა შრომებში გამოვლენილია ქართლისა და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ლექსიკურ შეხვედრათა არაერთი ფაქტი: ხამხარი [239], თრუნვა [168], უყარს, ყანა, ბაყვი, სიტყვა, ციყვი, დარტყმა, ყინული [31], ზანღური [200] და სხვ.

240. ასეთი რაოდენობის საერთო ფუძეთა არსებობა ძნელია შემთხვევის საქმედ მივიჩნიოთ. სავარაუდოა, რომ აქ მეტწილად საქმე გვაქვს გენეტურ იგივეობასთან, ან კიდევ ისეთ შორეულ კონტაქტებთან, რომ ამგვარი საერთო ფუძეების ძველისძველობა ქართული ენის ლექსიკური ფონდისათვის ექვს არ იწვევს.

მათი არაშემთხვევითი ხასიათი კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ ამ ფუძეთა სემანტიკას გავითვალისწინებთ: ესაა ძირითადად იგივე

სემანტიკური ჯგუფები, რასაც, საზოგადოდ, მონათესავე ენების საერთო ლექსიკური მასალა შეიცავს:

ნათესაობის სახელები: დედა, მამა, ცოლი, თბოლი...

ბუნების მოვლენები: თვე, დღე, მზე, ყინავს, ცა, ზაფხული, სამზარი...

სხეულის ნაწილები: ბარკალი, ბაყევი, გული, იდაყვი, მარჯვენა, მკერდი, მხარი, პირი, ძუძუ, შამწამი, ძეგრი, ჭიბი, ტენი, ფილტვი, ფხა, ხელი, ძვალი, მუხლი...

ცხოველები: ბუ, გუგული, მგელი, ღორი, ყვავი, თაგვი, ციყვი, ქათამი, მაგლი, მშერი, კალია, აქელა, ჭიანჭველა, ძუ, ხეადი, ბერძი, ღულუნო, ხეიხინი...

მცენარეები: ზანდური, დიკა, მახა, ხელი, ყანა, ვაშლი, მსხალი, ლელვი, კაკალი, სოკო, ჭინჭარი, ანწლი, ძეძვი, მუსა...

ნაცვალსახელები: ვინ, მან...

რიცხვითი სახელები: სამი, ხუთი, ათი, ასი, ცალი, ტყუპი...

ხედსართავები: დიდი, ნრგვალი, რბილი, თეთრი, ყვითელი, თხელი, ძველი, მსჯილი...

ზმნები: შუაზზინებს, ეშინია, შოვს, წეავს, ჭამს, სვამს, სუნსავს, უსტვენს, ფუფუება, დგას, იცინის, ლოკავს, გორავს, ურტყამს, აბამს, ქსოვს, თეპავს, ვედს...

ნახელავი: კედელი, ყველი, ძმარი, ცელი, ჯაბვი... და სხვ.

ამრიგად, წარმოდგენილ სიტყვათა ფუძეები ოდინდელ იბერიულ-კავკასიურ ლექსიკურ ფონდს მიეკუთვნება. ამ ფაქტს აღიარებენ არა მხოლოდ ისინი, ვინც ამ ენათა ნათესაობის დებულებას იზიარებს, არამედ ისინიც, ვისაც ეს დებულება ჭერაღ დაუნტყციებელ ჰიპოთეზად მიაჩნია.

241. ვინც არ იზიარებს ქართულ-კავკასიურ ენათა გენეტური კავშირის დებულებას, ის წინაპირობად მოითხოვს უეჭველი რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობების არსებობას [204]. მაგრამ ამ შემთხვევაში გაუთვალისწინებელი რჩება ის გარემოება, რომ რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობა მეორეულია ენათა ნათესაობასთან შედარებით: ამგვარი შესატყვისობა შესაძლებელია არსებობდეს მონათესავე ენათა შორის, მაგრამ შესატყვისობანი როდი ქმნიან ნათესაობას. ქართულისა და ზანურის ნათესაობა ფაქტია, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობანი ამ ორი ენის ფაქტებს შორის: ქართულ მ'ს რომ ზანური ნ შეესატყვისება, ქართულ ა'ს რომ ზანური ო შეესატყვისება — კაცი — კობი — ამის საღუძველი, რა თქმა უნდა, ამ ენათა გენეზისური კავშირია; მაგრამ ამ რიგის ფაქტს სრულებით არ წარმოადგენს იმავე ქართულ ფუძეში გამოვლენილი კ რომელიც უცვლელად მეორდება ზანურში; აქ არსებითად შესატყვისობაზე ლაპა-

რაკი არ შეიძლება — შესატყვისობა შესაძლებელია არსებობდეს ორ (და მეტ) ფაქტს შორის, აქ კი ჩვენს წინაშეა ერთი და იგივე, გაუდიფერენცირებელი მასალა: ერთ ფუძეში აღმოჩნდა, ერთი მხრით, გაუდიფერენცირებელი მასალა, მეორე მხრით, — გადიფერენცირებული შესატყვისი*. მას იმდენად მივიჩნევთ შესატყვისად, რამდენადაც იგი რეგულარულად გეორდება სხვადასხვა ფუძეში (ყერი — ჩანჯი, ცხვირი — ჩხინდი...), და — ამის შესახებ არ ლაპარაკობენ ხოლმე, მაგრამ ყოველთვის კი იგულისხმება — რამდენადაც იგი სპონტანური ცვლილების შედეგია.

მაგრამ „სპონტანური ცვლილება“ ხომ მხოლოდ სახელია იმგვარი მოვლენისა, რომელსაც ახსნა ვერ დასძებნია, — „კომბინატორულ ცვლილების“ საპირისპიროდ, სადაც ცვლილების საფუძველი თვალსაჩინოა. ამრიგად, ამ გამოთქმით — „სპონტანური ცვლილება“ — თვით ობიექტს კი არ ვხასიათებთ, არამედ ჩვენს დამოკიდებულებას ამ ობიექტთან (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — ჩვენს უძღურებას — დავადგინოთ ამ ცვლილებების საფუძველი); თავისთავადაც ენათა ნათესაობის ცნება არ ვარაუდობს აუცილებლობით ამგვარ, ჩვენთვის უცნობი მიზეზებით გამოწვეულ, ცვლილებებს.

გარდა ამისა, სპონტანური ცვლილებები არაა აუცილებელი ვრცელდებოდეს ყველა მსგავს ფაქტზე; აქ არა მხოლოდ „ბრმად, ბრმა აუცილებლობით მოქმედი უგამონაკლისო ფონეტიკური კანონების“ შესახებ არ შეიძლება ლაპარაკი, არამედ, როდესაც „შესატყვისობის რეგულარობის“ შესახებ ლაპარაკობენ, ყოველთვის იგულისხმება სტატისტიკური და არა დეტერმინაციული ბუნების ცნება. ენის სოციალური ხასიათი იმაშიც მდგომარეობს, რომ მასში ცალკეულ ენობრივ ცვლილებათა გავრცელება დამოკიდებულია გარეენობრივ, სახელდობრ — სოციალურ ფაქტორებზე. ამ ფაქტორთა მრავალრიცხოვნობისა და უაღრესი სირთულის გამო ტრადიციული დეტერმინაციული ბუ-

* ამიტომ კაცისა და კოჩის ურთიერთობა წარმოვლევება:

$$\begin{array}{l} \text{არა ასე:} \\ \left. \begin{array}{l} \text{ქ} \quad \text{ქ} \\ \text{ა} \quad \text{ო} \\ \text{ც} \quad \text{ჩ} \\ \text{(ი)} \quad \text{(ი)} \end{array} \right\} \end{array} \quad \begin{array}{l} \text{არა მელ ასე:} \\ \left. \begin{array}{l} \text{ქ} \quad \text{ა} \quad \text{ც} \quad \text{(ი)} \\ \text{ო} \\ \text{ჩ} \\ \text{(ი)} \end{array} \right\} \end{array}$$

როდესაც გაუდიფერენცირებულ ოდენობებს ახასიათებენ როგორც შესატყვისობებს, ამით უგულებელყოფენ იმ ფუნდამენტური პრინციპების ფაქტს, რომ ენა უწყვეტობაა, კონტინუუმი.

ნების ცნებით ვერ გამოიხატება მათი და ენობრივი მოვლენების ურთიერთობა [შდრ. 207].

ეს — ზოგადად. ხოლო კონკრეტულად ქართულისა და სხვა ენათა ფონეტიკური შესატყვისობის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, სასარგებლოა გავისხენოთ, ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ ამგვარი „შესატყვისობის დადგენის“ მიუხედავად ქართულ-სემიტური ენების ნათესაობის ვარაუდრი მცდარი აღმოჩნდა, და, მეორეც, თვით ისეთ უდავოდ მონათესავე ენებში, როგორიც ქართული და ზანურია, არსებობს აშკარად ერთი წარმოშობის სიტყვები, რომელთა შორის არსებული განსხვავების ახსნა ჯერჯერობით არ ხერხდება. მაგალითად, აი რამდენ „გაურკვეველ“, ე. ი. ფონეტიკურად არაკანონზომიერ მოვლენაზე მიუთითებს გ. კლიმოვი „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მხოლოდ * ასოზე: აბედი — ზან. თბედი — სვან. კაბოდ: „მეორე მარცვლის ვოკალიზმი გარკვეულ სიძნელეს ქმნის“; ადრე — ზან. თრდო: „ბუნდოვანია სიტყვის დაბოლოება“; ანწლი — ზან. ინჭერი: „მთლად ნათელი არაა თავკიდური ი ზანურში“, არჩვი — ზან. ერკემ: „არაა ნათელი ბოლოკიდური — მშ მეგრულში“; ასე — ზან. აშო-აშ: „არაა ნათელი ქართულისა და ზანურის ბოლოკიდური ხმოვნების ურთიერთობა“; ყარყარა — ზან. ყო-ყორე: „არაა ნათელი ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი, რომელიც უნდა ყოფილიყო ქართულ-ზანური ერთობის ეპოქაში“; აშ — ზან. აში: „ყურადღებას იქცევს თავკიდური ა ს იდენტურობა“ [205]... ამგვარი თავისებურებანი, ცხადია, ასახსნელია *; მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამის გამო არავის მოუვა აზრად ხელი აიღოს ქართველურ ენათა გენეტური კავშირის, ნათესაობის დებულებაზე.

ასევე, ვინც ქართულ-კავკასიურ (იბერიულ-კავკასიურ) ენათა გენეტური სიახლოვის დებულებას იზიარებს, მას ფონეტიკურ შესატყვისობათა დადგენაც შეაქვს სამუშაო გეგმაში. რეგულარული შესატყვისობა წინასწარ მოცემული ვერ იქნება. ამგვარი შესატყვისობა გამოპყავთ ხოლმე ისეთი სიტყვების დაგროვებით, რომელთა ეტიმოლოგიური ერთიანობა ეჭვს არ იწვევს: ჯერ შენიშნეს მსგავსება, ვთქვათ, ქართული ერთი და მეგრ. ართ-სიტყვებისა, თავი მოუყარეს ხმოვანთა ურთიერთობის თვალსაზრისით ამგვარსავე დამოკიდებულებაში მყოფ სხვა წყვილებსაც (ძელი — ჯა, ყერი — ჩანჯი, ლეკვი — ლაკვი...) და შემდეგ იქნა გამოყვანილი წესი ქართულ-ზანური ა/ა შესატყვისობისა. ასეთია ენათა შედარების ელემენტარული მეთოდიკური მოთხოვნილება.

* ზოგი მათგანი იქნებ ვერასოდესაც ვერ აიხსნას.

242. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ ურთიერთობა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ვერ დაიყვანება მხოლოდ დიფერენციაციანზე: -დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესები ერთიანობას არ გამორიცხავს, ისინი ერთად მოქმედებენ“, ინტეგრაციის, კონვერგენციის შედეგია ენათა შერევა, და თუმცა „ნათესაობის საკითხი ძალზე რთულდება ენათა შერევის შემთხვევაში, მაგრამ მონათესავე ენათა არსებობა მაინც უღაო და თვალსაჩინო ფაქტია“. კერძოდ, რაც შეეხება ჩვენს ენობრივ სინამდვილეს, აქ „კვლევა-ძიებას განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, რომ კავკასიური ენები წარმოადგენენ რთულ ამალგამას, ენათა შერევის ნიადაგზე მიღებულს და გადასაწყვეტია, საერთო მემკვიდრეობის დიფერენციაციად უნდა მივიჩნიოთ იგი, თუ სხვადასხვა ენის დაახლოება-შერევის შედეგად უნდა დავსახოთ“ [131. აგრეთვე 265].

კვლევა-ძიების დღევანდელ ეტაპზე ბევრითი შესატყვისობა გადანწყვეტ როლს ვერ შეასრულებს, რადგან თვით ამკარად მონათესავე ენებს შორისაც კი, ჩვენთვის უცნობი ისტორიული პროცესების მოქმედების შედეგად, ყოველთვის არ ხერხდება კანონზომიერი ბევრათ-შესატყვისობის გამოვლენა. ამის კარგი მაგალითია ურთიერთობა აფხაზურ-ადიღურ ენათა შორის [57]. ამჟამად მთავარია საერთო ელემენტების გამოვლენა მორფოლოგიურ ინვენტარში, ამ საქმეში კი მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული და პერსპექტივაც საიმედოა; ანგარიშგასაწევეია, რომ კვლევის გაღრმავება და შორეული წარსულის წვდომა ამჟღავნებს ჩვენი ენების უფრო და უფრო მეტ სიახლოვეს ერთმანეთთან [161, 264].

243. იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის ღრმა სტრუქტურული მსგავსება არსებობს. რა თქმა უნდა, მხოლოდ სტრუქტურული მსგავსების ცალკეული ფაქტები ენათა გენეტური ურთიერთობის საკითხის დასასმელად და გადასაწყვეტად არ გამოდგება: სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი ბრუნვები თითქმის ყველა ენას აქვს, თუ ამ ენებში საზოგადოდ ბრუნება არსებობს; ცხადია, ეს ფაქტი სათანადო ენათა გენეტური სიახლოვის საკითხს არამცთუ ვერ გადაწყვეტს, არამედ ვერც დასვამს. ცალკე აღებული თუნდ იბერიულ-კავკასიური ენობრივი სინამდვილისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის გრამატიკული ან ფონეტიკური მოვლენაც არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს ამ ენათა გენეტური ურთიერთობის საკითხის დასასმელად (ვთქვათ, კაუზატივი, ან თურმეობითი, ან კიდევ პოტენციალისის კატეგორია სულ სხვადასხვა. გენეტურად დაუკავშირებელ, ენებში შეიძლება შეგვეხედეს).

მაგრამ სტრუქტურული მსგავსება იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის მეტად მრავალფეროვანია და თანაც არსებით თვისებებზე ვრცელდება. ამგვარი საერთო იბერიულ-კავკასიური სტრუქტურული მოვლენაა, მაგალითად, ერგატიული კონსტრუქცია, რომელიც არა მხოლოდ სახელთა ბრუნებაშია გამოვლენილი, არამედ ზმნებსაც გამსჭვალავს და, ამრიგად, იმ ენებსაც ახასიათებს, რომელთაც ჩამოყალიბებული ბრუნების სისტემა არ მოეპოვებათ [126]. ასეთია, აგრეთვე, სისტემა გრამატიკული კლასებისა, რომელიც მთლიანად მოიცავს იბერიულ-კავკასიურ ენათა აგებულებას * და მკაფიოდ გამოარჩევს ამ ენებს მეზობელ თანამედროვე ენათაგან [135, 20].

ამგვარ სტრუქტურულ მსგავსებას უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში ამ ენათა გენეტური ურთიერთობის საკითხის დასმისას: ასეთი ფაქტები ვერც მეორეული კონტაქტით აიხსნება და თითოეულ მათგანში დამოუკიდებელი განვითარების შედეგადაც ვერ მიიჩნევა; გვერდი ვერ აეგლება, აგრეთვე, ასობით ძირეული მასალის და გრამატიკულ ელემენტთა იგივეობასაც.

244. იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დებულების მიღება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ უნდა შეწყდეს კვლევა-ძიება ნათესაობის დამადასტურებელი ფაქტების დასაძებნად. პირიქით, ხსენებული დებულების მიღება გულისხმობს, რომ გაგრძელდება და გაღრმავდება იბერიულ-კავკასიური წრის თითოეული ენის აგებულების, მისი ფონოლოგიური სისტემის, გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შემადგენლობის დამოუკიდებელი და ყოველმხრივი შესწავლა, ისტორიულ-შედარებითი, შინაგანი რეკონსტრუქციისა და ისტორიულ ენათმეცნიერებაში გამოყენებულ სხვა მეთოდთა თანმიმდევრული გამოყენებით გაირკვევა ენათა ურთიერთდამოკიდებულება და დამოკიდებულება კავკასიაში თუ კავკასიის გარეთ არსებულ ენებთან, როგორც ინდოევროპულ და სემიტურ ენებთან, ისე იმ ცოცხალ თუ მკვდარ ენებთან, რომელთა გენეტური კავშირი სხვა ოჯახებთან არ დასტურდება, ერთმანეთთან კი შორეული ნათესაობა შეიძლება აკავშირებდეთ — საკითხი ეხება ე. წ. ხეთურ-იბერიულ ენებს.

* აკად. გ. წერეთლის ვარაუდით ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთ ენაში, ურარტულში (რომლის გენეტური კავშირი ინდოევროპულ და სემიტურ ენებთან გამოირიცხებოდა) ბრუნებასა და უღვლილებაში გამოვლენილი აფიქსები (აგრეთვე მაწარმოებელი აფიქსები) ხასიათდება ისეთი თავისებურებებით, რომლებიც მთის იბერიულ-კავკასიური ენების ანალოგს წარმოადგენენ. ის ფაქტი, რომ ფონეტიკურად და ფუნქციურადაც ისინი ემთხვევიან იბერიულ-კავკასიური ენების სათანადო აფიქსებს, გვაუარაუდებინებს, რომ ურარტული ენა ისეთსავე მიმართებაშია ქართველურ ენებთან, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვა წევრები [243].

იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტური სიახლოვის დებულების გაზიარება საშუალებას იძლევა ერთმანეთს შეუპირისპირდეს ცალკეულ ენათა ესა თუ ის სტრუქტურული თვისებები არა მხოლოდ აქრონიულად. დროისა და სივრცისაგან განყენებულად — ამგვარი შეპირისპირების შემეცნებითი ღირებულება, როგორც ცნობილია, მეტად შეზღუდულია... ამ ენათა გენეტური ერთიანობის აღიარება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ამა თუ იმ მოვლენის შესაფერისი ადგილი ენის სისტემაში, მისი განვითარების ჯაჭვში. ამრიგად, მეცნიერებას საშუალება მიეცემა ზერელე აღწერის ნაცვლად მოახდინოს მოვლენის სრულფასიანი მეცნიერული ანალიზი.

ამიტომაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული ლექსიკური ფონდის ის ნაწილი, რომელიც საერთო ჩანს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან.

**ქართული ლექსიკის ადგილი
„ნოსტრატულ“ ჰიპოთეზაში**

245. დიდი ხანია შენიშნულია, რომ ქართულში გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა წრის გარეშეც პოულობენ გამოძახილს და რომლებსაც თვალსაჩინო ნასესხებ მასალას ვერ მივათვლით. ასეთია, მაგალითად, უღელი ვერცხლი, ბუ. *ოფოფი*, თბილი, კატა, ყორანი, ფიჭვი, დიდი, მურა, ქართა, კერო და სხვ., რომელთა მსგავსი ფუძეები გვხვდება ინდოევროპულ, ფინურ-უნგრულ და სხვ. ენებში. ამგვარი ფუძეები არა ერთი და ორი ამორტივტივებული არა სპეციალური შესწავლის შედეგად, არამედ სხვათა შორის, სხვა საკითხთა კვლევისას. ამგვარ სიტყვათა რაც შეიძლება სრული აღრიცხვა აუცილებელია ქართული ლექსიკის შესასწავლად. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მათი გამოვლენა ახალ, მეტად რთულ ისტორიულ-გენეტურ საკითხებს აყენებს.

ბუნებრივია, რომ ქართულმა ლექსიკამ (მისი ამგვარი ელემენტების წყალობით) იმათი ყურადღება მიიქცია, ვინც ე. წ. „ნოსტრატული“ ჰიპოთეზა გამოაცოცხლა და საგანგებო მუშაობას ეწევა მსგავსი ლექსიკური მასალის გამოსავლინებლად ენათა რამდენსამე ოჯახში (რომლებსაც აერთიანებენ „ნოსტრატულის“ სახელით: *noster* ლათინურად 'ჩვენი' არის; „ნოსტრატული“, ამრიგად, 'ჩვენებურს' ნიშნავს).

„ნოსტრატული“ ჰიპოთეზის * გამოცოცხლება ახალგაზრდა საბჭოთა ლინგვისტების ა. დოლგოპოლოვისა და აწ განსვენებულის ვ. ილიჩ-

* ამ ჰიპოთეზას წინ უძღოდა ენათა ცალკეული ოჯახების შედარება და მათა ნათესაობის მტკიცება. მაგალითად XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინდოევროპულ-

სვიტიჩის სახელთან არის დაკავშირებული. ამ უკანასკნელის დახასიათებით „ნოსტრატულს“ ჩვენ ვუწოდებთ დიდ ენობრივ ოჯახს, რომელშიც შედის, ყოველ შემთხვევაში, ექვსი ენობრივი ჯგუფი მაინც: ინდოევროპული, ალთაური, ურალური, დრავიდული, ქართველური და სემიტურ-ჰამიტური. ამ ენობრივ ჯგუფთა შედარება (უფრო ზუსტად — შესაბამისი რეკონსტრუირებული ექვსი პრაენის შედარება) თვალსაჩინოდ ადასტურებს მათ ნათესაობას. ამ ნათესაობაზე მიუთითებს, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანი მოცულობა იმ ლექსიკისა, რომელიც საერთოა ყველა შესაბამისი პრაენისათვის ან მათი ნაწილისათვის; ეს ლექსიკური მასალა საშუალებას გვაძლევს დავაფორმულოთ საკმარისად მკაცრი ფონეტიკური შესატყვისობანი და მოვახდინოთ რეკონსტრუქცია ამოსავალი ფონოლოგიური სისტემისა — „ნოსტრატული ფუძე-ენისა“ [198].

გამოქვეყნებულ მასალებში, რომელსაც ავტორი „შედარებითი ლექსიკონის მოკლე კონსპექტს“ უწოდებს, ექვსასამდე ერთეულია შეტანილი. აქედან დაახლოებით ერთ მეოთხედს ქართველური „შესატყვისებიც“ აქვს მიწერილი. საამისოდ ავტორი, ჩანს, გ. კლიმოვის „ეტიმოლოგიურ ლექსიკონს“ ემყარებოდა; ეს გასაგებიცაა: შესაბამისად მხოლოდ „პრაფორმებია“ გამოსადეგი, ხოლო ამგვარ პრაქართველურ ფორმათა რეკონსტრუქციის ცდას სწორედ ხსენებული ლექსიკონი წარმოადგენდა (აქა-იქ დამოწმებულია ნ. მარის, ი. ყიფშიძისა და ა. ჩიქობავას ლექსიკონებიც — ჰანურისა, მეგრულისა და შედარებითი).

246. მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს იმისას, თუ როგორ არის გამოყენებული ქართველურ ენათა მონაცემები „ნოსტრატულ ენათა შედარებითი ლექსიკონის მასალებში“:

'ცემის — ნхитъ' აღმნიშვნელი წინარენოსტრატული ფუძე აგრ* რეკონსტრუირებულია ინდოევროპულ, სემიტურ-ჰამიტურ და ქართველურ ენათა ჩვენების საფუძველზე: ინდოევროპული * ფარ, * ფარჯ 'ცემა, კრა' — პოკორნის „ინდოევროპულ ენათა შედარებითი ლექსიკონის“ დამოწმებით, სემიტურ-ჰამიტური * ფრ 'კრა, ტეხა' და ქართველური * პირ 'ცელის მოპირვა' გ. კლიმოვის „ქართვ. ენათა ეტიმ. ლექსიკონის“ დამოწმებით [198]. გ. კლიმოვი მართებულად აღნიშნავს,

ლი და სემიტური ენების ნათესაობა იმდენად სარწმუნოდ მიაჩნდა ზოგ მკვლევარს, რომ აქედან შორს მიმართული კულტურულ-ისტორიული ხასიათის დასკვნებიც გამოქონდათ. ცნობილია ურალურ ენებთან ინდოევროპულისა და კავკასიური ენებთან დაახლოების ცდებიც.

* ტექნიკური მიზეზების გამო „საერთოდ ხმოვანს“ გადმოვცემთ გ-ნიშნით.

რომ ზმნისათვის ამოსავალია ნასახელარი ფუძე პირ 'კიდე — край' [205], ხოლო უშუალოდ წინა სალექსიკონო სტატიაში, რომელიც ამ სახელურ ფუძეს შეეხება, წარმოდგენილია მისი ქართველური ვარიანტები: ქართ. პირ- 'პირი, სახე, კიდე — рот, лицо, край' მეგრ. პიჯ. ჭან. პიჯ. სევან. პილ. ბილ. 'კიდე, ტუჩი' (მ. ბროსეს, მ. ჯანაშვილის, ნ. მარის და არნ. ჩიქობავას დამოწმებით); მითითებულია, რომ ეს ფუძე „შესაძლებელია შეეუპირისპიროთ ნახურ-დაღესტნურ მასალას“, სადაც ბოლოკიდურ თანხმონად ზ გამოდის და რომელიც 'ტუჩს, დრუნჩს — гyчa, мордa' ნიშნავს. აღნიშნულია, რომ ზანურიდან სომხურს შეუთვისებია ეს ფუძე 'ნესტოს' მნიშვნელობით [205].

ნოსტრატულ შედარებით ლექსიკონში წარმოდგენილი ეს პირველივე ქართული ფუძე უადგილოდ არის მოტანილი. ჯერ ერთი, არ ჩანს, თვით ნოსტრატულში რატომ არის ნავარაუდევი ბოლოკიდური ხმოვანი — საყრდენ შესადარებელ ფუძეებში იგი არ ჩანს. სემანტიკურადაც აშკარა შეცდომასთან გვაქვს საქმე: მოპირვა, რომელსაც გ. კლიმოვი თარგმნის (მართებულად) „отбивать кося“—გამოთქმით, ქართულში სრულებით არ არის ნიტხ-სიტყვის შესაბამისი მნიშვნელობის ფუძის შემცველი: აქ სიტყვა აგებულია არა 'ცემის' აღმნიშვნელი სიტყვის საფუძველზე (როგორც ეს რუსულშია: от-б и в а т х), არამედ იარაღის ყუის საპირისპირო მხარის აღმნიშვნელ პირ-ფუძეზე დაყრდნობით: მოპირ-ავს, ე. ი. პირს აულესავს.

სხვა მაგალითი: ნოსტრატულში ნავარაუდევია ფუძე ბგრღ 'ფონში გასვლა — идти врод'. საფუძველი: ინდოევროპული პპრელა 'ფონში გასვლა, ხეტიალი — идти врод, бродить' პოკორნის ლექსიკონის დამოწმებით და ქართველური *ბო(რ)ღ 'ხეტიალი, ბოდვა — бродить, бредить' გ. კლიმოვის ლექსიკონზე დაყრდნობით [198].

გ. კლიმოვს სათანადო ფუძე ამგვარად აქვს წარმოდგენილი: -*ბოდ 'ხეტიალი — бродить': ქართ. ბოდ. 'ბოდვა — бредить' მეგრ. ბორდიშ — ჭან. ბოდ. 'ბოდვა, მოუსვენარი ფუსფუსი (კრუხისა) — бредить, беспокійно сповать (о наседке). ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის ეპოქისაა (ქართ. ბოდ-ე-ა, ჭან. ბ-ბოდ-უ). მეგრულში ეს ფუძე რომელიც სხვა ფუძესთან ჩანს კონტამინირებული; ამით შეიძლება აიხსნას მისი არაკანონზომიერად შეცვლილი გარეგნობა. ქართულში ფუძეს ჰქონდა 'ხეტიალის — бродить' მნიშვნელობაც. სემანტიკური კავშირი 'ხეტიალი — бродить' და 'ბოდვა — бредить' შორის თვალსაჩინოა და ანალოგიას პოულობს სხვა ენებში. შდრ. ინდოევრ. *პპრელ(ა) — ბანდოლ(ა) (პოკორნი. 164" [205]. გ. კლიმოვი 'ხეტიალისა' და 'ბოდვის' სემანტიკურ კავშირზე ლაპარაკობს და აქაც ზოგი რამ მოსაწესრი-

გებელია: ქართული ბოღავს ასე ადვილად ვერ დაუკავშირდება ქანურ 'კრუნის ფუსფუსს', ქართულში ბოღვა-სიტყვისათვის 'ხეტილის' მნიშვნელობა ალბათ ბოღვალი-სიტყვის მიხედვით არის ნავარაუდევო, მაგრამ ბოღვალი და ბოღვა რომ ერთი ფუძის სიტყვებია, ამის დამტკიცება წარმოდგენილი არაა. გ. კლიმოვი 'ხეტიალისა' და 'ბოდვის' სემანტიკური კავშირის ანალოგიას ეძებს ინდოევროპულ ძირში.

ნოსტრატულ ლექსიკონში გ. კლიმოვის მასალის არასრული და არა-ზუსტი გამოყენებით ქართული 'ბოდვის' და ინდოევროპული 'ფონში გასვლის' აღმნიშვნელი ფუძეები მასალობრივად იდენტურ ოდენობეზე არის გამოცხადებული და მათგან დასკვნილია პრანოსტრატული ბზრღ-ფუძე 'ფონში გასვლის' მნიშვნელობით.

არაა გათვალისწინებული, რომ 1) * მეორეულია მეგრულში, გ. კლიმოვის თქმით, „რომელიდაც სხვა ფუძესთან კონტამინირების“ შედეგად არის გაჩენილი ამ ფუძეში, ამიტომ საერთოქართველურში იგი არ ივარაუდება, 2) ასევე გაუმართლებელია ბოლოკიდური ხმოვანი პრანოსტრატულ ფუძეში — ამის საფუძველს ქართველური (და ინდოევროპული) მასალა არ იძლევა, 3) ქართული 'ბოდვის' და თუნდაც, 'ხეტიალის' დაკავშირება ინდოევროპულ 'ფონში გასვლასთან' ელემენტარული ენობრივი შეცდომაა (ქართული ენის არმცოდნისა): რაკი 'ხეტიალი' რუსულად нродить-ზმნით გადმოიცემა, ხოლო нродить შეიცავს 'ფონის' აღმნიშვნელ нрод-ფუძეს, დასკვნილია, თითქოს ქართულ ბოღვა'ს, თუნდაც ბოღვალი-სიტყვას 'ფონში გასვლის' მნიშვნელობაც უნდა მიეწეროს!

ქართ. -კან თანდებული ალთაურ-ურალურ-დრავიდულ მორფემბთანაა შედარებული: ალთ. *ქა/ქა ლატივ-დატივისა, ურალ. *ქქ/ლატივისა და დრავიდული *ქქ ლატივისა; ბოლოს ჩვენი -კან 'по правлению к'. უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ -კან არაა საერთოქართველური ფუძე, იგი ნარჩენია კერძო-სიტყვისა, რომლის მნიშვნელობაა 'შხარე, კიდე, ნახევარი'. კერძო ძველ ქართულში გვხვდება თანდებულის ფუნქციითაც, როგორც ლატივთან („საით?“), ისე დაწყებითთან („საიდან?“) [115]. ამასთანავე, ბოლოკიდური ნ (რომელსაც ილიჩ-სვიტიჩი პოულობს ერთ-ერთ დრავიდულ დიალექტში) აშკარად მეორეულია. ამრიგად, არც ფონეტიკურად, არც სემანტიკურად არაა გამართლებული -კან'ის საერთოქართველურ ფუძედ გამოცხადება და სხვა ენების მასალასთან დაკავშირება.

ცხადია, ქართული მასალის გამოყენების თითოეულ შემთხვევაში ასეთი აშკარა შეუსაბამობანი არ დასტურდება, მაგრამ არც არსად

ჩანს — ბგერადობისა და მნიშვნელობის მეტ-ნაკლებად შემთხვევით მსგავსებასთან გვაქვს საქმე, თუ ნამდვილად დიფერენცირებულ ოდე-ნობებთან.

მაგალითად, რეკონსტრუირებულია პრანოსტრატული *ზაგზ 'დიდი' ინდოევროპულის, დრავიდულისა და ქართულის მონაცემების მიხედვით: ინდოევრ. *შეგზ 'დიდი — दिग्धायि' დრავიდ. შა 'დიადი — великий' და ქართ. შაგარ-; 'შაგარისა' და 'დიადის' მნიშვნელობათა გაერთიანება 'დიდის' მნიშვნელობაში მეტად საეჭვოა; არ არის დამარწმუნებელი, აგრეთვე, 'დიდის', 'დიადისა' და 'შაგარის' მნიშვნელობათა სიახლოვის დაშვება და ამ საფუძველზე სამი ისეთი ფუძის გაერთიანება, რომელთაც საერთო მხოლოდ თავიიდური შ აქვთ! კიდევ ერთი მაგალითი: პრანოსტრატული ნანზ 'ენა' შექმნილია ინდოევროპულ და ურალურ პრაფორმათა და, აგრეთვე, გ. კლიმოვის დამოწმებით, ქართველური ფუძის მოშველიებით. გარდა ფონეტიკური უზუსტობისა, დაიწყებულია კლიმოვის მითითება (ფოგტის დამოწმებით), რომ ფუძეს სიმბოლური ხასიათი აქვს და ანალოგები მოეპოვება მსოფლიოს სულ სხვადასხვა ენაში.

სწორად ქართული ფუძე შედარებულია მხოლოდ ერთი რომელიმე ოჯახის ფუძესთან, მეტწილად ინდოევროპულ და სემიტურ-ჰამიტურთან, რომლებთან კონტაქტიც ყველაზე მეტადაა სავარაუდო. ეს გარემოება თავისთავად არადამაჯერებელს ხდის ვარაუდს, რომ ეს ფუძე საერთონოსტრატულის ნამემკვიდრეა და კონტაქტების შედეგად არაა წარმოქმნილი.

რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიოს ილიჩ-სვიტიჩის მტკიცებას, რომ მან მოახერხა „დაეფორმდებინა საკმაოდ მკაცრი ფონეტიკური შესატყვისობანი“. საქმე ისაა, თუ რამდენად სარწმუნოა ის ლექსიკური შეპირისპირებანი, რომელთა საფუძველზედაც არის გამოყვანილი ეს შესატყვისობები. ყოველ შემთხვევაში „ნოსტრატულ ლექსიკურ ფონდში“ ჩართული ქართული ფუძეები არ გამოდგება ემპირიულ საფუძველად დამაჯერებელ ფონეტიკურ შესატყვისობათათვის. ამ შესატყვისობათა მეტი წილი უბრალოდ ერთგვარი ბგერებია, რაც არ წარმოადგენს სარწმუნო კრიტერიუმს გენეტურად საერთო ელემენტებისა და სესხების შემთხვევათა ურთიერთგასამიჯნავად.

რაც შეეხება მნიშვნელობის ცვლას, აქ ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ფონეტიკის მსგავსი რეგულარობა. ამიტომ სემანტიკური დაახლოება საზოგადოდ ძლიერ შორსაა სასურველი სიზუსტისაგან; ხოლო „ნოსტრატულ ფუძეებში“ სემანტიკური დაახლოება არა მხოლოდ ძალზე პირობითია, არამედ ბევრ შემთხვევაში არასარწმუნოც. განა, მაგა-

ლითად, სიტყვის სემანტიკა გამოდგება გენეტური სიახლოვის სამტკიცებლად, როცა ერთი და იმავე მნიშვნელობისათვის ნავარაუდევია საშიოთხი ფუძე, ზოგჯერ შვილი-რვაე კი! (ილიჩ-სვიტიჩის ვარაუდით, ექვსეჭვისი სინონიმით იყო წარმოდგენილი პრანოსტრატულში 'წყლის, მოლუნვის, ლაპარაკის, წვის, ქრის, ბასრის' მნიშვნელობები, "შობა" -- შვიდით, ხოლო 'დაკავშირება'-შინაარსის გადმოსაცემად პრანოსტრატულში ნავარაუდევია რვა ფუძის არსებობა), ამასთანავე არც დიალექტური ფილიაციის ნაჩვენებები და არც სხვა რაიმე რეგულარობა ამ უალრესად ქრელ სურათში გასარკვევად.

247. საქმე ეხება არა მხოლოდ ცალკეულ ფუძეთა დაკავშირებას, არამედ, აგრეთვე, „ნოსტრატული“ პიპოთეზის დამაფიქრებელ თავისებურებებს საზოგადოდ ქართველურ ენათა ადგილის განსაზღვრაში. „ნოსტრატულ ენათა შედარებითი ლექსიკონის მასალებში“, მის წინასიტყვაობაში, ხაზგასმულია, რომ შედარება ხდება რეკონსტრუირებული პ რ ა ე ნ ე ბ ის ა. ამრიგად, ქართველური ენები (მათი პრაენა) განიხილება ინდოევროპულის ან ურალურის (მათი პრაენების) სიბრტყეზე. მაგრამ ქართველურ ენათა უახლოესი მეზობელი ენების — მთის იბერიულ-კავკასიური ენების — ხსენებაც არაა. გაუმართლებელია ამ ენათა უგულებელყოფა „პრანოსტრატულის“ რეკონსტრუქციისას. თუ ისინი პრინციპულად არ გამოირიცხებიან „ნოსტრატული ოჯახიდან“.

ვ. ილიჩ-სვიტიჩის გამონათქვამი — ნოსტრატულ ოჯახში „შედის ექვსი ენობრივი ოჯახი მ ა ი ნ ც ო (по крайней мере)“ — იმას მიგვაწინშნებს, რომ ჭფუფების რაოდენობა შესაძლებელია მეტიც აღმოჩნდეს. მაგრამ თვით ვ. ილიჩ-სვიტიჩი თავის როგორც ამ, ისე სხვა ნაშრომებში იფარგლებოდა სწორედ ხსენებული ექვსი ოჯახით, ითვალისწინებდა ქართველური ენების ჩვენებას და უგულებელყოფდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს.

ასე, მულ-ფუძე დაყენებულია ალთაური. სემიტურ-ქამიტური და დრავიდული მსგავსი ბგერადობის ფუძეებთან, მაგრამ საცხებით უგულებელყოფილია ის კავშირები, რომლებსაც ვარაუდობენ ქართულ-კავკასიურ მასალას შორის: აქ ულ სუფიქსისეულია, ძირს კი მხოლოდ მ წარმოადგენს. სანამ ამ ფაქტს სათანადო ანგარიში არ გაეწევა (ხოლო თუ მიუღებელია, — სანამ არ დამტკიცდება მისი მიუღებლობა), უნიადაგო იქნება ქართ. მულ-ის დაახლოება კორეულ ქოლ-თან, რომელიც 'ქუჩას' ნიშნავს, თამილურ ქუტი-სთან, რომელიც 'თირკმელს' ნიშნავს და ა. შ.

ყურადღება არ ექცევა საერთო იბერიულ-კავკასიურ ხასიათს რიგი

სხვა ფუძეებისას, რომლებიც წარმოდგენილია სიტყვებში: გორკა, ზაფსელი, იდაყვი, მატლი, ფხა, ბელი, ხორბა...

ქართველურ ფუძეთა უძველესი ენობრივი კავშირების ობიექტური სურათის წარმოდგენა არ მოხერხდება მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა უგულვებლყოფის პირობებში.

არის ცდა, რომ მთის იბერიულ-კავკასიური ენები გამოირიცხონ „ნოსტრატული ოჯახიდან“, მაშინ როდესაც ქართველურ ენებს „ნოსტრატული ოჯახის“ უეჭველ წევრად ვარაუდობენ. ამგვარი ცდა წარმოდგენილია ერთ პოპულარულ ნაშრომში, რომელიც წინააზიის ძველდამწერლობათა შესახებ მოუთხრობს არასპეციალისტ-მკითხველებს. ამ ნაშრომის ავტორები უყოყმანოდ იზიარებენ „ნოსტრატულ თეორიას“, მაგრამ „ნოსტრატული ოჯახის“ შემადგენლობა, მათი ვარაუდით, ექვსი ჯგუფით არ ამოიწურება: „ინდოევროპულ ენებთან ნათესაობას ავლენს ურალური ენები, ალთაური ენები, ქართველური ენები, სემიტურ-ჰამიტური ენები, ესკიმოსური, ალეუტური და ჩუკჩა-კამჩატკური ენები, დრავიდული ენები, აგრეთვე წინააზიის მკვდარი ენები — ხურიტული და ურარტული. ნოსტრატულ ენებს მიეკუთვნება იპონური და კორეული... და ალბათ ელამურიც (შესაძლებელია ეტრუსკულიც)“ (დაყოფა ჩვენია. ბ. ფ.). ავტორების მტკიცებით, მათ შორის „ცალკე კუნძულებს“ წარმოადგენენ, ე. ი. ნოსტრატულ ენებს არ მიეკუთვნებიან ენები ვერშიკებისა, ჩრდილოეთ კავკასიის — აფხაზეთის და დღესტნის მცხოვრებლებისა*, ბასკთა ენა და კეტების ენა [208]; მაგრამ იგივე ავტორები იზიარებენ შეხედულებას, ერთი მხრით, ხათუბის ენისა და, მეორე მხრით, ქართველურ და „მით უფრო“ აფხაზურ-ადილური ენების ოდინდელი კავშირის შესახებ, და თუ აქამდე ვერ გადაუწყვეტიათ მათი გენეტური იგივეობის საკითხი, ეს მხოლოდ ხათური ტექსტების სიმცირით არის აანსნილი. მაგრამ ავტორები არ გაარჩევენ, არ განასხვავებენ ქარიელურ და აფხაზურ-ადილურ ენებს მათ შიშართებაში ხათურთან. ამრიგად, ქართველური ენებიცა და აფხაზურ-ადილური ენებიც თურმე ერთნაირად მონათესავენი არიან ხათურისა, სოლო ქართველურისა და აფხაზურ-ადილურ ენათა ნათესაობა კი გაპირობებულია!

* ავტორებმა საკვიროდ არ უნეს (იქნებ წიგნის პოპულარული ხასიათის გამო?) მოგხსენიებინათ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მნიშვნელოვანი წარმომადგენლები — ნახური ენების მთელი შტო (ჩანჩური, ინგუშური, ბაებური) და აფხაზურ-ადილური ენები თითქმის მთლიანად აფხაზურის გამოკლებით (უბაზური, ადილური, ყაზარდული...).

ევროპისა და აზიის (თუნდ „აფრევრაზიის“) ენებთან საერთო სიტყვების გამოვლენა და, საზოგადოდ, უძველეს ენობრივ ურთიერთობათა კვლევა, რა თქმა უნდა, საჭირო საქმეა, მაგრამ იმგვარი დაკავშირებანი, რომელთა ნიშნუშები ზემოთ წარმოვადგინეთ, ვერ შეუწყობენ ხელს ამ დიდი პრობლემის გადაწყვეტას და შეიძლება თვით პრობლემას სახელი გაუტეხონ.

ბ. შეთვისებული მასალა ქართულ ლექსიკაში: სიტყვათა სესხების ზოგადი პირობები. — ქართული ენის ლექსიკური კონტაქტები. — ინტერნაციონალიზმები. — „ნასესხები“ და „უცხო“ სიტყვების განსხვავებისათვის. — „ეგზოტიკური“ ლექსიკა. — ნაწილობრივი სესხება. კალკი. — ნასესხები მასალის ადგილი ქართული ენის ლექსიკურ ფონდში.

სიტყვათა სესხების ზოგადი პირობები

248. საკუთრივ ქართული ფუძეები მნიშვნელოვანი რაოდენობით არის წარმოდგენილი თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ლექსიკურ ფონდში: ეს სიტყვები ქმნის იმ ბირთვს, რის გამოც ქართული ენა არა მხოლოდ გრამატიკული სტრუქტურით, არამედ ლექსიკის მიხედვითაც უეჭველად ქართულია. ამით განსხვავდება იგი ზოგიერთ იმ ენისაგან, რომლებზედაც ჩვენი მეზობელი ხალხები ლაპარაკობენ. კერძოდ სომხურისაგან, რომელშიც საკუთრივ სომხური ძირები მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი, ან ანატოლიური თურქულისაგან. რომელშიც ნასესხები მასალა (პირველ ყოვლისა, არაბულ-სპარსული-საგან) აქარბებს საკუთრივ თურქულ ლექსიკას.

მაგრამ, ცხადია, ქართული ენის ლექსიკურ ფონდში გარკვეულად ადგილი უჭირავს შეთვისებულ მასალასაც. და ეს ბუნებრივია. ცნობილია, რომ „წმინდა“, „შეურეველი“ ენა საზოგადოდ არ არსებობს. ხალხების კონტაქტები მეტად თუ ნაკლებად აისახება მათ ენებში, განსაკუთრებით — ლექსიკაში. ეს კონტაქტები კი თავისთავად აუცილებელია ადამიანთა საზოგადოების არსებობა-განვითარებისათვის.

როგორც ცნობილია, ცალკეული ადამიანის განვითარება შეუძლებელია ადამიანთა კოლექტივის, საზოგადოების გარეშე. გავიხსენოთ თუნდაც ის შემთხვევები, როდესაც ჩვილი ბავშვი ცხოველთა შორის მოხვედრილა და ადამიანთა საზოგადოებისაგან მოწყვეტილად აღზრდილა. ამგვარი ბავშვი ინტელექტუალურად უიმედოდ არის თურმე ჩამორჩენილი ადამიანურ დონეს და არსებითად იმ ცხოველად იქცევა.

რომელმაც ეს ბავშვი აღზარდა (ცხოველის, მაიმუნის გაადამიანებაც ხომ შეუძლებელი იქნებოდა, რომ მას თავისივე მსგავსთა ჯგუფში არ ეცხოვრა).

ასევე შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა ამა თუ იმ კოლექტივისა და მთლიანად ადამიანთა საზოგადოების, კაცობრიობის განვითარება, რომ ერთმანეთთან გაცხოველებული ურთიერთობა არ ჰქონოდათ მასში შემავალ ვიწრო სოციალურ ჯგუფებს, ადამიანთა კოლექტივებს*.

ადამიანთა საზოგადოებაში შემავალი კოლექტივების ურთიერთგავლენა ბიძგებია, რომლებიც აპირობებს ცალკე საზოგადოებრივ ჯგუფების და მთელი საზოგადოების, საერთო საკაცობრიო კულტურის განვითარებას.

ადამიანთა ურთიერთგავლენა ხომ მხოლოდ მათი ურთიერთმოქმედების პირობებში არის შესაძლებელი. ადამიანების საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველაზე მოხერხებული იარაღი ენაა. საზოგადოებრივ ჯგუფთა ურთიერთობაც და, მაშასადამე, ურთიერთგავლენაც, პირველ ყოვლისა, ენის მეშვეობით ხორციელდება.

ამის მიხედვით, გასაგებია ის დიდი როლი, რომელსაც ენათა ურთიერთობა ასრულებს ადამიანთა საზოგადოების, კაცობრიობის წინსვლა-განვითარებისათვის. ენათა ურთიერთობა არა მარტო ფაქტია, არამედ ადამიანთა საზოგადოების, საკაცობრიო კულტურის პროგრესის ერთი უმნიშვნელოვანესი პირობათაგანია.

249. ენათა ურთიერთობის აუცილებელი შედეგია ენათა ურთიერთგავლენა. ეს გავლენა ენის სხვადასხვა რგოლზე, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ინტენსივობისა არის. რაც უფრო „შეკრულია“, შემოფარგლულია სისტემებრივად ენის ესა თუ ის რგოლი, მით უფრო ძნელი გარეშე ელემენტების შეღწევა მასში. ლექსიკური ფონდი ენის სწორედ ის მხარეა, სადაც სისტემატურობა შედარებით ნაკლებ არის გამოხატული, ვიდრე, მაგალითად, ფონოლოგიასა და, მით უფრო, მორფოლოგიაში [131].

ამიტომ ძნელია უცხო ენიდან მომდინარე ფონოლოგიური ერთეულის — სამეტყველო ბგერის ან, ვთქვათ, ინტონაციური სურათის — შეღწევა ამა თუ იმ ენის ფონოლოგიურ სისტემაში, მეტად ძნელია ამა თუ იმ უცხო ენისათვის დამახასიათებელი ფონოლოგიური მოვლენის

* აღნიშნავენ, რომ თვით ბუნების სამყაროში — არაცოცხალ ბუნებაშიც კი! — ახალი რომელობის წარმოქმნისათვის (თანდათანობითი რაოდენობითი ცვლილების ოვისებრივ ცვლილებად გადაქცევისათვის) გარეგანი ბიძგია საჭირო. ნაჭერი ხსნარის დაკრისტალდებაც კი ამგვარ ბიძგს საჭიროებს.

გავრცელება სხვა ენაში და მისი ფონოლოგიური მექანიზმის შეცვლა-გავისწენოთ, თუნდაც, რომ მარცხით დამთავრდა მე-18 საუკუნის მწიგნობართა ცდა — შემოეტანათ ქართულში ბავისმიერი ყრუ სპირანტი (ჟ) და ირაციონალური ხმოვანი (ჟ). თუ ამგვარი სიახლეები, თუნდაც ერთეული ფაქტები, დაშვებულდება ენაში, უეჭველია, ჩვენ წინაშე იქნება ამ ენისათვის დამახასიათებელი ბგერათსისტემის რღვევის სურათი.

ეგვევ ითქმის მორფოლოგიური ინვენტარის და სიტყვათწარმოქმნის მექანიზმის შესახებ. აფიქსის სესხება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, უცხო ენის ინტენსიური მოძალების პირობებში შეიძლება მოხდეს; აფიქსის სესხება იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, როდესაც ენაში დადი ჩაოდნობით არის შემოსული ერთი და იგივე ფუძე და სადაც ერთი და იგივე აფიქსი მრავალჯერ მეორდება სხვადასხვა ფუნქციით. მხოლოდ ამგვარ ვითარებაში არის დასაშვები — გაუნადღეს მოლაპარაკებებს სათანადო უცხო სიტყვათა მორფოლოგიური ანალიზის შესაძლებლობა.

აგილოთ, მაგალითად, ქართულში საყოველთაოდ გავრცელებული ერთ-ერთი ფუძე აჟტო. იგი დამოუკიდებლადაც იხმარება — 'ავტომობილის' მნიშვნელობით — და რამდენიმე ათეულ სიტყვაშიც გვხვდება — ფუძის თავიკიდურ ელემენტად:

ავტობაზა, ავტობიოგრაფია, ავტობლოკირება, ავტობუსი, ავტოგენერის, ავტოგრაფი, ავტოდრეზინა, ავტოკარი, ავტოკოლონა, ავტოლი, ავტოლითოგრაფია, ავტომატი, ავტომატიზაცია, ავტომატიზმი, ავტომატიკა, ავტომობილი, ავტომობილიზმი, ავტომობილისტი, ავტონომია, ავტონომისტი, ავტომილოტი, ავტორიტრეტი, ავტოყირი, ავტორეფერაცია, ავტოსტოპი, ავტოსტრადა, ავტოტრანსპორტი, ავტოქონები, ავტოცისტერნა და მრავალი სხვა.

ამ სიტყვების მეორე ელემენტი ხშირად დამოუკიდებლადაც გვხვდება:

ბაზა, ბიოგრაფია, ბლოკირება, დრეზინა, კოლონა, ლითოგრაფია, მილოტი, პორტრეტი, სტოპი, ტრანსპორტი, ცისტერნა...

ზოგიერთი ავტო-თავიკიდურიანი სიტყვის მეორე ელემენტი სხვა სიტყვებშიც მეორდება:

ავტობუსი — შდრ. ტროლეიბუსი, მინიბუსი, აერობუსი... ავტომობილი — შდრ. ელექტრომობილი, ლოკომობილი; ავტოგრაფი — შდრ. პარაგრაფი, ტელეგრაფი, ეპიგრაფი, ფოტოგრაფი, სეისმოგრაფი... ავტონომია შდრ. ავტონომია, ასტრონომია.. ავტოტრანსპორტი — შდრ. აეროტრანსპორტი, ეელოტრანსპორტი, მოტოტრანსპორტი და სხვ.

მიუხედავად ყველაფერი ამისა, ქართულში არა გვაქვს ისეთი რთული სიტყვები, რომლებიც დამოუკიდებლად („ქართულად“) იყოს წარმოები ამ ავტო-ფუძისაგან. ის, რაც „გამონაკლისს“ ქმნის — ავტო-

კალამი. ავტომოყვარული... — კალკია რუსულისა (авторучка, автолюбли-
тель) და, მაშასადამე, ქართული ენის ინიციატივით არ არის შექმნილი.

კიდევ უფრო ძნელია ისეთი ქართული სიტყვის პოვნა, სადაც უც-
ხოური ფორმანტი იქნებოდა გამოყენებული: ოთხასზე მეტი სიტყვაა
საერთო-სალიტერატურო ქართულში ისეთი, რომელსაც დაბოლოებად
აქვია აქვს (ნუშერაყვია, პუნქტუაყვია. რევისკრაცია, ფედერაცია...) და არც ერ-
თი მათგანი არ არის ქართულად ნაწარმოები, ე. ი. არც ერთი შემთხვე-
ვა არა გვაქვს ისეთი, რომ სიტყვა მთლიანად (ამ დაბოლოებიანად) კი
არ იყოს ნასესხები, არამედ მხოლოდ ეს -აყვია-დაბოლოება ერთოდეს
ქართულ ფუძეს: ასეთივე ვითარებებია -იზში, -ისტი და სხვა ფართოდ გაეზ-
ცელებულ დაბოლოებებში.

აუტო-, -აყვია, -იზში, -ისტი ქართულ ენაზე მოლაპარაკეთების გაცე-
გებები ელემენტებია სიტყვებისა, მაგრამ ამ ელემენტებს ქართულად
მოლაპარაკენი მაინც აქტიურად არ მოიხმარენ: მათთვის გაცნობიერე-
ბულიც რომ იყოს ავტოგრაფის სიტყვაწარმოებითი კავშირი ავტომობილა-
და ფოტოგრაფი-სიტყვებთან, მაინც აუტო-ელემენტს (ან ვრაფი-ელე-
მენტს) სხვა ფუძეებთან არ იყენებენ. ახალ სიტყვებს მათგან არ აწარ-
მოებენ.

250. უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი სესხების შესაძლებლობა მით
უფრო ნაკლებია, რაც უფრო შორს დგანან ენები ერთმანეთისაგან ნა-
თესაური ურთიერთობის მიხედვით. პირიქით, ერთმანეთთან ახლო
მდგომ დიალექტებში ფონეტიკურ-გრამატიკული ურთიერთგავლენა
საკმაოდ გავრცელებულია. ეს გასაგებია: დიალექტთა გრამატიკულ
და ფონოლოგიურ სისტემებს შორის სხვაობა მეტად მცირეა. არსები-
თად, ჩვენ წინაშე ერთი საერთო-ენობრივი ფონოლოგიური და გრამა-
ტიკული სისტემა არის ხოლმე, ხოლო დიალექტური სხვაობა, ჩვეუ-
ლებრივ, გვხვდება ამ სისტემის ცალკეულ ელემენტებში. ამიტომ
ამა თუ იმ დიალექტში სპეციფიკური ელემენტის შეცვლა მეზობელი
დიალექტისათვის დამახასიათებელი ელემენტით არ იწვევს სისტემის
ცვლას. ენობრივი ურთიერთობა (გაგებინება) სხვადასხვა მეზობელ დი-
ალექტთა წარმომადგენლებს შორის განსაკუთრებულ ძალისხმევას არ
საჭიროებს. ამდენად, მაქსიმალური შინაენობრივი პირობები არსე-
ბობს ურთიერთგავლენისათვის გრამატიკულ და ფონოლოგიურ სდე-
როებში: სხვა თანაბარ პირობებში რაც უფრო ახლოს არის (გენეტუ-
რად) ერთმანეთთან ენები. მით უფრო ადვილია გავლენა.

მაგრამ ცნობილია, რომ ამ შინაენობრივი პირობების, ამ შესაძლებ-
ლობათა განხორციელება მაინც იშვიათად ხდება. რადგან ძალიან ზში-
რად ახალი ელემენტის შემოტანას ბრკოლებს, ელობება უცხოო-

ბის გრძნობა, რომელიც მეზობელი დიალექტის წარმომადგენელთა მიმართ აქვთ ხოლმე, და ადგილობრივი, კუთხური „პატრიოტობა“, როგორც სოსიური ამბობს — „საკუთარი სოფლის სამრეკლოს გრძნობა“.

251. სხვა ვითარებაა, როდესაც საქმე ლექსიკას ეხება. სიტყვების გადასვლა ერთი ენიდან მეორეში ადვილად ხერხდება. რადგან ლექსიკური ფონდის ელემენტთა (ლექსემების, სიტყვების) რაოდენობა ფაქტობრივ განუსაზღვრელია და ურთიერთკავშირიც მათ შორის სუსტია.

ფონემათა და მორფემათა თანამიმდევრობა ლაპარაკის დროს ან არ ჩევიან, როგორც წესი, მოლაპარაკეთა ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული, ხოლო სიტყვების არჩევანი და თანამიმდევრობა ბევრ შემთხვევაში ნებისმიერია.

ლექსიკური ელემენტი, სიტყვა, დაკავშირებულია, უშუალო მიმართებაშია ალსანიშნთან — კონკრეტულ, ხელშესახებ საგნებთან და ადვილად საწვდომ მოვლენებთან: მოლაპარაკისათვის სიტყვის სტრუქტურული ელემენტები, მაგალითად, სუფიქსი -ით ან პრეფიქსი უ-ცალკე, სიტყვისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს. სამაგიეროდ, მოლაპარაკისათვის სიძნელეს არ წარმოადგენს მეტყველების ჭაჭვიდან გამოთიშული, გამოყოფილი ცალკე სიტყვის თუნდაც ზოგადი დახასიათება როგორც ამა თუ იმ საგნის, მოვლენის სახელისა.

როგორც ვიცით, სიტყვებს შორისაც არის ამ მხრით განსხვავება: მთვარეზე ან თოხზე მითითება მათი სახელის გაგონებისას გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე, მაგალითად, რომ-სიტყვის განმარტება. ანგარიშგასაწევია სწორედ ეს გრადაცია სიტყვათა კონკრეტულ მნიშვნელობაში, ე. ი. ის გარემოება, რომ ზოგი სიტყვა მაქსიმალურად წააგავს თავისი ფუნქციით გრამატიკულ ელემენტებს, ზოგი ძალზე ახლოს დვას თვით ალსანიშნ მოვლენასთან (მაგალითად, ხმაბაძვითი სიტყვები) და ა. შ. ამის გამო სიტყვები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათი სისტემებრივი ურთიერთკავშირის სიმტკიცით. ეს განსხვავება სიტყვებს შორის უკუიფინება მათი სესხების შესაძლებლობებზე: მეტად „გრამატიკული“, ე. ი. სისტემებრივი კავშირით მეტად შებოქილი სიტყვები უფრო ძნელად გადადის ერთი ენიდან მეორეში. ამიტომვე ხდება, მაგალითად, რომ ნასესხებ სახელს ხშირად შევხვდებით, ნასესხები ზმნა კი უფრო იშვიათია. ამიტომ ხდება, აგრეთვე, რომ რაც უფრო მეტად თავისებურია ამა თუ იმ ენის გრამატიკული აგებულება, კერძოდ, სიტყვის სტრუქტურა, მით უფრო ძნელდება უცხო სიტყვათა შესვლა ამ ენაში. მაგალითისათვის შესაძლებელია დავასახელოთ არაბული, რომლის სიტყვათა მკაფიო ინდივიდუალურობამ, კერძოდ, იმის საქ-

როებამ, რომ სიტყვის (მარტივი) ფუძე სამი თანხმოვნისაგან შედგებოდეს, ერთგვარად დააბრკოლა უცხო სიტყვების შესვლა არაბულში.

252. ნასესხობის თვალსაზრისით გრამატიკულ და ლექსიკურ ელემენტთა სხვაობა იმაშიც მოჩანს, რომ ორი ენის კონტაქტი, თუ ეს კონტაქტი ისე მჭიდროა, რომ გრამატიკულ მხარეზედაც უკუიფინება, — ძირითადად გამოიხატება არა გრამატიკულ ელემენტთა შეთვისებაში, სესხებაში, არამედ განსხვავებულ გრამატიკულ ელემენტთა გაქრობაში: ენები მეტისმეტად მჭიდრო კონტაქტის პირობებში გრამატიკულად ღარიბდებიან. რაც შეეხება ლექსიკურ მხარეს, აქ ენათა კონტაქტი უპირატესად გამდიდრებას იწვევს. შედარებით იშვიათ შემთხვევაში თუ გამოდევნის ხოლმე ნასესხები სიტყვა ადგილობრივს, მკვიდრს; საამისო თითო-ორი მაგალითს ქართულიც გვაწვდის: ნასესხებმა ბატი-სიტყვამ გამოდევნა ადგილობრივი *ღერღერ* (მისი პირდაპირი მნიშვნელობით) [137]. ნასესხები *სუფთა* გაბატონდა და *წმინდა*-სიტყვის ხმარების სფერო შეზღუდა [42].

ჩვეულებრივ კი ახალშემოსული ნასესხები სიტყვა მშვიდობიანად იკავებს ადგილს ძველი სიტყვების გვერდით, როდესაც ახალ სიტყვას თან მოაქვს ახალი, ამ ენაში მანამდე არარსებული მნიშვნელობა: *ბროლიზი, კომპანი, კომოდრომი, სამოვარი*-სიტყვებს არაფერი დახვედრია ქართულში ისეთი, რომელსაც მათთვის მეტოქეობის გაწევა შეეძლებოდა, ამიტომ *ბროლიზი* ცა და სხვებიც ადვილად დამკვიდრდა ჩვენს ენაში.

კილოებში ვხვდებით საინტერესო შემთხვევებს, როდესაც ფაბრიკული წესით დამზადებულ საგანთან ერთად რუსეთიდან შემოდიოდა მისი რუსულივე სახელი, ხოლო იმავე საგანს, ოღონდ ადგილობრივ ტრადიციული წესით დამზადებულს, ძველი სახელი შემორჩენია: ზოგ კილოში გაარჩევდნენ მკედლის მიერ გამოკვიდილ *ლურსმან*ს და ფაბრიკული წესით დამზადებულს (მაღაზიაში ნაყიდს) *გოზდ*ს; ასევე აქა-იქ გვხვდება *ნიტა* ფაბრიკული წესით დამზადებული ძაფისათვის („კოქის ძაფისათვის“). *ნიტა* და *გოზდი* საერთო ქართულში არ დამკვიდრებულა, მაგრამ ამგვარ შესაძლებლობათა საგანგებოდ, გამოწვლილვით შესწავლა არის საჭირო ქართული ლექსიკის დინამიკის გასათვალისწინებლად.

ქართული ენის ლექსიკური კონტაქტები

258. კავკასიაში იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდა სხვა ენებიცაა. ზოგ მათგანთან ქართულ ენას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა, რაც სათანა-

დოდ აისახა ლექსიკაში. მათ შორის განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ოსურ-ქართულ ლექსიკურ ურთიერთობაზე.

ოსური ენა ინდოევროპულ ენათაგანია, უფრო ზუსტად — იგი ინდოევროპული ოჯახის ირანულ შტოს მიეკუთვნება. მაგრამ ირანულ ენებს იგი დიდი ხნის წინათ ჩამოშორდა ტერიტორიულად: ოსი მოსახლეობა იბერიულ-კავკასიურ ენათა გარემოცვაშია. თვით ის მიწა-წყალიც, რომელზედაც ამჟამად ოსები ბინადრობენ, ადრე ადგილობრივი, იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე თემებით იყო დასახლებული. მოსულმა ოსმა მოსახლეობამ, რომელიც ადგილობრივს შეერია, გადასცა მათ თავისი ენა, მაგრამ თვით ოსურმაც ბევრი რამ შეითვისა ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ამ იბერიულ-კავკასიური სუბსტრატის კვალი შეინიშნება ოსურ ბგერათსისტემაში: მკვეთრი ხმულები, ეს სპეციფიკური იბერიულ-კავკასიური ბგერები არაიბერიულ-კავკასიურ ენათაგან აქვს მხოლოდ ოსურს (და, აგრეთვე, სომხურს, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენებთან ოსურის მსგავს დამოკიდებულებაშია. განსხვავება ისაა, რომ ოსები კავკასიაში ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, სომეხთა ინდოევროპელი წინარეები კი დასავლეთიდან მოადგნენ სამხრეთ კავკასიას [208]); ასევე დიდია ქართლისა და ოსური ენების ხმოვანთა სისტემის მსგავსება [171, 177]. მსგავსება ვრცელდება მორფოლოგიაზედაც: ბრუნების სისტემით, თანდებულებით, ზმნისწინებით ოსური ენა მნიშვნელოვნად განსხვავდება ინდოევროპული და, კერძოდ, ირანული ენებისაგან და ეს სხვაობა სხვაგვარად ვერ აიხსნება, თუ არ იბერიულ-კავკასიური სუბსტრატით [171].

იბერიულ-კავკასიური ენებიდან, ადიღურ და ნახურ ენებთან ერთად, ქართველური ენების განსაკუთრებულ სიახლოვეზე მიუთითებენ და ოსურთან კონტაქტით ხსნიან ზოგ თავისებურებას, რაც ქართულ ენას (მის ფონეტიკას და გრამატიკას) ახასიათებს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან შედარებით [171, 177].

თუ ოსური და ქართული ენების ურთიერთობა იმდენად ცხოველი იყო, რომ მათ ბგერადობაზე და აგებულებაზედაც კი მოახდინა გავლენა, ბუნებრივია, ბევრი აღმოაჩინდებათ მათ საზიარო სიტყვებიც. ამ სიტყვებიდან ზოგი ქართულიდან ოსურშია შესული, ზოგი — პირიქით — ოსური ენის წყალობით არის გაჩენილი ქართულში.

პროფ. ვ. აბაევის „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ [169], რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა არა მხოლოდ ოსური ენის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველთმცოდნეობისათვის, კერძოდ, ქართული ლექსიკოლოგიისათვის, ქართულიდან შეთვისებული ასზე მეტი ფუძეა

დასახელებული, და ეს ლექსიკონის მხოლოდ პირველ ტომში, რომელიც მთელი ნაშრომის მესამედს თუ მოიცავს. ეს ფუძეები ყოფის სულ სხვადასხვა მხარეს ასახავს. მაგრამ მკვლევარი გამოყოფს, პირველ ყოვლისა, იმ სიტყვებს. რომლებიც ადასტურებს ოსურ მოსახლეობაში (ისე როგორც კავკასიის სხვა ხალხებში) ქრისტიანობის გავრცელებას ქართული გზით.

ეს სიტყვებია: *ჯგარი, ქრისტე, ენკენისთვე, პარასკევი, ალავერდი, ქვაშეპთი* და სხვ. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ კულტურული მცენარეების ბევრი სახელი ოსურს ქართულიდან აქვს შეთვისებული: *ალუბალი, ქლიავი, კომში, ბია, ნუჯვი, კიტრი, ჭარხალი, ბოლოკი, ნიორი, ქინძა...* კულტურულ ცნებებს აღნიშნავს ქართულიდან შესული ბევრი სხვა სიტყვაც: *ცხრილი, კოვზი, კარდალა, ძაბრი, ვიდორი, ქაფქირი, კვერი, შალდი, დამბაძა, გორდა, კონღარი, ერდო, ვალაყანი, ქალაქი, ალი, აბაზი, დუქანი, ქირა, ბუვარა* და სხვ. (ცნობილია, რომ ამ სიტყვათაგან არაერთი თვით ქართულში სხვა ენებიდან არის შემოსული: *დუქანი, ქალაქი, კვირა, ქრისტე...*).

აკად. გ. ახვლედიანმაც გამოყო რამდენიმე ათეული სიტყვა, რომლებიც ქართულიდან ოსურში შესულად ივარაუდა: *კარაქი, კოტორი, კოჭობი, კუჭი, კიტრი, პარკი, პიგნა, პრკე, რკო, საფანტი, ტაფა, ტიკი, ფუტურო, ქოჩორა* და სხვ. რა თქმა უნდა, ქართულიდან შესული სიტყვები ოსურ ბგერათსისტემას შეხამებიან და, ხშირად, მნიშვნელობაც გადაწეული აქვთ. ასე, მაგალითად, *კუჭი* ოსურში წარმოდგენილია გუშა-ბგერაობით და 'ჩიჩახვს' აღნიშნავს.

ოსურსა და ქართულს აქვს მრავალი ისეთი საერთო სიტყვაც, რომლებიც ამ ენებში იქნებ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იყოს შესული სხვა ენებიდან: *არაყი, ამანათი, ბაქარა* არაბულია, *ჭანგი, ჯიბე* — სპარსული, *ბაშმაცი* — თურქული და სხვ.

შემა. მაგრამ სესხება ხდებოდა არა მხოლოდ ქართულიდან ოსურში. არამედ პირიქითაც — ოსურიდან ქართულში, და, უნდა ვიფიქროთ, არანაკლები ინტენსივობით. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ჩანს აღრინდელი ნასესხობანი. ოსურიდან ქართულში შემოსულ სიტყვებს იკვლევენ ვ. აბაევი, გ. ახვლედიანი, მ. ანდრონიკაშვილი [254].

ხსენებული სპეციალისტები ოსურიდან ქართულში შემოსულად მიიჩნევენ შემდეგ სიტყვებს: *ამინდი, ბეკრი, ბუნარი, ბოძება, ბუნიათა, გრდუმლი, დილევა, დოლი, ეშერი, ვირთხა, კერძო, კინი, კმა (კმარა), ლუდი, მესტკუბი, მკაცრი, მონა, ობი, თბობა, თრმო, ხელგუნი, ფარსაგი, ფაზი, ფიცხი, ქერცილი, ქუჩა, ქადა, ცალი, მწელი, წიანქლია, ხაჭი, ხილი* და სხვ.

ამ სიტყვათა ოსური წარმომავლობის დასაბუთების რამდენიმე ნიმუშს წარმოვადგენთ.

ასე, მაგალითად, სულგუნი ოსურ კომპოზიტად მიიჩნევა; სულგუნი სიტყვით ოსურში 'კვეთი' აღინიშნება, გუნი — 'ყველი'.


მესტი არისო 'ჩუსტის' აღმნიშვნელი ოსური მას-სიტყვა, რომელსაც დართული აქვს მრავლობითის -თა-სუფიქსი.

ვირთხა: ამ მდრღნელის ოსური სახელია ჳრზ. რომელსაც ერთვის მრავლობითის თა (ზ განვითარებულია ქართულ ნიადაგზე: ფშვინვიერებთან ზ'ს განვითარების ფაქტები სხვადა გვაქვს: ჳარყმა გურულ კილოში ჳვარყმა'დ იქცა; თათხაეს-ზმნის ფუძეში რომ ზ განვითარებულია, ამას ადასტურებს ჳანურში დაცული პირვანდელი სახე ამ ფუძისა — თათ); ეგვევ ოსური ფუძე ჳრზ- მონაწილეობს ვირთაგვა'ში, რომელიც ოსურ-ქართული ფუძეებისაგან შედგენილ კომპოზიტს წარმოადგენს; აღნიშნავენ, რომ გაურთულებელი სახით ჳრზ-სიტყვის ქართულში დამკვიდრებას ხელს შეუშლიდა მსგავსი ბგერადობის ვირი-სიტყვის არსებობა: აი, მეგრულში, სადაც ამგვარი დაბრკოლება არ არსებობდა, — იქ 'ვირის' აღსანიშნავად განსხვავებული ბგერადობის ვირინი-სიტყვაა, — 'შესაძლებელი შეიქნა მარტივად ვირი შესულიყო 'ვირთაგვის' აღსანიშნავად [177].

ორმო ოსური ვარმ'იდან რომ მომდინარეობს, ამის დასადასტურებლად იმორწმუნებ ძველ ინდურს: იქ ვარმან ნიშნავს 'თავშესაფარს, დაფარულ ადგილს', რის მიხედვითაც ნავარაუდევია warman-სიტყვის არსებობა ოსურის მონათესავე ძველ ირანულში [171].

თრევა-სიტყვის თერ/თარ-(მდრ. სათარი) ფუძეს უკავშირებენ ოსურ თარზ-ზმნას, რომელიც მომდინარეობს ირანული (ავესტური tar-(ინდოევროპული * ter-) ფუძიდან. „თუ ეს ზმნა ოსურიდან არის შეთვისებული, ეს მოხდა საერთოქართველურ ეპოქაში“ [177].

ლუდი ნავარაუდევია ძველი ოსურიდან („ალანურიდან“) შემოსულ სიტყვად, თვით ოსურში ნასესხები უნდა იყოსო გუთურიდან, როდესაც გუთები და ოსების წინაპრები მეზობლად ცხოვრობდნენ (თუ უმომთაბარებდნენ) კავკასიის ჩრდილოეთით. ვ. აბაევი, რომელმაც გამოიკვლია ამ სიტყვის ისტორია, ბოლოს ასეთი სქემით ათვალსაჩინოებს მას [171]:



ამ მწყობრ მსჯელობას და მომხიბლაყად დაწერილ ნარკვევს ერთი ხარეუზი აქეს: არ ჩანს, საიდან გაჩნდა ქართულში ბოლოკიდური მყლერი დ. ქართულში, პირიქით, მყლერთა დაყრუების ტენდენცია ბატონობს, აქ კი ყრუ ბოლოკიდურს ავლენს ყველა წინაპარი — უშუალოცა და შორეულიც, რეალურად დადასტურებულიცა და პიპოთეტურიც (გარდა პრაფორმისა, რომლის მეხუთე მუხლს წარმოადგენს ლუდი).

ოსურიდან ქართულში შემოსულად ვარაუდობენ სპეციალისტები ასზე მეტ ფუძეს. ალბათ ყველა მათგანი უდავოდ ოსურიდან ნასესხებად ვერ მიიჩნევა.

ასე, მაგალითად, ზიდი-სიტყვის შესახებ ვ. აბაევი ვარაუდობს მის ოსურ წარმომავლობას, თანაც უძველეს ხანაში, როცა ქართული და ზანური დიფერენცირებული არ იყო: დიფერენციაციის შემდეგ მან ზინჯის სახე მიიღო ზანურშიო [177]. შორეულ წარსულში, როდესაც ოსებისა და უნგრელების წინაპართა უშუალო ურთიერთობა ივარაუდება, უნგრულ ენაში შესულა ეს ოსური სიტყვა ჰიდის სახით. ოსურში ზიდ/ხედ-სიტყვის ოდინდელობას, ირანისტების აზრით, ზურგს უმაგრებს მისი შესატყვისების არსებობა ინდოირანულ ენებში: ძველი ირანული *haitu*, ავესტის *haetu*, ძვ. ინდ. *setu* [11]. და მაინც არანაკლებ საყურადღებოა ვარაუდი, რომ სიღის ოსურ და ქართველურ სახელწოდება-

თა შორის მსგავსება შემთხვევითია და რომ ქართულ ზიდი-*(ძვ. ქართ. ჰიდი-)* სიტყვას ეძებნება ქართველური ეტიმოლოგია: ჰიდი მიჩნეულია იმავე ფუძისად, რომელიც წარმოდგენილია ქართულ *გარდაკვად*, *ქანურ მოხთუ-* ('მოვიდა'), *სვანურ ლიჟად*-('მოსვლა') სიტყვებში. გახმოვანება ანალოგიურია ფუძედრეკად ზმნათა გახმოვანებისა (*გჳქჳებ — გჳქჳებ — გჳქჳებ*) და თავდაპირველ მნიშვნელობად ნაეარაუდევია 'სავალი, სატარი. გადასატან-გადმოსატანი' [64].

შაკყრის გამო ვ. აბაევი უშვებს შესაძლებლობას, რომ იგი მიღებულია ოსური *ქარზ*-სიტყვიდან. რომელიც 'მაგარს, ცხარეს, სასტიკს' ნიშნავს (ასეთი გზით: *ქარზ*—*შქარც*—*შაკყრი*, სადაც შ კლასის ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო აფრიკატი შ შესაძლებელია აფრიკატიზაციის საერთო ტენდენციის გამოვლენა იყოს: *ხ-ც*): ოსური ბოლოკიდური ზ არის ავესტისა და ძველი ინდურის ჩამომავალი და, ალბათ ამიტომ, ოსურ ფუძეშიც თავდაპირველად ხ არის საგულვებელი [169].

გ. ახვლედიანმა *შაკყრი*-სიტყვის ოსური წარმომავლობა საექვოდ მიიჩნია, რაკი ვ. აბაევის მიერ ფუძისეულად მიჩნეული რ გაუტოლა სუფიქსს *შ-აკყ-რი*, შდრ. *შ-ღად-რი*; ოსურის თავკიდური ფშვინვიერისა და ქართული მკვეთრის სხვაობაც (*ქ--კ*) აბაევისეულ ახსნას აბრკოლებს [177].

მ. ანდრონიკაშვილმა *შაკყრ*-ფუძის ოსური წარმომავლობის ვარაუდს მხარი დაუჭირა, ოღონდ ცვლის გზა აბაევისაგან განსხვავებულად წარმოიდგინა: ოსური *ქარზ*—*ქართ*. *ქარძ* (შდრ. *კრძალეა*): **შ-კარძ-რი*—**შ-კაძ-რი* (რ'ს დისიმილაციური დაკარგვა) →*შაკყრი* (*ძრ*—*ყრ* პროცესის მსგავსია *ძერუ*—*ყრუ*).

ზოგჯერ ოსურიდან შემოსულად მიჩნეული ფუძე ზანურ-ქართულში შესატყვისებს იძლევა (შდრ. ზემოთ ზიდი—ზინჯი), რაც ნასესხობის საკითხს ართულებს. ასე, ვ. აბაევმა დაუკავშირა, როგორც ზემოთ ვთქვით, ქართული ზიდი ოსურს, ამასთანავე მისთვის უცნობი არაა მეგრული ზინჯი'ც: „ეს სესხება რომ ძალიან ძველია, იქიდან ჩანს, რომ მეგრულ ნიადაგზე სიტყვამ მოასწრო კანონზომიერი ცვლილება *ა//ნჯ* განეცადა“ [171]; მაგრამ მ. ანდრონიკაშვილის ზოგი ვარაუდისათვის კი სწორედ ასეთი ცვლილებები (ქართულ-ზანური კანონზომიერი ცვლილებები) მიაჩნია ვ. აბაევს დამაბრკოლებელ გარემოებად. მაგალითად, რეცენზიაში მ. ანდრონიკაშვილის წიგნზე იგი წერს, რომ მას საექვოდ მიაჩნია, კერძოდ, ქართული *ქუშკვი*-სიტყვის დაკავშირება რგოლის აღმნიშვნელ *საგ*-სიტყვასთან ოსურში: „ქართული *ქუშკვი* და *ჯაჭვი* ორი სხვადასხვა სიტყვა კი არაა, არამედ ერთი და იგივეა, გაფორმებული პირველ შემთხვევაში ქართული ნორმით და მეორე შემთხვევაში — მეგრულით...

ამიტომ ყოველი ეტიმოლოგია ძეშკვი-სიტყვისა, რომელიც ანგარიშს არ უწევს ჯაშვი-ფორმას, ექვს იწვევს“ [173; იხ., აგრეთვე, ა. შანიძის შენიშვნები: 113].

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ოსურიდან ნასესხობის საკითხთა კვლევა მომავალშიც გაგრძელდება; ზოგმა რამემ შესაძლებელია ასლებური ინტერპრეტაციაც მოითხოვოს, მაგრამ უკვე ჩატარებული მუშაობის შედეგთა დიდი მნიშვნელობა ექვს გარეშეა.

ეგვევ უნდა ითქვას ქვემოთ მოყვანილ მასალაზე, რომელიც სხვა ენებიდან სესხებას შეეხება.

255. ოსურთან შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი ს ო მ ხ უ რ-ქ ა რ თ უ ლ ი ლექსიკური ურთიერთობა.

ამ ოცი საუკუნის მანძილზე, ე. ი. იმ დროის განმავლობაში, რომლის შესახებაც მეტ-ნაკლებად სარწმუნო ცნობები გვაქვს, საქართველოს და სომხეთს მსგავსი ისტორიული ბედი ჰქონიათ. ამასთანავე, მათ კულტურული დონე დაახლოებით ერთგვარი ჰქონდათ; ორივე განვითარებული მწერლობის მქონე ერი იყო და ორივეს ერთგვარი ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ დიდ სახელმწიფოებთან. ამის გამო ლექსიკური შეხვედრები ქართულსა და სომხურს შორის საკმაოდ ხშირია.

საერთო ქართულ-სომხური მასალა უპირატესად მესამე წყაროდან მოდის — საშუალო ირანული ენებიდან, სირიულიდან, ბერძნულ-ბიზანტიურიდან. მათგან მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც ჯერ სომხურს უსესხია საშუალო ირანულიდან და იქიდან შემოსულა შემდეგ ქართულში. ჰიუბშმანი, მარი, მეიე და სხვ. ვარაუდობდნენ, თითქოს საშუალო ირანული და სირიული სიტყვები უთუოდ სომხური გზით იყო შემოსული ქართულში. ამ ბოლო ათეული წლების განმავლობაში წარმოებულმა კვლევამ, კერძოდ, ქართველ მეცნიერთა—პროფ. ილია აბულაძის [1], პროფ. შზია ანდრონიკაშვილის [11] და სხვათა შრომებმა მნიშვნელოვანი შესწორებანი შეიტანა წინათ გამოთქმულ ვარაუდში: აღმოჩნდა, რომ ბევრ შემთხვევაში ქართულში არსებული საშუალო ირანული სიტყვის ფონეტიკური სახე გამოირიცხავს სომხური გზით ნასესხობას; ცხადია, ქართულში ისეთი ირანული სიტყვებიც გვაქვს, რომლებსაც სომხური ენის ფონეტიკური სპეციფიკის კვალი აჩნიათ, მაშასადამე, სომხურის გზით (via armenica) შემოსულად უნდა ვივარაუდოთ. ასევე დაწყებულია სირიულ-ქართული ლექსიკური შეხვედრების კვლევა და უკვე მიგნებულია რამდენიმე სირიული სიტყვა, რომელიც უშუალოდ და არა სომხურის გზით შემოსულა ქართულში: ქარქამი, ქუფთა, მური, ზეთი, ზოგი. ეს უკანასკნელი, პირიქით, სომხურში ქართულიდან ჩანს შესული [10].

რაც შეეხება საკუთრივ სომხურ სიტყვებს, მისი კვალი ქართულში უმნიშვნელოა, რაც აიხსნება იმ გარემოებითაც, რომ თვით სომხურშიც ძალზე მცირე რაოდენობით არის შემონახული საკუთრივ სომხური ლექსიკა (ამ ენის ნარევი ხასიათის გამო).

ერთი ამგვარი იშვიათი სიტყვათაგანი არის 'დედოფალას' მნიშვნელობის ტიკინა; იგი აგებულებითაც დედოფალას შეესაბამება: დედა+უფალი (მღრ. ძველ ქართულში არსებული მსგავსი აგებულების სიტყვა მამფალი-მამა+უფალი, რომლის ბადალია აგებულებით სომხური ტერ:ტე+აარ).

მეტ-ნაკლებად სავარაუდოა სომხურის გზით შემოსვლა შემდეგი ირანული ფუძის სიტყვებისა: ზეპური, კაპოეტი, ჭიჭნაუბტი, პატევი, პატეჟი, იატაკი...

256. აზერბაიჯანულიდან ქართულში შემოსულად ითვლება ძირითადად ისეთი სიტყვები, რომლებიც მომთაბარე მეცხოველეობასთან არის დაკავშირებული:

თოხლი, შიშაგი, ყოჩი, იალადი, ბულა, ჩობანი, დოლი, დუმა (სპარსულიდან), კარაქი; თევზთან დაკავშირებული დოში, ქვირითი, ხიზილაა. („წითელ-ქრელი“); საკმლის სახელწოდებანი: ტოლმა, ბულამა, ყაურმა, ჩიხირთმა, ბოზბაში, აგრეთვე, პროფესიის აღმნიშვნელი ოხუნჯი და ფინაი და ზედსართავი არხენი [194].

საინტერესოა, რომ ქართულიდან აზერბაიჯანულში შესული სიტყვები სხვა სემანტიკურ ჯგუფებს მიეკუთვნება: გუთან, მოდგამი, მარგილი, ხერხი, ჭიქა, საფერი... მჭადი...

257. ირანისტები მიუთითებენ იმ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, რაც ქართული ენის ლექსიკურ ფონდს აქვს საზოგადოდ ირანულ ლექსიკასთან. ირანული ენებიდან უძველესი დროიდან მოკიდებული ქართულში მეტ-ნაკლები ინტენსიობით შემოდინოდა ლექსიკური ელემენტები და ზოგი მათგანი სამუდამოდ დამკვიდრდა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში. გარდა ზემოთ განხილული ოსიზმებისა, საგანგებოდ არის აღნუსხული ის სიტყვები, რომლებიც ძველი და საშუალო ირანული ენებიდან * შემოსულად ივარაუდება. დიდი მუშაობაა ჩატა-

* ირანული ენების ქრონოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება ასე წარმოიდგინება: ძველი ირანული ენები: მიდიური (მეშვიდე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ძველი სპარსული (მეექვსე საუკუნე), ავესტური (მეექვსე-მეოთხე საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე); საშუალო ირანული ენები: პართული ანუ არშაკიდული ფალური (ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნემდე) და საშუალო სპარსული ანუ სასანური (ჩვენი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნემდე); ახალი სპარსული ენა (ჩვენი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნიდან [219, 223].

რებული, აგრეთვე ახალი სპარსული ლექსიკური მასალის გამოსავლი-
ნებლად.

ქართულში ძველი ირანული ელემენტებიდან * მეტ-ნაკლები ყოყმანით შეიძლება დავასახელოთ შემდეგი მიდიური სიტყვები (ან ფუძეები):

ბაგინი, მოგვი, განძი, ხილენძი, მასპინძელი (ამ უკანასკნელის ფუძე *ასპინძ*, რაც 'სასტუმროს' უნდა ნიშნავდეს, გეოგრაფიულ სახელში *ასპინძა*ში არის შემონახული); უნდა შევნიშნოთ, რომ ჩამოთვლილ სიტყვათა ფუძეები ჰიპოთეზური ფორმებია: საკუთრივ მიდიური მასალები მეცნიერთა განკარგულებაში არ ყოფილა.

ძველ ირანულ ენათაგან ძველი სპარსული დადასტურებულია აქემენიდათა წარწერებში (აქემენიდათა იმპერიამ შეცვალა მიდიელთა სახელმწიფო. კიროსისა და დარიოსის სამეფოში, მის ორ ოლქში შედიოდა სამხრეთ საქართველოში შობინადრე რამდენიმე ტომი — სასპერები, მესხები, ტიბარენები, მოსინიკები, ხოლო უფრო ჩრდილოეთით მცხოვრები ტომები სპარსელთა მოხარკეებიც იყვნენ და ლაშქრობებში მონაწილეობაც ევალებოდათ).

გარდა რამდენიმე საკუთარი სახელისა, ძველ სპარსულთან კონტაქტის შედეგად შეთვისებულად არის მიჩნეული *საეანეს-ეან-* (უფრო საეკვოა ცდა ირანულს დაუკავშირონ *მ-ართ-ალი, მ-არჯ-ეე*).

დაბოლოს, მესამე ძველი ირანული ენიდან — ძველი სპარსულის მონათესავე *ავესტური* დან შემოსულად მიიჩნევენ რელიგიური ცნებების გამოხატველ რამდენსამე ფუძეს.

ეს ფუძეები დღეს წარმოდგენილია *შმინდა, ეშმაკი, ჯოჯოხეთი*'ს სახით. მსგავსი წარმომავლობისაა *დროშა* და, იქნებ, *ფართო*'ც.

საშუალო ირანული ენებიდან შემდეგი სიტყვები (ან მათი ფუძეები) მიაჩნიათ *პართული* წარმოშობისად:

აბჯარი, აეზაკი, აზნაური, ამბაკი, ამპორი, აშპარტაენი, ანაზად, ბუნავი, გუნდი, გუშაკი, დესპანი, ვარდი, ვერავი, ზვარაკი, კვართი, მარავი, მრავალი, მარხვა, სამკაული, სამოსელი, ფამი, პატივი, პატიმარი, კურუბა, პოხვა, რჯული, ტალაყარი, უნარი, ფართო, ქასაკი და ბევრი სხვა, რომლებიც ძველ სამწერლო ქართულში იყო გავრცელებული.

აზნაური-სიტყვის ფუძედ გამოყოფილია *აზნ* (უ-აზნ-ო'სთან შეპირისპირებით). ამოსავლად მიჩნეულია ჰიპოთეტური ძველი ირანული ფუძე: **ა-ზნ* და მის მნიშვნელობად ნეაარაუდევია 'ცნობილი, განთქმული'; ჩვენი *აზნაური*'ს თავდაპირველი მნიშვნელობაც ამის მი-

* აქაც და ქვემოთ ირანულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობის ნიმუშებოტანილია მ. ანდრონიკაშვილის მონოგრაფიიდან [11].

ხედვით არის გამოყვანილი: 'ცნობილი, ჩინებული, წარჩინებული' (ირანულ ენებში სათანადო ძირთან დაკავშირებულია მნიშვნელობები 'ცოდნა, ცნობილი, ნაცნობი, მოკეთე'), ხოლო 'თავისუფალი' გაგება მეორეულიაო.

ანაზად-სიტყვის ბოლოკიდური (ვითარების ბრუნვის) -ად ქართულია, ანაზ-ფუძე კი ნეარაუდევია ფალაურში: ან-აზდ, სადაც ან უარყოფის ნაწილაკია, ხოლო აზდა ძველ სპარსულში 'ცნობილს' აღნიშნავდა.

ვერაგი 'ეშმაკი, ცბიერი, გაუტანელი' დაკავშირებულია სავარაუდო ფალაურ სიტყვასთან — *ერაგ- და 'მტრის, მეტოქის, მოწინააღმდეგის' აღმნიშვნელ სომხურ ვირაგ¹თან. (მდრ. რუსული ვираг — ძვ. вораг, воражить 'მაგიური ქმედება', აგრეთვე სანსკრიტული ურაგა 'გველი' და ლათინური uragus 'ჯოჯოხეთი').

პატიმარი ფალაური ფორმის მქონე სიტყვაა patimar 'დამნაშავე'. მნიშვნელობის განვითარების სავარაუდებელი გზა: 'დამნაშავე' — 'დასჯილი' — 'ტუსალი'.

ს ა შ უ ა ლ ო ს პ ა რ ს უ ლ ს მ ი ა კ უ თ ე ნ ე ბ ე ნ შ ე მ დ ე გ ს ი ტ ყ ვ ე ბ ს (და ფუძეებს):

ამხანაგი, ანგარება, ანდერძი, აპკა, ასპარეზი, აუგი, ახოვანი, ბეერი, ბერი, ბოსტანი, ბრძენი, გლახაკი, გრო, გუნდრუკი, გუჯარი, მგოსანი, დასტური, დევი, დილევი, ვახშამი, ზარი ("შივი"), ზენარი, ზიანი, ზურმუხტი, იაგუნდი, იატაკი, კერპი, კოსვი, ლალი, ლაშქარი, მაზრა, ნავარდი, ნავთი, ნაზი, ნიადაგ, ნიშანი, ნოვაგი (სანოვაგე), პასუზი, პერანგი, სპილო, პიტიაზში, რაზმი, რემა, როსკიბი, სასტიკი, სენაკი, სექტაკი, მსუბუქი, ტაბაკი, ტაიჭი, ტანი, ტანჯვა, ტაძარი, ტომი, ფუძე, ფათერაკი, ფარდაგი, ქარაქანი, ქურციკი, შარაევანი, შენება, შმაგი, შფოთი, ჩოგანი, ცრუ, ძვირი, ძირი, ტაბუკი, ტარმაგი, ჭეშმარიტი, ხეასტაგი, ხორშაკი, ჯავშანი და სხვ.

არ იქნება გასაკვირი, თუ ასეთ დიდ მასალაში ზოგი რამ უყოყმანოდ გასაზიარებელი არ აღმოჩნდეს; ასე, მაგალითად, ძირი დაახლოებულია საშუალო სპარსულში azīr, azēr, hačadēr-თან, მაშინ როდესაც ამ ფუძეს. ზანურში კანონზომიერი შესატყვისი მოეპოვება — ჯინჯი, რაც ერთ-ერთი დაბრკოლებაა მისი საშუალო ირანულიდან წარმომავლობის ვარაუდისათვის. ზანური კანონზომიერი შესატყვისის არსებობა მის ირანულობას იმ შემთხვევაში არ დააბრკოლებდა, თუ იგი ქართულ-ზანური ერთობის პერიოდში იქნებოდა ნასესხები. საშუალო სპარსული არსებობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნიდან, როდესაც ზანური, საფიქრებელია, უკვე გამოცალკეებული იყო ქართულისაგან (თუმცა ამის ზუსტი დათარიღება არ ხერხდება) *.

* აკად. ა. შანიძე და პროფ. ვ. აბავეი შენიშნავენ, რომ კელევით გატაცებულმა ავტორმა ზოგიერთი უძველესი ქართული სიტყვაც მიათვალა ირანულს და რომ ავ-

ზოგიერთი ფუძის შესახებ ვერ მოხერხებულა იმის დამტკიცება, რომ იგი სახელდობრ შუა ირანულიდან შემოვიდა და არა, ვთქვათ, პართულიდან, ან კიდევ — ცალკე შემთხვევებში — გაძნელებულია შუა ირანულისა და ახალი სპარსულის გასამიჯნავი კრიტერიუმის დაძებნა.

258. ახალ სპარსულთან ბევრი სიტყვა აქვს ქართულს საზიარო. ახალი სპარსული სიტყვები შემოდის როგორც ზეპირი, ასევე ლიტერატურული გზით: იყო დრო, როდესაც ქართველი მწიგნობრები სპარსულ სალიტერატურო ენას კარგად იცნობდნენ. საერო ლიტერატურის ბევრი მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოები სპარსულიდან არის თარგმნილი ან გადმოკეთებული; სპარსული ლიტერატურისა და, საზოგადოდ, სპარსული კულტურის დიდი ავტორიტეტი (რაც ასე დამახასიათებელია ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის მწიგნობრობისათვის), ბუნებრივია, აადვილებდა სპარსიზმების დამკვიდრებას სამწერლობო ქართულში. ძველად ნასესხები ბევრი სიტყვა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამქრალია (სათანადო რეალიების გაქრობასთან ერთად), ზოგი კი დღესაც შემორჩენილია და აქტიური ხმარების ფონდშიც შემოდის. მათი სრული აღრიცხვა და მოწესრიგება სპეციალური კვლევის საქმეა. ეს სამუშაო რთულია იმიტომაც, რომ ბევრი სპარსული სიტყვა შემოსულია არა უშუალოდ სპარსულიდან, არამედ თურქულის, აზერბაიჯანულის, სომხურისა და არაბულის მეშვეობით (ზოგიერთი — რუსულის გზითაც კი).

სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენსამე სპარსული წარმოშობის სიტყვას: აივანი, ბალი, ბაღა, ვარჯიში, ზანგი, ზარი ('ტირილი'), ზარხოში, ზეიმი, ზიანი, თამბაქო (აქტიკურიდან), თასი, თუმანი, თუნგი, იასმანი, კაბა, კაკაბი, კოშკი (რომელიც ხელმეორედ იქნა ნასესხები უკვე ფრანგული ფორმით, რუსული ენის მეშვეობით, — კიოსკი). ლაქვარლი, ლალი, ლაშქარი, ლახტი, ლილა, მარქაფა, მეჯლისი, მუქარა, მუშტი, ნაბალი, ნაში, ნამი (მისი სინონიმი ცკარი ქართულის უძველეს ფორმას მიეკუთვნება — ზანურში წარმოდგენილია კანონზომიერი შესატყვისით: ცუნჯი), ნაშუსი, ნიანგი, ნიშანი, ნოხი, ნუსხა, ოინბაში, ოსტატი, პაქუანი, პასუხი, პერანგი, რაზმი, საღაფი, სეუდა, სპილო, სუბუქი, ტაქტი, ტახტი, უნაგირი, ფათურაგი, ფანდი, ფარდაგი, ფეშქეში, ფლასი, ფლიდი, ფოლადი, ქალაქი, ქამანდი, ქამარი, ქანი, ქარაენი, ქარქაში, ქარხანა, ქაფური, ქაფქირი, ქაფხა, ქაჩალი, ქაჯი, ქილა, ქიშიში, ყომარბაზი, შარა, შუბი, ჩემოდანი, ჩანგი, ჩანგალი, ჩარდახი, ჩირალდანი, ჩირქი, ჩოგანი, ძაბუნი, კარმაგი, ხაზინა, ხალი, ხალიჩა, ხანჯალი, ხაშხაში, ხიზანი, ზორთუმი, ზურმა, ჯადო, ჯაერი, ჯაეშანი, ჯამი, ჯამბაზი, ჯანი, ჯაშუში, ჯილდო, პაქა...

(*კომკი, ლაშქარი, ნაზი* და სხვ. წინა სიაშიც არის შესული. შემდგომმა კვლევამ უნდა დააზუსტოს მათი სესხების წყარო).

ჩირაღდანი- და *ჩემოღანი*-სიტყვებში ერთგვარი დაბოლოება მიუთითებს, რომ აქ რთულ ფუძესთან გვაქვს საქმე. მართლაც ეგვე დაბოლოება მეორდება ამ სიტყვებში: *ყაყადანი, ჩაიღანი*; მათ გვერდით არსებობს *ჩაიხანა* (აგრეთვე *ყაყახანა*), სადაც პირველი ნაწილი ისევე *ჩაი* (*ყაყა*) ფუძეა, მეორე კი გვხვდება ბევრ სხვა სიტყვაში: *ქარხანა, ბაზახანა, ავერხანა, ზარაფხანა, აშაშხანა*, და სხვ. მათ შორის — ქართული პირველი წვერითაც (ე. ი. ქართულად ნაწარმოები) *ლუღხანა*; *ხალი* — *ხალიჩა* და *ბალი* — *ბაღჩა*-სიტყვების მიხედვით შეიძლება გამოიყოს -*ჩა* დაბოლოება, რომელიც ქართულში რამდენსამე სიტყვაში შეინიშნება, ხოლო *თინაზი, ყომარაზი* და *ჯამაზი*-სიტყვების ერთგვარი დაბოლოება რიგ სხვა სიტყვებშიც გვხვდება, რაც მათ სპარსულ წარმომავლობაზე მიუთითებს.

259. ასევე საგანგებო კვლევა სჭირდება ლექსიკურ თურქიზმებს. განმარტებით ლექსიკონში მოთავსებული თურქული წარმოშობის სიტყვებს რომ დეაკვირდეთ, აღმოჩნდება, რომ ზოგი მათგანი საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ახალ ქართულ ენაში:

ბათქაში, ბაიყუში, ბასმა, ბაქმაზი, ბაშლაყი, ბითუმი, ბოღაზი, ბოღმა, ყაჩი, თეფში, ფარა, იარაღი, იაღლიში, იორღა, ლეში, ოთახი, ყაპალახი, ყაბაჩი, ყადაღა, ყაენი, ყაყარი, ყაჩაღი, ყირმიზი, ჩაროზი, ჩაფარი, ჩოხა და სხვ.

თურქული სიტყვები უპირატესად ზეპირი გზით არის შემოსული; მაშასადამე, გასათვალისწინებელია იმ თურქული დიალექტების ვითარებაც, რომლებიდანაც შემოდის თურქული სიტყვები და იმ ქართული დიალექტებისაც, საიდანაც ეს თურქიზმები შემდეგ მთელ საქართველოში ვრცელდებოდა. მაგალითად, განმარტებით ლექსიკონში *ჩომბახი* დახასიათებულია როგორც თურქულიდან მომდინარე, მაგრამ თვით თურქული სიტყვა მოყვანილია მისი ლიტერატურული ფორმით — *ჩომაკ*, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართულისაგან. უეჭველია, დასაძებნია ის თურქული კილო, სადაც სალიტერატურო თურქულის საპირისპიროდ, სპირანტი *ჩ* წარმოითქმის (და არა ხშული *კ*).

260. უფრო მეტია და უფრო დამკვიდრებული სალიტერატურო ქართულში არაბული წარმოშობის სიტყვები. არაბობის დროს ქართველებს უშუალო კონტაქტი ჰქონდათ არაბებთან. ამ დროიდან მოცილებული არაბული სიტყვების შემოსვლა-დამკვიდრება თვით ჩვენს დრომდე გრძელდება. თუ არაბობის დროს სიტყვების სესხება უშუალოდ არაბულიდან ხდებოდა, მომდევნო საუკუნეებში, როდესაც ხალიფატი დაეცა, არაბული სიტყვები შემოდის სპარსული და თურქუ-

ლი ენების მეშვეობით: არაბთა პოლიტიკური ძლიერების გაქრობის შემდეგაც არაბული ენა დიდხანს დარჩა ახლო აღმოსავლეთის რელიგიისა და მეცნიერების ენად. არაბული სამეცნიერო ტერმინოლოგიიდან ბევრი რამ შევიდა შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის დასავლეთის სამწიგნობრო ენაში — ლათინურში, იქიდან კი ახალ ევროპულ ენებში და — ინტერნაციონალიზმების სახით — ქართულში. არაბული წარმოშობის ინტერნაციონალიზმებს ქვემოთ შევხებით, ახლა კი სანიმუშოდ მოვიყვანთ იმ სიტყვებს, რომლებიც (ან რომელთა ფუძეებიც), სავარაუდოა, უშუალოდ არაბულიდან არის შემოსული.

ბასრი: მომდინარეობს ქ. ბასრის სახელწოდებიდან და, პირდაპირ რომ ვთარგმნოთ, მისი მნიშვნელობა იქნება 'ბასრისა, ბასრული' (მსგავსად შამპანური-, ლეკური-, ბაღდადური-სიტყვებისა, რომლებიც თავიანთი აგებულებით უთუოდ 'ღვინოს', 'ხმალს' ან 'ცეკვას' კი არ აღნიშნავენ, არამედ მიუთითებენ, რომ სათანადო საგანი თუ მოვლენა ჩვენში შემოვიდა: საფრანგეთის იმ პროვინციიდან, რომელსაც შამპან'ი ეწოდება, ან ლეკეთიდან, ან კიდევ ქ. ბაღდადის სახელთან არის დაკავშირებული). არც ისე დიდი ხნის წინათ ბასრი აღნიშნავდა არა აღესილობას, არამედ მასალას, რომლისგანაც ესა თუ ის იარაღი იყო გამოკედილი, და ქართულში ნათესაობითის სუფიქსს დაირთავდა (ბასრი-სიტყვის ბოლოკიდური ი წარმოშობით ქართული სახელობითის ნიშანი კი არ არის, არამედ არაბულიდანვე მოდის): „წედა ეწერა: აქა ძეს აბჯარი საკვირველიო, ჩაკე-მუსარადი, აღმასი სრმალი ბასრისა, მკრელიო“... უფრო მოკვიანებით: „ისრის პირები ბასრისა იყო“ (საბა). და თითქმის ჩვენი თანამედროვე ბაჩანა წერდა: „ცელო, გამიჭერ, მკედელმა პირი გიდულა ბასრისა“, რაც ადასტურებს, რომ ბასრი მასალის (ფოლადის) მნიშვნელობით აქამდე შემორჩენილა კილოებში. ასეთი მასალისაგან გაკეთებულ იარაღს გულისხმობს ნ. ბარათაშვილი: „ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი“. დღევანდელ სამწერლო ქართულში ბასრი მხოლოდ 'მეტად' მკრელს ნიშნავს.

ამგვარივე წარმოშობისაა ბელაური: აქ ურ იგივე სუფიქსია, რაც ბაღდადური- და ლეკური-სიტყვებში: ბელაეი, ბალაეი 'ბელუნიებისა' ნიშნავს, მაშასადამე ბელაური არის ზედსართავი „ბელუნიური“, გასუბსტანტივებული და ამჟამად 'კარგი ცხენის' აღმნიშვნელი. აქა-იქ ბელაური დღესაც იხმარება მსაზღვრელად. „ბელაური ქალიაო“ რომ იტყვიან, გულისხმობენ 'კარგ ქალს' (ქალებში ისევე კარგს, როგორც კარგია ცხენთა შორის არაბული ცხენი — ბელაური).

დაბლი თავდაპირველად "შემოსავალს" ნიშნავდა (ისევე როგორც ხარჯი — 'გასავალს') [115]. მისი ეს მნიშვნელობა გამოსკვევის ამგვარ გამოთქმებში: „დაბლი და უღღეზა (და უჭღეზა)“: არსენამ ვაქრების ადლი „გატეხა და გადააგდო — ფუ, გამჟვდი გაგიწყდესა!“ და, სამაგიეროდ, ადლად შინდის ჯოხი გამოუქრა: „შეიდი მტკაველი გაუზომა, მისხალი არ დააკლდესა“. ვაქრებმა „სულ კანკალი დაიწყესა — ჩვენ რომ ამითი გავყიდოთ, რალა დაბლი და გვიჯდესა!“

აი, კიდევ არაბული წარმოშობის რამდენიმე სიტყვა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში *:

ამი, ადლი, ავეჯი, ალამი, ამანათი, არაყი, ბადალი, ბასმა, ბუჯი, დავა, დირა, დოვლათი, ვარამი, ვარაყი, ვექილი, ექიმი, ეშხი, შამბახი, შარალი, ზეთი, თამახუქი, თამაში, თათბირი, თარიღი, თილისმა, ილაჯი, იჯარა, მანძილი, მარჯანი, მასალა, მარქაფა, მეჯლინი, მიჯნური, მუშტარი, ნაბადი, ნალი, ნაღიში, ნობათი, ოქმი, რამათ-ლუკუმი, რეჰანი, რუკა, საათი, სიგელი, ტაბაკი, ტაიჭი, ულუფა, უნაბი, უსტარი, უჯრა, ქილა, დაბლი, დალატი, ყაბული, ყადრი, ყასაბი, ყისმათი, ყუათი, შაკიკი, შარბათი, შარვალი, ციფრი, ჭინკა, ზაბახი, ზაზინა, ზათრი, ზალასი, ზალხი, ზაში, ზურჯინი, ჯაბანი, ჯაერი, ჯამი, ჯარიმა, ჯანდაბა, ჯიში, ჰაჯი და სხვ.

აქ რამდენჯერმე შეგვხვდა -ათი-ბოლოკიდურიანი სიტყვები (ათასათი, საათი, ნობათი...): -ათ არაბული სუფიქსია მდებრობითისა, თითქმის ყველა -ათ-დაბოლოებიანი ქართული ფუძე არაბული წარმოშობისაა.

ბევრი არაბული სიტყვა ზეპირი გზით (და სხვა ენათა მეშვეობით) არის შემოსული ქართულში, ამიტომ არაიშვიათია სასაუბრო (და ზოგჯერ ვულგარული) გამოთქმები:

არიფი, ბალა, მახლას, მარიფათი, სიფათი, ყასიდად, ხათა, ჯეელი...

261. ბერძნულ ენასთან კონტაქტმა ქართულ ლექსიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ბერძნული ენის მასალა დღესაც შემოდის ქართულში, მართალია, უშუალოდ კი აღარ, არამედ უკვე ახალი ევროპული ენების მეშვეობით: ბერძნული ფუძეები თანამედროვე ინტერნაციონალური ლექსიკის ერთი ძირითადი წყაროა ლათინურთან ერთად.

ბევრი ბერძნული სიტყვა, რომელიც დღეს ინტერნაციონალური ლექსიკის კუთვნილებაა, ქართულში, შემოდიოდა ადრიდანვე — იმ დროს, როდესაც ქართველებს სხვა ევროპელ ხალხებთან უშუალო

* გ. წერეთლის არაბულ-ქართული ლექსიკონიდან [148], რომელიც „არაბული ქრესტომათისათვის“ განკუთვნილი სასწავლო ხასიათის ლექსიკონია და, ცხადია, მთელ არაბულ ლექსიკას არ ითვალისწინებს; ბუნებრივია, მასში არ შესულა ყველა ის არაბული სიტყვა, რომელიც ქართულ ენაში დასტურდება.

ქართულში არაბიზმებს საგანგებო გამოკვლევაც აქვს მიძღვნილი.

ურთიერთობა არ ჰქონიათ. კერძოდ, ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული სიტყვები, სათანადო ცნებებთან ერთად, ძირითადად ბერძნული გზით შემოდის (ბევრ შემთხვევაში, ისეთი სიტყვებიც, რომლებიც თვით ბერძნულს ჰქონდა ნასესხები ებრაულიდან):

კვირეულის დღეთა სახელებიდან ბერძნულიდან არის შემოსული კვირა და პარასკევი.

დანარჩენი დღეების სახელებიდან შაბათი სემიტური წარმოშობისაა. მასზეა დაყრდნობილი კიდევ ოთხი დღის სახელი — ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი (ძველ ქართულში იყო ერთშაბათი¹ც, რომელიც ორშაბათის წინა დღეს — კვირას — აღნიშნავდა).

ბერძნულია შემდეგი სიტყვები: აიაზმა, ალილეკია, ამბონი, ანკელონი, დიაკონი, ეკლესია, ეშაზი, ეპისკოპოსი, ექნორია, კათალიკოსი, ლიტანია, მარტვილი, მიკროპოლიტი, მონასტერი, ოლარი, პარაკლისი... ბერძნულის გზით არის შემოსული ამინ, გენა, მესია... ამ სიტყვათაგან ბევრი ინტერნაციონალიზმია.

ბერძნულიდან ქართულში შემოსულია ბევრი სხვა ისეთი სიტყვა, რომელიც უშუალოდ ქრისტიანულ კულტს არ უკავშირდება:

¹ აბანოზი, აკაკი, ალექსტრი, ალოე, ამეთისტო, ანდშატი, ბარბაროსი, დისკო, ეპიტაფია, ზაფრანა, ზეფირი, თეატრი, იადონი, ისტორია, კალამი, კანონი, კეისარი, კეიპაროსი, კიტრი, კლიტე, ლექსი, ლიტრა, მარგალიტი, მილიონი, მელანი, მუშია, ნექტარი, პალატა, რიტორი, საპანი, სანდალოზი, სპონი, სეინდისი, სკიპტრა, სტაფილო, ტაბლა, ტალანტი, ფილოსოფია, ფინიკი, ფანი, ქარაგმა, ქაფური, ქაერი...

ბერძნულ-ქართულის მჭიდრო ურთიერთობას შესაძლებელია ძალზე ხანგრძლივი ისტორია ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანობის შემოსვლის დროისათვის უეჭველი ფაქტია. ქართულის ინტენსიური ურთიერთობა ბერძნულ ენასთან გრძელდებოდა საშუალო სპარსულთან, არაბულთან, და ახალ სპარსულთან ურთიერთობის პარალელურად ე. ი. გრძელდებოდა მანამ, სანამ ბიზანტიური სამყარო არ გაანადგურეს თურქულმა ტომებმა. მაგრამ შემდეგაც, მწიგნობართა წრეებში — ყოველ შემთხვევაში, განათლებული საზღვდელითებისათვის — ბერძნული ენა უცხო არ იყო: ბერძნებსა და ქართველებს მართლმადიდებლური სარწმუნოება აკავშირებდათ ერთმანეთთან, ამიტომ ბერძნულიდან ქართულად თარგმნას შემდეგაც, ქართული ეკლესიის რუსულთან შეერთების დრომდეც, განაგრძობდნენ [30].

262. XVIII და განსაკუთრებით XIX საუკუნიდან, რუსეთის იმპერიის ფარგლებში შესვლის შემდეგ. ქართული ენის სხვა ენებთან კონტაქტები ახალი გზით წარიმართა. ამიერიდან შეწყდა სპარსულ-არაბული სიტყვების შემოსვლა ქართულში; ნასესხებ სიტყვათა ყველაზე

ახალი ფენის — თ უ რ ქ უ ლ ი ს — წილი მკვეთრად შემცირდა. სამაგიეროდ გზა გაეხსნა რ უ ს უ ლ ს ი ტ ყ ვ ე ბ ს და — კიდევ უფრო მეტად — რუსულის გზით ინტერნაციონალიზმებს.

საკუთრივ რუსული ლექსიკის წილი მაინც შედარებით მცირე აღმოჩნდა: რუსეთის იმპერიაში შესვლისას საქართველოს უკვე ჰქონდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდი ტრადიცია და სათანადო ტერმინების დიდი რაოდენობა; გარდა ამისა, ქრისტიანული ღვთისმსახურებისა და მწიგნობრობის განკარგულებაში მყოფი სპეციალური ლექსიკა საკმაოდ სრული იყო... ამის გამო რუსული ადმინისტრაციის, აგრეთვე ეკლესიისა და სკოლის საჭიროებისათვის აუცილებელი არ იყო რუსული სათანადო ლექსიკის შემოტანა ქართულ ენაში; რა თქმა უნდა, ადმინისტრაციაც და სკოლაც (მნიშვნელოვანწილად — ეკლესიაც კი) რუსულ ენაზე აწარმოებდა ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაგრამ ეს უკვე მთლიანად ახალი ენა იყო და არა უცხოენობრივი ლექსიკური ელემენტები არსებულ (ქართულ) ენაში.

ქართული ენა განაგრძობდა არსებობას არა მხოლოდ როგორც საყოველღეო სასაუბრო ენა მოსახლეობის ფართო ფენებში, არამედ აგრეთვე როგორც მწერლობის, საზოგადოდ, მწიგნობრობის ენა; XIX საუკუნიდან ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემაც დაიწყო და ქართულმა ენამ, ამრიგად, ახალი ფუნქციაც შეიმატა: იგი პრესის, ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის ენად იქცა; ამასთანავე, მწიგნობრობის ენა მისაწვდომი გახდა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ენის პოზიციის შენარჩუნების საქმეში.

ქართულ სასაუბრო ენაში ხმარებულ რუსულ სიტყვათაგან მხოლოდ რამდენიმემ გაიკაფა გზა მწიგნობრულ ლექსიკაში: ფუთი, ვერსი, კაიიკი, სამოყარი და სხვ., მეტი წილი კი ბარბარიზმების მდგრამარეობას ვერ ასცდა და სალიტერატურო ქართულში, წიგნურ მეტყველებაში ვერ შეაღწია. ამკამად თუ ზოგიერთი მათგანი აქა-იქ გვხვდება ზეპირმეტყველებაში, ისინი აღიქმებიან არა ქართული ენის ლექსიკური ფონდის ელემენტებად, არამედ როგორც დუბლეტები — ბარბარიზმები: *პოლი* (*პოლისფოზი*, *გაპოლილი*), *სტოლი* (*სტოლსაფარი*), *აკოშკა* (*კარ-აკიშკა*)...

მაგრამ რუსული ენის მნიშვნელობა ქართული ენის ლექსიკური ფონდის განვითარებისათვის, ცხადია, თქმულით არ ამოიწურება: რუსულის მეშვეობით ეზიარა ქართული ენა თანამედროვე ინტერნაციონალური სიტყვების მნიშვნელოვან წილს; ქართულმა ენამ შეიძინა მრავალი ისეთი სიტყვა, ტერმინი და გამოთქმა, ურომლისოდაც დღევანდელი კულ-

ტურის — ხელოვნებისა და მეცნიერების — დონეზე დგომა გაკვირდებოდა.

მეორე მხრით, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზღვარგარეთული მწიგნობრობა (ლიტერატურა — როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული და პუბლიცისტური) სათანადო დარგების მუშაეთათვის ბევრ შემთხვევაში უშუალოდაც ხელმისაწვდომია: უშუალოდ ფრანგულიდან, გერმანულიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან და სხვ. ითარგმნება მხატვრული ნაწარმოებები, სამეცნიერო ლიტერატურასაც სპეციალისტები დედნებში (და არა მხოლოდ რუსულ თარგმანებში) ეცნობიან, როდესაც ეს შესაძლებელია.

ასეთია ინტერნაციონალიზმების შემოსვლის გზები ქართულ სალიტერატურო ენაში.

ინტერნაციონალიზმები

268. ინტერნაციონალიზმს წარმოადგენს ის სიტყვა, რომელიც დასავლეთ ევროპის სამწერლო ენათა მეტ წილსა აქვს ნასესხები ერთი რომელიმე ენიდან. ინტერნაციონალიზმია თვით სიტყვა *ინტერნაციონალიზმი*, აგრეთვე: *ატომი*, *ბიოლოგია*, *დიპლენჯიკა*, *ისპორია*, *იუბილე*, *კლუბი*, *ლიტერატურა*, *მაგნიტი*, *ნეკროზი* და სხვა მრავალი; ე. წ. უცხო სიტყვათა ლექსიკონებში თითქმის მხოლოდ ინტერნაციონალიზმები შეაქვთ.

ინტერნაციონალიზმები უპირატესად ბერძნული ან ლათინური სიტყვებია, ან კიდევ ამ ენათა სიტყვების ძირები, ისევე ბერძნულ ან ლათინურ ყაიდაზე ნაწარმოები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნულ ენასთან ხანგრძლივი და ინტენსიური კონტაქტის შედეგად ქართულ ენაში დიდი ხნის წინათ შემოვიდა და დამკვიდრდა ბევრი ისეთი ბერძნული სიტყვა, რომელიც მოგვიანოდ, დასავლეთის ცივილიზაციის განვითარებისა და საყოველთაოდ გავრცელების შემდეგ, ინტერნაციონალიზმებად იქცა. მაგრამ ამათ გარდა ქართულში ბევრი ისეთი ბერძნული წარმოშობის ინტერნაციონალიზმი გვაქვს, რომელიც მოდის არა უშუალოდ ბერძნულიდან, არამედ ახალი ევროპული ენებიდან. XIX საუკუნიდან, როდესაც საქართველო გამოეთიშა აღმოსავლურ (არაბულ-სპარსულ-თურქულ) ენობრივ სამყაროს, ქართული ლექსიკური ფონდის გამდიდრება უპირატესად ინტერნაციონალური სიტყვებით ხდება; ეს საუკუნენახევარია. ქართულ ენაში ინტერნაციონალიზმების რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება, ისევე როგორც ყველა სხვა პოლივალენტოვან ენაში. ამ ინტერნაციონალიზმებში ბერძნულის წილის დასახასიათებლად შეიძლება

აღვნიშნოთ, რომ მაგალითად, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ტომი I), შეტანილია ა ასოზე ორასამდე ისეთი ინტერნაციონალიზმი, რომელიც ან უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობს, ან ბერძნული ლექსიკური მასალისაგან (ბერძნული ფუძეებით) არის შედგენილი.

ბერძნულიდან მომდინარეობს, მაგალითად, შემდეგი ინტერნაციონალიზმები:

აგრონომი, აგროგრაფი, აგრონომია, აგროქოთონი, ალეგორია, ამორფული, ამფითეატრი, ანალიზი, ანალოგია, ანესთეზია, ანოდი, ანომალია, არისტოკრატია, ატომი, აქსიომა და სხვ. სრულიად სახეუცვლელად არც აქ არიან წარმოდგენილი ბერძნული სიტყვები: ა) ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი ყველა თანხმოვანფუძიან სახელს ერთვის: აგრონომი, აგროგრაფი, აგროქოთონი, ამფითეატრი, ანალიზი და სხვ. ბ) აქა-იქ დართული აქვს ხოლმე ქართული მაწარმოებელი სუფიქსიც: ამორფული... გ) სახელობითი ბრუნვის ბერძნული დაბოლოებანი მამრ. და საშ. სქესის სიტყვებში (ος, ον), როგორც წესი, მოკვეცილია ან შეცვლილია: *ἀγρονομός* — აგრონომი, *ἀμφιθεατρών* — ამფითეატრი... მაინც, წარმოდგენილი სია შეიცავს ბერძნულშივე ხმარებულ რეალურ სიტყვებს, შემდეგ გავრცელებულს სხვა ენებში — ინტერნაციონალიზმებად ქცეულს.

284. როგორც აღვნიშნეთ, მეორე ჯგუფს ბერძნული ინტერნაციონალიზმებისას ქმნის ისეთი სიტყვები, სადაც ბერძნული ფუძეები (ზოგჯერ — აფიქსებით) არის გამოყენებული, მაგრამ ამ მასალისაგან შექმნილია ახალი, თვით ბერძნულში არარსებული სიტყვები.

ამ გზით შეიქმნა ფრანგულში და შემდეგ ინტერნაციონალიზმის სახით გავრცელდა აზოტი, ანაქრონიზმი, ანჰიდრიდი, ანტიჰეპტიკა... გერმანულ ენაში ბერძნული ელემენტებისგანაა შედგენილი ალოგიზმი, ანეროიდი... რუსულ ენაზე შეიქმნა ბერძნული ფუძეების მეშვეობით ლიტერატურული მიმდინარეობის სახელწოდება *აკმეიზმი* (*ἀκμή* 'მწვერვალი'), მედიკამენტების სახელწოდებანი *აქრიქინი* (*ἀκρίς* 'საუკეთესო'), ანალგინი (*ἀναλγητής* 'უმტკივნეულო') და სხვ.

ბევრმა ბერძნულიდან მომდინარე ინტერნაციონალურმა სიტყვამ გრძელი გზა გაიარა, სანამ ჩვენამდე, ქართულ ენამდე, მოაღწევდა:

აკუსტიკა, აქსიომა ლათინურის გზით შევიდა რუსულ ენაში (და იქიდან — ქართულში), აგროგრაფი, ამორფული — ფრანგულის გზით, არტერია — პოლონურის, არქივი — გერმანულის, აფთიაქი, — ჰოლანდიური ენის მეშვეობით და სხვ.

ზოგ სიტყვას კიდევ უფრო რთული გზა აქვს გავლილი. *ამლგამა* ბერძნულიდან შევიდა არაბულ ენაში, არაბულიდან ლათინურმა ენამ გადაიღო, ლათინურიდან — ფრანგულმა ენამ, ფრანგული ენიდან რუსულმა ენამ ისესხა და რუსულის გზით დამკვიდრდა ქართულ ენაში.

ანალიზი, სანამ რუსულში მოხედებოდა, ფრანგულმა ენამ მიიღო ლათინურისაგან, რომელმაც ეს სიტყვა ბერძნული ენიდან შეითვისა.

აღმანაზი-სიტყვის მიერ განვლილი გზის შესახებ ორი განსხვავებული შეხედულება არსებობს: ერთი ვარაუდობენ, რომ იგი კოპტურიდან შევიდა ბერძნულში, იქიდან — ლათინურში, ლათინური ენიდან — გერმანულში და გერმანულიდან კი რუსულ ენაში. სხვების აზრით, სულ სხვა შუალედი ენებია ნავარაუდები: არაბული — ესპანური — ფრანგული [242].

265. ბერძნული ინტერნაციონალიზმების მაგალითები რომ მოგვყავდა, რამდენჯერმე ამოტივტივდა არაბული ენა როგორც ინტერნაციონალიზმის გავრცელების ერთ-ერთი გზა (*ამლგამა*), ან სულაც პირველი წყარო ინტერნაციონალიზმისა (*აღმანაზი*).

არაბული წარმოშობისაა, ან არაბულის გავლით არის შემოსულ-დამკვიდრებული ინტერნაციონალურ სიტყვახმარებაში აგრეთვე *აღმირალი* (მისი ფონეტიკური სახესხვაობა — *ამირბარი* — ქართულში დიდი ხნის წინათ იხმარებოდა [114]), *ალკოალი*, *ალგებრა*, *ალქიმი*, *ანილინი*, *არსენალი*, *ატლასი* (ქსოვილი)... *აზარტი*-სიტყვას, ფრანგულიდან გავრცელებულ ინტერნაციონალიზმს, აგრეთვე არაბულში აქვს დასაბამი: *აზ-ზაჰარ 'კამათელი'* [242]; ეს სიტყვა, როგორც ცნობილია, ქართულ ენაში დამოუკიდებლადაც არის შემოსული: *კამათელი*-სიტყვის სინონიმად *ზარი* საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა ჩვენში. *ფრანგულ-ინტერნაციონალურ კონდიტორ*ში თავკიდური მარცვლი *კონდ* არაბულიდანაა და ადრე ქართულშიც იხმარებოდა *ყანდ*'ის სახით: „მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს...“

266. მაგრამ ინტერნაციონალიზმების მთავარ წყაროს ბერძნულთან ერთად, და იქნებ უფრო მეტადაც, მეორე კლასიკური ენა, ლათინური წარმოადგენს. ეს გასაგებია: დასავლეთი ევროპის მწიგნობრული ტრადიციები, პირველ ყოვლისა, ლათინურ ენასთან არის დაკავშირებული. ჯერ რომის იმპერიას შეჰქონდა დაპყრობილ ევროპულ ქვეყნებში თავისი ენა; ქრისტიანული რელიგიაც ევროპაში ვრცელდებოდა რომის კათოლიკობის სახით, რომელიც ლათინურენოვანი იყო. შემდეგ მეცნიერების ენად ლათინური შეიქნა და XVII—XVIII საუკუნეებამდე ლათინური წარმოადგენდა დასავლეთში ინტერნაციონალურ სამ-

წიგნობრო ენას. ლათინური სიტყვებისა და ფუძეთა (აგრეთვე აფიქსთა) ფართო გამოყენება ინტერნაციონალური ლექსიკის შესაქმნელად იმიტაც აიხსნება, რომ რამდენიმე ევროპული ენა ლათინურთან ახლოსაა: ფრანგული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, რუმინული ენები ლათინურის გაგრძელებას წარმოადგენს, სალიტერატურო ინგლისურშიც, როგორც ცნობილია, ლექსიკის მნიშვნელოვანი წილი რომანული წარმოშობისაა. დაბოლოს, ბერძნულ-ლათინური ენების შესწავლა ედო საფუძვლად სრულფასიან საშუალო სკოლათა პროგრამებს რევოლუციამდელ რუსეთში — და უკანასკნელ დრომდე — ევროპა-ამერიკის ქვეყნებში.

ყველა ამ გარემოების გამო ლათინური წარმომავლობის ფუძეები ევროპის სამწერლო ენებში არ აღიქმებოდა სრულიად უცხო მასალად: ლათინურიდან შევიდა ახალ სამწერლო ენებში (ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურში...) ძირითადი სამეცნიერო ტერმინოლოგია და ლათინური ენა, ბერძნულთან ერთად, ახალი ტერმინების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ [149] რომ გავშალოთ, პირველსავე გვერდებზე, ვთქვათ, ამ-მონაკვეთზე შევხვდებით ლათინურიდან მომდინარე ინტერნაციონალიზმებს:

აბატი, აბერაცია, აბიტურიენტი, აბლატივი, ამოლიციონიზმი, ამორიგენი, აბრევიატურა, აბსენტეიზმი, აბსოლუტი, აბსორბცია, აბსტრაქცია, აბსურდი, აბსცესი, აბსცისა და სხვ. ორმოცი უცხო სიტყვიდან, რომელიც ამ მონაკვეთში გვაქვს, ოცდაათი სიტყვა დამყარებულია ლათინური წარმოშობის ფუძეზე. დანარჩენებია: ფრანგულიდან აბაჟური, ამონემენტი, ამონენტი, აბსენტი, გერმანულიდან — აბზაცი, აბლაუტი, აბრისი, ბერძნულიდან — აბულია.

რა თქმა უნდა, ამ მონაკვეთის ჩვენებას ვერ განვაზოგადებთ და ვერ ვიტყვით — ქართულში ინტერნაციონალიზმების სამი მეოთხედი ლათინური წარმოშობისააო, შ-მონაკვეთზე, მაგალითად, არც ერთი ლათინური ფუძე არ გვხვდება.

შაბლონი, შაგრენი, შაიბა, შაითანი, შამანი, შარიათი, შარჯი, შახტი, შაჰი, შევრო, შერიფი, შკივი, შკიპერი, შლანგი, შლიახტა, შოფერი, შპიკი, შპალერი, შრაპნელი, შულერი, შხერი... აქ ფრანგული და გერმანული ძირები ქარბობს: ფრანგულია შაგრენი, შარჯი, შევრო,, შოფერი... გერმანულია შაიბა, შახტი, შლანგი, შპალერი... არის აგრეთვე ჰოლანდიური (შკივი, შკიპერი), ინგლისური (შერიფი), არაბული (შაითანი, შარიათი), სპარსული (შაჰი), პოლონური (შლიახტა, შპიკი), შვედური (შხერი) და

ტუნგუსურ-მანჭურიულიც კი (შამანი) *. მაგრამ არ გვხვდება არც ერთი ლათინური ან ბერძნული სიტყვა. ეს გასაგებიცაა: შ-ბგერა (და სათანადო ასო) არც ლათინურს არც ბერძნულს არ ჰქონია (სხვათა შორის, როდესაც სემიტური შაბათი ბერძნულად იქნა გადაღებული, შიშინა შ გადაკეთდა სისინა 'ს'დ და ასე გავრცელდა სხვა ენებში: რუსული *суббота*, ფრანგული *samedi*...).

ასევე ყველა ბოლოკიდური -იზმი და -აცია ლათინურ წარმოშობაზე მიუთითებს, მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ბერძნულის მსგავსად (იხ. ზემოთ § 264) ლათინური ფუძეები და აფიქსებიც ხშირად არის გამოყენებული ისეთი ინტერნაციონალიზმების საწარმოებლად, რომლებსაც უშუალოდ ლათინურში ვერ ვიპოვიით: *სოციალიზმი*, *კაპიტალიზმი*, *ფაშიზმი*, *ფაშიზაცია*, *დენაციფიკაცია*...

267. გარდა ზემოთ განხილულისა, უნდა დავასახელოთ ი ტ ა ლ ი უ რ ი ენაც როგორც საერთაშორისო მუსიკალური ტერმინოლოგიის წყარო:

არია, *არიოზო*, *სოლო*, *დუეტი*, *ტრიო*... *ბარიტონი*, *ტენორი*, *სოპრანო*... *სონატა*, *სონატინა*... *ვიოლინო*, *ვიოლონჩელი*, *ფორტეპიანო*... *ოპერა*, *ოპერეტა*... *დო*, *რე*, *მი*,... *პიანო*, *პიანისიმო*... *სოლფეჯიო*...

ჰო ლ ა ნ დ ი უ რ სიტყვებს მნიშვნელოვანი ადგილი უქირავს საზღვაოსნო ტერმინოლოგიაში:

ბოტი, *ბუქსირი*, *ვატერპასი*, *ფარეატერი*, *შტილი*...

„ნახესხები“ და „უცხო“ სიტყვების განსხვავებისათვის

268. ზოგჯერ უცხო წარმომავლობის სიტყვებს აჯგუფებენ ნ ა ს ე ს ხ ე ბ და საკუთრივ უ ც ხ ო სიტყვებად. ამგვარი დაჯგუფება გულისხმობს, რომ უცხო წარმოშობის იმ სიტყვათა გარდა, რომლებიც ენაში დამკვიდრდა (ვთქვათ, ქართულში — *შაეი*, *მაჯა*, *ჩოხა*, *ქალი*...). არის სიტყვები, რომელთა უცხოობა აშკარად საგრძნობია (ვთქვათ, ასეთი სიტყვები: *აბსენტეიზმი*, *პუნში*, *სომბრერო*...).

სხვა ენებიდან შემოსული სიტყვების ამგვარ დაჯგუფებას თითქოს მხარსაც უჭერს ისეთი შემთხვევები საბას ლექსიკონიდან, სადაც უცხო წარმომავლობის ერთი სიტყვა მეორე უცხო სიტყვით არის განმარტებული, ამასთანავე, საბას ლექსიკონში ერთის უცხოობაზეა მითითებული, მეორე კი საკუთრივ ქართულ სიტყვად მიიჩნევა: *„სასაღარი სპარსულია, ქართულად სასაშეტი ჰქვია“*, *„სასარეზი სომხურად სტადიონი“*

* სულ „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ შეტ.ნ.ლი. სიტყვებო საზღაპანდე ენიდან თუ ენათა ჩგუფიდან.

ჰქვიან, ხოლო ქართულად მინდორს, რომელ არს შეიდანნი“, „ასპიროზ ცისკრის ვარსკვლავსა ეწოდების და ქართულად აფროდიტი და მოიგბი ჰქვიან“, „ბედაური ქართულად ავბელი“ და სხვ.

უცხოურობაზე მითითება და ქართული შესატყვისის მიწერა უქველად პურისტულ მიზანს ისახავს — ენის სიწმინდის დაცვას ცდილობს და ემყარება ლექსიკოგრაფის გრძნობას ამა თუ იმ სიტყვის „უცხოურობის“ შესახებ. მაგრამ ეს გრძნობა რომ საიმედო კრიტერიუმს არ წარმოადგენს სიტყვათა დასაჯგუფებლად, იქიდანაც ჩანს, რომ უცხოურის ბადალი „ქართული“ სიტყვაც არაიშვიათად ისევე უცხოურიც: სპასჰეტი, შეიდანნი, აფროდიტი, ავბელი... სპასჰეტი'ცა და სპასალარი'ც „ვეფხისტყაოსანში“ ერთმანეთის გვერდით გვხვდება: „ავთანდილ იყო სპასჰეტი, ძე ამირ-სპასალარისა.“ აქ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვივარაუდოთ, თითქოს მწერალი მათ განასხვავებდეს მეტ-ნაკლები უცხოურობის მიხედვით.

ახლად შემოსული მასალის უცხოობა ხშირად თითქოს საგრძობია, მაგრამ საამისო ობიექტური მაჩვენებელი ძნელი დასაძებნია. მართალია, უცხო წარმომავლობის კაშხე, ჟღე, კუპე, პიურე არ იბრუნვის იმ წესით, როგორც ეზე დაბოლოებული უძველესი სიტყვები — ღამე, დღე, ძე — იბრუნვიან: ღამე — ღამისა, მაგრამ კუპე — „კუპისა“ კი არა! მაგრამ ეს ობიექტური მაჩვენებელიც არ არის ბოლომდე სანდო: კუპე და კაშხე-სიტყვებზე უფრო ახალი (ე. ი. უფრო გვიან შემოსული) ტაქსი ერთბაშად მოექცა ზოგად სახელთა ყალიბში და ბოლოკიდური ი თავიდანვე გააზრიანდა სახელობითი ბრუნვის ნიშნად: ამიტომ ქირაობენ ტაქსს (და არა „ტაქსის“) სხდებიან ტაქსში (და არა „ტაქსში“)...

ამრიგად, შეთვისებული მასალის დაყოფა „უცხო“ და „ნასესხებ“ სიტყვებად არ ხერხდება ობიექტურად, ხოლო „მეტყველის გრძნობა“ აქაც არ არის საიმედო კრიტერიუმი.

„ეგზოტიკური ლექსიკა“

269. სამაგიეროდ, მიზანშეწონილია ცალკე გამოიყოს ე. წ. ეგზოტიკური ლექსიკა. ამ სახელწოდებაში გაერთიანებულია ის უცხო სიტყვები, რომლებიც სათანადო ენობრივი კოლექტივის ყოფის სპეციფიკურ მოვლენათა აღმნიშვნელია და ქართულში მხოლოდ თარგმანებში ან უცხოური ყოფის აღწერისას გამოიყოფა.

„ეგზოტიკურ ლექსიკას“ მიეკუთვნება, მაგალითად, ესპანური ენიდან მომდინარე ტორერო, იდალგო, იაპონური საკურა, კიმონო, რუსული სტეპი, პელმენი... გარკვეული ემოციური იერის მატარებელია

ამერიკანოზმები: სუაერმენი, ბიზნესმენი, კოგზოი, ბიგნიკი (რომელშიც 'უქნარას' აღმნიშვნელ beat-ფუძეს დართული აქვს რუსული დაბოლოება -ПНК)... ასევე, სპეციფიკური ელფერი ახლავს ნაციზმისდროინდელ გერმანულ ნეოლოგიზმებს, როგორცაა ვერმახტი, ესეი, გეს-ტაპო, ზლიცკრიტი, ზონდერფიურერი და თვით ფიურერი...

კავკასიის მთიანეთის ყოფასთან არის დაკავშირებული აუღი, შუა-აზიის ყოფასთან — იურთი, ყიშლაღი, ამერიკის ინდიელთა ყოფასთან — ვიგვამი, მოკახინი *...

არსებითად, ერთი და იმავე ობიექტის, 'ველის' აღმნიშვნელი სიტყვები სხვადასხვა იმის მიხედვით, თუ რომელი ენობრივი კოლექტივის საცხოვრებელი ადგილის სახელს წარმოადგენს: რასაც რუსულში სიტყვა იგი ამერიკის კონტინენტისათვის პიურია-სიტყვით აღინიშნება, და მასვე საეანას უწოდებენ აფრიკისათვის (და ზოგი სხვა ქვეყნისათვის). ასევე, სხვადასხვა სახელებია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის გრიგალისათვის: ციფუნი, ვრაგანი...

ცალკე გამოსაყოფია ისეთი სიტყვები, როგორცაა მერსი, პარდონ, გულბაი, თკეი, ნაო, სადოლ... ისინი ქართული ენის კუთვნილებას არ წარმოადგენენ.

ნაწილობრივი სესხება. კალკი

270. ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ს ე ს ხ ე ბ ი ს ერთი მაგალითი ზემოთ მოვიყვანეთ.

ესაა სიტყვა ლუდხანა. რომელსაც მეორე ნაწილად აქვს 'საქლის' აღმნიშვნელი სპარსული სიტყვა ხანა და, ამრიგად, ნაწარმოებია ნა-სესხები -ხანა-კომპონენტის სიტყვების შესავსად (ქარხანა, ზარაფ-ხანა, თოფხანა, ჩაიხანა). პირველ ნაწილად კი ქართულში დამკვიდრებული ლუდი-სიტყვის ფუძე აქვს მიღებული.

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ სიტყვა ლუდი შაბი არის ფარდი საშუალორანული კომპოზიტისა, რომლის მეორე ნაწილი ისევე ვეშაბი არის — *višāpa* —, ხოლო პირველი ნაწილი (*aži*) ნიშნავს 'გველს' [11].

ვირთაგა'ც ორი ნაწილისაგან არის შედგენილი -- გვიანდელი ნასესხები ზურუ და მნიშვნელობით ამისი მონათესავე ქართული სიტყვა თაგვი [177].

* ეს უკანასკნელი კარგი მაგალითია ისეთი „ეგზოტიკური სიტყვისა“. რომელიც გარკვეულ პირობებში ჩვეულებრივი ნასესხები სიტყვის მდგომარეობაში აღმოჩნდება ბოლმე.

ნაწილობრივი სესხება ფართოდ გავრცელებულია კალკის სახით. კალკი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „შეფარვით სესხებაა“. შეიძლება ხდებოდეს მიბაძვითი სიტყვაწარმოება, ან კიდევ მნიშვნელობის სესხება.

271. მიბაძვითი სიტყვაწარმოების შემთხვევაში ნიმუშად აღებულია რომელიმე უცხო ენის კომპოზიტი ან ნაწარმოები სიტყვა და მის ყაიდაზე აიგება ხოლმე ქართული სიტყვა. მიბაძვითი სიტყვაწარმოება მეტწილად წიგნური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, „სპეციალურ ენებში“ გვხვდება ხოლმე. აქ უცხოენობრივი ტერმინის შინაარსის ზუსტად გადმოცემის მიზნით ამ სიტყვის აგებულება გადმოიცემა.

მიბაძვითი სიტყვაწარმოების ნიმუშს წარმოადგენს *შკუშუ*: იგი ორშემადგენლობიანია—ბოლოკიდურ *შუ*-მარტვალს უძღვის *შკუ*-კომპლექსი, რომელიც ძველ ქართულში იწერებოდა (და ალბათ ითქმოდნა) როგორც *შკუშ*. ცალ-ცალკე თითოეული მათგანი დამოუკიდებელი სიტყვა არის და ფარდია გარკვეული ბერძნული სიტყვისა: *შუ* ბერძნული *εξ*-ს ფარდია, *შკუშ* *εὐ*-ისა, კავშირი *შკუშუ* ბერძნულიდან ნათარგმნ ძველ ქართულ ტექსტებში იქ გვხვდება, სადაც დედანში (ბერძნულში) *εξ* *εὐ* წერია [106].

თანამედროვე ქართულში გავრცელდა ისეთი კომპოზიტები, რომელთაც პირველ წევრად *ნაირ*-ფუძე აქვთ: *ნაირსახეობა*, *ნაირტიპურობა*, *ნაირბალახიანობა*, *ნაირღამუხტული*... აშკარაა, რომ *ნაირი* გამოყენებულია „შესაბამისი რუსული კომპოზიტის პირველი ნაწილის თარგმანად — *разно*“ს ფარდად და თითოეული *ნაირ*-ით დაწყებული ქართული რთული სიტყვა წარმოადგენს იმავე მნიშვნელობის რუსული სიტყვის კალკს:

разновидность — *разн-о-* — *ნაირ*-, *вид* — *სახე*-, *н-ость-ობა* — *ნაირსახეობა*; *разн-о-род-н-ость* — *ნაირ-გეარ-ობა*, *разн-о-тип-н-ость* — *ნაირ-ტიპ-ურ-ობა*, *разн-о-за-ряж-ен-ный* — *ნაირ-ღამუხტული*... *за-ряжение* და *მუხტვა*’ს საპირისპიროდ შექმნილია ქართული ტერმინი *გან-მუხტვა*. რომელიც რუსული *раз-ряжение*-სიტყვის აგებულებას იყენებს: რუსული *раз-/рас-*პრეფიქსისათვის ქართული *გან-*პრეფიქსი არის გამოყენებული:

გან-ბლოკირება — *раз-блокировка*. *გან-შტოება* — *раз-ветвление*. *გან-მაგნიტებადობა* — *раз-магнитиваем-ость*: აქ *მაგნიტ*-ფუძე ნასესხებია, მთელი სიტყვა კი, საკმაოდ რთული აგებულებისა, კალკს წარმოადგენს.

რთულ სიტყვებში რუსულის *вне-*პრეფიქსის ფარდად ქართულად

ხშირად გამოყენებული არის სუფიქსად -გარე და ამ გზით მიღებულია სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ტერმინები:

უჯრედგარე — внеклеточный, ფესვგარე — внекорневой, ყვავილთ-გარე — внецветковой...

სპეციალური ტექნიკური სიტყვების, ტერმინების შექმნისას იგივე გარე თავკიდურად არის გამოყენებული:

გარეჩაზული — внеписанный, გარეცენტრულობა — внецентрич-ность...

თვით-თავკიდურიანი სიტყვები — თვითაალება, თვითაგზნება, თვით-ამორთვა, თვითაღნუნება, თვითბლოკვა და სხვ. — იმ სპეციალური სიტყვე-ბის ფარდია, რომლებიც რუსულში само-ელემენტით იწყება:

самовоспламенение, самовозбуждение, самовыключение...

ამავე აგებულებისაა ზოგი სხვა (არასპეციალური, მაგრამ წიგნუ-რი) სიტყვა: თვითაღზრდა — самовоспитание, თვითმფრინაეი — са-молет და სხვ. მათ შორის თვითმყრობელობა — самодержавие, რო-მელიც თავის მხრით ბერძნულის კალკია: αυτοκρατεία.

თანა-თავკიდურიანი სიტყვებიდან ბევრი შექმნილია со-, с-პრეფიქ-სიანი რუსული სიტყვების გადმოსაცემად:

თანაგრძობა — сочувствие, თანამებრძოლი — соратник, თანამგზავ-რი — спутник...

უნდა შევნიშნოთ, რომ თვით რუსულში სპეციალურ სიტყვათა მე-ტი წილი ასევე კალკირებულია ევროპული ენებიდან:

გერმანულის კალკს წარმოადგენს ბევრი раз-/рас- თავკიდური-ანი ტერმინი. გერმანულში მას ver- თავსართი შეეფერება: разбав-ление — verdünnen (განზავება), разветвление — verzweigung (განშტოება)...

вне-თავკიდურიანი ტერმინებიც ბევრ შემთხვევაში გერმანულის კალკია და ausser-ის გადმოღებას წარმოადგენს: внецентричный — Aussermittlung (გარეცენტრული)...

რუსული само-წარმოების ტერმინები გერმანული selbst-წარ-მოების ტერმინთა მიხედვით არის შექმნილი: самовозбуждение — Selbsterregung (თვითაგზნება)...

воз-, вос- წარმოების რუსულ ტერმინთა ფარდია ისეთი გერმა-ნული ტერმინები, სადაც თავკიდურად er გამოდის: возвышать — erhöhen, возбуждение — Erregung, возобновить — erneuern...

ცხადია, თვით გერმანული ტერმინები არაიშვიათად ლათინურ-ბერ-ძნული წარმოშობის და ინტერნაციონალური ხასიათის მქონე ელემენ-ტების შესატყვისია:

ქართ. გარეთი- თვით- აღ-	რუს. вне- само- воз-	გერმ. ausser- selbst- er-	ლათ. extra- ბერძ. auto- ლათ. ex- და სხვ.
-------------------------------	---	--	---

ზეპირმეტყველებაში დამკვიდრებული სიტყვაწარმოებითი კალკის ნიმუშია *სინდისი*'ს სინონიმი *პირშყალი* (საბას განმარტებით 'უაუგო ქცევა'), ამავე მნიშვნელობის სპარსული სიტყვის ფარდი: *აბრუ-სიტყვა*, რომელიც ჩვენშიაც არის შემოსული, კომპოზიტია და სიტყვასიტყვით სწორედ 'პირის წყალს' (*აბ-რუ*) ნიშნავს.

272. კალკის მეორე სახეობა — მნიშვნელობის სესხება (კალკირებული მნიშვნელობა) ვარაუდობს სიტყვის მეორეული მნიშვნელობის შექმნას უცხოენობრივი პოლისემიური სიტყვის ზეგავლენით.

ზემოთ განვიხილეთ სიტყვები *დამუხტვა* და *განმუხტვა*; მათთვის ამოსავალია *მუხტ-ფუძე*. *მუხტი* ჩვენი ძველი ლექსიკოგრაფების ცნობით 'ვაზნა' არის, ე. ი. 'თოფისწამლის მასრა' *патрон*. *მუხტი* მიუსადაგეს რუსულ *заряд*'ს, რომელიც, პირველ ყოვლისა, თვით 'თოფისწამალს' აღნიშნავს, შემდეგ 'მასრას' (*патрон*), ან 'ჭურვს' (*снаряд*). რომელშიც თოფისწამალი არის მოთავსებული. რუსული *заряд* ფიზიკისა და ელექტროტექნიკის ტერმინადაც არის გამოყენებული — ალბათ გერმანული *Ladung*'ის გავლენით. ეს გერმანული სიტყვა ნიშნავს, ჯერ ერთი, 'ტვირთს' და შემდეგ, როგორც 'თოფისწამალს', ისე ფიზიკა-ელექტროტექნიკის ტერმინს. *Заряд-სიტყვის* მეორე მნიშვნელობის მიხედვით ქართულშიც მუხტი გამოყენებული იქნა „ამა თუ იმ სხეულში არსებული ელექტრობის რაოდენობის“ აღსანიშნავად. აი, ასეთი შემთხვევები წარმოადგენს კალკს — მნიშვნელობის სესხებას.

აი, კიდევ რამდენიმე მაგალითი: *ანთება* საბას დროს მხოლოდ 'სანთლის მოცეცხლა' იყო. ნიკო ჩუბინაშვილმა [140] ამ სიტყვას კიდევ ერთი მნიშვნელობა დაურთო — 'სნეულის დიდი სიციხე' — და რუსული ფარდიც *воспаление*. თვით რუსულშიც *воспаление-სიტყვის* ეს მეორე (სნეულელებაზე მიმითებელი) მნიშვნელობა უშუალოდ პირველისაგან არ განვითარებულა: ასევეა ფრანგულში — *inflammation* (და გერმანულში — *Entzündung*) — და მომდინარეობს ლათინურიდან — *inflammatio*.

განათლება ნიკო ჩუბინაშვილისათვის მხოლოდ განათებაა — 'ნათლის მოფენა' (*სულგანათლებული* გულისხმობს ამ სიტყვის გადატანითს ხმარებას რელიგიის სფეროში), მეორე მნიშვნელობა — 'სწავლა-გა-

ნათლება' — რუსულის გავლენით არის მიღებული: просветлеть, просвещение, просвещать-სიტყვებს ვ. დალის ლექსიკონში (XIX ს. ნახევარი) ჭერ კიდევ შენარჩუნებული აქვს გარდამავალი მნიშვნელობა — „свет науки и разума, согреваемый чистою нравственностью წმინდა ზნეობით გამოთბარი ნათელი მეცნიერებისა და გონებისა“ [191]; შემდგომი საფეხურია просвещение'ს ხმარება образование'ს ფარდად. ანთება-სიტყვის მსგავსად რუსულ просвещение'ში ახალი მნიშვნელობა განვითარებულა სხვა ენების გავლენით (შდრ. ფრანგული éclairé: 'განათებული' — 'განათლებული').

დამკერული 'კარგად მომუშავის' მნიშვნელობით რუსულის კალკია: удар-სიტყვას, ვ. დალის თქმით, კაზაკთა მეტყველებაში მიღებული აქვს სპეციფიკური მნიშვნელობა — „приступ, атака, нападение лавой — შეტევა, იერიში, გაშლილი მწყობრით თავდასხმა“ *. Ударник 'კარგად მომუშავე' საკუთრივ რუსულ ნიადაგზეა შექმნილი — ევროპულ ენებში ამ მნიშვნელობით სწორედ რუსულიდან ნასესხები სიტყვა გამოიყენება: oudarnik (ფრანგულში), udarnik (ინგლისურში), ან კიდევ რუსულის კალკი (როგორც ქართულშია): travailleur de choc (ფრანგულში), shock worker (ინგლისურში), Siassarbeiter (გერმანულში).

დაფარავს-სიტყვის მნიშვნელობა '(ვალს) გაისტუმრებს, (გადასახადს) გადახდის' თანამედროვე ქართულისათვის არის დამახასიათებელი. ამ ასი-ასორმოცდაათი წლის წინათ დაფარავს-სიტყვას ეს მნიშვნელობა არ ჰქონდა; ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში დაფარავს არის 'შენახვა საფარველს ქვეშე', ან კიდევ 'დამალვა'. ამ სიტყვამ '(ვალს) გაისტუმრების' მნიშვნელობა, უეჭველია, რუსულის გავლენით შეიძინა: покрывать-სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა 'возместить — ზღვა, ანაზღაურება' და რუსულსავე ახასიათებს გამოთქმები: покрывать задолженность, покрывать издержки. თვით რუსულშიც ეს სიტყვა, ქართულის მსგავსად, მნიშვნელობის სესხების, კალკის შედეგია: ძველ რუსულში покрывати 'გადახდის' მნიშვნელობით არ იხმარებოდა [230]. ახალი ენებიდან ფრანგულს აქვს გამოთქმა, სადაც 'დაფარვის' მნიშვნელობის ზმნა couvrir 'გასტუმრება-გადახდას' ნიშნავს — couvrir les frais; les frais ფრანგულ-

* შდრ. ინგლ. shock action 'კ:ვალერასტების იერიში': shock ინგლისურში არის 'დარტყმა. დავრა' (удар).

ში სწორედ 'ხარჭებს' ნიშნავს და რუსული გამოთქმაც — *покрывать издержки* ფრანგულის კალკს წარმოადგენს.

ასევე, ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში, როდესაც ქართული და რუსული სიტყვების „დამატებითი“ მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა, ქართული ახალი მნიშვნელობა, მართალია, რუსულის გავლენით არის წარმოქმნილი, მაგრამ ხშირად საქმე გვაქვს არა სპეციფიკური რუსული მოვლენის გადმოტანასთან, არამედ უცხოენობრივი მნიშვნელობის შეთვისებასთან რუსულის მეშვეობით:

ფართოვდება — *расширяется* *: „გლეხური მოძრაობა ფართოვდება“; ფაქიზი — *тонкий*: „ფაქიზი გემოვნება“ **, *გამოწრთობილი — закаленный*: „გამოწრთობილი მებრძოლი“ ***, *ფესვი — корень*: „კვადრატული ფესვი“; ფიზიკური — *физический*: „ფიზიკური გონება“, *ღარიბი — бедный*: „ღარიბი ლიტერატურა“, *აყვავება — расцвет*: „კულტურის აყვავება“, *ფრთა — крыло* სამხედრო საქმეში და პოლიტიკაში, *ფუძე — основа* ლინგვისტიკაში...

კალკის შედეგია, რომ 'ავიატორს' შფრინავ'ს ვუწოდებთ (შდრ. რუს *лётчик*), 'შოფერს' — მძღოლ'ს (რუს. *водитель*), 'კონდუქტორს' — გამყოლ'ს (რუს. *проводник*, რომელიც თვით რუსულში კალკია. შდრ. ლათ. *con-duc*)...

278. აღნიშნავენ, რომ სიტყვათა სესხებისაგან განსხვავებით კალკი ვარაუდობს ორი ენობრივი სისტემის ღრმა ურთიერთგამსჭვალვას: ჩვეულებრივი სესხების დროს თითქოს არავითარ შემთხვევაში არ ივარაუდება, რომ მსესხებელი ლაპარაკობს იმ ენაზე, ან რამდენადმე იცის ის ენა, რომლიდანაც გადააქვს სიტყვა, ხოლო „კალკი მიიღება ორი განსხვავებული ენიდან აღებული სიტყვიერი სახეების აღრევიით“ [182].

ამგვარი ვარაუდი სადავოა. სიტყვის სესხების დროსაც საჭიროა მსესხებელმა პირმა იცოდეს (რამდენიმედ მაინც) მშობლიური ენის გარდა ის ენაც, საიდანაც მას სიტყვა გადმოაქვს. მეორე მხრივ, სხვა ენის მიბძვით ნაწარმოები სიტყვის თუ კალკირებული მნიშვნელობის მქონე სიტყვის მომხმარებელს არ ესაჭიროება ამოსავალი ენის ცოდნა და იმის გაცნობიერება, რომ მის მიერ ხმარებული მნიშვნელობა სხვა ენიდან არის გადმოღებული, ან მის მიერ ხმარებული ნაწარმოები სიტყვა სხვა ენის თარგზვა გამოპკირილი.

* შდრ. რუს. *расширение* — გერმ. *Verbreitung*.

** შდრ. რუს. *тонкий* — ფრ. *fin*, გერმ. *fein*.

*** შდრ. რუს. *закалка* — ფრ. *la trempe* და სხვ.

სესხებაც და კალკიც ერთგვარად ვარაუდობენ, ჯერ ერთი, უცხო-ენობრივი მასალის გადმომღებს, რომელმაც ეს უცხო ენა მეტ-ნაკლებად იცის, და, შემდეგ, მომხმარებელს, რომლისთვისაც ამ უცხო ენის ცოდნა სავალდებულო არ არის.

ნასესხები მასალის ადგილი ქართული ენის ლექსიკურ ფონდში

274. ფაქტი სესხების არსებობისა (საკითხი შეეხება როგორც უშუალოდ სიტყვათა სესხებას, ისე სიტყვის ფუძეების შემოტანას სხვა ენებიდან; როგორც მიბაძვით სიტყვაწარმოებას, ისე მნიშვნელობის გადმომღებას) არ ნიშნავს, თითქოს ქართული ენის ლექსიკური ფონდი წარმოადგენდეს ძირითადად უცხოური სიტყვების (ან უცხოურ ყაიდაზე შექმნილი სიტყვების) გროვას, ხოლო საკუთრივ ქართული მასალა მცირე რაოდენობითაა მონაწილეობდეს მასში.

თვით საკუთრივ ქართული სიტყვები ქართულ ლექსიკურ ფონდში სრულებით არ არის მცირე რაოდენობისა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს არაკომპეტენტურ მეთვალყურეს.

ქართული ენის ლექსიკას, მის მნიშვნელობითს მხარეს უეჭველ თავისთავადობას, თვითმყოფობას ანიჭებს ის შინაარსობრივი ჯგუფები, რომელთაც საკუთრივ ქართული სიტყვები ქმნის: სხეულის ნაწილთა სახელები, ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვები, მცენარეთა და ცხოველთა, აგრეთვე, ბუნების მოვლენათა სახელწოდებანი, რიცხვითი და ზედსართავი სახელები, ნაცვალსახელები და ზმნისართები იქნებ რაოდენობრივად—ქართული ენის მთელ ლექსიკურ ფონდთან შედარებით—თვალში საცემი არ იყოს, მაგრამ საეჭვოა ფარავს ენის სემანტიკური სისტემის ბირთვს; რაც შეეხება ზმნებს, აქ წმინდა რაოდენობრივი მიმართებაც კი ნასესხებ ფუძეებსა და ოდინდელ მასალას შორის ისეთია, რომ შეიძლება დარწმუნებით ვილაპარაკოთ ზმნური ლექსიკური ერთეულების მთლიანად ქართულ ხასიათზე: ნასესხები ზმნური ფუძეები (მეტწილად ნასახელარნი) თითებზე ჩამოსათვლელია, ხოლო საკუთრივ ქართული მარტივი ზმნური ფუძეების რაოდენობა რამდენსამე ათასს აღწევს, რაც თავის მხრით ვარაუდობს ათეული ათასობით ზმნურ ლექსემებს (ლექსიკურ ერთეულებს). მარტივი ზმნური ფუძე (ძირი) ზმნად, ზმნურ ლექსიკურ ერთეულად ვლინდება მაწარმოებელი ელემენტების დართვით, რომელთა დიდი რაოდენობა და მრავალგვარი შეხამებადობა საყოველთაოდ არის ცნობილი (შედარებით იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც

ზმნური ძირი უშუალოდ — მაწარმოებელ ელემენტთა დართვის გარეშე — მონაწილეობს ფლექსიაში).

275. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ სხვა უძველესი ქართული სიტყვებიც (ზემოჩამოთვლილი კლასებიდან, — არამხოლოდ ზმნები), რომლებსაც ქართული ენის სიტყვათა სიაში რაოდენობრივად დიდი ადგილი არ უჭირავს, თავის დიდ ხვედრითს წონას ავლენს მოხმარებისას, მეტყველებაში. ხმარების სიხშირის მიხედვით უძველესი ქართული ლექსიკა დიდად სჭარბობს შეთვისებულ მასალას. აი, მაგალითად, უხშირესი სიტყვები (ათასჯერ და მეტჯერ ხმარებულნი ვაეას ნაწერებში): ამბობს, არა, არის, აქ, აქვს, აღარ, ბევრი, და (კავშ.), დედა, დღე, ერთი, ეს, ეტყვის (ეუბნება), ეხლა (ახლა), ვინ, თავი, თვალი, იმ, ის, იქნება კარგი, კაცი, მამა, მამინ, მე, მთა, მტერი, ნახავს, მუხა, ნუ, ორი, პირი, რა, როგორც, რომელი, როცა, სად, საზრდო, საქმე, სხვა, უნდა, ქალი, ღმერთი, ყველა, შინ, შეილი, სემი, სენ, ცა, წაეა, ხედავს, ხომ, მმა, ხალხი... ამიტან არა უქველეს ფონდს ორიოდ სიტყვალა მიეკუთვნება: ხალხი, ქალი... [35. შტრ. 2].

276. მაგრამ არამხოლოდ რაოდენობრივი მხრით არის მნიშვნელოვანი საკუთრივ ქართულ ფუძეთა ბირთვის როლი ქართული ენის ლექსიკურ მარაგში.

საკუთრივ ქართული სიტყვები არის ძირითადი მატარებელი ქართული ენის ფონოლოგიური მოდელისა. საკუთრივ ქართულ სიტყვათა ბგერითი, ყალიბის მიხედვით ხდება გარედან მოსული ლექსიკური მასალის გადამუშავება და გაქართულება.

უცხო სიტყვა პირველივე ქართული წარმოთქმის დროს კარგავს უცხოურ ბგერადობას და იძენს ქართულ ელფერს: რუსული копейка (карѣйка), როგორც კი ის ქართველმა კაცმა წარმოთქვა, იქცა კაიიკა სიტყვად (кайики). შეიძლება ითქვას, რომ ამოსავალი რუსული სიტყვის თითქმის არც ერთი ბგერა არ არის გამეორებული ქართულში: რუსული კ და п თანხმოვანი ყრუ ფშვინვიერი ბგერებია, მათ ქართულში მკვეთრი ყელხშული ბგერები შეენაცვლა (რომლებიც, როგორც გარკვეულია, არა მხოლოდ ანატომიურ-ფიზიოლოგიურად, არამედ აკუსტიკურადაც უფრო შორს დგანან რუსულ ყრუ ბგერებთან, ვიდრე ქართული ფშვინვიერები [13]); ქართული ი ხმოვნის ფარდი რუსულ სიტყვაში საერთოდ არ ჩანს (რუსულში სათანადო ადგილას არის დიფთონგი еи), ხოლო რუსული უმახვილო о ფონეტიკურად არ ემთხვევა ქართულ (მახვილიან) ა ს *; ქართულში გაუჩინარებულა რუსული სიტყვის ბო-

* „...შუა რიგის ხმოვანია რუსული а (ე. ი. უმახვილო — ბ. ფ.)...; რომელიც, მაშასადამე, იმავე რიგისაა, რომლისაც ქართული ა, მაგრამ ერთმანეთისაგან ძლიერ

ლოკიდური ხმოვანი. ბოლოს, ადგილი შეცვლილი აქვს მახვილს. მოკლედ, ელერადობის მიხედვით ქართული კაპიკი მთლიანად დაშორებულია ამოსავალი სიტყვის ბგერადობას და სავსებით ექვემდებარება იმ წესებს, რომლის მიხედვითაც აგებულია საკუთრივ ქართული, „ოდინ-დელი“ სიტყვები.

277. ნასესხები სიტყვის გაქართულება ხდება არა მხოლოდ ბგერადობის, არამედ ა გ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მიხედვითაც.

ამჟამად რუსულად მეტყველი копейка-სიტყვაში ალბათ „შუბს“ (копье) აღარ წარმოიდგენს * (ისევე, როგორც ქართველი მოსწავლისათვის რვეული-სიტყვაში რიცხვი „8“-ის მონაწილეობა გაცნობიერებული აღარაა), მაგრამ რუსულად მეტყველისათვის უექველად ხელშესახებია სიტყვის (еѣ)ка-დაბოლოება, რომელიც ბევრი რუსული სიტყვისათვის არის დამახასიათებელი (индейка, канарейка, телогрейка...). ამრიგად, копейка'ს, მისი ფუძის ეტიმოლოგიის მიუხედავად **, რუსი მეტყველი შეიცნობს როგორც რუსულ სიტყვას, რუსულად აგებულ სიტყვას. ქართულ კაპიკა-სიტყვაში დაბოლოება ნაწილობრივ მოკვეცილია და რუსულთან დაკარგული აქვს კავშირი არა მხოლოდ ფონეტიკურად, არამედ აგებულებითაც, მორფოლოგიურადაც.

თვით ქართულში -იკა-დაბოლოებიანი სიტყვები ბევრია: ბილიკი, ბორძიკი, სასტიკი, ცამიკი, შაკიკი, შიკრიკი, ზელიკი... მაგრამ -იკა- დაბოლოება არ გაიაზრება ქართულში როგორც ფუნქციურად დატვირთული, ამდენად, კაპიკი ქართულ ენაში ნაწარმოები სიტყვის ელფერს არ ატარებს.

278. ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ о ე ბ ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა თ ა მიხედვით პარალელიზმი არ არსებობს უცხოურ სიტყვასა და მის გადმოქართულებას შორის.

რუსულში копейка'ს გვერდით ჩვეულებრივია მისგან ნაწარმოები კნინობითი копеечка, ზედსართავი копеечный და აქედან ნაწარმოები копеечник 'ქვაწვიას, ქუნწის' მნიშვნელობით, და მესამეული წარმოება копеечничать 'ქვაწვიობა'... ამათგან მხოლოდ ზ ე დ ს ა რ თ ა ვ копеечный'ს აქვს ფარდი ქართულში — კაპიკიანი — და ისიც ზედსართულად იშვიათად იხმარება („კაპიკიანი კალამი“, „კაპიკიანი ჩაი-შაქა-

განსხვავდებიან: ქართული ა იმდენად უფრო წინაა რუსულის ამ ა-ზე, რომ ძლიერ უახლოვდება წინა რიგის ე-ს; ხოლო რუსული ა იმდენად უფრო უკანაა, რომ ენის მდგომარეობით უახლოვდება უკანა რიგის ო-ს... [12].

* ვარაუდობენ, რომ რუსულში ამ მონეტის მაგვარი სახელი ინახ შეპირობა, რომ ზედ შუბოსანი მხედარი იყო ამოტვიფრული.

** არსებობს მისი ეტიმოლოგიის შესახებ რამდენიმე სხვაგვარი ვარაუდი [233].

რი“), უპირატესად კი არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვს: კაპიკიანი — 'ერთი კაპიკის ღირებულების მქონე ლითონის ფული', რისი ფარდიც რუსულ ენას არა აქვს. копеечный და ნაწარმოები копелчник- და მისი განშტოება копеечничать-მნიშვნელობის სიტყვები ქართულ ენას სხვა ფუძეებიდან აქვს ნაწარმოები და ამ რუსულ სიტყვებთან არ არის მისადაგებელი.

მეორე მხრით, კაპიკი-სიტყვიდან ნაწარმოებ უკაპიკო-, უკაპიკოდ-, კაპიკ-კაპიკ-სიტყვებს რუსულში ფარდი არ მოეპოვებათ.

279. ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი უ რ ი გ ა რ ე მ ო ც (ჩვეული კონტექსტები) ქართულ კაპიკი-სიტყვასა და რუსულ копейка's განსხვავებული აქვთ.

რუსული копейка ამგვარ კონტექსტებში მონაწილეობს: как одну копейку — 'შლიანად, სავსებით (დახარჯვა)', дрожит над каждой копейкой — 'უზომოდ ანგარიშიანია', перебивается с гроша на копейку — 'ძალზე უკირს', ставит ребром последнюю копейку — 'თავის მოსაწონებლად უანგარიშოდ ფლანგავს' და სხვ. მათი ფარდი გამოთქმები (კაპიკის მონაწილეობით) ქართულ ენაში არ არსებობს.

მეორე მხრით, რუსულში ფარდს ვერ პოულობს (ე. ი. копейка-სიტყვის მონაწილეობით შექმნილი ფრაზეოლოგიზმების სახით არ გვხვდება) ქართულში გავრცელებული გამოთქმები: „კაპიკია მისი ფასი“, „კაპიკი არ უწყყის ჯიბეში“ და სხვ.

копейка-კაპიკის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ქართულ გარემოში მოხვედრილი უცხო სიტყვა ელფერს იცვლის და ქართულდება ფონეტიკურადაც, აგებულებითაც, სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობებითაც, ფრაზეოლოგიური გარემოს მიხედვითაც.

280. ერთადერთი ნიშან-თვისება, რითაც ქართული კაპიკი და რუსული копейка ერთმანეთს გვერდით უდგანან, არის საგნობრივი მიმართება: იმის გამო, რომ ამ საუკუნენახევრის განმავლობაში საქართველოში ტრიალებს რუსული და შემდეგ საბჭოური ფული, რომლის უმცირესი ერთეული არის კაპიკი, — копейка და კაპიკი ერთგვარი საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვებია, ამ მხრივ სხვაობა მათ შორის არ შეიძინევა. მაგრამ ასევე ერთგვარ საგნობრივ მიმართებას ავლენენ რუსული рубль და ქართული მანეთი, რომელიც რუსულიდან არ მომდინარეობს და, რა თქმა უნდა, рубль-ის გადმოქართულებას არ წარმოადგენს. копейка და კაპიკის საგნობრივი მიმართების ერთგვარობაც ამ სიტყვათა ერთიანი წარმომავლობის შედეგი არაა.

სხვა შემთხვევებში უცხოური სიტყვები ქართულ გარემოში მოქცევისას მნიშვნელობას იცვლიან ხოლმე საგნობრივი მიმართებით მსგავსი.

(მეზობელი) სიტყვების თუ ახალი ყოფის გავლენით: ნასესხები უცხოური სიტყვა დამოუკიდებელი ლექსიკურ-სემანტიკური განვითარების გზით მიდის.

შაური- და აბაზი-სიტყვების ურთიერთდამოკიდებულება ძველებური დარჩა — „აბაზი ოთხი შაურია“ დღესაც ისევე, როგორც საბას დროს იყო; მაგრამ რეალური მნიშვნელობა კი იცვალეს: შაური 'ათი ფულის' აღმნიშვნელი იყო (ფული, მისი ერთ-ერთი მნიშვნელობით, ძველებურ წვრილ ფულს აღნიშნავდა); შაური შემდეგ ჩაერთო რუსული ფულის სისტემაში — *пятак*'ის ფარდად იქნა ნახმარი, 'ხუთი კაპიკის' აღმნიშვნელ სიტყვად იქცა. მაგრამ შაურს ერგვარი თავისთავადობა (*пятак*-თან დამოკიდებულებაში) მაინც აქვს: ჯერ ერთი, ძველ აბაზ თან მიმართება არ დაუკარგავს, მეორეც, ანგარიშისას რიცხვით სახელებს თავისებურად ეხამება და გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც შაურთა რაოდენობა მთელი აბაზზე არ დაიყვანება: ითქმის „2, 3, 5, 6, 7, 9, 10, 11, 13, 14, 15, 17, 18, 19 შაური“, მაგრამ არ არსებობს „4, 8, 12, 16, შაური“.

XIX საუკუნეში ათი კაპიკის ღირებულების მქონე ერთეულსაც თავისი სახელი ჰქონდა — უზალთუნი, ამიტომ „წყვილი შაურის“ გვერდით „ცალი უზალთუნიც“ იხმარებოდა ხოლმე (ე. ი. „ათი შაურის“ გვერდით იხმარებოდა აგრეთვე „ხუთი უზალთუნი“). დღევანდელი ქართულისაგან განსხვავებით აბაზს, უზალთუნს და შაურს ერთმანეთსაც უხამებდნენ, ნახევრობითაც იხსენიებდნენ (თუშანი¹სა და მანეთის² მსგავსად. შღრ. სამშა³ეთო-ნახევარი, ხუთთუშან-ნახევარი...). აი, დღევანდელისაგან განსხვავებული სიტყვახმარების ნიმუში ლ. არდაზიანის მოთხრობიდან: „ოთხი აბაზი მოგცე? — ვერ მოგცემ. — ოთხაბაზუზალთუნი?... — აჰა, მანეთი!... — ხუთ აბაზს რომ იძლევი, ღმერთი არ არის თქვენში?... — აჰა, ხუთაბაზუზალთუნი!“...

ამრიგად, თუ საგანგებო შემზღუდავი პირობები არ არსებობს, ნასესხები სიტყვა საგნობრივი მიმართების მიხედვითაც მოსწყდება ხოლმე პირველ წყაროს და ახალ გარემოში მისი მნიშვნელობა დამოუკიდებლად იცვლება.

შემოსული სიტყვები არა მხოლოდ სემანტიკურ თავისთავადობას იძენენ, არამედ მოხმარების სფეროს მიხედვითაც თავისებური გზით მიდიან და, შესაძლებელია, აღარც შეინარჩუნონ წყარო-ენისათვის დამახასიათებელი ელფერი: 'ღეთის მონის' აღმნიშვნელი არაბული აბდალ-ლამ მუსულმანურ სამყაროში ფართოდ არის გავრცელებული საკუთარ სახელად, ქართულში კი აბდალი 'სულელს, რევენს' აღნიშნავს.

როგორც ზემომოყვანილ მაგალითებზე დავინახეთ, ნასესხები სიტყ-

ვა ფონეტიკური, სიტყვაწარმოებითი და ფრაზეოლოგიური ნიშნების მიხედვით შემოსვლისთანავე გამოეთიშებოდა ხოლმე წყარო-ენას და ქართული ენის სათანადო (ე. ი. ფონეტიკურ, სიტყვაწარმოებითსა და ფრაზეოლოგიურ) სისტემებში იჭერდა ადგილს.

ქართულ ენაში შემოსული სიტყვა სემანტიკური რაობისა და ხმარების სფეროს მიხედვითაც იცვლებოდა ქართული სინამდვილის შესაბამისად და, სათანადოდ, ქართულ ენობრივ ჩვევათა თანახმად.

ის ათასობით უცხოური ფუძე, რომელიც ქართულმა ენამ შეითვისა საუკუნეთა განმავლობაში, ამჟამად წარმოდგენილია ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ათიათასობით ქართული სიტყვის სახით.

ქართულ ლექსიკურ ფონდს ამ სიტყვათა სესხებით თავისი მონოლითურობა არ დაუკარგავს, ქართული სემანტიკური სისტემა არ დარღვეულა, ბგერითს მოდელს სახე არ უცვლია, სიტყვაწარმოებითი ყალიბების განვითარების გზა არ გამრუდებულა. ქართულ სიტყვას ზემოქმედების ძალა არ შემცირებია.

ღამოწმებული ლიტერატურა *

1. ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944.
2. ლ. აბულაძე, ვაჟა-ფშაველას მხატვრული პროზის ლექსიკონის სტატისტიკური ანალიზი: „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, I, თბ., 1966.
3. იუსტ. აბულაძე, „ვისრამიანის“ ლექსიკონი: ვისრამიანი, თბ., 1938.
4. იუსტ. აბულაძე, შანაძეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, თბ., 1916.
6. მ. ალავეძე, დავით კლდიაშვილის ლექსიკონი: ქუთაისის პიშ, VI, ქუთაისი, 1946.
6. მ. ალავეძე, მასალები ლეჩხნური ლექსიკონისათვის: ქუთაისის პიშ, XIII, ქუთაისი, 1955.
7. მ. ალავეძე, ოკრიბული ლექსიკონი, ქუთაისის პიშ, X, ქუთაისი, 1950—1951.
8. მ. ალავეძე, ლეჩხნური ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938.
9. მ. ალავეძე, უცნობი დიალექტიზმები საბას ლექსიკონში: „რიონი“, № 2, ქუთაისი, 1959.
10. ზ. აღუქსიძე, სირიულ-ქართული ლექსიკონი ურთიერთობის ისტორიიდან: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ., 1971.
11. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966.
12. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
13. გ. ახვლედიანი, მკვეთრი ხშულნი ქართულში: ტუმ, II, თბ., 1922—1923.
14. გ. ახვლედიანი, შენიშვნები „ვჟარები — ვჟარე“ს შესახებ: „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 6—7.
15. ე. ბაბუნაშვილი, ომონიპია და მისი ადგილი ქართულ ენაში: თუმ, 93, თბ., 1960.
16. კ. ბაქრაძე, ლოგია, თბ., 1946.
17. ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბურგი, 1912.
18. თ. ბეროზაშვილი, ნ. ლომოურის ენის თაუისებურებანი: „მაცნე“, 1965, № 3.
19. ლ. ბოჭორიაშვილი, ზემოიშვრული კერამიკა: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, თბ., 1956.
20. თ. ვაჭერაძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959.

* შემოკლებანი: თუმ-თბილისის უნივერსიტეტის შრომები. პიშ — პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, სშამ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტუმ — ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ВЯ — Вопросы языкознания, УЗ — Ученые записки.

21. ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით, ქსოვილები: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომების კრებული, თბ., 1970.
22. ლ. ვეწაძე, ქართული ენა. ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის პრაქტიკები, თბ., 1962.
23. ალ. გვენცაძე, თ. ბერაშვილი, მასალები ქართული ენის კახური დიალექტის ლექსიკონისათვის: თელავის პიშ, IV, 1960.
24. ნ. ჯიჯაური, კახურის თავისებურებანი რ. ერისთავის ნაწერებში: თსუ, სტუდ. სამეცნ. შრ. კრებული, V, თბ., 1950.
25. ი. გიგინეიშვილი, ახალი ქართული სალიტერატურო ენა და ვეა-ფშაველა: ვაზ. „სახალხო განათლება“, 1951, № 14—15.
26. ი. გიგინეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფის წაკითხვისა და გაგებისათვის: მაგნე, 1971, № 3
27. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1961.
28. კ. გიგინეიშვილი, გ. ერისთავის კომედიების ენა: ბათუმის პიშ, I, ბათუმი, 1950.
29. თ. გონიაშვილი, ქართულ-ჩანჩერი ლექსიკური შეხვედრები: ენიშვის მოამბე, V—VI, თბ., 1940.
30. კ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძე და მოხუერი ცილო: გორის პიშ, V, 1960.
31. ტ. გულაფა, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ტელატურალის გენეზისისა და ქართველურ ენებში მისი ფონეტიკური შესატყვისის შესახებ: ივე, VI, თბ., 1954.
32. ჯ. და ა. დათიაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი ტ. I—III, თბ., 1953—1967.
33. კ. დანელია, სინონიმურ წყვილთა ხმარება ვეფხისტყაოსანში: შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული, თბ., 1966.
34. ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970.
35. ვაჟა-ფშაველას სიმფონიის კარტოტეკა, შედგენილი პროფ. გრ. კიქნაძის ხელმძღვანელობით (ინახება თბილისის უნივერსიტეტში, ვაჟა-ფშაველას კაბინეტში).
36. ვ. თავზარაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილის ლექსიკონი: ს. მგალობლიშვილი, რჩეული მოთხრობები, თბ., 1951.
37. ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961.
38. ვ. თოფურია, აკაცი და ქართული სალიტერატურო ენა: ლიტერატურული ძიებანი, II, თბ., 1944.
39. ვ. თოფურია, ენის ლექსიკური შემადგენლობა: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, IX, თბ., 1956.
40. ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში: სმამ, ტ. III, № 5, თბ., 1942.
41. ვ. თოფურია, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში: სმამ, ტ. II, № 1—2, თბ., 1941.
42. ვ. თოფურია, ნუ ვეარგავთ საპირო სიტყვას: ვაზ. „თბილისი“, 6 თებერვალი, 1959.
43. ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის: თშ. III, თბ., 1936.
44. ვ. თოფურია, ქართული: არილი, პროფ. ივანე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1925.

46. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
48. ინვერსიული ლექსიკონი, თბ., 1967.
47. ლ. იორდანიშვილი, რ. ერისთავის თხზულებათა ენის ზოგიერთი თავისებურება, მაცნე, 1965, № 4 .
48. ს. იორდანიშვილი, წინასიტყვაობა: სულხან-საბა ორბელიანი — სიტყვის კონსტრუქციული რომელ არს ლექსიკონი, თბ., 1949.
49. ლ. კაიშაური, მთიულარის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.
50. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ., 1960.
51. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა. ნაწ. I, თბ., 1969.
52. დ. კობიძე, ვისრამიანისა და ეფთხისტყაოსნის შესწავლის ისტორიიდან: თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული, თბ., 1966.
53. ვ. ი. ლენინი, ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ: თხზულებანი. გაწ. IV, ტ. 20, თბ., 1953.
54. ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1923.
55. ლ. ლევადა, მევენახეობის ტერმინები ქიათურაში: თსუ სტუდენტთა სამეცნ. შრ. კრებული, III, თბ., 1948.
56. კ. ლერნერი, გლოტოქრონოლოგიის მეთოდი და ლექსიკო-სტატისტიკის ამოცანები: მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია, 1971, № 1.
57. ქ. ლომთათიძე, ბგერითი პროცესებისა და ბგერათშესატყვისობების ზოგი საკითხი იბეროულ-კავკასიურ ენებში: სმამ, ტ. XVI, № 10, თბ., 1955.
58. ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში: ენიმის მოამბე, ტ. XII, თბ., 1942.
59. ქ. ლომთათიძე, ერთი რიცხვითი სახელის ისტორიისათვის: იყვ. ტ. XIII, თბ., 1962.
60. ქ. ლომთათიძე, „პარტახის“ ლექსიკონი: ე. ნინოშვილი, პარტახი, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1935.
61. ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან: ბათუმის პიშ, ტ. IV, 1954.
62. ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.
63. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.
64. გ. მაჭავარიანი, პურეულის ლექსიკონისათვის შიგნი კახეთში: თსუ სტუდ. სამეცნ. შრ. კრებული, V, თბ., 1950.
65. გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.
66. სტ. მენთეშაშვილი, ბუდეები და მათი შედგენის საფუძველი საბას „სიტყვის კონსაში“: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVII სამეცნ. სესია, მიძღვნილი სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 300 წლისთავისადმი, 17 ოქტომბერი, თბ., 1957.
67. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიური ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა. II. პროფ. ვ. თოფურაის რედაქციით, თბ., 1943.
68. მ. მესხიშვილი, ქართული დიალექტიზმები და სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი: იყვ. ტ. XIII, თბ., 1962.
69. შ. ნივარაძე, ზემოაქარელის თავისებურებანი, ბათუმი, 1957.
70. შ. ნივარაძე, მასალები აქარული დიალექტური ლექსიკონისათვის: ბათუმის პიშ, ტ. VII -VIII. 1959--1960.

71. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი პროფ. ი. ყიფშიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.
72. თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954.
73. ხ. უდენტი, გურული კილო, პროფ. გ. ახვლედიანის რედ., თბ., 1936.
74. ს. უდენტი, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში: იკე, I, თბ., 1946.
75. ალ. რობაქიძე, მიმინოთი ნადირობა გურიაში: მიმოშხილველი, I, თბ., 1948.
76. ნ. რებიაშვილი, სამწევრო იარაღი „ლურჯო“: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII, თბ., 1962.
77. გ. როგავა, სიტყვაწარმოების საერთო საფუძვლებისათვის: II, ქუთაისის პიშ. II, ქუთაისი, 1941.
78. ნ. როსტაშვილი, ინგილოური სალექსიკონო მასალები: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963.
79. რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტომი I, თბ., 1956.
80. რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტომი III, თბ., 1958.
81. თ. ხალაჩიძე, ალგეთის ხეობის ქართული (დარგობლივი ლექსიკონიდან): მაკ-თე, ენის და ლიტერატურის სერია, 1971. № 2.
82. სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, თბ., 1959.
83. დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია: შრომები, ტ. V, თბ., 1967.
84. თ. უთურგაიძე, ზოგიერთი ნასესხები და საერთო წარმოშობის სიტყვა ბაცურ-ჩაჩნურსა და ქართველურ ენებში: გორის პიშ, ტ. V, გორი, 1959.
85. ო. ურილია, გ. ერისთავის კომედიების პერსონაჟთა მეტყველება: თუშ, 67, თბ., 1957.
86. პ. ფოჯტი, ზნური სუფიქსები ძველ ქართულში, თარგმანი ფრანგულიდან: „მიმოშხილველი (საშენიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული)“, 4—5, თბ., 1968.
87. პ. ფოჯტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თარგმანი ფრანგულიდან, თბ., 1961.
88. ბ. ფოჩხუა, დიალექტური ლექსიკა საერთო ენაში: თუშ, ტ. I, 1972.
89. ბ. ფოჩხუა, ელემენტარული ველი: იკე, XVI, თბ., 1968.
90. ბ. ფოჩხუა, კარლ ფოსტერის საენათმეცნიერო კონცეფცია: „თანამედრ. ზოგადი და მათემატ. ენათმეცნ. საკითხები“, II, თბ., 1967.
91. ბ. ფოჩხუა, ომონიმი და პოლისემია: იკე, IX—X, თბ., 1957.
92. ბ. ფოჩხუა, ონიმასიოლოგიური თვალსაზრისი ლექსიკის შესწავლაში: იკე, XIV, თბ., 1964.
93. ბ. ფოჩხუა, პოლისემიის საკითხისათვის: იკე, XII, თბ., 1960.
94. ბ. ფოჩხუა, სინონიმიის შესახებ (იბეჭდება).
95. ბ. ფოჩხუა, სიტყვაფარგანებისათვის ქართულში: იკე, XIII, თბ., 1962.
96. ბ. ფოჩხუა, სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია: იკე, XV, თბ., 1966.
97. ბ. ფოჩხუა, სპეციალური ლექსიკა საერთო ენაში: იკე, XVII, თბ., 1970.
98. ბ. ფოჩხუა, ტრუბეცკოის ფონოლოგიური სისტემის ძირითადი ცნებები: იკე, XI, თბ., 1959.
99. ბ. ფოჩხუა, „ლალატის“ ქართული თარგმანები: „თანამედრ. ზოგადი და მათემატ. ენათმეცნ. საკითხები“, III, თბ., 1972.
100. ბ. ფოჩხუა, ხმოვანთავსართული ზმნისართები: „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, I, თბ., 1959.

99. ა. ფრანგიშვილი. „გულ“ სიტყვის სემანტიკასთან დაკავშირებით ფსიქოლოგი-
ის ზოგიერთი საკითხის შესახებ: ფსიქოლოგია, III, თბ., 1945.
100. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით.
I—VIII, თბ., 1950—1964.
101. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფუძეთა სამიზნული (კარტოთეკა.
ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტში).
102. ი. ქავთარაძე, ე. ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები: „მნათობი“. 1959.
№ 6—8.
103. ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის: ქართველურ ენათა
სტრუქტურის საკითხები. III. თბ., 1963.
104. ი. ქერქაძე, წყლის ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში სხვა
ქართველური ენების მონაცემთა გათვალისწინებით: საქართველოს სსრ მეც-
ნიერებათა აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუ-
შაკთა შრომების კრებული, თბ., 1970.
- 104^ა. აღ. ლლონტი, დიალექტური ლექსიკა მწერლის თხზულებაში: სტალინის
პიშ, II, 1959.
105. აღ. ლლონტი, ქართული ლექსიკოლოგია. თბ., 1964.
106. თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ
ქართულში: იკე, I, 1946.
107. ს. ყაუხჩიშვილი, შესავალი: იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I. თბ., 1940.
108. ს. ყაუხჩიშვილი, შესავალი: ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
109. ა. შანიძე, ერთი ქსოვილის სახელი „ფეფხისტყაოსანში“: შრომები, ტ. II. თბ.
1966.
110. ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. ნათესაობის აღმნიშვნელი ერთი ტერ-
მინი ქართულში: სმამ. ტ. XX, № 2, თბ., 1958.
111. ა. შანიძე, კვლავ ნათესაობის აღმნიშვნელი „შილ“ ტერმინისათვის: სმამ, ტ.
XXV, № 5, თბ., 1960.
112. ა. შანიძე, ვაჟა-ფშაველას ლექსიკონი: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი. ტ. I—IV,
თბ., (1922—)1930—1950.
113. ა. შანიძე, (რეცენზია) მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული
ენობრივი ურთიერთობიდან: ძე. ქართ. ენის კათედრის შრომები, XI, 1968.
114. ა. შანიძე, სახლთუხუცესი თუ ზღვათა ეზიორი: თხზულებანი, ტ. II, თბ., 1966.
115. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბ., 1953.
116. ა. შანიძე, ბევსურული მასალების ლექსიკონი: ქართული საენათმეცნიერო სა-
ზოგადოების წელიწადული. I—II, თბ., 1923—1924.
117. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა. I. პროფ.
ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938.
118. თ. შარაძენიძე, ენათა კლასიფიკაციის პრინციპები. თბ., 1958.
119. გ. შატბერაშვილი, კაშნიკი, თბ., 1964.
120. აუგ. შლეიხერი, დარვინის თეორია და ენათმეცნიერება. თარგმ. გერმანულ-
დან პ. კარაიას მიერ, თბ., 1889.
121. არნ. ჩიქობავა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად: არჩლი. პროფ. ივ. ჭა-
ვახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1925.

122. არნ. ჩიქობავა, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები: სმამ, I, № 2—3. თბ., 1940.
123. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“: ენიმის მოამბე, III, თბ., 1938.
124. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
125. არნ. ჩიქობავა, ენის რაობის ბიქვიორისტული გაგება: იკე, IX—X, თბ., 1956.
126. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები: ენიმის მოამბე, XII, თბ., 1942.
127. არნ. ჩიქობავა, ერთი ძველი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძის შესახებ შევენახუბის ტერმინში: იკე, VI, თბ., 1954.
128. არნ. ჩიქობავა, ეტიმოლოგია ძველი ქართული ტერმინებისა ბლუარი, სამხარი: იკე, V, თბ., 1953.
129. არნ. ჩიქობავა, ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ძველ ქართულში (სიერცისა და დროის მომენტთა ურთიერთობის ასპექტში): ფსიქოლოგია, ტ. III, თბ., 1945.
130. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბ., 1963.
131. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, პრობლემეტიკული ნაწილი. თბ., 1935.
132. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება. II, ძირითადი პრობლემები. თბ., 1945.
133. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1928 (II გამ., 1968).
134. არნ. ჩიქობავა, საბას „სიტყვის კონა“ როგორც ლექსიოგრაფიული ნაშრომი: საიუბილეო კრებული „სულხან-საბა ორბელიანი“, თბ., 1959.
135. არნ. ჩიქობავა, საბელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
136. არნ. ჩიქობავა, წინასიტყვაობა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა“, თბ., 1950.
137. არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
138. არნ. ჩიქობავა, ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა: „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, I, თბ., 1972.
139. დ. ჩუბინაშვილი, საუნჯე ქართული ენისა, პეტერბურგი, 1887.
140. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. დლონტის რედაქციით და გამოკლეუით, თბ., 1961.
141. ი. ცერცვაძე, ცოდნის გამოშატეველი ზოგიერთი ფუძე: თუშ, 53, თბ., 1953.
142. შ. ძიძიგური, ალ. ყაზბეგის ლექსიკონი: ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I—IV, თბ., 1948—1950.
143. შ. ძიძიგური, ზანური სტრუქტურის სიტყვა ქართულ დიალექტებში: ძიძიგური ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
144. შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969.
145. შ. ძიძიგური, ლექსიკის განვითარების გზები და დიალექტური სალიტერატურო შესაღის შეგროვების პრინციპები: ბათუმის სახ. სამასწ. ინსტ. სამეცნ. შრომების კრებული, I, ბათუმი, 1941.
146. შ. ძიძიგური, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მეგვიდარეობა, თბ., 1971.

- 146^a. შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა: სმპ. II, 1941.
147. ზ. წერეთელი, ზემოიშვრული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, №, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938.
148. ზ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951.
149. შ. ჭავჭავაძე, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1964.
150. ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული პ. ინგოროვას და ა. აბაშელის რედაქციით, ტ. IV, ტფ., 1927.
151. ა. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969.
152. ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
153. კ. ჭრელაშვილი, ქსოვის ტექნიკა ჩალმათუშეთში: თსუ სტუდ. სამეცნ. შრ. კრებული, V, თბ., 1950.
154. ზ. ჭუმბურიძე, მასალები პურელის ლექსიკონისათვის ქვემო იმერულში თსუ სტუდ. სამეცნ. შრ. კრებული, V, თბ., 1950.
155. ზ. ჭუმბურიძე, მევენახეობის ტერმინები ქვედა სიმონეთში: თსუ სტუდ. სამეცნ. შრ. კრებული, III, თბ., 1948.
156. ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, თბ., 1971.
157. ი. ჭყონია, სიტყვის-კონა. პეტერბურგი, 1910.
158. პ. ზუბუტია, თუშური კილო, ლექსიკა, თბ., 1969.
159. ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.
160. ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, წ. I—II, თბ., 1914.
161. ივ. ჭავჭავაძე, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.
162. ივ. ჭავჭავაძე, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.
163. ივ. ჭავჭავაძე, შინაშეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეკრების წესი: გაზ. „საქართველოს შინაშეწველა“, № 9, 10 აპრილი, 1935.
164. მ. ჭანაშვილი, სინგილო: ძველი საქართველო, ტ. II, 1911—1913.
165. პ. ჭაჭანიძე, აპარული ლექსიკური მასალები: ქუთაისის პიშ. XXIII, ქუთაისი, 1961.
166. პ. ჭაჭანიძე, მასალები გურული ლექსიკონისათვის: ქუთაისის პიშ, XVII, 1957.
167. პ. ჭაჭანიძე, მასალები იმერული კილოს ლექსიკონისათვის: ქუთაისის პიშ, IX, ქუთაისი, 1944.
168. დ. ჭიორანიშვილი, უღურ-ქართული ლექსიკური შეგვედრები: იყვ. IV, თბ., 1953.
169. В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М.-Л., 1958.
170. В. И. Абаев, О задаче омонимов в словари: ВЯ, 1957, № 3.
171. В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, М.-Л., 1949.
172. В. И. Абаев, Понятие идеосемантики: «Язык и мышление», XI, М.-Л., 1948.
173. В. И. Абаев, (Рецензия) М. Андроникашвили, Очерки по иранско-грузинским языковым взаимоотношениям: ВЯ, 1969, № 4.
174. Античные теории языка и стиля, М.-Л., 1936.
175. Ю. Д. Апресян, Проблема синонимов: ВЯ, 1957, № 6.
176. Л. Ш. Асатиანი, Лексика виноградарства в древнегрузинском и в диалектах современного грузинского языка (канд. дис.), Тб., 1950.

177. Г. С. Ахведиани, Сборник избранных работ по осетинскому языку, I. Тб., 1960.
178. Ш. Балли, Общая лингвистика и вопросы французского языка (перевод с французского), М., 1955.
179. Ш. Балли, Французская стилистика (пер. с французского), М., 1961.
180. А. Бах, История немецкого языка (пер. с немецкого), М., 1956.
181. Л. Блумфилд, Язык (пер. с английского), М., 1968.
182. Ж. Вандриес, Язык (пер. с французского), М., 1937.
183. Л. М. Васильев, Проблема лексического значения и вопросы синонимии: «Лексическая синонимия», М., 1967.
184. Л. С. Выготский, Мышление и речь, М., 1934.
185. В. В. Виноградов, Об основных типах фразеологических единиц в русском языке: «Академик Шахматов», сб. статей, М.-Л., 1947.
186. В. В. Виноградов, Основные типы лексических значений слова: ВЯ. 1953, № 3.
187. В. В. Виноградов, Русский язык, М.-Л., 1947.
188. В. Вундт, Проблемы психологии народов (пер. с немецкого), М., 1912.
189. Е. М. Галкина-Федорук, Синонимы в русском языке: «Русский язык в школе», 1959, № 3.
190. Л. Ш. Геленидзе, Лексика, связанная с анатомией и физиологией человека в древнегрузинском с учетом данных других картвельских языков (канд. дисс.), Тб., 1971.
191. Т. Б. Гониашвили, К истории одного звука в грузинском языке: «Известия ИЯМК», II, Тб., 1937.
192. В. А. Гречко, О лексической синонимии в русском языке: «Филологические науки», 1963, № 2.
193. Вл. Даль, Толковый словарь живого великорусского языка (набрано и напечатано со второго издания 1880—1882), т. I—IV, М., 1955.
194. С. С. Джиния, О грузинско-азербайджанских языковых взаимоотношениях: «Труды института языкознания АН Грузинской ССР. Серия восточных языков», II, Тб., 1957.
195. А. Доза, История французского языка (пер. с французского), М., 1956.
196. В. А. Звегинцев, Теоретическая и прикладная лингвистика, М., 1967.
197. В. А. Звегинцев, Эстетический идеализм в языкознании, М., 1956.
198. В. М. Иллич-Свитыч, Соответствия смычных в ностратических языках: «Этимология 1966», М., 1968.
199. Х. Қасарес, Введение в современную лексикографию, М., 1958.
200. О. И. Кахадзе, Лексика хлебных растений в грузинском языке (канд. дисс.), Тб., 1949.
201. И. К. Керкадзе, Лексика, обозначающая животных в древнегрузинском литературном языке (канд. дисс.), Тб., 1971.
202. Г. Клаус, Сила слова, (пер. с немецкого), М., 1967.
203. Г. А. Климов, Абхазско-адыгско-картвельские лексические параллели: «Этимология 1967», М., 1969.
204. Г. А. Климов, О гипотезе внутреннего родства кавказских языков: ВЯ. 1968, № 6.

205. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
206. В. Н. Комиссаров, Проблема определения антонима: ВЯ, 1957, № 2.
207. А. Компаниец, Физика и психика: «Наука и жизнь», 1971, № 7.
208. А. М. Кондратов и др., Когда молчат письменна, М., 1970.
209. Э. Косериу, Синхрония, диахрония и история (пер. с испанского): «Новое в лингвистике», М., 1963.
210. Б. А. Ларин, Очерки по фразеологии: УЗ ЛГУ, № 198, 1956.
211. К. А. Левковская, Лексикология немецкого языка, М., 1956.
212. К. Е. Майтинская, Местоимения в языках разных систем, М., 1969.
213. Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
214. Н. Я. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, СПб., 1908.
215. К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология: Сочинения, т. IV, М., 1933.
216. Г. И. Мачавариани, К типологической характеристике общекартвельского языка-основы: ВЯ, 1966, № 1.
217. К. Р. Мегрелидзе, Основные проблемы социологии мышления, Тб., 1965.
218. А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков (пер. с французского), М.-Л., 1938.
219. И. М. Оранский, Иранские языки, М., 1963.
220. В. Пизани, Этимология (пер. с итальянского), М., 1956.
221. М. М. Покровский, Избранные работы по языкознанию, М., 1959.
222. В. Поржезинский, Введение в языковедение, М., 1913.
223. З. С. Расторгуева, Среднеперсидский язык, М., 1966.
224. Б. М. Сабашвили, Основная лексика родства в грузинском языке (канд. дисс.), Тб., 1950.
225. Н. М. Сакварелидзе, Лексика повести И. Чавчавадзе «Отараант კვირვი» (канд. дисс.), Тб., 1950.
226. А. Н. Саркисова, К вопросу о понимании сущности синонимов как явления языка: УЗ Таганрогского пед. института, I, 1956.
227. М. Сводеш, К вопросу о повышении точности в лексикостатистическом датировании (пер. с английского): «Новое в лингвистике», вып. I, М., 1960.
228. А. И. Смирницкий, Лексикология английского языка, М., 1956.
229. Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики (пер. с французского), М., 1933.
230. И. И. Срезневский, Материалы для словаря древнерусского языка, I—III, 1893—1912.
231. В. Томсен, История языковедения до конца XIX века, М., 1938.
232. С. Ульман, Дескриптивная семантика и составление словарей (пер. с английского): «Новое в лингвистике», вып. II, М., 1962.
- 233а. Л. Успенский, Слово о словах, М., 1957.

233. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка (пер. с немецкого с дополнениями О. Н. Трубачева), т. II, М., 1957.
234. Г. В. Церетели, К вопросу об отношении урартского языка к иберийско-кавказской семье языков: ВЯ, 1953, № 5.
235. Г. В. Церетели, О языковом родстве и языковых союзах: ВЯ, 1968, №3.
236. А. С. Чикобава, Грузинский язык: «Языки народов СССР», т. IV, Иберийско-кавказские языки», М., 1967.
237. А. С. Чикобава, Иберийско-кавказское языкознание, его общелингвистические установки и основные достижения: «Известия АН СССР, Отделение литературы и языка, т. XVII, вып. 2, М., 1958.
238. А. С. Чикобава, Историческое языкознание и описательная грамматика: «*Rakstu Klājums*», посвященный акад. Яну Эндзелу, Рига, 1959.
239. А. С. Чикобава, Проблема языка как предмета языкознания. М., 1959.
240. А. С. Чикобава, Реальность синонимов и возможность синонимических словарей: «Лексическая синонимия», М., 1967.
241. Д. Чубинов, Русско-грузинский словарь, СПб., 1846.
242. Н. М. Шанский, Этимологический словарь русского языка, т. I, М., 1963.
243. А. Шлейхер, Немецкий язык (пер. с немецкого): «Хрестоматия по истории языкознания XIX—XX веков», составил В. А. Злегинцев, М., 1956.
244. Dr. Erhard Agrikola, Einführung in die Probleme der redovendung: „Wörter und Wendungen“, Leipzig, 1962.
245. Charles Bally, Traité de stylistique française, vol. II., Genève-Paris, 1951.
- 245a. E. Benveniste, Problèmes sémantiques de la reconstruction: „Linguistics Today“, 1954.
246. Michel Bréal, Essai de sémantique, 1924.
247. Karl Bühler, Sprachtheorie. Jena, 1934
248. F. Dornseiff, Die deutsche Wortschatz nach Sachgruppen, Berlin, 1959.
249. K. O. Erdmann, Die Bedeutung des Wortes, Leipzig, 1925.
250. H. Frei, Systèmes de dérétiques: Acta Linguistica, IV,3, Coponhague, 1944.
251. R. Halling und W. von Wartburg, Begriffssystem als Grundlage für die Lexikologie, Berlin, 1952.
252. R. Carnap, Introduction to Semantics and formalisation of Logic, 1961.
253. K. Kronasser, Handbuch der Semasiologie, Heidelberg, 1968.
254. J. Marouzeau, La Linguistique, Paris, 1921.
255. A. Meillet, Comment les mots changent de sens: Linguistique historique et Linguistique générale, Paris, 1926.
256. Dr. H. Osthoff und Dr. K. Brugmann, Morphologische Untersuchungen..., I, Leipzig, 1878.
257. H. Paul, Principien der Sprachgeschichte, Halle, 1920.
258. W. Porzig, Das Wunder der Sprache, Bern, 1950.

-
259. W. Porzig, Wesenhafte Bedeutungsbeziehungen: Beitrage zur Geschichte der deutschen Sprache, 58, 1934.
 260. B. Quadri, Aufgaben und Methoden der onomasiologischen Forschung, Bern, 1952.
 261. R o g e t's Pocket Thesaurus..., New-York, 1946.
 262. Schuchardt-Brevier, Halle, 1928.
 263. N. Trubezkoj, Grundzüge der Phonologie, Prague, 1939.
 264. Arn. Tschikobava, Die iberokaukasische Gebirgssprachen und der heutige Stand ihrer Erforschung in Georgien: „Acta Orientalia Hungarica“, IX, 2, Budapest, 1959.
 265. St. Ullmann, Principles of Semantics, Glasgow, 1951. (გერმანული თარგმანი—ბერლინი, 1967).
 266. K. Vossler, Positivismus und Idealismus in der Sprachwissenschaft, Heidelberg, 1904.
 267. K. Vossler, Sprache als Schöpfung und Entwicklung, Heidelberg, 1905.
-

საზნოვრივი სამიჯბელი

- აგებულება ხმებაძეთი სიტყვებისა 98—99; არაქართული ა. — სიტყვის უცხოურობის კრიტერიუმში 309; სიტყვის ა. და სემანტიკა 12—13.
- აღმინის და ნიუთის კატეგორია 132.
- „ახარობლივი ღერძი“ სიტყვისა 41.
- აღურის გამომხატველ სიტყვათა საზნობრივი მნიშვნელობა 176.
- ანალოგია და ლექსიკური პარადიგმატიკა 287.
- „ანტაგონისტური მიმართებანი“ სიტყვათა შორის 54.
- ანტონიმია 36—37; ა. და სიტყვაწარმოება 270—273; ა. და ცნებათა დაპირისპირება 37; ა-ის საყრდენი სიტყვა 275; ანტონიმების ურთიერთგაველება 284; ანტონიმურობის ხარისხი 276.
- „არაგონიერთა“ ჯგუფი 132.
- არსებით სახელთა სემანტიკური ჯგუფები 132—139.
- „არსებითი სემანტიკური მიმართებები“ 56—57.
- „ასოციაციური“ კავშირები სიტყვათა შორის 53—54.
- აფექტური ლექსიკა და დიალექტიზმები 195—198.
- აფიქსალ ქვეყა დამხმარე სიტყვისა 130.
- „აქვს“ და „კყავს“ ჯგუფები 133—134.
- „აღმნიშვნელი“ 9, 123.
- აღნიშვნა 123; ხმებაძის ა. 126.
- „აღსანიშნი“ 9, 123, 177; ა-თან მიმართება 27.
- აღწერითი სემასიოლოგია 67.
- ბავშვის ენა 207.
- ბგერადობა 43—44; . ბგერითი ქვისტა 79—82.
- ბავებინება და ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა 24—25.
- გადატანითი ხმარება სიტყვისა (ენობრივი მეტაფორა) 165—168; გ. ხ. და ნამღვილი სახელი 169; გ. ხ. მორტიკობეულია 140—141; გ. ხ. და პოლისემია 170—172; გ. ხ-თა დაჯგუფება 170; გადატანითობა და იდიომატიკა 290.
- „გადიების ენა“ 207.
- განმეორებადი სიტუაცია და პოლისემია 250—252.
- განყენებული სახელები 137—138.
- განცალკევებული შესიტყვება 299.
- გაუდიფერენცირებელი მასალა და შესატყვისობა 331.
- „გაფართობა“ და „დაიწროება“ მნიშვნელობისა 171—174.
- „გენეალოგიური ხე“ 312—313.
- გენეტური კავშირი და სტრუქტურულტიპოლოგიური მსგავსება 324—325.
- გეოგრაფიული სახელები 131.
- გეარეობითი ცნებები საბას ლექსიკონში 160—161.
- „გლუხური“ სიტყვები 244—245.
- გრამატიკა და უზუსი 264; გ-ული ენობრივია 264; გ. გაღარიბება 344; გ. მოტივაცია 118; გ. ნიშან-თვისებების ნიველირება სინონიმებში 377; გ. სისტემა ენისა და ნასესხებ სიტყვათა აგებულება 377; გ. ფუნქცია და ლექსიკური მნიშვნელობა 111.
- გრამობითი ელფერი (ემოციური იერი) სიტყვისა 176—178.
- დადებითი ელფერის სიტყვები 177.
- „დაიწროება“ და „გაფართობა“ მნიშვნელობისა 171—174.
- „დამართება“ (მნიშვნელობის ცვლა შესიტყვებაში) 301.
- დამზადებასთან დაკავშირებული დარგობლივი სიტყვები და საერთო ენა 225.
- დამკვიდრება ახალი სიტყვებისა 186; დ-ული (კონვენციური) შედარება 165.
- დამოუკიდებელი წარმოება ერთი და იმავე ელემენტებისაგან 93—97.
- დამკვირების ელფერი კნინობით სახელებში 136.
- დამხმარე სიტყვები 126; ზმნისართთა გამოყენება დ. ს-ის ფუნქციით 127; დ. ს-ის ქვეყა აფიქსალ 130; დ. ს-თა ხმარების შეფარდებითი სიხშირე, 180.
- დანიშნულების გამომხატველი სიტყვები 140—141.

დარგობლივი ლექსიკა 210—215; დ. ლ-ის დიალექტური ფილიაცია 224.

დახასიათების (უარაუ. ან დადებითის) გადმომცემი საგანგებო სიტყვები 177.

დეიქტური სიტყვები 181—185, 262.

დეროვაცია იხ. სიტყვაწარმოება.

დიალექტიზმი და ლექსიკური ფონდი 186—188; ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური დიალექტიზმი 191—192; დიალექტური დუბლეტები 190, 204; დ. ლექსიკის შედგენილობა 188—189; დ. მნიშვნელობების შესვლა საერთო ენაში 257—258; დ. სიტყვის ტერიტორიული გავრცელება 186—188; დ. სიტყვები საერთო ენის სარეზერვო ფონდია 193; დ. სიტყვის საერთო ენაში დამკვიდრების პირობები 193; დ. ფილიაცია დარგობლივი ლექსიკისა 224, 226; დ. წარმომავლობის სიტყვათა წილი თანამედროვე საერთო-ქართულ ლექსიკურ ფონდში 106.

დისტრიბუციული კავშირები სიტყვათა შორის 54—56. იხ. აგრეთვე შესიტყვება, სინტაგმატიკა.

დიფერენციალური ემოციური იერის მიხედვით სინონიმებში 281.

„მეზობიური“ ლექსიკა 368—369.

„მლუმენარული“ სემანტიკური ველი“ 56—57.

ელიფსი და პოლისემია 254—257.

ემოცია: ე-ის გამოვლენაც კონვენციური ბერატომპლექსით ხდება 46; ემოციური იერი 51, 176—178; ე. ი-ს შიის-წყალის ლექსიკოლოგია (არა სემასიოლოგია) 16; სინონიმების დიფერენციალურ ე-ის მიხედვით 281.

ენა დინამიკური, ცვლადი სისტემა 59; ე. უწყვეტობას წარმოადგენს 313; „ენათა კავშირი“ 324; ენობრივი და ინდივიდუალური ხასიათის ემოციური იერი 178; ე. კოლექტივი ანუარტის მიმართებას ბევრადობასა და ვარგ სამყაროს შორის 180; ე. კ. და ვიწრო სამეტყველო ჩვეულები 185; ე. კ. და საგნობრივი მიმართება 28; ე. კ. და სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა 246—247; ე. კ. და სინონიმია 233—234; ე. კ. და სიტყვის მნიშვნელობა 48; ე. კ. სიტყვის ფუნქციონირების პირობა 46—52; ე. კ-ის ყოფის თავისებურებანი და ლექსიკური ფონდი 48—49; ე. კ-ის ყოფა და სიტყვის თანმტლები ემოციური იერი 51; ე. ნიშნის ნებისმიერობა და გავებინება 24—25; ე. ნ-ის ნებისმიერობა და ცვალებადობა ენაში 25; ე. სის-

ტემა და მოლაპარაკეთა ცნობიერება 60; ე. ფაქტის ლოგიკური ეკვივალენტი 153; ე. ჩვეუთ შეპირობებული სიტყვათშეხამებანი 56; ე. ცვალებადობა და მოლაპარაკეთა ცნობიერება 60.

ექსპრესიული (საობიექტივაციო) და ხაკომპანიაციო ფუნქციების ურთიერთობა 26; ე. სიტყვა დიალექტურ ლექსიკაში 198; ე. ფაქტის „იდენტიფიკაცია“ 149.

ეტიმოლოგია 65—67; ე-ური კვლევა და აზროვნების ისტორია 66.

ველი: სემანტიკური ე. 56—57, 158, 245. ვითარების ზნისართთა სინონიმია 143—144.

„ვინ“ და „რა“ ჩგუფები 132—133.

ვიწრო სოციალური ჩგუფის სიტყვათა დამკვიდრება საერთო ენაში 186.

ზედსართავ სახელთა სემანტიკური ჩგუფები 134, 139—142.

ზენა: მითითების ორწერიანი სისტემა 185; სემანტიკური დახასიათება 131; სემანტიკური ჩგუფები 109—110, 144—145.

ზნისართი 181; ზ. თანდებულის ფუნქციით 127; სემანტიკური ჩგუფები 135, 143; სინონიმია ვითარების ზნისართებში 143—144.

ზოგადი სახელის ქვევა საკუთარ სახელად („მნიშვნელობის დავიწროება“) 173.

შავისუფალი შესიტყვებები 299.

თანდებული 127; სიტყვა-თანდებული 263; თ-ის ფუნქციით ზნისართის გამოყენება 127.

„თეზაურუსი“ 147—149.

თემატიკური დანაწერება ლექსიკური ფონდისა 146—162.

თვალსაზრის მოტევიანის შქონე სიტყვები 106.

თვისების ზედსართავი 134; თ-ის გადმოცემა განყენებულად 137—138.

ინდენტიფიკაცია ექსპრესიული ფაქტებისა 149—150; ი-ის ხერხი 153.

იდეოგრაფიული („იდეოლოგიური“) ლექსიკონი 146.

„იდეოსემანტიკა“ 54.

ილიომები 300; ილიომატური გამოთქმა და ნაწარმოები სიტყვა 117—118; ი. გ. და გადატანითობა 290—292; ი. გ-ის წარმოქმნა 291—293; ილიომატურობა ნაწარმოები სიტყვისა 117—118.

„იმიტაციური ხასიათი“ ფუძედრეკადი ზნებისა 100.

ინდივიდისპირი სიხლის გავრცელება ენაში 62; ინდივიდუალური და ენობრივი ხასიათის ემოციური იერი 178; ი. ცვლილებები და საერთოენობრივი ნორმა 62—63; ი. წარმოშობა სიხლისა 62.

ინსპირაციული ბეგრების შემცველი სიტყვენი 74—75.

ინტერსაციონალიზმები 365—368.

ინტენსიობა სიტყვით გადმოსაცემი თვისებებისა 156, 205.

იშვითი ხმარების ფუნქციები 71—73.

ბავარი 127, 263.

კალი 92—93; 370—375.

კინოზოთი 135—137.

კონკრეტული და მუარო გამოთქმა 292—293; კ-ის წინშეწელობა და კომპონენტთა აღილი 101—103.

კონკრეტული (დამკვიდრებული) შედარებაში 165.

კონკრეტული 312.

კონკრეტული საუნის სახელი განყენებულ ტენებისათვის 170.

კონტრარული და კონტრადიქტორული ცნებები და ასტონიზმა 37.

კონტრატები ენობრივი 347.

კონტრასტი და წინშეწელობა 248—249; კ. და სიტუაცია 249.

კუთხური სიტყვები იხ. დიალექტობი.

ლანძღის გამოხატეულ სიტყვათა საგნობრივი წინშეწელობა 176.

ლუმა 71.

ლექსემა 70.

ლექსიკოგრაფია 20—21.

ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა და სინონიზმა 34.

ლოგიკური ეკვივალენტი ენობრივი ფაქტისა 153.

ლოგიკობი სიტყვის წინშეწელობის გაგებაში 172—176.

ლოკალიზმები დიალექტის ლექსიკაში 189.

მეორეული დიალექტური ფილიაცია 188.

„მეცნიერულ ცნებათა სისტემით“ შედგენილი იდეოგრაფიული ლექსიკონი 150—152.

მეტაფორა იხ. გადატანითი ხმარება.

მეტყველების ნაწილები 131.

მეტყველი სიტყვაწარმოება 370—372.

მითითება 123, 130; მ-ითი სიტყვები 181—183; მ-ის სისტემები 181—185.

მიმართების ზედსართავები 134.

მნიშვნელობა და ემოციური იერი 176; მ. და კონტექსტი 248; მ. და მოტივაცია 109; მ. და ცნება 27; მ. და წარმოდგენა 27; მ-ის „გაფართობა“ და „დაიწროება“ 171—174; მ-ის და ბეგრების კავშირი ხორციელდება ენობრივ კონტექსტში 179; მ-ის დიფერენციაცია სინონიმებში 279—280; მ-ის „პოლარიზაცია“ 175—176; მ-ის სესება (კალი) 92—93, 372—375; მ-ის ცვლა და სინონიზმა 240—244; მ-ის ცალა შესიტყვებაში („დამართება“) 301—305; მ-ის „ცნებითი კონდენსაცია“ 153.

„მოლაპარაკის გრძობა“ და ომონიზია 40.

მონოსეგნა მუარეული 171; მ-ური სიტყვები 205, 170—171, 205.

მორღემა 5, 7, 10; მ-თა სესების შესაძლებლობა 344—345; მ-თა ფუნქციის მქონე სიტყვები 263; მ-ული აგებულება სიტყვისა 10; მ-ული აგებულებით განსხვავებული ომონიმები 88—89.

მორფოლოგია 10.

მოტივაცია და ნიშნის წიგნისპირობა 104—106; მ. და სიტყვაწარმოება 103—104; 106—109; მ. და სიტყვის მნიშვნელობა 109; მ. და ხალხური ეტიმოლოგია 118; მ. და ხმარების სინონიმები 106—107; მ. და შემადგენელ ელემენტთა ცოდნა 106, 108; მ. და გადატანითი სიტყვახმარება 140—141; გრამატიკული მ. 118; თვალსაჩინო მ-ის მქონე სიტყვები 106; მ. საგნის თვალსაჩინო ნიშანთვისება და არა უთუოდ არსებითი ნიშანთვისება 120—121; სემანტიკური მ. 118; მ. ყოველთვის არ დაიყვანება ნამდვილ გაზარდებამდე 119; უმოტივაციო სიტყვები 106; წარმოშობით ყველა სიტყვა მოტივირებულია 108.

მოსაქმეობის აღმნიშვნელი სიტყვები 138—139.

მოფერება-აღერისი ელფერი კინოზოთი სახეებში 136.

მოქმედების ზნები 109.

მომხარება: ენა მ-ში იცვლება 79—80; საერთო ენაში შედის შემხარებასთან დაკავშირებული სიტყვები 225.

მრავალფეროვნება წინშეწელობისა შორისდებულში და პოლისემია 73—74.

მყარი გამოთქმა და კომპოზიტი 292; მ ფრაზეოლოგიური კავშირები 300; მ. შესიტყვება. 299.

მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სიტყვები 139.

მწარმოებლისა და მომხარებლის დანო-

ქიდეულების უკუფენა ლექსიკაში 216.

ნამდვილი სახელი და გადატანითი ხერხები 169.

ნასესხები და „უცხო“ სიტყვები 367—368; ნ. სიტყვის აგებულება და მსესხებელი ენის გრამატიკული სისტემა 377; ნ. და საყოთარო სიტყვების შეფარდება ლექსიკურ ფონდში 375—376; ნ. სიტყვის ფრაზეოლოგიური გარემო 378; ნ. სიტყვის სემანტიკური ცვა 378—379; ნ. მნიშვნელობა 93; მასსახებობანი დალაქტურ ლექსიკაში 188—189.

ნარერალისტური ინტერპრეტაცია ფონეტიკურ შესატყვისობათა რეგულარობისა 310.

ნაცვალსახელი 120, 181, 184.

ნაწარმოები სიტყვა და ლექსიკოლოგია 12; ნ. ს. და მორფოლოგია 12; ნ. ს-ის იდიომატიკობა 117—118; ნ. ს-თა სემანტიკური წგულები 135; ნ. ს-თა რაოდენობა და სიტყვიწარმოებითი შესაძლებლობანი 13.

ნაწილი 127; სიტყვა-ნ. 263.

ნაწილობრივი დებულებები 198; ნ. სესხება 369.

ნებისმიერობა ნიშნისა 24—25; ნ. და მორტიკაცია 104—106.

ნიველირება გრამატიკული ნიშან-თვისებებისა სინონიმებში 283.

ნიშანი: ენობრივი ნ. არ არის ბუნებრივი ნ. 22—23; ნ. და სიგნალი 22; ნ. და სიმპტომი 24; ნ-ის ნებისმიერობა 24; ნ. ნ. და რეალური კონტექსტი 25; ნ. ნ. და მორტიკაცია 104—105.

ნორმატიული ხასიათი საერთო ენისა 192. ნოსტრატული ჰიპოთეზა 335—342.

ოდნობის გამოხატვა 142—143.

ომონიმია 40,92; ფონეტიკური ცვილილებებით გამოწვეული ო. 78—88; ო. და ეტიმოლოგიური კვლევა 91-92; ო. და „მოლაპარაკის გრძობა“ 40; ო. და პოლისემია 40—42; ო. და სინონიმთა ჩანაცვლება 41; ო. და სიტყვის სიგრძე 84—85; ო., პოლისემია და „აზრობლივი ღერძი“ 41; ო. უძველეს და შეთვისებულ სიტყვებს შორის 89—90; მორფემული აგებულებით განსხვავებული ომონიმები 88—89.

ონომასიოლოგია 18; ო. და ლექსიკოლოგია 19; ო. და სემასიოლოგია 19—20; ო-ური ასპექტი ლექსიკის შესწავლაში 20.

„ონომასტიკონი“ 147.

„ოპოზიციური მიმართება“ სტყვათა შორის 54.

ორგვემინობა—ნეტაფორის საფუძველი 293.

პარადგმატიკა 53—54, 57, 266, 284.

პარალელური პოლისემიაში 277—278

„პირველადი საწყისები“ 97.

პირის დაკვალსახელები 184.

პოეტური ენა და დიალექტიზმები 201.

„პოლარობაცია“ მნიშვნელობისა 175—176.

პოლივალენტოვნება თანამედროვე ქართული ენისა 230—233.

პოლისემია 37—40; ნ. და გადატანითი მხარება 170—172; ნ. და ვანსეორებადი სიტყვაცია 250—252; ნ. და ენობრივი კოლექტივი 40; ნ. და მნიშვნელობის მრავალფეროვნება შორისდებულებში 73—14; ნ. და ომონიმია „ს“ 42; ნ. და საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია 256—260; ნ. და სემანტიკურა კიალექტიზმები 257—258; ნ. და სინონიმია 31; ნ. და სპეციალური ლექსიკა 247—257; პ-ის გაქრობა 258—260; პ-ის დაღუენის სიმწელები 38; სემანტიკური პარალელიზმი პ-ურ სიტყვებში 277—278; პირუანდლი მნიშვნელობის დაკარგვა პ-ურ სიტყვებში 172.

რეალური კონტექსტი და ნიშნის ნებისმიერობა 25.

რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობანი 331; რ-ად განსეორებადი სიტყვაცია 250—252.

რიცხვითი სახელი 130.

საარტიკულაციო ბაზისი 49

საგანი — სიტყვა — ენება 27; ს-ის თვისებით გამოწვეული ემოციური იერი სიტყვისა 177; ს-თა წგუფების მიხედვით წარმოდგენილი ლექსიკური ფონდი 150—152; საენობრივი შიშართება 28. 44. 45, 176—178; ს. მნიშვნელობისაგან „დაკარგულება“ სიტყვისა 128—129, 176.

საერთო და სპეციალური ლექსიკა 216—219; საერთო ენის ნორმატიული ხასიათი 162.

საერთოენობრივი წარმოშობით ინდივიდისებრია 67—63; ს. ვარცვლება სპეციალური სიტყვისა 225; ს. ნორმა და ინდივიდუალური ცვილებანი 62—63; დიალექტური წარმომავლობის სინონიმები 231—237; ს. სიტყვები

დიალექტის ლექსიკაში 188; ს. ისევ სპეციალურ სიტყვად იქცევა 229—230. საზოგადოების დიფერენციაციის უკუფენა ლექსიკურ ფონდში 244—245; ს. დ. და პოლისემია 258—260.

საკომუნიკაციო და საობიექტივაციო ფუნქციათა ურთიერთობა 26.

საკუთარი და ნასესხები სიტყვების შეფარდება ლექსიკურ ფონდში 375—376; ს. სახელები 131—132, 173—174.

საკულტო ლექსიკა 208—210.

სამწერლო ენის პერიფერიული ნაწილი 260; ს. ენაში ფონეტიკურ-გრამატიკული დუბლეტები ფასდება როგორც ნორმიდან გადახვევა 192.

საობიექტივაციო და საკომუნიკაციო ფუნქციათა ურთიერთობა 274—275.

საპირისპირო და საწინააღმდეგო ცნებები და ანტონიმია 37.

სასაუბრო ლექსიკა და დიალექტიზმები 196—198, 206; ს. სიტყვათა წარმოშეობა 245.

საერთოერთო სემანტიკური გავლენა ანტონიმებში 284.

საერდენი სიტყვა ანტონიმისა 275.

სახელების სემანტიკური დახასიათება 131; ს. სემანტიკური ჩგუფები 131—146.

სახელწოდება: სიტყვა როგორც ს. 120. სემანტემა 10.

სემანტემა 15; სიტყვის სემანტიკური აგებულება 119—120, 163—178. ს. ასპექტი ლექსიკის შესწავლაში 51; ს. დაჯგუფება ზედსართავებისა 134, ზმნებისა 134, ზმნისართებისა 135, არსებითი სახელებისა 132—133; ს. დიალექტიზმები 193, 204; ს. დ. და პოლისემია 257—158; ს. ერთგვაროვნებაზე არაა დამოკიდებული ერთგვაროვნება სიტყვაწარმოებაში 110; „ელემენტარული ს. ველი“ 56—57; შორისდებულთა ს. თავისებურება 74; ლექსიკური ფონდის ს. დანაწევრება 145; ს. მორტივაცია 118; სიტყვის ს. სტრუქტურა და ენობრივი კოლექტივი 246—247; ს. ცელიტეზანი ნასესხებ სიტყვებში 379. ს. ჩგუფები ნაწარმოებ სიტყვებში 135—145.

სემასიოლოგია: აღწერითი ს. 67; ს. და ლექსიკოლოგია 15; ს. და ონომასიოლოგია 19—20.

სემიოტიკა 22.

სესხება: ს-ის ზოგადი პირობები 342—343; მნიშვნელობის ს. 372—374; ნაწილობრივი ს. 369; ს. და ენის ფონოლოგიური მოდელი 376—377; ს. და კალკი 374—375; ს. და ომონიმია

89—92; მორფემათა ს. 344—345.

სიახლის ინდივიდუალური წარმომავლობა 62.

სიგრძე სიტყვისა და ომონიმია 83—84.

სივნალი როგორც ნიშანი 22.

სიმბოლური გამოყენება სიმღერისა 45; ს. ხასიათი ფუძემდრეკადი ზმნებისა 100.

სიმღერა და საგნობრივი მიმართება 45.

სიმბოლური როგორც ნიშანი 22; სიტყვა—ს. 123.

„სიმბათიკური კავშირი“ სიტყვათა შორის 54.

სინესტეზია 82.

სინონიმი ყველა სიტყვას არ მოეპოვება 29; ს-ები არის ერთგვარი საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვები 31; ს-თა დიფერენციაცია ემოციური იერის მიხედვით 281; ს-თა განხილვა მიხანშეწონილია წყვილებად (და არა ზუღეებში) 267; ს-თა კლასიფიკაცია 34—36; ს-თა ურთიერთობის მოწესრიგება 279—280; ს-თა ურთიერთობა შეხამებადობის, სიტყვაწარმოებითი კავშირების და ხმარების სინჰრისის მიხედვით 36; ს-თა ჩანაცვლება და ომონიმია 41; სინონიმია 29—36; ს. და გრამატიკულ ნიშან-თვისებათა ნიველორება 282—283; ს. და ენობრივი კოლექტივი 233—244; ს. და პოლისემია 33; ს. და შორისდებულები 126; ს. და ხმარების სინჰრე 268; ს-ის დაძლევა 35; ს-ის რეალურობა 34; ს-ის სხვადასხვაგვარი გავება 30; ს-ის წარმოქმნა 35, 233—240; ს. წ. და მნიშვნელობის ცვლა 240—244; სინონიმური ურთიერთობა სიტყვებისა 266—269; ს. ურთიერთობა მსგავსებას ემყარება 269—270; ს. წყვილები 269.

სინტაგმატიკა 54—57, 286; ს-ურ კავშირის ტენდენცია აქვს შეიარყვას იდომატურ გამოთქმად 293.

სინტაქსი 10—11; სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთობა სიტყვებს შორის 246—247.

სიტყვაწარმოება და ანტონიმია 270—271; ს. და ფონემათა სისშირე 72—73; ს. და ლექსიკოლოგია 11—13; ს. და მორტივაცია 103—104; ს. და ფლექსია 14—15; ს.—ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალება 13; ს. იძლევა ლექსიკური ჩგუფების შესაქმნელ უკულობებს 145; მიბაძვითი ს. 370—372; ს-ის შესაძლებლობისა და ნაწარმოებ სიტყვათა რაოდენობის დაუმთხვევლობა 13; ს-ის შესაძლებლობა ნასესხებ

- სიტყვებში 377—378; ს-ის ერთგვაროვნებაზე არაა დამოკიდებული სემანტიკური ერთგვაროვნება 110; ს-ითი კავშირები და სინონიმია 36; ს-ითი საშუალებანი მნიშვნელობათა დაპირისპირებისათვის 262, 271—272.
- სიხშირე ფონემებისა და ფუნქციური დატვირთულობა 70—73; ფონემათა მეტნაყლები ს. ნასესხებ სიტყვებში 73; ფონემათა ს. შორისდებულებში 73; სიტყვათა ხმარების ს. და მოტივაცია 106—107; სიტყვათა ხმარების ს. და სინონიმია 268; სრულმნიშვნელობიან და დამხმარე სიტყვათა ხმარების ს. 180.
- სოციალური დიფერენციაციის უკუფენა ლექსიკურ ფონდში 244—245;
- სპეციალისტისა და არასპეციალისტის დამოკიდებულება სპეციალურ სიტყვასთან 217—219, 226.
- სპეციალური ლექსიკა და სინონიმია 240—244; ს. ლ. და პოლისემია 247—257; ს. ლ. მწერლის ენაში 219—221; ს. ლ. საერთო ენაში 215—222; ს. ლ-ის გარეენობრივი დაჭვავებუბა 213—215; ს. ლ-ის და საერთო ლექსიკის ურთიერთობა 218—219; ს. მნიშვნელობათა შეხვედრა საერთო ენაში 253; ს. სიტყვები და ლექსიკის დინამია 224—225; ს. ს. მხატვრულ ლიტერატურაში 226; ს. ს. საერთო ენის დანართია 218; ს. ს. საყოველთაო ხმარებაში 163—164, 217—218, 225; ს. ს. საერთოენობრივ მეტაფორებში 226; საყოველთაოდ გასავები ს. ს. 217.
- სპონტანური ცვლილება და ენათა ნათესაობა 331.
- სპორადულია შემოსული სიტყვებისა და მონოლითობა და მხვედრი ენის ლექსიკური ფონდისა 239.
- სრულმნიშვნელობიან და დამხმარე სიტყვებს შორის გარდაუვალი ზღვარი არ არსებობს 129; მათი ხმარების შეფარდებითი სიხშირე 180; სრულმნიშვნელობიანი სიტყვა დამხმარე სიტყვის ფუნქციით 127.
- სტილისტიკა (ფრაზეოლოგია) 11.
- სტრუქტურული მსგავსება ენებისა და გენეტური სიახლოვე 324—325, 333—334.
- „სუსტი“ და „ძლიერი“ ბგერების შემკველ სიტყვათა სემანტიკა 81—82.
- სხეულის ნაწილთა სახელები ნივთთა ნაწილებისათვის 170.
- ტერმინი 163; ტ-ის შესვლა საერთო ენაში 163—164; ტერმინული სიზუსტე და საერთო ენა 217.
- ტყუბი ფორმულები 300.
- უარყოფითი ელფერის სიტყვები 176—177.
- უზუსი 264—265; 287.
- უპოტივაციო სიტყვები 106.
- უქონლობის გადმომცემი სიტყვები 140.
- უშუალო მიმართება სიტყვასა და საგანს შორის 346.
- „უცხო“ და „ნასესხები“ სიტყვები 367—368; უ. წარმომავლობის სიტყვა ქართულ გრამატიკულ ყალიბში 376—377; უცხოობის გრძობა აბრკოლებს ახალი ელემენტის შემოტანას ენაში 345—346; სიტყვის უცხოურობის კრიტერიუმი 309.
- ფიგურალური ხმარება სიტყვისა 165.
- ფიზიკური მოვლენის სახელი სულიერის აღსანიშნავად 170.
- ფონემა 5—8; ფ-თა სიხშირე და ფუნქციური დატვირთულობა 67, 70—73.
- ფონეტიკური გამარტივება კომპოზიტებში 292; სიტყვის ფ. დეფორმაცია 130; ფ. სიმბოლიზმი 100; ფ. შესატყვისობა 310—313; ფ. ცვლილებებით გამოწვეული ომონიმია 78—88; ფონეტიკურ-გრამატიკული დუბლეტები 192; ფონეტიკური შესატყვისობა და გაუღიფერებლობები მასალა 241.
- ფონოლოგიური მოვლი ენისა და სესხება 276.
- ფორმანტთა სესხება 344—345.
- ფრაზეოლოგია 11, 300; ფ-ური გარემო ნასესხები სიტყვისა 378.
- ფუნქციონალური ლექსიკა 127—129.
- ფუძვლურება ზნათა სემანტიკა 100.
- ფუძის გაორკეცება ხმაბაჟით სიტყვებში 99.
- „ქალური“ სიტყვები 207—208.
- ქონების სახელები 139—140.
- ჟოფის თავისებურება და ლექსიკური ფონდის შინაგანი დანაწევრება 47.
- შეღარება 163—165. იხ. აგრეთვე გადართანითი ხმარება.
- შეღარება-აღმარების გამოხატველი სიტყვები 142.
- შემთხვევითი და რეგულარული დაპირისპირება 273.
- „შემღვრევა“ ტერმინის სემანტიკისა (საერთო ენაში შესვლით) 164.

შენაცვლებადი დიალექტური სიტყვები 204.

შესიტყვება 5, 10, 11, 286—305. იხ. აგრეთვე „დამართება“, სტილისტიკა.

შესუნთქვით ნაწარმოები ბგერები 74—75.

შენაცვლებელი დიალექტური სიტყვები 189—190, 195. 204.

შეფასებითი მომენტი სიტყვაში 16, 205—206.

შეწყნარება დიალექტიზმებისა შწერლის ენაში 200.

შეხამებადობა სიტყვებისა 36, 287—290. შინაარსობლივი წგულები ხმაბაძეთი სიტყვებისა 77—78.

„შინაგანი ფორმა“ სიტყვისა 119—120. შინაენობრივი პირობები საერთო ენაში დიალექტურ სიტყვათა დამკვიდრებისათვის 199.

შორისდებულნი 72—74, 124—126.

ცივილიზაცია და მითითების სისტემები 182.

ცნება და სიტყვის მნიშვნელობა 27: „ხალხური ც“. 27, 153; ც-თა ბუდეები საბას ლექსიკონში 159—162; „მნიშვნელობის ცნებითი კონდენსაცია“ 153.

ცხოველის სახელი ადამიანის სულიერი დახასიათებისათვის 170.

ძირი 10.

„ძირული მორთება“ 10.

-პოლირი“ და „სუსტი“ ბგერების შემცველ სიტყვათა სემანტიკა 81—82.

წარმოება: დამოუკიდებელი წ. ერთი და იმავე ელემენტებისაგან 93—97; წ-ით საერთოენობრივი და მნიშვნელობით დიალექტური სიტყვები 193—194. იხ. აგრეთვე სიტყვაწარმოება.

წარმოდგენა და სიტყვის მნიშვნელობა 27.

წარმოავლობის სახელები 141—142.

წინა ვითარების აღმნიშვნელი სიტყვები 139.

წინარეემცინიერული ცნება 153.

ბალხური ეტიმოლოგია და მორტივაცია 118; „ხ. ცნება“ 153.

ბარისხის მაწარმოებლები 142—143.

ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები 138—139.

ხმაბაძვა 126; ხ. და მორტივაცია 77; ხ-ის გამოხატვა და აღნიშვნა 126; ხმაბაძვითი სიტყვები 77—78, 98—99, 262, 264.

ხმარებულობა (ხმარების სიხშირე) 36, 71—72, 106—107, 180—181, 268. იხ. აგრეთვე სიხშირე.

ხმოვანთავსართიანი მითითებითი სიტყვები 183—184.

„ჯვართ ენა“ 208—210.

„პყავს“ და „აქვს“ წგულები 133—134.

ლექსიკოლოგიის ადვილი სხვა საენათმეცნიერო დისციპლინათა შორის: § 1. ფონეტიკა-ფონოლოგიის საგანი. — § 2—4. ფონემა არ არის მნიშვნელობის მატარებელი ენობრივი ერთეული. — § 5. „აღსანიშნი“ და „აღმნიშვნელი“ — § 6. სიტყვის შორეული აგებულება — § 7. „აღსანიშნის“ შემსწავლელი საენათმეცნიერო დისციპლინები. — § 8—10. ლექსიკოლოგია და სიტყვაწარმოება. — § 11—12. სიტყვაწარმოება-ლექსიკოლოგია, ფლექსია-სინტაქსი. — § 13. ლექსიკოლოგია და სემასიოლოგია. — § 14—15. ლექსიკოლოგია და ონომასიოლოგია. — § 16. ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია 5—21

ენობრივი ნიშნის ბუნება: § 17. ნიშანი. — § 18—19. ენობრივი ნიშანი არ არის ბუნებრივი ნიშანი. — § 20. ენობრივი ნიშნის რებისწიერობა. — § 21. ენის საობიექტლაციო („ექსპრესიული“) და საკომუნიკაციო ფუნქციათა ურთიერთობა. — § 22—25. სიტყვის მნიშვნელობის რაობა. — § 26—31. სინონიმია. — § 32—33. ანტონიმია. — § 34—35. პოლისემია. — § 36—39. ომონიმია. 22—42

სიტყვის ფუნქციონირების პირობები: § 40—41. ბეერადობა. — § 42. საენობრივი მიმართება. — § 43—48. ენობრივი კოლექტივი. — § 49—54. სხვა სიტყვებთან ურთიერთობა. 43—58

ისტორიული თვალსაზრისი ლექსიკის შესწავლაში: § 55. ზოგადი. — § 56. ანტიისტორიული სოციოლოგიზმი. — § 57. ენა მოხმარებაში იცვლება. — § 58. სისტემა და ისტორია ფონეტიკა-გრამატიკასა და ლექსიკაში. — § 59—61. ისტორიულობისა და სოციალურობის ურთიერთობისათვის. — § 62. ეტიმოლოგია. — § 63. აღწერითი სემასიოლოგიის მნიშვნელობა 58—68

ქართული სიტყვის ბეერადობა და მნიშვნელობა

§ 64—69. ფონემათა ხმარების სიზნირე და ფუნქციური დატვირთულობა. — § 70—73. ხმაბაძვითი სიტყვები. — § 74—76. ბეერითი ეესტი. — § 77. სიტყვის სიგრძე და ომონიმიის საკითხი. — § 78. ფონეტიკური ცვლილებებით გამოწვეული ომონიმია. — § 79. შორეული აგებულებით განსხვავებული ომონიმები. — § 80. ომონიმია უკველეს და შეთვისებულ სიტყვებს შორის. — § 81. ომონიმია ნასესხებ სიტყვებს შორის. — § 82. კალკირებული მნიშვნე-

ლობა და ომონიზია. — § 83. დამოუკიდებელი წარმოება ერთი და იმავე ელემენტებისაგან. 69—97

ქართული სიტყვის აგებულება და მნიშვნელობა

§ 84. ხმაბაძეითი სიტყვების აგებულება. — § 85—86. კომპონენტთა ადგილი და კომპოზიციის მნიშვნელობა. — § 87. სიტყვაწარმოება და მოტივაცია. — § 88—91. მოტივაცია და ნიშნის ნებისმიერობა. — § 92—93. სიტყვის მნიშვნელობა და მოტივაცია. — § 94—95. ზოგადი დასკვნა მოტივაციის როლის შესახებ სიტყვის ფუნქციონირებისას 98—122

ქართული ლექსიკა ხავნობრივი მიმართების თვალსაზრისით

ა. § 96. ზოგადი. — § 97—99. შორისდებულები და ხმაბაძეითი სიტყვები ლექსიკური ფონდის სემასიოლოგიური დახასიათებისას. — § 100—102. ფუნქციონალური ლექსიკა. — § 103. ნაცვალსახელთა და რიცხვითი სახელების ადგილისათვის — § 104—105. მეტყველების ნაწილთა ძირითადი კლასები. — § 106—110. სრულმნიშვნელობიან სიტყვათა უზოგადესი სემანტიკური ჯგუფები. — § 111—123. სემანტიკური ჯგუფები ნაწარმოებ სიტყვებში. — § 124—129. ლექსიკური ფონდის თემატიკური დანაწევრება. — § 130—134. ცნებათა ბუდეები საბას ლექსიკონში. 123—162

ბ. § 135. სიტყვის სემანტიკური აგებულება. ტერმინი. — § 136—138. სიტყვის გამოყენება შედარებისას. — § 139—143. ენობრივი მეტაფორა (გადატანითი ხმარება). — § 144—145. გადატანითი ხმარება და პოლისემია. — § 146—147. მნიშვნელობის „გაფართოების“, „დავიწროებისა“ და „პოლარიზაციის“ შესახებ. — § 148. სავნობრივი მიმართება და ემოციური იერი. 133—178

ქართული ლექსიკა ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში

ა. § 149—150. ზოგადი. — § 151—153. „პრაგმატული“ ასპექტი და მეტყველების ნაწილები. — § 154. საერთო ქართული ლექსიკა და ვიწრო ჯგუფთა ლექსიკური თავისებურებანი. — § 155—165. ლექსიკური ფონდი და დიალექტიზმები. — § 166. „საბავშვო“ სიტყვები. — § 167. საკულტო ლექსიკა. — § 168—170. დარგობლივი ლექსიკა. — § 171—173. სპეციალური ლექსიკა საერთო ენაში. — § 174—176. ლექსიკური ფონდის დინამიკა და დარგობლივი სიტყვები. § 177. თანამედროვე ქართული ენის პოლივალენტოვნება. — § 178—191. სინონიზია და ენობრივი კოლექტივი — § 182. საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის უკუფენა ლექსიკურ ფონდში. 179—245

ბ. § 183. სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში. — § 184—186. პოლისემია და სპეციალური ლექსიკა. — § 187. ელიფსი და პოლისემია. — § 188. პოლისემია და დიალექტები. — § 189. პოლისემია და საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია. 246—260

სიტყვათა ურთიერთდამოკიდებულება

ა. §§ 190—191. ზოგადი. — § 192. სიტყვის განხილვის სხვადასხვა თვალსაზრისები. — §§ 193—195. სიტყვათა სინონიმური ურთიერთობა. — §§ 196—200. სიტყვათა ანტონიმური ურთიერთობა. — 201. ლექსიკური პარადიგმატიკის სხვა მოვლენები. — § 202 — 205. ლექსიკური პარადიგმატიკა და ცვლილებანი ლექსიკაში. 261—285

ბ. § 206. ზოგადი. — § 207. გრამატიკულსა და ლექსიკურის დამუთხვეულობა შესიტყვებაში. — § 208. სიტყვათა შეხამების მეტნაკლები შეზღუდულობა. — §§ 209—210. იდიომატური გამოთქმები. — § 211.—212. ტრადიციით დამკვიდრებული შესიტყვებანი. — § 213. შესიტყვებათა ტიპები. — § 214. მნიშვნელობის ცვლა შესიტყვებაში („დამართება“). 286—305

საკუთარი და შეთვისებული მასალა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში

ა. უძველესი ქართული ფუძეები: §§ 215—216. ზოგადი. — §§ 217—221. უძველესი მასალის გამოყოფასთან დაკავშირებული საკითხები. — §§ 222—233. საერთოქართველურის ნამეშკვიდრები სიტყვები ქართული ენის ლექსიკურ ფონდში. — §§ 234—244. მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან საზიარო ლექსიკა ქართულში. — §§ 245—247. ქართული ლექსიკის ადგილი „ნოსტრატულ“ კიპოთეზაში. 306—342

ბ. შეთვისებული მასალა ქართულ ლექსიკაში: §§ 248—252. სიტყვათა სესხების ზოგადი პირობები. — §§ 253—262. ქართული ენის ლექსიკური კონტაქტები. — §§ 263—267. ინტერნაციონალიზმები. — § 268. „ნასესხები“ და „უცხო“ სიტყვების განსხვავებისათვის. — § 269. „ეგზოტიკური ლექსიკა“. — §§ 270 — 273. ნაწილობრივი სესხება. კალკი. — §§ 274—280. ნასესხები მასალის ადგილი ქართული ენის ლექსიკურ ფონდში. 342—380

დამოწმებული ლიტერატურა 381—391
 საკანობრივი საძიებელი 392—399

ОГЛАВЛЕНИЕ

Предисловие	3
Введение: место лексикологии среди лингвистических дисциплин (§§ 1 — 16), природа языкового знака (§§ 17 — 39), условия функционирования языка (§§ 40 — 54), исторический подход к изучению лексики (§§ 55 — 63)	5
Звучание и значение слова (§§ 64 — 83)	69
Грамматическая структура и значение слова (§§ 84 — 95)	98
Лексика с точки зрения предметной отнесенности: а) лексический фонд (§§ 96 — 134), б) семантическая структура слова (§§ 135 — 148)	123
Лексика и языковой коллектив: а) лексический фонд и языковой коллектив (§§ 149 — 182), б) семантическая структура слова в ее отношении к языковому коллективу (§§ 183 — 189)	179
Взаимоотношения слов: а) парадигматические отношения (§§ 190 — 205), б) синтагматические отношения (§§ 206 — 214)	251
Собственная и заимствованная лексика: а) исконные грузинские слова (§§ 215 — 247), б) заимствованные и калькированные слова (§§ 248 — 280)	306
Литература	381
Предметный указатель	394

Почхуа Бидзინა Арсеньевич

ЛЕКСИКОЛОГИЯ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1974

რედაქტორი შ. ძიძიგური

გამომცემლობის რედაქტორი გ. სალიაშვილი
ტექნორედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ნ. ჯანთარია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/IX—74
ჭალაღის ფორმატი 60×90
ნაბეჭდი თაბახი 25.25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24.62

შევეთა 56 უე 05043 ტირაჟი 2000

ფასი 2 ლა.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
თბილისი 380028, ი. ჯავახიძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა. თბილისი 380028,
ი. ჯავახიძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

შეცდომების გახწორება

გვ. სტრ.	არის	უნდა იყოს
6.20	შედარებით	შედარებით,
54,35	ზემოწარმოდგენილი	ზემოწარმოდგენილი)
61.15	ლექსიკონში	ლექსიკონში
73,5	შიშლების	შიშლების
94.19.34	მღვდელთ	მღვდელთ
96	გვ. მე-13 სტ. უნდა იკითხებოდეს: 'თეაღიუ 'თვალისცემისაგან დასაცავი შანა' და სათვალუ 'მხედველობის გასაუმჯობესებელი ღინზა' ცალ-ცალკეა ხაწარმო-	
101.16	ხაიათდება	განსხვავდება
105.19	ნამრავლს	ნამრავლისა
133.32	ჩგუფებს	ჩგუფებისას
135.3	[108ა. 115]	[115]
143.29	[41. 108ა]	[41]
157.17	გათეთრებაძდე	გათეთრებადმდე
172.8	ავარაყს	ავარაყსა
177.5	ბრვე	ბრვე
191.25	ის	ის.
208.10	სარწმუნოების	რწმუნების
214.21	მეშეშეობა	მეშეშეობა
216.33	ურთიერთობას	ურთიერთობასაც
222.30	[157]	[75]
229.21	კოლონიზაცია	დეკოლონიზაცია
243.2	რომელიმე... არის	როსელნიმე .. ას
254.11	შეითვისა	შეითავსა
285.4	დარღვევებზე	დარღვევაზე
302.3	უარყოფითი	უარყოფითი
302.18	მშენიერი-	მშენიერი-
303.22	მიმართ	მიმართ —
304.12	ბიბლინითა	ბიბლინითა
324.32	გამაღლის	გამაღლისოს
335.35	დოლგობოლოვისა	დოლგობოლოსისა
336.34	მიმართული	მიმავალი
358.12	ერთგვარი	-მავარი
371.29	Aussermittlung	aussermittig
372.28	მოცეხელა	მოცეხელა
377.36	მავარი	ამგვარი
372.11	287	284